საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი

ეკონომიკური კვლევის მეთოდები

(ლექციების კურსი)

თბილისი
2014

ავტორთა კოლექტივი: ა. სიჭინავა (ავტორთა კოლე=ქტივის ხელმძღვანელი), შ. ვეშაპიძე, გ. ვეშაპიძე, შოთა.

ჯოლია, დ. სეხნიაშვილი, ნ. ჩიკვილაძე, ლ. კვარაცხელია, ვ. ქირია, ნ. ჭიკაიძე, ე. მენაბდე-ჯობაძე, გ. ყურაშვილი, ტ. კიკვაძე, რ. შენგელია, თ. კაიშაური, თ. აბუაშვილი, თ. როსტიაშვილი

რეცენზენტი: სრული პროფ. გ. მალაშხია

ლექციის კურსში განხილულია ეკონომიკური კვლევის მეთოდები, როგორც ეკონომიკური მეთოდოლოგის აქტიური ნაწილი. დეტალურადაა გაანალიზებული ისტორიული, ევოლუციური, ემპირიული და სხვა მეთოდები.

ნაშრომი გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის (დოქტორანტებისათვის), რომლებიც დაინტერესებული არიან ეკონომიკური კვლევის მეთოდებითა და მეთოდოლოგიებით.

ნაშრომი მომზადებულია სტუ-ს ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საინჟინრო-ეკონომიკის დეპარტამენტის და ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მიერ.

სარჩევი

თავი 1. 9

1.ეკონომიკური მეცნიერებები 9

2. ეკონომიკური ანთროპოლოგია 11

3. ადამიანის მოდელი კლასიკურ პოლიტეკონომიაში 13

4. მარჟინალიზმი ეკონომიკური ადამიანის შესახებ 16

5. ალფრედ მარშალისა და ჯონ მეინარდ კეინსის ჰომო ოეცონომიცუს 17

6. ნეოკლასიკური სინთეზი და ნეოინსტიტუციონალიზმი „ეკონომიკური ადამიანის“ შესახებ 20

7. „ეკონომიკური ადამიანის“ თანამედროვე მოდელი 21

8 ეკონომიკური რეალობა და ეკონომიკური ფაქტები 22

ძირითადი დასკვნები: 24

კითხვები მსჯელობისთვის: 25

თავი 2. მეთოდისა და მეთოდოლოგიის პრობლემა მეცნიერულ კვლევაში 25

1. მეთოდი და მეთოდოლოგია 25

2. მეთოდოლოგიის მიზნები და ამოცანები 28

3. მეთოდოლოგიის არჩევა 30

4. მეთოდოლოგიის ძირითადი ტიპები და დონეები 32

5. ფილოსოფია როგორც ყველა მეცნიერების საყოველთაო მეთოდოლოგია 34

6. ზოგადი და კერძო მეცნიერული მეთოდოლოგია 37

7. საბაზო მეთოდოლოგიური კონცეფციები XX საუკუნის ფილოსოფიასა და მეცნიერებაში 38

8. ტ. კუნის მეცნიერული რევოლუციის კონცეფცია 38

9. ი.ლაკატოსის კვლევითი პროგრამების კონცეფცია 43

10. კარლ პოპერის მეთოდოლოგიური პროგრამა 46

თავი 3 - სოციალური შემეცნება და სოციალური რეალობის შესწავლის მეთოდები 52

1.სოციალური ეპისტემოლოგიის საგანი და ძირითადი ტრადიციები 52

2. პოზიტივიზმი და მარქსიზმი 54

3. ნეოკანტელობა (ნეოკანტიანობა) და მაქს ვებერი (ვებერიანიზმი) 57

4. სოციალური ფენომენოლოგია და ჰერმენევტიკა 62

5. პოსტსტრუქტურალიზმი და პოსტმოდერნიზმი 66
6. ემპირიული დონე სოციალურ შემეცნებაში 70
7. თეორიული დონე სოციალურ შემეცნებაში 73
8. მეთოდი და მეთოდოლოგია სოციალურ გამოკვლევაში 75
9. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები 78
თავი 4 - ეკონომიკური მეთოდოლოგია, როგორც ეკონომიკური კვლევების მეთოდოლოგია 85
1. ეკონომიკური მეთოდოლოგიის მიზნები და ამოცანები 85
2. კვლევითი პროგრამები (პარადიგმები) ეკონომიკური მეცნიერებაში 86
3. ეკონომიკური კვლევის ძირითადი ეტაპები 88
4. ჭეშმარიტება და ცდომილება ეკონომიკურ კვლევაში 89
5. ეკონომიკური მეთოდოდოლოგიის ადგილი და მნიშვნელობა მთელი სოციალური და ბუნებრივ-მეცნიერული მეთოდოლოგიის სისტემაში 90
6. ეკონომიკური მეცნიერების მოსფლმხედველობრივი 92
იდეალები და სტანდარტები 92
7. ეკონომიკური იდეოლოგიის ძირითადი სკოლები 94
8. კლასიკური პოლიტეკონომიის მეთოდოლოგია 94
9. მარქსიზმის ეკონომიკური მეთოდოლოგია 96
10. მარჟინალიზმის და კემბრიჯის სკოლის მეთოდოლოგიური ძიებანი 97
11. თანამედროვე მეთოდოლოგიური მიმართულებები 99
ეკონომიკურ მეცნიერებაში 99
თავი 5. ეკონომიკური კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია 108
1. მეცნიერული და არამეცნიერული მეთოდები ეკონომიკურ კვლევებში 108
2. საყოველთაო, ზოგადი და კერძო ეკონომიკური მეთოდები 113
3. ლოგიკური და არა ლოგიკური ეკონომიკური მოდელები 115
4. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ეკონომიკური მეთოდები 117
5. ეკონომიკური მეთოდების კლასიფიკაციის შედეგები 119
6. ეკონომიკური კვლევის მეთოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა მისი დაყოფა ემპირილად და თეორიულად 119
7. ეკონომიკური კვლევის ნაკლებად გავრცელებული კლასიფიკაციები 124
თავი 6. ისტორიული მეთოდი ეკონომიკური სინამდვილის ანალიზში 126
1. ისტორიული მეთოდის ზოგადი დახასიათება 126

2. ისტორიული მეთოდი და ეკონომიკური მეცნიერება 132
3. ისტორიული მეთოდი ეკონომიკურ ისტორიაში 140
4. შედარებით-ეკონომიკური მეთოდი ეკონომიკის ისტორიასა და ეკონომიკური აზრის ისტორიაში 144
5. ისტორიული მეთოდი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში 147
6. ისტორიული მეთოდი და ისტორიული სკოლა 151
7. ძირითადი ისტორიული სკოლები ეკონომიკურ მეთოდოლოგიაში 154
თავი 7. ეკონომიკური კვლევების ევოლუციური მეთოდი 164
1. ევოლუცია ბუნების და საზოგადოების ისტორიული განვითარების წარმოდგენების შესახებ 164
2.ევოლუციური მეთოდის სამი განმარტება 169
ეკონომიკურ მეცნიერებაში 169
3.ევოლუციური მეთოდი როგორც ლოგიკური მეთოდი ეკონომიკური 170
პროცესების ისტორიულ შემეცნებაში 170
4. ევოლუციური მეთოდი როგორც "ბუნებრივი გადარჩევის" მეთოდი 172
ეკონომიკური პერსპექტივა 172
5. ევოლუციური მეთოდი, როგორც ეკონომიკური საწარმოების განვითარების ანალიზისა და ეკონომიკის ისტორიის მეთოდი 175
6. ევოლუციური ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური მეცნიერების 177
მიმართულება 177
7. ევოლუციური მეთოდი როგორც ეკონომიკური აზრის ისტორიის 179
კვლევის მეთოდი 179
8. ევოლუციები და რევოლუციები მსოფლიო 182
ეკონომიკურ ისტორიაში 182
თავი 8 . დაკვირვება და ექსპერიმენტი ეკონომიკურ კვლევებში 185
1. დაკვირვება, როგორც სოციალური პროცესების კვლევის მეთოდი 185
2. ეკონომიკური დაკვირვება, მისი მიზნები და ამოცანები, მონაცემების ინტერპრეტაციის პრობლემა 190
3. ეკონომიკური გაზომვა (შეფასება) 194
4. ეკონომიკური დაკვირვების სახეები 197
5. ინტერვირება და ანკეტირება ეკონომიკურ კვლევებში 201
6. ეკონომიკური მონიტორინგი, როგორც ეკონომიკური კვლევების წესი 203
7. ეკონომიკური ექსპერიმენტის ცნება 205

8. ექსპერიმენტი სოციალურ კვლევებში 206

9. ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზანი და ამოცანები და ეკონომიკური ექსპერიმენტების ძირითადი ტიპები 212

10. ეკონომიკური ექსპერიმენტების ისტორია 215

11. დისციპლინათაშორისი ექსპერიენტები და მათი გამოყენება ეკონომიკურ კვლევებში 217

12. ეკონომიკური ექსპერიმენტირების განვითარების პერსპექტივები 220

თავი 9. მათემატიკური მეთოდები ეკონომიკურ გამოკვლევებში 222

1. ფორმალიზაცია და მათემატიზაცია, როგორც მეცნიერული ცოდნის განვითარების მეთოდები 222

2. ფორმალიზაცია და მათემატიზაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში 225

3. მათემატიკური მეთოდი ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში 227

4. მათემატიკური მეთოდების განვითარების გზები თანამედროვე ეკონომიკურ კვლევებში 229

5. ეკონომეტრიკა, მისი მიზნები და ამოცანები 232

6. მათემატიკური ექსპერიმენტი 233

7. მათემატიკური მეთოდის ადგილი ეკონომიკური მეცნიერების სხვა მეთოდებს შორის 234

8. მათემატიკური მეთოდების ნაკლოვანებანი და თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მათემატიზაციის კრიტიკა ეკონომისტთა და სხვა დისციპლინების წარმომადგენელთა მხრიდან 235

თავი 10. სტატისტიკური მეთოდი ეკონომიკურ ანალიზში 236

1. სტატისტიკური მეთოდი, ძირითადი მიზნები და ამოცანები 236

2. სტატისტიკური მეთოდების გამოყენების ისტორია ეკონომიკრ გამოკვლევებში 239

3. თანამედროვე ეკონომიკური სტატისტიკა: კვლევების ძირითად მიმართულებები 240

4. ანალიზის ძირითადი სახეობები სტატისტიკაში 245

5. სტატისტიკური მეთოდების საიმედოობის შეფასება 247

6. სტატისტიკური მეთოდის ადგილი ეკონომიკური მეცნიერების სხვა მეთოდთა შორის 248

თავი 11. ანალიზური, სინთეზური, ინდუქციურ-ალბათური და ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდები ეკონომიკური რეალობის კვლევაში 249

1. ანალიზი და ანალიზური მეთოდი ეკონომიკაში 249

2. ანალიზი და ანალიზური მეთოდი ეკონომიკის კვლევებში 253

3. სინთეზი და სინთეზური მეთოდი ეკონომიკურ კვლევებში 256

4. დისციპლინათაშორისი სინთეზი: ეკონომიკა და სხვა სოციალური მეცნიერებები..258
5. ინდუქცია როგორც შემეცნების მეთოდი: ანალიზის საერთო ასპექტები.....262
6. დედუქცია როგორც შემეცნების მეთოდი: ანალიზის საერთო ასპექტი.....267
7. დედუქციური მეთოდი და დედუქტივიზმი ეკონომიკური აზრის ისტორიაში.....268
8. ფორმალური სილოგიზმი და ეკონომიკური სოფისტიკის პრობლემა.....272
9. ეკონომიკური პარადოქსები.....273
10. ჰიპოთეზა და ჰიპოთეზური დედუქციური მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში.....276
თავი 12.....277
1. ანალოგიის და მოდელირების მეთოდი ეკონომიკურ ანალიზში.....277
შესავალი.....277
2. ანალოგიის მეთოდი მეცნიერულ კვლევაში.....278
3. ეკონომიკური ანალოგია, როგორც ეკონომიკური კვლევის მეთოდი.....281
4. ექსტრაპოლაციის მეთოდი და პროგნოზირების პრობლემა ეკონომიკურ მეცნიერებაში.....282
5. მოდელი, როგორც ეკონომიკური რეალობის კვლავწარმოების საშუალება.....290
6. ეკონომიკური მოდელირების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენება ეკონომიკურ გამოკვლევებში.....292
თავი 13. ცოდნის ეკონომიკისა და მართვის.....297
მეთოდოლოგია.....297
1. ცოდნის ეკონომიკის გაზომვის (შეფასების).....297
მეთოდოლოგია.....297
2. ფორსაით პროექტები - გრძელვადიანი პროგნოზირების თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგია.....305
3. ცოდნის მართვის დელფოს მეთოდის არსი და თავისებურებები.....309
4. დელფოს მეთოდის სუბიექტები, ჩატარების ეტაპები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.....310
თავი 14.....314
1. ინფორმაცია და მისი ეკონომიკური დახასიათება, ძირითადი ცნებები.....314
2. ინფორმაციის ეკონომიკური დახასიათება.....326
3. ეკონომიკური ინფორმაციის ცნება.....328
4. ინფორმაციის კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნებით.....330
5. საინფორმაციო სისტემის ცნება.....334
6. საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია.....339

7. კლასიფიკაცია გამოყენების სფეროს მიხედვით 340
8. კლასიფიკაცია ორგანიზაციის წესის მიხედვით 342
9. საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფის ქვესისტემები 345
10. საინფორმაციო სისტემების გამოყენების სფერო და მისი რეალიზაციის მაგალითები 349
თემა 15. ინტერნეტის გამოყენება ეკონომიკურ კვლევაში 352
1. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები (Iთ) ეკონომიკურ კვლევაში 352
2. ინტერნეტი და ბაზრის მარკეტინგული კვლევა 355
3. ინტერნეტ-მომხმარებლების ქცევის კვლევა 359
4. კიბერდანაშაულის კვლევისა და პრევენციის მეთოდები 367

თავი 1.

1.ეკონომიკური მეცნიერებები

ეკონომიკური მეცნიერება იკვლევს ეკონომიკურ მოვლენათა სამყაროს მრავალი მიმართულებით. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გამოვყოთ მასში ის განყოფილება, რომლის სახელწოდებაცაა „ეკონომიკური თეორია“. ძალიან ხშირად ეკონომიკურ მეცნიერებას აიგივებენ ეკონომიკურ თეორიასთან, თუმცა ეს ერთი და იგივე როდია. ეკონომიკური თეორია შეადგენს ეკონომიკური მეცნიერების მხოლოდ ბირთვს, გულს, მაგრამ არ მოიცავს ეკონომიკური ცოდნის გამოყენებით და ემპირიულ განყოფილებებს.

ეკონომიკური თეორია – ესაა ეკონომიკური მეცნიერების განყოფილება, რომელიც განზოგადებული და რაციონალურად დასაბუთებული ცოდნის სისტემაა, იგი აღწერს, ხსნის და განჭვრეტს რეალურ ეკონომიკურ მოვლენათა და ობიექტთა სამყაროს ფუნქციონირებას.

ეკონომიკურ თეორიაში გამოიყოფა მაკროეკონომიკური და მიკროეკონომიკური თეორიები. პირველი იკვლევს ეკონომიკურ მოვლენებს დიდი მასშტაბით, როგორც წესი, ეროვნული და მსოფლიო მეურნეობის დონეზე, მეორე ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ ეკონომიკურ ერთეულზე – ფირმაზე, საოჯახო მეურნეობაზე და ა.შ.

პოლიტიკური ეკონომია უმჯობესია განვმარტოთ, როგორც ეკონომიკური თეორიის განსაკუთრებული ნაირსახეობა ეკონომიკური ცოდნის რაციონალურად დასაბუთებული სისტემის შექმნის ამოცანით, რომელსაც აქვს შესაძლებლობა გავიდეს პოლიტიკურ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ დონეზე. სამწუხაროდ, „პოლიტიკური ეკონომიის“ სახელმძღვანელოს შემქმნელი ავტორები იშვიათად უმკლავდებიან ამ ამოცანას.

ისტორიული მიმართულების ეკონომიკურ მეცნიერებებს მიაკუთვნებენ ეკონომიკურ ისტორიას და ეკონომიკური აზრის ისტორიას (ეკონომიკური

მოძღვრებების); ეკონომიკური მეცნიერებები გამიზნულია სახალხო მეურნეობის დარგების სამართავად, როგორებიცაა: ლოჯისტიკა, მარკეტინგი, მენეჯმენტი, ქვეყნის მოსახლეობის და დემოგრაფიის ეკონომიკა, შრომის ეკონომიკა, ბუნების სარგებლობის ეკონომიკა, ინვესტიციების და საინვესტიციო საქმიანობის მართვა, მრეწველობის ეკონომიკა, აგრარული ეკონომიკა, ტრანსპორტის ეკონომიკა და სხვ.

არსებობს ეკონომიკური მეცნიერებები, რომლებიც დაკავშირებულია ფინანსებთან, ფულად მიმოქცევასთან, კრედიტთან და საბანკო საქმიანობასთან, ესენია: ფინანსების თეორია და მეთოდოლოგია, სადაზღვევო საქმე, საბანკო საქმე და კრედიტი და ა.შ.

ეკონომიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გამოყენებით ეკონომიკურ დისციპლინებს – ეკონომიკურ გეოგრაფიას, ეკონომიკურ სტატისტიკას, ეკონომიკურ მათემატიკას, საბუღალტრო საქმეს, აუდიტს და სხვ.

დასასრულ, დარჩა ეკონომიკური ცოდნის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი განყოფილება, რომლის ფარგლებშიც წარმოდგენილია ეს კურსი – ეკონომიკური მეთოდოლოგია.

ეკონომიკური მეთოდოლოგია (ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია) – ესაა უმნიშვნელოვანესი მიმართულება საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების კვლევაში. იგი შეისწავლის, თუ როგორ ვითარდება მოძღვრება ამ მეთოდების შესახებ.

ეკონომიკური მეთოდოლოგია თავისი არსით მჭიდროდაა დაკავშირებული კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს მიმართულებასთან, რომელიც მდებარეობს ფილოსოფიისა და ეკონომიკის მიჯნაზე – ესაა „ეკონომიკის ფილოსოფია“ ანუ „მეურნეობის ფილოსოფია“.

ეკონომიკის ფილოსოფია (მეურნეობის ფილოსოფია) – ესაა ფილოსოფიის განყოფილება, რომელიც იკვლევს ეკონომიკის ფილოსოფიურ პრობლემებს (მეურნეობებს), ესენია: ეკონომიკის არსი, მეურნეობის და მეურნეობრიობის არსი,

მეურნეობის და ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულება, საკუთრების თეორიის, ფულისა და საქონლის სიდრმისეული ასპექტები, ეკონომიკური მეცნიერების კატეგორიალური რიგი, მეურნეობრიობის ეთიკური ასპექტები და ა.შ.

ეკონომიკის ფილოსოფია ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანესი დამატებაა; აუცილებელი ფილოსოფიური და კატეგორიული ანალიზის გარეშე შეუძლებელია ცხადვყოთ მრავალი პრობლემაც, რომლებიც უშუალოდ მიეკუთვნება ეკონომიკური მეცნიერების მეთოდებს.

ამ სახელმძღვანელოში წარმოდგენილ „ეკონომიკური კვლევის მეთოდების“ კურსს, სამწუხაროდ, არ შეუძლია მოიცვას ეკონომიკური მეთოდოლოგიის მთელი მოცულობა. იგი ექვემდებარება ბევრად უფრო კონკრეტულ ამოცანას: შეუქმნას სტუდენტებსა და ასპირანტებს წარმოდგენა ეკონომიკური კვლევის ძირითად მეთოდებზე. მოძღვრება ამ მეთოდების შესახებ შეადგენს ეკონომიკური აზრის მთელი მეთოდოლოგიის მხოლოდ ნაწილს, თუმცა საკმაოდ მნიშვნელოვანსა და არსებითს. „ეკონომიკური კვლევის მეთოდების“ კურსის ათვისება საშუალებას იძლევა ღრმად ჩავწვდეთ ეკონომიკური სინამდვილის კვლევის საკვანძო საშუალებებს და ვასწავლოთ სტუდენტებსა და ასპირანტებს მაქსიმალური სარგებლით გამოიყენონ ისინი თავიანთ სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

2. ეკონომიკური ანთროპოლოგია

რამდენიც უნდა ვიმეოროთ სიტყვები „საზოგადოება“ და „სოციუმი“, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი საბოლოო ჯამში ნიშნავს ინდივიდთა ერთობლიობას – ცოცხალი პიროვნებების ერთობლიობას მათი კონკრეტული სწრაფვით, ამოცანებით, ფასეულობებით, ემოციებით, ხასიათებით. ეკონომიკური მეცნიერების, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა საზოგადოებრივი მეცნიერების, ცენტრში დგას ადამიანი – კონკრეტული ინდივიდი, პიროვნება.

გარკვეული კვლევითი ყურადღების გარეშე ამ კონკრეტული ადამიანის მიმართ ეკონომიკური ანალიზის სამყარო აღმოჩნდება არასრული და არაზუსტი;

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფარაუდა, რომ ჩვენ შევძლებთ სრულფასოვნად აღვწეროთ ეკონომიკურ მოვლენათა სამყარო მხოლოდ გლობალური ეკონომიკური ინდიკატორებისა და მაჩვენებლების ოპერირებით.

არსებობს მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საკუთრივ ადამიანს, მის ფენომენს – ესაა ანთროპოლოგია. თუმცა იგი იმდენად სხვადასხვა მიმართულებად იყოფა, რომ მათი გაერთიანება ერთი რომელიმე მეცნიერების ფარგლებში ბევრ მეცნიერს საეჭვოდ მიაჩნია.

ჯერ ერთი, არსებობს ფიზიკური (ანუ ბიოლოგიური) ანთროპოლოგია – ბიოლოგიის განყოფილება, რომელიც შეისწავლის ადამიანის მორფოლოგიას, სომატოლოგიას, მოძღვრებას რასების შესახებ. მეორე, მასთან მჭიდრო კავშირშია – ესაა ისტორიული ანთროპოლოგია – სწავლება ადამიანის სოციობიოლოგიური ევოლუციის შესახებ, მასში შედის აგრეთვე პირველყოფილ ხალხთა კულტურები. მესამე, ამ უკანასკნელმა ბიძგი მისცა კულტურული ანთროპოლოგიის განვითარებას – მეცნიერებას, რომელიც იკვლევს ადამიანის ქცევის კულტურულ კონტექსტებს სხვადასხვა საზოგადოებაში, მათ შორის ყველაზე პრიმიტიულისაც კი. მეოთხე, სოციალური ანთროპოლოგიაა – მიმართულება, რომელშიც ყურადღებაა გამახვილებული ადამიანთა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტის შესწავლაზე როგორც ისტორიული, ისე შედარებითი თვალსაზრისით. მეხუთე, მოდური მიმართულება თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებში გახდა პოლიტიკური ანთროპოლოგია – მეცნიერება, რომელშიც იკვლევენ ადამიანს, როგორც აქტიურ სუბიექტს, რომელიც გარდაქმნის პოლიტიკურ სფეროს, პოლიტიკურ რეალობას. მეექვსეა ფილოსოფიური ანთროპოლოგია – ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანის შესახებ, როცა ეს უკანასკნელი განიხილება როგორც ბიოსოციალური არსება, რომელიც აქტიურად შეიმუშავებს საკუთარ ფასეულობებსა და ნორმებს.

ბუნებრივია, ანთროპოლოგიის ყველა ეს სახე ცდილობს თავისებურად უპასუხოს ერთადერთ კითხვას: „ვინ არის ადამიანი?“. ამ კითხვაზე პასუხები

არაერთგვაროვანია და ზოგჯერ შეუთავსებელიც, აქედან გამომდინარე ამომწურავი პასუხი ჯერჯერობით არ არსებობს.

ამ კითხვაზე პასუხის საკუთარი ვარიანტი აქვს ეკონომიკურ ანთროპოლოგიასაც. ეს ახალი დისციპლინაა, რომელიც სულ ახლახან წარმოიშვა ორი მეცნიერების – ანთროპოლოგიისა და ეკონომიკის – მიჯნაზე.

ეკონომიკური ანთროპოლოგია – ესაა ეკონომიკური აზრის მიმართულება, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის, როგორც ეკონომიკური სუბიექტის, შესწავლის ამოცანას და შეიმუშავებს სხვადასხვა ტიპის homo oeconomicus – „ეკონომიკური ადამიანის“ – მოდელებს.

ეკონომიკური ანთროპოლოგიის ძირითადი კითხვაა: „როგორია ეკონომიკური ადამიანი?“. მოკლედ განვიხილოთ ამ კითხვაზე პასუხის ვარიანტები ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

3. ადამიანის მოდელი კლასიკურ პოლიტეკონომიაში

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია (ადამ სმიტი, დავიდ რიკარდო, ჯონ სტიუარტ მილი, იერემია ბენტამი) განიხილავდა ეკონომიკურ ადამიანს, როგორც რაციონალურ და ეგოისტურ არსებას. ასეთი ადამიანი ცხოვრობს საკუთარი ინტერესების, შეიძლება ითქვას – საკუთარი ანგარების შესაბამისად, თუმცა ეს ანგარება სულაც არ ვნებს საზოგადოებრივ ინტერესს და საერთო სარგებელს, პირიქით, ხელს უწყობს მის განხორციელებას ცხოვრებაში.

„ადამიანი მუდმივად საჭიროებს თავისი ახლობლების დახმარებას და ამაოდ დაელოდება მას მხოლოდ მათი განწყობის მიხედვით. ის უმალ მიაღწევს თავის მიზანს, თუკი მიმართავს მათ ეგოიზმს და შეძლებს აჩვენოს მათ, რომ მათთვისაც ხელსაყრელია გააკეთონ ის, რასაც იგი მოითხოვს მათგან ... მომეცი ის, რაც მჭირდება და მიიღებ იმას, რაც გჭირდება – ასეთია აზრი ნებისმიერი მსგავსი წინადადებისა. სწორედ ამ გზით ვიღებთ ერთმანეთისგან მომსახურების მნიშვნელოვნად მეტ წილს, რომელიც ჩვენ გვჭირდება“.

ადამ სმიტის „ეკონომიკურ ადამიანს“ აგრეთვე გამოარჩევს მიდრეკილება ვაჭრობისა და გაცვლისკენ. მისი აზრით, რომ არ არსებობდეს მიდრეკილება ვაჭრობისა და გაცვლიკენ, თითოეულ ადამიანს მოუწევდა მოეპოვებინა თავისთვის ყველაფერი აუცილებელი საცხოვრებლად.

„ეკონომიკური ადამიანი“ როგორც მომჭირნე და ეფექტიანი სამეურნეო სუბიექტი უპირისპირდება მფლანგველ ადმინისტრატორსა და სახელმწიფო მოღვაწეს. მას მიაჩნია, რომ დიდი ერები არასოდეს ღატაკდებიან კერძო პირების მფლანგველობის და არაკეთილგონიერების გამო, მაგრამ სახელმწიფო ხელისუფლების მფლანგველობის და უგუნურობის შედეგად ხშირად ღარიბდებიან.

„ეკონომიკური ადამიანის“ სმიტისეულ იდეალს განავრცობს დავიდ რიკარდო. მან უფრო მეტად მოახდინა ადამ სმიტის homo oeconomicus „რაციონალიზება“, გაანაწილა იგი სამი ძირითადი კლასის მიხედვით (კაპიტალისტები, დაქირავებული მუშები და მიწათმფლობელები) და უფრო კონკრეტულად მიუთითა საკუთარი ეკონომიკური ინტერესის განმსაზღვრელ როლზე თითოეული კლასის წარმომადგენლისთვის. ამ ინტერესის მამოძრავებელი ძალაა სწრაფვა მოგების, რენტის ან ხელფასის გაზრდისკენ. მისი აზრით, ფერმერსა და ფაბრიკანტს არ შეუძლიათ იცხოვრონ მოგების გარეშე, ისევე, როგორც მუშას – ხელფასის გარეშე. მათი სწრაფვა დაგროვებისკენ შემცირდება მოგების ყოველ შემცირებასთან ერთად. იგი სრულიად შეწყდება, როცა მათი მოგება იქნება იმდენად დაბალი, რომ არ მისცემს მათ სათანადო ანაზღაურებას იმ ფათიფუთისა და რისკისთვის, რასაც ისინი ეწევიან საქმიანობისას.

უფრო ადრე „ეკონომიკური ადამიანის“ ნეოკლასიკურ გაგებას, რომელიც ახსნილია მარჟინალური თვალსაზრისით, საფუძველი ჩაუყარა ინგლისელმა ფილოსოფოსმა, უტილიტარიზმის ფუძემდებელმა, იერემია ბენტამმა. მან პირველმა შემოიღო პოლიტიკურ ეკონომიაში „კალკულაციის მწარმოებელი, შემფასებელი ადამიანის“ ცნება, ანუ სუბიექტის, რომელიც თითქოს სასწორზე წონის შესაძლო შემოსავლებსა და დანახარჯებს და გულდასმით ანგარიშობს

მათ, თან არა მარტო შემოსავლებსა და დანახარჯებს საკუთარი ეკონომიკური საქმიანობიდან, არამედ ნებისმიერი საქმიანობიდან საერთოდ.

ასეთი სუბიექტი კი, ბენტამის აზრით, ხელმძღვანელობს „სარგებლიანობის პრინციპით“. აი რას წერს ამის შესახებ იგი: ბუნებამ კაცობრიობა ორი უზენაესი მბრძანებლის – ტანჯვისა და სიამოვნების – მმართველობის ქვეშ მოაქცია. მხოლოდ მათ შეუძლიათ განსაზღვრონ, რის გაკეთება შეგვიძლია ჩვენ, ამასთან მიგვითითებენ, რა უნდა გავაკეთოთ. ისინი გვმართავენ ჩვენ ყველაფერში, რასაც ვაკეთებთ. სიტყვიერად ადამიანმა შეიძლება უარყოს მათი ძლევამოსილება, მაგრამ სინამდვილეში იგი მუდამ მათ ექვემდებარება. სარგებლიანობის პრინციპი აღიარებს ამ დაქვემდებარებას და მას საფუძვლად უდებს იმ სისტემას, რომლის მიზანიცაა – ბედნიერების შენობის აგება გონების და კანონის ხელით. 1 (წყარო: Бентам И. Введение в основания нравственности и законодательства. М., 1998. გვ. 9-10.).

ბენტამისთვის არსებობს მხოლოდ ცალკეული ადამიანის, ინდივიდის ინტერესი, ცნება „საზოგადოება“ მხოლოდ ცალკეულ ინდივიდთა ნების ჯამია და მეტი არაფერი.

„საზოგადოების ინტერესი“ – ერთ-ერთი ყველაზე ზოგადი გამონათქვამია ზნეობრივი მოძღვრების ფრაზეოლოგიაში, ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მისი აზრი ხშირად იკარგება. როდესაც ამ სიტყვას აზრი აქვს, იგი ასეთია: საზოგადოება არის ხელოვნური სხეული შემდგარი ინდივიდუალური პირებისგან, რომლებიც განიხილებიან როგორც მის შემადგენელი წევრები. ასეთ შემთხვევაში რა არის საზოგადოების ინტერესი? მისი შემადგენელი ცალკეული წევრების ინტერესთა ჯამი.

ძნელია ვისაუბროთ საზოგადოების ინტერესზე, როდესაც არ გვესმის, რა არის ცალკეული პირის ინტერესი. უმეტესწილად ადამიანი ისწრაფვის გაზარდოს სიამოვნებათა ჯამი ან შეამციროს ტანჯვათა ჯამი – ეს ხომ ფაქტობრივად ერთი და იგივეა.

ი. ბენტამის „ეკონომიკური ადამიანის“ კონცეფციას ეწოდა „უტილიტარისტული“, ვინაიდან მას საფუძვლად უდევს სარგებლიანობის პრინციპი. შემდგომში მსაგვსი მიდგომა, ოდნავ მოდიფიცირებული სახით საფუძვლად დაედო ავსტრიული სკოლის თეორიულ კონსტრუქციებს (ე. ბიომ-ბავერკი, კ. მენგერი, ფ. ვიზერი, შემდეგ ი. შუმპეტერი და ფ. ხაიეკი).

ჯონ სტიუარტ მილმა ლოგიკურად დაასრულა ინგლისური კლასიკური პოლიტეკონომიის სისტემის შთამბეჭდავი შენობის აგება, კიდევ ერთხელ მიუთითა რა, რომ მთელი ეკონომიკური საქმიანობის ბაზისად გვევლინება ცალკეული ინდივიდის საკუთარი, ეგოისტური ინტერესი. იგი იქვე შენიშნავს, რომ მსგავსი მიდგომა შეიცავს რეალური ადამიანის სხვა თვისებებისგან აბსტრაჰირების ელემენტებს.

ვ.ს. ავტონომოვი მილის ეკონომიკურ ანთროპოლოგიასთან დაკავშირებით ასკვნის, რომ ეკონომიკური ადამიანი არაა რეალური ადამიანი, რომელიც ნაცნობია ჩვენთვის საკუთარ თავზე და სხვებზე დაკვირვებით, ეს სამეცნიერო აბსტრაქციაა.

მილმა აგრეთვე ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ ეკონომიკურ ადამიანს არ შეუძლია სრული ბატონობა არსებულ ეკონომიკურ სიტუაციაზე და საკუთარი ქმედებების შედეგთა სრული განჭვრეტა. მისი აზრით, ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ საკუთარი მოქმედებების და არა მათი შედეგების გაკონტროლება.

4. მარჟინალიზმი ეკონომიკური ადამიანის შესახებ

სანამ შევეხებით მარჟინალიზმს, ორიოდე სიტყვით უნდა აღვნიშნოთ, რომ კარლ მარქსს არ ჰქონია სპეციალური ნაშრომი ეკონომიკური ანთროპოლოგიის შესახებ, თუმცა ეს პრობლემა სხვა ამოცანათა პრიზმაში განიხილებოდა. მარქსის მოსაზრებით, საქონლის გაცვლის ან მიმოქცევის სფერო, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება სამუშაო ძალის ყიდვა-გაყიდვა, ადამიანის ბუნებრივ უფლებათა ნამდვილი ედემია. აქ ბატონობს მხოლოდ თავისუფლება,

თანასწორობა, საკუთრება... თავისუფლება! ვინაიდან საქონლის მყიდველი და გამყიდველი, მაგალითად, სამუშაო ძალის, ექვემდებარებიან მხოლოდ საკუთარი ნების ძახილს...

მარჟინალისტთა ავსტრიული სკოლა ე. ბიომ-ბავერკის, კ. მენგერის, ფ. ვიზერის სახით აქცენტს აკეთებდა „ეკონომიკური ადამიანის“ მოთხოვნილებათა ანალიზზე, რითაც მივიდა დასკვნამდე, რომ დოვლათთა ფასეულობა, რომლებზედაც ეს ადამიანი წარმოადგენს მოთხოვნას, თავისი არსით სუბიექტურია, თავისუფალი (თვითნებური) და მათი გაზომვა არ შეიძლება რომელიმე ობიექტური სკალით. ავსტრიული სკოლის homo oeconomicus – ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანია, რომელიც მიზანმიმართულია იმისკენ, რომ დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნილებები. როგორც კარლ მენგერი აღნიშნავდა, ადამიანთა მთელი სამეურნეო საქმიანობის სახელმძღვანელო იდეაა რაც შეიძლება სრულად დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებები.

მეორე მხრივ, ინდივიდი ავსტრიელ ეკონომისტთა აგებებში – ესაა მუდამ ანგარიშიანი და კალკულაციის მწარმოებელი ადამიანი. როგორც ბენტამისეული ადამიანი, მას ძალუძს აწონოს და გათვალოს თავისი მოთხოვნილებები, განალაგოს ისინი განსაკუთრებულ მათემატიკურ სკალაზე.

მარჟინალიზმმა ავსტრიული სკოლის სახით კლასიკურ სკოლასთან შედარებით უფრო მეტად გააძლიერა საერთო რაციონალური ელემენტი „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელში და სულ უფრო მეტი ხარისხით აქცია ეს homo oeconomicus-ი შემფასებელ და ამომრჩევ ადამიანად.

5. ალფრედ მარშალისა და ჯონ მეინარდ კეინსის homo oeconomicus

ალფრედ მარშალმა და კემბრიჯულმა სკოლამ გულდასმით გადახედა ადრე არსებულ „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელებს და გადადგა ნაბიჯი მარჟინალიზმის და კლასიკის სინთეზისთვის ეკონომიკურ ანთროპოლოგიაში. გარდა ამისა, homo oeconomicus-ის განმარტება მარშალთან, ვფიქრობთ, არა მარტო თეორიულია, არამედ უფრო ფსიქოლოგიური და პრაქტიკული.

პრაქტიკაში კი რეალურ ადამიანს შეუძლია იყოს არა მარტო ეგოისტი, არამედ ალტრუისტიც, ამასთან გახლდეთ არა მარტო მკაცრად რაციონალური, არამედ იმპულსურიც და განუჭვრეტელიც.

„მათ (ეკონომისტებს) საქმე აქვთ ადამიანთან, რომელიც თავის სამეურნეო ცხოვრებაში ხელმძღვანელობს უმეტესწილად ეგოისტური მოტივებით და ასეთივე ზომით ითვალისწინებს სხვათა ეგოისტურ მოტივებს, ადამიანთან, რომლისთვისაც დამახასიათებელია როგორც პატივმოყვარეობა და უდარდელობა, ასევე თავისი სამუშაოს კარგად შესრულების პროცესით ტკბობის განცდა ან მზაობა თავის მსხვერპლად შეწირვის ოჯახის, მეზობლების ან თავისი ქვეყნისთვის, ადამიანთან, რომლისთვისაც უცხო არაა ცხოვრების ზნეობრივი (სათნო) წესისკენ ლტოლვა“.

კიდევ უფრო ადრე მარშალმა თავს ნება მისცა ირონიული მოსაზრება გამოეთქვა homo oeconomicus-ის წინა სქემებთან დაკავშირებით. იგი აღნიშნავდა, რომ ზნეობრივი მოტივებიც აგრეთვე შედიოდა იმ ძალთა რიცხვში, რომლებიც ეკონომისტს უნდა გაეთვალისწინებინა. მართალია, იყო მცდელობა, აეგოთ რაღაც აბსტრაქტული მეცნიერება „ეკონომიკური ადამიანის“ მოქმედებების შესახებ, რომელიც თავისუფალი იქნებოდა ყოველგვარი ზნეობრივი პრინციპებისგან, იქნებოდა ანგარიშიანი და ენერგიული, მაგრამ ამასთან ერთად მეთოდურად და ეგოისტურად მოიპოვებდა ფულს, თუმცა ყველა ეს მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდა... არც ერთი მათგანი არ განიხილავდა ეკონომიკურ ადამიანს, როგორც წმინდა ეგოისტს... ყოველთვის იგულისხმებოდა, რომ ადამიანის საქმიანობის ნორმალური შემაგულიანებელი მოტივები მოიცავდა ოჯახთან მჭიდროდ დამაკავშირებელ გრძნობებს. მაშ, რატომ არ შეიძლებოდა, რომ ამ გრძნობებთან ერთად გვეგულისხმა მისი სხვა ალტრუისტული მოტივებიც?!

შედეგად, მარშალის მიხედვით, ეკონომისტები ქმნიან „ეკონომიკური ადამიანის“ თავიანთ აბსტრაქტულ მოდელს, რომელიც, მართალია,

აბსტრაქტულია, მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ჩაითვალოს რეალური homo oeconomicus-ის სრულიად შესაბამისად.

რაც შეეხება ჯონ მეინარდ კეინსს, მისი „ეკონომიკური ადამიანი“ „ღრმადაა ჩამალული“ „ზოგადი თეორიის“ ფუნქციურ მიკრო- და მაკროეკონომიკურ ანალიზში და მხოლოდ ხანდახან „გამოყოფს“ იქიდან „თავს“. მაგალითად, ეს ხდება მაშინ, როცა კეინსი იკვლევს ცალკეული ინდივიდის „მოხმარებისკენ მიდრეკილების“ პრობლემას. იგი ასკვნის, რომ ძირითადი ფსიქოლოგიური კანონი ისაა, რომ ადამიანებს, როგორც წესი, მიდრეკილება აქვთ გაზარდონ თავიანთი მოხმარება შემოსავლის ზრდასთან ერთად, თუმცა არა იმ ზომით, რა ზომითაც გაიზარდა მათი შემოსავალი.

ან მაშინ, როცა კეინსი აანალიზებს ინვესტიციებისგან შესაძლო შემოსავლების პრობლემას. აქ იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ინფორმაციის უკმარისობის შედეგად ადამიანს არ შეუძლია ზუსტი პროგნოზის გაკეთება. იგი აღნიშნავს: „საკმაოდ ნიშანდობლივი ფაქტია იმ ცნობათა არასაიმედოობა, რომელთა საფუძველზეც ჩვენ გვიხდება გავაანალიზოთ სავარაუდო შემოსავალი. ჩვენი ცოდნა ფაქტებზე, რომლებიც განსაზღვრავს ინვესტიციებისგან შემოსავალს რამდენიმე წლის შემდეგ, საკმაოდ სუსტია, ხშირად კი ძალზე მწირი“.

კეინსის „ეკონომიკური ადამიანის“ შესახებ ზოგადი დახასიათება შეიძლება შევაჯამოთ ვ.ს. ავტონომოვის სიტყვებით: კეინსის თეორიულ სისტემას საფუძლად ედო არასრული ინფორმაციის წანამძღვარი, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ეკონომიკური სუბიექტებისთვის. ამ ფარგლებში მათი ქცევა სავსებით რაციონალურია... ექსტრემალურ შემთხვევებში კი, მაგალითად წინაკრიზისული პანიკის დროს, ასეთმა რაციონალურობამ სავსებით შეიძლება ადგილი დაუთმოს სრულ ირაციონალურობას ნებისმიერი საზომით. არასრული ინფორმაცია გზას უხსნის მოლოდინს, ილუზიებს, განწყობებს და სხვა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს, რომლებიც ამახინჯებს რაციონალური გათვლის ლოგიკას.

6. ნეოკლასიკური სინთეზი და ნეოინსტიტუციონალიზმი „ეკონომიკური ადამიანის“ შესახებ

თანამედროვე ეკონომიქსის სახით ნეოკლასიკურმა მიდგომამ სისტემაში მოიყვანა homo oeconomicus-ის შესახებ ყველა ცოდნა დაგროვილი წინა ეკონომიკური თეორიის მიერ. რაციონალურობის კონცეფციამ ცენტრალური ადგილი დაიკავა ნეოკლასიკურ ანთროპოლოგიაში, მაგრამ მასში არანაკლები ყურადღება ეთმობა „ეკონომიკური ადამიანის“ ეგოცენტრიზმს და მის მუდმივ სწრაფვას, გააკეთოს მაქსიმიზებული არჩევანი სხვადასხვა დოვლათსა და რესურსს შორის.

კ. მაკონელი და ს. ბრიუ ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ ეკონომისტები ადამიანთა და ინსტიტუტთა მოქმედებებში ეძებენ რაციონალურობას და მიზანსწრაფვას. ასეთი მიზანსწრაფვა გულისხმობს, რომ ადამიანები ინდივიდუალურად ან კოლექტიურად თავიანთი გადაწყვეტილებების დროს აკეთებენ არჩევანს, ახდენენ რა დანახარჯების და სარგებლის შეპირისპირებას.

ასეთი არჩევანის მიზანი ისევ და ისევ მომდინარეობს ადამ სმიტისგან: ესაა – პირადი ინტერესი გაზომილი „დანახარჯები – სარგებლის“ რაკურსში.

ამ მეცნიერთა აზრით, მუშების, მწარმოებლების (მეწარმეების) და მომხმარებლების ეკონომიკურ მოქმედებებს აგრეთვე მოაქვს პირადი ეკონომიკური სარგებელი. მაგალითად, მუშები იღებენ ხელფასს, მეწარმეები – მოგებას, მომხმარებლები – დაკმაყოფილებას. როდესაც იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ დახარჯონ თავიანთი დრო, რა პროდუქტები იყიდონ, იმუშაონ თუ არ იმუშაონ, რა საქონელი აწარმოონ და გაყიდონ და ა.შ., ადამიანები ერთმანეთს უპირისპირებენ შესაძლო სარგებელს დანახარჯებთან. თუკი პირდაპირი სარგებელი აჭარბებს პირდაპირ დანახარჯებს, ასეთი მოქმედება მიზანშეწონილია განახორციელონ. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ

დანახარჯები აღმოჩნდება პირდაპირ სარგებელზე მეტი, მაშინ ასეთი მოქმედება არარაციონალურია და მისი განხორციელება საჭირო არაა.

აღორძინებულმა ინსტიტუციონალურმა სკოლამ („ახალი ინსტიტუციონალიზმი“, ნეოინსტიტუციონალიზმი) „ეკონომიკური ადამიანის“ მიმართ გამოიყენა ისტორიული, ევოლუციური მიდგომა. ნეოინსტიტუციონალისტებისთვის დამახასიათებელია homo oeconomicus-ის განხილვა, როგორც ცვლადისა ინსტიტუტთა მოქმედებების მიხედვით, ისე თავად ამ ინსტიტუტების შემცვლელისა. კერძოდ, ნობელის პრემიის ლაურეატმა დუგლას ნორტმა ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთი აზრი გამოთქვა:

„ადამიანები ავითარებენ და ცვლიან ინსტიტუტებს, ამიტომ ჩვენი თეორია უნდა იწყებოდეს ინდივიდიდან. ამავდროულად ინსტიტუტების მიერ დაწესებული შეზღუდვა ადამიანის არჩევანზე გავლენას ახდენს თავად ინდივიდზე“ (1, იხ. გვ. 26).

7. „ეკონომიკური ადამიანის“ თანამედროვე მოდელი

აღსანიშნავია, რომ ადამიანის მოდელის „ერთიანი“, „კლასიკური“ განსაზღვრა თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში არ არსებობს. ზოგადად „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელი უნდა შეიცავდეს ფაქტორთა სამ ჯგუფს, რომლებიც ადამიანის მიზნებს განასახიერებს, საშუალებებს მათ მისაღწევად (როგორც საგნობრივს, ისე იდეალურს) და ინფორმაციას (ცოდნას) პროცესების შესახებ, რომელთა წყალობითაც საშუალებებს მივყავართ მიზნებამდე (ყველაზე მნიშვნელოვანი ამ პროცესებიდან არის წარმოება და მოხმარება).

ასეთი მიდგომიდან გამომდინარე, homo oeconomicus-ის მოდელი თანამედროვე ეკონომიკურ თეორიაში შეიძლება დავახასიათოთ დაახლოებით შემდეგი საკვანძო ნიშნებით: 1. ესაა ამრჩევი ადამიანი, ვინაიდან იგი შეზღუდულია თავის რესურსებში და ასეთი სიტუაცია აიძულებს მას, მუდმივად გააკეთოს არჩევანი. ასეთი არჩევანის პირობებში „ეკონომიკური ადამიანის“ უპირატესობები წარმოდგენილია (ივარაუდება) როგორც აუცილებელი და მდგრადი. 2. ესაა

შემფასებელი ადამიანი. ის ადარებს სხვადასხვა ალტერნატივას, აფასებს მათ და გამოითვლის ერთგვარად საკუთარი სკალის მიხედვით. 3. ესაა ევოლუციის განმცდელი ადამიანი, რომელიც ცვლის ინსტიტუტებს და თავადაც ექვემდებარება ინსტიტუტების გავლენას. 4. ესაა ეგოცენტრული ადამიანი, ანუ, ისეთი, რომელიც უპირატესობას ანიჭებს საკუთარ შეფასებებს და ინტერესებს სხვათა შეფასებებთან და ინტერესებთან შედარებით. ამ დროს საზოგადოების ნორმებს იცავს იმდენად, რამდენადაც ისინი აშკარად არ ეწინააღმდეგება მის საკუთარ ნორმებსა და ინტერესებს. 5. ესაა ადამიანი, რომელსაც აქვს შეზღუდული და არასრული ინფორმაცია. დამატებითი ინფორმაციის მოძიება მოითხოვს დროსაც და დანახარჯებსაც. 6. ასეთი ადამიანის ქცევა გვევლინება მიზანრაციონალურად, ე.ი. ის ისახავს რაციონალურ მიზნებს და ისე წარმართავს მოქმედებებს, რომ მათ მაქსიმალურად მიაღწიოს. ირაციონალურობის ელემენტებს მის ქცევაში შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ წმინდა შემთხვევითი, გარეგნული ხასიათი.

ამ ყველაფერთან ერთად ეკონომიკის კვლევისას ყველაზე ანგარიშგასაწევი ფაქტორია აქტორი (მოქმედი პირი), რადგან ციფრების, ფორმულების და გრაფიკების მიღმა აუცილებლად უნდა დავინახოთ ადამიანი, მისი პიროვნება ცოცხალი წარმოსახვის უნარითა და ფანტაზიით, ასევე მოულოდნელი ქცევებისა და მოქმედებების ერთგვარი მისტიკური უნარით.

8 ეკონომიკური რეალობა და ეკონომიკური ფაქტები

ეკონომიკური სუბიექტის სამყაროსა და ეკონომიკურ მოვლენათა სამყაროს შორის არსებობს ეკონომიკური ფაქტების სამყარო.

ეკონომიკური ფაქტები – ესაა ეკონომიკურ მოვლენათა რაციონალური რეგისტრაცია და ინტერპრეტაცია, მთლიანობაში კი სოციალურ ფაქტორთა ნაირსახეობა – მოვლენების ან მოქმედებების, რომელთაც უშუალოდ აკვირდება

და აფიქსირებს სუბიექტი – ადამიანი, სოციალური ჯგუფი ან მთელი საზოგადოება.

თუმცა სოციალური ფაქტი – ეს ყველა მოვლენა როდია სოციალურ გარემოში. არსებობს სხვა სახის ფაქტებიც – ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური და მექნიკურიც კი. ვთქვათ, მე თუ ავაგდე ჰაერში ქვა, რომელიც მიწაზე ეცემა – ესაა მექანიკური (ან ფიზიკური) ფაქტი, მაგრამ, თუ ეს ქვა ვიღაცას თავში დაეცა და მან ტრავმა მიიღო, მაშინ მექანიკური ფაქტი გადაიქცევა სოციალურ ფაქტად – ე.ი. მოხდა დანაშაული, რომელსაც მოსდევს იურიდიული და მორალური შედეგი.

ეკონომიკური ფაქტები – ესაა სამეურნეო ცხოვრების მოვლენები, რომელთაც უშუალოდ აკვირდება და აფიქსირებს სუბიექტი, დამკვირვებელი. ეკონომიკური ფაქტი შეიძლება იყოს ნებისმიერი სოციალური ფაქტი, რომლებიც აფიქსირებს ამა თუ იმ ეკონომიკურ პროცესებსა და მოვლენებს.

ეკონომიკური ფაქტები უნდა იყოს: ა) სრული; ბ) შედარებული; გ) სარწმუნო.

ფაქტების სისრულე გულისხმობს გამოსაკვლევი პროცესის სრულ მოცვას, შედარების მოთხოვნა მოიცავს შესადარებელი ეკონომიკური ფაქტების გამოკვლევას ერთგვაროვნების კუთხით, მაგალითად, არ შეიძლება შევადაროთ გამონადნობი ფოლადის ტონათა ოდენობა გამოხატული ფულში ელექტროენერგიის ეკონომიას. ფაქტების სარწმუნოობის მოთხოვნა – ესაა საკვანძო საკითხი ყველა ეკონომიკური ფაქტის ანალიზში.

ზუსტად, სარწმუნოდ ითვლება ის სიდიდეები (ფაქტები), რომლებიც ასახავს მოვლენათა ნამდვილ ან ჭეშმარიტ ზომას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი ფაქტის შერჩევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტების იდეოლოგიურ (ფასეულობით-მსოფლმხედველობრივ) პოზიციას და ამა თუ იმ ეკონომიკური ფაქტის რაიმე „იდეოლოგიური ინტერპრეტაციის“ ელემენტი ხშირად, თუმცა არა ყოველთვის უჩინრად არსებობს თავად ფაქტში.

სოციოლოგიურ მეცნიერებაში ფაქტობრივი ცოდნის დასაბუთებულობის პრობლემა შეიძლება გადაიჭრას სამ დონეზე: მსოფლმხედველობრივად, თეორიულად და პროცედურულად.

მსოფლმხედველობრივი დონე გულისხმობს მთელი ეკონომიკური ცოდნის ზოგად, ფუნდამენტურ დასაბუთებულობას. თუ ამ დონეზე ჭარბობს ილუზიები, მაშინ იგი გასდევს კვლევის მთელ შემდგომ ოპერაციებს.

მეორე დონე – თეორიული. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური თეორიის მდგომარეობასა და შემუშავებას, მის უნარს, სწორად მოახდინოს ეკონომიკური ფაქტების ინტერპრეტირება და მათი ჩართვა თავის პრობლემურ არეალში.

მესამე დონე – პროცედურული. ამ დონეზე საბუთდება კვლევის პროცედურათა, ანუ ეკონომიკური ცოდნის მიღების ხერხებისა და საშუალებების სისწორე.

დასაბუთების ბოლო დონეა მეთოდოლოგიური.

ეკონომიკური ცოდნის ყველა სამივე დონე ქმნის ნებისმიერი ეკონომიკური კვლევითი პროგრამის კარკასს, ანუ ეკონომიკურ პარადიგმას.

ძირითადი დასკვნები:

1. ეკონომიკური მეცნიერების მიზანი – ისე ახსნას ან ააგოს ადამიანური ქცევა, რომ საშუალებათა ან რესურსთა დეფიციტისას ადამიანმა შეძლოს მაქსიმალური ეფექტიანობით მიაღწიოს სასურველ მიზნებს.

2. ეკონომიკური მეცნიერების მეთოდებს იკვლევს ეკონომიკური მეთოდოლოგია (ან სხვაგვარად ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია). ეკონომიკური მეთოდოლოგია – ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური მეცნიერებაა, რომელიც შემუშავდა ეკონომიკის და ფილოსოფიის მიჯნაზე (стыке – პირაპირი).

3. ეკონომიკური მეთოდოლოგიის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია „ეკონომიკური ადამიანის“ – homo oeconomicus – ბუნების განსაზღვრა. თანამედროვე ეკონომიკურ ანთროპოლოგიაში „ეკონომიკური ადამიანი“ ახსნილია, როგორც მიზანრაციონალური, ამრჩევი, შემფასებელი, ევოლუციის განმცდელი, ეგოცენტრული, არასრული და შეზღუდული ინფორმაციის მქონე ადამიანი.

4. ეკონომიკური სუბიექტის სამყაროსა და ეკონომიკურ მოვლენათა სამყაროს შორის არსებობს ეკონომიკური ფაქტების სამყარო. ეკონომიკური ფაქტები – ესაა სამეურნეო ცხოვრების მოვლენები, რომელთაც აკვირდება და აფიქსირებს სუბიექტი, დამკვირვებელი. მათ აქვს დასაბუთების სამი დონე – მსოფლმხედველობრივი, თეორიული და პროცედურული.

კითხვები მსჯელობისთვის:

1. თქვენი აზრით, რანაირად შეიძლება გავავრცელოთ ეკონომიკური მიდგომა სოციალური ცოდნის მომიჯნავე დარგებზე – სოციოლოგიაზე, ფსიქოლოგიაზე, კულტურულოგიაზე, გენდერულ კვლევებზე და ა.შ.? მოიყვანეთ ეკონომიკური მიდგომის ნაყოფიერი გამოყენების მაგალითები სხვა მეცნიერებებში.

2. როგორ შეიძლება „ეკონომიკური ადამიანის“ მოდელის შეფარდება ადამიანის მოდელებთან სხვა მეცნიერებებში – „სოციოლოგიურ ადამიანთან“, „ისტორიულ ადამიანთან“ და ა.შ.?

3. თქვენი აზრით, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ეკონომიკური ფაქტების არასწორ ინტერპრეტაციას? როგორ შეიძლება აისახოს ეს მკვლევარის დასკვნებში? ასეთ შემთხვევაში ეს დასკვნები შეიძლება ჭეშმარიტი აღმოჩნდეს თუ არა?

თავი 2. მეთოდისა და მეთოდოლოგიის პრობლემა მეცნიერულ კვლევაში

1. მეთოდი და მეთოდოლოგია

„ეკონომიკური ადამიანის ‘’ პრობლემიდან და ეკონომიკური ფაქტორებიდან ჩვენ მოგვიწევს სოციალური კვლევის მეთოდებისა და მეთოდოლოგიის პრობლემებზე გადასვლა. ამ თავში კვლევის საგანი იქნება მეთოდოლოგია, როგორც სწავლება მეთოდების შესახებ: ჩვენ განვიხილავთ მეთოდოლოგიის საგანს, მის ძირითად დონეებს და ტიპებს, აგრეთვე განვიხილავთ შედარებით

დიდ მეთოდოლოგიურ კონცეფციებს, რომლებიც შეძლება გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისათვის - ტ. კუნის „პარადიგმების" და „მეცნიერული რევოლუციების" კონცეფციას, ასევე ი. ლაკატოსის „კვლევითი პროგრამების" თეორიას და კ. პოპერის კონცეფციას მისი „ფალსიფიკაციონიზმისა" და „ევოლუციონიზმის" იდეებით. ამ საკითხების შესწავლამ მომავალში უნდა ხელი შეუწყოს ეკონომიკური მეთოდოლოგიის, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განუყოფელი შემადგენელი ნაწილის, მიზნებისა და ამოცანების განმარტებას.

ტერმინი „მეთოდოლოგია" წარმოიშვა როგორც ძველბერძნული სიტყვის: „მეთოდოს"-ხერხი, გზა; და „ლოგოს"-სწავლება, კომბინაცია. სიტყვა სიტყვით თარგმნით „მეთოდოლოგია"-ეს არის „ სწავლება მეთოდის შესახებ". მეთოდი-ეს არის განსაღვრული მტკიცე წესების ერთობლიობა განკუთვნილი რაიმე მიზნის მისაღწევად. მეთოდის ძირითადი დანიშნულებაა-იყოს „კომპასი" ან „შუქურა" შემმეცნებელი სუბიექტის ხელში, რაიმესთან მიმართებაში მეცნიერული კვლევის გზაზე.

„ჭეშმარიტი მეთოდი წარმოადგენს თავისებურ „კომპასს", რომლის მეშვეობითაც შემმეცნებელი და მოქმედების სუბიექტი იკვლევს თავის გზას და ამავე დროს, ეხმარება მას შეცდომებისაგან თავის დაღწევაში".

მეთოდოლოგია შეიძლება შემდეგნაირად განიმარტოს: მეთოდოლოგია-პირველ რიგში არის სწავლება, რომელიმე მეცნიერების ძირითადი მეთოდების შესახებ. მეორე, თვით ამ მეთოდების ერთობლიობა, ანუ მეთოდებისა, რომელთაც კავშირი აქვთ მოცემულ მეცნიერებასთან, ამასთან პირველი განმარტება მეთოდოლოგიის არის უფრო ღრმა თავისი მნიშვნელობით, ვიდრე მეორე.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე შემთხვევაში მეთოდოლოგიის მეთოდების უბრალოდ ერთობლიობაზე დაყვანა წარმოადგენს ამ საკითხის საკმაოდ განმარტივებას.

„მეთოდოლოგია არ წარმოადგენს ცალკეული მეთოდების უბრალო ჯამს, მათ „მექანიკურ ერთობას". მეთოდოლოგია რთული დიალექტიკური, მთლიანი, სუბორდინირებული სისტემაა სხვადასხვა დონის საშუალებათა, ხერხების, პრინციპების, მოქმედების სფეროების, მიმართულების, ევრისტიკულ შესაძლებლობების, შინაარსის, სტრუქტურისა და ა.შ."

მეცნიერებათა უმრავლესობაში ტერმინი „მეთოდი" და „მეთოდოლოგია",გამოიყენება საკმაოდ ფართო დროდადრო და სხვადასხვა აზრით. მაგალითად, სოციოლოგები ერთმანეთთან აახლოვებენ ორ ცნებას: სოციოლოგიის მეთოდოლოგია და სოციოლოგიური გამოკვლევების მეთოდოლოგია (მეთოდიკა) და ამიტომაც განმარტავენ მეთოდოლოგიის მიზანს და ამოცანებს შემდეგნაირად: „მეთოდოლოგიას უწოდებენ მეცნიერული კვლევის პრინციპების სისტემას. სწორედ რომ მეთოდოლოგია განსაზღვრავს კონკრეტული მიზნით შეკრებილ ფაქტებს, თუ რამდენად შეუძლია იყოს ცოდნის რეალური და საიმედო საფუძველი.

ფორმალური თვალსაზრისით მეთოდოლოგია არ არის დაკავშირებული რეალური სამყაროს შესახებ ცოდნის არსობრივ გაგებასთან, უფრო სწორად ,მეთოდოლოგიას საქმე აქვს ისეთ ოპერაციებთან, რომლის მეშვეობითაც ხდება ცოდნის კონსტრუირება. ამიტომ, ტერმინი „ მეთოდოლოგია" მიღებულია ეწოდოს კვლრვის პროცედურების, ტექნიკისა და მეთოდების ერთობლიობას, მონაცემთა შეგროვებისა და დამუშავების ხერხების ჩათვლით.

მეთოდოლოგიის შინაარსობრივი გაგება გამომდინარეობს იქიდან, რომ მასში რეალიზდება კვლევის სფეროს საგნობრივი ევრისტიკული (ე.წ. საძიებო) ფუნქცია.

ცოდნის ნებისმიერ თეორიულ სისტემას აზრი აქვს იმდენად, რამდენადაც ის არა მარტო აღწერს და განმარტავს საგნის ზოგიერთ სფეროს, იმავდროულად წარმოადგენს ახალი ძიების ინსტრუმენტს. ღამდენადაც თეორია აყალიბებს საგნობრივ სამყაროს საგნობრივ სფეროში ასახვის პრინციპებსა და კანონებს, ის ამავე დროს, წარმოადგენს მეთოდს სინამდვილის ჯერ კიდევ შეუსწავლელ

სფეროში შემდგომი შეღწევის არსებული, პრაქტიკით შემოწმებული ცოდნის საფუძველზე.

ეკონომიკური მეცნიერებისათვის ასეთი დაახლოება ნეკლებპროდუქტულია. ცნება „ეკონომიკური მეთოდოლოგია" თავისი მოცულობით გაცილებით ფართოა და ღრმაა შინაარსით, ვიდრე ცნება „ეკონომიკური ევის მეთოდი (მეთოდიკები) (განსაკუთრებით თუ უკანსკნელს განვმარტავთ სოციოლოგიურ რაკურსში- როგორც ეკონომიკური ინფორმაციის შეკრების მეთოდებს). კონომიკური მეთოდოლოგია მხოლოდ მეტად გამარტივებულ, ზღვრულად ელემენტარულ გაგებაში არის ერთობლიობა ეკონომიკური მეთოდებისა და პროცედურებისა; თუკი მას უფრო საფუძვლიანად განვმარტავთ, თავის თავში მოიცავს აგრეთვე ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგიურ ისტორიას, ეკონომიკური ცოდნის იდეალებისა და სტანდარტების კვლევას, ეკონომისტების მსოფლმხედველობრივი ორიენტირებისა და ფასეულობათა შესწავლას და კიდევ სხვას.

2. მეთოდოლოგიის მიზნები და ამოცანები

მეთოდოლოგია, როგორც ფილოსოფიური ცოდნის ნაწილი, მჭიდრო კავშირშია შემეცნების (გნოსეოლოგიის, ეპისტემალოგიის) თეორიასთან და მასთან ერთად ასრულებს შემდეგ ფუნქციებს: 1. წარმოგვიდგენს ზოგად „შემეცნებით" და „კვლევით" პრინციპებს სინამდვილის შესასწავლად; 2. ზრუნველყოფს დისციპლინათაშორისი სინთეზის შესაძლებლობას,როგორც ცოდნის შიგა მსხვილ სფეროებში (საბუნებისმეტყველო, სოციალური, ჰუმანიტარული და ტექნიკური მეცნიერებები), ასევე მათ შეპირისპირებაზე; 3. ზოგადად ამუშავებს ჭეშმარიტების პრობლემას და მისი განმტკიცების მეთოდებს. 4. აანალიზებს ცოდნის მსოფლმხედველობრივი გაგების სტანდარტებს (პირველ რიგში მეცნიერული ცოდნის) და მისი წარმოშობის ზოგად სოცკულტურულ ფონს. 5. აგებს ანალიტიკურ სქემებს ცოდნის სხვადასხვა ტიპების მეცნიერული, რელიგიური, ყოველდღიური ცხოვრების და ა.შ. ისტორიის შესწავლისათვის.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ „მეთოდოლოგია” და „შემეცნების თეორია” ერთი და იგივე ფილოსოფიური მეცნიერების გამოსახვის უბრალოდ ორი განსხვავებული სიტყვაა: „მეთოდოლოგია უკვე გარკვეული შემეცნების თეორიის აზრით, როგორც უკანასკნელი კი არ შემოისაღვრება შემეცნების ფორმებისა და მეთოდების გამოკვლევით, არამედ შეისწავლის შემეცნების ბუნების პრობლემებს, ცოდნის სინამდვილესთან შემეცნების სუბიექტსა და ობიექტთან დამოკიდებულებას, შემეცნების შესაძლებლობებსა და საზღვრებს, მისი ჭეშმარიტების კრიტერიუმებს და ა.შ. სხვა მხრივ, მეთოდოლოგია „ფართოა” გნოსეოლოგიაზე, რადგანაც მას აინტერესებს არა მარტო შემეცნების მეთოდები, არამედ ადამიანური საქმიანობის ყველა სხვა ფორმები.

მეთოდოლოგიის შესწავლა მნიშვნელოვანია ნებისმიერი მკვლევარისათვის, მაგრამ, ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი მეცნიერების მეთოდოლოგიის შესწავლა ვერანაირად ვერ შეცვლის თვით მეცნიერების შესწავლის აუცილებლობას.

„მეთოდოლოგიაში საერთოდ არ უნდა მოველოდეთ სიღრმისეულ ჭეშმარიტებას”. აკეთებს რა ასეთ დასკვნას, ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და მეცნიერების მეთოდოლოგი, სერ კარლ პოპერი, ამით ხაზს უსვამს მეთოდოლოგიის მეორეხარისხოვან როლს თეორიასთან შედარებით. სინამდვილეში, ნებისმიერი მეცნიერისათვის, მკვლევარისათვის, პირველ რიგში, უფრო მნიშვნელოვანია ის ჭეშმარიტება, რომლის დაუფლებისაკენ მიისწრაფის, ხოლო ჭეშმარიტებისაკენ სავალი გზა როგორი იქნება –სხვა საქმეა. მიტომ მეთოდოლოგია აუცილებელია განვიხილოთ უფრო როგორც მეცნიერული კვლევის ინსტრუმენტი, ხოლო თვით მისი როლი შეიძლება განისაზღვროს როგორც ინსტრუმენტული. მაგრამ ინსტრუმენტის გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვაგვარად. თუ „ბიომექანიკისა” და „ერგონომიკისათვის” ამ ინსტრუმენტებით სარგებლობა სრულად შეესაბამება მეცნიერულ კვლევას, მაგრამ მეთოდოლოგიის ფლობის უნარი, ხარისხი და დონე, როგორც ჩანს, იმყოფება მეცნიერული რეფლექსაციის ზღვარს მიღმა.

3. მეთოდოლოგიის არჩევა

მეთოდოლოგიის არჩევა, ისევე როგორც საკვლევი პრობლემის არჩევა, რამდენადმე ხელოვნებაა, რომლის შესწავლა საჭიროა, როგორც იტყვიან, „ბავშვობის ასაკიდან", ხოლო უფრო ზუსტად. მეცნიერებაში ყოფნის პირველივე წლიდან.

ამასთან დაკავშირებით, განვიხილოთ შემდეგი მაგალითი. ეცნიერული ცოდნის სფეროს გაფართოებას ჩვეულებრივად გვიხატავენ, ე.წ. „ცოდნის არეალის" „გაფართოებით". თუ მაგალითად, XVII ს. „ცოდნის არეალი" არც ისე დიდი იყო (ე.ი. იყო ცოდნის შინაარსის და რაოდენობის ნაკლებობა) აგრეთვე ცოდნის უცოდინრობასთან თანხვედრის საზღვარი (მომცველობის სიდიდე) მოკლე იყო, XX საუკუნეში „ცოდნის არეალი" მნიშვნელოვნად გაფართოვდა და ერთდროულად გაიზარდა (დაშორდა) თვით თანხვედრის ზღვარი უცოდინრობასთან და თანამედროვე პერიოდში მეცნიერული ცოდნის მოზღვავება მიმდინარეობს ასე თუ ისე გაშლილი ფრონტის საზღვრებში.

აგრამ, ამავე დროს, მეცნიერებმა სტრატეგის ან სარდლის მსგავსად უნდა იცოდეს, რომ თვით გარშემოწერილობის სისქე, ანუ „საზღვრის სიფართოვე" ცოდნასა და უცოდინრობას შორის, სხვადასხვა ადგილას არაერთგვაროვანია: ზოგან-მეტი, ზოგან-ნაკლები. ებისმიერი მკვლევარი, როგორც სტრატეგი, უნდა გრძნობდეს ამ სისქეს და უნდა ესმოდეს სად უფრო ადვილია ამ საზღვრის გარღვევა და სად უფრო რთული. რა ყველა მეცნიერული პრობლემაა განსხვავებული მნიშვნელობის და არ უნდა ველოდოთ, რომ ნებისმიერი მათგანის გამოკვლევა ერთნაირ შედეგამდე მიგვიყვანს.

არსებობს პრობლემები, რომელთა შესწავლა ხშირად აიძულებს მეცნიერს „ადგილზე ტკეპნას", არიან ისეთებიც, რომელთა ანალიზს მიჰყავს ახალი ცოდნის სფეროში სერიოზულ მეცნიერულ გარღვევებისაკენ. ასეთი პრობლემების განსაღვრის შესაძლებლობა- ეს არის ხელოვნება, რომლის შესწავლაც აუცილებელია სტუდენტური მერხიდან.

საკვლევი პრობლემის სწორად განსაღვრა –ეს მხოლოდ მკვლევარის ამოცანების ნაწილია, ხოლო მეორე, არანაკლებმნიშვნელოვანი ნაწილი, ეს არის

მოცემული პრობლემის კვლევის სწორი მეთოდოლოგიის არჩევა. ეცნიერმა უნდა გადაწყვიტოს, როგორი მეთოდებით უნდა მიუდგეს პრობლემას: ემპირიულად? თეორიულად? უნდა ჩაატაროს დაკვირვებათა სერია? შეძლება ექსპერიმენტების ჩატარება? ჰიპოტეტურ-დედუქციური თეორიის შექმნა? ანალიზის ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა გაჯერებული შესაბამისი „კვლევის ფილოსოფიით" საბოოლოდ მოგვცემს მეთოდოლოგიას, ხოლო თვით მეთოდოლოგია, თუკი ის გვიჩვენებს თავის ეფექტიანობას, შეიძლება გამოყენებულ იქნეს „მეცნიერული ფრონტირის"სხვა მონაკვეთებზე ანუ ცოდნისა და უცოდინრობის შეხების მთელ საზღვარზე. ამასთან, მეცნიერულ ცოდნას მეთოდოლოგიის შესახებ შეუძლია მხოლოდ ზოგადი ნიშნებით იწინასწარმეტყველოს რომელიმე კონკრეტული მეთოდოლოგიის არჩევა მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში. შემდგომში უკვე იწყება მეცნიერული ინტუიციის სფერო, რომელიც დაფუძნებულია უფრო მეტად არა რაციონალურობაზე, არამედ ირაციონალურობაზე, არა არჩევანზე, არამედ წინასწარ არჩევანზე. „წინასწარ არჩევანს ჩვენ აღმოვაჩენთ ჩვენში, როგორც მოცემულობას, მაგრამ წინასწარი არჩევნების ბუნება იმყოფება ჩვენი შეცნობის სფეროს მიღმა.

შესაბამისად, ნებისმიერი მკვლევარის (როგორც მეცნიერების დარგში, ასევე მეთოდოლოგიის სფეროში) ამოცანაა გამოიმუშაოს „წინასწარი არჩევის" მსგავსი ინტუიცია და სესაძლებლობა გამოიყენოს ეს კვლევითი ამოცანების გადაწყვეტისათვის. ამისათვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია: 1. თავისი საგნის კარგად ცოდნა და შეეძლოს ამ საგნის სხვადასხვა მიმართულებით მუშაობა (მაგალითად, ეკონომისტი-თეორეტიკოსი კარგად უნდა ერკვეოდეს გამოყენებით ეკონომიკურ დისციპლინებში და პირიქით, ეცონომისტ-პრაქტიკოსმა კარგად უნდა იცოდეს ეკონომიკური თეორია); 2. ქონდეს ფუნდამენტური ცოდნა არა მარტო თავის დისციპლინაში, არამედ სხვა, მასთან მოსაზღვრე დისციპლინებში (ეკონომისტებისთვის ე სარის სოციოლოგია, ფილოსოფია, მათემატიკა, ისტორია, პოლიტოლოგია, იურისპრუდენცია, ფსიქოლოგია); 3. ჩაატაროს მთელი თანამედროვე პერიოდიკის (როგორც რუსული, ისე დასავლეთის ქვეყნების) საგულდაგულო ანალიზი, რადგანაც სწორედ აქ,

პირველ რიგში, იპოვოთ ახალი სამეცნიერო მასალა (ეკონომისტებისათვის – ისევ, არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ფილოსოფიური, სოციოლოგიური, მათემატიკური და ა.შ.); 4. საკვლევი პრობლემის მიხედვით ავტორთა წრის ცოდნა. მავე დროს, უნდა ვიცოდეთ, თუ რომელი მათგანისაგან უნდა ველოდოთ სერიოზულ შედეგებს და რომლებისგან არა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოციალური რეალობის შესწავლის მეთოდოლოგია. ეს უკანასკნელი, როგორც მეთოდოლოგია მთლიანობაში, ასევე მჭიდროდ არის დაკავშირებული გნოსეოლოგიასთან-სოციალურ გნოსეოლოგიასთან (სოციალურ ეპისტემიოლოგიასთან).

სოციალური მოვლენების სამყარო ხარისხობრივად განსხვავდება ბუნებრივი საგნების სამყაროსაგან. სოციუმის სამყაროში არ არის ხასიათის დინამიურობა, პროცესების ერთმნიშვნელოვნად განმეორებადობა და ბუნებრივი სამყაროსათვის დამახასიათებელი მოვლენები, ხოლო იქაც კი, სადაც მოქმედებენ სტატისტიკურ-ალბათობითი კანონზომიერებები, გაცილებით იოლია მათი წინასწარმეტყველება, ვიდრე კანონები, რომლის მიხედვითაც ცხოვრობს სოციალური სამყარო. სირთულე, მრავალფეროვნება, გაუთვალისწინებლობა, შემმეცნებელი სუბიექტის ჩართვა კვლევით ურთიერთობაში, ინტერესებისა და იდეოლოგიების არსებობა – აი, სოციუმის დამახასიათებელი ნიშნები. ამასთან, სოციალური რეალობის მეთოდოლოგიური და ეპისტემოლოგიური პრინციპები შეიძლება ჩამოყალიბდეს და შემდგომ გამოყენებულ იქნეს. მ საკითხს დაწვრილებით განვიხილავთ შემდეგ თავში.

4. მეთოდოლოგიის ძირითადი ტიპები და დონეები

მეთოდოლოგია, როგორც რაიმე რეალობის შესწავლის ხერხი (საშუალება) მრავალვარიანტიანი და многомерна ?

შედარებით რთულია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნებისმიერი სოციალური სისტემის მეთოდოლოგია. ამასთან, რაც უფრო განვითარებულია შესასწავლი სოციალური სისტემა, საჭიროა მით უფრო რთული მეთოდოლოგიური ხერხების გამოყენება.

მეთოდოლოგიის პირველი, ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციაა მისი დანაწილება ცოდნის იმ სფეროების (მეცნიერული სფეროები) მიხედვით, სადაც გამოიყენება მოცემული მეთოდოლოგია. მაგალითად, ფილოსოფია დაამუშავებს და გამოიყენებს ფილოსოფიურ მეთოდოლოგიას სინამდვილის სხვადასხვა სფეროს შესწავლისათვის. Iსტორია თავის ობიექტთან მიმართებაში, როგორც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ცალკეული შემთხვევებისა და ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებისეული ფაქტების ამსახველი – გამოიყენებს ისტორიულ მეთოდოლოგიას; პოლიტიკურ მეცნიერებებს ასევე გააჩნიათ თავისი საკუთარი მეთოდოლოგია- პოლიტიკური მეცნიერების მეთოდოლოგია და ა.შ. და ბოლოს, ეკონომიკური მეცნიერება ნებისმიერი მეცნიერების მსგავსად შეიმუშავებს და იყენებს საკუთარ ეკონომიკურ მეთოდოლოგიას- მის შესახებ საუბარი იქნება მე-4-ე თავში.

მეთოდოლოგია შეძლება აგრეთვე დავყოთ მევნიერულ მეთოდოლოგიად და ცოდნის სხვა ტიპების მეთოდოლოგიად, მაგალითად, რელიგიურ მეთოდოლოგიად, მაგიურ და მისტიკურ მეთოდოლოგიად, „სარი აზრის" მეთოდოლოგიად და ა.შ.

იმის მიხედვით, თუ როგორი ტიპის ურთიერთობას იკვლევს, რაოდენობრივს თუ ხარისხობრივს, აქედან გამომდინარე, მისი დაყოფა შეიძლება როგორც რაოდენობრივ, ისე ხარისხობრივ მეთოდოლოგიად. სოციოლოგიაში, მაგალითისთვის ამ ორი ტიპის მეთოდოლოგიამ წარმოქმნა სოციოლოგიის ორი ტიპი-რაოდენობრივი და ხარისხობრივი. თუ რაოდენობრივი სოციოლოგია უპირატესად მიმართულია სოციალურ სტრუქტურებს, სოციალურ ინსტიტუტებსა და ორგანიზაციებს შორის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემები შეისწავლოს (მაგალითად, მედიცინა და განათლების სისტემა, როგორც სოციალური ინსტიტუტები: როგორია მათი ფუნქციები და მათ შორის ურთიერთობა მოცემულ საზოგადოებაში) მაშინ ხარისხობრივი სოციოლოგია დაკავებულია ამ ურთიერთობების რეალური პრაქტიკის სუბიექტური ასპექტებით: რას ნიშნავს ამ საზოგადოებაში „ექიმად ყოფნა" ან „მასწავლებლობა" და როგორია „ექიმისა" და „მასწავლებლის" ურთიერთობის პრაქტიკა სინამდვილეში. ირველი რიგის პრობლემების შემეცნებისათვის აუცილებელია

სოციალური ცოდნა, რომელიც ეყრდნობა განზოგადოებული მონაცემების აღსაწერად ახსნას. ონკრეტული ადამიანების გამოცდილების, განცდების, დრძნობების და მათი პრაქტიკის შეცნობისათვის. მეორე რიგის პრობლემებისათვის აუცილებელია ცოდნა დაფუძნებული იყოს უპირატესად გაგებაზე და ინტერპრეტაციაზე.

მეთოდოლოგიის კლასიფიკაციის კიდევ ერთი ვარიანტ ესაა მათი დაყოფა მეთოდების ტიპის მიხედვით და, რომელსაც, როგორც საკვანძოს, იყენებს ესა თუ ის მეთოდოლოგია. აქ, მაგალითად, შეიძლება მივუთითოთ ინდუქციური, დედუქციური, „გასაგები'' (ინტერპრეტირებადი), ექსპერიმენტული, მოდელირების, ევოლუციური და ა.შ. მეთოდოლოგიები.

და ბოლოს, ძალზედ პოპულარულია მეთოდოლოგიის დაყოფა სამ დონედ, მისი ზოგადობის ხარისხის მიხედვით: 1. ზოგადი; 2. ზოგადმეცნიერული; 3. კერძომეცნიერული;

პირველი დონე – ყველაზე მაღალია, მესამე – ყველაზე დაბალი, მეორე საშუალოა პირველსა და მეორეს შორის ზოგადობის ხარისხის მიხედვით. ყველა მეცნიერებისათვის (სოციალური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური) მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს ფილოსოფია.

5. ფილოსოფია როგორც ყველა მეცნიერების საყოველთაო მეთოდოლოგია

შეგახსენებთ, რომ ფილოსოფია მეცნიერებაა ბუნების, საზოგადოების და აზროვნების უზოგადესი კანონების შესახებ; ასევე ადამიანისა და კაცობრიობის მიზნებისა და ღირებულებების შესახებ. ღოგორც ახერხებს ფილოსოფია შეასრულოს საყოველთაო მეთოდოლოგიის როლი ყველა წარმოსადგენი და არაწარმოსადგენი მეცნიერებისათვის? „ფილოსოფია (განსაკუთრებით მის რაციონალურ ვარიანტში) აძლევს მეცნიერს ამოსავალ გნოსეოლოგიურ

ორიენტირებს შემეცნებითი პროცესის არსის, მისი ფორმების, დონეების, ამოსავალი წანამძღვრებისა და საყოველთაო საფუძვლების, მისი სანდოობის და ჭეშმარიტების პირობების, შემეცნების სოციალურ-ისტორიულ კონტექსტის და ა.შ. შესახებ. შესაბამისად, ფილოსოფია აყალიბებს ზოგად პრინციპებს, რომელსაც სხვა მეცნიერი აშკარა ან შენიღბული ფორმით გამოიყენებს თავის კვლევაში.

ეს აგრეთვე ნიშნავს, რომ ფილოსოფია არის საყოველთაო მეთოდოლოგია ეკონომიკური მეცნიერებისათვის. .ი. ფილოსოფია ეკონომიკისთვისაც იძლევა ზოგად მარეგულირებელ პრინციპებს, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება იყენებს თავის ყოველდღიურ კვლევებში, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ეკონომისტებმა არ იციან იმის შესახებ, რომ ეს პრინციპები ფილოსოფოსების მიერაა დამუშავებული.

განვიხილით ზოგიერთი საყოველთაო (ფილოსოფიური) პრინციპების როგორც მეთოდოლოგიურის ეკონომიკურ მეცნიერებაში მოქმედება: 1. სამყაროს შეცნობის პრინციპი. ეს პრინციპი აღიარება ნებისმიერი ეკონომიკური მოვლენებისა და პრინციპების შეცნობადობას. მიტომ ნებისმიერი ეკონომისტი-მკვლევარი იწყებს რა ამათუ იმ ფენომენის შესწავლას, მტკიცედ აცნობიერებს, რომ საკვლევი ფენომენი შეცნობადია, ხოლო შეუცნობადი ეკონომიკური პროცესები საერთოდ არ არსებობს. 2. განვითარების პრინციპი. ოცემული პრინციპი მოითხოვს ეკონომიკური მოვლენებისადმი დიალექტიკურ მიდგომას, ე.ი. მათი, როგორც დროსა და სივრცეში განვითარებადის განხილვას. „ყველა სამეურნეო პროცესი უნდა განხილულ იქნას მის განვითარებაში, დინამიკაში- საკითხი თითქოს აშკარად ბანალურობამდეა დასული, მაგრამ განა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანტიკური და შუასაუკუნებრივი ეკონომიკური აზრი იცნობდა ამ პრინციპს? ფრო სწორად, ის დანერგილ იქნა ფილოსოფიის მიერ ეკონომიკურ შეგნებაში გაცილებით გვიან, უკვე ახალი დროების ეპოქაში. 3. პრაქტიკული განხორციელებადობის პრინციპი. ეს პრინციპი ამტკიცებს, რომ „ყველაფერი, რაც თეორიულად შესაძლებელია და არ არის აკრძალული ბუნებისა და საზოგადოებრივი კანონებით, პრაქტიკულად განხორციელებადია” ამ პრინციპის საფუძველში, თუ მას თანმიმდევრულად გამოვიყენებთ

ეკონომიკურ მეცნიერებაში, დევს იდეა, რომელიც გულისხმობს სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების მართვის შესაძლებლობას და მასზე მიზანდასახულად ზემოქმედების უნარს.

მაგრამ არ ღირს ამ პრინციპის ვულგარულად გააზრება, მაგალითად, ისე, როგორც ამას აკეთებდნენ პოსტკომუნისტური ეპოქის ზოგიერთი პოლიტიკოსი: ვ.ი. ლენინი, ნ.ს. ხრუშოვი, მაო ძე დუნი, „ დიდი ნახტომის", „კომუნიზმის 20 წელიწადში აშენების" იდეები და ა.შ. იყო აბსოლუტურად არარეალური ყველანაირი მოსაზრებით ეკონომიკურის ჩათვლით და წარმოადგენდნენ სამეურნეო უტოპიის ნაირსახეობას, ე.წ. ცდას რაღაც სრულიად განუხორციელებლის დანერგვის სამეურნეო ცხოვრებაში: 1. დეტერმინიზაციის პრინციპი. ამ პრინციპის არსი დაიყვანება იმ ფაქტის აღიარებაზე, რომ თითოეული შედეგის მიღმა თავისი მიზეზია და რომ ყველა პროცესი სამყაროში მეტ-ნაკლებად დაკავშირებულია ერთმანეთთან. ეტერმინიზმის პრინციპი ეკონომიკურ მეცნიერებაში ყველა სამეურნეო მოვლენებისა და პროცესების საყოველთაო განპიროვნებულობის პრინციპია. ეს პრინციპი ისევე, როგორც ყველა წინამორბედი, არ არსებობდა ეკონომიკური ანალიზის ისტორიაში თავდაპირველად, მისი არსებობა მასში გამოვლინდა XVII- XVIII სს. ეტერმინიზმის პრინციპის ეკონომიკური ცოდნაში დანერგვაში დიდი როლი ითამაშა ფილოსოფიამ და ახალი დროის მეცნიერებამ (ფ. ბეკონი, ი. ნიუ ტონი, ტ. გობსი და ა.შ.)

1. სიმარტივის („აზროვნების ეკონომიკის") პრინციპი. სიმარტივის პრინციპი გვთავაზობს ნებისმიერ სამეურნეო ფაქტთან მიმართებაში ვეძებოთ მეტ-ნაკლებად მარტივი ახსნა ყველა არსებული ვარიანტებიდან. Iსტორიულად ეს პრინციპი პირველად გამოჩნდა XIV ს. ინგლისელ ფილოსოფოსთან უილიამ ოკამთან და ამიტომაც მიიღო სახელწოდება „ოკამის სამართებელი". Iს მოგვიწოდებდა: „ნუ საწყისთა სიმრავლესაუცილებლობის ზემოთ" სხვანაირად ეს პრინციპი წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად: „თუკი არსებობს უფრო მარტივი ახსნა, არ არის საჭიროება უფრო რთულზე გადასვლისა, მას შემდეგ „ოკამის სამართებელი" (სიმარტივის პრინციპი, აზროვნების ეკონომიის პრინციპი) გახდა თანამედროვე მეცნიერების მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური პრინციპი. ეს

პრინციპი მისაღებია ასევე ეკონომიკური პროცესების მიმართ: ფიქრობენ რა ამა თუ იმ სამეურნეო მოვლენების ბუნების შესახებ, ეკონომისტები, უპირველეს ყოვლისა, ეძებენ ახსნის მარტივ ვარიანტს, შემდეგ უკვე უფრო რთულს. ეს ყველაფერი მიმდინარეობს მკვლევარის ინტუიციის, ქვეცნობიერის და ინსტიქტის დონეზე. მაგალითად, ეროვნული ვალუტის კურსის დაცემა-როგორც წესი, ამ ქვეყანაში ინფლაციის შედეგია (ეს ყველაზე მარტივი ახსნაა) მაგრამ ეს შეიძლება დაკავშირებული იყოს საგადასახადო ბალანსის გაუარესებასთან, მისი დეფიციტის ზრდით (უფრო რთული ახსნა). სხვათა შორის, უმეტეს შემთხვევაში, პირველიც და მეორეც მჭიდრო კავშირურთიერთობაშია ერთმანეთთან.

6. ზოგადი და კერძო მეცნიერული მეთოდოლოგია

ზოგად მეცნიერული მეთოდოლოგია ეს რამდენიმე მეცნიერების მეთოდოლოგიაა, ზოგადმეცნიერული მეთოდოლოგიის როლი ეკონომიკური მეცნიერებისათვის შეიძლება შეასრულოს მათემატიკის, სტატისტიკის, ისტორიის და ზოგიერთი სხვა ტიპის მეთოდოლოგიებმა. ეკონომიკური ცოდნის გარდა მათი გამოყენება შეიძლება მეცნიერული ცოდნის სხვა ტიპებთან.

კერძო მეცნიერული მეთოდოლოგია - ეს რომელიმე კონკრეტული მეცნიერების მეთოდოლოგიაა. კონომიკის შემთხვევაში საუბარი უნდა მიდიოდეს ეკონომიკურ მეთოდოლოგიაზე. სწორედ ის ასრულებს კერძო მეცნიერული მეთოდოლოგიის როლს ეკონომიკური მეცნიერებისათვის, მაგრამ რაც საინტერესოა ეკონომიკური ცოდნისცალკეული მიმართულებების შიგნით (ე.წ. ეკონომიკური მეცნიერებების, ეკონომიკური გეოგრაფიის, ეკონომიკური ისტორიის, ეკონომიკური თეორიის, საბუღალტრო აღრიცხვების და ა.შ.) ეს ეკონომიკური მეთოდოლოგიაა და თამაშობს ზოგადმეცნიერული, საერთოდისციპლინარული მეთოდოლოგიისროლს. დაწვრილებითი მსჯელობა ეკონომიკური მეთოდოლოგიის შესახებ იქნება მე-4 თავში.

7. საბაზო მეთოდოლოგიური კონცეფციები XX საუკუნის ფილოსოფიასა და მეცნიერებაში

ყველაზე უფრო ცნობილი მეთოდოლოგიური კონცეფციების რიცხვს, რომლებიც ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერული თეორიების განვითარების მეთოდოლოგიური და ისტორიული ანალიზისათვის (მათ შორის ეკონომიკურიც), შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი სამი: 1. ამერიკელი ისტორიკოსის, ტომას კუნის 1992-1995 „მეცნიერული რევოლუციისა და პარადიგმების კონცეფცია“. 2. ინგლისელი მეცნიერის (უნგრეთიდან დიდ ბრიტანეთში ემიგრირებული) იმრე ლაკატოსის (1922-1974) „კვლევითი პროგრამების თეორია“. 3. სერ კარლ პოპერის (1902-1994) (დაბადებულია ავსტრიაში, ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა დიდ ბრიტანეთში) კრიტიკული რაციონალიზმისა და ფალსიფიკაციონიზმის კონცეფცია;

ეს კონცეფციები საჭიროა ჩაითვალოს „საბაზოდ იმ მიზეზით, რომ მათ ყველაზე უფრო დიდი გავლენა მოახდინეს, როგორც მეთოდოლოგიური ცოდნის, ასევე მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის განვითარებაზე. იუხედავად იმისა, რომ სამივე კონცეფცია თავის ზოგიერთ ნაწილში ეწინააღმდეგება ერთმანეთს, მკვლევართა უმრავლესობა ცდილობს წარმოაჩინოსისინი, როგორც „ურთიერთშემავსებელი” ერთის მეორესთან დამოკიდებულებაში და ყველაზე ფასეულის აღებაში თითოეული კონცეფციიდან. აი, რატომაა მნიშვნელოვანი თითოეული მათგანის გაცნობა. მოკლედ გადმოვცემთ ზემოთ მითითებული მეცნიერების (ტ. კუნის, ი. ლაკატოსის, კ. პოპერის) შეხედულებებს მეცნიერული ცოდნის განვითარების მეთოდოლოგიასა და ფილოსოფიაში.

8. ტ. კუნის მეცნიერული რევოლუციის კონცეფცია

ტ. კუნის ძირითადი ნაშრომის „მეცნიერული რევოლუციის სტრუქტურა” (1962.რუს. 1974, 2002) ძირითად საკითხს წარმოადგენს ცნება „პარადიგმა” „მეცნიერული რევოლუცია”. სწორედ ამ ორი ძირითადი ტერმინის გარშემო შენდება ამერიკელი მეცნიერის კონცეფცია. თ. კუნის პარადიგმ განისაზღვრება

შემდეგნაირად: „პარადიგმების ქვეშ მე ვგულისხმობ ყველასგან აღიარებულ მეცნიერულ მიღწევებს, რომლებიც გარკვეული დროის განმავლობაში აძლევენ მეცნიერულ საზოგადოებას პრობლემის დასმისა და მათი გადაწყვეტის მოდელს..

„ისინი (პარადიგმები) წაროადგენენ პრობლემური სიტუაციისა და გადაწყვეტის სტანდარტების მეთოდების წყაროს, რომელიღაც განვითარებული მეცნიერული საზოგადოების მიერ მიღებულს მოცემულ პერიოდში. სხვა სიტყვებით, პარადიგმა –ეს მეცნიერული აზროვნების ნორმები და ნიმუშებია, რომელიც მოცემულ მეცნიერულ საზოგადოებაში ტრადიციის ხასიათს იძენს. ან კიდევ ცოტა უფრო განსხვავებულად- ეს არის განსაზღვრული მეცნიერული სტერეოტიპი, შაბლონური აზროვნება, რომლის ფარგლებშიც მეცნიერები ამა თუ იმ პერიოდშიწყვეტენ თავინთ კვლევით ამოცანებს. ტ. კუნი მეცნიერულ რევოლუციას უწოდებს მეცნიერების განვითარების ეტაპს, როცა ერთი პარადიგმა იცვლება მეორეთი. ხოლო მეცნიერული ცოდნის სისტემების განვითარების პერიოდები „რევოლუციებს შორის" შეიძლებადახასიათდეს როგორც „პარადიგმამდელი", ან როგორც „ნორმალური მეცნიერების" პერიოდი.

ტ. კუნი მეცნიერების განვითარების პარადიგმამდელ პერიოდს აღწერს, როგორც მეცნიერების სხვადასხვა სკოლისა და მიმდინარეობის მეტოქეობის პერიოდს. ამ პერიოდში ჯერ არ არსებობს მეცნიერული აზროვნების მდგრადი სტილები და სტერეოტიპები, მეცნიერებაში მიდის დაუმთავრებელი მეთოდოლოგიური დისკუსიები იმის შესახებ, თუ რომელი სავარაუდო კვლევითი პროგრამა შეიძლება მივიჩნიოთ პარადიგმად. როგორც წესი, ასეთი დისკუსიების შედეგად წარმატებას აღწევს ერთ-ერთი განხილული პროგრამა დსა სწორედ ის მიიჩნევა პარადიგმად მეცნიერული საზოგადოების მიერ. მეცნიერული ცოდნის სისტემების ჩამოყალიბების შემდგომ დგება „ნორმალური მეცნიერების" პერიოდი. „ მას შემდეგ, რაც ამოსავალი პარადიგმა, როგორც ბუნების ასხვის საშუალება, მოძიებულია, არც ერთი კვლევა არ მიმდინარეობს პარადიგმის გარეშე და უარის თქმა რომელიმე პარადიგმაზე, მისი მეორეთი არშეცვლა წარმოადგენს მეცნიერებაზე უარის თქმას საერთოდ. ტ.კუნი „ნორმალურ მეცნიერებას" განმარტავს, როგორც მეცნიერების განვითარების პერიოდს, როდესაც მასში ბატონობს რომელიღაც კვლევითი პროგრამა, ემსახურება რა

მოცემულ საზოგადოებას პარადიგმად. „ნორმალური მეცნიერების" პერიოდი წარმოადგენს მეცნიერული ცოდნის განვითარების ევოლუციურ სტადიას, როდესაც არ არსებობს წანამძღვრები მეცნიერების კუმულატივური, ნახტომისებური განვითარებისათვის. ეს სამეცნიერო ფაქტების დაგროვების სტადია, რომელიც განამტკიცებს გაბატონებულ პარადიგმას, სადაც უარყოფილია ნებისმიერი თეორია, რომლებიც არ ირიცხებიან უკანასკნელში.

„ ნორმალური მეცნიერება" არ ისახავს მიზნად ახალი ფაქტების ან თეორიების აღმოჩენას, ნორმალურ მეცნიერულ კვლევაში წარმატება ამაში არ მდგომარეობს. თუმცა, კვლევითი პრობლემების დიდი უმრავლესობის გადაწყვეტა ხდება სწორედ „ნორმალური მეცნიერების" ჩარჩოებში და მისი ინსტრუმენტებით.

„მანამდე, სანამ პარადიგმის მიერ მოცემული საშუალებები ნებას გვრთავს წარმატებით გადავწყვიტოთ მის მიერ წარმოქმნილი პრობლემები. მეცნიერება წინ მიიწევს და მიაღწევს რა მოვლენათა ყველაზე ღრმა დონეს, უყოყმანოდ იყენებს ამ საშუალებებს. ამის მიზეზი ნათელია როგორც წარმოებაში, ისე მეცნერებაში. ინსტრუმენტების შეცვლა-უკიდურესი ზომაა, რომელსაც მიმართავენ მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაში. კრიზისების მნიშვნელობა იმაშია, რომ ისინი მიგვითითებენ ინსტრუმენტების შეცვლის დროულობაზე". არადიგმ, როგორც აღნიშნავს ტ.კუნი, ასრულებს ორ ფუნქციას: შემეცნებითსა და ნორმატიულს. შემეცნებით ფუნქციასთან დაკავშირებით ყველაფერი ნათელია: პარადიგმ ახალი ცოდნის მიღების საშუალებაა. ის თავისთავად არის ახალი ცოდნა. აკლებად გასაგებია პარადიგმის ნორმატიული ფუნქცია: მისი არსი მდგომარეობს იმაში, რომ პარადიგმა აწესებს ახალ ნორმებს მეცნიერული საზოგადოებისათვის. „ნორმები" აქ განიმარტება ზომიერად ფართოდ; ლაპარაკია მეცნიერული კვლევის მეთოდებზე, იდეალებზე (ფასეულებრივ განწყობაზე), რომელიც გავლენას ახდენს შემეცნებითი საქმიანობის ამა თუ იმ მიმართულებაზე, მეცნიერებაში „სტანდარტული თავსატეხის" გადაწყვეტის სქემაზე. თუ მეორესა და მესამეს გავაერთიანებთ ერთ ცნებაში- „სტანდარტები", მაშინ საერთო სურათი ასე შეიძლება გამოიყურებოდეს. „პარადიგმები აძლევენ მეცნიერებს არა მარტო მოქმედების გეგმას, არამედ მიუთითებენგეგმის

რეალიზაციისათვის მნიშვნელოვან ზოგიერთ მიმართულებებს. არადიგმის ათვისებისას, მეცნიერები ითვისებენ თეორიებს, მეთოდებს და სტანდარტებს, რომლებიც ჩვეულებრივ მჭიდროდ არიან გადაჯაჭვული ერთმანეთთან. მიტომ, როდესაც პარადიგმ იცვლება, ჩვეულებრივ ხდება მნიშვნელოვანი ცვლილებები კრიტერიუმებში, რომელიც განაპირობებს, როგორც პრობლემის არჩევის, ისე შემოთავაზებული გადაწყვეტის სისწორეს".[1]

„ნორმალური მეცნიერების" პერიოდი, რომელიც განსაზღვრავს, როგორც ერთი პარადიგმის ბატონობის პერიოდს, შეიძლება გრძელდებოდეს ათეულობითი წლებიდან ასეულობით და ათასეულობით წლებამდე. მაგალითად, ფტოლომეოსის გეოცენტრული სისტემის დომინირება- არისტოტელეს ასტრონომიაში გრძელდებოდა 2000წ., სანამ ის კოპერნიკის რევოლუციის მიმდინარეობისას არ შეიცვალა ჰელიოცენტრული პარადიგმით. იუტონის პარადიგმის ბატონობა კლასიკური მექანიკის ფიზიკაში გრძელდებოდა 230 წელი XVII საუკუნის ბოლოდან XX საუკუნის 20-30 წლებამდე. ჯერჯერობით შემდგომი მეცნიერული რევოლუციის პროცესში არ შეცვლილა ალბერტ აინშტაინის მიერ დამუშავებული ფარდობითობის თეორიის პარადიგმით. მაგრამ ტ. კუნის თანახმად, ადრე თუ გვიან პარადიგმაში აღმოჩნდება „ანომალია", ე.ი. გროვდება მეცნიერული ფაქტები, რომლის ახსნაც შეუძლებელია მოცემული კვლევითი თეორიის მეთოდებისა და სტანდარტების პირობებში. თავდაპირველად მეცნიერები დაჟინებით ეძებენ მოცემული მოცემული „ანომალიის" გადაწყვეტის გზებს, ისე, რომ არ გამოვიდეს არსებული პარადიგმის საზღვრებიდან, მაგრამ ერთხელაც დგება მომენტ, როდესაც „ანომალიები" სიტყვასიტყვით არღვევს მას, როგორც დამპალ კედელს. ეს ეტაპი შეიძლება დავახასიათოთ, როგორც „მეცნიერების კრიზისი", ხოლო ასეთი კრიზისის დასრულების სამ ვარიანტს განიხილავს ამერიკელი მეცნიერი. „ყველა კრიზისი მთავრდება სამიდან ერთი შესაძლო გამოსავალით. ზოგჯერ ნორმალური მეცნიერება ბოლოს და ბოლოს ამტკიცებს კრიზისის წარმოშობის პრობლემების გადაწყვეტის უნარს, იმის

[1] Кун Т., структура научных революци გვ. 148

მიუხედავად, ზოგიერთი ამას თვლის თუ არა არსებული პარადიგმის დასასრულად. შხვა შემთხვევაში მდგომარეობას ვერ ცვლის აშკარად რადიკალური მიდგომებიც. მაშინ მეცნიერები შეიძლება მივიდნენ დასკვნამდე, რომ მათი კვლევის დარგში შექმნილი პრობლემის გადაწყვეტა არ არის მოსალოდნელი. პრობლემა აღიჭურვება შესაბამისი იარლიყით და გვერდზე გაწევენ იმ იმედით, რომ სრულყოფილი მეთოდებით შესაძლებელი იქნება მოცემულის გადაწყვეტა. და ბოლოს, შესაძლებელია შემთხვევა, რომელმაც შეიძლება განსაკუთრებით დაგვაინტერესოს, როცა კრიზისის გადაწყვეტა შესაძლებელია, პარადიგმის ადგილზეახალი პრეტენდენტის აღმოცენებით და მისი დამტკიცებისათვის შემდგომი ბრძოლით.

შემთხვევა, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებს ტ.კუნს, ეს , სწორად რომ ვთქვათ, მისი ტერმინოლოგიით „მეცნიერული რევოლუციაა". კანასკნელი, როგორც წესი, იწყება იქიდან, რომ მეცნიერთა ჯგუფი თავისი მეცნიერული საზოგადოებიდან ემიჯნებიან ძველ პარადიგმას და საფუძვლად იღებს სხვათა თეორიის, ჰიპოთეზისა და სტანდარტების ერთობლიობას. შემდეგ ამ ჯგუფს უერთდება მოცემული მეცნიერული საზოგადოების დანარჩენი წარმომადგენლები. ეცნიერული რევოლუცია მოხდა, ასევე მეცნიერული გადატრიალება განხორციელდა საზოგადოების შემეცნებაშიც. ამ მომენტიდან ხდება ახალი მეცნიერული ტრადიციის ათვლა, რომელიც ხშირად არ შეესაბამება წინამორბედ ტრადიციას.

„ნორმალური მეცნიერების ტრადიცია, რომელიც აღმოცენდება სამეცნიერო რევოლუციის შემდეგ, არა მარტო შეუსაბამოა, არამედ ხშირად, ფაქტობრივად არათანაბაზომადია მანმადე არსებულ ტრადიციასთან.

მგვარად, ტომას კუნის პარადიგმისა და მეცნიერული რევოლუციების კონცეფციები წარმოადგენს ერთობ შინაარსიანი და პერსპექტიულ მეთოდოლოგიურ ლონცეფციებს. უნებრივია მისი შეფასება შეიძლება იყოს განსხვავებული, მაგალითად, ი.ლაკატოსი, რომლის შესახებაც საუბარი გვექნება ქვემოთ, გულისხმობდა, რომ ტ.კუნის კონცეფცია სინამდვილეში ასახავს „მეცნიერული აღმოჩენის ფსიქოლოგიას" და არა მის „ლოგიკას". ეს ალბათ სუბიექტური შეფასებაა. უნის ტერმინები „პარადიგმა", „ნორმალური

მეცნიერება” და „მეცნიერული რევოლუცია” და თვით თეორია, მტკიცედ არის შესული როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სოციალურ მეცნიერებათა არსენალში; ეს თავისთავად უკვე ღირსეულად წარმოაჩენს „მეცნიერული რევოლუციების სტრუქტურას” ავტორს.

9. ი.ლაკატოსის კვლევითი პროგრამების კონცეფცია

იმრე ლაკატოსი- მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიის რამოდენიმე ცნობილი ნაშრომის ავტორი. ველაზე უფრო ცნობილია „მტკიცებულება და უარყოფა”, „ფალიფიკაცია და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების მეთოდოლოგია”, „მეცნიერების ისტორია და მისი რაციონალური რეკონსტრუქციები”. ი.ლაკატოსის მეთოდოლოგიური გამოკვლევების ძირითადი პრინციპია- ერთ მთელში მეცნიერების ფილოსოფიისა და მეცნიერების ისტორიის შეერთება. ამასთან დაკავშირებით, ის აყალიბებსშემდეგ მნიშვნელოვან დებულებას: „მეცნიერების ფილოსოფია მეცნიერების ისტორიის გარეშე ცარიელია; მეცნიერების ისტორია მეცნიერების ფილოსოფიის გარეშე ბრმაა”. მაშასადამე ი.ლაკატოსის მიერ საკუთარი მეთოდოლოგიური კონცეფციის შექმნის წანამძღვრად იქცა ცდა ისტორიულ-მეთოდოლოგიური და ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური ცოდნის სინთეზისა. შწორედ ამის საფუძველზე დამუშავებულ იქნა მისი თეორიის ცენტრალური ცნება „სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა”. „სამეცნიერო-კვლევითი პროგრამა (ან უფრო მარტივად „კვლევითი პროგრამა”) შეადგენს ზოგიერთი თეორიების ერთობლიობას, რომლებიც ვითარდება ერთიანი კვლევითი და მეთოდოლოგიური პრინციპების საფუძველზე. შტრუქტურულად ის მოიცავს შემდეგ ელემენტს: ა)„მტკიცე ბირთვი”-პროგრამის ყველა თეორიის ფუნდამენტური პრინციპი, რომელიც ეხმარება მისი ერთიანობის შენარჩუნებას; ბ) „დამცავი ქამარი”-პროგრამის დამხმარე ჰიპოთეზები, ის უზრუნველყოფს პროგრამის „მტკიცე ბირთვის” შენახვა;

„დამცავმა ქამარმა” უნდა გაუძლოს მთავარ დარტყმას შემოწმების მხრივ; იცავს რა ამგვარად გამყარებულ ბირთვს, ის ვალდებულია შეეგუოს, გარდაქმნას ან მთლიანად შეიცვალოს, თუკი ამას მოითხოვს დაცვის

ინტერესები. თუე ს ყველაფერი იძლევა პრობლემის პროგრესულ დაძვრას, კვლევითი პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად. ის არ არის წარმატებული, თუკი ეს გამოიწვევს პრობლემის რეგრესული მიმართულებით სვლას; გ) მეთოდოლოგიური პრინციპები, რომლებიც განსაზღვრავენ მოცემული პროგრამის გამოყენების პერსპექტივებს („დადებითი" ან „უარყოფითი"). ყურადღებას გავამახვილებთ საკვლევი პროგრამის ბოლო ელემენტზე. „უარყოფითი ევრისტიკა", ი.ლოკატოსის მიხედვით, ნიშნავს ზოგიერთი შეზღუდვების არსებობას განსაზღვრული მეთოდოლოგიური წესების ფორმით, რომელიც იძლევა შემეცნების მცდარი გზებისგან აცილებას. „პოზიტიური ევრისტიკა", პირიქით, წარმოადგენს წესების კრებულს, რომელიც იძლევა პროგრამის ისეთნაირად მოდიფიკაციის საშუალებას, რომ მოხდეს მისი დაცვა გაუმჯობესებაც კი.

„თუკი უარყოფითი ევრისტიკა განსაზღვრავს პროგრამის „მტკიცე ბირთვს", რომელსაც თავისი მომხრეების გადაწყვეტილებით ერგება „დამტკიცება", მაშინ „დადებითი ევრისტიკა" იქმნება მთელი რიგი მეტ-ნაკლებად ნათელი დასკვნებით, მეტ-ნალებად დამაჯერებელი წინადადებებით, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ შეცვალოს და განვითარდეს საკვლევი პროგრამების „უარყოფილი ვარიანტები" როგორ მოხდეს მოდიფიცირება, დაზუსტდეს „უარყოფილი" „დამცავი ქამარი".

ტ.კუნის კონცეფციისგან განსხვავებით, ი.ლაკატოსის თეორია მოითხოვს, რომ, ე.წ.„ნორმალური მეცნიერების" პერიოდები, როცა ერთი კვლევითი პროგრამაა გაბატონებული ძალზედ იშვიათია მეცნიერების ისტორიაშიდა, რომ კუნის „პარადიგმა" სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა კვლევითი პროგრამა დროებით ხელში ჩაგდებული მონოპოლიით. ეცნიერულ საზოგადოებაში უფრო ხშირად არის ისეთი პერიოდები, როდესაც კვლევითი პროგრამები ბევრია და ისინი ებმებიან კონკურენციაში ერთმანეთის მიმართ.

„მეცნიერების ისტორიაში იყო და იქნება კვლევითი პროგრამების შეჯიბრების ისტორია (თუ გნებავთ „პარადიგმა"), მაგრამ ის არ იყო და არ უნა იყოს ნორმალური მეცნიერების მერყეობის პერიოდი: რაც უფრო ხშირია მეტოქეობა, მით უკეთესია პროგრესისათვის". მა თუ იმ კვლევითი პროგრამის

პოტენციალი განისაზღვრება საბოლოო ჯამში ევრისტიკული ძალით, რომელიც აღნიშნავს პროგრამის შესაძლებლობას თეორიულად იწინასწარმეტყველოს ახალი ფაქტების გაჩენა.

ი.ლოკატოსი გამოყოფს მეცნიერების ორ ძირითად სახეობას, რომლებიც შეიძლება დავუკავშიროთ მისი განვითარების ორ პერიოდს. „მომწიფებული მეცნიერება" და „უმწიფარი მეცნიერება". „მომწიფებული მეცნიერება"- ეს მეცნიერების ის ტიპია, რომელშიც ადგილი აქვს მეტოქეობას-კონკურენციას, სხვადასხვა კვლევით პროგრამებს შორის. ის პირისპირ დგას „უმწიფარი მეცნიერება", სადაც კვლევა ხორციელდება „გაცვეთილი მაგალითებითა და შეცდომებით".

„მომწიფებული მეცნიერება შედგება კვლევითი პროგრამებით, რომელთა მეშვეობითაც ხდება არა მარტო უცნობი ფაქტების წინასწარმეტყველება, არამედ, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ხდება ახალი, დამხმარე თეორიების წინასწარ განჭვრეტა. ომწიფებული მეცნიერება, განსხვავებით მოსაწყენი თანმიმდევრული ცდებისა და შეცდომებისაგან, ფლობს „ევრისტიკულ ძალას". მძლავრი პროგრამის დადებითი ევრისტიკა იმთავითვე იძლევა „დამცავი ქამრის" ზოგად სქემას: მოცემული ევრისტიკული ძალა ქმნის თეორიული მეცნიერების ავტონომიას"

ი.ლაკატოსის შეხედულებებით, მეცნიერების ისტორია მთლიანად საჭიროებს რაციონალური რეკონსტრუქციით კვლავწარმოებას. მ მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს: 1.აუცილებელია მოხდეს მეცნიერების ისტორიის მთლიანად რაციონალური რეკონსტრუქცია; 2 საჭიროა შევუპირისპიროთ მიღებული რაციონალური რეკონსტრუქცია მეცნიერების ნამდვილ ისტორიას და იქნას გაკრიტიკებული: რაციონალური რეკონსტრუქცია- ისტორიულობის არასაკმარისობის გამო; ნამდვილი ისტორია- რაციონალურობის არასაკმარისობის გამო; 3. ამასთან, ნებისმიერ ისტორიულ კვლევას წინ უნდა უსწრებდეს ევრისტიკული დამუშავება: მეცნიერების ისტორია მეცნიერების ფილოსოფიის გარეშე სიბრმავეა".

მგვარად, ი.ლაკატოსის მეცნიერულ-კვლევითი პროგრამების მეთოდოლოგია წარმოადგენს ძალზე შედეგიან სამეცნიერო პროექტს. ის აგრეთვე (ჩვენ აქ

ვიყენებთ ი.ლოკატოსის მეთოდს), თავის მხრივ, ინდივიდუალური კვლევითი პროგრამაა მეცნიერების მეთოდოლოგიაში და თავისი ევრისტიკული ძალით უპირისპირდება ტ.კუნის „მეცნიერული რევოლუციის პროგრამას და პარადიგმას; ორი მსგავსი პროგრამის კონკურენცია ცოდნის დარგის რთულ სფეროში, როგორიცაა მეთოდოლოგია, შეიძლება მხოლოდ მივესალმოთ და, სავარაუდოდ, ეკონომისტ-მკვლევარს და მეთოდოლოგს –ასევე ყოველთვის ექნება არჩევანი, რომელი მეთოდოლოგია ტ.კუნის თუ ი.ლაკატოსის-გამოიყენოს თავის მეთოდოლოგიურ იდეატე და კონცეფციების შემუშავებისას.

10. კარლ პოპერის მეთოდოლოგიური პროგრამა

სერ კარლ პოპერი-XX საუკუნის დასავლეთის ფილოსოფიის ერთ-ერთი ცნობილი წარმომადგენელია. ან თავი გამოიჩინა, როგორც სოციალურმა ფილოსოფოსმა, ტოტალიტარიზმის მოწინააღმდეგემ ყველა მის გამოვლენაში („ღია საზოგადოება და მტრები“,1945, რუს.1992) და როგორც უდიდესმა ეპისტემოლოგმა (სპეციალისტი შემეცნების თეორიის დარგში) და თავისი დროის მეთოდოლოგმა. ოპერის ძირითადი ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური ნაშრომები თავმოყრილია შრომებში „ლოგიკა და მეცნიერული ცოდნის ზრდა“ და „ევოლუციური ეპისტემოლოგია და სოციალური მეცნიერების ლოგიკა“.

მეთოდოლოგიაში კ.პოპერი არის კრიტიციზმის, კრიტიკული რაციონალიზმის ან კრიტიკული ემპირიზმის გამოჩენილი წარმომადგენელი. (ყველაზე უფრო ხშირად გამოიყენება პირველი სახელწოდება, ხოლო მესამე კი არაა მთლად ზუსტი). მ მიმართულების არსი, აგრეთვე პოპერის ფილოსოფიური მეთოდოლოგიის არსი შეიძლება დავიყვანოთ შემდეგ მტკიცებულებამდე: „ყველაფერს უყურეთ კრიტიკის თვალით“.

„არავინაა და არაფერი თავისუფალი კრიტიკისაგან“-თვით კრიტიკული მეთოდის ძირითადი პრინციპიც“. ოპერის აზრით, თავად კრიტიკა შეიძლება იყოს განსხვავებული: აუცილებელია განვასხვავოთ კრიტიკის სწორი მეთოდი მცდარისაგან. სწორი კრიტიკული მეთოდის ძირითადი ნიშნები შემდეგია:

რაციონალურობა (დასაბუთება, საფუძვლიანობა); დიალექტიკურობა (წინააღმდეგობათა გამოვლენისკენ მისწარაფება); მეცნიერული ცოდნის აპელაცია (სციენტიზმი); მისწრაფება-შექმნას ნებისმიერი ცოდნა, თუნდაც არსებითად უარყოფილი (ფალსიფიკაციის მეთოდი, ან უბრალოდ ფალსიფიკაციონიზმი)

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი: რაციონალურობა და სციენტიზმი-წარმოადგენს პოპერის მეთოდოლოგიის ქვაკუთხედს. ხოლოდ მეცნიერებაა –ნამდვილი რაციონალური და მარტო მეცნიერული ტიპის რაციონალურობა შეიძლება იყოს ჭეშმარიტი . რატომ? ოპერის აზრით, მეცნიერული ცოდნა უტყუარად ობიექტური ცოდნის ერთადერთი სფეროა, მიუხედავად სუბიექტის მიკერძოებულობისა და შეფასებისა. სწორედ ამ სფეროში ადგილი არ არის რწმენისათვის, რომელსაც ეყრდნობა სუბიექტური ცოდნა, ამიტომ მხოლოდ აქ შეგვიძლია ჩვენ დავამტკიცოთ და საბოლოოდ წავიყვანოთ ჩვენი მსჯელობა „ჭეშმარიტებამდე" ან „სიცრუემდე". „მთელი სამეცნიერო საქმიანობა ობიექტური ცოდნის ზრდისაკენ მიმართული საქმიანობაა".

„დიალექტიკურობა" პოპერის მიხედვით, ნიშნავს ჰეგელის სწავლებაში მოცემული ყოველივე პოზიტიურის გამოყენებას, უპირველეს ყოვლისა, წინააღმდეგობის პრინციპისა, რომელიც დამყარებულია თეორიის ან ჰიპოთეზის კრიტიკაზე. თუმცაღა, წინააღმდეგობას ბრიტანელი ფილოსოფოსი აღწერს „ფორმალური" „არისტოტელესეული" სულისკვეთებით ნაცვლად „ჰეგელისეული" „დიალექტიკისა", მაგრამ ეს არ ცვლის საქმის ვითარებას: „წინააღმდეგობას გააჩნია დიდი მნიშვნელობა აზროვნების ისტორიაში. ის ისევე მნიშვნელოვანია, როგორც კრიტიკა. რიტიკა ხომ არსობრივად წინააღმდეგობის გამოვლენაა. წინააღმდეგობისა და კრიტიკის გარეშე არ შეიცვლებოდა თეორიის რაციონალური საფუძველი, ადგილი არ ექნებოდა ინტელექტუალურ პროგრესს. მგვარად, წინააღმდეგობა ნამდვილად გვევლინება აზროვნებაში ნებისმიერი პროგრესის მამოძრავებელ ძალად და განსაკუთრებით ნაყოფიერია".

„პოპერის დედუქტივიზმი", მისი დაყრდნობა ჰიპოთეტიკურ-დედუქციურ მეთოდზე, საჭიროა დავუკავშიროთ ინგლისელი ფილოსოფოსის მიერ

ინდუქციის, როგორც პოპერის წინამორბედის ძირითადი მეთოდის, ლოგიკური პოზიტივიზმისა და ვერიფიკაციის, როგორც ჭეშმარიტების დადგენის არადამაკმაყოფილებელი წესის კრიტიკას".

„არც ერთი მეცნიერული თეორია არ შეიძლება იყოს დედუქციერებული, როგორც დაკვირვების შედეგად დამტკიცებული ნიმუში, ან აღწერილ იქნას, როგორც დაკვირვების შედეგად დამტკიცებული ჭეშმარიტების ფუნქცია". რაც შეეხება ვერიფიკაციის კრიტერიუმს, იგი არადამაკმაყოფილებელია თუნდაც იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს ხისტს და მსოფლმხედველობრივად ვიწროს, ის თავიდან იცილებს მეცნიერებიდან ძირითად თეორიებს და ჰიპოთეზებს, რამდენადაც შეუძლებელია მათი უმრავლესობის დამტკიცება (ან ლოგიკურად მკაცრად გამოცალკავება) პირდაპირი ფაქტებითა და დაკვირვებით. ამასთან, ის ნებას რთავს მიყვანილ იქნეს მეცნიერულ ცოდნამდე ზოგიერთი პარამეცნიერებები-ასტროლოგია, პარაფსიქოლოგია და ა.შ.

„ვერიფიკაციის პრინციპი გამორიცხავს მეცნიერებიდან პრაქტიკულად ყველაფერს, რაც მას ახასიათებს, მაგრამ, ამავე დროს, არ შეუძლია გამორიცხოს მისგან ასტროლოგია".

კ.პოპერი ვერიფიკაციის სანაცვლოდ გვთავაზობს „ჭეშმარიტების" დამტკიცების სხვა კრიტერიუმს-ფალსიფიკაციას (ფალსიფიცირება). ძირითადი იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს ამ ახალ კრიტერიუმს, არის ყოველი მეცნიერული გამონათქვამის პოტენციური შემოწმების იდეა (მეცნიერულობისა და ჭეშმარიტებასთან შესაბამისობის კრიტერიუმებით) და მისი პოტენციური უარყოფის იდეა.

„მე არ მოვითხოვ, რომ ყოველი მეცნიერული გამონათქვამი იქნეს შემოწმებული, სანამ იგი იქნება მიღებული. მე მოვითხოვ, რომ ყოველ მეცნიერულ გამონათქვამში იქნეს დაშვებული შემოწმება".

მეცნიერული მტკიცებულებები, თუ მათ განვმარტავთ მოცემული კრიტერიუმის სულისკვეთებით, უმეტეს შემთხვევაში ისინი მიიღებენ ნეგატიურ ფორმას. „ისინი (მტკიცებულებები) არ ამტკიცებენ, რომ, რაღაც არსებობს ან რაღაც ამდაგვარს: ისინი უარყოფენ ამას. ისინი დაჟინებით ამტკიცებენ გარკვეული ნივთების არ არსებობას, ან საქმეთა განუსაზღვრელი

მდგომარეობის შესახებ. ამ ნივთების ან მდგომარეობათა აკრძალვით; აცხადებენ მან კანონგარეშედ, სწორედ ამიტომაც შეიძლება ისინი იყოს ფალსიფიცირებული".

საბოლოოდ, როგორც კ.პოპერი მიიჩნევს, ჩვენ უნდა მივისწრაფოდეთ არა იმისკენ, რომ დავამტკიცოთ ესა თუ ის თეორია, არამედ უარვყოთ, განვაგდოთ ის. მანამ, სანამ ჩვენ ეს არ გამოგვივა, თეორია პოტენციურად ჭეშმარიტად ჩაითვლება. დაე, ჭეშმარიტების ცნებაც და მისი კრიტერიუმებიც წარმოადგენდნენ მერყევს და განუსაზღვრელს. პრინციპში ეს კრიტერიუმები შეიძლება არც არსებობდეს.

„სინამდვილეში ჭეშმარიტების კრიტერიუმის არარსებობა აქცევს ჭეშმარიტების ცნებას უაზრობად, ვიდრე ჯანმრთელობის კრიტერიუმის არარსებობა აქცევს ჯანმრთელობის ცნებას უაზროდ. ვადმყოფს შეიძლება სწყუროდეს ჯანმრთელობა, გზასაცდენილ ადამიანს შეიძლება სწყუროდეს ჭეშმარიტება, მათი კრიტერიუმის კიდევაც არქონის პირობებში".

ამგვარად, პოპერის მიხედვით, კრიტიკული რაციონალიზმის მეთოდი, წარმატებით გადალახავს ყველა წინააღმდეგობას ობიექტური მეცნიერული ცოდნის გზაზე. ის აბსოლუტურად შეუცვლელია, როგორც მეცნიერული ცოდნის მეთოდოლოგიაში, ასევე მის ეპისტემოლოგიაში, „არანაირ განსხვავებულ მეთოდს არ შეუძლია დაგვეხმაროს გავამართლოთ ჩვენი მეთოდოლოგიური კონვენციები და დავამტკიცოთ მათი ჭეშმარიტება".

კ.პოპერის მეთოდოლოგიისა და ეპიდტემოლოგიის პროგრამის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანია ევოლუციურობა, კ.პოპერი მეცნიერების განვითარებას განიხილავს, როგორც ევოლუციურ პროცესს ანალოგიურად ბუნების სამყაროში მიმდინარე პროცესებისა, ამასთან დაკავშირებით, პოპერი აყალიბებს სამ ძირითად თეზისს: 1. „ადამიანის სპეციფიური შემეცნების, ისევე, როგორც მეცნიერული ცოდნის შექმნის უნარყ, წარმოადგენს ბუნებრივი შერჩევის შედეგს, ისინი მჭიდროდ დაკავშირებული არიან სპეციფიკური ადამიანური ენის ევოლუციასთან"; 2. „მეცნიერული ცოდნის ევოლუცია წარმოადგენს ძირითადად სულ უფრო და უფრო საუკეთესო თეორიების ჩამოყალიბებას. ეს დარვინისტული პროცესია: თეორია უკეთ შემგუებელი ხდება ბუნებრივი

შერჩევის შედეგად, ისინი გვაძლევენ სინამდვილის შესახებ სულ უფრო და უფრო საუკეთესო ინფორმაციას"; 3. „ასეთი ამოცანების გადაწყვეტისთვის შესაძლებელია სპეციფიკური ადამიანური ენის გამოყენება". კარლ პოპერის ევოლუციური ეპისტემოლოგია ეყრდნობა მის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან კონცეფციას- „სამი სამყაროს კონცეფციას". ამ კონცეფციის თანახმად, მეცნიერული ცოდნის ევოლუცია წარმოადგენს ევოლუციური პროცესების კერძო შემთხვევას უნივერსუმში (მთლიანი სამყარო-ნ.ჩ), რომელიც დაყოფილია სამ ძირითად სამყაროდ: 1. ფიზიკური ობიექტებისა და მდგომარეობის სამყარო; 2. მენტალური მდგომარეობის სამყარო; 3. „შემეცნების ობიექტური შინაარსის, უპირველეს ყოვლისა, მეცნიერული იდეების, პოეტური აზრისა და ხელოვნების ნაწარმოებთა სამყარო".

ეს სამი სამყარო განუწყვეტლივ იცვლება, ვითარდება, ევოლუციას განიცდის, აძლევს რა ბიძგს მეცნიერული ცოდნის ევოლუციის ტემპს, ეს უკანასკნელი ვითარდება აგრეთვე იმ მიზეზით, რომ განვიტარების გარეშე კარგავს თავის ემპირიულ ხასიათს. თუ ახალ ჰიპოთეზებს და თეორიებს არ გააჩნიათ ემპირიული საფუძველი ახალი დაკვირვებებისა და ექსპერიმენტების სახით, ფალსიფიკაციის მეთოდი წყვეტს მუშაობას.

მეცნიერული ცოდნის ზრდა, შესაბამისად ბუნებრივად დაკავშირებულია ამ ცოდნის მუდმივ გარდაქმნასთან, განუწყვეტელ გამდიდრება-გაუმჯობესებასთან.

„როდესაც მე ვლაპარაკობ მეცნიერული ცოდნის ზრდაზე, მხედველობაში მაქვს მისი პერმანენტული შეცვლა სულ უფრო უკეთესი და მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელი თეორიებით."

კ. პოპერის ევოლუციური ეპისტემოლოგია წარმოადგენს საკმაოდ პერსპექტიულ მეცნიერულ სქემას, რომელსაც შეუძლია წარმატებით ჩაერთოს ზოგად ევოლუციური წარმოდგენებით ბუნებრივ და სოციალურ მეცნიერებებში. რუსი ფილოსოფოსი ა.ვ. პანინი, პოსტპოზიტივიზმის სპეციალისტი, მიუთითებს რა მოცემულ ფაქტზე, ინტერპრეტაციას უწევს კ. პოპერის მიდგომას შემდეგნაირად: „ადამიანი (კ. ოპერის კონცეფციაში) წყვეტს შემგუებლობას გარემომცველ პირობებთან სახეშეცვლილი თავისი ბიოლოგიური სტრუქტურისა და ფუნქციების მეშვეობით მას შეაქვს ცვლილებები მეცნიერულ ცოდნაში,

ხოლო ბუნებრივი შერჩევის დანა იწყებს ჩვენი საცდელი გადაწყვეტილებებისა და ცოდნის ელიმინაციას (თავიდან მოშორება-ნ.ჩ.). ბიოლოგიური ევოლუცია გადადის კოგნიტურ ევოლუციაში, მაგრამ ევოლუციის პრინციპი, სწორედ ძალთა გამოცდისა და შეცდომების მეთოდი მთლიანად დაცულია“.

საბოლოო ჯამში, თანამედროვე ფილოსოფიის და მეცნიერების მეთოდოლოგიის მკვლევარები იხრებიან კ. ოპერის მეთოდოლოგიური იდეების გადაჭარბებული შეფასებისკენ, თვლიან რა, რომ შესაძლებელია მათი საკმაოდ ეფექტური გამოყენება ნებისმიერ მეთოდოლოგიური პროგრამის ჩარჩოებში.

მაშასადამე მეთოდი-ეს არის განსაზღვრული მტკიცე წესების ერთობლიობა, განკუთვნილი რაიმე მიზნის მისაღწევად. მეთოდოლოგია, ჯერ-ერთი, არის სწავლება რომელიმე მეცნიერების ძირითადი მეთოდების შესახებ, მეორეც, ამ მეთოდების ერთობლიობაა,ანუ მეთოდებისა რომელთაც კავშირი მოცემულ მეცნიერებასთან, ამასთან მეთოდოლოგიის პირველი განმარტება არის უფრო ღრმა თავისი მნიშვნელობით, ვიდრე მეორე.

კონკრეტულ პრობლემასთან მიმართებით, მეთოდოლოგიის არჩევა უნდა განვიხილოთ, როგორც ერთგვარი ხელოვნება. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია კარგად ვფლობდეთ კვლევის საგანს, რათა ადეკვატურად განვახორციელოთ მსგავსი არჩევანი. დამხმარეს ამ არჩევანში აგრეთვე წარმოადგენს მკვლევარის მეცნიერული ინტუიცია, რომლის გამომუშავება აუცილებელია სტუდენტობის პერიოდში.

არსებობს მეთოდოლოგიის დაყოფა სამ დონედ, მისი ზოგადობის ხარისხის მიხედვით: ზოგადი, ზოგადმეცნიერული, კერძომეცნიერული. ყველა მეცნიერების (სოციალური, საბუნებისმეტყველო, ტექნიკური) ზოგადი მეთოდოლოგიის როლს ასრულებს ფილოსოფია. ეკონომიკური მეცნიერება გამოიყენება ზოგად და ზოგადმეცნიერულ ზოგადი მეთოდოლოგიას, ფლობს რა აგრეთვე თავის კერძომეცნიერულ (კერძო) მეთოდოლოგიას.

ფუნდამენტური მეთოდოლოგიური კონცეფციების რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ სამი კონცეფცია: ჯერ ერთი, ტომას კუნის მეცნიერული რევოლუციებისა და პარადიგმების კონცეფცია, მეორეც, ი.ლაკატოსის კვლევითი პროგრამების

თეორია, მესამეც, კ. პოპერის კრიტიკული რაციონალიზმისა და ფალსიფიკაციონიზმის კონცეფცია.

თავი 3 - სოციალური შემეცნება და სოციალური რეალობის შესწავლის მეთოდები

1.სოციალური ეპისტემოლოგიის საგანი და ძირითადი ტრადიციები

სანამ შევუდგებით სოციალური ფაქტებისა და მოვლენების სამყაროს შესწავლის ძირითადი მეთოდების გაცნობას, აუცილებელია მცირე ექსკურსის გაკეთება თანამედროვე სოციალურ ეპისტემოლოგიაში და როგორც მის მიღწევებში, ასევე მის პრობლემებში გარკვევა. ეს საჭიროა იმიტომ, რომ სოციალური მეთოდოლოგია და სოციალური ეპისტემოლოგია ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში არიან: ეპისტემოლოგიური პრინციპები ავსებენ მეთოდოლოგიურს და პირიქით. ალბათ, ვიღაცას შეიძლება მოეჩვენოს, რომ სოციალური რეალობის ეპისტემოლოგია საკმაოდ მარტივია და მკაფიო, და ყველა ეპისტემოლოგი მოქმედებს ერთი და იგივე პარადიგმის ჩარჩოში. შემდგომში ადვილად დარწმუნდებით, რომ ეს ფილოსოფიაში უცოდინარი ადამიანის ნამდვილი ილუზიაა. სინამდვილეში სოციალური შემეცნების პროცესი იმდენად რთული და მრავალფეროვანია და წარმოდგენილია იმდენად დიდი რაოდენობის სკოლებით და მიმართულებით, რომ აქ ჩვენ იძულებულები ვართ მხოლოდ მათი მოკლე დახასიათებით შემოვიფარგლოთ.

აუცილებელია გავეცნოთ სოციოლოგიური კვლევების ძირითად მეთოდებს, რომლებიც პირობითად შეიძლება განვიხილოთ, როგორც სოციალური კვლევის მეთოდები. სოციალური კვლევის მეთოდები სინამდვილეში უფრო ბევრია, და კერძოდ, ეკონომიკური კვლევის მეთოდები მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავენ იმ მეთოდებს, რომლებსაც იყენებს სოციოლოგია.

სოციალური ეპისტემოლოგია (სოციალური გნოსეოლოგია [2]) - ეს არის ფილოსოფიური (სოციალურ-ფილოსოფიური) მეცნიერება, რომელიც იკვლევს სოციალური რეალობის (საზოგადოების, სოციუმის) შემეცნების ძირითად წესებს და სოციალური მეთოდოლოგიის (სოციალური რეალობის მეთოდოლოგიის) თეორიული ბირთვია.

სოციალური ეპისტემოლოგიის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ რამოდენიმე ძირითადი ტრადიცია. ამასთანავე, ყველა მათგანს ასე თუ ისე გააჩნია თავისი გაგრძელება თანამედროვე სოციალურ-ეპისტემოლოგიურ აზრში. თანამედროვე სოციალური ეპისტემოლოგიას ახასიათებს კონცეფციების პლურალიზმი, და ამიტომ ნებისმიერი საუბარი ერთიან სოციალურ ეპისტემოლოგიაზე არის უსაგნო.

აღვნიშნოთ თანამედროვე სოციალური ეპისტემოლოგიის ძირითადი ტრადიციები, თითოეული მათგანი მოიცავს ოთხ ფილოსოფიურ მიმართულებას: პოზიტივიზმი და მარქსიზმი; ნეოკანტელობა (ნეოკანტიანობა) და მაქს ვებერი (ვებერიანიზმი); სოციალური ფენომენოლოგია და ჰერმენევტიკა; პოსტსტრუქტუალიზმი და პოსტმოდერნიზმი.

ამ ოთხი ტრადიციიდან ყველაზე დიდ ყურადღებას ჩვენ ვაქცევთ პირველსა და მეორეს, ყველაზე ნაკლებს - მესამე და მეოთხეს, რაც შეესაბამება მათ გავრცელებას და პოპულარობას სამეცნიერო წრეებში. პოზიტივიზმი მის განსხვავებულ ინტერპრეტაციებში (მათ შორის მარქსისტულში) და ნეოკანტელობისაგან წარმოშობილი სწავლება მ.ვებერის სოციალური შემეცნების შესახებ არიან XX - XXI ს. დასაწყისის აბსოლუტური ლიდერები

[2] ცნებები „ეპისტემოლოგია“ და „გნოსეოლოგია“ არსებითად ერთმანეთის სინომიმებია, და ორივე შეისწავლის შემეცნების თეორიას („ეპისტემოს“,“გნოზის“- სწავლება, შემეცნება; „ლოგოს“- ცოდნა). თუმცა რუსეთის ფილოსოფიაში უფრო მეტად იყენებენ ტერმინს „გნოსეოლოგია“, მაგრამ სოციალური შემეცნების მხრივ ხშირად გამოიყენება ცნება „სოციალური ეპისტემოლოგია“; ტერმინი „სოციალური გნოსეოლოგია“ ხვდება ძალიან იშვიათად.

სოციალურ ეპისტემელოგიაში, თვითონ გადაფარავენ რა ყველა დანარჩენ სოციალურ-ეპისტემელოგიურ მიმართულებებს და კონცეფციებს.

2. პოზიტივიზმი და მარქსიზმი

პოზიტივიზმი - ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური სწავლებაა, რომელიც გამოჩნდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. მის ფუძემდებლად მიიჩნევა ფრანგი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ოგიუს კონტი (1798-1857). პირველად, ზუსტად მან შემოიღო ტერმინი „პოზიტივიზმი“, რომელიც გულისხმობს რაღაც „პოზიტიური („დადებითი“) ფილოსოფიის შექმნის შესაძლებლობას, თავისუფალს სპეკულაციებისგან და აბსტრაქტული (ამ სიტყვის ცუდი გაგებით) მეტაფიზიკური მსჯელობისაგან, და რომელსაც თავისთვის მოდელის სახით მიჩნეული აქვს საბუნებისმეტყველო (ემპირიული) მეცნიერებები, პირველ რიგში მათემატიკა და ფიზიკა.

კონტის თანახმად, სოციალური მეცნიერებები თავისი მეთოდისა და საგნის მიხედვით პრინციპულად არაფრით განსხვავდებიან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისგან. ზუსტად ისე, როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაზე მათ გააჩნიათ უნარი მოგვცენ სოციალური სამყაროს ერთადერთი სწორი და ობიექტური სურათი, მივიღოთ შედეგი, რომელიც წარმოადგენს ობიექტურ ჭეშმარიტებას. თვითონ სოციალური მეცნიერება, ისევე როგორც მთელი საზოგადოება, თავის განვითარებაში გადის სამ ძირითად სტადიას: თეოლოგიურს, მეტაფიზიკურს და პოზიტიურს. პირველ სტადიაზე, ადამიანის გონება სოციალური ფაქტების სამყაროს ახსნაში იყენებდა ზებუნებრივ ძალას; მეორე სტადიაზე ზებუნებრივის განმარტება ჩანაცვლებულ იქნა აბსტრაქტული მეტაფიზიკური არსობის ახსნით, რომელთა რიცხვს კონტი მიაკუთვნებდა ნებისმიერ ფილოსოფიურ განმარტებას: „კანონი“, „სუბსტანცია“, „აზრი“ და ა.შ. და ბოლოს, მესამე სტადიაზე მოქმედებაში შედის პოზიტიური მეთოდი, რომელიც ასუფთავებს სოციალურ სწავლებას სპეკულატიური „ნაყარისა“ და „აბსტრაქციისგან“: შედეგად, ეს უკანასკნელი თავისი სტრუქტურით ხდება ბუნებრივ-მეცნიერული ცოდნის მსგავსი. სოციალურ

ცოდნას შესწევს უნარი იყოს ასეთივე დონით დასაბუთებული და მტკიცებადი, როგორც ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, და იგი უნდა იყოს ასეთი, - რაზეც მრავალჯერ მიუთითა კონტმა.

XX საუკუნის პოზიტივიზმა (ჩვეულებრივ, მას უწოდებენ ლოგიკურ პოზიტივიზმს ან ნეოპოზიტივიზმს) უფრო მეტად შეიმუშავა და გააღრმავა კონტის ეს დებულებები. სოციალურ მეცნიერებებს წაეყენა კიდევ უფრო დიდი მოთხოვნები მათი ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის სახით, უფრო მეტად გამკაცრდა სოციალური ცოდნის საფუძვლების მეთოდოლოგიური კრიტიკა, საფუძვლიან გარჩევას დაექვემდებარა „ჭეშმარიტების“ პრობლემა სოციალურ შემეცნებაში. მაგრამ შედეგი დარჩა თითქმის იგივე: ზოგადად, სოციალური მეცნიერებები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მსგავსია და უნდა "მიბაძონ" მათ თავისი მეთოდებისა და მიზნების მიხედვით. უფრო კონკრეტულად ეს დავიდა შემდეგ მტკიცებულებებამდე: ჭეშმარიტება არის მხოლოდ მეცნიერული და სხვა არანაირი არ შეიძლება იყოს; მეცნიერული ჭეშმარიტება - ეს უპირველესად მათემატიკური და ლოგიკური ჭეშმარიტებაა; სოციალური მეცნიერებების მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს მტკიცებადობის და დასაბუთების ისეთივე კრიტერიუმები, როგორც ეს გამოიყენება საბუნებისმეტყველო მეცნიერებისადმი; სოციალურ მეცნიერებებში უნდა ჩატარდეს დემარკაცია - ზუსტისა და დამტკიცებული ცოდნის გამიჯვნა მეტაფიზიკურისგან და სპეკულატიურისგან; ჭეშმარიტება სოციალურ მეცნიერებებში უნდა იყოს ვერიფიცირებადი ან თუნდაც ფალსიფიცირებადი, სხვაგვარად საკითხი ჭეშმარიტების შესახებ საერთოდ არ უნდა განიხილებოდეს[3].

[3] შეგახსენებთ კიდევ ერთხელ: ვერიფიკაცია - ეს არის რაიმე მტკიცებულების ჭეშმარიტების დადგენა მათი მგრძობელობითი მონაცემების შედარებით ემპირიული ფაქტებთან; ფალსიფიკაცია - ეს არის რაიმე ჭეშმარიტების, ჰიპოტეზების, ან თეორიების შემოწმება (დამტკიცება ან უარყოფა) მათი შედარებით სწორად წარმართული კვლევების შედეგად მიღებულ ემპირიულ ფაქტებთან

დაახლოებით იგივე მეთოდოლოგიურ პრინციპებზე აგებდა თავის პოზიციას ასევე კარლ მარქსი (1818-1883).

ანალოგია სოციალურ და საბუნებისმეტყველო-მეცნიერულ შემეცნებასთან წარმოადგენს კარლ მარქსის და მისი თანამებრძოლის ფრიდრიხ ენგელსის კონცეფციის კვაკუთხედს, რომელსაც შემდგომში ეწოდა „მარქსიზმი“. მის თანახმად, საზოგადოების კანონები თავისი სტრუქტურის მიხედვით პრინციპულად არაფრით არ განსხვავდება ბუნების კანონებისაგან, იმ გამონაკლისის გარდა, რომ საზოგადოებრივი კანონები ძირითად მოქმედებენ როგორც კანონი-ტენდენციები, ე.ი. მათ გააჩნიათ ალბათობისა და სტატისტიკური ხასიათი[4]. თავისი არსით სოციალური მეცნიერება (ფილოსოფია, პოლიტეკონომია, იურისპრუდენცია და ა.შ.) არაფრით არ განსხვავდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებისგან (მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია და ა.შ.): იგი ისევე იკვლევს და შეისწავლის კანონებს, რომლებსაც კ.მარქსის ყველაზე ცნობილი განმარტებით გააჩნიათ ბუნებრივ-ისტორიული ხასიათი. საზოგადოების განვითარების განსაკუთრებულ ეტაპზე ეს კანონები ასევე შეისწავლება, როგორც სხვა ნებისმიერი. საზოგადოების კანონები თავისი არსით აბსოლუტურია მოქმედ სოციალურ ჯგუფების, კლასების, პარტიების და იდეოლოგიის მიმართ, ე.ი. ისინი დგანან მათზე მაღლა, ამავდროულად მათი ქმედება ვლინდება პროგრესული კლასის, სოციალური ფენის ან პარტიის პოლიტიკური და ეკონომიკური აქტივობით. კანონის ინტერპრეტაციაში არანაირი ფასეულობითი სხვაობა, და ასევე მათი ქმედებების დამამტკიცებელი სოციალური ფაქტები არ არის და არც შეიძლება იყოს: კანონების ინტერპრეტაცია მკაცრად ერთმნიშვნელოვანია, და მათი სწორი განმარტება სრულად ემთხვევა მეცნიერულ, სოციალურ ჭეშმარიტებას (მეცნიერული ჭეშმარიტება სოციალური ფაქტების და მოვლენების შემეცნებაში). ნებისმიერი

[4] ბუნების კანონები სოციალური კანონების საპირისპიროდ, იყოფა ორ კატეგორიათ: ალბათურ-სტატისტიკური (კანონი-ტენდენციები) და დინამიკური (ერთმნიშვნელოვან კავშირით: როდესაც მიზეზი იწვევს ერთი და იგივე შედეგს). მაგრამ სოციალური კანონები - ეს არის განსაკუთრებული ალბათურ-სტატისტიკურიკანონები.

სხვა მიდგომა ამ ჭეშმარიტების მიმართ ინტერპრეტირდება როგორც სოციალური სიცრუე - ცრუ ცოდნა სოციალური ფაქტების და მოვლენების გაგებით. ბურჟუაზიულ (კაპიტალისტურ) საზოგადოებაში, ერთადერთ პროგრესულ კლასს, რომელიც მიმართულია მეცნიერული სოციალური ჭეშმარიტების მისაღებად, წარმოადგენს პროლეტარიატი (მუშათა კლასი), ხოლო მისი ინტერესების გამომხატველია კომუნისტური პარტია. ნებისმიერი მოქმედებები პროლეტარიატის და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ხორციელდება რეაქციული პოზიციებიდან, ხოლო მსგავსი ქმედებების იდეოლოგიური იარაღი იქნება სოციალური სიცრუე - მეცნიერული ჭეშმარიტების წინასწარგანზრახული დამახინჯება სოციალური ფაქტების და მოვლენების მიმართ.

შედეგად, მარქსიზმს და პოზიტივიზმს აერთიანებს ერთიანი მიდგომა სოციალური ჭეშმარიტების პრობლემისადმი: მეცნიერული ჭეშმარიტება სოციალური ფენომენების მიმართ შესაძლებელია, და ის შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი; ყველა სხვა განმარტება იქნება მცდარი; ამასთანავე, სოციალური ჭეშმარიტების ცნება მოიცავს როგორც მტკიცებას თვით გასაანალიზებელი სოციალური ფაქტის ან მოვლენის მიმართ, ასევე მათ ნებისმიერ ინტერპრეტირებას ამა თუ იმ ფასეულობების პოზიციიდან.

3. ნეოკანტელობა (ნეოკანტიანობა) და მაქს ვებერი (ვებერიანიზმი)

მივმართოთ ნეოკანტელებს და მაქს ვებერს. ნეოკანტელობა[5] - უმსხვილესი ფილოსოფიური მიმართულებაა XIX ს. გერმანული საზოგადო-ისტორიული აზროვნების ისტორიაში. მისი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლებია: ვ.ვინდელბანდი, ე.კასირერი, გ.რიკერტი.

[5] სწავლების სახელწოდება სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „აღორძინებული, განახლებული კანტელობა“. კანტელობა - XVIII საუკუნის უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსის ემანუილ კანტის (1724-1804) კონცეფცია.

ეს ფილოსოფები პირველად მეცნიერების მეთოდოლოგიის ისტორიაში შეეცადნენ რადიკალურად გაემიჯნათ საბუნებისმეტყველო მეცნიერება („მეცნიერება ბუნების შესახებ“) სოციალურ მეცნიერებისგან („მეცნიერება კულტურის“, „მეცნიერება სულის“ შესახებ). ნეოკანტელების თანახმად, „მეცნიერება ბუნების შესახებ“ განსხვავდება „მეცნიერება კულტურის“-გან, მინიმუმ ორი ნიშნით: 1. კვლევის მეთოდის მიხედვით; 2. შესასწავლი კანონების ტიპის მიხედვით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები - ეს არის მეცნიერებები „გენერალიზირებადი“ მეთოდით, და კანონები, რომლებსაც ისინი ადგენენ - „ნომოთეტიკური“ კანონებია. პირველი დაკავშირებულია მეორესთან: ნომოთეტიკური კანონები - ეს განმეორებადი კანონებია, რომლების განზოგადოება (გენერალიზირება) შესაძლებელია შესაბამისი გენერალიზირებადი მეთოდის მეშვეობით. გენერალიზერებადი მეთოდი - მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა გამოვყოთ მოვლენების ერთობლიობიდან მათთვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები. როგორც შედეგი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში არსებობს საგნების და მოვლენების განმეორებადი კავშირი; მისი აღნიშვნა შესაძლებელია, როგორც „კანონი“ და კვლევა ხელმისაწვდომი საშუალებით და ინსტრუმენტებით.

სოციალური მეცნიერებები კი პირიქით - ეს არის მეცნიერებები „ინდივიდუალურიზირებული“ მეთოდით, მიმართული ობიექტების ინდივიდუალური, განსაკუთრებული მახასიათებლების შესასწავლად: ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ სოციალური მოვლენები (პირველ რიგში ისტორიული მოვლენები) - წარმოადგენს თავისი ბუნებით განუმეორებელ და უნიკალურ მოვლენებს. იმ კანონთა ტიპი, რომელშიც ეს მოვლენებია, აღინიშნება როგორც „იდეოგრაფიკული“, ე.ი. რომელიც მოგვითხრობს განსაკუთრებულზე, ერთადერთზე, განუმეორებელზე. მსგავსი კანონების საფუძველს ქმნის თითოეული სუბიექტისთვის საკუთარი, ორიგინალური ფასეულობების სისტემა, ამასთანავე, ეს ყველა სისტემა ერთნაირად დასაშვებია და საბოლოოდ შეუთავსებელია ერთმანეთთან. შედეგად, ნებისმიერი მეცნიერის

(ან საზოგადოების ნებისმიერი წევრის) სოციალური კანონების ინტერპრეტაცია იქნება ყოველთვის ორიგინალური, საკუთარი და სხვისი ინტერპრეტაციისგან განსხვავებული.

ნეოკანტელობის იდეები გააღრმავა და გადაამუშავა იმ ფორმად, რომელიც შემდგომში გახდა კლასიკური, ცნობილმა გერმანელმა სოციოლოგმა, ფილოსოფოსმა და ეკონომისტმა მაქს ვებერმა (1864-1920).

მ. ვებერის ძირითადი ნაშრომები სოციალური შემეცნების მეთოდოლოგიაში - სტატიები: „სოციალურ-მეცნიერული და სოციალურ-პოლიტიკური შემეცნების ობიექტურობა“, „კრიტიკული კვლევები კულტურის შესახებ ლოგიკის დარგში“, „აზრი „თავისუფლება შეფასებისგან“ სოციოლოგიურ და ეკონომიკურ მეცნიერებაში“, „პოლიტიკა როგორც მოწოდება და პროფესია“.[6]

ამ სტატიებიდან პირველში („სოციალურ-მეცნიერული და სოციალურ-პოლიტიკური შემეცნების ობიექტურობა“) ვებერმა საკმაოდ განსაზღვრულად ჩამოაყალიბა დებულება იმის შესახებ, რომ სოციალურ მეცნიერებებში ნებისმიერი თვალსაზრისი წარმოადგენს „ობიექტური“ აზრის და „სუბიექტური“ შეფასების მეცნიერული ანალიზის სინთეზს, რომელიც დაკავშირებულია სუბიექტთან ამა თუ იმ შეფასების სისტემის არსებობასთან, ამასთანავე ყოველთვის რთულია იმის გაგება, თუ სად მთავრდება „ობიექტური მეცნიერება“ და იწყება „სუბიექტური ფასეულობები“.

„ემპირიული სოციალური მეცნიერების სფეროში კულტურაზე იმის გააზრებული შემეცნება, რაც მოვლენების ნაკადში ჩვენთვის არსებითია, დაკავშირებულია ... სპეციფიკური თვალსაზრისის განსხვავებულობის მუდმივ გამოყენებასთან, რომელიც დასკვნით ეტაპზე შეესაბამება ფასეულობების იდეებს და წარმოადგენს რა ადამიანისეული გააზრებული ქმედებების ელემენტებს, უშვებს ემპირიულ კონსტანტაციას და თანაგანცდას, მაგრამ არა

[6] Вебер М. Избранные произведения.М.,1990.

დასაბუთაბას ემპირიული მასალით თავის მნიშვნელობაში. შემეცნების „ობიექტურობა“ სოციალური მეცნიერებების სფეროში ხასიათდება იმით, რომ ემპირიული მოცემულობა ყოველთვის შეესაბამება ფასეულობების იდეებს. ამა თუ იმ დონით ყველა ჩვენთვის დამახასიათებელი რწმენა უმაღლესი ფასეულობების იდეების ზემპირიულ მნიშვნელობაში, რომელშიც ჩვენ ვხედავთ ჩვენი ყოფის აზრს, არამც თუ არ უარყოფს კონკრეტული თვალსაზრისის უსაზღვრო ცვლილებებს, არამედ მოიცავს მას.“[7]

ვებერმა „კრიტიკულ კვლევებში“ კიდევ ერთხელ, საბოლოოდ გაყო „კაუზალური (მიზეზობრივი) ანალიზი“, დაკავშირებული „სოციალური ფაქტის ჭეშმარიტების“ დადგენასთან, და ინდივიდის „შეფასებით მსჯელობასთან“, რომელიც ეფუძნება მის ფასეულობებს.

„კაუზალური ანალიზი არასდროს არ იძლევა ინდივიდის შეფასებით მსჯელობას, ხოლო შეფასებითი მსჯელობა სულაც არ არის კაუზალური განმარტება“[8].

შედეგად, პოზიტივიზმის და მარქსიზმის თვალსაზრისი, რომელიც აერთიანებს სოციალურ და საბუნებისმეტყველო კანონებს ერთ საერთო რიგში, ვებერის თანახმად, არის უსუსური. ბუნების კანონები შეიძლევა ობიექტურად შევიცნოთ, რადგან შემეცნებითი სუბიექტი არ იყენებს მათ გამოკვლევებში სოციალური ფასეულობების საკუთარ სისტემას, რის შედეგადაც აქ „სუბიექტური“ ფაქტიურად დაყვანილია ნულამდე [9] . „საზოგადოების კანონების“ მიმართ კი რეალობის სურათი (ახლა საქმე გვაქვს უკვე სოციალურ რეალობასთან) რადიკალურად იცვლება: აქ მკვლევარი მასში „რთავს“ (რეალობის სურათში) თავის ფასეულობით მიდრეკილებებს

[7] Вебер М. Избранные произведения. М.,1990.С. 413.
[8] Вебер М. Избранные произведения. М.,1990.С. 425
[9] რა თქმა უნდა, გასულ ეპოქაში იყო საკმარისი გამონაკლისები. გავიხსენოთ თუნდაც გამძაფრებული პოლემიკა XVI-XVII სს. კოპერნიკის ჰელიოწენტრისტული სისტემის შესახებ, რომლის თანმახლები იყო რომის კათოლიკური ეკლესიის მხრიდან მრავალი გამოჩენილი მეცნიერის შევიწროება და დევნა.

(იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ა.შ.), რომლებიც თითქოს „ჩართულია“ სოციალურ ცოდნაში და ამა თუ იმ დონით ქმნიან მას სუბიექტურს.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ სოციალური მეცნიერებიდან სრულად უჩინარდება ნებისმიერი ობიექტური ჭეშმარიტება - ადამიანისგან და მსოფლიოსგან სრულიად დამოუკიდებელი ჭეშმარიტება? დიახ, და არა. დიახ, იმიტომ რომ ადამიანთა საზოგადოებაში სუბიექტური მიკერძოვებისგან სრულიად დამოუკიდებელი ჭეშმარიტება უბრალოდ არ არსებობს. შესაძლებელია მხოლოდ ჭეშმარიტების ინტერსუბიექტური ვარიანტი - ის, რასაც შეთანხმებით ვეძახით ჭეშმარიტებას, ის რაც გამოხატავს ზოგად ნებას ან ყველა ადამიანის, ან მათი უმრავლესობის ნებას. არა, იმიტომ, რომ ობიექტური ჭეშმარიტება როგორც ფაქტის ჭეშმარიტება აგრძელებს არსებობას: „პირველი მსოფლიო ომი დაიწყო 1914 წელს“, „ბრძოლა ბოროდინოსთან ნაპოლეონის და რუსეთის არმიათა შორის კუტუზოვის მეთაურობით შედგა 1812 წ. 26 აგვისტოს“ და ა.შ. და ა.შ. მაგრამ, როგორც კი ეს ჭეშმარიტება ფაქტის ფარგლებს გარეთ გადის, მისი ინტერპრეტაციების სფეროში მოქმედებებში შედის სუბიექტური შეფასებები. მაგალითად, ისევ ბოროდინოს ბრძოლის შესახებ: ვისი გამარჯვებით დასრულდა იგი - რუსების თუ ფრანგების? ფრანგი ისტორიკოსების უმრავლესობა ამტკიცებს, რომ იგი მოიგო ნაპოლეონმა, იმიტომ რომ კუტუზოვი იძულებული იყო უკან დაეხია. რუსი ისტორიკოსები კი დარწმუნებულები არიან, რომ კუტუზოვს ბრძოლა არ წაუგია (თუმცა მან დაიხია, მაგრამ მან შეინარჩუნა არმია). შედეგად იყო „ყაიმი“, თუ შეიძლება ამ სიტყვის ამ კონტექსტში გამოყენება. გამოდის, რომ ძირითადი დავა მიდის ინტერპრეტაციის და არა თვით ფაქტის ირგვლივ. შეიძლება თუ არა სხვადასხვა ინტერპრეტაციების შერიგება? პრინციპში, შეიძლება თუმცა მიღებული შედეგი ისევ იქნება „ინტერსუბიექტური ხელშეკრულების“ რაღაც ვარიანტი, ვიდრე ობიექტური ჭეშმარიტება.

შედეგად, ვებერის და ნეოკანტელების პოზიციამ მიგვიყვანა სოციალურ მეცნიერებებში ჭეშმარიტების პრობლემის რადიკალურ გადახედვამდე. მან

მკვლევრებს უბიძგა იმ მოსაზრებამდე, რომ სოციალურ შემეცნებაში მნიშვნელოვანია არა მარტო თვით შემეცნება (ჭეშმარიტების ძებნის მხრივ), არამედ გაგებაც, (როგორც კონსენსუსის ძიება ჭეშმარიტების ინტერპრეტაციის ირგვლივ). ამასთან დაკავშირებით მართებული იქნება საუბრის დაწყება სოციალური ფენომენოლოგიის და ჰერმენევტიკის შესახებ.

4. სოციალური ფენომენოლოგია და ჰერმენევტიკა

ჰერმენევტიკა (სახელწოდება მოდის ჰერმესიდან - დამწერლობის ღმერთი ძველ საბერძნეთში, და ასევე „ჰერმენეოსგან“-ახსნა, განმარტება) როგორც ფილოსოფიური მიმართულება ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მისი წარმოშობა დაკავშირებულია გერმანელი მეცნიერის ვილჰელმ დილტეს (1833-1911) სახელთან. დილტეს სოციალური ეპისტემოლოგიის ფუძემდებელი თეზისი გამოიყურება შემდეგნაირად: ნაწილობრივ ეთანხმებიან რა ნეოკანტელებს, ის ხაზს უსვავს ფასეულობების აღრიცხვის აუცილებლობას სოციალური მოვლენების შემეცნებაში; თუმცა მისთვის ეს მხოლოდ ერთ - ერთი მომენტია ადამიანის მიერ გამოსაკვლევი სოციალური მოვლენების და ფაქტების განცდებში „ჩართულობის“ პროცესისა. გერმანელი ფილოსოფოსის თანახმად, ზუსტად ეს განცდა აძლევს საშუალებას მეცნიერს, რომელიც შეისწავლის მსგავს მოვლენებსა და ფაქტებს, ამაღლდეს მათი ჰერმენევტიკულ ჩაწვდომამდე, ხოლო უფრო ზუსტად მათ გაგებამდე. „გაგება“ - შემეცნების უმაღლესი საფეხურია, ხოლო „განმარტება“ (მათ შორის „მეცნიერული განმარტება“) დილტეს მიერ აიხსნება, როგორც სოციალური რეალობის ფილოსოფიური ჩაწვდომის წინასწარი („გაგების“ წინამორბედი) საფეხურები.

მაგრამ დილტეს პოზიცია ასე პრიმიტიულად არ განიმარტება - თითქოს იგი ითხოვდა როგორც წარსულის, ასევე აწმყოს და მომავლის სოციალურ რეალობაში, რაღაც მისტიკურ მგრძნობელობას. პირიქით, იგი მოუწოდებდა როგორც სუბიექტურის, ასევე ობიექტურის ერთიანობისკენ სოციალურ შემეცნებაში, რომლის შედეგიც უნდა გამხდარიყო „ჰერმენევტული ცოდნა“.

რუსი ფილოსოფოსი ა.ფ.ზოტოვი ახდენს დილტეს პოზიციის ილუსტრირებას შემდეგი მოსაზრებით:

„ისტორიკოსი სულაც არ უნდა ისწრაფოდეს ინდივიდუალური მოვლენების აღსაწერად (რისკენაც მოუწოდებდნენ იდეოგრაფული მეთოდის ნეოკანტელი მიმდევრები - „ფასეულობის მიკუთვნების“ გარეშე არ წარმოიქმნებოდა არანაირი ისტორიული მეცნიერების ცნებები); იგი ისწრაფვის მოვლენების და პროცესების ზოგად გაგებისკენ. ამაზე მეტყველებს ასეთი ცნებები, როგორიცაა „შუასაუკუნის საზოგადოება“, „ეროვნული ეკონომიკა“, „ახალი დროის რევოლუციები“. იმ დროსაც, როდესაც ისტორიკოსი დაკავებულია ბიოგრაფიებით, მაშინ ნედლი მასალის როლში გამოდიან მოვლენები ან დოკუმენტები (წერილები, მოგონებები, დღიურები, და ა.შ.). მაგალითად, ისტორიკოს მოსურდა ბისმარკის, როგორც დიდი პოლიტიკური მოღვაწის გაგება, - რა ახდენდა მასზე გავლენას, რა იყო მისთვის მნიშვნელოვანი, რა მიზნებისკენ ისწრაფოდა და რატომ; ვინ და რატომ იყო მისი მოკავშირე და მოწინააღმდეგე, როგორ იყენებდა შექმნილ სიტუაციას ან თავისი ინტერესებიდან გამომდინარე შეეძლო თუ არა მისი შეცვლა; რატომ შეიქმნა პრუსიაში და ევროპაში ასეთი პირობები; რა მნიშვნელობა ქონდა სახელმწიფოს ამ ქვეყანაში, და რით განსხვავდებოდა იგი სხვა ევროპული ქვეყნებისგან და ა.შ. და ა.შ. ყველაფერი ამისათვის მას, ისტორიკოს სჭირდებოდა ზოგადი ცნებები. ამიტომ ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ რაღაცნაირად „შეერწყას“ ბისმარკს ფსიქოლოგიურად, არამედ როგორც პიროვნებასთან მოხდეს საკუთარი თავის „იდენტიფიცირება“: ისტორიკოს, რომელსაც მოსურდა ბისმარკთან სიტუაციის „გარჩევა“, ვალდებულია შეისწავლოს პრუსიის სახელმწიფო სტრუქტურა, მისი მეურნეობის მდგომარეობა, საგარეო პოლიტიკის თავისებურებები და ტრადიციები, ევროპაში და მსოფლიოში ძალთა გადანაწილება, ასევე ქვეყნის კონსტიტუცია, რელიგიის თავისებურებები, და

ასევე სხვა მრავალი. ისტორიული პიროვნების გაგება გულისხმობს ამ „ზოგადი ცოდნის“[10] „გაშუალედურობა“-ს.

თავის მნიშვნელოვან ნაწილში ჰერმენევტიკის იდეები ატაცებულ იქნა სოციალური ფენომენოლოგიის მიერ - სოციალურ-ფილოსოფიური სწავლების მიერ, რომლის ფუძემდებლად ითვლება ავსტრიელი ფილოსოფოსი და სოციოლოგი ალფრედ შუცი (1899-1959). თავისი თანამემამულისგან, ფენომენოლოგიის გამოჩენილი წარმომადგენლისგან ედმუნდ ჰუსერლისგან, შუცმა გადმოიღო ცხოვრებისეული სამყაროს იდეა, და ზუსტად ის გახდა შუცის სოციალურ-ფენომენოლოგიური კონცეფციის ცენტრალური იდეა.

ცხოვრებისეული სამყარო - ეს არის ცხოვრებისეული გამოცდილების უშუალო, რეფლექსური, ინტუიციურად განცდილი სფერო, რომელიც ყალიბდება და განმტკიცდება საღი აზრის დონეზე. შუცის ფენომენოლოგიის მეორე მნიშვნელოვანი ცნებაა - „ყოველდღიურობის“ ცნება როგორც დაძაბული, ყველანაირ ეჭვს მოკლებული ყურადღება ცხოვრებისაკენ, რომელიც გულისხმობს ერთიან „მე“-ს და პიროვნებაზე მოქმედი გარემოს სხვადასხვა პროექტების გამოვლენას.[11]

შუცის თანახმად ინდივიდის საკუთარი ბიოგრაფია ახდენს მისი განსაკუთრებული „ცხოვრებისეული სამყარო“-ს, მისი ბიოგრაფიული გარემოს კონსტრუქტუირებას, სადაც ინდივიდის საკუთარი „მე“ ხდება შემეცნებითი პერსპექტივის წენტრი, რომელიც ახდენს გაგების თითოეული აქტის ორგანიზებას და გარე ფაქტის ინტერპრეტაციას. შედეგად, არ არსებობს

---

[10] Зотов А.Ф. История Западной философии.М., 2001. С. 158-159

[11] „თეორიული სოციოლოგიის ისტორია“- ის კურსის ავტორები იძლევიან ყოველდღიურობის განსაზღვრის შემდეგ განმარტებას: „ყოველდღიურობა - ეს არის ადამიანისეული გამოცდილების სფერო, რომელიც ხასიათდება ცხოვრების აღქმისა და განცდის თავისებური ფორმით, რომელიც წარმოიქმნება სამუშაო საქმიანობის საფუძველზე. მისთვის დამახასიათებელია გონების დაძაბულ-ფხიზელი მდგომარეობა, ცხოვრებაში პიროვნული მონაწილეობის ერთიანობა, რომელიც წარმოადგენს არსებული ობიექტების, მოვლენების, პიროვნებების და სოციალური ურთიერთქმედებების ერთობლიობას.“ //თეორიული სოციოლოგიის ისტორია. ტ.3. მ., 1998. გვ.289

სოციალური რეალობის ზოგადი ცნება, მასზე ცოდნა აღმოჩნდა სოციალურად გადანაწილებული და განსაკუთრებულად ინდივიდუალური, ე.ი. ერთი ინდივიდის ცოდნა არ ნიშნავს სხვა სუბიექტის ცოდნას.

„ცოდნა სოციალურად გადანაწილებულია... მაგრამ არსებული ცოდნის მარაგი განსხვავებულია სხვადასხვა ინდივიდთან, და ყოველდღიური აზროვნება ითვალისწინებს ამას. არა მარტო ის, რაც იცის ინდივიდმა, განსხვავებულია იმისგან რაც იცის მისმა მეზობელმა, არამედ ისიც, რომ ორივემ იციან ერთი და იგივე ფაქტები. ... თითოეულ მომენტში ნებისმიერი ინდივიდუალური მარაგები სტრუქტურდება როგორც სიცხადის, განსაზღვრულობის და სიზუსტის სხვადასხვა დონის ზონები.

.ამ ინდივიდუალური განსხვავებების ცოდნა თავისთავად არის ყოველდღიური გამოცდილების ელემენტი: მე ვიცი ვისთან და როგორ, რა ტიპიურ გარემოებებში უნდა მივმართო კომპეტენტურ ექიმს ან იურისტს კონსულტაციისათვის. სხვა სიტყვებით, ყოველდღიურ ცხოვრებაში მე ვახდენ ნაცნობობის, მასშტაბების და სხვისი ცოდნის სტრუქტურის სხვა სფეროების კონსტრუირებას“[12].

რადგან სოციალური რეალობის შემეცნება მკაცრად ინდივიდუალურია, შუცის წინაშე წარმოიქმნა შემდეგი დილემა: როგორ დავადგინოთ სოციალური, ობიექტური კავშირი ინდივიდუალური სოციალური შემეცნების სხვადასხვა ტიპებს შორის და როგორ მოვახდინოთ ამ სოციალური შემეცნების ორგანიზება ერთ მთლიანობაში? როგორ გადავაქციოთ „ყოველდღიური შემეცნება“ „მეცნიერულ შემეცნებად“?

შუცი უფრო ზუსტად, ამ პუნქტში მოსინჯავს გადაწყვეტილებას, და არა გვთავაზობს მას:

[12] Шюц А. Здравый смысл м науная интерпретация человеческой деятельности. Вестник СпбГУ.1994. Сер6. Вып.4. С.47.

„სოციალური სამყაროს ყველა მეცნიერული ახსნა... უნდა შეესაბამებოდეს ადამიანისეული ინდივიდების მოქმედებების სუბიექტურ მნიშვნელობს, საიდანაც იწყება სოციალური რეალობა“[13].

შედეგად, სოციოლოგიურმა ფენომენოლოგიამ უფრო მეტად, ვიდრე ნეოკანტელობამ და ჰერმენევტიკამ, გააძლიერა სუბიექტურის შემეცნება სოციალური ფაქტების და მოვლენების სამყაროს შემეცნებაში და სოციალური შემეცნებიდან რაღაცით აღმოფხვრა ობიექტური. დაახლოებით ასეთივე მიმართულებით მუშაობდნენ და აგრძელებენ მუშაობას კიდევ ორი ფილოსოფიური მიმართულება - პოსტსტრუქტურალიზმი და პოსტმოდერნიზმი.

5. პოსტსტრუქტურალიზმი და პოსტმოდერნიზმი

პოსტსტრუქტურალიზმი და პოსტმოდერნიზმი - ორი ერთმანეთის მსგავსი ფილოსოფიური და კულტუროლოგიური მიმდინარეობაა, რომლებმაც მიიღეს ფართო გავრცელება, დაწყებული XX ს. 60-იანი (პოსტსტრუქტურალიზმი) და 80-იანი (პოსტმოდერნიზმი) წლებიდან.

პოსტსტრუქტურალიზმის გენეზისის საფუძველს წარმოადგენს სტრუქტურალიზმი - მეთოდოლოგიური კონცეფცია, რომელიც ჰუმანიტარულ დისციპლინებში გამოვლინდა XX ს. დასაწყისში და ყურადღებას ამახვილებდა გამოსაკვლევი ობიექტების სტრუქტურის ანალიზზე. წინა საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისიდან სტრუქტურალიზმი გავრცელდა ასევე სოციალური მეცნიერებების სფეროში, მიაღწია რა უმაღლეს აღზევებას ფრანგი ფილოსოფოსის და სოციოლოგის პიერ ბურდიეს (1921-2001) ნაშრომებში. ბურდიე საკუთარ კონცეფციას უწოდებდა „კონსტრქუტივისტული სტრუქტურალიზმი“ ან „სტრუქტურალისტური კონსტრუქტივიზმი“.

---

[13] Shutz A. Concepts and Theory Formation in Social Sciences. In: Natanson M. (ed.) The Philosophy of the Sciences. N.Y.,1963.

ბურდიეს თანახმად, სოციალური რეალობა იმყოფება „ორმაგი სტრუქტურირების“, ე.ი. სუბიექტისა და ობიექტს შორის მიზეზობრივ-შედეგობრივი კავშირის განსაკუთრებული ორმაგი პროცესის დადგენის მდგომარეობაში: თავდაპირველად სუბიექტის („აგენტი“ ან „ჰაბიტუსი“[14]) -ს მიერ სოციალური რეალობა აღიქმება როგორც ობიექტური ან გარე მისი მოქმედებების მიმართ, ხოლო შემდგომში სოციალურ სივრცეში ჰაბიტუსის პრაქტიკული მოქმედებებიდან გამომდინარე, სოციალური რეალობა ჰაბიტუსის მოქმედების ველში, შემოდის როგორც სუბიექტური მომენტი.

„პრაქტიკოსები“ როგორც სუბიექტების მოქმედების შედეგი ერთიანდებიან „ველში“, ხოლო „ველი“ ახდენს სუბიექტების ურთიერთქმედების „სოციალური სივრცის“ კონსტრუირებას. ველის სტრუქტურა ასახავს ფარდობას სხვადასხვა ჰაბიტუსებს შორის, რომლებიც იბრძვიან „სიმბოლური კაპიტალის“ გადასანაწილებლად მისი განსხვავებული სახით: ეკონომიკური, კულტურული, სოციალური და ა.შ. კაპიტალის ოდენობა, რომლებსაც განაგებს ჰაბიტუსი, წარმოადგენს სოციალურ სივრცეში მისი პოზიციის მნიშვნელოვან მახასიათებელს. ბურდიეს სოციალური ეპისტემოლოგია ამტკიცებს აგენტების თავის საკუთარ პრაქტიკასთან მჭიდრო ურთიერთობების პრინციპს, რომელიც ჰაბიტუსების თვით ვერბალური მტკიცებულებები გადაჰყავს ინსტიტუციონალურ ფაქტებში:

„აგენტები უფრო რაღაცნაირად წამოეგებიან საკუთარ პრაქტიკას, ვიდრე ირჩევენ მას თავისუფლად ან მათ უბიძგებენ მექანიკური იძულების გზით“[15].

„როდესაც საუბარია სოციალური სამყაროს შესახებ, მაშინ ავტორიტეტულად საუბარი - ნიშნავს აკეთო: თუ, მაგალითად, მე

[14] ლათინური სიტყვა habitus - ჩვევა, მდგომარეობა
[15] Бурдье П. Начала. М., 1994.С.161.

ავტორიტეტულად ვაცხადებ, რომ სოციალური კლასები არსებობენ, მე გარკვეულწილად ხელს ვუწყობ მათ არსებობას“[16].

ამრიგად, პიერ ბურდიემ ძალიან მოულოდნელად დაგვაბრუნა ვითომ და უარყოფილ გნოსეოლოგიურ პრინციპთან „ყოფისა და აზროვნების იგივეობა“: ყველაფერი ის რაც არსებობს სოციალური მოაზროვნეების თავებში, არსებობს ასევე რეალურ სინამდვილეში! ასეთია პოსტსტრუქტუალიზმის სოციალურ - ეპისტემოლოგიური პარადოქსალური სამყარო, რომლის ლაბირინტებშიც სხვა ნებისმიერი მოაზროვნე (გარდა თვითონ პოსტრუქტუალისტისა) ბუნებრივად, ადვილად დაიკარგება.

პოსტმოდერნიზმი - კიდევ ერთი რადიკალური სოციალურ-ეპისტემოლოგიური სწავლება, ძირითადად წარმოდგენილი ფრანგი ფილოსოფოსებით: ჟ.ბოდრიარი, ფ.ლიოტარი, ჟ.დელეზი, ფ.გვატარი, ჟ.დერიდი და ა.შ.

პოსტმოდერნისტული სოციალური ეპისტემოლოგიის საწყისი პუნქტია - ფრაგმენტარობის, გახლეჩილობის, სოციალური ცოდნის ფარდობითობის იდეა; არც ერთ სუბიექტს არ ძალუძს ამ ცოდნის ერთ მთლიანობაში გაერთიანება.

„პოსტმოდერნიზმის თანახმად, მთელი ცოდნა აღმოცენდება შემეცნებადი სუბიექტების შეზღუდული, შეფარდებითი პოზიციების ან პერსპექტივებისგან. არც ერთ მათგანს არ შეუძლია იყოს პრივილეგირებული, ე.ი. უფრო ჭეშმარიტი, ვიდრე სხვა, ე.ი. არ არის და ვერც იარსებებს ადგილი უნოვერსალური შემეცნებითი სისტემებისათვის. ხოლო ისინი, ვინც მათზე აცხადებს პრეტენზიებს, ანიჭებენ საკუთარ თვალსაზრის აშკარად უცხო, უკვე არა შემეცნებით ძალას, მაგალითად ძალაუფლების, ან დამრთგუნველი ავტორიტეტის ძალის, და არა ჭეშამრიტების, უფრო ზუსტად მისი მოძიების და

[16] Бурдье П. Начала. М., 1994.С.87.

წყურვილის. ცხოვრების მრავალსახეობის ჩაწვდომა შეიძლება მხოლოდ შემეცნების მრავალსახეობით (ოპოზიციის, თვალთახედვის, სუბიექტების)“[17].

შედეგად, პოსტმოდერნისტები უარყოფენ როგორც რაღაცნაირი ობიექტური სოციალური ეპისტემოლოგიის კონსტრუირების შესაძლებლობას: მათთვის მთელი სოციალური ეპისტემოლოგია სუბიექტურია, არსებობს მრავალი განსხვავებული სოციალური ეპისტომელოგია („ეპისტემოლოგიების პლურალიზმი“), რომლებსაც მივყავართ იქით, რომ თვითონ ეპისტემოლოგია ხდება „თამაში“ სხვადასხვა აზრით და მნიშვნელობით, მათი ურიცხვი თავისუფალი „კონსტრუირება“.

პოსტმოდერნისტულ სოციოკულტურულ სიტუაციაში შემეცნებითი საქმიანობაც ხშირად განიმარტება როგორც უსასრულო ტრანსფორმაციების და ინტერპრეტაციების სივრცე. ამ გაგებით, სოციალური შემეცნება განიმარტება, როგორც მრავალი ინდევიდების ქმედებების მიერ ელემენტებისგან კონსტრუირებული სხვადასხვა სამყარო, რომლებიც ჩართულია განსხვავებული სახის პრაქტიკებში, ეს ქმედებები არაფრით არ არის რეგლამენტირებული, გარდა კომუნიკატიური კავშირების. ინტერესი უნივერსალური კანონების მიმართ გამოიდევნება ინტერესით ცალკეულის და განსაკუთრებულის მიმართ. რადგან, პოსტმოდერნისტული მსოფლმხედველობა სხვაგვარად განსაზღვრავს ადამიანის ადგილს სამყაროში, შესაბამისად იგი ფლობს უფრო სუსტ წინასწარმეტყველური შესაძლებლობებით, ვიდრე კაუზალური, და იგი არ არის მიმართული ზოგადი უპირობო ისტორიული კანონების მოძიებაზე, არამედ მხოლოდ იძლევა განმარტებების კონტურებს, რომლებიც ასევე ისტორიულია და შემთხვევითი. პოსტმოდერნისტი არ ეკითხება: „ჭეშმარიტია თუ არა ეს?“; ის სვავს კითხვას: „რა მნიშვნელობა აქვს ამას?“[18].

[17] Гречко П.К. Концептуальные модели истории.М.,1994.С.95.
[18] Зыкова Г.Н. Постмодернистская культура и социальное познание //Философия и общество. 2001.№4...

შედეგად, პოსტმოდერნიზმში სოციალური ეპისტემოლოგიების პლურალიზმს მივყავართ „სოციალური ჭეშმარიტების“ პლურალიზმთთან და ზოგადად ჭეშმარიტების ცნების რელატივიზმთან. „ჭეშმარიტება შეიძლება იყოს ყველაფერი, რასაც აქვს რაიმე მნიშვნელობა იმისთვის, ვინც რადაცას ამტკიცებს“, - ასეთია პოსტმოდერნიზმის დამაგვირგვინებელი ეპისტემოლოგიური პუნქტი.

ამრიგად, სხვადასხვა სოციალურ-ეპისტემოლოგიური კონცეფციების ზოგადმა მიმოხილვამ ჩვენ უნდა გაგვარიდოს თანამედროვე სოციალური ეპისტემოლოგიების „სიმარტივსგან“ და „ბუნებრიობისგან“, რომლის დასკვნებსაც, თავის მხრივ, ექნება არსებითი მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერების [19] მეთოდოლოგიისთის. პირიქით, თანამედროვე მიდგომები სოციალური შემეცნების მიმართ გამოირჩევა დიდი ნაირსახეობით, და ამიტომ ერთადერთი ჭეშმარიტი გადაწყვეტილების პოვნა აქ იქნება აშკარა ცდომილება.

6. ემპირიული დონე სოციალურ შემეცნებაში

წინა თავებში სხვადასხვა ეპისტემოლოგიური ტრადიციების ანალიზისას ჩვენ ფაქტიურად უკვე შევეხეთ სოციალურ შემეცნებაში ემპირიული და თეორიული დონეების შესაბამისობის საკითხს. ახლა ჩვენ მოგვიწევს ამ პრობლემაში უფრო მეტად ჩაღრმავება და მისთვის დასკვნითი გადაწყვეტილების მიცემა.

სოციალურ შემეცნებაში ემპირიულ დონეს შეადგენს ორი ძირითადი ემპირიული მეთოდი - დაკვირვება და ექსპერიმენტი, და ასევე გაზომვის პროცედურა. მოცემული ემპირიული მეთოდების უპირველესი ამოცანაა - პირველადი ემპირიული განზოგადოებისათვის, და ასევე შემდგომი თეორიული ანალიზისათვის მონაცემების პირველადი შეგროვება.

---

[19] რიგი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია პოსტმოდერნიზმთან, განხილულია О.А.Ананьин „ Экономическая наука в зеркале методологии» (Вопросы философии. 1999.№ 10). სტატიაში.

„ფაქტების შეგროვება, მათი პირველადი განზოგადოება, დასაკვირვებელი და ექსპერიმენტული მონაცემების აღწერა, მათი სისტემატიზაცია, კლასიფიკაცია და სხვა ფაქტოგრაფიქსირებული საქმიანობა - ემპირიული შემეცნების დამახასიათებელი ნიშნებია“[20].

„ემპირიული კვლევა - ეს არის აქტიური შემეცნებითი საქმიანობა, რომლის სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს „ცოცხალი განჭვრეტის“ გააზრება, მონაცემების განმარტება აბსტრაქციის, ცნებების, ლოგიკური კატეგორიების შესაბამის ბადეში“[21].

სოციალურ შემეცნებაში დაკვირვებას, ექსპერიმენტს და გაზომვას გააჩნია თავისი თავისებურებები, რომლებიც, როგორც წესი, ბუნებრივი მოვლენების შემეცნებასთან შედარებით ართულებენ ამ მეთოდებს და პროცედურებს.

სოციალური დაკვირვება (სოციალური პროცესების და მოვლენების დაკვირვება) - სოციალური სამყაროს (სოციალური ფაქტების) მიზანმიმართული და ორგანიზებული აღქმაა, რომლებიც ზოგადად აწოდებენ პირველად მასალებს ნებისმიერი სოციალური კვლევისთვის (პირველ რიგში, სამეცნიერო კვლევისთვის).

ამ დროს დაკვირვება შიძლება იყოს ორი ტიპის: ჩართული (თანამონაწილე) და ჩაურთველი (მარტივი). ჩაურთველი დაკვირვება -ეს არის გარე, პასიური დაკვირვება, როდესაც დამკვირვებელი უბრალოდ აკვირდება რამე სოციალურ პროცესს მანამდე, სანამ აძლევენ ამის უფლებას. ამის მაგალითია ეკონომისტზე დაკვირვება, როდესაც ის მონაწილეობს მაკროეკონომიკურ ან მიკროეკონომიკურ პროცესში: ბირჟაზე გაკოტრება, ახალი საწარმოს შექმნა სახელმწიფოს მასშტაბებში პრივატიზაცია ან ნაციონალიზაცია და ა.შ.

[20] Кохановский В.П. Философия и методология науки. С.122.
[21] Швырев В.С. Теоретическое и эмпирическое в научном познании. М., 1978.С.275.

ჩართული დაკვირვება გულისხმობს დასაკვირვებელ სოციალურ პროცესში ან მოვლენაში დამკვირვებელის უშუალო მონაწილეობას. [22] დამკვირველი თვით ჩაინერგება დასაკვირვებელ სოციალურ გარემოში (სოციალურ ჯგუფში, კოლექტივში და ა.შ.) და ან ღია, ან დაფარული ხერხით თავისი კვლევისთვის აგროვებს აუცილებელ ემპირიულ ფაქტებს. ასეთი ჩანერგვის ზოგიერთ შემთხვევაში იგი ცდილობს ამა თუ იმ მეთოდით მოახდინოს მისთვის საინტერესო სიტუაციის წარმოქმნის სტიმულირება, იმისათვის, რომ შეიგრძნოს ის „ცოცხლად“. ასეთი შემთხვევა არის გარდამავალი სოციალური დაკვირვების მეთოდიდან სოციალური ექსპერიმენტირების მეთოდამდე.

სოციალური ექსპერიმენტი - ეს არის რაიმე სოციალური მოვლენის გამოკვლევა მასზე აქტიური ზეგავლენის გზით; ამასთანავე, ამ ექსპერიმენტის მიზნების თანახმად ან იქმნება რაღაც ახალი სოციალური პირობები და იცვლება საჭირო მიმართულებით სოციალური პროცესის მიმდინარეობა, ან თვით სოციალური პროცესი წარმოიქმნება ხელოვნურად მისი მოდელირების მეშვეობით.

სოციალური ექსპერიმენტის ძირითადი მიზანია - დააკვირდე ამა თუ იმ სოციალური პირობების შეცვლა მოახდენს ზეგავლენას გამოსაკვლევი სოციალური ობიექტის სტრუქტურაზე და ქცევაზე.

„ექსპერიმენტი, იმის და მიუხედავად, არის თუ არა ის რეალური ან აზრობრივი, მოწოდებულია გასცეს პასუხი შეკითხვას: „რა დაემართება ობიექტს -რეალურ ან იდეალიზირებულს- თუ ჩვენ მასთან მოვიქმოდებებთ რაღაც ქმედებებს, ჩავაყენებთ მას ამა თუ იმ პირობებში?“[23]

სოციალური ექსპერიმენტის (თუ ის რა თქმა უნდა რეალური ექსპერიმენტია, და არა აზრობრივი) ჩატარება, როგორც წესი, ეჯახება შემდეგ

[22] აღსანიშნავია, რომ ბუნებრივ მოვლენებთან მიმართებაშიჩართული დაკვირვება შეუძლებელია.
[23] Швырев В.С. Теоретическое и эмпирическое в научном познании. М., 1978.С.341.

სიძნელეებს: 1. ეს ექსპერიმენტი სხვა ინდივიდებზე ზეგავლენასთანაა დაკავშირებული და ამიტომ ყოველთვის გააჩნია განსაზღვრული მორალური და იურიდიული შეზღუდვები; 2. ამ ექსპერიმენტს გააჩნია დიდი სირთულეები საკუთარი აღქმადობის სიდიდეში; მრავალი სოციალური ექსპერიმენტი შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთხელ ან რამოდენიმეჯერ; 3. ყველა სოციალური ექსპერიმენტი ტარდება კონკრეტულ სოციალურ-ისტორიულ პირობებში, ერთი და იგივე პირობებში სოციალური ექსპერიმენტების მრავალჯერადი ჩატარება პრაქტიკულად შეუძლებელია; 4. ზოგიერთმა სოციალურმა ექსპერიმენტმა შეიძლება იქონიოს საზოგადოებაზე და მისი გარემოს არსებობაზე არასასურველი ზეგავლენა.

ამრიგად, სოციალური ექსპერიმენტი, თუმცა წარმოადგენს სოციალური კვლევის საკმაოდ ეფექტიან საშუალებას, მაინც არანაკლებად შეზღუდულია თავისი შესაძლებლობების გამოყენების მხრივ.

სოციალური გაზომვის პროცედურა (პროცედურა, რომლის დახმარებით ხორციელდება ერთი სოციალური ობიექტის შედარება რაღაც ეტალონთან (ერთეულთან) - სხვა ობიექტთან და განსაზღვრულ მასშტაბით ან შკალით მიიღება რიცხობრივი გამოსახულება) განკუთვნილია სოციალური პროცესების შესახებ ჩვენი ცოდნის სიზუსტის ასამაღლებლად; იგი ფართოდ გამოიყენება როგორც სოციალურ დაკვირვებაში, ასევე სოციალურ ექსპერიმენტში.

7. თეორიული დონე სოციალურ შემეცნებაში

სოციალური შემეცნების თეორიული დონე ჯამდება შემეცნების მრავალ სხვა მეთოდისთან - ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის, ანალიზის, ანალოგიის, მოდელირების, ინტერპრეტაციის, ისტორიული, მათემატიკური, სტატისტიკური მეთოდებთან და ა.შ. ამ მეთოდების ერთობლიობის მთავარი მიზანია - უზრუნველყოს სოციალური რეალობის ადექვატურად ამსახველი მოდელების, შემეცნების, თეორიების „თეორიული სოციალური ონტოლოგიის“, „განსაკუთრებული თეორიული სამყაროს“ შექმნა.

„თეორიული აზროვნება ისწრაფვის განსაკუთრებული „თეორიული სამყაროს“ შექმნისკენ, რომელსაც გააჩნია საკუთარი „ონტოლოგია“, და წარმოადგენს რაღაც მრავალსახეობას ერთობლიობაში და ერთობლიობას მრავალსახეობაში“[24].

ხოლო, როგორც წესი, თეორიული შემეცნება კი იწყებს იქიდან, რომ „ასწორებს“ და ახდენს ჩვეულებრივი, ტრადიციული ადამიანისეული აზროვნების მიდგომების „მოდიფიცირებას“.

„თავის პირველად სტადიაზე თეორიული შემეცნება გამოდის როგორც „კეთილგონიერების“, „ყოველდღიური აზროვნების“ რეფლექტურამდე არსებული წარმოდგენების აქტიური გარდაქმნა“[25].

სოციალურ შემეცნებაში კეთილგონიერების, ცხოვრებისეული აზროვნების სტერეოტიპები განსაკუთრებულად ძლიერია; ტრადიციული, „ყოველდღიური“ ადამიანი თვლის საკუთარ თავს სოციალური ცხოვრების პრაკტიკულად ყველა პრობლემის მცოდნეთ: ეს იქნება პოლიტიკური, სოციოლიგიური, ეკონომიკური, სამართლებრივი და ა.შ. მაგალითად, თუ თავის თავს თითქმის არავინ თვლის ფიზიკოსად, გარდა სპეციალური განათლების მქონე ადამიანებისა, ეკონომისტად თავის თავს თვლის ყველა მეორე, ან მესამე და ამასთანავე საყურადღებოა, რომ მათ არ გააჩნიათ არანაირი ეკონომიკური განათლება.

სოციალური ონტოლოგია, რომელიც აგებულია სოციალური გამოკვლევების თეორიულ დონეზე, ალბათობის მაღალი დონით ეხმარება ამა თუ იმ სოციალური პროცესების ან მოვლენების სამეცნიერო განჭვრეტის, პროგნოზირების განხორციელებას. სამეცნიერო განჭვრეტისაგან განსხვავებით სოციალური განჭვრეტას არსდროს არა აქვს პრეტენზია აბსოლუტურ სიზუსტეზე; პირიქით, იგი ყოველთვის ეფუძნება ალბათობის ცოდნას, ამასთანავე, რაც უფრო „შორსაა“ თავისი ხასიათით სოციალური პროგნოზი, მით უფრო ნაკლებად უტყუარია ასეთი ცოდნა.

---

[24] Швырев В.С. Теоретическое и эмпирическое в научном познании. М., 1978.С.268.
[25] Швырев В.С. Теоретическое и эмпирическое в научном познании. М., 1978.С.262.

სოციალური შემეცნების თეორიულმა მეთოდებმა თავისი მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკის გამოყენებით დაადასტურეს საკუთარი ეფექტიანობა, და ამიტომ მათი გამოკვლევა (რომელსაც ჩვენ მოგვიანებით განვახორციელებთ, ეკონომიკური კვლევების თეორიული მეთოდების მაგალითზე) წარმოადგენს როგორც სოციალური ეპისტემოლოგიის, ასევე სოციალური შემეცნების მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან ამოცანას.

ზოგადი სახით, სოციალურ შემეცნებაში თეორიულის და ემპირიულის კავშირი შეიძლება დავასაბუთოთ შემდეგნაირად: 1. ემპირიულ შემეცნებას ძირითადად აქვს ექსტენსიური (გამაფართოებელი) ხასიათი, თეორიული შემეცნება კი პირიქით - ინტენსიური (გამაღრმავებელი): ემპირიული შემეცნება აფართოებს სოციალური ცოდნის საზღვრებს, თეორიული შემეცნება აღრმავებს სოციალურ ცოდნას, ხდის მას უფრო „გაჯერებულს“; 2. ემპირიული სოციალური შემეცნება გენეტიკური მხრით უფრო ხშირად წინ უძღვის თეორიულ შემეცნებას, მაგრამ სოციალური სამყაროს თეორიული გამოკვლევა ორიენტირს აძლევს ემპირიულ სოციალურ შემეცნებას, მიმართავს მას საჭირო მიმართულებით; 3. თეორიული სოციალური შემეცნება ეხმარება სოციალური მოვლენების და პროცესების პროგნოზის განხორციელებაში, ემპირიული სოციალური შემეცნება ადასტურებს ან უარყოფს ამ პროგნოზს.

8. მეთოდი და მეთოდოლოგია სოციალურ გამოკვლევაში

სოციალური შემეცნების მეთოდოლოგიის და სოციალური შემეცნების მეთოდების პრობლემა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია. რადგან, თავისი არსით მეთოდოლოგიამ უნდა შეთავაზოს ეს მეთოდები სოციალურ მეცნიერებებს და აჩვენოს რამდენად ეფექტიანები არიან ისინი ამა თუ იმ შემთხვევაში. ბუნებრივია, რომ სხვადასხვა მეცნიერება: ფილოსოფია, სოციოლოგია, ეკონომიკა, იურისპრუდენცია, ისტორია, სტატისტიკა - სხვადასხვანაირად აღიქვამენ ამ მეთოდებს და გამოიყენებენ მათ სოციალური მოვლენების სამყაროს შესწავლაში. არსებობს მეცნიერება (მაგალითად, ფილოსოფია), რომელიც ძირითადად იყენებს შემეცნების თეორიულ და ხარისხობრივ

მეთოდებს, სხვები (მაგალითად, სოციოლოგია, სტატისტიკა) ფართოდ იყენებენ სოციალური რეალობის კვლევის სხვადასხვა ემპირიულ და რაოდენობრივ მეთოდებს.

თვითონ მეთოდების კლასიფიკაცია და მათი აღწერა ასევე ძლიერ შეიძლება განსხვავდებოდნენ მკვლევარი-მეთოდოლოგის მიდგომებისგან გამომდინარე. ტრადიციულად, ყველა მეთოდი იყოფა მეცნიერულ და არა მეცნიერულზე, თეორიულზე და ემპირიულზე, რაოდენობრივზე და ხარისხობრივზე, ლოგიკურზე და არალოგიკურზე. ჩვენთვის ეს ტიპოლოგია გვევლინება ძირითადის სახით და დაწვრილებით იქნება გაანალიზირებული ეკონომიკური კვლევების (თავი 5) მეთოდების კლასიფიკაციიდან გამომდინარე.

პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ თვითონ ტერმინში „სოციალური კვლევების მეთოდები“ შეიძლება ჩაიდოს სხვადასხვა აზრი, და განსაკუთრებულ პოზიცია აქ უკავია სოციოლოგიას, რომელიც თავისი წარმოქმნის დღიდან აცხადებს პრეტენზიას ყოვლისმომცველი სოციალური თეორიის ან სოციალური მეცნიერების სტატუსზე.

სოციოლოგიის ენაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველ რიგში, იშლება ზღვარი სოციოლოგიის მეთოდოლოგიასა და სოციალური კვლევების მეთოდიკას შორის, და მეორე, რამაც შეიძლება კიდევ უფრო გაგვაკვირვოს, ხდება ორი აბსოლუტურად ერთმანეთისგან განსხვავებული ცნებების გაიგივება: „სოციოლოგიური კვლევების მეთოდები“ და „სოციალური კვლევების მეთოდები“. ისე ჩამოყალიბდა, რომ დასავლეთის სოციოლოგია სოციოლოგიური კვლევების აღსანიშნავად იყენებს ტერმინს „სოციალური კვლევები“. და როგორც კი რუსმა სოციოლოგებმა შეძლეს გაცნობობდნენ დასავლეთის სოციოლოგიური აზრის მთელ კონცეპტუალურ სიმდიდრეს, მათ მაშინვე გაუშვეს სამეცნიერო და საგანმანათლებლო ბრუნვაში ცნება „სოციალური კვლევების ცნებები“ („სოციოლოგიური კვლევების მეთოდების“ მაგივრად). მიღებული დივიდენდები აღმოჩნდა არც ისე ურიგო: ყველგან, სადაც საუბარია სოციალური კვლევების მეთოდების შესახებ, ძირითადად იგულისხმება სოციოლოგიური კვლევების

მეთოდები![26] ასეთი აზრიც კი წარმოიქმნება: აღვწეროთ „ეკონომიკური კვლევის მეთოდები“ როგორც „სოციალური („სოციოლოგიური“) კვლევების მეთოდები“...

მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია. ეკონომიკურ მეცნიერებას თავისი ენა და თავისი კონცეპტუალური კარკასი აქვს. ის არ დაიყვანება სოციოლოგიის კონცეპტუალურ კარკასამდე და ენამდე. ეკონომიკურ მეთოდოლოგიას საკუთარი ამოცანების და კვლევის პროგრამები აქვთ, და მათი შედარება კვლევის სოციოლოგიურ პროგრამებთან არ შეიძლება. ბუნებრივია, ბევრ პუნქტში კვლევების ეკონომიკური მეთოდები და კვლევების სოციოლოგიური მეთოდები მრავალ წერტილში იკვეთება, მაგრამ არა ყველაში.

მაგრამ, რადგან ჩვენ წინ ფუნდამენტური აღწერა და ეკონომიკური გამოკვლევების მეთოდების კვლევა გველოდება, ამ პუნქტში ჩვენ განვიხილავთ ზუსტად სოციოლოგიური კვლევების მეთოდებს, როგორც სოციალური კვლევების მეთოდების მოდელს.

„სოციოლოგიური კვლევა იწყება პროგრამის შემუშავებისგან, რომელიც წარმოადგენს მისი ჩატარების თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს. პროგრამა მოიცავს: კვლევის პრობლემის, ობიექტის და საგანის განსაზღვრას; შესწავლის ობიექტის წინასწარ სისტემურ ანალიზს; კვლევის მიზნების და ამოცანების დახასიათებას; გამოყენებული ძირითადი ცნებების განმარტებას; სამუშაო ჰიპოტეზების ჩამოყალიბებას; კვლევების სტრატეგიული გეგმის შემუშავებას; შერჩევის გეგმის შექმნას; მონაცემთა შეგროვების მეთოდების აღწერას და მათი სქემის ანალიზს[27]“.

მაშ ასე, მიზნები და ამოცანები დასახულია, პროგრამა შემუშავებული, და სოციოლოგი იწყებს თავის სოციოლოგიურ გამოკვლევას. რა მეთოდებს იყენებს იგი ამ დროს?

---

[26] აქედან შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფუნდამენტალური ნაშრომი „სოციალური (ზუსტად) კვლევების მეთოდები“ -ში რუსეთში ჯერ კიდევ არ დაწერილა. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ასეთი ნაშრომი როდესღაც შეიქმნება და იხილავს სინათლეს.

[27] Социальная философия и социология. М., 2002. С.141.

9. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები

სულ შეიძლება მივანიშნოთ ათ ძირითად მეთოდზე: 1) დოკუმენტების ანალიზი; 2) კონტენტ-ანალიზი; 3) სოციალური (სოციოლოგიური) დაკვირვება; 4) ანკეტირება; 5) ინტერვიუ; 6) ექსპერტული შეფასებების მეთოდი; 7) სოციომეტრიული გამოკითხვა; 8) ტესტირება; 9) სოციალური (სოციოლოგიური) ექსპერიმენტი; 10) მონიტორინგი.

დოკუმენტების ანალიზი გულისხმობს სხვადასხვა წყაროს (წიგნები, ხელნაწერები, ვიდეო- და აუდიოჩანაწერები, ელექტრონული ფაილები და ა.შ.) სისტემატურ კვლევას ყველაზე სრული და უტყუარი ინფორმაციის მიღების მიზნით.

ცნება „დოკუმენტი“ -ს განმარტება სოციოლოგიაში საკმაოდ ფართოა: არ შეიძლება მისი დაყვანა იქამდე, რაც ჩვეულებრივ იგულისხმება ხელოვნების დარგში დოკუმენტალური ნაწარმოების ქვეშ:

„დოკუმენტი - ეს არის სინამდვილის ფაქტების და ადამიანის გონიერი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სპეციალურ მასალაზე რაღაცნაირად დამაგრების საშუალება. მათ მიეკუთნება სამეცნიერო პუბლიკაციები, წინა კვლევების ანგარიშები, სხვადასხვა სტატისტიკური და უწყებრივი დოკუმენტები“[28].

დოკუმენტების ანალიზის ძირითადი მიზანია წერილობითი (ან მათი მსგავსი) წყაროების შესწავლა - ან ტრადიციული (ხარისხობრივი) კვლევის მეშვეობით, ან ფორმალიზირებული (რაოდენობრივი) მეთოდების საფუძველზე, რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებულია კონტენტ-ანალიზი.

კონტენტ-ანალიზი - ეს არის დოკუმენტალური ინფორმაციის რაოდენობრივი კვლევების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია შესასწავლი ტექსტის

[28] Социальная философия и социология. М., 2002. С.146-147.

ხარისხობრივი პარამეტრების გადაყვანაზე რაოდენობრივ მახასიათებლებში და მათ შემდგომ დამუშავებაზე და ანალიზზე.

„კონტენტ-ანალიზი - ეს არის დიდი რაოდენობის ტექსტური (ან ფირზე ჩაწერილი) ინფორმაციის გადაყვანა რაოდენობრივ მაჩვენებლებში მათი შემდგომი სტატისტიკური დამუშავებით“[29].

კონტენტ-ანალიზის მეთოდის მიხედვით, როგორც წესი, კვლევა იწყება ტექსტის ძირითადი აზრობრივი ერთეულების გამოვლენით, რომლებიც შეადგენენ საფუძველს მუშა ჰიპოტეზებისათვის, რომლებიც პროდუცირებულია კვლევის მეთოდოლოგიური წინაპირობებით; კონტენტ-ანალიზის ფორმალური პროცედურების მთავარი მიზანია - მისაღები სოციალური ინფორმაციის საიმედოობის და სისრულის უზრუნველყოფა.

სოციალური (სოციოლოგიური) დაკვირვება - ეს არის სოციოლოგიური მონაცემების შეგროვების მეთოდი ამა თუ იმ სოციალური მოვლენის უშუალი შესწავლით მის ბუნებრივ პირობებში. სოციალური დაკვირვების ძირითადი ამოცანები როგორც სამეცნიერო მეთოდის მის სოციოლოგიურ ინტერპრეტაციაში ჩამოყალიბებულია ვ. იადოვის მიერ.

„ა) იგი ექვემდებარება აშკარა კვლევით მიზანს და მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ამოცანებს; ბ) დაკვირვება იგეგმება წინასწარ გააზრებული პროგრამის მიხედვით; გ) დაკვირვების ყველა მონაცემი ფიქსირდება ოქმებში და დღიურებში განსაზღვრული სისტემის მიხედვით; დ) ინფორმაცია, რომელიც მიღებულია დაკვირვების გზით, უნდა ექვემდებარებოდეს კონტროლს დასაბუთებაზე და მდგრადობაზე“[30].

[29] Ядов В.А. Стратегия социологического исследования. М., 2001. С.216.
[30] Ядов В.А. Стратегия социологического исследования. М., 2001. С.195.

სოციალური დაკვირვებები შეიძლება კლასიფიცირდეს სხვადასხვანაირად: ჩართული და ჩაურთველი (იხ. ზევით), კონტროლირებადი და უკონტროლო, საველე და ლაბორატორიული და ა.შ.

ანკეტირება - ე.წ. სოციოლოგიური გამოკითხვის („გამოკითხვა ვერბალური „ზეპირი ან წერილობითი) ინფორმაციის მიღების მეთოდია მკვლევარის და გამოკითხულის (რესპოდენტის) პირდაპირი ან ირიბი ურთიერთქმედებისას, სპეციალური დოკუმენტების“ [31] მეშვეობით შეკითხვებზე პასუხების რეგისტრაციის ფორმით, სადაც რესპოდენტი ავსებს სპეციალურ ანკეტას, პასუხობს რა მკვლევარის ამა თუ იმ შეკითხვებზე. ყველა ეს შეკითხვა იმყოფება ერთმანეთთან განსაკუთრებულ შინაგან ერთობლიობაში, შეთანხმებულობაში, და შედეგად ყველა შეკითხვის ანალიზისას, მკვლევარი იღებს მუშა ჰიპოტეზისათვის აუცილებელ სოციალურ ინფორმაციას.

ინტერვიუ - ეს არის ზეპირი გამოკითხვის მეთოდი, სადაც კვლევა ხორციელდება განსაკუთრებული საუბრის სახით (ფორმალიზებული ან არაფორმალიზირებულ) მკვლევარის და რესპოდენტის შორის.

„პირდაპირი კონტაქტი გამოსაკითხთან და ფსიქოლოგიური ურთიერთობები რომლებიც ყალიბდება გამომკითხავსა და რესპოდენტს შორის, ქმნიან საკმაო უპირატესობას ინფორმაციის მისაღებად, რომელიც ძნელად მისაღებია სააკენტო გამოკითხვის გზით. სამწუხაროდ, ეს უპირატესობა ბრუნდება ახალი სიძნელეებით. მთავარი პრობლემაა - ინტერვიურერის პიროვნების ზეგავლენის მინიმუმამდე დაყვანა“[32].

ინტერვიუს ჩატარების მსვლელობისას მკვლევარი აფასებს არა მარტო რესპოდენტის პასუხებს, არამედ მის დამოკიდებულებას ინტერვიუს ჩატარებისადმი, რამაც შეიძლება იქონიოს მნიშვნელობა სოციოლოგიური კვლევის პროცესისათვის.

---

[31] Резник Ю.М. Введение в социальную теорию. Социальная эпистемология. М., 1999. С.268.
[32] Ядов В.А. Стратегия социологического исследования. М., 2001. С.281.

ექსპერტული შეფასების მეთოდი (ექსპერტული გამოკითხვა) - გამოკითხვის სახეობა (ზეპირი ან წერილობითი), სადაც ცოდნის ამ სფეროში მკვლევარი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების მხრიდან იღებს ინფორმაციას. ეს არის კვლევის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც გამოიყენება ძირითადად რთული სოციალური პრობლემების მიმართ.

„ექსპერტული გამოკითხვა მიმართულია ჰიპოთეზების დაზუსტებისკენ, პროგნოზის შემუშავებისკენ და განსაზღვრული სოციალური მოვლენების და პროცესების ინტერპრეტაციის შევსებისკენ. ასეთ გამოკითხვებში დომინირებენ ღია პასუხები, ხოლო დახურული კითხვები განკუთვნილია მხოლოდ თავდაჯერებულობის დონის, სხვა სპეციალისტების მიერ უკვე გამოთქმული პოზიციების, თანხმობის ან უთანხმოების შეფასებისათვის“[33].

ექსპერტული შეფასების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს ე.წ. დელფოს მეთოდი (ძველბერძნული ქალაქის დელფა-ს დასახელების მიხედვით): აქ პრაქტიკაშია არაერთჯერადი მიმართვა ექსპერტებისადმი, პრობლემის სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებულ თანდათანობით მათი პოზიციების დაზუსტების გამო და ასევე ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტებთან დაკავშირებით ექსპერტთა შეთანხმების დონის შემდგომში შეფასება.

სოციომეტრული გამოკითხვა - გამოკითხვის განსხვავებული ტიპია, სადაც კვლევის ობიექტს წარმოადგენს მცირე ჯგუფი. მცირე ჯგუფების შიგნით ხორციელდება პიროვნებათაშორისი ურთიერთობების ანალიზი და ვლინდება ე.წ. „უპირატესობის კავშირი“ (საკვლევი ჯგუფის წევრები თავისუფლები არიან თავის კონტაქტებში). კვლევის შედეგია – განსაკუთრებული მატრიცების და გრაფიკული გამოსახულებების შედგენა, რომლებიც უჩვენებენ ურთიერთობებს ჯგუფის წევრებს შორის.

[33] Ядов В.А. Стратегия социологического исследования. М., 2001. С.279.

„სოციომეტრული გამოკითხვის შედეგები ფიქსირდება სოციომატრიცების (ცხრილები, რომლებიც იძლევიან უპირატესობის განზოგადოებას ჯგუფის წევრებს შორის) და სოციოგრამების (კავშირების გრაფიკული გამოსახვა ჯგუფის შიგნით)“[34] სახით.

სოციომეტრული მეთოდი ასევე ფართოდ გამოიყენება სხვა მეცნიერებებში - ფსიქოლოგიაში, ეთნოგრაფიაში, ანტროპოლოგიაში და ა.შ.

ტესტირება - სპეციალური მეთოდიკების (ტესტები) დახმარებით კვლევის ჩატარების მეთოდი. ტესტი - ეს სპეციალური პროცედურაა, რომლის მსვლელობასას განისაზღვრება ინდივიდის ან ჯგუფის თვისებების ფსიქიკური (და სხვა) გამოვლინების განვითარების დონე. ტესტების დახმარებით შეიძლება რეალური წარმოდგენის მიღება გამოსაკვლევი ობიექტის ინტელექტის, თვისებების, ინფორმირების, ტემპერამენტის, მოტივაციის ან ფასეულობების დონის შესახებ. ტესტირებისადმი მთავარი მოთხოვნებებია - მრავალჯერადი კონტროლი, საიმედობა, მოქნილობა.

სოციალური ექსპერიმენტი - მოცემულ შემთხვევაში ნიშნავს სოციალური პროცესის ან მოვლენების სოციოლოგიურ კვლევას ხელოვნურ, სპეციალურ შექმნილ პირობებში. როგორც წესი, მას ორი ძირითადი ამოცანა აქვს: პრაქტიკულ-გარდამქმნელი და მეცნიერულ-შემეცნებითი.

„სოციალური ექსპერიმენტი ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას: ეფექტის მიღწევას პრაქტიკულ-გარდამქმნელ საქმიანობაში და მეცნიერული ჰიპოტეზის შემოწმებას. უკანსკნელ შემთხვევაში ექსპერიმენტირების პროცედურა სრულად არის ორიენტირებული შემეცნებით შედეგზე. ექსპერიმენტი გამოდის განმარტებითი ჰიპოტეზის შემოწმების ყველაზე ძლიერი ხერხის სახით. პირველ შემთხვევაში კი, ექსპერიმენტი მიმართულია ზოგიერთი პროცესის მართვის

[34] Резник Ю.М. Введение в социальную теорию. Социальная эпистемология. М., 1999. С.269.

პრაქტიკული ეფექტის მიღებაზე. შემეცნებითი შედეგები წარმოადგენენ აქ მმართველობითი ეფექტის გვერდით პროდუქტს.

მართვის ეფექტიანი ხერხის ექსპერიმენტული ძიების აღრევა იმასთან, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ ვუწოდებთ მოწინავე გამოცდილებას, საშიშია. ზოგადად სიახლეები არც კი მიეკუთნება მეცნიერული ექსპერიმენტირების სფეროს, არამედ სიახლეების პრაქტიკული გამოყენების დარგს“[35].

მონიტორინგი - ეს განსაკუთრებული ტიპის დაკვირვებაა (მოცემულ შემთხვევაში სოციალური დაკვირვების), რომლის დროსაც ხორციელდება კონტროლი იმაზე, რომ სოციალური პროცესები ან მოვლენები იმყოფებოდნენ განსაზღვრულ პარამეტრებში , რომლებიც არ აღემატება მოცემულ ჩარჩოს (ამ ჩარჩოდან გასვლა შეიძლება გახდეს სოციალურად საშიში ან სულაც მიგვიყვანოს სოციალურ კონფლიქტებამდე ან კატასტროფებამდე). მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა - ეკონომიკური, პოლიტიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და სხვა ხასიათის პროცესების მიმართ: მაგალითად, ეკონომიკური მონიტორინგი - ეს შეიძლება იყოს კონტროლი ფასებზე, შემოსავლებზე, უმუშევრობაზე და ა.შ.

ამრიგად, კვლევის სოციოლოგიური მეთოდები არის საკმაოდ ეფექტიანი მათი როგორც სოციალური მეთოდების კვლევის გამოყენების სახით და შედეგად იძლევა საშუალებას მიიღოს საკმაოდ უტყუარი ინფორმაცია სოციალური სამყაროს შესახებ. ამ მეთოდების მნიშვნელოვანი ნაწილი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ეკონომიკურ მეცნიერებაში, განსაკუთრებით პირველადი ეკონომიკური ინფორმაციის შეგროვების მეთოდების სახით. თუმცა, ეკონომიკა დიდი ნაწილით ორიენტირებულია თეორიულ ანალიზზე და სოციალური რეალობის (ანალიზი, სინთეზი, დედუქცია, ინდუქცია, ანალოგია და ა.შ.) კვლევის თეორიულ მეთოდებზე. ზუსტად ეს

[35] Ядов В.А. Стратегия социологического исследования. М., 2001. С.349.

მეთოდები უნდა გახდნენ თანამედროვე ეკონომიკურ ცოდნაში მეთოდოლოგიური რეფლექსიის ძირითადი ობიექტები.

მაშასადამე, შეიძლება დავასკვნათ:

1. სოციალური ეპისტემოლოგია (სოციალური გნოსელოგია) - ეს არის ფილოსოფიური (სოციალურ-ფილოსოფიური) მეცნიერება, რომელიც იკვლევდა სოციალური რეალობის (საზოგადიების, სოციუმის) შემეცნების ძირითად ხერხებს და წარმოადგენს სოციალური მეთოდოლოგიის (სოციალური რეალობის მეთოდოლოგიის) თეორიულ ბირთვს. შეიძლება გამოვყოთ სოციალური ეპისტემოლოგიის რამოდენიმე ძირითადი ტრადიცია: ა)პოზიტივიზმი და მარქსიზმი; ბ)ნეოკანტელობა და მაქს ვებერი (ვებერიანიზმი); გ)სოციალური ფენომენოლოგია და ჰერმენევტიკა; დ) პოსტსტრუქტუალიზმი და პოსტმოდერნიზმი.

2. სოციალურ შემეცნებაში ემპირიულ დონეს შეადგენს ორი ძირითადი ემპირიული მეთოდი - სოციალური დაკვირვება და სოციალური ექსპერიმენტი, და ასევე გაზომვის პროცედურა. ემპირიული მეთოდების მონაცემების უპირველესი ამოცანაა - მონაცემების პიველადი შეგროვება პირველადი ემპირიული განზოგადოებისათვის, და ასევე შემდგომი თეორიული ანალიზისათვის.

3. სოციალური შემეცნების თეორიული დონე ჯამდება შემეცნების მრავალი განსხვავებული მეთოდებისგან - ინდუქციის, დედუქციის, სინთეზის, ანალიზის, ანალოგიის, მოდელირების, ინტერპრეტაციის, ისტორიული მეთოდის, მათემატიკური მეთოდის, სტატისტიკური მეთოდის და ა.შ. ერთობლიობაში ყველა ამ მეთოდის მთავარი მიზანია - უზრუნველყონ „თეორიული სოციალური ონტოლოგიის“, „განსაკუთრებული თეორიული სამყაროს“, მოდელების, ცნებების, თეორიების შექმნას რომლებიც ადექვატურად ასახავენ სოციალურ რეალობას.

4. ეკონომიკურ შემეცნებაში შეიძლება გამოყენებულ იყოს ასევე კვლევის სოციოლოგიური ინსტრუმენტები. სულ შეიძლება მივანიშნოთ სოციოლოგიური კვლევის ათ ძირითადი მეთოდის არსებობაზე: 10 დოკუმენტების ანალიზი;

2)კონტენტ-ანალიზი; 3)სოციალური (სოციოლოგიური) დაკვირვება; 4) ანკეტირება; 5) ინტერვიუ; 6) ექსპერტული შეფასებების მეთოდი; 7) სოციომეტრული გამოკითხვა; 8) ტესტირება; 9) სოციალური (სოციოლოგიური) ექსპერიმენტი; 10) მონიტორინგი.

თავი 4 - ეკონომიკური მეთოდოლოგია, როგორც ეკონომიკური კვლევების მეთოდოლოგია

1. ეკონომიკური მეთოდოლოგიის მიზნები და ამოცანები

ეკონომიკური მეთოდოლოგია უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ეკონომიკურ კვლევებში, რომელიც სწავლობს ეკონომიკური ცოდნის ფუნდამენტურ, მეტაფორულ დონეს, მისი მრავალგვაროვანი ეკონომიკური დებულებების, თეორემების, თეორიების, დასკვნებისა და მტკიცებულებების პრინციპებს.

უცილებელია გავარკვიოთ ეკონომიკური მეთოდოლოგიის მიზნები და ამოცანები, აგრეთვე გავაანალიზოთ ამ ამოცანების ამოხსნის გზები. მოკლედ მიმოვიხილოთ ძირითად მეთოდოლოგიურ მიმდინარეობები, საკვანძო საკითხები და პრობლემები. შეიძლება გამოვყოთ ეკონომიკური მეთოდოლოგიის ექვსი ძირითადი მიზანი და ამოცანა: ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი მეთოდების, აგრეთვე მათი მეთოდოლოგიასთან ურთიერთკავშირის კვლევა; ეკონომიკური აზრის ისტორიაში არსებული ძირითადი კვლევითი პროგრამების (პარადიგმების, აგრეთვე მათი შეცვლის პერიოდების (ე.ი. ტ. კუნის ტერმინოლოგიით „სამეცნიერო რევოლიციების") ანალიზი; ეკონომიკური კვლევების საკვანძო ეტაპების გამოყვანა და შესწავლა, აგრეთვე ეკონომიკურ მეცნიერებაში „მეცნიერული აღმოჩენათა" პროცედურების განხილვა; ჭეშმარიტების პრობლემის ანალიზი ეკონომიკურ მეცნიერებაში, აგრეთვე მათი კრიტერიუმების და მტკიცებულებათა ძირითადი ხერხების გამოკვლევა (აქ ეკონომიკური მეთოლოგიის პრობლემები გადაიკვეთებიან ეკონომიკური ეპისტემოლოგიის

პრობლემებთან); ეკონომიკური მეთოლოგიის ადგილისა და მნიშვნელობის კვლევა სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საერთო მეთოლოგიის სისტემაში; ეკონომიკური მეცნიერების ძირითადი მსოფლმხედველობრივი სტანდარტების და იდიალების შესწავლა (ამ საკითხით ეკონომიკური მეთოლოგია დაკავშირებულია ეკონომიკის ფილოსოფიასთან-მეტაეკონომიკასთან).

2. კვლევითი პროგრამები (პარადიგმები) ეკონომიკური მეცნიერებაში

წინა თავში უკვე განვსაზღრეთ რას წარმოადგენს კვლევითი პროგრამა ი. ლოკატორის მიხედვით ანუ პარადიგმა გ. კუნის მიხედვით ახალა შეიძლება შემდეგი პრობლემის ფორმულირება: რამდენი პარადიგმები (ანუ კვლევითი პროგრამები – იყო ეკონომიკურ აზრში, და რომელი იყო ეს პარადიგმები? როგორ ურთიერთმოქმედებდნენ ისინი ერთმანეთზე და როგორ ცვლიდნენ ერთმანეთს? რომელი მეცნიერული რევოლუციები გადაიტანა თავის ისტორიაში ეკონომიკურმა მეცნიერებამ?

სხვადასხვა მკვლევარები სხვადასხვანაირად წყვეტენ ამ პრობლემას. მაგალითად, ინგლისელი ეკონომისტი დ. ხაუსმანი გამოჰყოფს ოთხ ძირითად მეთოდოლოგიურ მიმართულებას, რომელთა ინტერპრეტირება შეიძლება კვლევითი პროგრამების სულისკვეთებით: 1. ედუქტივისტური (ჯ. სტ. მილი); 2. პოზიტივისტური (მ. ბლაუგი); 3. "პრედიქციონისტური (ინგლისური prediction – წინასწარმეტყველება, პროგნოზი) (მ. ფრიდმანი); 4. კლექტიკური (დ. მაკკლოლოსკი)

ო. ანანინიც მიუთითებს ეკონომიკურ ცოდნაში ოთხი ძირითადი პარადიგმის არსებობის შესახებ: 1. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის პარადიგმა (შეისწავლება „ სიმდიდრის სამყარო"); 2. ისტორიული-ინსტიტუციონალური პარადიგა (გამოიკვლევა ეკონომიკური ინსტიტუტები და მათი ისტორია); 3. მარჟინალისტური პარადიგა (შესწავლის ობიექტი – მეურნე სუბიექტების

სამყარო); 4. ეკლექტიური (დაფუძნებული ბუნდოვან, „სხვადასხვაგვარ" მეთოდოლოგიაზე).

ი.პ. გრუოვა გვთავაზობს გამონაწევრდეს სამი ძირითადი „თეორიული ეკონომიკური სისტემა" (პარადიგმები, კვლევითი პროგრამები); ლიბერალიზმის თეთრიული ეკონომიკური სისტემა (მონეტარიზმი, ნეოკლასიკა და სხვ.); აქტივიზმის თეორიული ეკონომიკური სისტემა (კეინზიანილობა, ისტორიული სკოლა, ინსტიტუციონალიზმი და ნეოინსტიტუციონალიზმი); 3. ტოტალიტარიზმის თეორიული ეკონომიკური სისტემა (მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიკა).

რაც შეეხება მეცნიერულ რევოლუციათა თეორიებს, ჩვენი შეხედულებით, აუცილებელია ვილაპარაკოთ, როგორც მინიმუმ ოთხ რევოლუციაზე ეკონომიკური აზრის ისტორიაში:

ა) სმით – რიკარდოსეული (XIV ს. დადასრულ – XX ს. დასაწყისი); ბ) მარჟინალისტური (დაახლოებით იგივე პერიოდი); გ) კეინზიაური (XX ს. 30 - 60 – იანი წლები); ე) კონსერვატიულ – მონეტარისტული (XX ს. 80 - 90 – იანი წლები). ბუნებრივია, ასეთი გამოყოფა საკმაოდ პირობითია,მაგრამ სახელდობრ ეს მეცნიერული რევოლუციები უფრო ხშირადაა გამოყენებული ეკონომიკური აზრის ისტორიის და ეკონომიკური მეთოდოლოგიის ჩამონათვალში.

ახლა ჩვენ ხაზგასმით შევეხებით ეკონომიკაში თვით მეცნიერული კვლევის ხასიათთან დაკავშირებულ პრობლემებს, რომელ ეტაპებად შეიძლება დაიყოს ასეთი კვლევა? როგორია ეკონომიკური ანალიზში მეცნიერული ძების პროცედურა და როგორ ხდება მეცნიერული აღმოჩენა ეკონომიკურ მეცნიერებაში?

\

3. ეკონომიკური კვლევის ძირითადი ეტაპები

შეიძლება გამოიყოს კვლევის ძირითადი ეტაპი ეკონომიკურ მეცნიერებაში: ა) მეცნიერული პრობლემის განსაზღვრა; ბ) ჰიპოთეზების წამოყენება; გ) თეორიის შექმნა ერთი ჰიპოთეზათაგანის ბაზაზე, ამასთან სხვა დაარჩენი ჰიპოთეზები მცდადრად მიიჩნევიან.

ეკონომიკურ კვლევებში მეცნიერული პრობლემა რთული ეკონომიკური ამოცანაა,რომელიც თავის გადაწყვეტას მოითხოვს. ეცნიერული პრობლემის სწორად ფორმულირება ასევე მარტივი საქმე არ არის, რადგან საყოველთაოდ ცნობილი მეთოდოლოგიური პრინციპის თანახმად „სწორად ფორმულირებული საკითხი – უკვე პასუხის ნახევარია.” მეცნიერული პრობლემის გამოვლენა მოიცავს მის აღწერას, ე.ი. პრობლემის წერილობით, ზეპირ ან თუნდაც აზრობრივ გადმოცემას. უკანასკნელი შეიძლება იყოს ფორმალიზებული (მათემატიკურად, სტატისტიკურად) ან ვერბალური (სიტყვიერად, კონცეპტუალურად).

ჰიპოთეზების წამოყენება – ეკონომიკაში მეცნიერული კვლევის მეორე ეტაპია. ჰიპოთეზა რომელიმე მეცნიერული ფაქტების მიმართ ვარაუდია,რაც არ შეიძლება ბოლომდე უტყუარად ჩაითვალოს; იგი წინასწარმეტყველებს რაიმე მოვლენებს ან ფაქტებს და მისი დასკვნები დროსთან ერთად ან უარიყოფა, ან თეორიად გადაიქცევა. ჰიპოთეზა შეძლეისდაგავარად უნდა ხსნიდეს ფაქტების მეტ რიცხვს, იყოს შეთავსებადი წინა თეორიებთან და მთლიანად ფლობდეს უფრო მეტ ევრისტიულ ძალას. არა სასურველი, თუმცა შესაძლებელია ad hoc- ის ტიპის ჰიპოთეზები, აუ ჰიპოთეზები, მოგონილნი მხოლდო მოცემული შემთხვევისათვის, რომლებიც ცუდად ეთანადებიან წინა ფაქტებს და თეორიებს.

<u>ეკონომიკური თეორია</u> - არის დასაბუთებული და დამტკიცებული დებულებების სისტემა, რაც მიღებულია ეკონომიკური ცოდნის სფეროს მეცნიერთან უმრვლესობის მიერ როგორც ჭეშმარიტება, როგორც ეკონომიკური კვლევის დამამთავრებელი ეტაპი, თეორია, როგორც წესი, წარმოადგენს ერთ

მრავალ ეკონომიკურ ჰიპოთეზათაგან – მას, რომლესაც უფრო მეტი ხარისხით შეეძლო დაემტკიცებია საკუთარი გამოსადეგობა. დანარჩენი ჰიპოთეზები ან საერთოდ უკუგდებულნი ხდებიან, ან გადადიან ეკონომიკური მეცნიერების პერიფერიაში.

ეკონომიკურ თეორიას ისევ შეიძლება ჰქონდეს ან ფორმალიზებული (მათემატიკურ) ხასიათი, ან იყოს კონცეპტუალური (ვერბალური). მათემატიკური ინსტრუმენტარიუმის შემოღება მის პრაქტიკულ გამოყენებას.

4. ჭეშმარიტება და ცდომილება ეკონომიკურ კვლევაში

ჭეშარიტების პრობლემა ეკონომიკურ მეცნიერებაში ყველაზე ძველი და მეტად რთულია ყველა მეთოდლოგიური პრობლლემებიდან. ამ პრობლემას ჩვენ ნაწილობრივ შევეხეთ წინა თავში, როდესაც ვცდილობდით გვეჩვენებია სოციალური მეცნიერებებში ჭეშმარიტების გამოვლინების მთელი სიძნელე.

ეკონომიკური ჭეშმარიტების პრობლემის მიმართ შეიძლება ითქვას შემდეგი: 1. ეკონომიკური ჭეშმარიტების ძიებაში უფრო დამაჯერებელი და ეფექტიანია ეკონომიკური კვლევის მეცნიერული მეთოდი; ეკონომიკური კვლევის სხვა მეთოდები (დაფუძნებულია ჩვეულერივ ეკონომიკურ ცონაზე, მითზე, რწმენაზე ან ავტორიტეტზე) ნაკლებად დამაჯერებელნი და ნაკლებად ეფექტიანნი იქნებიან. 2. ნებიერმიერი ეკონომიკური ჭეშმარიტების აუცილებელი ელემენტია მისი ღირებულებითი ასპექტი: მეურნეობრივი მოვლენის შესახებ რაიმეს მტკიცებულება არა მარტო იძლება ცნობას ეკონომიკური ფაქტების გამო, არამედ ამა თუ იმ სახით ახდენს ამ ფაქტების ინტერპრეტირებას. ეს ინტერპრეტაცია სრულებით არ არის ნეიტრალური. იგი წარმოდგება ფასეულობათა ამა თუ იმ სისტემის პოზიციებიდან, ამა თუ იმ ღირებულებითი მიდგომის ფარგლებში, და თუ უფრო ზუსტად ვიტყვით ამა თუ იმ იდეოლოგიის პოციზიიდან, ამა თუ იმ ღირებულებით მიდგომის ფარგლებში, და თუ უფრო ზუსტად ვიტყვით ამა თუ იმ იდეოლოგიის პოზიციიდან ტერმინი „იდეოლოგია” აქ ნათქვამია ფართოდ: ეს შეიძლება იყოს პოლიტიკური

იდეოლოგიაც, ეკონომიკური იდეოლოგიაც და რელიგიური იდელოგოგიაც (ბუნებრივია, ათეიზმის ჩათვლით) და ა.შ. ეკონომიკური ჭეშმარიტების პრობლემაც მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკური ცდომილების პრობლემას.

ჩდებიან თუ არა ეკონომისტები თავიანთ თეორიებში და კონცეფციებში? თუ ვეცდებით ამ პრობლემის გაანალიზებას ყველაზე ელემენტარულ დონეზე, მაშინ აქ პასუხი შეიძლება გაცემული იყოს XVII ს. ინგლისელი ფილოსოფოსის ფრენსის ბეკონის „კერპების თეორიის" ფარგლებში: ა) ცდოლიმება როგორც ავტორიტეტის მიმართ რწმენის შედეგი; ბ) ცდომილება ენაში ლოგიკური შეცდომების, ცნებათა არასწორი გამოყენების შედეგად და ა.შ.; გ) ცდომილება წარმოქმნილი ემპირიული ფაქტების და შეხედულებების არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად.

5. ეკონომიკური მეთოდოდოლოგიის ადგილი და მნიშვნელობა მთელი სოციალური და ბუნებრივ-მეცნიერული მეთოდოლოგიის სისტემაში

ეკონომიკური მეთოდოლოგია ცარიელ ადგილზე არ წარმოიშობა. ეკონომიკური მეთოდოლოგიის შემუშავება მიმდინარეობს თითქოს ორი მიმართულებით: ჯერ-ერთი თვით მკვლევარი ეკონომისტების მხრივ, რომლებიც შეიმუშავენ ახალი ეკონომიკური ცოდნის წვდომის ამა თუ იმ მეთოდს, და მეორე უფრო მაღალი დონის –საყოველთაო და საერთო მეცნიერული მეთოდოლოგიის როლს ასრულებს ფილოსოფია, ხოლო საერთომეცნიერული მეთოდოლოგიის მეშვეობით ეკონომიკურ მეცნიერებაზე ზემოქმედებენ საბუნებისმეტყველო და სხვა სოციალური დისციპლინები – მათემატიკა, კიბერნეტიკა, სოციოლოგია, ისტორია, ფსიქოლოგია, პოლიტიკა.

საკუთრივ ეკონომიკური მეთოდები, რომლებიც ჩვენ დავახასიათეთ როგორც კერძომეცნიერული, თავისი ზოგადმეცნიერული ზემოქმედებით იშვიათად გამოდიან ეკონომიკური მეცნიერების ფარგლებიდან.

ამასთან, თუ ეკონომიკურ მეცნიერებას განვიხილავთ ეკონომიკური იმპერიალიზმის" ფარგლებს იქით, მაშინ აბსოლიტურად უდავოა ამ მეთოდების გამოყენების ხანგრძლივი ევრისტიული პერსპექტივები სოციალური ცოდნის სხვა დარგები და მრავალი მკვლევარი ეკონომისტის სურვილი ასეთი მეთოდების მეშვეობით გაფართოვდეს მთლიანად ეკონომიკური მეცნიერების საზღვრები. „ეკონომიკური იმპერიალიზმის" საბოლოო მიზანია საზოგადოების შესახებ მეცნიერებათა მთელი დაქსაქსული ოჯახების უნიფიკაცია ნეოკლასიკური თეორიის ბაზაზე. მისი მომხრეები აღიარებენ, რომ სხვა სოციალურ დისციპლინებს აქვთ ცნებები და ანალიზის ინსტრუმენტები. მაგრამ მათი რწმენით, საზოგადოებათმცდონეობის სინთეზისათვის საერთო ჩარჩოს მოცემა შეუძლია მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებას".

თანამედროვე „ეკონომიკური იპლერიალიზმი" არ წარმოადგენს „ეკონომიკური იმპერიალიზმის" პირველ ტალღას სოციალური მეცნიერების ისტორიაში. საზოგადოებათამცოდნეობის სხვა მიმართულებათა შორის ეკონომიკური თეორიის ლიდერობის ანალოგიური პრეტენზიების ამათუიმ ხარისხით შემუშავებას ცდილობდნენ ა. სმითიც, ჯ.ს.ტ. მილიც, ფ-ხაიეკიც, მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ და ხარისხიანად ეს გააკეთა კ. მარქსმა შემთხვევითი არ არის, რომ „ეკონომიკური დეტერმინიზმის" კონცეფცია, რომლის თანახმადაც მრავალი სოციალური მოვლენა და პროცესი არის ეკონომიკური ფაქტორების ფუნქცია, ეკუთვნის კ. მარქსს. თვალსაჩინოა აგრეთვე, რომ მეთოდოლოგიური შინაარსითაც „ეკონომიკური იპმერიალიზმის|" კონცეფტუალური მიდგომა შემდგომშიც მოახდენს სერიოზულ ზეგავლენას როგორც თვითონ ეკონომიკურ მეცნიერებაზე, ასევე სოციალური ცოდნის სხვა დარგებზეც.

და, პირიქით, ეკონომიკური ცოდნა საკუთარ თავზე განიცდის მეთოდოლოგიურ ზეგავლენას სხვა, როგორც სოციალური, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მხრიდან. XIX საუკუნებში და XX ს. დასაწყისში ეკონომიკური მეცნიერება აღმოჩნდა ისტორიის, ფილოსოფიის და სტატისტიკის ძლიერი მეთოდლოგიური წნეხის ქვეშ, ხოლო გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მათემატიკის და სოციოლოგიის მეთოდოლოგიური ზეგავლენა. თუ მათემატიკის ფართოდ გამოყენებამ მიგვიყვანა ეკონომიკური ცოდნის სიმკაცრის და სიზუსტის თვისებრივ ამაღლებამდე, სოციალური მეთოდოლოგიის (პირველ რიგში როგორც სოციოლოგიური კვლევის მეთოდლოგიის) აქტიურმა გამოყენებამ შესაძლებლობა მისცა ეკონომიკურ კვლევას ამოქმედებულიყო უფრო „მომძლავრებულად" და „აგრესიულად" (ამ სიტყვას კარგი გაგებით). ვიდრე იმპერიულმა კვლევის მეთოდებმა, რაც ტრადიციულად გამოიყენებოდა ეკონომიკაში. კონომიკური დაკვირვება გახდა უფრო აქტიური და თანმიმდებრული, ნაკლებად ნეიტრალური და უფრო ჩართული თვით ეკონომიკურ სინამდვილეში; ეკონომიკური ექსპერიმენტი მჭიდროდ შეეკრა ინოვაციების დანერგვის პრაქტიკას, ხოლოდ მენეჯერული აზროვნების ფორმირებად ტიპი დღეს, შეიძლება აღინიშნოს, როგორც „მაექსპერიმენტებელი". მზადყოფნა ექსპერიმენტის დაყენების რისკისადმი დამახასიათებელი ნიშანია როგორც თანამედროვე პრაქტიკოსი ეკონომისტისათვის, ასევე ეკონომიკს-მკვლევარისთვის. სხვა საქმეა, რომ მეორისათვის მისი შესაძლო საქმიანობის სფერო უფრო მეტად შეზღუდულია, ვიდრე პირველისთვის.

6. ეკონომიკური მეცნიერების მოსფლმხედველობრივი იდეალები და სტანდარტები

ეკონომიკური ცოდნის მსოფლმხედველობრივი იდეალების და სტანდარტების პრობლემას შევყავართ იდეოლოგიის და აქსილოგიის (სხვადასხვა ფასეულობათა სისტემების შესახებ სწავლების) სფეროში. როგორც წინა თავში

იყო ნაჩვენები, ყველა სოციალური ცოდნა გამსჭვალულია სხვადასხვაგვარი ფასეულობებით და აზრებით.

მეცნიერული ახსნის სტანდარტები – ეს არის მეცნიერული ცოდნის ამათუ იმ სისტემის ახსნის და აღწერის, აგებისა და ორგანიზაციია– მტკიცებულების და დასაბუთების ხერხების შერჩევის წესები და ნორმები. თვით ეს ცნება მჭიდროდ უკავშირდება კუნის ტერმინს „პარადიგმა", რადგან პარადიგმა თავისთავად წარმოადგენს მეცნიერულობის ამა თუ იმ სტანდარტების (ანუ იდეალების ერთობლიობაა), რომლებიც წარმართავენ ადამიანის ქცევას ამა თუ იმ პილიტიკური ან ეკონომიკური ფასულობების კალაპოტში. ეს ფასეულობები შეიძლება იყოს სხვადასხვა: ლიბერალური, კომუნისტური, ფაშისტური, კონსერვატიული და ა. შ.

მსოფლმხედველობრივი იდეალების შერჩევამ ეკონომისტისათვის შეიძლება ძალზე არსებითი ზეგავლენა მოახდინოს მის მიერ გამოყენებულ ეკონომიკურ მეთოდოლოგიაზე. მაგალითად, თუ მკვლევარი ეკონომისტი თავდაპირველად აღზრდილი იყო სოციალისტურ იდეალებზე, მაშინ, ცხადია, იგი არჩევანს გააკეთებს მარქსისტულ, ან უკიდურეს შემთხვევაში, მემრაცხენერადიკალურ ინსტიტუციონალურ მეთოდოლოგიაზე; ლიბერალური ტიპის აზროვნების ეკონომისტი უპირატესობას უფრო მიანიჭებს ნოკლასიკას ან მონეტარიზმს; ინტერვენტციონისტული იდეოლოგიის (საბაზრო ეკონომიკაში სახელმწიფოებრივი ჩარების იდეოლოგიის) ზეგავლენით მოქმედი ეკონომისტი აირჩევს კეინზიანელობას და ინსტიტუციონალიზს და ა.შ. ბუნებრივია, ყველა ეს მსჯელობის საკმაოდ უხეში სქმებეია და ისინი მნიშვნელოვნად ამარტივებენ როგორც კვლევითი ქცევის სქემას, ასევე მთლიანად ადამიანის ქცევის სქემას, მაგრამ თვით მსოფლმხედველობის არსებითი როლის და მასთან დაკავშირებული იდეოლოგიური სტერეოტიპების არსებითი როლის უარყოფა, რასაც შეუძლია ეკონომიკური მეთოდოლოგიის ამა თუ იმ ტიპის ფორმირება, უაზრობა იქნებოდა.

ამრიგად, ეკონომიკურ მეთოდოლოგიას აქვს მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერებისათვის, როგორც მინიმუმ ორი თვალსაზრისით: ჯერ-ერთი, იგი ასრულებს ინსტრუმენტალურ ფუნქციას, ანუ ასრულებს ეკონომიკური კვლევის ინსტრუმენტის როლს, ხოლო მეორე, როგორც ეკონომიკური ანალიზის მიმართულებათაგანი, იგი საშუალებას აძლევს მკვლევარ ეცონომისტს (და ნაწილობრივ პრაქტიკოს ეკონომისტსაც) გამოიყენოს იგი კვლევითი რეფლექსაციის (რეფლექსური ფუნქცია) საშუალებების შესახებ და საბოლოოს ანგარიშით, გააუმჯობესაბის ეს საშუალებები.

7. ეკონომიკური იდეოლოგიის ძირითადი სკოლები

ძნელია განსაზღვრა რომელი მოაზროვნიდან უნდა დავიწყოთ ეკონომიკურ მეცნიერებაში მეთოდოლოგიური ცოდნის ისტორიის გადმოცემა. მაგ.: ვ.ს. ასტონომოვას და სხვათა რედაქციით გამოცემული სახელმძღვანელოს „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის" ავტორები გვთავაზობენ ეკონომიკაში მეთოდოლოგიური აზროვნების ფუძემდებლებად ჩავთავლოთ ჯონ სტიუარტ მილი.

ვერ დავეთანხმებოდით მათ ამ საკითხში. ჩვენი აზრით, ეკონომიკური მეთოდოლოგია თავის გზას იწყებს, როგორც მინიმუმ, ოთხი ძირითადი სკოლიდან: 1. ინგლისური და ფრანგული კლასიკური პოლიტეკონომია (ა. სმიღი, დ.რიკარდო, ჯ.ს.ტ. მილლი. ი. ბენტამი, ჟ.ბ.სეი); 2. მარქსისტული სკოლა (ჯ. მარქსი. ფ. ენგელსი); 3. მარჟინალური სკოლა (კ. მენგერი, ფ. ვიზერი, ე. ბიომბავერკი, უ. ჯევონსი, ლ. ვარლასი); 4. კემბრიჯის სკოლა (ა. მარშალი, ჯ. კეინზი).

8. კლასიკური პოლიტეკონომიის მეთოდოლოგია

ინგლისური და ფრანგული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სკოლა ყველაზე ძველია მეთოდოლოგიურ სკოლებთაგან. შეიძლება სახელდობრ ამიტომაც მათი წარმოადგენლებიდან არც ერთი (იმავე ჯ.ს.ტ. მილლის

გამოკლებით) თავიანთ ნაშრომებში არ აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას მეთოდოლოგიურ საკითხებს: ისინი თითქოს „განზავებულნი" არიან ეკონომიკური პრობლემების შინაარსიბრივი ანალიზის სხადასხვაგვარ ასპექტებში. მიუხედავად ამისა, შესაბამისი ანალიზის შემთხვევაში ამ სკოლის საქმიანობის მეთოდოლოგიური შედეგები შეიძლება დაფიქსირდეს შემდეგ პუნქტებში:

ა) კლასიკური სკოლა – ეს სახელდობრ პოლიტიკური ეკონომიის სკოლაა და არა ეკონომიკსი. იგი არა მარტო აანალიზებდა მეორუნეობრივ მოვლენებს, არამედ ცდილობდა განეხილა ისინი საზოგადოებაში პოლიტიკური, კულტურული, სამართლებრივი და სხვა ურთიერთობებთან კავშირში. ამ სკოლის თეორეტიკოსებს თავდაპირველად ახასიათებდათ სინთეზური, ინტეგრირებული მიდგომა;

ბ) კლასიკური სკოლა ცდილობდა შეექმნა ეკონომიკური სინამდვილის ზღვრიდან აბსტრაქტული სურათი (განსაკუთრებით დ. რიკარდოდან დაწყებული და შემდეგ ჟ.ბ. სეი, ჯ. მაკ – კულსი და სხვებით დამთავრებული), რამაც მნიშვნელოვანწილად გამოიწვია მეცნიერულ კვლევებში თეორიული და ემპირიული ბაზისების გახლეჩა, ვულგარული გახადა ამ სკოლის მეთოდოლოლოგია და კ. მარქსის და გერმანული ეკონომიკური სკოლის (ვ. როშერი, გ. შმოლერი და სხვ.) მხრიდან საფუძველი დაედო ამ მიმართულების კრიტიკას.

გ) კლასიკური პოლიტიკური ეკონომია უპირატესად შეიარაღდა ეკონომიკური მოვლენების თვისობრივი მეთოდოლოგიით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია ამ სკოლის მეცნიერული შედეგების ძალზე „გაუხეშება", დიდი შეცდომები დასკვნებში და ააგორა კრიტიკის ტალღა სხვა მიმართულებების მხრიდან.

9. მარქსიზმის ეკონომიკური მეთოდოლოგია

პოლიტიკური ეკონომიის მარქსისტული სკოლა (ფუძემდებლები კარლ მაქრსი და ფრიდრიხ ენგელსი ეკონომიკური აზროვნების ყველაზე სრულყოფილი სკოლათაგანია. ეს მნიშვნელოვანწილად აიხსნება იმით, რომ მარქსი და ენგელსი თავიანთ მეცნიერულ მოღვაწეობას იწყებდნენ როგორც ჰეგელიანელები, ანუ როოგრც ჰეგელის მეთოდოლოგიის მიმდევრები. ეგელის მეთოდის „სვლა აბტსაქრტულიდან კონკრეტულისაკენ", მეთოდის „კონკრეტულის აბსტრაქტულით შევსების", როგორც გადმოცემის მეთოდის გამოყენებამ მისცა მძლავრი ანალიტიკური და მტკიცებულებითი ძალა კ. მარქსის „კაპიტალს".

მეთოდოლოგიური აზრით „კაპიტალს" განასხვავებს მკაფიოობა, მსჯელობის სიმკაცრე, თანამედრულობა ემპირიულ ფაქტებზე დაყრდნობაში. კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის საპირწონედ კ. მარქსი ფართოდ იყენებდა ისტორიულ და ევოლოციურ მეთოდებს საკუთარი ისტორიულ და ევოლიციურ მეთოდებს საკუთარი დოქტრინის გადმოცემისას. ამასთან ერთად სარგებლობდა უკვე დიდი ხნის კლასიკურ პრინციპს: „ადამიანის ანატომია მაიმუნის ანატომიის გასაღებია," ანუ განვიხილავთ რა საზოგადოებას, შეიძლება მივიღოთ უტყუარი ცოდნა მეურნეობრივი თვალსაზრისით უფრო ნაკლებად განვითარებული ეტაპების შესახებ.

მარსიზმის ეკონომიკური მეთოდოლოგიის სხვა დამახასიათებელ ნიშნებს შეიძლება მივაკუთვნოთ: „ეკონომიკური მატერიალიზმი (დეტერმინიზმი)" საზოგადოების სხვადასხვა სფეროების ერთმანეთს შორის ურთიერთმოქმედების პრობლემაში ეკონომიკური მოძღვრების მკვეთრად გამოხატული პოლიტიზირება, სწროფვა პოლიტიკური ეკონომიის გამოხატული იდეოლოგიის სამსახრუში ჩაყენებისადმი (ეს შეიძლება შეფასდეს როგორც მარქსიზმის მსოფლიმხედველობრივი იდეალი); პოლიტიკური ეკონომიის მიზნების მოდიფიკაცია – ეკონომიკური ეფექტიანობის შესახებ მოძღვრებიდან იგი გადაიქცევა მოძრვრებად ეკონომიკური სამართლიანობის შესახებ. ბაზისად

გამოიყენება ღირებულების თეორია და მასთან დაკავშირებული იდეები, კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი მოვლენები არაადეკვატურად ასახავენ მის არსს!

მაგრამ მარქსისტული ეკონომიკური იდეოლოგიის ხვედრი მაინც აღმოჩნდა დარჩენილი XX ასწლეული ეკონომიკური აზრის განვითარების მაგისტრალური ხაზის გვერდით. ან ვერ გაუძლო ისტორიულ გამოცდილებას.

10. მარჟინალიზმის და კემბრიჯის სკოლის მეთოდოლოგიური ძიებანი

მარჟინალისტური მეცნირული რევოლუცია, განხორციელებული XIX ს. მეორე ნახევარში, წარმოადგენდა იმავდროულად მეთოდოლოგიურ რევოლუციასაც. მრავალი პრინციპი მანამდე შემუშავებული ინგლისური პოლიტეკონომიის და მარქსიზმის მიერ (ეკონომიკური მეცნიერების „პოლიტიზირებულობა", ობიექტივიზმი, ანალიზის თვისებრივი მეთოდები და სხვ.), სრულიად მიიუღებელი აღმოჩნდა მარჟინალისტების თვალსაზრისით. პირიქით, მარჟინალიზმი შეეცადა გაეხადა ეკონომიკური მეცნიერება მინამალური ხარისხით „პოლიტიკური", მის ანალიზში არბობს ეკონომიკის პრობლემებისა და ამოცანებისადმი უკიდურესად აბსტრაქტული მიდგომა; ეკონომიკური ცოდნის ბუნების განიხლვაში სრულიად არ არის იდეოლოგიურ ფასეულობათა რაიმე სისტემა, პირველად შემოდის წონასწორობის და წონასწორობითი მიდგომის ცნებები (ლ. ვალრასი); ეკონომიკურ სიკეთეთა ბუნება აგრეთვე კარგავს ყოველგვარ ობიექტურ განზომილებას და ხდება მხოლოდ და მხოლოდ სუბიექტური; ინდივიდის ეკონომიკური საქმიანობის მთავარ პრინციპად გამოდის მაქსიმიზაცია – სწრაფვა ჰქონდეს ასეთ სიკეთეთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა.

მარჯინალიზმის მთელი რიგი მეთოდოლოგიური იდეები თავისებურად აისახება შემდგომ ეკონომიკურ მეთოდოლოგიებში. განსაკუთრებით ახალი

ავსტრიული სკოლის (ფ. ხეიკი და სხვ.) და ნეოკლასიკურ მეთოდოლოგიურ პროგრამებზე.

კემბრიჯის სკოლამ მოგვცა ეკონომიკაში მეთოდოლოგიური ცოდნის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი –ალფრედ მარშალი და ჯონ ნევილა კეინზი.

მარშალის შეხედულებები ეკონომიკურ მეთოდოლოგიაზე გადმოცემულია მის „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპებში" (წიგნი I), თავები II –IV, დანართი C და D) მის წინამორბედად ეკონომისტთაგან განსხვავებით მარშალი საკმაოდ დიდ ყურადღებას აქცევს ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგიის პრობლემას. იგი სპეციალურად ჩერდება მთელ რიგ მეთოდოლოგიურ საკითხებზე, რომლებსაც მანმადე, როგორც წესი ან მდუმარედ უვლიდნენ გვერდს, ან იგულისხმებოდა, რომ მათ უკვე ჰქონდათ რაღაც აღიარებული კერძოდ, იგი საკმარისად დაწვრილებით განიხილავს ეკონომიკური მეცნიერების საგანს და მიდის გადაწყვეტილებამდე, რომ წინანდელი სახელწოდება „პოლიტიკური ეკონომიკა" უკვე არაადეკვატურად ასახავს თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიზნებს და ამოცანებს და ამიტომ იგი მეტად არ უნდა იქნას გამოყენებული „იგი (ეკონომიკური მეცნიერება) ფრთხილობს შეეხოს მრავალი პოლიტიკურ საკითხს, რომლის იგნორირება პრაქტიკოსს არ შეუძლია; ერთდროულად მეცნიერებასაც და ხელოვნებასაც. აი რატომ არის უკეთესი იგი აღინიშნოს ფართო ტერმინით „ეკონომიკური მეცნიერება" (economics), ვიდრე უფრო ვიწრო ტერმინით „პოლიტიკური ეკონომიკა" (political economy).

ეხება რა ეკონომიკური კვლევის მეთოდის პრობლემას მარშალი მისდევს პრაგმატულ თვალსაზრისს. კონომიკურ მეცნიერებას შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერთ მეთოდი, რომელიც ეფექტიანია მისი მიზნის მისაღწევად. აბსოლიტურად არ არის მნიშვნელოვანი ეს მეთოდი შემუშავებულია მარჟინალიზმის თუ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის მერ, ან, მაგალითად, ისტორიული ან თეორიული მეთოდი, ვერბალური ან მათემატიკური მეთოდი; ნებისმიერ შემთხვევაში, თუ იგი პროდუქტიულია, თუ მისი გამოყენება იძლევა

ეკონომიკურ ცოდნას, ეს მეთოდი მისაღებია მეურნეობრივი ობიექტების კვლევაში.

ა. მარშალი ძალზე აფასებს ეკონომიკურ თეორიას, მაგრამ ამასთან, მოგვაწოდებს არ დავკავდეს ზედმეტი თეორიზაციით და მათემატიზირებით;

„აბსტრაქტიებისადმი გამოდევნება კარგი საქმეა როდესაც იგი ხორციელდება საჭირო ადგილზე.

ინგლისელი ეკონომისტის თვალსაზრისის თანახმად, კლასიკურმა პოლიტეკონომიამ, ბოლომდე ვერ შეაფასა ისტორიული მეთოდის შესაძლებლობები როგორც გლობალური, ისე რეგიონალური მეურნეობრივი პროცესების შესწავლის თვალსაზრისით. ჯ.ნ. კეინზისათვის მნიშვნელოვანია ა ეკონომიკური მეცნიერების დაყოფა პოზიტიურად და ნორმატიულად. შესაბამისად, იყოფა პოლიტიკური ეკონომიის ფუნქციებიც. ერთი მათგანი მდგომარეობს იმაში, რომ გამოკვლეულ იქნას ფაქტები და შეინიშნოს ჭეშმარიტება, მეორეს, პირიქით, შემოაქვს შეფასებითი მსჯელობები და იძლევა განსაზღვრულ მორალურ განაწესებს. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე უკვე ცნობილი ეკონომიკური თეორიების და ჰიპოთეზების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობას.

11. თანამედროვე მეთოდოლოგიური მიმართულებები ეკონომიკურ მეცნიერებაში

საუკუნის უკანასკნელმა ორმა მესამედმა შემოგვთავაზა მეთოდოლოგიური პრობლემების გადაწყვეტის ახალი ვარიანტები ეკონომიკურ მეცნიერებაში, რომელთა შედეგი გახდა მეთოდოლოგიური ანალიზის ახალი სკოლების შექმნა. უკანასკნელთაგან უნდა გამოიყოს: 1. ავსტირული მეთოდოლოგიური სკოლა (ლ. ფონ. მიზესი, ფ. ხეუკი, კ. პოპპერი); 2. კეინზიანედობა მისი სხვადასხვა ვარიანტებით (ჯ. მ. კეინზი, ჯ. ხიკსი, ჯ. რობინსონი) 3. ნეოკლასიკური სკოლა (მ. ფრიდმანი, რ. ლუკასი, მ. ბლაუგი), 4. ინსტიტუციონალიზმი და

ნეოინსტიტუციონალიზმი (ჯ. გელბრეითი, დ. ნორტი, რ. ტომასი, ო. უილიამსონი, ჯ. ბიუკენენი). როგორც ცალკე მეთოდოლოგიური მიმართულება ეკონომიკურ მეცნიერებაში შეიძლება გამოიყოს. 5. მეურნეობათა ფილოსოფიის რუსული მეთოდოლოგიური სკოლა (ს.ნ. ბულგაკოვი, ი.მ. ოსიპოვი).

ახალი ავსტრიული სკოლის ძირითადი იდეები მეთოდოლოგიის დარგში წარმოადგენენ იმ ტრადიციების ლოგიკურ გაგრძელებას, რომელსაც საფუძველი ჩაუყარეს ძველმა ავსტრიულმა სკოლამ, უპირველესად კი მისმა მარჟინალისტურმა (კ. მენგერი და სხვ.) მიმართულებამ. სუბიექტივიზმი, ინდივიდუალიზმი, აგრეთვე ფ. ხაიკეის მიერ ფუნდამენტურად დამუშავებული ადამიანისეული ცოდნის შეზღუდულობის თეზისი პლუს კ. პოპპერის სოციალური ინსტიტუტების თანდათანობითი სრულყოფის კონცეფციამ (მარქსიზმის მიერ შემოთავაზებული რადიკალური ვარიანტების საწინააღმდეგოდ) მოახდინა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მთლიანად XX საუკუნის ეკონომიკურ თეორიაზე.

კერძოდ, ინდივიდუალიზმის თეზისმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კერძო საკუთრების ინსტიტუტის „გამართლებაში", რაც დამანგრეველი კრიტიკის ობიექტი იყო დაწყებული XIX ს. მეორე ნახევრიდან. მეთოდოლოგიური ვექტორის ინსიტუტის გამართლება პოზიტიურად აღიქმება თითქმის მთელი ეკონომიკური მეცნიერების მიერ.

კ. პიპერმა თავის მხრივ დიდი წვლილი შეიტანა ეკონომიკურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მეთოდოლოგიის ურთიერთშორის სინთეზირების ასპექტების შემუშავებაში. ფ.ხაიკერის კვალდაკვალ მან მოახდინა თეზისის აპრობირება საბაზრო ეკონომიკის და მისი ისნტიტუტების ინსტიტუციონალური თვითსრულყოფის შესაძლებლობის შესახებ და იმავდროულად მათი განვითარების სრული და აბსოლიტური მართვის არარეალობის შესახებ.

ამრიგად, ახალი ავსტრიული სკოლა შეიძლება დახასიათებული იქნას როგორც მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის სკოლა ეკონომიკურ

მეთოდოლოგიაში, ხოლო ი.პ. გუროვას ზემოთ მოყვანილი კლასიფიკაციით – როგორც ეკონომიკური ლიბერალიზმის მეთოდოლოგიური სკოლა.

კეინზიანელები (თვით ჯ. მ. კეინზის ჩათვლით) ასევე აქტიურად იყვნენ დაკავებულნი – მეთოდოლოგიური პრობლემებით და მათი წვლილი ეკონომიკური ცოდნის მეთოდოლოგიის განვითარებაში აღიარებული უნდა იქნას როგორც უაღრესად წონადი.

ჯ.მ. კეინზის და მისი მიმდევრების ერთ-ერთი დამსახურების ემპირიულად და თეორიულად დამტკიცებული იდეა, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეუძლია არსებობა სახელმწიფოს აქტიური ჩარევის გარეშე (ინტერფენიციონალიზმი). მაგრამ კეინზი და კეინზიანელები არ წავიდნენ აქ მარქსის გზით, რომელიც მოითხოვდა, რომ ამ ინტერფენციონიზმმა ბოლოს და ბოლოს შთანთქა მთელი საბაზრო ეკონმიკა მის საბაზისო ინსტიტუტთან, კერძო საკუთრებასთან ერთად. თვით კეინზი ნაშრომში „დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგად თეორია", უარყოფდა ეღიარებინა კაპიტალიზმი თვითრეგულირებად სისტემად და იმავდროულად ამტკიცებდა, რომ სახელმწიფოს დახმარებით დაყრდნობით (კერძოდ, მის დახმარებაზე უმუშევრობის პრობლემის აღმოსაფხვრელად) კაპიტალიზმს შეუძლია ბარონ მიუნჰაუზენის მსგავსად გამოათრიოს თავი საკუთარი თმებით წყლიდან ანუ იმ მრავალრიცხოვანი სპეკულატიუ-საბირჟო დეპრესიებიდან, რომელშიც მას აგდებს „laissz-faire'' პრინციპი.

კეინზის მეთოდოლოგიური პროგრამის მეორე უმნიშვნელოვანესი ნიშანია მისი აქცენტირება ადამიანის როგორც მწარმოებლისა და მომხმარებლის ქცევაში რაციონალურსა და ირაციონალურს შორის ღრმა ურთიერთკავშირზე, წინააღმდეგობრიობის აღიარება სხვადასხვა ეკონომიკური საბუექტების საქმიანობაში.

„ზოგადი თეორია" (ჯ.მ. კეინზის) არის არა უბრალოდ ტექნიკური შეცდომების მტკიცებულება დასაქმების განმსაზღვრელი ფაქტორების ახალ ეკონომიკაზე, სხვაგვარად რომ ითქვას, თეორიული ინსტრუმენტარიუმი მოყვანილ იქნას შესაბამისობაში ახალ რეალობასთან. ამასთან, მიბრუნება

რეალობისადმი ნიშნავს ფსიქოლოგიური ფაქტორების აღიარების მნიშვნელობას, მომავლის პრინციპულ გაურკვევლობას და ეკონომიკური სუბიექტების წინასწარგანზრახული და მოჩვენებითი რაციონალური ქცევების ცალკეული შედეგების პროგნოზირების შეუძლებლობას.

ნეოკლასიკურმა სკოლამ (ამასვე ჩვენ ვაკუთვნებთ მონეტარიზმსა და მიწოდების ეკონომიკას) ააღორძინა ინგლისელი პოლიტიკური ეკონომიის იდეები მარჟინალიზმის და კემბრიჯის სკოლის იდეების სინთეზის საფუძველზე და წარმოშვა როგორც კეინზიანელობისადმი კონსერვატიული საპირწონე XX საუკუნის 60-80-იან წლებში.

ნეოკლასიკური სკოლა-ეს „აღდგენილი ტრადიციის" სკოლაა იგულისხმება კლასიკური პოლიტეკონომიის ტრადიციები, რომელიც შეწყვეტილია სხვა სკოლების მიერ და რომლის აღდგენასაც ცდილობს ნეოკლასიკა თითქოს ახალ დონეზე. მაგრამ XX ს. კლასიკური მიმართულებიდან ახალი სკოლა იღებს არა ყველაფერს, არამედ უპირველეს ყოვლისა, მისწრაფებას ზღვრული აბსტრაქტტულისკენ (ნეოკლასიკურებთან – უმეტესწილად მათემატიკურისკენ) მეურნეობრივი პროცესების და მოვლენების აღწერას. ეს მიდგომა ივსება ეკონომიკური სუბიექტების როგორც მკაცრად რაციონალური არსების გაგებით, სრულწონიანი და გაწონასწორებული ანალიზით და (მონეტარისტებთან) ფულის ფაქტორის ჩართვით საერთო თეორიულ ანალიზში.

ნეოკლასიკური სინთეზის ძირითადი იდეები შეიძლება ასევე ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად :

„ეკონომიკური სუბიექტები რაციონალურნი არიან იმ აზრით, რომ ისინი ცდილობენ უზრუნველყონ საკუთარი მიზნობრივი ფუნქციების ოპტიმიზება, ამასთან ირიენტირებულნი არიან ბაზრის არა მარტო მიმდინარე, არამედ მომავალში შესაძლო მდგომარეობაზე.

სისტემაში არ არის სრულყოფილი წინასწარგანჭვრეტა-სუბიექტებმა არ იციან როგორი სიტუაცია წარმოიქმნება ბაზარზე მათი მოქმედების შედეგად და ამიტომ იძულებულნი არიან ორიენტაცია აიღონ საკუთარ პროგნოზირებაზე;

პროგნოზი იგება სუბიექტებისათვის ყოველი ხელმისაწვდომი და არსებითი ინფორმაციის ბაზაზე;

სუბიექტების მოლოდინები რაციონალურია იმ აზრით, რომ ისინი მიღებულია ინფორმაციის ოპტიმალური (მაქსიმიზაციის კრიტერიუმის თვასაზრისით) გამოყენებისას.

წონასწორობა აიხსნება არა როგორც შედეგი, ერთმონეტიანი მდგომარეობა, არამედ როგორც მოთხოვნისა და მიწოდების გამოთანაბრების პროცესი.

ამრიგად, ნეოკლასიკური სკოლის მეთოდოლოგიური იდეები აყენებენ ეკონომიკურ აზრს ეკონომიკური სინამდვილის მაქსიმალურად შესაძლებელ ფორმალურ-აბსტრაქტული (მათემატიკურის ჩათვლით) აღწერის გზაზე; მეურნეობრივი სუბიექტის ქცევის ორაციონალურობა ასეთ სისტემაში აღიწერება როგორც არასრული რაციონალური ქცევა, მაგრამ პრინციპში, რაციონალიზაციას შეიძლება დაექვემდებაროს ყვეა ეკონომიკური პროცესის აღწერა; ანალიზის ისტორიულ ასპექტს და ეკონომიკური მოვლენების განხილვის რეგიონალურ დონეს ყველაფრის მიუხედავად, ალათ აქ არა აქვს არსებითი მნიშვნელობა.

ინსტიტუციონალიზმმა თავდაპირველად თავი წარმოიჩინა როგორც „დისიდენტურა მოძრაობამ" XX საუკუნის ეკონომმიკური აზრის შიგნით, თუმცა როგორც მჭიდროდ - დაკავშირებულმა ფესვებით კეინზიანულობასთან ავსტრიულ სკოლასთან და ნეოკლასიკურ ანალიზთან.

„ძველი" ინსტიტუციონალიზმი (ტ. ვებლენიდან ჯ. გელბრეიტამდე), თუმცა აანალიზებდა სხვადასხვა ინსტიტუციონალურ ცვლილებებს ეკონომიკურ სფეროში, მაგრამ ვერ შეძლო შეექმნა ფუნდამენტური მეთოდოლოგიური პროგრამები და ამითვე ვერ შეძლო გაეწია სერიოზული კონკურენცია

კეინზიანელობისთვის და ნეო-კლასიკისთვის ეკონომიკური მეთოდოლოგიის დარგში XX საუკუნის 30-60 – იან წლებში. ახალი ინსტიტუციონალიზმი (ნეოინსტიტუციონალიზმი), პირიქით, აღმოცენებიდანვე თვალსაჩინოდ აჩვენებდა მკაფიოდ გამოხატულ ფუნდამენტურ მეთოდოლოგიურ ძიებას.

რას შედეგებამდე მიგვიყვანა ამ ძიებამ?

-დავიწყოთ იმით, რომ ნეოინსტიტუციონალიზმი შეიარაღდა მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპულად ახალი ტიპით (სხვაგვარად ნეოკლასიკის და ავსტრიული სკოლის მიმართ); განხილვის ცენტრში აღმოჩნდა არა უბრალოდ იდნივიდი, არამედ ინდივიდი, რომელიც ქმნიდა ინსტიტუტებს. ამგვარად გადასახული აღმოჩნდა ზღვარი, რაც ანცალკევებდა (უწინ სხვა მეთოდოლოგიურ სკოლებში იზოლირებულ) „ეკონომმიკურ ადამიანს" სოციალური ჯგუფებისა და კლასებისაგან, რომლის წევრიც იგი იყო და სოციალური დაწესებულებებიდან, რომელსაც იგი ქმნის.

„ნეოინსტიტუციონალიზმი წინა პლანზე აყენებს დამოუკიდებელ ინდივიდს, რომელიც თვითონ, საკუთარი სურვილით და თავისი ინტერესეს შესაბამისად წყვეტს რომელი კოლექტივის წევრი უნდა იყოს იგი".

ნეოინსტიტუციონალიზმის ეკონომიკური აზროვნების მეორე მნიშვნელოვანი პუნქტია ახალი მეთოდოლოგური რეფლექსია ეკონომიკის როგორც მნიშვნელოვანწილად ფორმულირებული და მათემატიზირებული მეცნიერების, შესახებ ნეოკლასიკურ შეხედულებათა გადასინჯვა, აგრეთვე უარის თქმა კონკრეტული ეკონომიკური კვლევის ზოგიერთ აღიარებულ მეთოდებზე.

„ინსტიტუციონალური ეკონომიკა, შეიარაღებული ევოლუციურსოციაოლოგიური მეთოდებით, უარყოფს მარჟინალური და წონასწორითი ანალიზის მეთოდებს."

სახელდობრ გლობალური ისტორიულ-ევოლიციური გამრავლებული ფართო სოციოლოგიურ, კულტუროლოგიურ და ფილოსოფიურ რაკურსზე არ ეყო

წინამორბედ ინსტიტუციონალიზმს, ეკონომიკურ მიმდინარეობებს და მეთოლოგიებს, განსაკუთრებით ნეოკლასიკას. ამის გამო დ. ნორტი შენიშნავს:

„სოციალური მეცნიერებები მუდმივად განიცდიან შინაგან კონფლიქტს იმის გამო, რომ მათ მიერ შემუშავებული თეორიები არ შეესაბამებიან ადამიანისეულ ურთიერთქმედებათა რეალურ პროცესებს. ეს შეუსაბამობა ყველაზე თვალსაჩინოდ ვლინდება ეკონომიკური თეორიის ლოგიკურ დასკვნებსა და ეკონომიკურ სისტემათა ფუნქციონირებას შორის (როგორადაც არ უნდა განვსაზღვრავდეთ და ვზომავდეთ მას). რა თქმა უნდა, ნეოკლასიკური თეორია იძლეოდა კარგ შედეგებს განვითარებულ ქვეყნებში ბაზრების ანალიზის დროს, მაგრამ თუ მივმართავთ ეკონომიკური განვითარების სკოლის მეორე ბოლოს, ვნახავთ, რომ ნეოკლასიკური თეორია არ არის საიმედო დამხმარე ისეთი ორგანიზიცების შესასწავლად როგორებიცაა შუასაუკუნეობრივი ფეოდალური ადგილ-მამული, ბაზრობები შამპანში, ან „სუკ" (ბაზარი ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნებში, რომელთა გარეშე ძნელია ამ ქვეყნების გაგება). ნეოკლასიკურ თეორიას არა მარტო არ შესწევს უნარი დამაჯერებლად აღწეროს ამ სტრუქტურებს შორის ურთიერთმოქმედება, არამედ არ შეუძლია ახსნას რატომ არსებობენ ურთიერთქმედებათა ასეთი, თითქოს არაეფექტიანი ფორმები ათასწლეულების განმავლობაში."

ეკონომიკური მეცნიერების განვითარების შემდგომი პერსპექტივები გულისხმობენ უფრო დიდ აპელაციას ინსტიტუციონალური მეთოდოლოგიისადმი: მისი ევრისტიული რეზერვები ჯერ კიდევ არ არის ამოწურული და შეიძლება ჩვენ გველის ამ მიმართულებით მნიშვნელოვნად მეტი პროგრესი, ვიდრრე ის, რომელიც გვაქვს ეკონომიკური ცოდნის განვითარების დღევანდელი დღისათვის.

ახლა რამდენიმე სიტყვა მეურნეობის ფილოსოფიის რუსული სკოლის შესახებ ,მეთოდოლოგიური პრობლემებისადმი მისი სპეციფიკური მიდგომით.

მეურნეობის ფილოსოფიის ამ სკოლამ რომელსაც საფუძველი ჩაუყარა სერგეი ნოკოლოზის ძე ბულგაკოვის ნაშრომმა „მეურნეობის ფილოსოფია" (1912), კურსი აიღო მეურნეობრივი პროცესების განსაკუთრებულ

მეთოდოლოგიურ ახსნამ ეკონომიკური მეცნიერების მიზნებისა და დანიშნულების პრობლემის თავისებური ფორმულირებით.

ს.ნ. ბულგაკოვის თანახმად, მეურნეობა, თავისი არსით არის რაღაც ტრანსცენდენტური, მეცნიერული ან რაციონალური წესით აუხსნელი რეალობა, რომელიც არ დაიყვანება მხოლოდ ხილულ მეურნეობრივ პროცესებამდე:

„მეურნეობა თავის ფენომენოლოგიაში, ე.ი. უშუალოდ ემპირიულ მოცემულობაში, არსებობს ჩვენთვის როგორც ნებაყოფლობით ან არანებაყოფლობით მისაღები აუცილებლობა, რომელიც შეწერილია ჩვენზე გარედან.”

მეურნეობის არსის ანალიზის დროს ს.ნ. ბულგაკოვი მას განსაზღვრავს აგრეთვე როგორც არსებობისთვის ბრძოლა პროცესის ნაწილს: „მეურნეობა არის კაცობრიობის ბრძოლა ბუნების სტიქიურ ძალებთან სიცოცხლის დაცვისა და გაფართოების მიზნით და ბუნების გასაადამიანურებლად”. „ყველა კერძო მეურნეობა შეიძლება განხილულ იქნას როგორც არსებობისთვის ბიოლოგიური ბრძოლის კერძო შემთხვევა.”

ს.ნ. ბულგაკოვის ეკონომიკური მეთოდოლოგია შეიძლება დახასიათედეს როგორც ევოლიციური მეთოდლოგია, რომელიც შეიცავს საკუთარ თავში ანატონომიის, დიალქტიკური წინააღმდეგობის ნიშნებს: მასში უნცაურად არის გაერთიანებული სცინეტიზმი და რელიგიური ანტისციენტიზმი, პოზიტივიზმი და ესენციალიზმი, ბიოლოგიური რედუქციონიზმი და მეურნეობის განსაკუთრებულ ფორმად აღიარება, რაც სხვა სფეროებამდე არ დაიყვანება. ბოლო პუნქტში რუსი მოაზროვნე მკაცრად აკრიტიკებს მარქსიზმს, როგორც უხეში „ეკონომიკური დეტერმინიზმის” სახესხვაობას, უჩვენებს მეურნეობრივი პროცესებიდან ყველა კულტურული ფენომენის გაყვანის შეუძლებლობას.

ი.მ. ოსიპოვი მეურნეობის ფილოსოფიის თანამედროვე რუსი წარმოამდგენელი და იმავე სახელწოდების ალმანახის მთავარი რედაქტორი, ამ პუნქტებს უმატებს მეურნეობის ფილოსოფიის შემდეგ განმარტებას: „მეურნეობის

ფილოსოფია არა მარტო ფილოსოფიაა მეურნეობის შესახებ, არა მხოლოდ ერთი დარგია ფილოსოფიისა, არც ეკონომიკის ფილოსოფიური ინტერპრეტაციაა, იგი აგრეთვე ცოდნის განსაკუთრებული სფეროცაა ადამიანის, მისი ცხოვრების და მეურნებრივი საქმიანობის შესახებ, რომლისთვისაც დამახასიათებელია პრობლემები და აზრები, ჩაქსოვილნი საერთოდ ადამიანის გენომენთან, ცხოვრების საწყისებით და მიზნებით, მეურნე და შემოქმედი ადამიანის მისწრაფებებებით, ადამიანისა და სამყაროს ისტორიული ბედით. რა არის მეურნეობა, რატომ არის ის, რა უნდა მას, საითკენ მიდის? და რა არის ადამიანი მეურნეობაში, როგორ და რისთვის მოქმედებს იგი, რას განიცდის, რას ლაპარაკობს? ეს, როგორც ბევრი სხვა საკითხი, აღელვებს მეურნეობის ფილოსოფას, რადგან თვით ჭეშმარიტად ფილოსოფიური საკითხებია, რომლებზედაც, თუ შესაძლებელია, გაიცემა ფილოსოფიური პასუხები". შესაბამისად, მეურნეობის ფილოსოფია, როგორც ეკონომიკური მიმართულება ცდილობს რუსული ფილოსოფიური და ეკონომიკური აზრის ტრადიციების სინთეზირებას, შემოიღოს, მეურნეობრივი პროცესების ტრანსცენდეტურობის ცნება, შეავსოს კლასიკური მეთოდოლგოიის რაციონალიზმი და სციენტიზმი რელიგიური და ევოლიციური ეკონომიკური მეთოდოლოგიით.

თავი 5. ეკონომიკური კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია

1. მეცნიერული და არამეცნიერული მეთოდები ეკონომიკურ კვლევებში

ეკონომიკური კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა გზით, სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით. კლასიფიკაციის ამოცანაა გამოავლინოს კვლევის ერთეულები სხვადასხვა დონის მიხედვით (კლასები, ჯგუფები), რათა მათში აღმოაჩინოს და გამოავლინოს ზოგადი, განსაკუთრებული და ერთეული, რითაც შეიძლება შემსუბუქდეს საკვლევი ობიექტის ანალიზი. კლასიფიკაციის კრიტერიუმები შეიძლება განთავსებულ იყოს სხვადასხვა დონეზე: ისინი შეიძლება იყოს ეპისტემოლოგიური, დაყოფილი ემპირიულად და თეორიულად, ზოგად მეცნიერულად და თეორიულად), ზოგადმეცნიერულად და ნაწილობრივმეცნიერულად (დაყოფა მეცნიერებების მიხედვით მათემატიკის სტატისტიკა, ისტორია) და ა.შ. ეკონომიკურ კვლევის მეთოდოლოგიაში ასეთ დაყოფას არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა. მთავარია ვაჩვენოთ სხვადასხვა თანმიმდებრული ტიპოლოგია; კერძოდ, 1) უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან მეცნიერული და არამეცნიერული ეკომომიკური მეთოდები; 2) თეორიული და ემპირიული ეკონომიკური მეთოდები და ა.შ, და მათ ბაზაზე გადმოგვცეთ თითოეული მეთოდის ძირითადი იდეა. ასეთ შემთხვევაში კლასიფიკაცია შეიძლება დაუქვემდებაროთ დიდაქტიკურს, და არა კვლევით მიზნებს. ზოგადად, ტიპოლოგია არ უნდა ვაქციოთ მეცნიერულ კერპად, თაყვანისცემის ობიექტად," არამედ ის არის რომელიმე მიზნის მიღწევის საშუალება, რადგანაც ყოველთვის არსებობს რისკი, რომ ასეთი კლასიფიკაცია გადაიქცეს „კერპად" და გახდეს ჭეშმარიტი მიზნისმიღწევის საშუალებას.

დავიწყოთ ყველაზე მარტივი ტიპოლოგიით (კლასიფიკაციით) და შემოვიღოთ პირველი კრიტერიუმი ეკონომიკური კვლევის მეთოდისათვის – მეცნიერულობის კრიტერიუმი.

ეკონომიკური კვლევის მთელი მეთოდი შეიძლება დაიყოს მეცნიერულად და არამეცნიერულად.

მეცნიერული მეთოდი – ესაა სინამდვილის შეცნობის მეთოდია, რომელიც დაფუძნებულია რაციონალურ, მტკიცებით, ბუნებისა და საზოგადოების სისტემური კვლევაზე. ეცნიერული მეთოდის მთავარ მიზნად გვევლინება ჩვენს გარშ მო არსებული საწყისი შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა და მიღება ცოდნის ჩვენგან დამოკიდებული სუბიექტის შეცნობით. ეცნიერული ცდებითა და ექსპერიმენტებით, ხოლოდ მისი არსებობის მთავარ ფორმად გვევლინება სამეცნიერო თეორია.

შეიძლება გამოიყოს მეცნიერული კვლევისადმი წაყენებული ხუთი ძირითადი მოთხოვნა: 1) სიმკაცრე, 2) ერთმნიშვნევლობა; 3)ეფექტურობა; 4) უბრალოება (ეკონომიურობა); 5) ევრისტულობა (ახალი შედეგების მოტანის უნარი).

სიმკაცრე მეცნიერულ მეთოდში – ესაა პირველ რიგში რაციონალურობა და მტკიცებადობა, ყოველი დამტკიცებულის სისწორე, თეორიული მტკიცებულების სტრუქტურული ელემენტების შეთანხმებულობა მთლიანობაში.

ერთმნიშვნელობა – ესაა პირველ რიგში ერთმანეთში შინაგანი დაუპირისპირებულობა, შესაფერისობა განხილულ თეორიაში.

მეცნიერული მეთოდის ეფექტიანობა –ეს არის ის, რომ იგი არის გადაწყვეტილი, ე.ი. სასურველი შედეგის მიღება, ასევე იმის შესაძლებლობა, რომ ვაღიაროთ მიღებული შედეგი ჭეშმარიტებად ან ცრუდ.

უბრალოება (ეკონომიურობა) – მეცნიერული შედეგების მიღება მინიმალური ქმედებებით, ანუ ზედმეტი მეცნიერული და დამხმარე კვლევების გამოყენების შედეგად.

მეცნიერული მეთოდის ევრისტიულობა – ესაა ახალი ორიგინალური შედეგის მომტანი მეთოდი, უკვე ცნობადი მეთოდების გამოყენების მეთოდი.

განვიხილოთ ეკონომიკური კვლევის მეცნიერული მეთოდი.

ეკონომიკური კვლევის მეცნიერული მეთოდი – ეს არის მეთოდები, რომლებიც დაფუძნებულია განსაზღვრული რაციონალურ (ან მთლიანად ირაციონალურ), არასისტემუ, დამტკიცების გარეშე (ან საერთოდ დაუმტკიცებელ მიდგომებით ეკონომიკური სინამდვილესადმი. რამეცნიერულობის" მთავარ ნიშნად აქ გამოდის არასისტემატიზირებულობა, აპელაცია ავტორიტეტზე, რწმენაზე ან მითზე.

არამეცნიერული ეკონომიკური მეთოდები და არამეცნიერული ეკონომიკური ცოდნა

არამეცნიერული ეკონომიკური ცოდნის სახეები შეიძლება წარმოგვადგენს სამი ჯგუფის სახით, ესენია: 1. რელიგიური და მისტიკური ეკონომიკური ცოდნა; 2. „იდეოლოგიური", „ილუზიური" ეკონომიკური ცოდნა; 3. გაერთიანებული ეკონომიკური ცოდნა;

არამეცნიერული ეკონომიკური ცოდნის თითოეული სახე აყალიბებს თავის ეკონომიკური მეთოდების კვლევის, რომლებიც ეყრდნობა ეკონომიკურ მოვლენებსა და ფაქტებს; ბ) ეკონომიკური გაურკვევლობა არასწორი ეკონომიკური ცოდნა; გ) ეკონომიკური სიყალბე ეკონომიკური ცოდნის შეგნებულად გაყალბება, იდეოლოგიური მიზნების მისაღწევად მისი გამოყენება.

ვარჩიოთ ცალ-ცალკე მაგალითებით ეკონომიკური ცოდნის არამეცნიერული ეკონომიკური ცოდნაზე.

რელიგიურ-მისტიკური მიდგომების ილუსტრაციისათვის ავიღოთ მევახშეობის პრობლემებისადმი მევახშური მიდგომა ანტიკურ და შუასაუკუნეების ქრისტიანულ ფილოსოფიაში. რატომ აკრიტიკებდნენ ქრისტიანი მოაზროვნეები სასესხო-პროცენტსა და კრედიტს (რომლის გაცემითაც დაკავებული იყვნენ მევახშეები), თუმცა სამეურნეო ურთიერთობებს იმ ეტაპზე ამის გარეშე არსებობა არ შეეძლო.

მათ მიერ გამოყენებული მეთოდი იყო უკიდურესად არამეცნიერული: ეს იყო ავტორიტეტიზმი გამოყენება (ან ავტორიტეტის რწმენა) – წმინდა წიგნის

ბიბლიის ავტორიტეტი და არისტოტელის ავტორიტეტი. თუ ღმერთი კრძალავდა მევახშეობას, ეს უნდა მიეღოთ უსიტყვოდ და ყოყმანის გარეშე. „ღმერთი ყოველთვის სწორია" – ეს პრინციპი ვრცელდებოდა სამეურნეო საქმიანობაზეც.

მეორე არგუმენტი იყო არისტოტელეს ციტირება, როგორც ამ საკითხში უკონკურენტო უპირობო ავტორიტეტისა. არისტოტელე ამტკიცებდა, რომ ფული შეიძლება გაიყიდოს საკუთარი ფასის მიხედვით, რომელიც უპირობოდ არის მართალი. თუ ვინმე აძლევს ფულს სესხად და იღებს იქიდან პროცენტს, ეს იმას ნიშნავს, რომ ფული იყიდება საკუთარ ღირებულებაზე მეტად და მსესხებელი იხდის არა მარტო ფულის ფასს, არამედ მისი გამოყენების ფასსაც. საქონელი (ე.ი. ფული), სინამდვილეში იყიდება ორჯერ, რაც სამართლიანი არაა.

მაშასადამე, ავტორიტეტზე ციტირება, რომელიც დაფიქსირებულია წერილობით წყაროში (ბიბლია, არისტოტელეს მოთხრობები), სარგებლობდა მნიშვნელოვან არგუმენტად ეკონომიკურ დავებში და გამოიყენება „de facto" როგორც მეთოდი (არამეცნიერულ) ეკონომიკურ კვლევაში.

ეკონომიკურ ცოდნისადმი „ედეოლოგიური" („ილუზიური") მიდგომის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ კომუნისტური (სოციალისტური) იდეოლოგია, რომელიც ბატონობდა საბჭოთა კავშირში. მ იდეოლოგიამ აღიარა მხოლოდ ერთი ეკონომიკური თეორია, რომელიც ეყრდნობოდა მხარის, ენგელსის და ლენინის თეორიებს. ამათ გარდა ეკონომიკურ აზროვნებაში ავტორიტეტი დიდი ხნის განმავლობაში იყო სტალინი. მის შემდეგ კი ყრილობის და სხვა პარტიული ღონისძიებების მასალებს.

რა შეიძლება ითქვას საბჭოთა პოლიტეკონომიის მეთოდებზე? მარქსიზ-ლენინიზმის კლასიკოსების „ციტირება" იყო ამ მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მეთოდი. ყველა მონოგრაფია, სახელმძღვანელო, სტატია და სხვა ნაშრომები, შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო მარქსიზმ-ლენინიზმთან. ყოველ გადახვევას კრძალავდა ცენზურა ან ზემდგომი სამეცნიერო ინსტანციები. სსრკ-ში ამ პერიოდისათვის გამოყენებულ ყველა ეკონომიკური ნაშრომი არ შეიძლებოდა გასცილებოდა მარქსისტულ-ლენინისტურ პოლიეკონომიას. ხოლო დასავლეთის

ავტორების ნარომები, რომლებიც აკრიტიკებდნენ „სამეცნიერო ბიბლიოთეკებისათვის და უკეთდებოდა მარქსისტულ – ლენინისტური კომენტარები.

ასეთ მეცნიერულ ეკონომიკურ მეთოდს შეიძლება ეწოდოს „მითოლოგიური" ან „იდეოლოგიური", რადგანაც მისთვის დამახასიათებელი იყო ღია ცრუ ინტერპრეტაცია ეკონომიკური ფაქტების; არაადეკვატუი სტატისტიკური მეთოდების გამოყენება, რომელიც თანამედროვეობას არ შეესაბამებოდა. ეკონომიკურ კვლევებში სრულიად დაუსაბუთებული აქსიომური პრინციპების დაშვება; პირდაპირი ეკონომიკური სოფისტიკა ეკონომიკური დისციპლინებისა და შედეგების მისაღებად.

მაშასადამე, „იდეოლოგიური" („ილუზიური") ცოდნა თავისი კვლევის მეთოდებით პირდაპირ დისკრედიტაციას უკეთებენ მეცნიერულ მეთოდს ეკონომიკურ შემეცნებაში. აქ ხდება ურთიერთშეხება ღირებულებით და ფაქტუალურ მეთოდებს შორის. როცა ღირებულებები ყლაპავენ ფაქტებს და ფასეულობები უარყობენ ფაქტებს. მაშინ იწყება ეკონომიკური შემეცნების სერიოზული რღვევა, რომელიც ვერ ასახავს რეალურს ურთიერთობებს ეკონომიკაში და პრაქტიკაში.

გაერთიანებული ეკონომიკური ცოდნა ეკუთვნის შემეცნების არამეცნირულ სფეროს. ეს ცოდნა, რომელიც ემყარება მყარ აზრს ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, პრაქტიკულ ცოდნას. ასეთი ცოდნა ფართოდ გავრცელებულია ადამიანებს შორის, რომლებსაც არა აქვთ პროფესიული ეკონომიკური განათლება – პირებს, რომლებიც არიან ეკონომიკურ მეცნიერებაში დილეტანტები. ამასთან ერთად ესეთი ცოდნის მიღების (სამუშაო ადგილზე სწავლით, ოჯახის უფროსებისგან მიღებული ეკონომიკური ცოდნა, თვით სწავლა) მრავალ ადამიანს ინდივიდუალური ეკონომიკური წარმატების მიღწევის საშუალებას აძლევს. ისინი ხდებიან ფირმებისა და კორპორაციების მმართველები.

გაერთიანებული ეკონომიკური ცოდნის გამოყენება ეკონმიკური კვლევის მეთოდად ძალიან პრობლემატურია, რადგანაც: პრიველი პრობლემა ისაა, რომ გაერთიანებული ეკონომიკური ცდონა შეიცავს მნიშვნელოვან „გამოუხატავ" ელემენტებს; ასეთი ცოდნა გარკვეულად „პიროვნების ცოდნად" შეიძლება ჩაითვალოს და მისი გადაცემა სხვისთვის დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ნებისმიერი ცოდნა (მათ შორის მეცნიერულიც) თავის თავში მოიცავს „გამოუხატავ" ელემენტებს, მაგრამ განსაკუთრებით ექსტენსიურად იფი ვლინდება გაერთიანებულ ეკონომიკურ ცოდნაში. შეიძლება ითქვას ასეთი ცოდნა უფრო „სდუმს", ვიდრე რამე „აცნობოს" თავის მოსაუბრეს, რადგანაც არაა თავის ცოდნაში ბოლომდე დაწრმუნებული.

გაერთიანებული ეკონომიკური ცდონის შემდეგი „ცოდვაა" მისი „ლოკალურობა," „ფრაგმენტულობა". ის ძირითადად გამოიყენება რომელიმე კონკრეტულ ადგილას (ფირმა, კორპორაცია და ა.შ.), ხოლო მისი გავრცელების მცდელობა ყოველთვის მარცხით მთავრდება, განსაკუთრებით მარცხდება ის პირი, რომელიც ცდილობს გამოიყენოს ეს ცოდნა გლობალური მასშტაბით – დარგის მასშტაბით, რეგიონის ან ქვეყნების მასშტაბით. აქ ის ვერ გაიქცევა პროფესიონალი ეკონომისტების ცოდნას.

გამომდინარე აქედან გაერთიანებული ეკონომიკური ცოდნა შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური ცოდნის დაბალ დონედ. ამიტომ მხოლოდ ეკონომიკური შემეცნების მეცნიერულ მეთოდებს შეუძლია მიგვიყვანოს შედეგამდე, რომელსაც ექნება ობიექტური ეკონომიკური ჭეშმარიტების ხასიათი.

2. საყოველთაო, ზოგადი და კერძო ეკონომიკური მეთოდები

ეკონომიკური კვლევის მეცნიერული მეთოდები შეიძლება დავყოთ საყოველტაოდ, ზოგადად და კერძოდ. საყოველთაო მეთოდის კორელაცია ხდება საყოველთაო მეთოდოლოგიის, ზოგადი მეთოდი – ზოგადი მეთოდოლოგიით და ბოლოს კერძო მეთოდები – კერძო მეცნიერული მეთოდოლოგიით.

ეკონომიკური მეცნიერების საყოველთაო მეთოდი ეს არის მისი ფილოსოფიური მეთოდები, ე.ი. ფილოსოფიის პრინციპები და მეთოდები, რომლებიც შეიძლება განზოგადებულ იქნენ და გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მეცნიერების მიერ კერძო ეკონომიკურ გამოვკვლევებში. ასეთი პრინციპები და კანონები, რომლებიც მიმართულაი მათი საყოველთაო გამოყენებისაკენ, ე.ი. მათი გამოყენება შესაძლებელია აბსოლიტურად ყველა კეონომიკურ გამოკველევაში.

ეკონომიკური მეცნიერების ზოგადი მეთოდები – ეს ის ეკონომიკური მეთოდებია, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური კვლევის ყველა დონეზე, თუმცა არ არიან ფილოსოფიური მეთოდები. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ესაა მეთოდები, რომლებიც შეიძლება განზოგადებულ იქნენ და გამოყენებულ იქნეს ეკონომიკური მეცნიერების მიერ კერძო ეკონომიკურ გამოკვლევებში. ასეთი პრინციპები და კანონები, რომლებიც მიმართ ლია მათი საყოველთაო გამოყენებისაკენ, ე.ი. მათი მაგოყენეა შესაძლებელია აბსოლიტურად ყველა ეკონომიკურ გამოკვლევაში.

ეკონომიკური მეცნიერების ზოგადი მეთოდები – ეს ის ეკონომიკური მეთოდებია, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკური კვლევის ყველა დონეზე, თუმცა არ არიან ფილოსოფიური მეთოდები. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ესაა მეთოდები, რომლებიც გამოიყენება ეკონომიკის გარეთ (იქით), სხვა მეცნიერებებშიც, მაგრამ არ მოიცავს აბსოლიტურად ყველა მეცნიერებას, არამედ მხოლოდ მათ ნაწილს.

ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება ყველა მათემატიკური და სტატისტიკური მეთოდები, აქსპერიმენტის მეთოდი, დაკვირვების მეთოდის ზოგიერთი სახე, მოდელირება და ა. შ. თითოეული ესენი შეიძლება გამოყენებულ იქნეს, როგორც ეკონომიკურ კვლევაში, ასევე სხვა კვლევებში, როგორიცაა სოციალურ, საბუნებისმეტყველო და ტექნიკურ მეცნიერებებში.

მეცნიერული მეთოდების მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ეკონომიკური მეცნიერების კერძო მეთოდები – მეთოდები რომლებიც მხოლოდ ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოიყენება და სხვაგან არსად არ გამოიყენება.

კერძო მეთოდები ძირითადად შინაარსიანია და უშუალოდ ეხება შემეცნების საგანას, არა ზოგადად შემეცნებას როგორც ასეთს, რომლის ელემენტსაც ისინი წარმოადგენენ. კერძო მეთოდების დახმარებით ყალიბდება ესა თუ ის კონკრეტული მეცნიერება, მათი არსი და გამოყენების შესაძლებლობები განისაზღვრება მეცნიერების განვითარების დონით.

ეკონომიკური კვლევის კერძო მეთოდებს შეიძლება მივაკუთვნოთ შ მდეგი მეთოდები: ეკონომიკური დაკვირვების, ეკონომიკური ინდუქციის, ეკონომიკური ჰიპოთეზის აგების მეთოდი, სამეურნეო საქმიანობის ანალიზის ისტორიული მეთოდი და ა.შ.

რეალური ეკონომიკური კვლვევის პროცესში სამივე მეთოდი ურთიერთკავშირშია და კორეალიცას ახდენენ ერთმანეთში, ამასთანავე თითოეული მათგანი ასრულებს თავის ფუნქციას: საყოველთაო მეთოდები გვთავაზობენ შედარებით ზოგად ვარიანტს ეკონომიკური ჭეშმარიტების დასადგენად; ზოგადი მეთოდები კონკრეტიზახიას უკეთებენ ეკონომიკური კვლევის მიმდინარეობას, ეხმარებიან დაგროვილი ეკონომიკური ფაქტების განვრცობასა და ანალიზს, ავლენენ კერძო ეკონომიკურ კანონებსა და პრინციპებს; თავის მხრივ კერძო ეკონომიკური კვლევის მეთოდები, იკვლევენ ეკონომიკური ობიექტის ცალკეულ მხარეებს, ავსებენ ზოგად ეკონომიკურ ანალიზს, რომლებიც სწავლობენ კონკრეტულ ეკონომიკურ მოვლენებსა და პროცესებს.

3. ლოგიკური და არა ლოგიკური ეკონომიკური მოდელები

ეკონომიკური კვლევის მეცნიერული მეთოდები შეიძლება დავყოთ ლოგიკურ და არალოგიკურ მეთოდად.

მეცნიერული კვლევის ლოგიკური მეთოდები – ესაა მეთოდები, რომლებიც ემყარება ლოგიკას: ფორმალურს და მათემატიკურს. ასეთი მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება: დედუქციისა და ინდუქციის მეთოდი, ფორმალიზაციისა და მათემატიკურს. ასეთი მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება: დედუქციისა და ინდუქციის მეთოდი, ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის მეთოდი, ლოგიკური ინტერპრეტაციის მეთოდი, აქსიომიზაიის მეთოდი, ანალოგიის მეთოდი, აქსიომატიზაციის მეთოდი, ანალოგიის მეთოდი, დასაბუთების მეთოდი, ლოგიკური დასაბუთების მეთოდი და ზოგიერთი სხვ.

ლოგიკური მეთოდები საფუძვლად უდევს „მეცნიერების ენის" შექმნას – ნიშნებისა და სიმბოლოების სიტემის შექმნას,რომლებიც გამოხატავენ მეცნიერული შემეცნების ძირითად ინსტურმენტებს. „მეცნიერების ენაში" თამაშობს როლს კომუკინაციური და დიდაქტიკური საშუალებები, ასევე ინტეგრაციას უკეთებენ მეცნიერულ და პედაგოგიურ ცოდნას კონკრეტული დისციპლინის ფარგლებში.

ლოგიკური მეთოდები – ესაა ისეთი ზოგადი მეთოდები, რომლებიც მოიცავენ ლოგიკის მეცნიერების კანონებისა და კატეგორიების სისტემას და რომლის რესურსებითაც ანალიზდება და ყალიბდება მეცნიერების ენა, თვითშემეცნების სტურქტურა და მისი შედეგები – სამეცნიერო თეორიები, მეცნიერული ცოდნა.

ეკონომიკური ანალიზის მეთოდები შეიძლება დაკონკრეტდეს შემდეგი სახით. კონომიკური კვლევის ლოგიკურ მეთოდების რციხვს მიეკუთვნება: ეკონომიკური ინდუქციისა და დედუქციის მეთოდი. კონომიკური შემეცნების ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის მეთოდი, ეკონომიკური ფაქტებისა და მოვლენების ინტერპრეტაციისა და ახსნის მეთოდი, ეკონომიკური თეორიის შექმნისა და დამტკიცების აქსიმატიზაციის მეთოდი, ეკონომიკური ანალოგიის მეთოდი (ეკონომიკური მოვლენების ახსნა-ანალოგიის მეთოდი), ეკონომიკური მტკიცების მეთოდი და ა.შ.

ეკონომიკური კვლევის ლოგიკური მეთოდები თამაშობენ განსაკუთრებულ მნიშვნელოვან როლს ეკონომიკურ შემეცნებაში:

კერძოდ, ახალი ეკონომიკური ჭეშმარიტების დადგენისას ლოგიკური მეთოდები თავიანთ თავზე იღებენ ძირითად სიმძიმეს, ამიტომ ასეთი მეთოდების გამოყენება წარმოადგენს პროფესიული ეკონომიკური განათლების მნიშვნელოვან ნაწილს.

მეცნიერული კვლევის არალოგიკური მეთოდები – ესაა ისეთი მეთოდები, რომლებიც თავისი სტურქტურით არ არიან დაკავშირებული ფორმალურ და მათემატიკურ ლოგიკასთან, არამედ მათ პირდაპირ ეწინააღმდეგებიან, ე.ი. არიან ალოგიკურები.

ეკონომიკური ანალიზის დროს ალოგიკური მეთოდებს შეიძლება მოვაკუთვნოთ: ეკონომიკური დაკვირვება, ეკონომიკური ექსპერიმენტი (მათი „წმინდა" სახით, თეორიული ინსტუმენტარიის წამძრვარების გარეშე), ეკონომიკურ კვლევაში ისტორიული მეთოდის გამოყენება ეკონომიკურ კვლევაში ისტორიული მეთოდის გამოყენება ეკონომიკურ კვლევაში, ეკონომიკური ინტუციის, ეკონომიკური რწმენის (არარელიგიური რწმენა) და ა.შ.

ეკონომიკური კვლევის არალოგიკური მეთოდები ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური შემეცნებისათვის: ისინი შეადგენენ აუცილებელ ბაზას ლოგიკური მეთოდებისათვის, ავსებენ მათ და ახლოებენ მათ ყოველდღიურობასთან, მეტად ქაოტურ სამეურნეო ცხოვრებასთან. ეკონომიკური კვლევის არალოგიკური მეთოდი ხანდახან შეიძლება ასწრებდეს ლოგიკურ მეთოდს, მაგალითად, ზოგიერთი სწავლული-ეკონომისტები ინტუიციით აღმოაჩენდნენ ჭეშმარიტებას, ხოლოდ შემდეგ ამტკიცებდნენ და ასაბუთებდნენ მას და ან ცდილობდნენ მის დასაბუთებას.

4. რაოდენობრივი და ხარისხობრივი ეკონომიკური მეთოდები

ეკონომიკური კვლევის მეთოდების კლასიფიკაციას ახდენენ იმის მიხედვით, თუ მკიტცების რომელ სისტემას უყენებენ ამა თუ იმ საკითხის სამეურნეო პრობლემების განხილვისას. ასეთი მიდგომის დროს ყველა მეთოდი შეიძლება დაიყოს რაოდენობრივად და ხარისხობრივად.

ეკონომიკურ კვლევაში რაოდენობრივი მეთოდი – ესაა მეთოდი, რომელიც ემუქრება ეკონომიკურ კვლევაში გაზმოვადი სიდიდეების გამოყენებას, რომლებიც როგორც წესი გამოიხატება ციფრებში.

გაზომვა – ესაა პროცედურა, რომლის მეშვეობითაც გაზომვადი ობიექტის შედარება ხდება რომელიმე სხვა ელემენტთან და ღებულობს რიცხობრივ გამოხატულებას განსაზღვრული მასშტაბით ან შკალით. აზომვა ეწოდება აგრეთვე ერთმნიშვნელოვნად ემპრიული სისტემას მის ელემენებს შორის ურთიერთობაში (შემადგენლობა, მდგომარეობა, ხასიათი და ა.შ), რომელიც გამოიხატება ციფრობრივ სისტემაში ციფრებს შორის შესაბამიის თანაფარდობით. საბოლოოდ ფორმირდება გასაზომი ობიექტს ციფრობრივი მოდელი.

ეკონომიკურ შემეცნებაში ხარისხობრივი მეთოდების რიცხვს მიეკუთვნება ორი ძირითადი მეთოდი: მათემატიკური და სტატისტიკური. თავიანთ გამოყენებთ მნიშვნელობაში ეს ორი მეთოდი ერთიანდება ერთ ზოგად მეთოდში – ეკონომეტრიკულში.

ეკონომიკრუი ანალიზის ხარისხობრივი მეთოდისაა ეკონომიკური მეთოდი, რომლის დროსაც გაზომვის ოპერაცია პრაქტიკულად არ გამოიენება, არამედ ძირითადი ყურადღება გადატანილია სიყვიერ აღწერაზე, იტერპრეტაციაზე, გადმოცემაზე და შესწავლილი ეკონომიკური ობიექტის შემადგენლობის შესწავლაზე.

ამ დროს მთავარ მიზნად გვევლინება საკვლევი თავისებურებებს (ხარისხის) არსის შესწავლა, ასევე მათი ლოგიკური (რაციონალური) ინტერპრეტაცია.

აუცილებელია მიუახლოვდეთ აზრების ადეკვატურ გაგებას, რომელსაც ადამიანი დებს სხვადასხვა მსჯელობასა და მქედებაში.

ეკონომიკურ კვლევასთან დაკავშირებით ეს ნიშნავს მისწაფებას „ავითვისოთ” და „გამოვხატოთ” ეკონომიკურ ცნებებში რაოდენობრივი მხარე შესასწავლი ეკონომიკური ობიექტების და მოვლენების. „ გავხსნათ”

ადამიანების ეკონომიკური საქმიანობის აზრი სხვადასხვა სამეურნეო სიტუაციაში, ვუპოვოთ ახსნა მათ ეკონომიკურ ქცევას და ცალკეულ ქმედებებს.

5. ეკონომიკური მეთოდების კლასიფიკაციის შედეგები

შევაჯამოთ პირველი შედეგები ეკონომიკური კვლევის მეთოდების კლასფიკაციას:

ეკონომიკური კვლევის მეთოდები შეიძლება დავყოთ მეცნიერულ და არამეცნიერულ მეთოდებად. მეცნიერული მეთოდები იყოფა ლოგიკურ და არალოგიკურ მეთოდებად და ბოლოს, ეკონომიკური კვლევის ლოგიკური მეთოდები შეიძლება დაიყოს ხარისხობრიბად და რაოდენობრივად.



6. ეკონომიკური კვლევის მეთოდეის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფორმაა მისი დაყოფა ემპირილად და თეორიულად

ეკონომიკური კვლევის მეთოდების კიდევ ერთი მნიშველოვანი ფორმაა მისი დაყოფა ემპირიულიად და თეორიულად.

ეკონომიკური შემეცნების ემპირიული მეთოდი – ესაა ეკონომიკური რეალობის შემეცნების მეთოდი, რომელიც მოქმედებს ცდების დონეზე. არსებობს ორი ძირითადი ემპირიული მეთოდი: ეკონომიკური დაკვირვებისა და ეკონომიკური ექსპერიმენტის, მათ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს შეადგენს გაზომვის პროცედურა.

ემპირიულ დონეზე მკვლევარ-ეკონომისტს საქმე აქვს ემპირიულ ფაქტებთან. იგი ეხება სამეურნეო ცხოვრებას, რომელსაც აკვირდება და აფიქსირებს სუბიექტი – დამკირვებელი. ესაა ნებისმიერი სოციალური ფაქტორი, რომელშიც ასახულია ესა თუ ის ეკონომიკური პროცესი ან მოვლენა. ეკონომიკურ ფაქტებს მკვლევარი ღებულობს უშალოდ ეკონომიკური დაკვირვებათა და ეკონომიკური ექსპერიმენტით, ამასტანავე ხშირად იყენებს ეკონომიკური გაზომვის პროცედურას.

ეკონომიკური დაკვირვება - ესაა სამეურნეო საქმიანობის მიზანმიმართული და ორგანიზებული აღქმა, რომლებიც იქნება პირველი მისაღები მეცნიერულ ეკონომიკური კვლევისათვის. დამკვირვებელი – აფიქსირებს ამა თუ იმ ეკონმიკური ფაქტებს, ისე რომ დაკვირვების ობიექტებზე არ მოახდინოს აქტიური ზემოქმედება. ეს ფაქტები შემდგომში გამოიყენო ეკონომიკური კვლევის თეორიულ მეთოდებში.

ეკონომიკური ექსპერიმენტი – ესაა რომელიმე სამეურნეო საქმიანობის კვლევა მასზე აქტიური ზემოქმედებით. ამასთან ერტად, შეძლება წარმოიქმნას ახალ ეკონომიკური პირობები, რომლებიც ეკონომიკური ექსპერიმენთიაა მიღებული და ცვლის სამერნეო საქმიანობის მიმდინარეობას საჭირო მიმართულებით, სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობას საჭირო მიმართულებით, ან თვითონ სამეურნეო საქმიანობა იწყება ექსპერიმენტითი მიღებული შედეგების მოდელირების გზით. (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს მათემატიკური ექსპერიმენტი ეკონომიკაში, ან აზრობრივი ექსპერიმენტი ეკონომიკაში).

ეკონომიკური გაზომვა, როგორც პროცედურა ან ოპერაცია ავსებს და აღრმავებს ეკონომიკურ ანალიზს, ხელს უწყობს ეკონომიკაში რაოდენობრივი მეთოდის ხარისხობრივი მეთოდით შევსებას, ამაღლებს ეკონომიკური ცოდნის სიზუსტეს. ეკონომიკური მეცნიერების პროგრესირებით იზრდება გაზომვიდი ეკონომიკური ფაქტების რაოდენობა, ხდება სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდების სრულყოფა, რაც თავისთავად იწვევს ეკონომიკური ხარისხის ამაღლებას.

ეკონომიკური შემეცნების თეორიული მეთოდები მოქმედებენ მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური ცოდნის დონეზე. მათ რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ ეკონომიკური ანალიზი, ეკონომიკური სინთეზი, ეკონომიკური ანალოგია, ეკონომიკური დედუქცია, ეკონომიკური ცოდნის სფეროში მათემატიზაცია და ფორმალიზაცია, ეკონომიკური ინტერპრეტაცია, ასევე ეკონომიკური ცოდნის ისტორიული და ევოლიციური ანალიზი.

განვიხილოთ ცალ-ცალკე:

<u>ეკონომიკური ანალიზი</u> (ეკონომიკურ ცოდნის სფეროს ანალიზი) - ესაა დაყოფა ეკონომიკურ შემეცნებაში, რომელიმე მთლიანის შემადგენელ ნიშნებად; ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ საკვლევი ეკონომიკურ ობიექტის სტრუქტურა, დავიყვანოთ მათში რჩეული მარტივამდე და მივაცილოთ მას არა არსებითი; ეკონომიკური ანალიზი ასეთი სახით – ესაა რთული ეკონომიკური მთლიანობის ცალკეული ელემენტების შეცნობა.

ეკონომიკური სინთეზი (სინთეზი ეკონომიკური ცოდნის სფეროში) – ესაა ეკონომიკური შეცნობის ეკონომიკური ანალიზის საწინააღმდეგო მხარეა, რომლის მიზანია გააერთიანოს ცალკეული ნაწილები, ხასიათები, ელემენტები, რომლის დაყოფაც მოხდა ეკონომიკური ანალიზის დროს ეკონომიკური სინთეზი აძლიერებს ეკონომიკურ ანალიზს და მასთან განუყოფელ კავშირშია. სინთეზის განსაკუთრებულ სახეს მიეკუთვნება საერთაშორისო სინთეზი, სადაც ეკონომიკური მეცნიერება ამყარებს თავისთვის საჭირო შედეგებს და ინტერესდება სხვა სოციალური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებით.

ეკონომიკური ანალოგია (ანალოგია ეკონომიკურ მეცნიერებაში) – ესაა ეკონომიკური კვლევის მეთოდი, რომელსაც გვთავაზობს ანალოგიის დამყარებას სხვადასხვა ეკონომიკურ ობიექტსა და პროცესებს შორის, თუ ამის ნიშნები მათში არსებობს.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ეკონომიკური ანალოგია ეკონომიკური მოდელირების საფუძველია.

ეკონომიკური მოდელირება (მოდელირება ეკონომიკურ მეცნიერებაში) – ესაა წარმოსახვითი დახასიათება ერთი ეკონომიკური ობიექტისა მეორეს მიერ, რომელიც სპეციალურად შექმნილი ამ დახასიათების შესასწავლად. ასეთ ობიექტად ითვლება ეკონომიკური მოდელი. მოდელის ბუნებიდან და მოდელირებადი ობიექტის ხასიათიდან გამომდინარე, გამოყოფენ ნივთობრივ (საგნობრივ) და იდეალურ (ლოგიკურ) მოდელს. უკანასკნელი სახესხვაობაა მათემატიკური მოდელი, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ეკონომიკური ინდუქცია (ინდუქცია ეკონომიკურ შემეცნებაში) – ესაა ეკონომიკური კვლევის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია კერო ეკონომიკური ფაქტორების ზოგად ფაქტორებში გადასვლაზე. ეკონომიკური ინდუქცია ბაზისად გვევლინება ინდუქციური აზროვნება (ტვინი), რომელიც შეიძლება იყოს სრული და არასრული.

ეკონომიკური ინდუქციას, რომელიც გამყარებულია სტატისტიკური და ალბათობის თეორიის ანალიზი, ეწოდება ინდუქციურ-ალბათობის, მეთოდი ეკონომიკურ კვლევაში.

ეკონომიკური დედუქცია (დედუქცია ეკონომიკურ შემეცნებაში) – ესაა ეკონომიკური კვლევის მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ზოგადიდან, უკვე დამტკიცებული რომელიმე ეკონომიკურ თეორიაზე, ან ფაქტებზე რომლებიც კერძო დასკვნებზეა დამყარებული ეკონომიკური დედუქციის ბაზისად

გვევლინება დადუქტიური აზროვნება (ტვინი), უფრო ფართოდ მთელი დედუქტიური ლოგიკა.

ეკონომიკური დედუქცია ემყარება ჰიპოთეზური მტკიცებების წამოწევის მეთოდოლოგიურ ხერხს (ჰიპოთეზას), იგი გამოდის ჰიპოთეზურ – დედუქციური მეთოდის საფუძვლად ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ეკონომიკური ინტერპრეტაცია (ეკონომიკური შემეცნების ინტერპრეტაცია) – ესაა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი ეკონომიკური ანალიზისა, რომელიც შეძლება ცამოყალიბდეს, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განსაკუთრებული მეთოდი. ეკონომიკური ინტერპრეტაციის მიზნად წარმოადგენს ამა თუ იმ ეკონომიკური კატეგორიის ძირითადი მნშვნელობების შესწავლა (სემნატიკური მნიშვნელობების), როდესაც მასზეა დამოკიდებული ყველა შემდგომი ეკონომიკური დასკვნების გაკეთება.

ეკონომიკური ცოდნის ფორმალიზაცია, როგორც ეკონომიკური კვლევის მეთოდი წარმოადგენს სამეურნეო პროცესების განზოგადების ფორმას ახდენს ასეთი ფორმების აბსტრაგირებას ამ პროცესების შინაარსისაგან.

ფორმალიზაციის მეთოდს კერძო ფორმად გამოდის ეკონომიკური ცოდნის მათემატიკური ფორმალიზაცია (მათემატიზირება). ამ უკანასკნელის არსი მდგომარეობს აბსტრაქტულ-მათემატიკური მოდელის შექმნაში, რომლებიც სხნიან საკვლევი სამეურნეო პროცესების არსს. ეკონომიკური ცოდნის მათემატიზაცია, როგორც ეკონომიკური კვლევის მეთოდი, ფართოდაა გავრცელებული ტანამედროვე ეკონომიკურ ანალიზში, ამან წარმოშვა ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრება, რომ ეკონომიკური მეცნიერება ჩაითვალოს შუალედურას საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებებს შორის.

ეკონომიკური კვლევის ისტორიული მეთოდი დაფუძნებულია ამა თუ იმ სამეურნეო პროცესის ან ობიექტების შესწავლაზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კონკრეტული ეკონომიკური მოვლენებისა და ფაქტების ანალიზსს ისტორიული მეთოდი გვეხმარება სამეურნეო მოვლენების ანალიზში

(ეკონომიკური ისტორია) ისე ეკონომიკური აზრის (ეკონომიკური აზრის ისტორია), რომელიც მოსდევს ეკონომიკურ ისტორიას (ეკონომიკურ მოძველებატა ისტორია).

ეკონომიკური კვლევის ევოლუციური მეთოდი ესაა სამეურნეო ობიექტების ანალიზის მეთოდი, რომელიც იყენებს დარვინიზმის თეორის „ბრძოლა არსებობისთვის" და „ძლიერები იმარჯვებენ": სხვა გაგებით ევოლიციური მეთოდი – ესაა „გასწორებული" ისტორიული მეთოდი, რომელიც აფიქსირებს ისტორიულ „შემთხვევითობასა" და „რყევებს".

ეკონომიკური კვლევის ევოლუციური მეთოდი ავსებს და აღრმავებს ისტორიულ მეთოდს, აახლოებს მას საბუნებისმეტყველო მეცნიერების კვლევის მეთოდებთან, ხელს უწყობს მის ექსტაპოლაციას მიმავალ სამეურნეო ფენომენებთან.

ევოლუციური და ისტორიული მეთოდი ხანდახან შეიძლება წარმოვადგინოთ, როგორც გენეტიკური მეთოდის ორი სახე – სოციალური მოვლენების კვლევა, რომლებიც დაფუძნებულია მათი განვიტარების ანალიზზე. ეს მეთოდი მოითხოვს სამი მომენტის დაფიქსირებას: ა) განვითარების საწყისი პირობის; ბ) მისი ძირითადი ეტაპების; გ) განვიტარების ძირიტადი ტენდენციების.

გენეტიკური მეთოდის ძირიტადი ამოცანაა – გაანალიზოს პროცესების სხვდასხვა სიბრტყესა და დონეზე, ასევე დროში ანუ გაანალიზოს ოიექტის განვითარების მთელი ხაზი და ტენდენციები.

7. ეკონომიკური კვლევის ნაკლებად გავრცელებული კლასიფიკაციები

ხანდახან ეკონომიკური მეცნიერების მეთოდებსყოფე პირდაპირ და ირიბად, პირდაპირი ანუ არსობრივი მეთოდები – ესაა ის მეთოდები, რომელიც მიიღებდა კონცეფციების, ფორმულების და პროგრამების გამოყენებით. ირიბი მეთოდების

– მეთოდები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სტატისტიკური ანალიზის დროს.

იშვიათად შეიძლება შევხვდეთ ეკონომიკური კვლევის მეთოდებში სისტეურ და სტრუქტურულ – ფუნქციონალურ მეთოდებს.

ეკონომიკურ კვლევაში სისტემური მეთოდი – ესაა მეთოდი რომელიც შეისწავლის ეკონომიკურ რეალობას სისტემის ზოგად თეორიას. ამასთან ერთად შესასწავლ ეკონომიკურ მოვლენაში გამოიყფოა სტრუქტურა და ელემენტები, იკვლევენ სისტემის ტიპებს, ელემენტების ბუნებას და ა.შ. სისტემური მიდგომის De facto სახესხვაობა იქნება სტრუქტურულ – ფუნქციონალური მიდგომა, სადაც გამოიყენება მეთოდები, სადაც კეთდება აქცენტები საკვლევი ეკონომიკური სისტემის სტრუქტურისა და ფუნქციებზე. ასეთი მეთოდი შეიძლება იყოს, სოციოლოგიურ მეთოდთან გადაკვეთაში. მაგრამ, რაც პრინციპული სოციოლოგისთვის ის შეიძლება არ იყოს არსებითი ეკონომიკური კვლევისთვის. ამიტომ მათი გამოყოფა რაიმე განსაკუთრებულ მეთოდად ეკონომიკურ კვლევაში მიზანშეწონილი არაა.

მაშასადამე, მეცნიერული მეთოდი – ესაა სინამდვილის ათვისების მეთოდი, რომელიც ემყარება რაციონალურ, მტკიცებად, ბუნებისა და საზოგადოების სიტემურ კვლევას. მეცნიერული მეთოდის მთავარი მიზანია ჩვენს გარშემო არსებული სამყაროს შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა შემეცნების სუბიექტისგან დამოუკიდებლად. მეცნიერული ჭეშმარიტება ემყარება შემოწმებულ ფაქტებს, რომელიც დამტკიცებული ცდებითა და ექსპერიმენტებით, ხოლო მისი არსებობის მთავარ ფორმად გამოდის მეცნიერული თეორია. მეცნიერული მეთოდის მთავარი მოთხოვნაა: სიმკაცრე, ერთმნიშვნელობა, ეფექტურობა, უბრალოება (ეკონომიურობა), ევრისტიულობა.

მეცნიერულ ეკონომიკურ ცოდნასთან ერთად არსებობს არამეცნიერული ეკონომიკური ცოდნა, რომელიც მიიღება ეკონომიკური კვლევის მეცნიერული მეთოდებით. ამაში შედის: რელიგიური და მისტიკური ეკონომიკური ცოდნა;

„იდეოლოგიური და მისტიკური ეკონომიკური ცოდნა, „იდეოლოგიური", „ილუზიური" ეკონომიკური ცოდნა გაერთიანებული ეკონომიკური ცოდნა.

ეკონომიკური მეთოდები შეიძლება დავყოთ სხვადასხვა კრიტერიუმების მიხედვით და ამის საფუძველზე მოვახდინოთ სხვადასხვა სახის კლასიფიცირება, მაგალითად, ისინი შეიძლება დაყოფილ იქნენ: ა) საყოველთაო, ზოგადი და კერძოდ; ბ) ლოგიკური და არალოგიკური; გ) ხარისხობრივად და რაოდენობრივად.

მეტად მნიშვნელოვანია დავყოთ ეკონომიკური მეთოდები ემპირიულად და თეორიულად: პირველს მიეკუთვნება ეკონომიკური დაკვირვება, ეკონომიკური ექსპერიმენტი და ეკონომიკური გაზომვა, ხოლოდ მეორეს ეკუთვნის – ეკონომიკური ანალიზი, ეკონომიკური სინთეზი, ეკონომიკური ინდუქცია, ეკონომიკური დედუქცია, ეკონომიკური ანალოგია, ეკონომიკური მოდელირება, ეკონომიკური იტერპრეტაცცია, მათემატიკური მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი და ორი გენეტიკური მეთოდი – ევოლიციური და ისტორიული.

არსებობენ ასევე ეკონომიკური კვლევის ნაკლებად გავრცელებული კლასიფიკაციები. მაგალითად, ასეთები მეთოდებ იყოფენ პირდაპირ და ირიბად. ხანდახან გამოყოფენ ეკონომიკური კვლევის სისტემურ მეთოდებს, სტრუქტურულ – ფუნქციონალურს და ა.შ.

თავი 6. ისტორიული მეთოდი ეკონომიკური სინამდვილის ანალიზში

1. ისტორიული მეთოდის ზოგადი დახასიათება

აუცილებელი ფილოსოფიურ-მეთოდოლოგიური შესავლის დასრულების შემდეგ ვიწყებთ უშუალოდ ეკონომიკური კვლევის მეთოდების შესწავლას.

პირველად გულდასმით განვიხილავთ ეკონომიკური მეცნიერების კვლევის მეთოდებს შორის მართლაც რომ ყველაზე უფრო ძველსა და გამოცდილ ისტორიულ მეთოდს. სწორედ ეკონომიკური რეალობის მიმართ ისტორიული რეფლექსით დაიწყო ეკონომიკური მეცნიერება: პირველი ეკონომისტების უმრავლესობა იკვლევდა არა იმდენად თვითონ მეურნეობას, რამდენადაც ამ მეურნეობის ისტორიას - ძალიან ხშირად კონკრეტული რეგიონის ან ქვეყნის ფარგლებში (პირველ „გლობალურ“ ისტორიკოსად, ალბათ, ა. სმითი უნდა მივიჩნიოთ).

ისტორიული მასალა წინ უსწრებდა და ამზადებდა თეორიულ დასკვნებს, ხოლო დროდადრო ძნელი იყო იმის გარჩევა, თუ მაინც სად მთავრდება ეკონომიკური ისტორია და სად იწყება ეკონომიკური თეორია.

ისტორიული მეთოდი ორი ეკონომიკური დისციპლინის - ეკონომიკური ისტორიისა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის წამყვანი მეთოდია. ყველა სხვა ეკონომიკური საგნებისთვის იგი მეორეხარისხოვან მეთოდად უნდა განვიხილოთ. ოღონდ ვიდრე ისტორიულ მეთოდს ეკონომიკური რაკურსით შევეხებით, ჯერ კარგი იქნებოდა ეკონომიკური მეცნიერების მიმართ განურჩეველი აზრით გვესაუბრა მასზე და შევხებოდით სოციალურ მეცნიერებებში ისტორიული ანალიზის ზოგადი საფუძვლების საკითხს.

ისტორიული მეთოდი თავის არსებობას ისეთ მეცნიერებას უნდა უმადლოდეს, როგორიცაა ისტორია.

ისტორია არის მეცნიერება. რომელიც სწავლობს კაცობრიობის წარსულს, მსოფლიო ცივილიზაციის მოვლენებსა და ფაქტებს მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

ისტორიის მთავარი მიზანია კაცობრიობის წარსულის ერთეული ფაქტების გამოკვლევა, აგრეთვე, შემდეგში მათი განზოგადება და კაცობრიობის განვითარების პროცესის მთლიანი სურათის შექმნა. ისტორია არსებობს როგორც ლოკალური, ცალკეული რეგიონების, ხალხებისა და ეპოქების

(მაგალითად, რუსეთის, ევროპის, შუა საუკუნეების ისტორია და ა.შ.), ისე გლობალური (მსოფლიო-ისტორიული ანუ საყოველთაო ისტორია). ისტორიული მეცნიერების ცალკეული ნაწილები იკვლევენ წყაროებს (წყაროთმცოდნეობა), წარსულის მატერიალური კულტურის ძეგლებს (არქეოლოგია) და ა.შ. ისტორიაში გამოყოფენ სპეციალურ მიმართულებებსაც, რომლებიც მეცნიერული შემეცნების მეთოდოლოგიას (ისტორიის მეთოდოლოგია, ისტორიული მეცნიერების მეთოდები) და მის ფილოსოფიას (ისტორიის ფილოსოფია) იკვლევენ.

ისტორიული მეთოდის გამოყენება სცდება საკუთრივ ისტორიის ფარგლებს: იგი პრაქტიკულად ყველა მეცნიერების იარაღადაა ქცეული. ყველაზე ხშირად მას ორ იპოსტასად იყენებენ: როგორც იმ სოციალური ინსტიტუტების ისტორიის კვლევის მეთოდს, რომლებიც ამ მეცნიერების საგანია, და როგორც მოცემული მეცნიერების მიერ დაგროვილი ცოდნის ისტორიის შესწავლის მეთოდს. ეს ორი მიდგომა ზოგჯერ ერთმანეთს ერწყმის - ეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ხდება ხოლმე. მაგალითად, ფიზიკის (ასევე, მათემატიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ა.შ) ისტორია დე ფაქტო იკვლევს როგორც ფიზიკური ცოდნის დამგროვებელი ინსტიტუტების ისტორიას, ისე თვით ამ ცოდნის ისტორიას. სხვა მეცნიერებებში ეს ორი მეთოდი სხვადასხვა მხარეს მიემართება: ერთის საგანია ინსტიტუტების ისტორია, მეორისა - ცოდნის ისტორია. ასეთი ვითარება ჩამოყალიბებულია ეკონომიკაში, სამართალში, პოლიტიკურ მეცნიერებებში და ა.შ. ეკონომიკის ისტორია და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია, სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია და პოლიტიკური და სამართლებრივი აზრის ისტორია ერთსა და იმავე მეცნიერებაში ისტორიული მეთოდის პარალელურად გამოყენების მაგალითებია.

ამგვარად, ისტორიული მეთოდი არის არა მარტო ისტორიის მეთოდი, არამედ ყველა სხვა მეცნიერების უნივერსალური (საყოველთაო) მეთოდიცაა. ამის მიუხედავად, როგორც უკვე აღვნიშნეთ, იგი მხოლოდ ერთი ვარიანტია გენეტიკური მეთოდისა - პროცესებისა და მოვლენების კვლევის მეთოდისა მათი განვითარების ანალიზზე დაყრდნობით. იქ, სადაც რაიმე სისტემის განვითარების

პროცესს ემპირიულად იკვლევენ როგორც დროში მის სპონტანურად და ქაოსურად გაშლა-განფენას, ჩვენ ისტორიულ მეთოდთან გვაქვს საქმე: თუკი ამ განვითარებას ლოგიკური კუთხით ვსწავლობთ და დეტალებს, „განშტოებებსა“ და „მცდარ გზებს“ უგულვებელვყოფთ, მაშინ ჩვენი კვლევა ევოლუციური მეთოდის ხასიათს იძენს. ამ შემთხვევაში ევოლუცია არის „ისტორიის გასწორება“, მასში მთავარი ვექტორის გამოვლენა მეორეხარისხოვანი და გვერდითი მიმართულებების საპირისპიროდ.

ისტორიულია ის მეთოდი, რომელიც ეყრდნობა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოცემული, სპონტანურად და ქაოსურად განვითარებადი რაიმე პროცესების შესწავლას.

ისე, როგორც ნებისმიერ მეთოდს, ისტორიულ მეთოდსაც თავისი ღირსებები და ნაკლოვანებები აქვს. მისი მთავარი ღირსება ისაა, რომ იგი საშუალებას გვაძლევს პროცესი დავინახოთ დიალექტიკურად, არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ბოლო სტადიით ან ეპოქით. ისტორიული მეთოდი იმის საშუალებასაც გვიქმნის, რომ შესასწავლი რეალობა მაქსიმალურად მივუახლოვოთ ისტორიულ ფაქტებს, ე.ი. იმ ემპირიულ ფაქტებს, რომლებსაც მოცემული მკვლევარი ან სხვა რომელიმე მკვლევარები აკვირდებიან. თუმცა, ისტორიკოს-მეთოდოლოგებს ერთიანი აზრი არა აქვთ იმაზე, თუ რა უნდა მივიჩნიოთ ისტორიულ ფაქტად. ზოგისთვის ისტორიული ფაქტია ის, რაც ისტორიკოსის შემეცნებისა და მისი სუბიექტური ინტერპრეტაციის მიღმა არსებობს; სხვები ლ. ფევრთან და რ. კოლინგვუდთან ერთად ფიქრობენ, რომ ისტორიკოსი ახდენს ისტორიული მონაცემების ინტერპრეტირებას და თვითონვე გამოიმუშავებს ისტორიულ ფაქტებს: „ფაქტის დადგენა იმას ნიშნავს, რომ შეიმუშავო იგი“; „ისტორია ფაქტობრივი მონაცემების ინტერპრეტულია (ევიდენცე), თანაც ფაქტობრივი მონაცემები იმ საგნების კრებითი სახელია, რომლებსაც ცალ-ცალკე დოკუმენტებს უწოდებენ. თვითონ დოკუმენტი არის ის ნივთი, რომელიც არსებობს აქ და ახლა, იმგვარი ნივთი, რომ მისი ანალიზით ისტორიკოსს შეუძლია პასუხები მიიღოს წარსული მოვლენების შესახებ დასმულ კითხვებზე“.

მაგრამ ამ განსხვავებებს ძალიან თუ არ ჩავუღრმავდებით, ისტორიული ფაქტი შეგვიძლია დაახლოებით ასე განვმარტოთ.

ისტორიული ფაქტებია ისტორიული რეალობის ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც უშუალოდ ან გაშუალებულად აკვირდება და არეგისტრირებს ისტორიული შემეცნების სუბიექტი.

ი. დ. კოვალზონი მიუთითებს ისტორიული ფაქტების სამი ჯგუფის არსებობაზე: 1) ისტორიული სინამდვილის ფაქტები (ანუ „ფაქტის ჭეშმარიტებანი“ - ის, რაც უშუალოდ იყო, და ის, რასაც ყველა ისტორიკოსი ეთანხმება); 2) ისტორიული წყაროს ფაქტები („წყაროს მონათხრობი“); 3) მეცნიერულ-ისტორიული ფაქტები („ფაქტები, ცოდნა’).

ისტორიული ფაქტები აყალიბებენ ისტორიული მეთოდის გამოყენების საფუძველს. მაგრამ ამ სამი ჯგუფის ფაქტებს შორის ყველაზე მეტი მნიშვნელობა, ცხადია, მეცნიერულ-ისტორიულ ფაქტებს აქვს. იმის თქმაც კი შეგვიძლია, რომ ისტორიული სინამდვილის ფაქტები და წყაროს ფაქტები იმ „პლასტილინის“ როლს თამაშობენ, რომლისგანაც თითოეული ისტორიკოსი ძერწავს საკუთარი ღირებულებით-ნორმატიული ინტერპრეტაციის მქონე „მეცნიერულ-ისტორიულ ფაქტებს“.

„მეცნიერულ - ისტორიული ფაქტი მთლიანობაში წარსულის ორჯერ სუბიექტივირებული წარმოდგენაა“.

მეცნიერულ-ისტორიული ფაქტების გამოყენებაზე ორიენტირება მეცნიერულს ხდის ისტორიულ მეთოდს, ისტორიას კი აქცევს არა წარსულის უბრალო აღმწერად, არამედ სოციალურ მეცნიერებად, რომელიც წარსულის რაციონალური და დასაბუთებული სურათის შემუშავებას ცდილობს. ამ გზაზე ისტორიკოსებს მრავალი სირთულე და პრობლემა ელის, უდავო ღირსებებთან ერთად კი ისტორიულ მეთოდს არსებითი ნაკლოვანებებიც აქვს.

განმანათლებლობის ეპოქის იტალიელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა ჯამბატისტა ვიკომ (1668-1744) მათი ერთობ საინტერესო კლასიფიკაცია და

დახასიათება შემოგვთავაზა. თხზულებებში „ერთა საერთო ბუნების შესახებ ახალი მეცნიერების საფუძვლები“ (1725) მან მიუთითა ისტორიული მეთოდის ხუთ მთავარ ნაკლზე: 1) გადაჭარბებული წარმოდგენა ძველებზე, მათ შორის - მათ შესაძლებლობებზე და უნარებზე; 2) ერების პატივმოყვარეობა (ყოველ ერს აქვს ისტორიაში თავისი როლისა და მნიშვნელობის გაზვიადებისა და სხვა ერების როლისა და მნიშვნელობის დამცრობისკენ მიდრეკილება); 3) მეცნიერ - ისტორიკოსების პატივმოყვარეობა (ყოველი მათგანი ნებისმიერ ისტორიულ პირზე მაღლა აყენებს თავის თავს - იმპერატორი იქნება ეს, მხედართმთავარი თუ გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე); 4) ისტორიკოსთა შეცდომები (მაგალითად, თუ ორი ხალხი ან სახელმწიფო პარალელურად ქმნის ერთსა და იმავე სოციალურ ინსტიტუტს, მაშინ აუცილებლად ჩნდება იმის ვარაუდი, რომ მოხდა სესხება - გადაღება); 5) რომ თითქოს წარსულის ხალხები ან პიროვნებები ჩვენზე უკეთ იყვნენ ინფორმირებული მათი მახლობელი დროების შესახებ.

თუმცა, როგორც ჩანს, ეს მხოლოდ ზოგიერთი პრობლემაა მეცნიერული კვლევისთვის. პრობლემური იმ სიტუაციებიდან, რომელთა გამოწვევაც ისტორიული მეთოდის ჰიპერტროფირებას შეუძლია. იგი სოციალური რეალობის შესწავლის მხოლოდ ერთ-ერთი მეთოდი უნდა იყოს და ამ დროს არ უნდა ჰქონდეს წამყვანი მეთოდის სტატუსის პრეტენზია. ეკონომიკური მეცნიერების მიმართ მეტად აქტუალური რჩება ჯ. მ. კეინსის გაფრთხილება:

„მაგრამ ისტორიული მეთოდის პირველობის წინააღმდეგ ყველაზე ძლიერი შემოდავება მაშინ ჩნდება, როცა მას პირდაპირ გებულობენ წარსულის ფაქტებით შემოფარგვლის მოთხოვნით. აშკარაა, რომ წმინდა ისტორიული მეთოდი მნიშვნელოვნად ვიწროა ინდუქციის მეთოდზე; და ვინღა მოჰყვება იმის უარყოფას, რომ ეკონომისტისთვის არსებით ფაქტებს ძალიან ბევრ შემთხვევაში მოიპოვებენ თანამედროვეობის დაკვირვებებიდან ან წარსულის იმდენად ახალი მონაცემებიდან, რომლებმაც ჯერ კიდევ ვერ შეძლეს იმაში შესვლა, რასაც ჩვენ ეკონომიკურ ისტორიად ვგულისხმობთ“.

ისტორიული მეთოდის შეზღუდულობის შესახებ ამგვარი სერიოზული გაფრთხილების შემდეგ სწორედ რომ დროა შევუდგეთ ეკონომიკურ მეცნიერებაში მისი გამოყენების ანალიზს.

2. ისტორიული მეთოდი და ეკონომიკური მეცნიერება

ამგვარად, ეკონომიკურ მეცნიერებაში ისტორიულ მეთოდს ორი მიმართულებით იყენებენ - როგორც ეკონომიკური ინსტიტუტების ისტორიის კვლევის მეთოდს და როგორც ეკონომიკური ცოდნის დაგროვების ისტორიის კვლევის მეთოდს. პირველ მიმართულებას ტრადიციულად „ეკონომიკურ ისტორიას“ უწოდებენ (ან „ეკონომიკის ისტორიას“, ხოლო მეორეს - „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიას“, თუმცა, სახელწოდებათა სხვა ვარიანტებიცაა შესაძლებელი. (მაგალითად, ეკონომიკური აზრის ისტორია, ეკონომიკური თეორიები და სკოლები და ა.შ.)

ეკონომიკური ისტორია შეიძლება შიგნით დაიშალოს სხვადასხვა ინსტიტუტების ისტორიად (მაგალიათად, მეწარმეობის ისტორია, საბანკო საქმის ისტორია, ფულადი მეურნეობის ისტორია და ა.შ.), რეგიონების ან ქვეყნების ისტორიად (რუსეთის ეკონომიკური ისტორია, აფრიკის ეკონომიკური ისტორია და ა.შ.), მეურნეობის ცალკეული დარგების ან სულაც საწარმოების ისტორიად (მაგალითად, ტრანსპორტის დარგის ეკონომიკური ისტორია, კორპორაცია „ფორდის“ ეკონომიკური ისტორია). მაგრამ გამაერთიანებელი დისციპლინის როლს აქ თამაშობს საყოველთაო (მსოფლიო) ეკონომიკური ისტორია, ან, სხვაგვარად, მსოფლიო ეკონომიკის ისტორია.

ეკონომიკური აზრის (ეკონომიკურ მოძღვრებათა) ისტორიაც უფრო კონკრეტულ ანუ კერძო მიმართულებებად შეგვიძლია დავყოთ, მაგალითად:

- რეგიონების მიხედვით (რუსეთის ეკონომიკური აზრის ისტორია, დიდი ბრიტანეთის ეკონომიკური აზრის ისტორია, ლათინური ამერიკის ეკონომიკური აზრის ისტორია და ა.შ.);

- კონკრეტული მიმართულებებისა და სკოლების მიხედვით (ფიზიოკრატული სკოლის ისტორია, მარქსისტული ეკონომიკური აზრის ისტორია, კეინსელობისა და ნეოკეინსელობის ისტორია, მონეტარიზმის ისტორია, ინსტიტუციონალიზმის ისტორია და ა.შ.).

- თვითონ ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის ყველაზე საკვანძო თემების მიხედვით (მაგალითად, ეკონომიკური მეთოდოლოგიის ისტორია, ეკონომიკის საგნის შესახებ წარმოდგენათა განვითარების ისტორია, ფინანსური აზრის ისტორია, ეკონომიკურ-მმართველობით მოძღვრებათა ისტორია და ა.შ., და ისიც კი, რასაც ეკონომიკური აზრის ისტორიის ისტორია შეგვიძლია ვუწოდოთ - იმის ისტორია, თუ ვინ იყვნენ მისი ყველაზე უფრო გამოჩენილი ისტორიკოსები და ა.შ.)

როგორია ეკონომიკაში ისტორიული მეთოდის გამოყენების თავისებურებანი? რატომ აქვს მას ასეთი დიდი მნიშვნელობა ეკონომიკური მეცნიერებისთვის? რა ძირითად პოზიტიურ შედეგებს იწვევს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ამ მეთოდის გამოყენება? და, ბოლოს, უშუალოდ რა ფუნქციებს ასრულებს იგი ეკონომიკურ კვლევაში?

ჩვენ აქ მივუთითებთ ისტორიული მეთოდის ხუთ ძირითად ფუნქციას:

1. ეკონომიკურ მეცნიერებაში ისტორიული მეთოდი საშუალებას გვაძლევს თვალი მივადევნოთ როგორც თვით მეურნეობის ევოლუციას, ისე მის შესახებ წარმოდგენების განვითარებასაც, ე.ი. იგი ნაირგვარი ხასიათის ინფორმაციას აწვდის ეკონომისტს წარსულის შესახებ. ისტორიული მეთოდის ამ ფუნქციას საინფორმაციო (ან ინფორმატიული) ფუნქცია შეგვიძლია ვუწოდოთ. როგორც ი. დ. კოვალზონი აღნიშნავს, ისტორიკოსის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა „წყაროების საინფორმაციო უკუგების ამაღლება.

2. ისტორიული მეთოდი ხელს უწყობს ეკონომიკური ცოდნის დაკარგული აზრებისა და მნიშვნელობების აღდგენას, იმ ინსტრუმენტარიუმის აღმოჩენას, რომლის მეშვეობითაც ეკონომიკური ცოდნის ახალი ზრდა შეგვიძლია მივიღოთ; ეკონომიკური აზრის ისტორიის მიმართ ამ დებულების ილუსტრირებას ახდენენ „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის“ სახელმძღვანელოს ავტორები:

„ეკონომიკური აზრის ისტორიკოსის ამოცანაა ჩვენი ცოდნის დაკარგული აზრების აღდგენა. გავრცელებული მოსაზრების საწინააღმდეგოდ, მეცნიერების ისტორია რაღაც იმაზე მეტია, ვიდრე კუნსტკამერა (იშვიათი ნივთების კაბინეტი), რომელიც გარდასულ დროთა შეცდომების შესახებ ხსოვნას ინახავს. ესაა იმის უკეთესად, ე.ი. უფრო სრულად და ღრმად, ათვისების მეთოდი, რაც თანამედროვე მეცნიერების არსენალშია დაგროვილი“. ამ ფუნქციას შემდგომში ჩვენ „ინსტრუმენტულს“ ვუწოდებთ.

3. ისტორიული მეთოდი იმის შესაძლებლობას აძლევს ეკონომიკურ მეცნიერებას, რომ თითქოს წარსულის მხრიდან შეხედოს თავის თავს და ამით ჩაუღრმავდეს საკუთარ საკვლევ ველს. ამ ფუნქციას ჩვენ „რეფლექსურს“ ვუწოდებთ.

4. ეკონომიკურ კვლევებში ისტორიული მეთოდი არა მარტო ახდენს ინფორმირებას, რეფლექსირებას და ასრულებს შემეცნების ინსტრუმენტის ფუნქციას, არამედ იგი აკრიტიკებს კიდეც. ეს კრიტიკა სხვადასხვა დონეზე ხორციელდება: როგორც წარსულის კრიტიკა აწმყოს პოზიციებიდან, როგორც აწმყოს კრიტიკა წარსულის პოზიციებიდან და როგორც წარსული (ან ამჟამინდელი) ეკონომიკური აზრის ან ეკონომიკური მეთოდოლოგიის კრიტიკა. (შეგახსენებთ, მაგალითად, რომ მარქსის „კაპიტალს“ ჰქონდა ქვესათაურიც „პოლიტიკური ეკონომიკის კრიტიკა“).

რ. კოლინგვუდი სწორად აღნიშნავს, რომ „ყოველგვარი (ისტორიული) აზროვნება კრიტიკული აზროვნებაა; ის აზრი, რომელიც წარსულის აზრებს

აღადგენს, მათ ამიტომ აკრიტიკებს თვითონ აღდგენის პროცესში“. ამ ფუნქციას ჩვენ შემდგომში „კრიტიკულს“ ვუწოდებთ. (Коллингвуд Р. მით. თხზ. გვ. 205.)

5. ეკონომიკურ მეცნიერებაში ისტორიული მეთოდი არა მარტო ინფორმაციას გვაწვდის წარსულზე, არამედ ასე თუ ისე მომავლის წინასწარმეტყველებასაც ახდენს. ცხადია, ეს ისტორიული მეთოდის წინასწარმეტყველური ფუნქციის ერთობ „ვულგარული“ გაგებაა, მაგრამ თვით „წინასწარმეტყველების იდეა“ ამით არაფერს კარგავს: წარსულის გამოკვლევით შეუძლებელია მომავლის შესახებ ცოდნის მიღება, მაგრამ თუ წარსული არ გვეცოდინება, არც მომავლის ცოდნის იმედი უნდა გვქონდეს. (გვინდა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ საუბარია სწორედ „წინასწარმეტყველურ“ და არა „საპროგნოზო“ ფუნქციაზე. თავიანთი მეთოდის გამოყენებით ისტორიკოსებს შეუძლიათ მხოლოდ იწინასწარმეტყველონ და არა მოგვცენ პროგნოზი - ეს უკანასკნელი მოითხოვს აწმყოს და არა წარსულის თვისებების ფორმალიზაციისა და მომავალზე ექსტრაპოლაციის მკაცრ მეცნიერულ კრიტერიუმებს.) ეკონომიკურ კვლევებში ისტორიული მეთოდი ამ აზრით „თეორიული წანამძღვარია“ ეკონომიკური ფუტუროლოგიისათვის - მომავლის შემსწავლელი ეკონომიკური მეცნიერებისთვის: როცა რომელიმე მეურნეობის წარსულს სწავლობს, ფუტუროლოგი ცდილობს მომავალზე მოახდინოს მისი გარკვეული მახასიათებლების პროეცირება - წარსულში განიხილოს მომავალი. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც, გერმანელი ფილოსოფოსის ჰეგელის მიერ ჩამოყალიბებული უარყოფის უარყოფის კანონის მიხედვით, რაღაც პერიოდში დაკარგული თვისებები, პროცესები და თავისებურებები შეიძლება კვლავ განმეორდეს მომავალში, მაგრამ რაიმე ახალ დონეზე, ე.ი. ხშირ შემთხვევებში განვითარება სპირალისებურად, ტალღისებურად მიმდინარეობს. მაგალითად, XVIII-XX სს.-ებში კაპიტალიზმს თავს ატყდებოდა ხან ლიბერალური (მარცხენა სოციალისტური), ხანაც კონსერვატიული ტალღები და გამორიცხული არაა, თუ ამჟამინდელ კონსერვატიულ ტალღას ადრე თუ გვიან მისი საპირისპირო ლიბერალური (ან სულაც მემარცხენე სოციალისტური) ტალღა ან ტენდენცია შეცვლის.

ამგვარად, ისტორიული მეთოდი ეკონომიკურ კვლევაში 5 ძირითად ფუნქციას ასრულებს: საინფორმაციოს, ინსტრუმენტულს, რეფლექსურს, კრიტიკულსა და წინასწარმეტყველურს. ყველა ეს ფუნქცია თავისებურად მნიშვნელოვანია და იქითკენაა მიმართული, რომ განახორციელონ ე.წ ისტორიული რეკონსტრუქცია - ეკონომიკური ისტორიის ან ეკონომიკური აზრის ისტორიის ამა თუ იმ ფრაგმენტის რაციონალური და მტკიცებითი აღდგენა. რეტროსპექტულობიდან რეკონსტრუქციაზე გადასვლა უმნიშვნელოვანესი ეტაპია ისტორიული მეთოდის გამოყენებაში.

ეკონომიკური პროცესების ისტორიულ კვლევაში შეგვიძლია სულ ხუთი ძირითადი ეტაპი გამოვყოთ (ჩვენ ვიყენებთ ი. დ. კოვალზონის ტიპოლოგიას მცირედი შესწორებებით იხ. მით. თხზ., გვ. 206): სამეურნეო სუბიექტის შერჩევა და საკვლევი ამოცანის დასმა; კვლევის ისტორიულ-საინფორმაციო ბაზის გამოვლენა და მისი ჩატარების მეთოდიკის შემუშავება; საკვლევი ისტორიული რეალობის რეკონსტრუქცია და მისი აღწერა; თეორიული ახსნა რომელიმე ეკონომიკური კანონების, პრინციპებისა და თეორიების საფუძველზე; კვლევის შედეგების ვერიფიკაცია (რისამე ჭეშმარიტების შესწავლა, რისამე სინამდვილის დადგენა) და ფალსიფიცირება.

ისტორიული რეკონსტრუქციისა და ისტორიული კვლევის ამოსავალი წერტილი მთლიანობაში არის ისტორიული წყაროები. სწორედ მათი ანალიზი აქცევს ისტორიულ მოწმობებს, მონაცემებსა და ცნობებს სრულყოფილ ისტორიულ ფაქტებად.

ი. დ. კოვალზონი გამოყოფს ოთხი ტიპის ისტორიულ წყაროებს (ნივთიერი, წერილობითი, სახვითი და ფონიკური) და იგივე ტიპოლოგია, მცირედი დამატებებით, ალბათ, სამეურნეო წესრიგის ისტორიული წყაროებისთვისაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. ისინი ხუთ ძირითად ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: 1)ნივთიერი; 2)წერილობითი; 3)სახვითი; 4)ვიდეოფონიკური; 5)ელექტრონული.

ეკონომიკური კვლევის ნივთიერი წყაროებია: მანქანების, მოწყობილობის, სამარჯვების და ა.შ. ფორმის მქონე არტეფაქტები, რომელთა კვლევამ

მაგალითად, შეიძლება გვიჩვენოს ამა თუ იმ ტექნოლოგიური რევოლუციის მოქმედება.

ეკონომიკური კვლევის წერილობითი წყაროებია: წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნაირგვარი საარქივო დოკუმენტები; თანამედროვე ეკონომისტ-ისტორიკოსისთვის ეს, ალბათ, ის მთავარი რეზერვუარია, საიდანაც იგი მისთვის საჭირო ინფორმაციას მოიპოვებს.

ეკონომიკური კვლევის სახვითი წყაროებია ნახატები და სხვა გრაფიკული გამოსახულებები, რომლებსაც პრიორიტეტული მნიშვნელობა არა აქვთ ისტორიულ კვლევაში; ამ წყაროებს, ძირითადად, ილუსტრირების როლი ეკისრებათ.

ეკონომიკური კვლევის ვიდეოფონური წყაროებია ვიდეოჩანაწერები, აუდიოჩანაწერები და ა.შ. მათი როლიც მეტწილად საილუსტრაციოა და დაქვემდებარებული.

ეკონომიკური კვლევის ელექტრონული წყაროებია საიტები, ფაილები და ნებისმიერი სხვა კომპიუტერული მასალა; ეს წყაროები ამ ბოლო დროს გაჩნდა, XX ს. 80-90-იან წლებში და როგორც პირველადი წყარო საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, იმ ეკონომისტისთვის, რომელიც თანამედროვე ეკონომიკურ ისტორიასა და ეკონომიკური აზრის ისტორიას იკვლევს; მაგრამ რადგან მრავალი ელექტრონული წყარო წერილობით წყაროებს ასახავს და იმეორებს და ამით მნიშვნელოვნად აადვილებს მათი უმრავლესობის წვდომას, ამიტომ ამ ელექტრონული რეზერვუარების მნიშვნელობა, ცხადია, წლიდან წლამდე იზრდება და ახლა იშვიათია წიგნი ან სტატია (მაგალითად, ეკონომიკის ისტორიაში) ამა თუ იმ საიტის მითითების გარეშე.

ისტორიული მეთოდით მოსარგებლე ეკონომისტის მთავარი პრობლემაა ამა თუ იმ წყაროს ადეკვატურობის დადგენა. ამ შემთხვევაში ადეკვატურობა ნიშნავს წყაროს შესაბამისობის ხარისხს ისტორიულ ფაქტებთან და აქედან მომდინარე ნდობის იმ ზომას, რომელიც ეკონომისტ-ისტორიკოსს უჩნდება ამ

წყაროსადმი. ამა თუ იმ წყაროზე მომუშავე ეკონომისტი თავიდანვე უნდა შეეცადოს დაადგინოს მისი ადეკვატურობის ზომა და ის, თუ რამდენად შეუძლია მას ამ წყაროში მოცემული ინფორმაციით სარგებლობა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია ეკონომისტ-ისტორიკოსის „ლექსიკონის“ პრობლემა ანუ, სხვაგვარად, მის მიერ გამოყენებული ტერმინოლოგიის პრობლემა.

„თავის ლექსიკონს ისტორიკოსი მეტწილად იღებს თვითონ თავისი საქმიანობის საგნიდან, მას იგი იღებს, როცა იგი (ლექსიკონი) ხანგრძლივი ხმარებისგან გაცვეთილი და გაფუჭებულია, თანაც იმთავითვე ისევე ორაზროვანია, როგორც გამოხატვის ყველა ის სისტემა, რომელიც სპეციალისტთა მკაცრად შეთანხმებული შრომით არაა შექმნილი“.

ასეთი „ლექსიკონის“ გამოყენებაში ორი ძირითადი საფრთხეა: ან წარსულისთვის შენი საკუთარი ტერმინოლოგიის „თავს მოხვევა“, ან, პირიქით, წარსულის ტერმინოლოგიის „ტყვედ“ ქცევა.

„დოკუმენტები ცდილობენ თავიანთი ტერმინოლოგია მოგვახვიონ თავს; თუკი ისტორიკოსი ყურს უგდებს მათ, მაშინ იგი ყოველთვის წარსულის კარნახით წერს;.. წარსულზე თავს მოხვეული ტერმინოლოგია უსათუოდ იწვევს მის დამახინჯებას, თუკი მიზანი - ან სულაც შედეგი - წარსულის კატეგორიების დაყვანაა ჩვენს კატეგორიებზე, რომლებიც ამ შემთხვევისთვის მარადიულის რანგშია აყვანილი. ამგვარი ეტიკეტების მიმართ არსებობს მხოლოდ ერთი გონივრული პოზიცია - ისინი უნდა ჩამოვიცილოთ“ .

ეკონომიკურ კვლევებში მკაცრად მეცნიერულად და დასაბუთებულად გამოყენებულ ისტორიულ მეთოდს უნარი აქვს გამოიღოს ყველაზე ფასეული შედეგები და ზოგიერთ შემთხვევაში მეტად არსებითი გავლენა იქონიოს მთლიანად ეკონომიკური ანალიზის განვითარებაზე.

მათგან პირველია ისტორიულ-ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების კვლევაში რაოდენობრივი (სტატისტიკურის ჩათვლით) მეთოდოლოგიის

გამოყენების პრობლემა. აქ ეკონომიკის ისტორიკოსებს ორი მიდგომა და ორი უკიდურესობა აქვთ: პირველი მიდგომა ისტორიულ-ეკონომიკური კვლევიდან პრაქტიკულად მთლიანად გამორიცხავს რაოდენობრივ ანალიზს და აქცენტს ეკონომიკურ ისტორიაში პიროვნული, უნიკალური მოვლენების შესწავლაზე აკეთებს, ხოლო მეორე, პირიქით - თითქმის მთელ ეკონომიკურ ისტორიას წარმოგვიდგენს ციფრების, სტატისტიკური აღწერისა და თვით მათემატიკური განტოლებების სამყაროთა მეშვეობით. მაგალითად, ჯ. ჰიქსი ისტორიის თეორიაში მის მიერ ჩატარებულ კვლევებს სწორედ მეორე ჯგუფს მიაკუთვნებს, თუმცა, ამავე დროს პირველი ჯგუფის ნაშრომებსაც მიაგებს კუთვნილს...

„ისტორიული მოვლენები, რომელთა განზოგადებასაც ისტორიის თეორია ემსახურება, ის მოვლენებია, რომლებიც მათ მიმართ ჩვენი ინტერესის მხრივ შეგვიძლია სტატისტიკური ერთგვაროვნების მქონედ ჩავთვალოთ. ასეთი თვისება ეკონომიკური ისტორიის მოვლენათა დიდ ნაწილს (რაგინდ ფართოდაც უნდა განვიხილავდეთ მათ) გააჩნია და ეკონომიკის ისტორიაში ჩვენთვის საინტერესო საკითხებს ძირითადად აშკარა სტატისტიკური ერთგვაროვნების მქონე დაჯგუფებებთან აქვთ საქმე. ისტორიის იმ თეორიას, რომლის აგებასაც მე ვცდილობ, ასეთ საერთო მოვლენებთან ექნება საქმე; ამიტომ იგი სწორედ ამგვარად გაგებულ ისტორიას უნდა დავურთოთ თან... არსებობს სხვაგვარი ისტორიაც - იგი ზოგადი საკითხების შესწავლით არაა დაკავებული - მისი განმასხვავებელი ნიშნებია პიროვნებებზე, მათ ქცევებზე, ხასიათებზე და ურთიერთობებზე აქცენტირება. ასეთ ისტორიას შეხება უხდება (დღევანდელი საზომით რამდენადმე ზედმეტადაც კი) სახელგანთქმულ პირებთან, რაკი მხოლოდ მათ დატოვეს საკმაოდ მრავალი ისეთი მოწმობა (საბუთი), რომლებიც ამ ადამიანებთან „გაცნობის“ შესაძლებლობას გვიქმნის. დარწმუნებული ვარ, რომ შეუძლებელია ამგვარი ისტორია სათანადოდ არ დავაფასოთ“.

მაგრამ პირველი მიმართულების ისტორიკოსები ნაკლებად თუ დათანხმდებიან ასეთ მიდგომას. მათი ვარაუდით ეკონომიკის ისტორიის საქმე იგივეა, რაც ჩვეულებრივი ისტორიის, ანუ „კაციჭამიობა“.

„ახლანდელი ისტორიკოსი ზღაპრულ კაცივჭამიას წააგავს. მან იცის, რომ სადაც ადამიანის ხორცის სუნია, იქ მას ნანადირევი ელოდება“ (მით. თხზ. გვ.18).

3. ისტორიული მეთოდი ეკონომიკურ ისტორიაში

ეკონომიკური ისტორია (ეკონომიკის ისტორია) ის ეკონომიკური მეცნიერებაა, რომელიც ქრონოლოგიური თანმიმდევრობით იკვლევს სპონტანურად განვითარებად სამეურნეო პროცესებს.

ეკონომიკის ისტორია ერთ-ერთი ყველაზე უფრო მასშტაბური და გავლენიანი ეკონომიკური მეცნიერებაა, ეკონომიკის ისტორიკოსები კი ერთობ შთამბეჭდავ რაზმს შეადგენენ ეკონომისტების არმიაში. ეკონომიკის ისტორიის განხრით რამდენიმე ფუნდამენტური ჟურნალი არსებობს: Explorations in Economic History; Journal of Economic History; European Journal of Economic History და სხვა. აქტიურად მოქმედებს ეკონომისტ ისტორიკოსთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც რეგულარულად ატარებს საერთაშორისო კონგრესებს ეკონომიკის ისტორიის კუთხით, რომელზეც ამ მეცნიერების ყველაზე საჭირბოროტო საკითხებს განიხილავენ (ბოლო კონგრესი 2002 წ. შედგა არგენტინაში, ბუენოს-აირესში, რომელშიც 87 სექცია მუშაობდა).

როგორც ნებისმიერ სხვა ეკონომიკურ მეცნიერებას, ეკონომიკის ისტორიასაც თავისი მთავარი მეთოდოლოგიური პრობლემები აქვს, რომლებიც ისტორიული მეთოდის გამოყენებას უკავშირდება, - ის პრობლემები, რომელთა მოგვარებაც საბოლოო ჯამში თეორიული საკითხების გადაჭრაზეც ახდენს გავლენას.

სტატისტიკით გატაცებას აკრიტიკებს მეორე ცნობილი ისტორიკოსი რ. კოლინგვუდიც:

„ისტორიკოსისთვის სტატისტიკური კვლევა კარგი მსახურია, მაგრამ ცუდი ბატონი. სტატისტიკური განზოგადებანი მას არაფერს აძლევენ მანამ, ვიდრე

მათი მეშვეობით იგი არ გამოავლენს განსაზოგადებელი ფაქტების უკან მდგარ აზრს“ .

ამის მიუხედავად, რაოდენობრივი და სტატისტიკური ანალიზი სულ უფრო ღრმად და ძლიერ ინერგება ეკონომიკის ისტორიის კატეგორიობრივ და ცნებით აპარატში, ამის მიზეზები კი აშკარაა - ისტორიულ-ეკონომიკური ცოდნის სიზუსტის მომატება.

„ისტორიული ცოდნის ამ (ისტორიულ-ეკონომიკურ) დარგში რაოდენობრივი მიდგომა უპირველეს ყოვლისა არის სიზუსტე. სიზუსტე, რომელიც ვლინდება ტერმინოლოგიის დაზუსტებაში, წყაროში არარსებული ცოდნის მიღებაში, მკაფიო ალბათობისა და მათემატიკური მოდელის შედგენაში, მოვლენათა შედარების ერთიანი უნიფიცირებული კრიტერიუმის პოვნაში, ინფორმაციის ელემენტების დეტალურ გადარჩევაში, თვალსაჩინო რეპრეზენტაციაში გრაფების, ცხრილებისა და გრაფიკების დახმარებით. გარდა ამისა, ესაა კონკრეტულში ზოგადის და ზოგადში კონკრეტულის პოვნის მეთოდი“.

დასავლეთის ისტორიულ-ეკონომიკურ მეცნიერებაში ახალი ეკონომიკური ისტორიის სკოლის გავლენით ჩამოყალიბდა წარმოდგენა კლიომეტრიაზე (კლიო - ისტორიის ძველბერძნული მუზა + მეტრეო [ძვ. ბერძნ.] გაზომვა) როგორც ისტორიულ-ეკონომიკური პროცესების შესწავლის საგანგებო მეთოდზე (ტერმინი „კლიომეტრია“ პირველად დ. ნორტმა და რ. ფოგელმა შემოიღეს).

კლიომეტრია არის ეკონომიკის ისტორიასა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ყველა იმ კვლევის ერთობლიობა, რომლებიც აქტიურად იყენებენ სტატისტიკურ და რაოდენობრივ მეთოდებს.

კლიომეტრიული მიდგომის ჩასახვა უნდა დავუკავშიროთ ახალი ეკონომიკური ისტორიის სკოლის საქმიანობას XX ს. 60-70-იან წლებში (იხ. ქვემოთ) და მის ორ ძირითად წარმომადგენელს - დ. ნორტსა და რ. ფოგელს. იმის გამო, რომ ძალიან ძნელია ამ მიმართულების მთელი საქმიანობის რამდენიმე გვერდზე გადმოცემაც კი, კლიომეტრულ მიდგომაში აღვნიშნავთ

მხოლოდ ორ საინტერესო მომენტს: ჯერ ერთი, ესაა იდეა იმის შესახებ, რომ თეორიულ ეკონომიკურ ცოდნაში არსებული ხარვეზების შევსება კლიომეტრული ანალიზის მეშვეობითაა შესაძლებელი, ხოლო, მეორე მხრივ, ესაა კონტრფაქტობრივი სიტუაციის ნაყოფიერი ცნების შემოღება - სიტუაციისა, რომელსაც რუსული სოციალური მეცნიერებების ენაზე „ალტერნატიულ სიტუაციას“ უწოდებენ ხოლმე.

„კლიომეტრულ მეთოდოლოგიაში კონტრფაქტობრივ სიტუაციას უწოდებენ რაოდენობრივი მაჩვენებლების ამა თუ იმ შერჩევის მეშვეობით მოდელირებულ სიტუაციას, რომელიც ამა თუ იმ მხრივ ეწინააღმდეგება საკვლევ ისტორიულ მოვლენას; ე.ი. „სიტუაციას“, რომელიც არ გვხვდება რეალურ ისტორიაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კონტრაფაქტობრივი სიტუაციის კონსტრუირებისას ისტორიკოსმა უნდა დასვას კითხვა: რა იქნებოდა, როგორ წარიმართებოდა რეალური ისტორიული პროცესი, რეალური ისტორიიდან თუ გამოვრიცხავთ ამა თუ ფაქტორის მოქმედებას, ან, პირიქით, გავითვალისწინებთ რომელიმე დამატებითი ფაქტორის მოქმედებას? რაოდენობრივ მაჩვენებელთა სისტემის ფორმით აღწერილი (დაფიქსირებული, გაზომილი) რეალური ისტორიული პროცესის ან ფაქტის რაიმე კონტრაფაქტობრივ სიტუაციასთან (ე.ი. რაოდენობრივ მაჩვენებელთა იმავე, მაგრამ მიზანმიმართულად სახეშეცვლილ სისტემასთან) შეპირისპირება იქნება სწორედ საკვლევი ისტორიული პროცესის ან მოვლენის ჰიპოთეზური დედუქციური მოდელი.

მეორე ფუნდამენტური მეთოდოლოგიური პრობლემაა ეკონომიკური თეორიის პერიოდიზაციის პრობლემა. კერძოდ, იმის განსაზღვრა, თუ რას წარმოადგენს ე.წ. მსოფლიო (ან საყოველთაო) ეკონომიკური ისტორია.

ისტორიკოსთა დიდი ნაწილი საყოველთაო ეკონომიკურ ისტორიას უწოდებს, უპირველეს ყოვლისა, იმ ქვეყნების ეკონომიკას, რომლებიც წამყვან როლს თამაშობდნენ მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში - დიდი ბრიტანეთი, აშშ, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, რუსეთი. თუმცა, ეკონომიკის ისტორიკოსთა მნიშვნელოვანი ჯგუფი არ ეთანხმება მსოფლიო ეკონომიკურ განვითარებაში

დანარჩენი ქვეყნების როლის დაკნინებას და იმის გატანას ცდილობს, რომ ტერმინს „საყოველთაო“ (ან „მსოფლიო“) აქ უფრო ფართო კონტექსტი ჰქონდეს და მოიცავდეს ნაკლებად განვითარებული, ტექნოლოგიური პარამეტრებით ჩამორჩენილი ქვეყნებისა და ხალხების ისტორიას.

ბოლო თვალსაზრისი ფაქტობრივად ცდილობს გარკვეული ასპექტით „გაათანაბროს“ ქვეყნებისა და რეგიონების ეკონომიკური ისტორიები, ეკონომიკური რეფლექსიისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახადოს ეკონომიკური განვითარებით ჩამორჩენილი სახელმწიფოების სამეურნეო გამოცდილება. ასეთ პოზიციას, ალბათ, აქვს არსებობის უფლება, განსაკუთრებით, თუკი იგი შევსებულია ცივილიზაციური და კულტუროლოგიური მიდგომებით. ყველაზე ჩამორჩენილი მეურნეობაც კი ინტერესს უნდა აღძრავდეს მსოფლიო ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით, თუკი ჩვენ მას განვიხილავთ არა მარტო მეურნეობად, არამედ ეკონომიკურ კულტურად და ეკონომიკურ ცივილიზაციად. რაღაც „ეტალონად“, „კლასიკურ ტიპად“ ცალკეული ხალხებისა და ქვეყნების განვითარების შერჩევაც ხომ ძალიან ხშირად საკმაოდ პირობითია და სუბიექტივიზმის მნიშვნელოვანი ელემენტის შემცველი. „ის, რასაც დღეს „ეტალონად“ მიიჩნევენ, ხვალ შესაძლოა აღარ იყოს ასეთი“, - ეს მსჯელობა „ეკონომიკური განვითარების ნებისმიერ კლასიკურ ტიპსა და ფორმაზე შეგვიძლია გავავრცელოთ“. ამგვარად მსოფლიო (საყოველთაო) ეკონომიკური ისტორია თავისი ნამდვილი გაგებით არის აბსოლუტურად ყველა სახელმწიფოსა და ხალხის ისტორია, მოწინავეა ისინი თუ ჩამორჩენილი.

ბუნებრივია, ეკონომიკური ისტორიის მეთოდოლოგიური და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული თეორიული პრობლემატიკა ზემოხსენებული ორი მეთოდოლოგიური პრობლემით არ ამოიწურება. ჩვენი ამოცანა მხოლოდ ისაა, რომ მათი არსებობა მივანიშნოთ. რაც შეეხება საკუთარი მეცნიერების მრავალრიცხოვანი საკვანძო საკითხების გადაჭრას, ეს თვითონ ეკონომიკის ისტორიკოსების მოვალეობაა.

4. შედარებით-ეკონომიკური მეთოდი ეკონომიკის ისტორიასა და ეკონომიკური აზრის ისტორიაში

ეკონომიკის ისტორიაში ფართოდ იყენებენ შედარებით-ისტორიულ მეთოდს, როცა ორი ან მეტი რეგიონის ისტორიულ განვითარებას უდარებენ ერთმანეთს.

შედარება ერთ-ერთი ყველაზე უფრო უნივერსალური და იმავდროულად ეფექტიანი ლოგიკურ-შემეცნებითი ხერხია. აშკარაა, რომ ეს მტკიცება უნდა ვრცელდებოდეს ეკონომიკური ფენომენების კვლევის მეთოდოლოგიაზეც.

„იზოლირებულად, სხვა მაჩვენებლებთან შედარების გარეშე აღებული ნებისმიერი ეკონომიკური მაჩვენებელი ცოტა რამეს თუ გვეუბნება; აი, სხვა მაჩვენებლებთან შედარებით კი იგი უფრო აშკარა და მეტყველი ხდება. ეკონომიკური სიდიდეების ერთმანეთთან შეუდარებლად შეუძლებელია თვით ყველაზე ელემენტარული ანალიზი და უმარტივესი განზოგადებებიც კი“.

შედარება და შედარებითი ანალიზი შეგვიძლია განვიხილოთ ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების სიღრმეში წვდომის პირველ საფეხურად. არსებობს საგანგებო დასახელებაც ეკონომიკური მეცნიერების იმ ნაწილისთვის, რომელიც შედარებით კვლევებს ეწევა, - „ეკონომიკური კომპარატივისტიკა“. კომპარატივისტიკას უწოდებენ სოციალურ კვლევათა იმ მიმართულებას, სადაც ხდება იმ სხვადასხვაგვარი პროცესებისა და მოვლენების შედარებითი ანალიზი, რომლებიც, როგორც წესი, ეკუთვნის სხვადასხვა დისციპლინას, მეთოდოლოგიას და ა.შ.

ეკონომიკური კომპარატივისტიკა არის ის მიმართულება ეკონომიკურ კვლევებში, სადაც ხდება სამეურნეო პროცესების შედარებითი შესწავლა ეკონომიკურ ფაქტებში, ეკონომიკურ თეორიაში ან მეთოდოლოგიაში ზოგადისა და კერძოს გამოვლენის მიზნით.

ეკონომიკურ კომპარატივისტიკაში შეგვიძლია გამოვყოთ კვლევის რამდენიმე ძირითადი რაკურსი: ა) პრაქტიკული სამეურნეო საქმიანობის შედარებითი

ანალიზი; ბ)ეკონიმიკური თეორიის ან თეორიული ცოდნის კონცეპტების (ცნებითი ფრაგმენტების) შედარებითი ეკონომიკური ანალიზი; გ) ეკონომიკურ მეცნიერებაში გამოყენებული მეთოდოლოგიური მიდგომების შედარებითი ანალიზი; დ)შედარებითი ანალიზი ეკონომიკური თეორიის ან ეკონომიკური აზრის ისტორიის სფეროში. ჩვენ სწორედ ამ ბოლო შემთხვევებზე ვისაუბრებთ. (ეკონომიკური კომპარატივისტიკის პრობლემებს საფუძვლიანად შეგვიძლია გავეცნოთ ო. ანანინის ნაშრომში „ეკონომიკური კომპარატივისტიკა და ეკონომიკური მეცნიერება“, წიგნში „Истоки“. М., 2004).

შედარებითი ანალიზის მეთოდი განსაკუთრებით ეფექტიანია ისტორიულ მეთოდთან მისი კომბინირებისას, ამგვარი შეერთების შედეგად მიღებულ მეთოდს კი შედარებით-ისტორიული მეთოდი შეგვიძლია ვუწოდოთ.

შედარებით-ისტორიული მეთოდი სხვადასხვა მოვლენის კვლევის ის ხერხია, რომლის დროსაც ამ მოვლენების ზოგადი მსგავსების დადგენის საფუძველზე მათი გენეტიკური ნათესაობის ან განსხვავების შესახებ კეთდება დასკვნა.

შედარებით-ისტორიული მეთოდი ფართოდაა გაცრცელებული კულტუროლოგიაში, ენათმეცნიერებაში, ეთნოგრაფიაში, მითოლოგიასა და სხვა დისციპლინებში. კონომისტმა - ისტორიკოსებმა და ეკონომიკური აზრის ისტორიკოსებმა მოგვიანებით, მაგრამ მაინც აითვისეს ეს მეთოდი და უკვე ბევრ კარგ შედეგს მიაღწიეს მის გამოყენებაში.

ნ.ს. ნიაზოვმა ჩამოაყალიბა ის მიზეზები, რომელთა გამოც შედარებით-ისტორიული მეთოდი საკმაოდ ეფექტიანი შეიძლება იყოს:

- „ეს მეთოდი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ძველი და, შესაბამისად, გამოცდილი ფორმაა;

- გონივრულად გამოყენების შემთხვევაში მეთოდი ისეთ შედეგებს გვაძლევს, რომელთა მიღებაც სხვა გზით შეუძლებელია;

• ხშირად შედარებითი მეთოდით სარგებლობისას გამოყენებული ფაქტები და მონაცემები საყოველთაოდ ხელმისაწვდომია - შესაბამისად, მათი შეკრება და შედარება უფრო ადვილია;

• მეცნიერებისა და ახალი ტექნოლოგიების, განსაკუთრებით კომპიუტერულის, განვითარება გვაძლევს ამ მეთოდის გამოყენების გაფართოების შესაძლებლობას;

• იმ კვლევის შედეგები, რომელშიც ფართოდ იყენებენ შედარებით-ისტორიულ მეთოდს, შეიძლება საფუძვლად დაედოს მნიშვნელოვან მმართველურ გადაწყვეტილებათა გამოტანას. ამასთან, დროის ის მონაკვეთი, რომელიც გადის შედეგების მიღების მომენტიდან მისი გამოყენების დაწყებამდე, ძალიან მოკლე შეიძლება იყოს;

• ფინანსური პირობების თვალსაზრისით, მეთოდი არაა მეტისმეტად ხარჯიანი“.

ეკონომიკის თეორია შედარებით-ეკონომიკური მეთოდის გამოყენების ერთობ ფართო დიაპაზონს გვთავაზობს. მისი გამოყენება შესაძლებელია პრაქტიკულად ნებისმიერი ეკონომიკური ინსტიტუტის შესასწავლად და ნებისმიერი რამის შესადარებლად: ცალკეული საწარმოების, დარგების, ქვეყნების, რეგიონების და ა.შ. ამ დროს ანალიზი შეგვიძლია ჩავუტაროთ ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებულ სამეურნეო პროცესებს - პრივატიზაციას, ნაციონალიზაციას, საინვესტიციო საქმიანობას,

საფინანსო და საბანკო საქმიანობას, სამრეწველო განვითარებას და სხვა. მეტად ნაყოფიერია მთელი რიგი სტატისტიკური ინდექსების შედარებით-ისტორიული კვლევა, აგრეთვე, ისტორიულ დინამიკაში ამა თუ იმ ეკონომიკური პროცესის ამსახველი მათემატიკური მოდელების შედარებითი ანალიზი. აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ზრდისა და განვითარების მოდელების შედარებით-ეკონომიკურ ანალიზს, რომლის დანიშნულებაა არა უბრალოდ ამა თუ იმ რეგიონის განვითარების შედარებით-ისტორიული

ანალიზის ჩვენება, არამედ ჩამორჩენილი რეგიონებისა თუ ქვეყნებისთვის დინამიკური ეკონომიკური ზრდის რეცეპტების „გამოწერაც“.

ეკონომიკურ მოძღვრებათა (ეკონომიკური აზრის) ისტორიაში შედარებით-ისტორიულ მეთოდს ჯერაც უკიდურესად იშვიათად იყენებენ. ეკონომიკურ კვლევათა ამ სფეროში ჯერ კიდევ უაღრესად ცოტაა ნაშრომები, სადაც ამა თუ იმ მიმართულების, კონცეფციის ან ცალკეულ მოაზროვნეთა თეორიების შედარებითი ანალიზი იქნება ჩატარებული. გარდა ამისა, აქ, ისე, როგორც ეკონომიკურ ისტორიაში, პრობლემა მარტო შედარებითი ნაშრომის უბრალოდ დაწერაში როდია. ნებისმიერი შედარება თვითმიზანი კი არაა, არამედ მხოლოდ სასტარტო მოედანია იმ შედეგების მისაღებად, რომლებსაც ეკონომიკური მეცნიერებისა და პრაქტიკის წინ წაწევის უნარი ექნებათ. რუსეთში, მაგალითად, დღეს საკმაოდ ბევრი ისეთი სახელმძღვანელოა ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში, რომლებშიც უბრალოდ გადმოცემულია ყველა ეს მოძღვრება, და თითქმის არაა ისეთები, სადაც ამ მოძღვრებათა ანალიზი იქნებოდა ჩატარებული შედარებით, ისტორიულ და ანალიტიკურ ასპექტში. ეტყობა, ამგვარი სახელმძღვანელოების შექმნა მეცნიერებსა და მასწავლებლებს მომავალში მოუწევთ.

5. ისტორიული მეთოდი ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია ის ეკონომიკური მეცნიერებაა, რომელიც სწავლობს ეკონომიკური ცოდნის გენეზისსა და ევოლუციას სკოლების, მიმართულებებისა და დიდი ეკონომისტების ცალკეულ მოძღვრებათა კონტექსტში. როგორც წესი, ყველა მათგანის გადმოცემა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ხდება იმ მიზნით, რომ ნათლად და ზუსტად მივადევნოთ თვალი ამა თუ იმ ეკონომიკური იდეის წარმოშობას.

ეკონომიკური აზრის ისტორიკოსის წინაშე პირველი წამყვანი მეთოდოლოგიური პრობლემაა ეკონომიკურ მოძღვრებათა და დოქტრინების

კლასიფიკაცია. ამ დროს ყველაზე უფრო ეფექტიანია კლასიფიკაციის ყველა კრიტერიუმის დაყოფა ორ ძირითად ტიპად - ისტორიულ და თეორიულ ტიპებად.

კლასიფიკაციის ისტორიული (მათ გარე ან შემთხვევითი შეგვიძლია ვუწოდოთ) კრიტერიუმები ეკონომიკურ მოძღვრებებს აჯგუფებენ ისტორიული (გარე, შემთხვევითი) კრიტერიუმების მიხედვით; აქ არ არსებობს კავშირი მოძღვრების დასახელებასა და მის საბაზო თეორიულ დებულებებს შორის.

სანიმუშოდ შეგვიძლია დავასახელოთ ამა თუ იმ ეკონომიკური მოძღვრების დასახელება: ა)დამფუძნებლის ვინაობის მიხედვით; ბ)იმ ადგილმდებარეობის მიხედვით, სადაც ამ მიმართულების წარმომადგენლები ცხოვრობდნენ; გ)ამა თუ იმ ეკონომიკური სკოლის ან დოქტრინისთვის შერქმეული სახელის მიხედვით: მალთუსიანობა, მარქსიზმი, მერკანტილიზმი და ა.შ.

კლასიფიკაციის თეორიული (მათ შეგვიძლია ვუწოდოთ შიდა ანუ არსობრივი) კრიტერიუმები აპელირებას ახდენენ ეკონომიკური მოძღვრების ან დოქტრინის ძირითად იდეასთან და სწორედ იგი გამოიხატება ამ მოძღვრების სახელწოდებაში.

აქ მაგალითებად გამოგვადგება ეკონომიკური სკოლების ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა ინსტიტუციონიზმი ან ნეოინსტიტუციონიზმი (აქ მთავარი იდეაა ეკონომიკური ინსტიტუტების წამყვანი როლი), მონეტარიზმი (საკვანძო იდეაა ფულის მიმოქცევის წამყვანი როლი), ისტორიული სკოლა (მთავარი აზრია ისტორიული მეთოდების პრიორიტეტი თეორიულის მიმართ), ევოლუციური ეკონომიკა (მთავარი იდეაა ეკონომიკის ევოლუცია) და ა.შ.

სწორედ კლასიფიკაციის ყველა კრიტერიუმის დაყოფა ისტორიულ და თეორიულ კრიტერიუმებად საშუალებას გვიქმნის თავიდან ავიცილოთ ქაოსი და დაბნეულობა ეკონომიკურ მოძღვრებათა და სკოლების ტიპოლოგიებში და, შესაბამისად, მათი შემდგომი პერიოდიზაციის თავდაპირველი პრინციპები ჩავდოთ ეკონომიკური მოძღვრების ისტორიის სასწავლო კურსებში. ბუნებრივია ეს ყველაფერი უნდა შეეხებოდეს სასწავლო მასალის ქრონოლოგიური

თანმიმდევრობით გადმოცემას და იმ საკითხების თანდათანობით გართულებას, რომლებიც ამ მასალის შესწავლის დროსაა დასმული.

ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში ისტორიული მეთოდის გამოყენების მეორე სერიოზული მეთოდოლოგიური პრობლემაა ეკონომიკური დოქტრინების მთლიან სისტემაში მათი ადგილისა და მნიშვნელობის შეფასება.

ამასთან დაკავშირებით მ. ბლაუგი აღნიშნავს:

„მართლაც, ყოველთვის არსებობს ორნაირი საფრთხე ადრინდელი ავტორების ნაშრომების შეფასებისას: ერთია ვხედავდეთ მხოლოდ მათ შეცდომებსა და ნოკლოვანებებს ობიექტური შეზღუდულობების გაუთვალისწინებლად, - როგორიცაა იმ ანალიზის მდგომარეობა, რომლითაც დაწყება მოუხდათ, და ის ისტორიული პირობები, რომლებშიც მათ მოუწიათ მუშაობა; მეორე საფრთხეა მათი ღირსებების განდიდება იმ იდეის აღმოჩენის წადილით, რომელიც მათ დროს უსწრებდა წინ, ხშირად კი - მათი საკუთარი განზრახვებითაც“.

ამ უკიდურესობათა დაძლევის ერთადერთი გზაა იყო მაქსიმალურად ობიექტური და ნეიტრალური და შეგეძლოს მეცნიერული ანალიზის გამოყოფა ფასეულობითი იდეოლოგიური მსჯელობებისგან.

„ეკონომიკური აზრის ისტორიკოსის ამოცანაა აჩვენოს, თუ როგორ მივყავართ გარკვეულ რწმენას სხვადასხვაგვარ ანალიზამდე, შემდეგ კი იმ კითხვის დასმა, ინარჩუნებს თუ არა ეს ანალიზი თავის მნიშვნელობას, თუ მას იდეოლოგიური სარჩულისაგან გავათავისუფლებთ“.

მესამე არსებითი მეთოდოლოგიური პრობლემაა, თუ როგორ გადმოვცეთ ესა თუ ის ეკონომიკური მოძღვრება. აუცილებელია ყოველ ჯერზე მისი „ჩაშვება“ ყოფიერების სოციოკულტურულ გარემოში თუ, პირიქით, აუცილებელია ყოველ ჯერზე ამისგან განყენება? აუცილებელია თუ არა, რომ ამ მოძღვრების აღწერას მისი ანალიტიკური კვლევა დავურთოთ? საჭიროა ამ დროს შედარებითი ანალიზის ჩატარება თუ უამისოდაც გავალთ ფონს ? და ა.შ. და ა.შ.

ასეთი კითხვები „მეთოდურ“ ანუ „დიდაქტიკურ“ საკითხთა წრეს უნდა მივაკუთვნოთ. ისინი, შესაძლოა, ეკონომიკური ანალიზის თეორიის პერიფერიაზე იმყოფებიან, თუკი მას ეკონომიკურ მეცნიერებას დავარქმევთ, თუმცა, მათი კვლევა, მაინც აუცილებელია.

აქ პასუხების საკუთარი ვარიანტებიცაა. მაგალითად, ვ. ს. ავტონომოვმა შემოგვთავაზა ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის სახელმძღვანელოების დაყოფა „ისტორიულ“ და „ლოგიკურ“ სახელმძღვანელოებად:

« „ისტორიული“ მიმართულება პირველ რიგში იმ კონტექსტს უსვამს ხაზს, რომელშიც ესა თუ ის თეორია აღმოცენდა, - ისტორიულ სტადიას; იმ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომლიდანაც მომდინარეობს ესა თუ ის „სოციალური დაკვეთა“; იდეურ გარემოს როგორც საზოგადოებრივ, ისე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევების ჩათვლით, აგრეთვე, მოცემული დროის ფილოსოფიურ მოდას. ამგვარ კვლევათა ავტორებს უყვართ ბიოგრაფიული დეტალებით მათი გამდიდრება, დიდ ეკონომისტებზე მათივე ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენის გავლენისთვის თვალის მიდევნება. დიდი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური მეცნიერების ცალკეული სკოლებისა და მიმართულებების სპეციფიკას... თუმცა, ასეთი მიდგომა არ გვაძლევს ეკონომიკური თეორიის განვითარებისა და სრულყოფის, დროში იდეების განვითარების შინაგან ლოგიკაზე დაკვირვების შესაძლებლობას. არ არსებობს შედარებათა ჩატარების საიმედო ბაზა: ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მარშალის ფასეულობის თეორია სმითის თეორიაზე უკეთესია ან სეზანს მივანიჭებთ უპირატესობას ლეონარდოსთან შედარებით (ან პირიქით). გარდა ამისა, - და ეს, ალბათ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, - ასეთ ისტორიას უშუალო კავშირი არა აქვს ეკონომიკის თეორიის დროებით მდგომარეობასთან (ირიბი კავშირი ანალოგიის ან ასოციაციის მიხედვით, ცხადია, არსებობს).

მეორე, „ლოგიკური“, მიმართულება აერთიანებს შუმპეტერის მეთოდოლოგიურ მითითებათა პირდაპირ გამგრძელებლებს. ისინი წერენ არა ადამიანებისა და მიმართულებების, არამედ იდეების ისტორიას, თანაც ათვლის

წერტილს წარმოადგენს თეორიის არა წარსული, არამედ ახლანდელი, დღევანდელი მდგომარეობა. ამ მიდგომას, ცხადია, საფუძვლად უდევს წინაპირობა ეკონომიკური თეორიის როგორც იმ მეცნიერების ერთიანობის შესახებ, რომელიც ყველა დროში რომელიღაც მუდმივი წრის პრობლემებს წყვეტს, ეკონომიკური ცოდნის კუმულატური ზრდის შესახებ და ეკონომიკური ანალიზის ინსტრუმენტების პროგრესის შესახებ“.

აშკარაა, რომ პირველ ტიპს უნდა მივაკუთვნოთ ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის ცნობილი სახელმძღვანელოები, ისეთები, როგორიცაა ბ. სელიგმენის „თანამედროვე ეკონომიკური აზრის ძირითადი მიმართულებები“, შ. ჟიდისა და შ. რისტის „ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია“, ტ. ნეგიშის „ეკონომიკური ანალიზის ისტორია“ და მარკ ბლაუგის სახელმძღვანელო „ეკონომიკური აზრი რეტროსპექტივაში“.

კვლავ ვუსვამთ ხაზს, რომ ზემოაღნიშნული პრობლემებით არ ამოიწურება ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის მთელი მეთოდოლოგიური პრობლემატიკა, რომელიც ამ ეკონომიკური მეცნიერების მიერ „ისტორიული მეთოდის“ გამოყენებას უკავშირდება. ეს პრობლემატიკა ერთობ ფართოა და ეკონომიკური მეცნიერების ისტორიკოსებს ჯერ კიდევ ბევრი შრომა მოუწევთ, რათა თავიანთი მეთოდოლოგიური და თეორიული საკითხების თუნდაც ნაწილის ურთიერთმისაღები გადაწყვეტა იპოვონ.

6. ისტორიული მეთოდი და ისტორიული სკოლა

თუ ამა თუ იმ კონკრეტული რეგიონის ეკონომიკური აზრის ევოლუციის მსვლელობაში ჩნდება ეკონომისტების ისეთი ჯგუფი, რომელიც ეკონომიკური მოვლენების კვლევაში აქტიურად იყენებს ისტორიულ მეთოდს, მაშინ ასეთ შემთხვევაში მიღებულია ვისაუბროთ ისტორიული სკოლის შესახებ.

ისტორიული სკოლა არის ერთსა და იმავე რეგიონში და დაახლოებით ერთსა და იმავე დროს მცხოვრებ იმ ეკონომისტთა ჯგუფი, ვისი

მეთოდოლოგიაც აშკარად ან შეფარულად ამკვიდრებს ისტორიული მეთოდების პრიორიტეტს თეორიულზე, როგორც გლობალური ისე ლოკალური მასშტაბით.

ამგვარად, ის მთავარი, რაც ისტორიულ სკოლას განასხვავებს ეკონომიკური მეთოდოლოგიის სხვა სკოლებისა და მიმართულებებისგან, არის ისტორიული მეთოდის ბატონობის აშკარა და ფარული დამკვიდრება ეკონომიკური მეცნიერების ყველა სხვა დანარჩენ მეთოდზე - თეორიული იქნება ეს, ემპირიული, მათემატიკური თუ სხვა.

თუმცა, ესეც ცოტაა. ისტორიული სკოლის მეთოდოლოგია, პრინციპში, უკუაგდებს ისტორიულ ცოდნაზე თეორიული ცოდნის პრიორიტეტს და უკუმოდელით ცვლის მას: „ისტორიული ცოდნა თავისი მნიშვნელობით ან აღემატება თეორიულს, ან, უკიდურეს შემთხვევაში მისი ტოლია“. ამიტომ საუბარია არა მარტო ერთი მეთოდის უპირატესობის შესახებ მეორის მიმართ, არამედ სხვადასხვა ტიპის ცოდნას შორის გამოვლენილ პრიორიტეტზეც. ისტორიულ ცოდნას უპირისპირებენ თეორიულს, მაგრამ ჩვენი თვალსაზრისით ეს სავსებით არასწორია: ისტორიაში ყოველთვისაა თეორიის რაღაც ელემენტი და პირიქით, ნებისმიერი თეორია ყოველთვის შეიცავს ისტორიული ცოდნის ელემენტს.

ი. შუმპეტერმა მოგვცა ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიის არსის საფუძვლიანი დახასიათება:

„ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიის ძირითადი განმასხვავებელი თავისებურება იყო ის პრინციპი, რომლის თანახმადაც ეკონომიკური ცოდნის კორპუსი მნიშვნელოვანწილად (თავიდან მიაჩნდათ, რომ მთლიანად) უნდა შედგებოდეს ისტორიული მონოგრაფიებისგან მიღებული შედეგების ან განზოგადებებისგან. რაც შეეხება ამ საქმიანობის მეცნიერულ მხარეს, ეკონომისტი უპირველეს ყოვლისა უნდა ფლობდეს ისტორიულ მეთოდს, რომლის დანიშნულებაა მთელი მისი მეცნიერული აღჭურვილობის შექმნა; იგი ეკონომიკური ისტორიის ოკეანეში იძირება იმისთვის, რომ გამოიკვლიოს გარკვეული სტრუქტურები ან პროცესები მთელი მათი ცხოვრებისეული

დეტალებით, ადგილისა და დროის თავისებურებებით, რომელთა სურნელის შეგრძნებასაც იგი სწავლობს და ამ კვლევებიდან თანდათანობით ამოიზრდება საზოგადოებრივ მეცნიერებებში მისაღწევი საზოგადოებრივის ზოგადი ცოდნა. ამაში იყო ბირთვი იმისა, რაც ცნობილი გახდა როგორც „ისტორიული მეთოდი“ ეკონომიკურ მეცნიერებაში... ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური მრწამსი შესაძლებელია გამოვხატოთ იმ მტკიცებით, რომ მკვლევარი ეკონომისტი უპირველეს ყოვლისა ეკონომიკის ისტორიკოსი უნდა იყოს“.

რამდენად პროდუქტიულია ეს მეთოდოლოგია და რა მეცნიერული შედეგების მიღწევაა აქ პრინციპში შესაძლებელი?

საკამათო არაა, რომ ეს მეთოდოლოგია თავისებურად ნაყოფიერი იყო. იგი მჭიდროდ აახლოებდა ისტორიასა და თეორიას, ისტორიული ფაქტებით განამტკიცებდა თეორიულ დებულებებს და ეკონომიკური მეცნიერების ზოგიერთ დარგში საკმაო წინსვლაც გამოიწვია. მაგალითად, გერმანულმა ისტორიულმა სკოლამ ეკონომიკური მეცნიერების შემდეგ სფეროებში მიაღწია პროგრესს: ეკონომიკური პოლიტიკა და მართვა; სოციალური პოლიტიკა; საზოგადოების კლასობრივ-ფენობრივი სტრუქტურა; შუა საუკუნეებისა და ადრებურჟუაზიული კორპორაციები; ქალაქებისა და საქალაქო მეურნეობის ფუნქციები და ევოლუცია; ცალკეული დარგების განვითარება.

ისტორიული სკოლის ეკონომისტი - და ეს აბსოლუტურად ყველა ისტორიულ სკოლას ეხება - არა მარტო ეკონომისტად და ისტორიკოსად გვევლინებოდა, არამედ სოციოლოგად, პოლიტოლოგად და კულტუროლოგადაც. ისტორიული ანალიზი მოითხოვდა კვლევაში სოციალური კვლევის ფართო სპექტრის მასალების ჩართვას და არა მარტო იმათისა, რომლებსაც წმინდა სამეურნეო ხასიათი აქვთ.

მეთოდოლოგიის სუსტი ნიშანი იყო არა მარტო თეორიების უგულვებელყოფა, არამედ ეპისტემოლოგიური რელატივიზმისკენ ძლიერი მიდრეკილება, - მოძღვრებისკენ, რომელიც ამტკიცებს, რომ მთელი ეკონომიკური ჭეშმარიტება შედარებითია და შემეცნებაში არავითარი აბსოლუტური

ჭეშმარიტება არ არსებობს. გერმანული და სხვა სკოლების მიერ გამოყენებული ისტორიული მეთოდი ფალსიფიკაციის (როგორც ეს კ. პოპერს ესმოდა) დამოკლეს მახვილის ქვეშ აქცევდა თეორიულ დებულებებს, ე.ი. ეკონომიკური ცოდნის შემოწმების იმგვარი ხერხისა, რომელიც არ ენდობოდა თვით ერთი შეხედვით ყველაზე უფრო უეჭველ ეკონომიკურ პრინციპს ან დებულებას.

თუ შევაჯამებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური პრეტენზიები ეკონომიკური მეთოდოლოგიის სხვა მიმდინარეობებს შორის ლიდერობაზე ვერ დაადასტურა ეკონომიკური აზრის შემდგომმა განვითარებამ; თუმცა, ეს მთლიანად არ ნიშნავს იმას, რომ იგი დავიწყებას მიეცა ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიის ბნელ ჯურღმულებში. შესაძლოა, რომ მაგალითად, ამჟამად ეფექტიანად მომუშავე ახალი ეკონომიკური ისტორიის ინგლისურ-ამერიკული სკოლა კვლავ დაუბრუნებს ძველებურ პრესტიჟსა და ავტორიტეტს ისტორიულ მეთოდს ეკონომიკურ კვლევებში.

აი, მთლიანობაში კი ისტორიული სკოლის ადრინდელ წარმატებებთან დაკავშირებით მთლიანად შეგვიძლია დავეთანხმოთ ი. შუმპეტერის სიტყვებს:

„ისტორიული სკოლა რევოლუციის მოხდენას აპირებდა მეცნიერებათა მეთოდოლოგიაში, თუმცა, ეს რევოლუცია გერმანიაშიც კი კომპრომისით დასრულდა“.

7. ძირითადი ისტორიული სკოლები ეკონომიკურ მეთოდოლოგიაში

ეკონომიკური ცოდნის ისტორიაში არსებობს რამდენიმე ისტორიული სკოლა, ოღონდ, მხოლოდ ორი მათგანი შეგვიძლია მივიჩნიოთ მნიშვნელოვნად ამ დარგში. ერთია XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. დასაწყისის გერმანული ისტორიული სკოლა, მეორე კი - ახალი ეკონომიკური ისტორიის თანამედროვე ინგლისურ-ამერიკული სკოლა, რომლის აღიარებული ლიდერია ამერიკელი ეკონომისტი დ. ნორტი.

წინა განყოფილებაში ჩვენ უკვე დავიწყეთ საუბარი გერმანული ისტორიული სკოლის შესახებ. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჯერ ერთი, გერმანია იმ პერიოდში ისტორიული სკოლის მქონე ერთადერთი ქვეყანა არ იყო. ეს სკოლა სხვაგანაც არსებობდა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია). მეორე, თავად გერმანიაში ისტორიული სკოლა წარმატებული იყო არა მარტო პოლიტეკონომიაში, არამედ სოციოლოგიაში, ფილოსოფიაში, იურისპრუდენციაში, სტატისტიკასა და ზოგ სხვა მეცნიერებაში. ბოლოს, მესამე, ხსენებულ პერიოდში გერმანულ ისტორიულ სკოლას მოუწია მწვავე კონკურენციისთვის გაეძლო მარჟინალიზმის ავსტრიული თეორიული სკოლის მხრიდან (კ. მენგერი, ე. ბემ-ბავერკი და სხვ.), ისტორიული მიმართულების ეკონომისტ გ. შმოლერსა (1838-1917 წწ) და მენგერს შორის წერილობით გამართული პოლემიკა კი ცნობილ Methodenstreit-ში - "მეთოდის გარშემო კამათში" გადაიზარდა.

ეს კამათი, რომელშიც შმოლერი ისტორიული მეთოდის პირველობას იცავდა, ხოლო მენგერი - თეორიულს, ასე ვთქვათ, ორი შედეგით დასრულდა.

„მეთოდების გარშემო კამათი გერმანულ მიწაზე მოკლევადიან ასპექტში ისტორიული სკოლის წარმატებით დასრულდა, რომლის შედეგადაც გერმანიამ ნახევარი საუკუნით ჩაუკეტა კარი მარჟინალისტურ იდეებს. აი, გრძელვადიანი ასპექტით კი, ეკონომიკური მეცნიერების შემდგომი განვითარებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ კამათში ჭეშმარიტებასთან უფრო ახლოს მაინც მენგერი აღმოჩნდა".

კ. მენგერი, რომელმაც, ალბათ, წინასწარ იგრძნო ამ დისკუსიაში თავისი ხანმოკლე მარცხი და ისტორიული მეთოდის ნახევარსაუკუნოვანი ბატონობა, აღშფოთებით წერდა:

„ისტორიკოსებმა შემოჭრილი დამპყრობლებივით გადაუქროლეს ჩვენი მეცნიერების სფეროს, რათა თავს მოეხვიათ ჩვენთვის თავიანთი ენა და თავიანთი ჩვევები, თავიანთი ტერმინოლოგია და თავიანთი მეთოდი და

მოუთმენლად დაატყდნენ თავს კვლევის ყველა იმ დარგს, რომლებიც მათ საგანგებო მეთოდს არ შეესაბამებოდა“.

მაგრამ XIX ს. II ნახევარში გერმანიაში მეცნიერების რეალიები ასეთი იყო და ერთ მენგერს არაფრის შეცვლა არ შესწევდა.

გ. შმოლერთან ერთად ამ სკოლის ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ ფ.ლისტი (1789-1846), ვ.როშერი (1817-1894), კ.კნისი (1821-1894), ბ.გილდებრანდი (1812-1878), კ.ბიუხერი (1847-1930), ვ.ზომბარტი (1863-1941), მ.ვებერი, ა.შპიტჰოფი(1873-1957).

გერმანულ ისტორიულ სკოლას 3 პერიოდად ჰყოფენ: 1) ძველი ისტორიული სკოლა (1841 წლიდან XIX ს. 60-70-იან წლებამდე. 1841 წელს გამოვიდა ფ. ლისტის ნაშრომი: „Национальная система политической экономии“.); 2) ახალი ისტორიული სკოლა (XIX ს. ბოლო); 3) უახლესი (ან ახალგაზრდა) ისტორიული სკოლა (XX ს. I მესამედი).

ფ. ლისტმა, თუმცა, თავის „პოლიტიკური ეკონომიის ეროვნულ სისტემაში“ თავი აარიდა თეორიულ მეთოდზე ისტორიული მეთოდის აღმატებულობის მტკიცებას, მაგრამ პროტექციონიზმის აპოლოგიით მაინც ერთგვარი ნიადაგი მოუმზადა მას. მართლაც, ლისტის მიერ გამოყენებული ისტორიული მაგალითების სიფართოვემ, ეროვნულ ისტორიებთან მუდმივმა აპელაციამ და, კერძოდ, ცალკეული ქვეყნების (ინგლისი, პოლონეთი, საფრანგეთი) მიხედვით „განვითარების ისტორიული ტიპების“ გამოყვანამ, ა. სმითთან პოლემიკამ და მისი მრავალი თეორიული დებულების კრიტიკამ (პირველ რიგში კი - მთავარი დებულებისა - „თავისუფალი ვაჭრობის“ აუცილებლობის შესახებ უკლებლივ ყველა ქვეყნისათვის), შესაძლოა, მომდევნო გერმანელ ეკონომისტებს აფიქრებინეს საბოლოოდ ეთქვათ უარი ნებისმიერ „მუდმივ“ თეორიულ სისტემაზე, რომელთა შეცვლაც უფრო გონივრული იქნებოდა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური ისტორიის საფუძვლიანად გადმოცემით. ამას ხელს უწყობდა გერმანიის სოციალური მეცნიერების თვითონ ვითარება: ისტორიული მეთოდი იმ დროისთვის უკვე ჰყვაოდა იურისპრუდენციასა და სოციოლოგიაში.

ძველი ისტორიული სკოლის ყველაზე უფრო გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ვილჰელმ როშერი. თავის მეთოდს მან ისტორიულ-ფიზიოლოგიური უწოდა და პირველმა დაიწყო თეორიულ მეთოდზე ისტორიულის დომინირების პრინციპის დაცვა. იგი ამტკიცებდა შემდეგს:

„შეუძლებელია ხალხებს ერთი ეკონომიკური იდეალი ჰქონდეთ, ისე როგორც კაბა არ იკერება ერთი მოზომებით... მაშასადამე, ვისაც საუკეთესო სახალხო მეურნეობის იდეალის შექმნა და წარმოდგენა მოუვა თავში, არსებითად კი სწორედ ეს ეწადათ ყველა პოლიტეკონომებს, მას მოუწევს, თუკი მართლა სურს აკმაყოფილებდეს ჭეშმარიტებასა და პრაქტიკულ მოთხოვნილებებს, იმდენი იდეალი შეიმუშაოს, რამდენი სახალხო ინდივიდუალობაცაა მის თვალწინ“.

აქ, ისევე, როგორც მთელს ძველ სკოლაში, ჯერ კიდევ საკმაოდ აშკარაა ლისტის პროტექციონიზმის „ჭიპლარი“ თავისი პრინციპით „რამდენი ხალხიცაა, იმდენია განვითარების გზებიც“. რაც შეეხება თეორიულ მეთოდზე ისტორიულის პრიორიტეტს, იგი უფრო შემოვლითი გზით „გაჰყავთ“, იმის მტკიცებით, რომ ყოველ ხალხს მეურნეობის თავისი იდეალი აქვს და, მაშასადამე, თითოეულ მათგანსაც საკუთარი პოლიტიკური ეკონომია სჭირდება.

ვ. როშერის ნაშრომებთან ახლოსაა ძველი სკოლის სხვა ეკონომისტების - კ. კნისისა და ბ. გილდებრანდის ნაშრომები, თანაც, კ. კნისი როშერზე შორს მიდის და ისტორიული მეთოდის აპოლოგია, შეიძლება ითქვას, უკიდურეს ზღვრამდე მიჰყავს.

„ემპირიზმი კნისთან დაყვანილი იყო დედუქციის მეთოდისა და ეკონომიკური თეორიის როგორც ასეთის უარყოფამდე; ისტორიული მეთოდი ბოლოს და ბოლოს გააიგივეს ერების ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გამოთქმული ეკონომიკური აზრების ისტორიასთან“.

ახალი გერმანული ისტორიული სკოლა გ.შმოლერით იწყება. თავის თხზულებებში მან სცადა ისტორიული სკოლის პროგრამის ნაწილობრივ მოდერნიზება. კერძოდ, მასში კ. მარქსის ეკონომიკური მოძღვრების, ფ. ტენისის

სოციოლოგიური კონცეფციის და ა.შ. ელემენტების ჩართვა, მაგრამ მთლიანობაში ისტორიული მეთოდის უძლიერეს აპოლოგეტად დარჩა.

„ისტორიული მეცნიერების ზემოქმედებამ იმდენადვე გარდაქმნა სახალხო-სამეურნეო თეორიის ზოგადი საფუძვლები, რამდენადაც მრავალჯერ გვაკეთებინებდა ისეთ დასკვნებს, რომლებიც სამეურნეო პრაქტიკაში პოულობდნენ გამოყენებას“.

გ. შმოლერის ეკონომიკურ-ისტორიული მიდგომა გამორჩეული იყო ეთიკაზე და ეკონომიკურ მეცნიერებაში სოციალური პრინციპების დანერგვაზე ორიენტირებით. თუმცა, ეს სულაც არ აძლიერებდა მისი მტკიცებითი კონსტრუქციების სიძლიერეს და თეორიულ ენაზე თარგმნისას ისინი ძველებურად ტოვებდნენ წმინდა სპეკულაციურის შთაბეჭდილებას.

„ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ სტატისტიკური და სოციოლოგიური მასალების დიდი ნაწილის შერჩევას ერთგვარი შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მთელ ნაშრომში (იგულისხმება „სახალხო მეურნეობა“) ჩანს რეალური მოვლენების ემპირიულად ახსნის შეცვლის ტენდენცია ჰეგელის კონცეფციის სულისკვეთების მქონე საბოლოო მიზნისკენ სწრაფვით“.

გერმანიაში უახლესი (ახალგაზრდა) ისტორიული სკოლა (ვ. ზომბარტი, მ. ვებერი, ა. შპიტჰოფი) უკვე აღარ გამოირჩეოდა ისტორიული მეთოდის რაიმე მკაცრი აპოლოგეტიკით. მართალია, მ. ვებერს ჰქონდა ფუნდამენტური ისტორიული შრომები („პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“, „მეურნეობის ისტორია“), მაგრამ მთლიანობაში იგი გაცილებით უფრო ცნობილია თეორეტიკოსად - სულითაც და მეთოდითაც; ვ. ზომბარტის (მან სახელი გაითქვა მნიშვნელოვანი შრომებით „ბურჟუა“ და „თანამედროვე კაპიტალიზმი“) ისტორიული ექსკურსები მხოლოდ ამოსავალი წერტილი იყო თეორიული განზოგადებებისთვის (ზოგჯერ მეტად ექსტრავაგანტული და საეჭვო); ა. შპიტჰოფმა, რომელიც გ. შმოლერის მოწაფე იყო, ძალიან შორს გაუსწრო მას და გაცილებით უფრო ზომიერად შეაფასა ისტორიული მეთოდის უპირატესობა თეორიული კვლევის წინაშე.

შპიტჰოფი, კერძოდ, ფიქრობდა, რომ ისტორიის ეკონომიკურ ანალიზში ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ არა ყველა ისტორიულ მოვლენას, არამედ მათგან მხოლოდ აუცილებელს; ამ აუცილებელ მოვლენებს თავიანთი განუმეორებელი „ისტორიული სტილი“ აქვთ, რომელთაგან თითოეული თავის თეორიულ მიდგომას მოითხოვს, რომელიც შემდგომ დედუქციურ მსჯელობებს უქმნის საფუძველს.

„რა ზომითაც ეკონომიკური თეორიის გამოყენების შესაძლებლობაა დამოკიდებული იმ გარკვეული სამეურნეო სტილის ბატონობის ხარისხზე, რომლის ელემენტებსაც თეორიულ დებულებათა სისტემაში ესხმება ხორცი, თვითონ ეკონომიკური თეორია იმავე ზომით გვევლინება „ისტორიულ კატეგორიად“.

დიდ ბრიტანეთში (ინგლისში) ისტორიული სკოლა ერთობ მწირად იყო წარმოდგენილი: შეგვიძლია დავასახელოთ ნაკლებად ცნობილი მკვლევარების რამდენიმე სახელი (დ. გობსონი, უ. კანიგემი, დ. როჯერსი, დ. ინგრემი, რ. ჯონსი, უ. ეშლი, ტ. ლესლი, ა. ტოინბი (საუბარია ეკონომიკის ისტორიკოს არნოლდ ტოინბიზე (1852-1883), რომელიც ავტორია ნაშრომისა „სამრეწველო გადატრიალება ინგლისში XVIII ს-ში (1884), სწორედ აქ იხმარა მან ტერმინი „სამრეწველო (ინდუსტრიული) რევოლუცია“. მისი ძმისწულია ცნობილი ისტორიკოსი არნოლდ ჯ. ტოინბი (1889-1975). - ამ ქვეყანაში ხომ ძალიან ძლიერი გავლენა ჰქონდა ა. სმითის, დ. რიკარდოს, დ. მილის, კ. მარქსისა და ა. მარშალის თეორიულ მოძღვრებებს.

„ინგლისში არ იყო ისტორიული სკოლის როგორც იმ განსაკუთრებული მეცნიერული პარტიის დამკვიდრების პირობები, რომელიც თავის პროგრამას დაიცავდა. შეიძლება ითქვას, რომ ფაქტობრივად მისი პატარ-პატარა ფრაგმენტები არსებობდა“ .

ერთ-ერთი ასეთი ფრაგმენტი იყო ეკონომიკის ისტირიკოსის უ. ეშლის (1860-1927) შრომები. 1887 წ. დაწერილ ფუნდამენტურ ნაშრომში „ეკონომიკური ისტორია ინგლისში ეკონომიკურ თეორიასთან კავშირში“ ეშლი ამტკიცებდა:

„ორი მიზეზი ხან ცალ-ცალკე, ხან ერთად მოქმედებით ყველა სხვაზე მეტად მუდმივად უცვლიან ხასიათს ეკონომიკურ მეცნიერებას. ესენია ისტორიის შესწავლის მზარდი მნიშვნელობა და განვითარების იდეის გამოყენება საზოგადოების მიმართ. ისტორიულმა მეთოდმა იურისტებისგან ეკონომისტებისკენ გადაინაცვლა. მაგრამ როშერის, გილდებრანდისა და კნისის ნააზრევი მეოთხედ საუკუნეზე მეტ ხანს შეუმჩნეველი რჩებოდა: მათ ჯეროვანი გავლენა იქონიეს მხოლოდ მაშინ, როცა თანამედროვე ცხოვრების რეალურმა მოთხოვნილებებმა წინანდელი ეკონომიკური მეთოდების ნაკლოვანებები გამოავლინეს“.

მართალია, ეშლი აშკარად ცდება „ისტორიის შესწავლის მზარდი მნიშვნელობის“ საკითხში, მაგრამ მისი ზოგიერთი იდეა, შეიძლება, ახალი ეკონომიკური ისტორიის მომავალ დებულებებსაც უსწრებდეს წინ, მათ შორის - მისი მთავარი წარმომადგენლის - დ. ნორტის.

„ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ყოველ ინსტიტუტს თავის დროზე თავისი წილი რაღაც სარგებლობა მოაქვს და თავისი შედარებითი გამართლება აქვს. ზუსტად ასევე ახლა იწყება იმის გამოვლენა, რომ მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვან ყოველგვარ იდეას, დოქტრინების სისტემას, რომლებიც ხანგრძლივ და ქმედით გავლენას ახდენდნენ საზოგადოებაზე, თავისი წილი ჭეშმარიტება და ფასეულობა აქვს, თუკი მათ თანამედროვე პირობებთან კავშირში განვიხილავთ.

უახლესი ეკონომიკური თეორიები, მაშასადამე, უპირობოდ არაა ჭეშმარიტი; ისინი სწორი არაა წარსულისათვის, როცა მათ მიერ პოსტულირებული პირობები არ არსებობდა, და არც მომავლისთვის, როცა პირობები შეიცვლება, თუკი საზოგადოება უძრავი არ გახდება“.

იმ პერიოდის ფრანგული, იტალიური და ბელგიური ისტორიული სკოლები კიდევ უფრო მცირერიცხოვანი იყო. ფრანგი მკვლევარებიდან უნდა დავასახელოთ პ. ლევასერი, ფ. სიმიანდი და ა. სე, იტალიელებიდან - ლ. ეინაუდი, ბელგიელებიდან კი - ე. დე ლაველე. საყურადღებოა, კერძოდ, მისი

ნაშრომი საკუთრებაზე. (იხ. Э .де Лавеле. Первобытная собственность. СПб., 1875.). მასში ლაველე ამტკიცებს: საკუთრებაზე საუბრისას გულისხმობენ, რომ იგი მხოლოდ იმ ფორმით არსებობს, რასაც გარშემო ვხედავთ. ეს ის შეცდომაა, რომელიც ხელს გვიშლის სამართლის შესახებ უკეთესი ენების მიგნებაში.

XX ს. 30-იან წლებში ყველა ძველი ისტორიული სკოლა დავიწყების ფერფლმა დაფარა, ხოლო ეკონომიკურ კვლევებში ისტორიციზმის იდეების აღორძინება იმ ინგლისელი და ამერიკელი მეცნიერების იდეებს დაუკავშირდა, რომლებიც ეკონომიკურ მეცნიერებაში აქტიურად მუშაობდნენ 60-70-იან წლებში. ამ მიმართულებას „ახალი ეკონომიკური ისტორია“ უწოდეს, მისი ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი კი გახდა ამერიკელი მეცნიერი, ნობელის 1993 წ. პრემიის ლაურეატი დუგლას ნორტი (დაბ. 1920 წ). მისი სხვა ცნობილი წარმომადგენლებია რ. ფოგელი (ნობელიანტი ნორტთან ერთად) და რ. ტომასი.

ახალი ეკონომიკური ისტორიის სკოლა წინანდელთან შემდეგი ძირითადი პარამეტრებით განსხვავდება:

ჯერ ერთი, ესაა ინსტიტუციური ისტორიული სკოლა. ინსტიტუციონიზმი პირველად ჩნდება როგორც ეფექტიანი ისტორიული მეთოდოლოგიის მქონე მიმართულება. „შესაძლებელია და საჭიროა შევისწავლოთ ინსტიტუტების არა მარტო აწმყო, არამედ მათი წარსულიც“, - ასე აცხადებენ ამ სკოლის წარმომადგენლები.

„ინსტიტუტები იმ საბაზისო სტრუქტურას აყალიბებენ, რომელზე დაყრდნობითაც ადამიანები მთელი ისტორიის მანძილზე ქმნიდნენ წესრიგს და ცდილობდნენ გაცვლის პროცესში განუსაზღვრელობის შემცირებას. მისაღებ ტექნოლოგიასთან ერთად ინსტიტუტები განსაზღვრავენ ტრანსაქციული და ტრანსფორმაციული დანახარჯების სიდიდეს. მაშასადამე, ამა თუ იმ ეკონომიკური საქმიანობის რენტაბელობასა და მიმზიდველობას. ინსტიტუტები აწმყოსთან და მომავალთან აკავშირებენ წარსულს, ასე, რომ ისტორია ინსტიტუციური განვითარების უპირატესად ინკრემენტული (უწყვეტი,

ერთმანეთში გარდამავალი) პროცესდ იქცევა, ხოლო ხანგრძლივი ისტორიული პერიოდების განმავლობაში ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირება გასაგები ხდება როგორც გაჩაღებული ინსტიტუციური პროცესის ნაწილი. ინსტიტუციები საზოგადოებასა და ეკონომიკას შორის ურთიერთობების და ეკონომიკურ ზრდაზე (ან სტაგნაციასა და დაქვეითებაზე) მათი გავლენის გაგების გასაღებადაც გვევლინებიან.

მეორე, ახალი ეკონომიკური ისტორიის სკოლა მარტო ისტორიული კი არაა, ევოლუციური ეკონომიკური სკოლაცაა (ევოლუციური ეკონომიკის სკოლა).

აქ ევოლუციონიზმი მრავალ პუნქტში ვლინდება: ისტორიული ანალიზის თეორიულ ანალიზამდე გაღრმავების სურვილშიც; ისტორიული პრობლემების განხილვაში დარვინის ევოლუციონიზმის (არსებობისთვის ბრძოლის და ძლიერთა გადარჩენის პრინციპის) ჩართვის სურვილშიც; ინსტიტუტების განვითარების ინკრემენტულ პროცესად (ევოლუცია რევოლუციის საპირისპიროდ) განხილვის მცდელობებშიც. (ევოლუციური მეთოდოლოგიის მთელი ეს ასპექტები დაწვრილებით იქნება განხილული მომდევნო თავში).

მესამე, ამ სკოლამ ისტორიულ-ეკონომიკურ კვლევას გამოსაყენებლად გადასცა სტატისტიკური და მათემატიკური აპარატი, რამაც შესაძლებლობა მისცა დ. ნორტს გამოეცხადებინა პრინციპულად ახალი დისციპლინის - კლიომეტრიის (იხ. ზემოთ) შექმნა.

მეოთხე, ახალი ეკონომიკური ისტორიის სკოლამ თავის გამოკვლევებში ფართოდ დაიწყო დისციპლინათშორისი მეთოდოლოგიის გამოყენება და, არსებითად, ისტორიის შესწავლაში ანალიზის სამართლებრივი, პოლიტოლოგიური, სოციოლოგიური და სხვა მიდგომების სინთეზირება ეკონომიკურთან.

„ნეოინსტიტუციონიზმმა ინსტიტუციური ვაკუუმიდან და იმ გამოგონილი სამყაროდან გამოიყვანა თანამედროვე თეორია, სადაც ეკონომიკური ურთიერთობა შეხლა-შემოხლისა და ხარჯების გარეშე მიმდინარეობს.

ტრანსაქციული ხარჯების პრობლემის გადაწყვეტის იარაღად სოციალური ინსტიტუტების განხილვამ წანამძღვრები მოუმზადა სხვა სოციალურ დისციპლინებთან ეკონომიკური მეცნიერების სინთეზს. და მაინც, ყველაზე უფრო ფასეულია ის, რომ ახალი ინსტიტუციური თეორიის წყალობით შეიცვალა თვითონ ეკონომიკური რეალობის სურათი და მკვლევართა წინაშე გადაიშალა პრინციპულად ახალი იმ პრობლემების მთელი შრე, რომლებიც მანამდე შეუმჩნეველი რჩებოდათ მათ“.

ამგვარად, ახალი ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიამ აჩვენა სხვადასხვაგვარ ეკონომიკურ კვლევებში ისტორიული მეთოდის გამოყენების ახალი შესაძლებლობები, რომლებიც, ალბათ, კიდევ უფრო გაუმჯობესდება და გაღრმავდება მას. სენია: 1. ისტორიული მეთოდი ის მეთოდია, რომელიც ეყრდნობა სპონტანურად და ქაოსურად განვითარებული რაიმე პროცესების შესწავლას მათი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ისტორიული მეთოდი იკვლევს და სწავლობს ისტორიულ ფაქტებს. ისტორიული ფაქტია ისტორიული რეალობის ნებისმიერი მოვლენა, რომელსაც უშუალოდ ან გაშუალებულად აკვირდება და არეგისტრირებს ისტორიული შემეცნების სუბიექტი.

2. ეკონომიკურ მეცნიერებაში ისტორიულ მეთოდს ორი მიმართულებით იყენებენ - როგორც ეკონომიკური ინსტიტუტების ისტორიის კვლევის მეთოდს და როგორც ეკონომიკური ცოდნის დაგროვების ისტორიის კვლევის მეთოდს. შეგვიძლია ეკონომიკური მეცნიერების მიმართ ისტორიული მეთოდის ხუთ ძირითად ფუნქციაზეც მივუთითოთ: ა) საინფორმაციო (ინფორმაციული); ბ) ინსტრუმენტული; გ) რეფლექსური; დ) კრიტიკული; ე) წინასწარმეტყველური.

3. ეკონომიკური ისტორია ახალი ეკონომიკური ისტორიის სკოლის სახით ეყრდნობა მის მიერვე შემუშავებულ განსაკუთრებულ მეთოდს - კლიომეტრიას. კლიომეტრია არის ეკონომიკურ ისტორიასა და ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორიაში შესრულებული ყველა კვლევის ერთობლიობა, რომელშიც აქტიურად იყენებენ სტატისტიკურ და რაოდენობრივ მეთოდებს.

4. ისტორიული სკოლის მეთოდოლოგია, პრინციპში, უგულვებელყოფს ისტორიულ ცოდნაზე თეორიული ცოდნის პრიორიტეტს და უკუმოდელით ცვლის მას: „თავისი მნიშვნელობით ისტორიული ცოდნა ან აღემატება თეორიულს, ან, უკიდურეს შემთხვევაში, მისი თანაბარია“

5. შეგვიძლია ვისაუბროთ ეკონომიკურ მეცნიერებაში რამდენიმე ისტორიული სკოლის არსებობაზე. მათგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს. პირველი მესამედის გერმანული ისტორიული სკოლა და ახალი ეკონომიკური ისტორიის თანამედროვე ინგლისურ-ამერიკული სკოლა.

თავი 7. ეკონომიკური კვლევების ევოლუციური მეთოდი

1. ევოლუცია ბუნების და საზოგადოების ისტორიული განვითარების წარმოდგენების შესახებ

ეკონომიკურ კვლევებში ისტორიული მეთოდების განხილვამ მიგვიყვანა კვლევის მეორე მნიშვნელოვან-ევოლუციურ მეთოდთან. ევოლუციური მეთოდი, ჩვენი განმარტებით, შეიძლება განვიხილოთ ერთის მხრივ, როგორც წვრილმანი “ზეწოლისა” და “შემთხვევითობებისაგან” გაწმენდილი ისტორიული მეთოდი, ხოლო მეორეს მხრივ, ევოლუციური მეთოდი გვთავაზობს ეკონომიკური ინსტიტუტების შესწავლაში ბიოლოგიური ევოლუციური თეორიის გამოყენებას. ამ თეორიის თანახმად ეკონომიკური განვითარების პროცესში უნდა მოხდეს ამ ინსტიტუტების გადარჩევა და შენარჩუნება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეკონომიკური თეორია (კ. პოპერის მიდგომით) შეიძლება განხილული იქნეს როგორც ეკონომიკური ცოდნის შიდა ევოლუციური პროდუქტი.

ეკონომიკური კვლევების ევოლუციური მეთოდი განხილული უნდა იქნეს როგორც დამატება და ლოგიკური გაგრძელება თავისებური “ხიდის” სახით, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ბუნებრივ-სამეცნიერო და სოციალურ მეთოდოლოგიებს.

ევოლუციის იდეამ ადამიანის აზროვნების ისტორიაში გრძელი გზა განვლო. ძალიან დიდ ხნის განმავლობაში ბუნების და საზოგადოების შესახებ მეტაფიზიკური აზროვნება არსებობდა, ანუ იგულისხმება, რომ ბუნება და საზოგადოება თავისი ხასიათით უცვლელია.1]. ასეთი წარმოდგენა ჩამოყალიბდა რელიგიური მსოფლმხედველობისა და თეოლოგიური დოგმატიკის გავლენით. მას შემდეგ, რაც ღმერთმა შექმნა სამყარო, ის უცვლელი და სტაბილური რჩება. მასში რადიკალური ცვლილებების შეტანა შეუძლებელია - შემოქმედის მიერ შექმნილი სამყაროს შეცვლა საწყისი ფორმიდან არც ადამიანს და არც ბუნებას არ შეუძლია.

მეცნიერებაში ევოლუციური მეთოდის იდეა პირველად ბერძენმა ფილოსოფოსებმა შემოიტანეს, ესინი იყვნენ: ჰერაკლიტე ეფესელი, დემოკრიტე, პლატონი და არისტოტელე. "ბრძოლა არის ყველეფრის მამა და მეფე"- ამტკიცებდა ჰერაკლიტე. ჩარლზ დარვინის მიერ ეს პრინციპი წარმატებით იქნა გამოყენებული ორგანულ ბუნებასთან შესაბამისობაში. ჰერაკლიტეს ეკუთვნის აგრეთვე მნიშვნელოვანი აზრები ევოლუციასთან დაკავშირებით. მისი აზრით ეს სამყარო ერთიანი და მთლიანი არ შეუქმნია არც ღმერთს და არც ადამიანს. ის იყო, არის და მუდამ იქნება მთელი სისრულით გაკაშკაშებული და ასევე ჩაქრობადი. დემოკრიტე მსჯელობდა სამყაროში მოძრაობის და მოსახლეობის შესახებ. მან და ემპედოკლემ პირველებმა დაამუშავეს სიცოცხლის წარმოშობის თეორია; პლატონმა მოგვცა მოძღვრება "იდეალური სახელმწიფოს" მოდელის შესახებ, რომლისკენაც უნდა მიისწრაფოდეს ყველა სახელმწიფო; არისტოტელე იყენებდა ევოლუციურ მეთოდს თავისი ფიზიკური, ბიოლოგიური და სოციალური დოქტრინის აგებისას, თუმცა გარკვეულწილად რჩებოდა მეტაფიზიკურ პოზიციებზე.

საუკუნეების შემდეგ სახელმწიფოს მეტაფიზიკურ აზროვნებაში ევოლუციის პრინციპი აღდგენილი იქნა ახალი დროის ეპოქაში. XVI-XVII საუკუნეებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ისეთმა ფილოსოფოსებმა და მეცნიერებმა, როგორიც: ნ.კოპერნიკი, ჯ. რუნო, ი. ნიუტონი, გ. გალილეი, პ. დეკარტე, ჯ. ლოკი, თ. ჯობსი, ი. კანტი, პ. ლაპლასი, ჟ. კიურე, ჟ. ლემარკი და

სხვებია. მაგალითად, მათ პირველებმა შეიმუშავეს კოსმოგენური ჰიპოტეზა მზის სისტემის წარმოშობის შესახებ. კიურემ და ლამარკმა შექმნეს მნიშვნელოვანი ნაშრომი ორგანული სამყაროს წარმოშობის შესახებ.

XIX საუკუნეში ევოლუციის იდეა გახდა საყოველთაოდ აღიარებული და ეკონომისტები აქტიურად იყენებდნენ თავიანთ ნაშომებში. შემთხვევითი არაა, რომ პირველად ევოლუციური პრინციპი, როგორც ძლიერის გამარჯვება გადარჩენისათვის ბრძოლაში, წარმატებით იქნა გამოყენებული ცნობილი ინგლისელი ეკონომისტის თომას მალთუსის (1766-1834) მიერ. თავის ნაშრომში: "ხალხთმოსახლეობის კანონის" შესახებ (1817) ანვითარებდა შემდეგ დებულებებს: ა). პლანეტაზე ხალხთმოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიით; ბ). საარსებო საშუალებების ზრდა (პირველ რიგში კვების პროდუქტები) არ შეიძლება გაიზარდოს ისე სწრაფად, ვიდრე არითმეტიკული პროგრესია; გ). ხალხთმოსახლეობის განუსაზღვრელი ზრდა წარმოადგენს საფრთხეს პლანეტისათვის და საჭიროა საარსებო საშუალებების ზრდის შეზღუდვა; დ). ხალხთმოსახლეობის ზრდის შეზღუდვისათვის აუცილებელია გადაუდებელი ზომების მიღება (ადრეული ქორწინების გაფრთხილება, ბავშვთა რაოდენობის შეზღუდვა და ა.შ.) დაბალ ფენებში, რამდენადაც სწორედ მათ შეაქვთ გარკვეული წილი ამ ზრდაში, ხოლო თუ ეს საკმარისი არ იქნება, მაშინ საჭიროა წარმოიქმნას სიღარიბე, უმუშევრობა, რაც თავისთავად შეაჩერებს ხალხთმოსახლეობის ზრდას. სე, რომ მალთუსმა de fakto წამოაყენა ღარიბ და მდიდარ ფენებს შორის გადარჩენისათვის ბრძოლის იდეა, რამდენადაც მდიდართა კლასი არეგულირებს თავის წვრთა რაოდენობას და გადარჩება, ხოლო ღარიბთა კლასი კარგავს დიდი რაოდენობით წევრებს, რადგან მათ არ ყოფნით საარსებო საშუალებები და კიდევ უფრო ღარიბდებიან.

გერმანელმა ფილოსოფოსმა ჰეგელმა (1770-1831) დაამუშავა თავისი ცნობილი შრომა დიალექტიკის შესახებ, ბუნების საერთო განვითარების თვალთახედვიდან გამომდინარე. მისი თვალთახედვით არსებული რეალობა შეიცავს ბრძოლის ურთიერთსაწინააღმდეგო დებულებებსა და აზრებს, მაგრამ გადამწყვეტი როლი ამ რეალობაში უნდა შეასრულოს დიალექტიკის სამმა კანონმა: ერთიანობის და

ურთიერთსაწინააღმდეგო მედეგობის კანონმა, რაოდენობრივი ცვლილებების ხარისხობრივ ცვლილებებში გადასვლის კანონმა და უარყოფის უარყოფის კანონმა.

ამ კანონებიდან პირველი კანონის თანახმად ორი დაპირისპირებული ძალიდან ერთი ცდილობს შეინარჩუნოს არსებული მდგომარეობა, ხოლო მეორე – გაანადგუროს ის. ორივე ძალა ან ტენდენცია ერთმანეთის შემავსებლებია. მეორე კანონი ამტკიცებს თავის მოქმედებას თანდათანობით რაოდენობრივი მაჩვენებლების დაგროვების შედეგად და ადრე თუ გვიან გარდაიქმნება ხარისხობრივი მაჩვენებლების მდგომარეობაში. მესამე- უარყოფის უარყოფის კანონი გულისხმობს პროგრესული განვითარების ვარიანტებსსპირალური სახით: ზოგ შემთხვევაში ევოლუცია შეიძლება განვითარების სხვა საფეხურზე შეიძლება "განმეორდეს", მაგრამ ეს სრულიად რადიკალურად განსხვავდება წინა საფეხურისაგან. ამას ჰეგელის განმარტებით ეწოდება უარყოფის უარყოფის კანონი.

ჰეგელის ევოლუციის იდეა, როგორც ბრძოლა არსებობისათვის, გარდაქმნილი იქნა ორი დიდი მოაზროვნის ჩ. დარვინის და კ. მარქსის ფუნდამენტალურ თეორიებში ცოცხალ ბუნებასთან და ადამიანის სოციუმთან მიმართებაში.

დარვინის ევოლუციურმა ნაშრომებმა უდიდესი მნიშვნელობა შეიძინა არა მარტო ბიოლოგიის, არამედ საერთოდ მეცნიერებისათვის. მათზე დაყრდნობით არსებობს ევოლუციის სამი ფაქტორი – მემკვიდრეობითობა, ცვალებადობა და შერჩევა. გადარჩენისათვის ბრძოლის პროცესში, რომელსაც ახორციელებენ ერთმანეთთან სხვადასხვა ცოცხალი არსებები, მათ შორის მემკვიდროებას ტოვებენ მათგან ყველაზე მოხერხებულები.

გარე სამყაროს გავლენით ხდება ბუნებრივი გადარჩევა, რის შედეგადაც ცოცხალი სამყაროს სხვადასხვა სახეობები მუდმივად ინარჩუნებენ თავის აღნაგობას და ფუნქციას. ორგანული ბუნების მიმართაც მოქმედებს იგივე პრინციპი: გადარჩევისას სუსტები იხოცებიან, ძლიერები გადარჩებიან.

დარვინის შრომები შევსებული იქნა მენდელეევის მემკვიდრეობითობის თეორიით, გენური რეკომბინაციით და მუტაციით, გენეტიკური კოდის გაშიფვრით. დარვინის მიერ ჩატარებული კვლევების პერიოდში კარლ მარქსის მიერ შემუშავებულ იქნა ევოლუციური ეკონომიკური მოძღვრებები. .მარქსის თანამედროვემ ფრიდრიხ ენგელსმა ნაშრომში (1848) "კომუნისტური პარტიის მანიფესტი" შეავსო ჰეგელის დიალექტიკური ევოლუციის სქემა:" |აჩრდილი დადის ევროპაში აჩრდილი კომუნიზმისა ... დღემდე არსებული საზოგადოებების ისტორია იყო კლასებს შორის ბრძოლის ისტორია ... ძველი ბურჟუაზიული საზოგადოების დაპირისპირებული კლასების ნაცვლად მოდის გაერთიანება, რომელშიც თითოეული წევრის თავისუფალი განვითარება წარმოადგენს ყველას თავისუფალ განვითარებას"[36].

კ. მარქსის მიერ შემუშავებული და შექმნილი იქნა "კაპიტალის" მრავალტომეული, რომელშიც მოცემულია კლასობრივი ბრძოლის და კომუნიზმის შესახებ. მხოლოდ პარადოქსი იმაშია, რომ ის კაპიტალისტური წყობის აგებულების ფუნდამენტალური ანალიზში შეჩერდა კლასების შესწავლასთან, რომელიც მარტივი სქემით გამოყოფდა კომუნიზმისაკენ მოძრაობას. კ. მარქსი თავის ნაშრომებში მსჯელობდა კაპიტალისტურ დაპირისპირებაზე: კეთილსინდისიერი მითვისების ხასიათსა და წარმოების საზოგადოებრივ ხასიათზე. მაგრამ კ. მარქსის ევოლუციური მეთოდი, რომელიც დასავლურ ინდუსტრიული საზოგადოების ეკონომიკურ ანალიზს ახასიათებდა, აღმოჩნდა არაკონსტრუქციული და სუსტი. ეს მეთოდი არ ითვალისწინებდა კაპიტალიზმის ინოვაციურ, კრეატიულ შესაძლებლობებს და ვერ აფასებდა მის პოტენციალს, შემდგომი განვითარების უნარს. სწორედ ამიტომ კ. მარქსის ევოლუციური მოძღვრება არის ეკონომიკური აზრის ისტორიკოსების მსჯელობის საგანი.

[36] კ.მარქსი, ფ.ენგელსი თხზ. ტ.4. გვ. 423-447

ჰეგელის, დარვინის და მარქსის მოძღვრებების გარდა საინტერესოა ი. შუმპეტერის "ეკონომიკური ანალიზის ისტორია", რომელიც მიუთითებს ორი ტიპის არსებობის შესახებ:

- "ისტორიული", რომელიც დაკავშირებულია გერმანელი XIX-XX საუკუნეების პოლიტეკონომისტების სკოლასთან(ფ. ლისტი, ვ. როშერი, გ. შმოლერი);
- "ინტელექტუალური" (ფრანგი და გერმანელი განმანათლებლები-ე. კანტი, ე.ჰედლერი, ჟ. კონდორსე დასხვ.).

ესე იგი სულ ხუთი ტიპი: ფილოსოფიური ევოლუციონიზმი (ჰეგელი); მარქსიზმი (კ.მარქსი); ისტორიული (ლისტი,როშერი, შმოლერი); ინტელექტუალური (კანტი, გერცენი, კონდორსე); დარვინიზმი (დარვინი).

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბებული ევოლუციური მეთოდი თანამედროვეობაში წარმოადგენს ბუნებათმცოდნეობის და საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერებების სრულყოფილ მეთოდს.

განსკუთრებით ყურადსადღებია ის ფაქტი, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ეკონომიკური კვლევები კიდევ უფრო გაძლიერდა "ევოლუციური ეკონომიკის" მიმართულებით.

2.ევოლუციური მეთოდის სამი განმარტება ეკონომიკურ მეცნიერებაში

ტერმინებს "ევოლუცია" და "ევოლუციური მეთოდი" ჩვენ განვმარტავთ ორი ძირითადი მნიშვნელობით:

1. ევოლუციური მეთოდი არის ნებისმიერი (რომელიმე) სამეურნეო პროცესის ან ისტორიული ობიექტის ("გადახრის", "შემთხვევითობის")საერთო ლოგიკური განვითარების ანალიზი;

2. ევოლუციური მეთოდი არის გადარჩენისათვის ბრძოლის და ძლიერის მიერ სუსტზე გამარჯვების კვლევის მეთოდი.

არსებობს ტერმინი “ ევოლუციის” მესამე განმარტებაც:

ევოლუცია არის როგორც რევოლუციის ურთიერთდაპირისპირებაში თანდათანობით განვითარება-ნახტომისებური ფეთქებადი განვითარებით.

ეკონომიკურ მეცნიერებებში მესამე განმარტება გამოიყენება ძალიან იშვიათად. თუმცა საწინააღმდეგო ტერმინი “რევოლუცია” კარგად დამკვიდრდა, როგორიცაა “მეცნიერული რევოლუცია”და სხვ. ქვემოთ შევეხებით ევოლუციურ მეთოდს, როგორც ეკონომიკური რეალობის განმსაზღვრელს და გადარჩენისათვის ბრძოლის და ძლიერთა არსებობის პრინციპის სახით.

3.ევოლუციური მეთოდი როგორც ლოგიკური მეთოდი ეკონომიკური პროცესების ისტორიულ შემეცნებაში

ეკონომიკურ მეცნიერებებში ისტორიული მეთოდის გამოყენებისას მეცნიერები მივიდნენ იმ აზრამდე, რომ უდაოდ დადებითი მხარეების მიუხედავად, მას გააჩნია რიგი ნაკლოვანებები:

ისტორიული მეთოდი ხშირად ნაკლებ ეფექტიანია, ვიდრე თეორიული მეთოდები, ამიტომ ეკონომიკურ ისტორიაში და ეკონომიკურ მოძღვრებებში ეფექტიანობის ზრდის მიზნით ისტორიული მეთოდის ტრანსფორმაციული სახე-ევოლუციური მეთოდი მეტად მოსახერხებელია, რომლის დროსაც მკვლევარი ცდილობს ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით გამოავლინოს გარკვეული ლოგიკური ბირთვი, რომელშიც მნიშვნელოვანია ისტორიული კანონზომიერებები, ამ თვალსაზრისით ევოლუციური მეთოდი წარმოადგენს კვლევის თეორიული მეთოდებისკენ გარდამავალ საფეხურს:

ისტორიული მეთოდი → ევოლუციური მეთოდი → თეორიული მეთოდი

მთავარი მიზეზი, რის გამოც აუცილებელია კვლევის და ტრანსფორმაციის ერთი მეთოდიდან მეორეში გადასასვლელად შესაფერისი გზის გავლა, საკმაოდ ნათელია: თვით სამეურნეო პროცესი და მისი შედეგი არასოდეს არ ემთხვევა ერთმანეთს. ისტორიული მეთოდი ფრაგმენტებად, ელემენტებად ყოველთვის შეიცავს თეორიულ მეთოდს და პირიქით, თეორიული თავისთავში ინარჩუნებს ყველაზე მნიშვნელოვან და აუცილებელ ისტორიებს. ევოლუციური მეთოდი წარმოადგენს გარდამავალ მეთოდს. ის ეხმარება მკვლევარ-ეკონომისტებს ისტორიული ფაქტებით თეორიული წესრიგის დამყარებაში. ეკონომისტ-ევოლუციონისტი აზროვნებს როგორც ისტორიკოსი, ასევე როგორც თეორეტიკოსი.

იმისათვის, რომ გავერკვეთ ეკონომიკურ კვლევებში როგორც ევოლუციური მეთოდის ისტორიულ მეთოდში ტრანსფორმაციის შესახებ, განვიხილოთ მაგალითები: პირველი, ეკონომიკური ისტორიის მოძღვრებიდან, მეორე ეკონომიკის ისტორიიდან. პირველ შემთხვევაში კ. მარქსის ეკონომიკური კონცეფციის კვლევის შესახებ, მეორეში-სამეურნეო ინსტიტუტების ისტორიის შესწავლა.

ეკონომისტმა, რომელმაც გადაწყვიტა ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში კ. მარქსის კონცეფციის ადგილის შესწავლა, უნდა შეისწავლოს "კაპიტალი" და სხვა შრომები, მათი დაწერის თარიღი, ძირითადი საკვანძო საკითხები და სხვ. ასევე შეიძლება მსჯელობა მისი ადგილის, კრიტიკისა და კავშირების შესახებ სხვა ეკონომისტებს შორის. ამ კუთხით განხორციელებული კვლევა შესაძლებელია იყოს ძალიან საინტერესო და სწრაფი.

ეკონომიკური ისტორიის კვლევა ასევე შესაძლებელია ორი მეთოდით განხორციელდეს: ისტორიული და ევოლუციურით. ეკონომისტ-ისტორიკოსი იქცევა როგორც ისტორიკოსი, ის უბრალოდ აღწერს იმას, რაც რამდენიმე ათასი წლის წინ განახორციელეს ეკონომიკურმა ინსტიტუტებმა (კრედიტის ინსტიტუტი, ბაზრის ინსტიტუტი, პროფკავშირები). ის აგროვებს ამა თუ იმ პერიოდის ეკონომიკურ ფაქტებს, ამუშავებს სტატისტიკურ მონაცემებს,

აანალიზებს და ავრცელებს. მისი შედეგი შეიძლება იყოს საკმაოდ ღრმა და ფუნდამენტალური.

სამეურნეო ინსტიტუტების ისტორია ეკონომისტ-ევოლუციონისტებისათვის შემდგომი თეორიული ანალიზის წინასწარ კვლევას წარმოადგენს. ამის კლასიკური მაგალითი ნობელის პრემიის ლაურიატის ამერიკელი ეკონომისტის დ. ნორტის" ნაშრომია - "ინსტიტუტები, ეკონომიკის ინსტიტუციონალური და ფუნქციონალური ცვლილებები", რომელშიც ნათქვამია, რომ ისტორია არა მარტო იმიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ წარსულს აღწერს, არამედ დაკავშირებულია საზოგადოების დღევანდელობასა და მომავალთან.

ეკონომიკური და ევოლუციური მეთოდების ურთიერთშედარება საკმაოდ მკაცრადაა განსაზღვრული. ეკონომისტ-ისტორიკოსებისათვის ისტორია არაფერს წარმოადგენს, ხოლო ეკონომისტ-ევოლუციონისტისათვის მნიშვნელოვანია როგორც პირველი ნაბიჯი თეორიისაკენ. ისტორიული მეთოდი უმეტესად გამოიყენება მოცემული სისტემის შესაფასებლად, ის მოქცეულია მხოლოდ ეკონომიკური დისციპლინების ჩარჩოებში. ვოლუციური მეთოდი კი აყალიბებს დისციპლინათაშორის კვლევებს. ეკონომიკურ მეცნიერებებს ესჭიროება ორივე მეთოდი - ისტორიული და ევოლუციური. ისტორიული მეთოდის გარეშე სრულყოფილი ვერ იქნება ევოლუციური მეთოდი და პირიქით.

4. ევოლუციური მეთოდი როგორც "ბუნებრივი გადარჩევის" მეთოდი.

ეკონომიკური პერსპექტივა

ევოლუციურ მეთოდს, როგორც ეკონომიკური რეალობის განხილვის მეთოდს-არსებობისათვის ბრძოლის და ძლიერის გადარჩენის პრინციპს, დიდი ხნის ისტორია აქვს. მისი წარმომადგენლებები უპირველის ყოვლისა იყვნენ თომას მალთუსი და კარლ მარქსი, თუმცა XVII-XIX საუკუნეების ეკონომიკური მოძღვრებები კაპიტალიზმს განიხილავდნენ როგორც ეკონომიკური აგენტების ბრძოლას შემოსავლებისა და მოგებისათვის. ასეთი კონკურენციის შედეგად

ბაზარზე გადარჩებოდა ძლიერი აგენტები და ქრებოდა ის საწარმოები, რომლებმაც ვერ შეძლეს ზარალთან შედარებით მოგების უზრუნველყოფა. ბუნებრივია ეს კონკურენცია შეიძლება ყოფილიყო სრულყოფილი ან არასრულყოფილი, მონოპოლიურ ან ოლიგოპოლიურ პირობებში განხორციელებული, მაგრამ შედეგი ყოველთვის ერთი იყო: ვიღაც მოიგებდა და დარჩებოდა ბაზარზე, ხოლო ვიღაც წააგებდა და ტოვებდა ბაზარს. მალთუსი და მარქსი ამ თეორიებს განიხილავდნენ და ეთანხმებოდნენ როგორც კლასობრივ ბრძოლას სოციალურ ფენებს შორის.

XIX საუკუნის ბოლოს მათ და სხვა მოაზროვნეების მიერ მოცემული იქნა ბურჟუაზიული საზოგადოების მეტად მძიმე სურათი და შემდგომი განვითარების პესიმისტური პროგნოზი. ასევე მარქსის მიერ მოცემული იქნა ცნება "სოციალური ორგანიზმი", როგორც სოციალური ინსტიტუტი (საზოგადოება, კლასი, სახელმწიფო და ა.შ.), რომელიც მნიშვნელოვან წილად ექვემდებარებოდა ბიოლოგიურ კანონზომიერებებს.

ევოლუციური მეთოდის კვლევებში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ავსტრიელმა ეკონომისტმა ი.შუმპეტერმა, რომელიც თავის ცნობილ ნაშრომში "ეკონომიკური განვითარების თეორია" (1912წ.) შეეცადა დაემუშავებინა კაპიტალიზმის განვითარების კონცეპცია. ვარაუდობდა რა მეწამეობის და მეწარმის ინოვაციურ ფუნქციას, მივიდა დასკვნამდე, რომ კაპიტალიზმი არის საზოგადოება, რომელიც დაფუძნებულია ეკონომიკურ ციკლებზე სამეურნეო პრაქტიკაში. არსებობისათვის ბრძოლამ და ძლიერთა გადარჩენამ მიიღო შუმპეტერული სპეციფიკური განმარტება, რომ ბრძოლა მიმდინარეობს „რუტინისა"და „ინოვაციების" დანერგვას შორის, რის შედეგადაც ბუნებრივია გადარჩება ის, რომელიც შეძლებს კომბინირებულად ბაზრის რომელიღაც ფრაგმენტის ათვისებას და დარჩება მანამ, სანამ სხვები არ მომწიფდებიან ბაზრისთვის. შემდეგ დაინერგება ახალი ინოვაცია და ნოვატორი დარჩება გარკვეული დროით ბაზარზე და ასე მიმდინარეობს დაუსრულებლად. შუმპეტერის შეხედულებით მეწარმეები გარკვეულწილად ნოვატორები არიან. აქედან გამომდინარე-ინიციატორებიც სამეურნეო სფეროში არსებობისათვის.

შუმპეტერული მეწარმეობა არის არა უბრალოდ ჩვეულებრივი მოგება, არამედ ის, რასაც შეიძლება ეწოდოს „მოგება მოგებაზე” ანუ „ზემოგება”. მეწარმე ნოვატორს იმედი მონოპოლიურ ზემოგებაზე დიდ სტიმულს აძლევს და ავსებს ბიზნეს-ენერგიით. ინოვაციების მიმართ მოთხოვნა ბადებს მოთხოვნას კრედიტზე, ხოლო საპროცენტო განაკვეთებს მივყავართ ან ეკონომიკური ძლიერებისაკენ, ან ეკონომიკური დეპრესიისკენ.

ი. შუმპეტერის აზრით, ეკონომიკური აღმავლობა შეიძლება დასრულდეს, ხოლო დეპრესია დგება უფრო ადრე, ვიდრე ბაზარზე გამოჩნდება ახალი საწარმოო პროდუქცია, ასევე ახალი აღმავლობა მოყვება დეპრესიას, როდესაც დამთავრდება ახალი საქონლის გაქრობა ბაზარზე. ახალი, როგორც წესი, არ წარმოიქმნება ძველისაგან, არამედ გამოჩნდება ძველთან ერთად.

ი.შუმპეტერის ციკლურმა თეორიამ ბაზარზე შეძლო ორი ამოცანის გადაწყვეტა: ეკონომიკური სტატისტიკა და დინამიკა დააყენა ერთმანეთის შესაბამისად; ერთმანეთს შორის გაზომა წონასწორული და გაუწონასწორებელი მიდგომები.

ი. შუმპეტერის აზრით, წონასწორული პრინციპი მანმადე არსებობს, სანამ სისტემაში არ განხორციელდება მნიშვნელოვანი ინოვაციები. წონასწორული მიდგომის თვალსაზრისით, უკანასკნელის არსებობა აღნიშნავს წონასწორობის ახალ დონეზე გადასვლას, რის შედეგად ეკონომიკური განვითარება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც წონასწორული მდგომარეობის შედეგი. სწორედ ამ მიდგომამ ასახვა ჰპოვა შუმპეტერის ციკლების თეორიაში, ე.წ. „ტეხილი ხაზის” წონასწორობის სახით.

XX საუკუნის პირველ ნახევარში ი. შუმპეტერის ეკონომიკური თეორია არ იყო ერთადერთი. ამავე პერიოდში მოღვაწეობდა ცნობილი რუსი ეკონომისტი ნ. კონდრატიევი (1892-1938 წწ). მისი ნაშრომები ეძღვნებოდა სამეურნეო პროგნოზირებას და ეკონომიკური დინამიკის პრობლემებს. მან ყურადღება მიაქცია რიგ საკითხებს ევოლუციური მიმართულებით. ნ. კონდრატიევი ეკონომიკას განიხილავდა სიცოცხლისა და მატერიალური კეთილდღეობისათვის

ბრძოლის პროცესად. ის აღნიშნავდა, რომ სიცოცხლისათვის ბრძოლა არის მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის ბრძოლა. ამ მოთხოვნილებების მოცულობა კი უსაზღვროა და ერთის დაკმაყოფილება წარმოშობს სხვა ახალ მოთხოვნილებებს. სამეურნეო ცხოვრების პროცესში ასეთი ბრძოლა შეიძლება იყოს წონასწორული ან გაუწონასწორებელი. წონასწორობისა და გაუწონასწორების ფაზათა ცვლა ატარებს ეკონომიკის ციკლურ ხასიათს. მისი აზრით, ციკლები შეიძლება იყოს მცირე, საშუალო და დიდი.

ეკონომიკაში დიდი ციკლები შეიძლება გაგრძელდეს 50-60 წელი. ასეთი ციკლების გამომწვევი მიზეზები არის კაპიტალური სიკეთეების მარაგების მუდმივი განახლება და განაწილების წონასწორული მდგომარეობიდან მათი გადახრა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური ევოლუცია შეიძლება დაჩქარდეს ან შენელდეს. თავად დიდ ციკლებში შეიძლება გადარჩეს ის საწარმოები, რომლებსაც შესწევთ უნარი, გარდაქმნან თავიანთი მეურნეობა ციკლის ფაზების შესაბამისად. ნ. კონდრატიევი თავის სტატიებში და მოხსენებებში (1920-30 წწ) მოუწოდებდა ყურადღება გაემახვილებინათ ეკონომიკური განვითარების ევოლუციურ-ციკლურ ხასიათზე.

XX საუკუნის მეორე ნახევარში ევოლუციურმა მეთოდმა ეკონომიკურ მეცნიერებაში მეორე სუნთქვა შეიძინა. ეკონომიკური აზრის ისტორიკოსები ალაპარაკდნენ ახალ ეკონომიკურ სკოლაზე – ევოლუციურ-ეკონომიკურ სკოლაზე. ამ სკოლის დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ეკონომისტებმა: ა. ალჩაინმა, რ. ნელსონმა, ს. უინტერმა. დ. ნორტმა და სხვებმა.

5. ევოლუციური მეთოდი, როგორც ეკონომიკური საწარმოების განვითარების ანალიზისა და ეკონომიკის ისტორიის მეთოდი

ევოლუციური ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური საწარმოების (ფირმის, დარგის, სამინისტროს, წარმომადგენლობის და ა.შ.) განვითარების და გენეზისის მეთოდი შედარებით ახალი მიმართულებაა ეკონომიკურ მეცნიერებაში, მაგრამ ასეთ მიდგომას საფუძველი ჩაუყარა ი. შუმპეტერმა. ის სოციალური

ორგანიზმების სპეციფიკური ტიპის პირველი მკვლევარი იყო. შემდეგი კვლევები ამ მიმართულებით განახორციელეს ამერიკელმა ეკონომისტებმა რ. ნელსონმა და ს. უინტერმა. თავიანთ მონოგრაფიებში „:ევოლუციური თეორია ეკონომიკურ ცვლილებებში ” (1982 წ) აწარმოებდნენ ფუნდამენტურ კვლევებს მოქმედ და ცვალებად ვითარებაში ევოლუციურ გარდაქმნებზე – ბაზრის კონიუნქტურის ცვლილებაზე და ტექნოლოგიურ ძვრებზე.

ამერიკელი მეცნირების კონცეფციების ძირითადი ცნებებია „ინოვაცია”, „რუტინა” და „სელექციური შერჩევა”.

ინოვაცია შუმპატერის მსგავსად მათ მიერ აღიქმება, როგორც ორგანიზაციული ან ტექნოლოგიური სიახლეების მატარებელი, რომელიც ბაზარზე ინარჩუნებს მომგებიან, სტატიკურ მდგომარეობას.

რუტინა არის მეცნიერების და აზროვნების თავისებური სახით დაგროვილი განსაზღვრული ოპერაციების შესრულება;

სელექციური შერჩევა არის ასევე ბიოლოგიური გადარჩევა და პერსპექტიული ინოვაცია და ბაზარზე ფუნქციონირებას აგრძელებს, ხოლო უპერსპექტივო ბაზრიდან ქრება. შედეგად, სელექციური გადარჩევა არის სელექციური წონასწორობა – მდგომარეობა, რომელიც რამდენადმე შეესაბამება ორთოდოქსალურ საბაზრო წონასწორობას. ხოლო de-facto წარმოადგენს ფირმის განსაკუთრებულ ვარიანტს, რომელიც ეყრდნობა ოპტიმალურად შექმნილ რუტინას და ინოვაციას.

ბაზარზე ცალკეული ფირმების ევოლუციური ქცევის ანალიზის შედეგად ნელსონმა და უინტერმა განიხილეს დარგის ევოლუციური ხასიათი, შეეცადნენ წარმოედგინათ დარგის განვითარება როგორც „სამარკო პროცესი”, რომელშიც არსებული ცვლილებები სრულად განსაზღვრავს დარგის ხასიათს მომავალში.

ამერიკელი მკვლევარების მიერ გამოყენებული მეთოდოლოგია არსებითად განსხვავდება ნეოკლასიკური მეთოდოლოგიისაგან, რამდენადაც ანალიზის ცენტრში იმყოფება არა ცალკეული რაციონალური ინდივიდი, არამედ მთლიანად

დარგი. ნელსონის და უინტერის ევოლუციურ ეკონომიკაში რატომდაც საერთოდ „არ არსებობენ", ან თუ არსებობენ და მოქმედებენ ეს ინდივიდები გამონაკლის ფირმებში ან დარგებში. ასეთი სახით ევოლუციური კონცეფციის მეთოდოლოგიური საფუძველი არ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც ნეოკლასიკური მეთოდოლოგიის მიდგომა.

6. ევოლუციური ეკონომიკა, როგორც ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება

ევოლუციური ეკონომიკა არის ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რომელიც სამეურნეო პროცესების და მოვლენების კვლევებში იყენებს ევოლუციურ მეთოდს. ევოლუციური ეკონომიკა ეკონომიკურ პროცესებს სწავლობს ბუნებრივი გადარჩევის დარვინისეული პრინციპებით. რის შედეგად „ძლიერი" გადარჩება და აგრძელებს არსებობას, ხოლო „სუსტები" ქრებიან ეკონომიკური სფეროდან. შეიძლება მოვიტანოთ სხვაგვარი განმარტებაც. ევოლუციური ეკონომიკა ეკონომიკური მეცნიერების ახალი მიმართულებაა, რომელშიც ეკონომიკური პროცესები შეიძლება განვიხილოთ როგორც სპონტანური, გახსნილი და შეუქცევადი. ისინი გამოვლინდებიან გარეგანი და შინაგანი ფაქტორების ზეგავლენით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ინოვაციურ პროცესებს – სიახლის გამოვლენას, კონკურენციას, როგორც გადარჩევის პროცესს, ინფორმაციას დროისა და განუსაზღვრელობითი პრობლემებით.

ევოლუციური მეთოდის შესწავლით შუმპეტერის ეპოქაში დაინტერესდა ამერიკელი მეცნიერი ა. ალჩიანი. თავის ცნობილ სტატიაში „განუსაზღვრელობა, ევოლუცია და ეკონომიკური თეორია". ის ამტკიცებდა, რომ ფირმებისა და სხვა ეკონომიკური საწარმოების ფუნქციონირება ხორციელდება გარე სამყაროს უწყვეტი ცვლილებების ზემოქმედებით, რომელიც თავად გადაარჩენს ძლიერ ფირმებს სუსტებთან შედარებით. ასეთი გადარჩევით შედეგები წინასწარ განსაზღვრული არ არის და მათ შესახებ ინფორმაცია არ არსებობს. ფირმები

ასეთ პირობებში არსებობენ არასტაბილურ და განუსაზღვრელ მდგომარეობაში, თუმცა ეს მდგომარეობა მათ აძლევთ მუდმივი ბრძოლის უნარს არსებობისათვის.

ევოლუციური ეკონომიკის განვითარებაში საინტერესოა ნობელის პრემიის ლაურეატის ამერიკელი ეკონომისტის დუგლას ნორტის მოსაზრებები. მის შრომებში აღსანიშნავია ორი მომენტი: პირველი - დ. ნორტმა ბრწყინვალედ შეძლო თავის კვლევებში გაეერთიანებინა ისტორიული და ევოლუციური მეთოდები; მეორე - მან პირველმა ეკონომიკურ ანალიზში ევოლუციური მეთოდი გამოიყენა არა ცალკეული ფირმებისა და საწარმოებისათვის, არამედ მთლიანი სამეურნეო ინსტიტუტებისათვის. სწორედ „ინსტიტუტების ევოლუციური ეკონომიკა" წარმოადგენს მისი შრომების ცენტრალურ ხაზს და აღნიშნავს, რომ ინსტიტუციონალური ცვლილებები განსაზღვრავენ საზოგადოების განვითარებას დროის მიხედვით, ამიტომ ისინი წარმოადგენენ ისტორიული გარადაქმნების გასაღებს.

დ. ნორტის თანახმად, ბრძოლის ევოლუციური პრინციპები არსებობისა და გადარჩენისათვის წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ეკონომიკური ინსტიტუტებისთვის. ეს ინსტიტუტები შედიან მკაცრ კონკურენციაში, რომელშიც ძლიერს შეუძლია თავის შესაძლებლობები გამოავლინოს საზოგადოების ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

ინსტიტუციონალური ცვლილებები წარსულიდან მომავლისაკენ წარმოქმნიან თავისებურ „ევოლუციურ ჯაჭვს". ეს ჯაჭვი განსაზღვრავს ისტორიულ პროცესებში ეკონომიკური ან სხვა ტრანსფორმაციის მიზეზებს.

დ. ნორტის ევოლუციურმა ინსტიტუციონალიზმმა დიდი როლი ითამაშა ევოლუციურ ეკონომიკაში და როგორც მისმა, ასევე (ი. შუმპეტერი, ნ. კონდრატიევი, ა. ალჩიანი, რ. ნელსონი, ს. უინტერი) სხვა ეკონომისტების ძალისხმევით ევოლუციურმა ეკონომიკამ უდიდესი ნაბიჯი გადადგა და ეკონომიკური აზროვნების ალტერნატიულ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა.

მკვლევართა ნაწილი ვარაუდობს, რომ ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ეკონომიკურ აზროვნებაში ევოლუციური ეკონომიკა. ის შედარებით ახალია და

მოუმწიფებელი, რომელიც თავის თავში მოიცავს სინამდვილის ბუნებრივ, მეცნიერულ და კვლევის ეკონომიკურ მეთოდებს. რუსი ეკონომისტი რ. ნიჟეგოროდცევი თვლის, რომ ევოლუციური ეკონომიკა ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა მარტივი მეთოდების ერთობლიობის საზღვრებიდან, რომელიც სპეციფიკური სახითაა სამეურნეო ობიექტებსა და პროცესებში.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ევოლუციურ ეკონომიკას, რამდენიმე მეთოდოლოგიური სირთულეების მიუხედავად, უკეთესი მომავალი ელის. ბუნებრივია, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთივე პერსპექტივები განხორციელდეს ეკონომიკური კვლევების ევოლუციურ მეთოდებზე.

7. ევოლუციური მეთოდი როგორც ეკონომიკური აზრის ისტორიის კვლევის მეთოდი

ეკონომიკურ მეცნიერებაში "ევოლუციის"ცნება შეიძლება განვიხილოთ არა ორი, არამედ სამი მნიშვნელობით:

1. ევოლუცია როგორც "შესწორება", "შემთხვევითობებისაგან თავის არიდება", "ისტორიულში ლოგიკური" ეკონომიკური იდეების და კონცეფციების განვითარება;

2. ევოლუცია როგორც ამ იდეების და კონცეფციების "ბუნებრივი გადარჩევა", შედეგად "ძლიერი იდეების და კონცეფციების" გადარჩენა და "სუსტების" გაქრობა;

3. ევოლუცია როგორც ეკონომიკური მეცნიერების "მშვიდი", ნორმალური განვითარება სმიტო-რიკარდიანული, მარქსისტულ, მარჟინალისტური "მეცნიერული რევოლუციის" წინააღმდეგობრივ ასპექტში.

განვიხილოთ მათი მნიშვნელობები ცალცალკე:

"ევოლუცია" პირველი განმარტების თანახმად უცილობლად მიგვიყვანს ეკონომიკური აზროვნების ისტორიის კვლევებში ევოლუციური მეთოდების

გამოყენებასთან. ჩვენ ვიწყებთ ეკონომიკური კონცეფციების და სკოლების შესწავლას, როგორც "ტერიტორიულ" ან "ლოგიკურ" მარცვალს და ვცდილობთ უგულვებელვყოთ ყველა შემთხვევითი და ზედმეტი კითხვები ეკონომიკურ აზროვნებაში. მაგალითად, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შესწავლისას პირველ რიგში ა. სმიტი , თ. მალთუსი, დ. რიკარდო და სხვ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება შესწავლილი იქნეს ფრაგმენტულად ან საერთოდ უგულვებელვყოთ. ასე მაგალითად, დ. ბიუკენენი, ჯ. მილი, ნ. სინიორი და სხვ. საერთოდ განხილვის გარეშე დარჩნენ. ევოლუციური მეთოდის გამოყენებას ასევე აქვს მეთოდური და დიდაქტიკური ხასიათი. ის მნიშვნელოვნად აუმჯობესებს სახელმძღვანელოების სტრუქტურას და სტუდენტის ან დოქტორანტის ეკონომიკურ თეორიულ მომზადებას.

XX-XXI საუკუნეების ეკონომიკურ მოძღვრებებში მეტნაკლებად თავს იჩენს შემდეგი პრობლემები:

- ეკონომიკური აზრის ისტორიის რომელი მიმართულებები და მოძღვრებები ითვლება მთავარ და მეორეხარისხოვნად;
- როგორ შეესაბამებიან ერთმანეთს სხვადასხვა მეცნიერებები.

ისტორიის ეს და მრავალი მსგავსი კითხვა მეტად მნიშვნელოვანია და ეკონომიკური აზრის მკვლევარი ვალდებულია თავის პასუხებს მისცეს ადეკვატური მეთოდოლოგიური ახსნა.

ზემოთ მოყვანილ პრობლემებს მივყავართ "ევოლუციის" ცნების მეორე განმარტებასთან. არსებობს თუ არა იდეების და კონცეფციების სფეროში 'ბუნებრივი გადარჩევა" და "ძლერთა გადარჩენა"? შეიძლება კი ეს ჩაითვალოს "გადარჩევად" და "გადარჩენად"? ალბად ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად შეიძლება შევაჯამოთ ევოლუციური მეთოდის მეორე განმარტება. თუკი ევოლუცია არის გადარჩენის ბრძოლა საზოგადოებასა და ბუნებაში, რატომ არ შეიძლება ის არსებობდეს "მესამე სამყაროში"-ცოდნის და იდეის სამყაროში?

ტერმინი "მესამე სამყარო" კ. პოპერის მიერაა მოწოდებული თავის კონცეფციებში. მისი აზრით მესამე სამყაროდ აღიქმება ადამიანური სულიერი სამყარო და ენები, მოთხრობები, მითები, ტექნოლოგიები, ბიოლოგიური და

სამედიცინო თეორიები, ადამიანთა ღვაწლი მხატვრობასა და არქიტექტურაში, მუსიკაში.

რაც შეეხება კ. პოპერის მიერ ევოლუციური მეთოდის გამოყენების შესაძლებლობებს, ის მეტად პოზიტიურია და შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ევოლუცია მეცნიერებაში წარმოადგენს ყველაზე საუკეთესო თეორიას. ეს კი მიღწეულია ბუნებრივი შერჩევის წყალობით და კარგ შესაძლებლობას იძლევა ნამდვილობის წარმოდგენის შესახებ.

კ. პოპერის აზრს თუ დავეთანხმებით, მოცემული მეთოდი კარგად ფუნქციონირებს ეკონომიკურ მეცნიერებაშიც. ბრიტანელი ფილოსოფოსის აზრით ეკონომიკური ცოდნის ევოლუცია წარმოადგენს საუკეთესო თეორიებს შორის საუთეთესო მიმართულებას. ის დარვინისეული პროცესია, სადაც ადგილი აქვს "არსებობისათვის ბრძოლას" და "ძლიერთა გამარჯვებას." ეკონომიკური თეორია საუკეთესოა სხვა თეორიებთან მიმართებაში ბუნებრივი გადარჩევის მეთოდის გამო. ეს თეორიები სულ უფრო საინტერესო ინფორმაციებს იძლევა ნამდვილობის შესახებ.

ბიოლოგიურ და სოციალურ სამყაროს შორის ანალოგიები ერთის მხრივ, ხოლო მეორეს მხრივ, წარმოდგენები ცოდნის და იდეის სამყაროს მიმართ, გამოიყურება მეტად დაძაბულად. ცოდნა და იდეა უაზრობაა მათი მატარებლების-ცოცხალი პიროვნებების, ასევე საზოგადოებრივი ჯგუფების, მოძრაობების და პარტიების გარეშე. არაბუნებრივია დავასკვნათ, რომ ბრძოლას ახორციელებენ იდეები და არა პიროვნებები, ჯგუფები ან პარტიები. უფრო ჭკვიანური იქნება თუ შესწორებას კ. პოპერის გამონათქვამებში შევიტანთ და დავაზუსტებთ, რომ ბუნებრივი შერჩევის და ძლიერთა არსებობის შესახებ კონცეფციები ერთმანეთის ანალოგიურია. "იდეების ბრძოლა" "ძლიერი იდეების არსებობასთან" რეალური და სოციალური ბრძოლის მოქმედი მარტივი მოდელია.

მესამე განმარტებაში "ევოლუცია" "მეცნიერულ რევოლუციასთან" წინააღმდეგობაში გულისხმობს ეკონომიკური მეცნიერების (ტ. კუნუს მიხედვით) განვითარების "მშვიდ" და "ნორმალურ" პერიოდს. ეკონომიკურ მეცნიერებაში ესაა შუალედი ორ მეცნიერულ რევოლუციებს შორის. ანუ ესაა შუალედი

ეკონომიკური ცოდნის პარადიგმალურ განვითარებამდე [37]] და პირველ მეცნიერულ რევოლუციებს შორის. მაგალითად, ჩვენი აზრით, ევოლუციურად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკური მეცნიერების განვითარება პირველ სმიტო-რიკარდულ მეცნიერებამდე წარმოშობილი მეცნიერება (დაახლოებით VI-IV სკ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე XVIII-XIX სკ-მდე) ან სმიტო-რიკარდული სამეცნიერო რევოლუციიდან მარქსისტულ-მარჟინალისტურ რევოლუციამდე (XIX-XX სკ.). აქ საუბარი არაა რომელიმე განსკუთრებულ ევოლუციურ მეთოდზე, საჭიროა შევისწავლოთ სამეცნიერო რევოლუციები და ევოლუციური ეტაპები, რამდენადაც, როგორც წესი, კვლევა გაცილებით საინტერესოა.

8. ევოლუციები და რევოლუციები მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში

მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში ევოლუციური მეთოდის საინტერესო მხარეს წარმოადგენს ტერმინები "ევოლუცია" და "რევოლუცია". ეს ტერმინები არ გამომდინარეობს რომელიმე განსაკუთრებული მეთოდიდან. აქ მხოლოდ შეიძლება ფაქტის კონსტანტაციით შემოვიფარგლოთ, რამდენადაც მსოფლიო ეკონომიკურ ისტორიაში არსებობდა როგორც რევოლუციური, ისე ევოლუციური ეტაპები. პირველ შემთხვევაში ხორციელდებოდა ფეთქებადი, ნახტომისებური გადასვლა ახალ მდგომარეობაში, ხოლო მეორე შემთხვევაში – თანდათანობითი, წონასწორული.

ეკონომისტ – ისტორიკოსები განიხილავენ ორი ტიპის რევოლუციებს: 1. – ტექნოლოგიური; 2. – სოციალურ-ეკონომიური.

---

[37] პარადიგმა არის სამყაროს კანონები მითები ყველაფერი ის რაც შემთხვევის განხორციელების წესს განსაზღვრავს. არადიგმ-პარა-გვერდით, დეიგმა-სანახაობა, ბაზრობა, არის ის, რაც სანახაობის, ხილულის გვერდით დგას და გვიხსნის მას ანუ აპირობებს მის ასეთად და არა სხვაგვარად აღქმას. ამ შემთხვევაში პარადიგმა მსოფლმხედველობრივი ფენომენია ის რაც არის მსოფლმხედველობის ანუ სამყაროში გარკვეული ინტერპრეტაციის საფუძველი.

ტექნოლოგიური რევოლუცია ესაა მეურნეობის გაძღოლის ხერხების და აღჭურვილობის, ხარისხობრივად ახალი ტექნოლოგიების და დანადგარების ერთობლიობის ძირეული ცვლილება. კაცობრიობის ისტორიაში ტრადიციულად საუბრობენ სამ ტექნოლოგიურ რევოლუციაზე: ნეოლითური (აგრარული), სამრეწველო (ინდუსტრიული) და სამეცნიერო – ტექნიკური (ინფორმაციული), პოსტინდუსტრიული რევოლუციები.

ნეოლითურ რევოლუციამდე პერიოდი პირველი ევოლუციური ეტაპია, როდესაც საზოგადოებამ გაიარა სოციოანტროპოგენეზური სტადია; ნეოლითურმა რევოლუციამ მოიტანა მეურნეობის ფორმის ცვლილება (ნადირობა, შემგროვებლობა, თევზჭერა) მწარმოებლურობისაკენ (მიწათმოქმედება, მეცხოველეობა). ეს დაახლოებით 8-10 ათ. წლის წინ მოხდა. შემდეგი ევოლუციური ეტაპია აგრარული ტრადიციული მეურნეობა – XVII-XVIII საუკუნეები. ამ პერიოდში განხორციელდა მეორე ტექნოლოგიური – სამრეწველო რევოლუცია (ინდუსტრიული), რომელიც ითვალისწინებს სამრეწველო, მანქანურ, ინდუსტრიულ წარმოებას. 1950-1980 წწ. გამოცხადდა მეურნეობის განვითარება, ხოლო შემდეგ დაიწყო მესამე ტექნოლოგიური რევოლუცია-სამეცნიერო-ტექნიკური ანუ ინფორმაციული (პოსტინდუსტრიული) რევოლუცია.

სოციალურ-ეკონომიკური რევოლუცია ესაა ეკონომიკური სისტემის სოციალური ურთიერთობების ძირეული გარდაქმნები, რის შედეგად მიიღება კონკრეტული სოციალური ორგანიზმის ან მთლიანად საზოგადოების ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი და სულიერი სტრუქტურის ცვლილებები.

ადამიანთა საზოგადოებრივ ისტორიაში და კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმებში (რეგიონები, ქვეყნები) შეიძლება ვუჩვენოთ, როგორც წესი, რამდენიმე ძირეული გარდაქმნები, რომლებიც ექვემდებარებიან შესაბამის სოციალურ-ეკონომიკურ რევოლუციებს: დასავლეთ ევროპაში (II–Vსკ) ფეოდალური რევოლუცია, ბურჟუაზიული (კაპიტალისტური) რევოლუცია, რის შედეგად დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში დაიწყო კაპიტალისტური ურთიერთობები (რევოლუციები ნიდერლანდებში, ინგლისში, საფრანგეთში, ა.შ.შ-ში XVI-XVIII სკ); ბოლშევიკური (პროლეტარული,

სოციალისტური) რევოლუცია რუსეთში 1917-1922 წწ. იმპერიალისტური და სამოქალაქო ომებით, რომელიც ბოლშევიკური დიქტატურის დამყარებით დამთავრდა. „მშვიდ" და „წყნარ" მსხვილ სოციალურ – ეკონომიკურ გარდაქმნებს შორის პერიოდები შეიძლება დავახასიათოთ როგორც ევოლუციური სტადიები.

მაშასადამე XIX საუკუნეში საბოლოოდ ჩამოყალიბებული ევოლუციური მეთოდი წარმოადგენს დღევანდელ ბუნებათმცოდნეობას და საზოგადოებათმცოდნეობას. XX საუკუნის მეორე ნახევარში ეკონომიკურმა მეცნიერებამ ევოლუციური მეთოდი ასევე აღიარა ეკონომიკურ მიმართულებად და მისაღები გახდა მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა „ევოლუციური ეკონომიკა".

ეკონომიკურ მეცნიერებაში ტერმინი „ევოლუციურს" სამი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: 1. – ევოლუცია შეიძლება გაგებულ იქნეს როგორც შემთხვევითობისაგან დაზღვეული, ეკონომიკური ობიექტების განვითარების ისტორიაში. 2. – ევოლუცია ხშირად ფიგურირებს ამ ობიექტების, პოცესების და იდეების, როგორც „ბუნებრივი გადარჩევა" და როგორც შედეგი ძლიერი სამეურნეო ობიექტების გადარჩენა ხოლო სუსტების გაქრობა. 3. – ეკონომიკური აზრის ისტორიაში ევოლუცია შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ეკონომიკური მეცნიერების განვითარება მეცნიერულ რევოლუციებს შორის.

პირველ შემთხვევაში ევოლუციური მეთოდი არის, როგორც გარკვეული ლოგიკური ბირთვი, სადაც თავმოყრილია მხოლოდ მნიშვნელოვანი ისტორიული კანონზომიერებები, რომლებიც საკვლევი ობიექტის არსებით თეორიულ მნიშვნელოვან სურათებს შეიცავს. ამ გაგებით ევოლუციური მეთოდი არის კვლევის თეორიული მეთოდების გარდამავალი ეტაპი.

მეორე შემთხვევაში ევოლუციური მეთოდი ეკონომიკურ კვლევებში განისაზღვრება როგორც მეთოდი ძლიერის გამარჯვებისა არსებობისათვის ბრძოლაში ეკონომიკური რეალობის პრიზმაში. ეკონომიკური აგენტების ბრძოლა არის შემოსავლებისა და მოგებისათვის ბრძოლა, ხოლო კონკურენციის შედეგად ძლიერები გადარჩებიან ბაზარზე ხოლო სუსტი საწარმოები, რომლებმაც ვერ შეძლეს გადარჩენა ზარალდებიან და ტოვებენ ბაზარს.

ევოლუციური მეთოდი შეიძლება მიღებული იქნეს როგორც მთლიანად ეკონომიური ისტორიისათვის, ასევე ვიწრო გაგებით - ეკონომიკური საწარმოების ისტორიისათვის. ზოგადად ის ტრანსფორმირდება ეკონომიკურ მეცნიერებაში ევოლუციური ეკონომიკის მიმართულების სახით. ევოლუციური ეკონომიკა დარვინის პრინციპებით შეისწავლის ეკონომიკურ ინსტიტუტებს, რომლის თანახმად ძლიერი ინსტიტუტები გადარჩებიან ხოლო სუსტები ქრებიან ეკონომიკურ სფეროდან.

თავი 8 . დაკვირვება და ექსპერიმენტი ეკონომიკურ კვლევებში

1. დაკვირვება, როგორც სოციალური პროცესების კვლევის მეთოდი

განვიხილავთ ეკონომიკური კვლევის ორ ძირითად ემპირიულ მეთოდი: ეკონომიკურ დაკვირვების (დაკვირვება ეკონომიკურ კვლევებში) და ეკონომიკურ ექსპერიმენტის. პირველი მათგანით (ეკონომიკური დაკვირვება) ეკონომიკური მეცნიერება იწყება და მთავრდება კიდევაც, მეორე მეთოდი კი (ეკონომიკური ექსპერიმენტი) ჯერ-ჯერობით ნაკლებად გამოიყენება. თუმცა, მასაც აქვს თავისი ისტორია და ნობელის პრემიის ლაურეატებიც საკმაოდ არიან ამ სფეროში. ეკონომიკური ექსპერიმენტის პრობლემების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ვ. სმითმა, დ. კანემანმა, მ. ალემ, ა. ტვერსკიმ.

ნებისმიერი სამეცნიერო თეორია ან კონცეფცია ადამიანის პრაქტიკულ საქმიანობაზე ზემოქმედებისა და მისი გაუმჯობესების შესაძლებლობისათვის არსებობს. ამაშია თეორიისა და ემპირიის შეხების პირველი საფუძველი. მეორე საფუძველი კი, უფრო მეტად ფუნდამენტალური და არსებითია: ვიდრე კვლევები დაიწყება, მათ შორის მეცნიერული კვლევები, მკვლევარი თავიდანვე „ჩაფლულია“ ემპირიულ რეალობაში, იგი ამ რეალობაში თითქოს სტიქიურად არსებობს, იგი თავად არის ამ რეალობის ნაწილი და მისი პირველი ემპირიული ფაქტორი.

ამგვარად, შემეცნების სუბიექტის პირველი პრობლემაა საკუთარი გონების ემპირიული რეალობიდან გამოყოფა, ასევე საკუთარი თავის საკვლევი ობიექტისადმი დაპირისპირებულ სუბიექტად გადაქცევის პრობლემა. განცალკევდება რა კვლევის ობიექტიდან და მიმართავს რა მასზე საკუთარ შემეცნებით ძალისხმევას, ადამიანი იძენს პირველ ემპირიულ გამოცდილებას, ანუ ისეთი მონაცემებისა და ფაქტების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლოა გახდეს ათვლის წერტილი ემპიურიული შემეცნებისათვის.

ემპირიული გამოცდილება (შემდეგ უბრალოდ გამოცდილება) არის სამყაროს მგრძნობელობითი აღქმა, რაც ემპირიული შემეცნების საფუძველს შეადგენს. ასევე, ემპირიული გამოცდილება შესაძლოა განვმარტოთ, როგორც ემპირიული ფაქტების ერთობლიობა.

ემპირიული ფაქტია ისეთი მოვლენა და ქმედება, რომელიც სუბიექტის მიერ უშუალოდ ფიქსირდება. ემპირიული ფაქტების დამუშავებისას ეს უკანასკნელნი მეცნიერულ ფაქტებად გადაიქცევა, რომელთა ერთობლიობა არის რომელიმე მოვლენის მეცნიერული აღწერა.

არსებობს ორი ძირითადი ემპირიული მეთოდი - დაკვირვება და ექსპერიმენტი.

დაკვირვება ჩვენ უკვე განვმარტეთ მე-3 და მე-5 თავებში, როდესაც ვსაუბრობდით სოციალურ დაკვირვებაზე და ახლა შევეცადოთ განვმარტოთ, თუ რა არის დაკვირვება.

დაკვირვება არის მიზანმიმართული, არსებობის ბუნებრივ პირობებში გარე სამყაროს ორგანიზებული და გაცნობიერებული აღქმა ემპირიული ფაქტების ფორმით პირველადი ემპირიული ინფორაციის მიღების მიზნით.

აქ მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება მიექცეს სამ მომენტს: პირველი, დაკვირვება ექსპერიმენტისაგან განსხვავებით, მიმდინარეობს მხოლოდ ბუნებრივ პირობებში ანუ სუბიექტი არ ცვლის ობიექტის იმ თავდაპირველ პირობებს, რომელთანაც მას ჰქონდა შეხება თავისი კვლევის თავდაპირველ ეტაპებზე;

მეორე - კვლევის სუბიექტი უბრალოდ კი არ აკვირდება, არამედ, იმავდროულად, აზროვნებს და განსჯის (ნებისმიერი ემპირიული ფაქტი, როგორც წესი, თავიდანვე მოიცავს გარკვეულ თეორიულ ინტერპრეტაციას), და მესამე, მეცნიერული დაკვირვების სუბიექტი გამოდის არა როგორც იზოლირებული და განცალკევებული ინდივიდი, არამედ როგორც ადამიანი, როგორც კაცობრიობის წარმომადგენელი, რომელიც დაკვირვებისას იყენებს მანამდე უკვე დაგროვილ ემპირიულ მასალებს და ამ მასალების თეორიულ ინტერპრეტაციებს.

არსებობს დაკვირვების სხვადასხვა სახე და იგივე ტიპოლოგია შესაძლოა გავრცელდეს სოციალურ დაკვირვებასა და ეკონომიკურ დაკვირვებაზეც.

როგორც მესამე თავში აღვნიშნეთ, დაკვირვება შესაძლოა იყოს ჩართულობითი (თანამონაწილეობითი) და არაჩართულობითი (მარტივი). არაჩართულობითი დაკვირვება არის გარე, პასიური დაკვირვება, როდესაც დამკვირვებელი უბრალოდ აკვირდება (თან მისდევს) რაიმე სოციალურ პროცესს მანამდე, სანამ მას ამის საშუალება ეძლევა ან სანამ მას აძლევენ საშუალებას. ჩართულობითი დაკვირვება გულისხმობს დამკვირვებლის უშუალო მონაწილეობას დასაკვირვებელ სოციალურ პროცესში ან მოვლენაში; ამასთან დამკვირვებელი თავად ერთვება დასაკვირვებელ სოციალურ გარემოში (სოციალურ ჯგუფში, კოლექტივში და სხვ) და ან ღია ან ფარული წესით აგროვებს საკუთარი კვლევისთვის საჭირო ემპირიულ ფაქტებს. ამასთან, დამკვირვებელს შეუძლია სხვადასხვა სახით შეუწყოს ხელი მისი კვლევისთვის საჭირო ემპირიული ფაქტების წარმოქმნა.

მეორე, დაკვირვება არის საველე და ლაბორატორიული. საველე დაკვირვებას აწარმოებენ ბუნებრივ გარემოში და ბუნებრივ პირობებში. ლაბორატორიული დაკვირვებისათვის კი, პირიქით, საჭიროა განსაზღვრული ხელოვნური პირობები (მაგალითად, შენობა, ხელსაწყოები და სხვ.). თუმცა, არ უნდა გავაიგივოთ ლაბორატორიული კვლევა და ლაბორატორიის პირობებში ჩატარებული ექსპერიმენტი: დაკვირვების დროს დამკვირვებელი არ ახორციელებს ხელოვნურ ჩარევას საკვლევ პროცესში და არ წარმართავს მას: დამკვირვებელს

თითქოსდა „გადააქვს“ თვით პროცესი მისთვის უფრო მეტად „კომფორტულ“ გარემოში, იმისათვის, რომ განახორციელოს მაქსიმალურად სრულფასოვანი დაკვირვება.

მესამე, დაკვირვებას ყოფენ სტანდარტიზებულ და არასტანდარტიზებულ დაკვირვებებად.

არასტანდარტიზებული დაკვირვებისას მკვლევარი მხოლოდ საერთო გეგმით ხელმძღვანელობს, სტანდარტიზებულის დროს კი - მოვლენებს არეგისტრირებს დეტალურად შემუშავებული პროცედურის მიხედვით.

სხვა სიტყვებით, სტანდარტიზებული დაკვირვება მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი პირობების მკაცრი დაცვის პირობებში, არასტანდარტიზებული დაკვირვება კი არის თავისებური „ექსპერიმენტი“, რომელიც გარკვეული საერთო გეგმის მიხედვით ტარდება.

მეოთხე, დაკვირვება შეიძლება დაიყოს აქტორულ და ვერბალურ დაკვირვებად. პირველ შემთხვევაში დამკვირვებელი არეგისტრირებს ადამიანის საქმიანობას და ქმედებებს, მეორე შეთხვევაში კი - დაკვირვებას ახორციელებს ვერბალური, სიტყვიერი ინფორმაციის რეგისტრაციის საშუალებით.

დაკვირვების აქტორულ სახეს მიეკუთვნება მონიტორინგი, ტესტირება, ექსპერტული შეფასებების მეთოდი და სხვ. დაკვირვების მთავარი ობიექტი აქ არის ადამიანის უშუალო ქმედება და მისი სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური რეაქციები და რეფლექსები.

ვერბალური დაკვირვება მოიცავს სხვადასხვა სახის გამოკითხვებს, ანკეტირებას, დოკუმენტების ანალიზს, კონტენტ-ანალიზს და სხვ. აქ დაკვირვების ობიექტებია ტექსტები და ადამიანების მიერ გამოთქმული მოსაზრებები.

ვერბალური დაკვირვების მთავარი პრობლემაა თუ როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან, ერთი მხრივ, ადამიანების რეალური ქცევა, მეორე მხრივ კი - მათ

მიერ დაწერილი ტექსტები და გამოთქმული აზრები. სამწუხაროდ, ხშირად ისინი ერთმანეთს არ შეესაბამებიან. ადამიანები ერთს ლაპარაკობენ და მეორეს აკეთებენ. სოციოლოგები, აგებენ რა ვერბალური დაკვირვების სხვადასხვა სისტემებს, კარგად აცნობიერებენ ამ პრობლემას და ცდილობენ მის გადაჭრას, რამეთუ ადამიანების სუბიექტური განზრახულობა ასევე ექვემდებარება დაკვირვებას და მოდელირებას და ქცევების საერთო შედეგების წინასწარმეტყველებაც სავსებით შესაძლებელია.

„ამბობენ, რომ განზრახულობების თაობაზე უმჯობესია ქცევებით ვიმსჯელოთ, და არა სიტყვებით. თუმცა, ეს მხოლოდ სიმართლის ნაწილია. მისი სხვა ნაწილი დაფარულია ადამიანის სუბიექტურ მდგომარეობაში, რომელმაც, შესაძლოა, ვერ ჰპოვოს გამოხატულება მოცემულ სიტუაციაში მის ქცევაში, მაგრამ ვლინდება სხვა პირობებსა და სხვა სიტუაციებში. ადამიანის მხოლოდ საერთო ქცევით შეიძლება მისი მამოძრავებელი მოტივებისა და გამაღიზიანებლების შესახებ მსჯელობა. გამოკითხვა ექსპერიმენტატორისათვის საჭირო სიტუაციის აზრობრივი მოდელირების საშუალებას იძლევა, ასევე გამოკითხვა მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ გამოვლინდეს ადამიანის სუბიექტური მდგომარეობის, მიდრეკილებების, მოტივების მდგრადობა“.

სოციოლოგიაში ვერბალურმა დაკვირვებამ მიიღო ისეთი ფართო გავრცელება, რომ ზოგიერთ სახელმძღვანელოში, სტატიასა და მონოგრაფიაში მთელი ემპირიული სოციოლოგია გამოდის როგორც მხოლოდ ვერბალური და ის სრულად ეფუძნება ადამიანების გამოთქმებსა და მოსაზრებებს და არა მათ ქმედებებს. ეს, გარკვეულწილად არის უკიდურესობაში გადავარდნა, მაგალითად, ეკონომიკური მეცნიერებისათვის ასეთი პრობლემა საერთოდ არ არსებობს. ეკონომისტები უპირატესობას ანიჭებენ დაკვირვების აქტორულ ფორმებს, რომლებიც იძლევიან უფრო ობიექტურ, შემოწმებულ და საიმედო ინფორმაციას.

პრობლემის არსში ასეთი საერთო შესავლის შემდეგ შესაძლოა უკვე ეკონომიკურ დაკვირვებაზე გადასვლა.

2. ეკონომიკური დაკვირვება, მისი მიზნები და ამოცანები, მონაცემების ინტერპრეტაციის პრობლემა

ეკონომიკური დაკვირვება სოციალური დაკვირვების სახეა, რომლის დროსაც დამკვირვებელი (მეცნიერ-მკვლევარი ან პრაქტიკოსი ეკონომისტი) მიზანმიმართულად, ორგანიზებულად და გაცნობიერებულად (შეგნებულად) იღებს პირველად ეკონომიკურ ინფორმაციას ეკონომიკური ფაქტების სახით.

ეკონომიკური ფაქტი არის სამეურნეო ცხოვრების მოვლენა, რომელიც დამკვირვებლის მიერ უშუალოდ დაკვირვებადია და ფიქსირდება მის მიერ. ეკონომიკური ფაქტი შესაძლოა იყოს ნებისმიერი სოციალური ფაქტი, რომელშიც აისახება, ფიქსირდება ესა თუ ის სამეურნეო პროცესი ან მოვლენა.

ეკონომიკური ფაქტების, ცნობების ერთობლიობა, თავმოყრილი განსაზღვრული დასრულებლი ინფორმაციის მასივების სახით, არის ეკონომიკური აღწერა.

ეკონომიკური ინფორმაციის ცნებაში მოიაზრება ნებისმიერი ეკონომიკური ცნობა ან ცოდნა, რომელიც გადამუშავებულია პირველად ემპირიულ დონეზე. მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სტატისტიკური მონაცემები, მარკეტინგული გამოკვლევების შედეგები, ეკონომიკური ექსპერიმენტის შედეგები და სხვ.

ეკონომიკური აღწერა არის სამეურნეო მოვლენების ან პროცესების მეცნიერული აღწერის ტიპი, რომლის მიზანია მიღებული ცნობების გადმოცემა ეკონომიკური მეცნიერების ენაზე როგორც ბუნებრივი (ვერბალური), ასევე ხელოვნური (სიმბოლური) სახით.

მეცნიერული აღწერა კი, შესაძლოა განვმარტოთ, როგორც პირველადი კვლევითი ინფორმაციის გადატანა მოცემული მეცნიერების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია) ენაზე. ის ამზადებს მოცემული პროცესის ან მოვლენის კვლევის შემდგომ - თეორიულ ეტაპზე გადასვლას. რა თქმა უნდა, ეკონომიკური აღწერა არის ამა თუ იმ სამეურნეო ფენომენის მეცნიერული ახსნა. ეკონომიკური ახსნა

არის მეცნიერული ახსნის ერთ-ერთი ვარიანტი, მაგრამ მისი ანალიზი მოითხოვს კვლევის თეორიული მეთოდების გამოყენებას, კერძოდ, სამეცნიერო დასკვნის ჰიპოთეზურ-დიდაქტიკურ და ინდუქციურ-ალბათობით წესებს. მათ შესახებ წიგნის ბოლო თავებში იქნება საუბარი.

თვისებრივი აღწერა იყენებს ბუნებრივ (ვერბალურ) ენას, რაოდენობრივი აღწერა კი -ხელოვნურს (სიმბოლურს, უპირველეს ყოვლისა, მათემატიკურს).

რაოდენობრივი აღწერა ხორციელდება მათემატიკის ენის გამოყენებით და გულისხმობს სხვადასხვა საზომი პროცედურების ჩატარებას. ის, ვიწრო გაგებით, შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მონაცემების გაზომვის დაფიქსირება. ფართო გაგებით კი, ის მოიცავს გაზომვის შედეგებს შორის ემპირიული დამოკიდებულებების პოვნასაც. მხოლოდ გაზომვის მეთოდების შემოღებით ჩნდება ბუნებისმეტყველების ზუსტ მეცნიერებად გადაქცევის შესაძლებლობა.

მეცნიერული აღწერა მოიცავს არა მარტო ამა თუ იმ ფაქტის დადგენას, არამედ, ასევე, მათ სწორ ინტერპრეტაციასაც.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა განიმარტოს, თუ რა არის ლოგიკური ინტერპრეტაცია (ან უბრალოდ ინტერპრეტაცია), რამდენადაც ის მეცნიერული კვლევების განსაკუთრებული მეთოდია და ამასთან, უნდა გავიგოთ, ისიც, თუ რას გულისხმობს ეკონომიკური ინტერპრეტაციის ცნება.

ინტერპრეტაცია არის რომელიმე ცნების ან მტკიცებულობის სხვადასხვა სემანტიკური აზრის და მნიშვნელობის გამოვლენა. ინტერპრეტაციის აუცილებლობა განპირობებულია ბევრი ცნებისა და მტკიცებულების ორაზროვნებით, რის გამოც მათი გაგება, ან გააზრება, შესაძლოა, სრულიად სხვადასხვაგვარი იყოს.

ეკონომიკური ინტერპრეტაცია არის ამა თუ იმ ეკონომიკური ცნების ან მტკიცებულების ძირითადი მნიშვნელობების (სემანტიკური მნიშვნელობა)

გამოკვლევა. იმაზე, თუ როგორი ეკონომიკური მნიშვნელობა მიეწერება ამა თუ იმ ცნებას, ან მტკიცებულებას, არის დამოკიდებული ყველა შემდგომი ეკონომიკური დასკვნის გაგება ჩვენი ოპონენტების, თანამოსაუბრეების ან მკითხველების მიერ.

ეკონომიკური მეცნიერების პრაქტიკულად ყველა (თუ ყველა არა, უმეტესობა მაინც) ცნება ამა თუ იმ ზომით მოითხოვს ავტორისეულ ინტერპრეტაციას. ეს კი, ტრადიციულად, მიიღწევა ცნების განმარტებით.

განმარტება არის ახლად შემოღებული ან უკვე არსებული ტერმინის მნიშვნელობის (აზრის) დაზუსტების ლოგიკური ხერხი. განმარტების ყველაზე უფრო გავრცელებული წესია სახეობრივი ან წარმოშობის მიხედვით განსხვავება (მაგალითად, ფული არის განსაკუთრებული საქონელი, რომელიც ღირებულების საზომის, მიმოქცევის საშუალების და დაგროვების საშუალების ფუნქციებს ასრულებს).

თუმცა, განმარტების შემოღება ინტერპრეტაციის მხოლოდ ერთ-ერთი წესია როგორც ეკონომიკაში, ისე სხვა დისციპლინებშიც. ინტერპრეტაციის კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი წესი ფორმალიზაციაა (ასევე, მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სიმბოლიზაცია, აქსიომატიზაცია, მათემატიზაცია და სხვ), ანუ ყველაფერი ის, რაზედაც უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი შემდეგ თავში.

ეკონომიკური დაკვირვების საბოლოო მიზანია სამეურნეო ფაქტების რაც შეძლება სრული და ყოვლისმომცველი აღწერა. განსაზღვრული თანამიმდევრობით გადმოცემული ეს ფაქტები შემდგომში ქმნიან დასრულებულ ერთიან სისტემას, რომელშიც სამომავლოდ შესაძლოა გამოყენებულ იქნას თეორიული ანალიზი. ამ ეტაპზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს კლასიფიკაცია (ან, სხვაგვარად, ტიპოლოგიზაცია) ცნებების დაყოფა კლასებად, ტიპებად, სახეებად და სხვ. ან სხვადასხვა ცნებების თავმოყრა კლასების, ტიპების ან სხვ. მიხედვით.

სხვა მეცნიერებებისაგან განსხვავებით, ეკონომიკურ მეცნიერებას დიდი პრობლემები აქვს აღწერიდან ახსნაზე გადასვლისას. საქმე იმაშია, რომ სამეურნეო მეცნიერებას თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, არ შეუძლია სრულად გამოიყენოს ემპირიული კლსიფიკაციური მეთოდები, რომლებიც მეტად ფართოდაა გავრცელებული, მაგალითად, ბუნებისმეტყველებაში.

„მხოლოდ აღწერა არა არის მეცნიერება, პოლიტიკურ ეკონომიაში არ არის სუფთა კლასიფიკაციური სტადია. ეკონომისტს არ შეუძლია არ დაუკავშიროს შედეგი მიზეზს“.[38] გვ. 210.

ეკონომიკური კვლევებისათვის დამახასიათებელი მეტად მჭიდრო კავშირი ემპირიულსა და თეორიულს შორის აქცევს ეკონომიკურ მეცნიერებას ერთ-ერთ ყველაზე რთულ სოციალურ მეცნიერებად. ეკონომიკურმა მეცნიერებამ უნდა დაკვირვებისას მოახდინოს თეორეტიზება, და თეორეტიზებისას აწარმოოს დაკვირვება. მხოლოდ ასეთი გზით შეძლებს იგი მიუახლოვდეს იმ კანონების ცოდნას, რომლებიც სამეურნეო პროცესებს მართავენ.

ჯ.ნ. კეინსი წერდა, რომ „რაც უფრო სრულია სამეურნეო მოვლენების მმართველი კანონების ცოდნა, უფრო ზუსტია ამ უკანასკნელთა აღწერა და კლასიფიკაცია“.

ეკონომიკური კვლევის უმნიშვნელოვანესი მიზანია სამეურნეო მოვლენების რაც შეიძლება სრული, ზუსტი და ღრმა აღწერა. ეკონომისტი-დამკვირვებელი, ეკონომისტი-ექსპერიმენტატორი, ეკონომისტი-ემპირიკოსი, რომელსაც შეუძლია მაღალ დონეზე ჩაატაროს აღწერა და შემდგომი კონცეპტუალური ანალიზისათვის საფუძვლების ჩაყრა, უნდა ფასდებოდეს ეკონომიკურ მეცნიერებაში არანაკლებ, ვიდრე მაღალკვალიფიციური ეკონომისტ-თეორეტიკოსი.

[38] Кейнс ДЖ. Н. Предмет и метод политической экономии. М., 1898. С. 134-135.

3. ეკონომიკური გაზომვა (შეფასება)

კვლევის ემპირიული დონე მოიცავს არა მარტო ზემოაღნიშნულ ორ მეთოდს, არამედ უმნიშვნელოვანეს ემპირიულ პროცედურას (ზოგიერთი ოპერაციის ემპირიულ თანამიმდევრობას ანუ, მოქმედებათა და კვლევის ორგანიზაციის წესების სისტემას) - გაზომვას. ის არის ფაქტებისა და მოვლენების რაოდენობრივი გაზომვის საფუძველი.

გაზომვა ემპირიული პროცედურაა, რომლის დახმარებით გასაზომი ობიექტი შეუდარდება რაიმე ეტალონს და იღებს ციფრულ გამოსახულებას განსაზღვრული მასშტაბით ან განსაზღვრული შკალით.

სხვადასხვა ობიექტების რაოდენობრივი გაზომვის მეთოდოლოგიასა და პრობლემატიკას სწავლობს მეცნიერების სპეციალური სფერო, რომელსაც კვალიმეტრია ეწოდება (ლათ. „კვალის“ - როგორი, როგორი ხარისხის + ძვ. ბერძნ. „მეტრეა“ - გაზომვა). კვალიმეტრია იყოფა თეორიულ და გამოყენებით ნაწილებად. თეორიული კვალიმეტრია იკვლევს ობიექტების რაოდენობრივი შეფასების საერთო მეთოდებს თვისებრივი ბუნების უგულებელყოფის გზით. გამოყენებითი კვალიმეტრია ობიექტების რაოდენობრივი შეფასების მეთოდოლოგიას სწავლობს მათი თვისებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით (მაგ., პროდუქციის ან საქმიანობის სახე, სპეციალისტების კატეგორია და სხვ.).

გაზომვა, როგორც გნოსეოლოგიური და მეთოდოლოგიური პროცედურა, მეტად სუსტადაა შესწავლილი; უფრო სერიოზული შედეგებია მიღებული გაზომვის მათემატიკურ და სტატისტიკურ დანართებში, თუმცა, მათ არ შეუძლიათ ზემოაღნიშნული წარუმატებლობის კომპენსირება.

გაზომვის პროცედურა აუცილებლად უნდა იქნას განხილული, როგორც დაკვირვების პროცედურის რაოდენობრივი დამატება. გაზომვა საშუალებას იძლევა, რომ დაკვირვება უფრო ზუსტი და სანდო და შესაბამისად, უფრო საიმედო იყოს სხვა მკვლევარებისათვის. ამ უკანასკნელთ, გამოიყენეს რა საკუთარი კოლეგებიდან მონაცემები, უფრო მარტივად შეუძლიათ შეამოწმონ ეს

მონაცემები და შეაფასონ მათი ადეკვატურობა. ამგვარად, გაზომვა ხელს უწყობს სხვადასხვა დამკვირვებლის კომუნიკაციას და მათ შორის ნდობით ურთიერთობებს აყალიბებს.

გაზომვა, როგორც ოპერაცია და პროცედურა, რამდენიმე ეტაპად იყოფა:

1. იმ თვისების (პარამეტრის) არჩევა, რომლის ინტენსივობაც უნდა გაიზომოს;
2. მოცემული თვისების შესაბამისი ეტალონის ტიპის შერჩევის პროცედურის განხორციელება;
3. გაზომვის აქტის განხორციელება, რაც ხორციელდება საკვლევი სისტემიდან არჩეული თვისების აბსტრაგირების გზით და მისი შედარებით სისტემის ეტალონთან;
4. მიღებული რიცხვის (ანუ მნიშვნელობის) ინტერპრეტაცია;
5. ასეთი ინტერპრეტაციის პრაქტიკული შესაძლებლობის შემოწმება.

ასეთი მრავალეტაპურობა განაპირობებს ამ პროცედურის ეკონომიკურ კვლევებში გამოყენების შესაძლებლობას.

ეკონომიკური კვლევებისას განხორციელებულ გაზომვებს, ეკონომიკურ გაზომვებს უწოდებენ.

როგორც მე-5 თავში აღვნიშნეთ, ეკონომიკური გაზომვა, როგორც პროცედურა ან ოპერაცია, ამდიდრებს და აღრმავებს ეკონომიკურ ანალიზს, ამაღლებს ეკონომიკური ცოდნის სიზუსტეს და საიმედოობას. ეკონომიკური მეცნიერების განვითარების კვალობაზე იზრდება გასაზომი ეკონომიკური ფაქტების რიცხვიც, სრულყოფილი ხდება მათი დამუშავების სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდები, რაც, თავის მხრივ, ამაღლებს ეკონომიკური კვლევის ხარისხს.

ეკონომიკური გაზომვა ემპირიული პროცედურაა (ოპერაცია), რომლის დროსაც რაიმე სამეურნეო ობიექტი ან მისი პარამეტრები შეუდარდება

განსაზღვრულ ეტალონს, ხოლო საბოლოო შედეგი კი განსაზღვრულ შკალაში გამოიხატება.

ეკონომიკური გაზომვა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაუთანაბრდეს ფიზიკურ ან ქიმიურ გაზომვას; გაზომვისთვის ეკონომისტებს არა აქვთ არანაირი ინსტრუმენტი ან რეაქტივი. ეკონომიკური გაზომვის სპეციფიკა სწორედ იმაშია, რომ არის რა ემპირიული პროცედურა, როგორც წესი, მასში შერწყმულია ანალიზის ორივე დონე - ემპირიული და თეორიული. თვით ემპირიული პრობლემები აქ ხანდახან ისეთი რთული და ჩახლართულია, რომ მათი მხოლოდ ემპირიული საშუალებებით გადაჭრა სრულიად შეუძლებელია. ეს პრობლემები გარდაუვლად „ითრევენ“ თეორიას და ამით დე - ფაქტო გადაიქცევიან თეორიულ პრობლემად.

მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ცნობილი დავა კარდინალიზმსა და ორდინალიზმს შორის ღირებულების (ანუ ფასეულობის) გაზომვის შესახებ.

კარდინალისტები თვლიდნენ, რომ ღირებულების (ფასეულობის)ზღვრული სარგებლიანობის ფორმაში გაზომვა არის სავსებით განხორციელებადი და რეალიზებადი პროცესი. რაიმე სიკეთის ფაეულობა რომ გაიზომოს, საკმარია აიგოს ამ ფასეულობის ღირებულებების თანამიმდევრული სკალა და ის ფულში გამოისახოს. თუნდაც, მიღებულ შედეგს გარკვეული პირობითი სახე ჰქონდეს, ის მაინც იმსახურებს ნდობას და შესაძლოა მიღებულ იქნას სიმართლედ.

კარდინალიზმის საწინააღმდეგო პოზიცია დაიკავეს ორდინალისტებმა. ისინი უარყოფდნენ სარგებლიანობის გაზომვის შესაძლებლობას, უარყოფითად იყვნენ განწყობილნი სარგებლიანობის საზომი ერთეულის შემოღებისადმი, ასევე უარყოფდნენ სარგებლიანობის შეკრებადობის მეთოდის შედეგიანობას. სარგებლიანობის გაზომვისა და სარგებლიანობის საზომი ერთეულის განსაზღვრა ვერცერთმა მიმდინარეობამ ვერ შეძლო.

ერთი შეხედვით, ჩვენს წინაშე იდგა სუფთა ემპირიული პრობლემა: ამა თუ იმ სიკეთის სარგებლიანობის გაზომვა ხომ დაწყებითი ემპირიული პროცედურაა. მაგრამ რამდენადაც ყველა „ხელსაწყო“ და „მოწყობილობა“ ეკონომიკურ მეცნიერებაში შეიძლება არსებობდეს მხოლოდ თეორიული კონცეპტუალური სქემების სახით, თავად ღირებულების გაზომვის ემპირიული პროცედურა თეორიულ პროცედურად ტრანსფორმირდება და სანამ არ იქნება ნაპოვნი ურთიერთმისაღები თეორიული მეთოდი, გაზომვის სკალის შემოღება შეუძლებელი იქნება. თეორიული დავის გადაწყვეტამდე ურთიერთმისაღები ემპირიული მეთოდის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება. ერთადერთი, რაც აქ შეიძლება გაკეთდეს, არის ის, რომ შეეცადონ ეკონომიკური მეცნიერების მეთოდოლოგია სოციოლოგიზაციის, ფსიქოლოგიზაციის ან, თუნდაც, ფიზიკალიზაციის მიმართულებით წასწიონ. ბოლო დრომდე ყველაზე უკეთესად სოციოლოგიზაცია ხორციელდებოდა. ვინაიდან სოციოლოგია, უპირატესად, ვერბალურ დაკვირვებებზე აგებული მეცნიერებაა (ადამიანთა მოსაზრებებზე დაკვირვება და არა მათ ქცევებზე), ეკონომიკური ცოდნის შემდგომი სოციოლოგიზაცია შევიდა ფუნდამენტურ წინააღმდეგობაში ეკონომიკური მეცნიერების პოზიტიურ და ბუნებრივ-სამეცნიერო ორიენტაციასთან. ამის გამო, ეკონომიკური მეცნიერება უფრო მეტად ფსიქოლოგიასა და მათემატიკასთან დაახლოებისკენ იყო ორიენტირებული, ვიდრე სოციოლოგიასთან.

4. ეკონომიკური დაკვირვების სახეები

შევეცადოთ, მოვახდინოთ ეკონომიკური დაკვირვების ძირითადი სახეების კლასიფიკაცია და მივუთითოთ მათი ადგილი და როლი ეკონომიკურ კვლევებში.

დავიწყოთ ჩვენი პირველი ტიპოლოგიიდან - დაკვირვების დაყოფა ჩართულობითი (თანამონაწილეობითი) და არაჩართულობითი (მარტივი). უმეტეს

შემთხვევებში ეკონომისტები, როგორც წესი, არაჩართულობით (მარტივ) დაკვირვებას იყენებენ. ეკონომისტების უშუალო მონაწილეობა ამა თუ იმ დასაკვირვებელ სამეურნეო პროცესებში უაღრესად იშვიათი მოვლენაა. თუმცა, ჩართულობით დაკვირვებას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ჩართულობითი დამკვირვებლისათვის არის იმის საშიშროება, რომ მან დაკარგოს ობიექტურობა, ჩადგეს იმათ პოზიციაში, რომელთა წრეშიც ის მოქმედებს. თუმცა, ასეთი დაინტერესებულობა უპირატესობაც შეიძლება იყოს, თუ კი სოციოლოგი (და ასევე ეკონომისტიც) ნათლად შეაფასებს სიტუაციას და კვლევის კარგად მოფიქრებულ კონცეფციას გაჰყვება.

დაკვირვების კლასიფიკაციისადმი მეორე მიდგომა დაკავშირებული იყო საველე და ლაბორატორიულ კვლევებად მის დაყოფასთან. ეკონომიკური კვლევებისათვის ძირითადად დამახასიათებელია საველე დაკვირვება, ლაბორატორიული დაკვირვება კი უკიდურესად იშვიათად გვხვდება - უფრო ხშირად ის ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და პედაგოგიურ კვლევებში გამოიყენება.

მესამე მიდგომა დაკვირვებას ყოფდა სტანდარტიზებულ და არასტანდარტიზებულ დაკვირვებად. რამდენადაც თვით ეკონომიკურ რეალობას, რომელსაც აკვირდება ეკონომისტი, აქვს უპირატესად, სტიქიური, წინასწარგანუსაზღვრელი ხასიათი, ამიტომ ეკონომიკური დაკვირვება, უფრო ხშირად, არასტანდარტიზირებულია.

და ბოლოს, მეოთხე მიდგომა დაკვირვებას ყოფდა აქტორულ და ვერბალურ დაკვირვებად. აქტორული დაკვირვება ეკონომიკურ კვლევებში ნიშნავს სამეურნეო სფეროში ადამიანების ქცევასა და მოქმედებებზე დაკვირვებას, ვერბალური დაკვირვება კი არის რესპოდენტების - ეკონომიკური პროცესების აქტორების - სიტყვებსა და მოსაზრებებზე დაკვირვება.

ეკონომიკური დაკვირვების ძირითადი ტიპია აქტორული დაკვირვება. მიუხედავად ამისა, მე-20 საუკუნის 60-70 წწ-დან დაწყებული, ეკონომისტები სულ

უფრო ხშირად იყენებენ კვლევის ვერბალურ მეთოდებს. მათ პროფესიულ გარემოში მეტად ფართო გავრცელება ჰპოვეს: ა) სამეურნეო დოკუმენტების ანალიზმა ანუ კონტენტ-ანალიზმა, ბ) ეკონომიკურმა გამოკითხვამ, პირველ რიგში ეკონომიკურმა ანკეტირებამ და ინტერვირებამ.

ეკონომიკური გამოკითხვის პრობლემების შესახებ შემდეგ განყოფილებაში ვისაუბრებთ, აქ კი რამდენიმე სიტყვით შევეხებით ეკონომიკურ კვლევებში დოკუმენტების ანალიზისა და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული კონტენტ-ანალიზის გამოყენების საკითხებს.

სამეურნეო დოკუმენტების ანალიზი არის ის, რასთანაც ეკონომისტ-მკვლევარს და ეკონომისტ-პრაქტიკოსს აქვს ყოველდღიური შეხება. რ. პენტო და მ. გრავიტცი გამოყოფდნენ დოკუმენტების ხუთ ძირითად ტიპს:

1. ოფიციალური (საარქივო დოკუმენტების ჩათვლით);
2. მასმედიაში დაბეჭდილი (გაზეთები, ჟურნალები და სხვ.);
3. განაწილებადი ან გადაცემადი ინფორმაცია (მხატვრული და დოკუმენტური ლიტერატურა);
4. კერძო დოკუმენტები;
5. ნახატები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები და სხვ.

დღეს შეიძლება უკვე გამოიყოს დოკუმენტების მეექვსე სახე - ელექტრონული, კომპიუტერული დოკუმენტები. ეკონომისტებს, ძირითადად, დოკუმენტების პირველი სამი სახე აინტერესებთ და მათთან ერთად, ელექტრონული ინფორმაცია: სწორედ აქედან იღებენ ისინი თავდაპირველ მონაცემებს. ამ დოკუმენტების ანალიზი უფრო ხშირად მიმდინარეობს არაფორმალიზებულად და ხარისხიანად, ხანდახან კი მკვლევარები და ანალიტიკოსები მიმართავენ რაოდენობრივ მეთოდებსაც, პირველ რიგში, კი კონტენტ-ანალიზს.

კონტენტ-ანალიზი ეკონომიკურ კვლევებში დოკუმენტური ეკონომიკური ინფორმაციის რაოდენობრივი კვლევის მეთოდია, რომელიც ეფუძნება

შესასწავლი ტექსტის ხარისხობრივი პარამეტრების რაოდენობრივ მახასიათებლებად გადაყვანას, მათ შემდგომ გადამუშავებას და ანალიზს.

კონტენტ-ანალიზი ტექსტის აზრობრივი ერთეულების გამოყოფით იწყება. ისინი შეიძლება იყოს:

- ცალკეული ეკონომიკური ცნებები და ტერმინები;
- პიროვნების, ეკონომისტების, მეურე ადამიანების სახელები;
- სამეურნეო მოვლენის ან მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებების აღნიშვნა;
- პოტენციური ადრესატის აპელაცია.

შემდეგი ეტაპია ამა თუ იმ აზრობრივი ერთეულების, ნიშნების გამოყენების სიხშირის აღნიშვნა. მესამე, ბოლო ეტაპზე მკვლევარი მიღებულ რაოდენობრივ მონაცემებს წარმოადგენს დიაგრამების, ცხრილების, სქემების სახით, რათა მიიღოს თვალსაჩინო სახით წარმოდგენილი სარწმუნო ინფორმაცია.

კონტენტ-ანალიზს ეკონომიკურ კვლევებში შეუძლია მეტად პოზიტიური შედეგი მოიტანოს. თუმცა, ის გულისხმობს ეფექტური საბაზო ჰიპოთეზების არსებობას და დასახული მიზნების კონკრეტულობას.

კონტენტური ანალიზის ფასეულობა დამოკიდებულია კვლევის მიერ დადგენილი ჰიპოთეზებზე და მათ გამომხატველ კატეგორიებზე. ის, უწინარეს ყოვლისა, არის პასუხი, რომელსაც მხოლოდ დასმული კითხვიდან, მიზნიდან ან კვლევის ობიექტიდან და ა.შ. გამომდინარე აქვს ფასეულობა. კონტენტური ანალიზი საინტერესო რომ იყოს, საჭიროა კარგი ჩანაფიქრი, რომლის მეშვეობით შესაძლებელი იქნებოდა არსებული პრობლემების შეგრძნება და ნამდვილი პრობლემის შეცნობა.[39]

ნებისმიერი სამეურნეო დოკუმენტის მთავარი კრიტერიუმია საიმედოობა და უტყუარობა. თუ ესა თუ ის სამეურნეო დოკუმენტი იწვევს ეჭვს ამ

[39] Пэнто Р., Гравитц М. Методы социальных наук. М., 1972. С. 353

მახასიათებლების მიხედვით, მათი ანალიზი არ განაპირობებს საიმედო და ხარისხიანი ეკონომიკური ინფორმაციის მიღების შესაძებლობას.

5. ინტერვირება და ანკეტირება ეკონომიკურ კვლევებში

გამოკითხვა ვერბალური ეკონომიკური დაკვირვების უმნიშვნელოვანესი სახეა. ეს მეთოდი თავდაპირველად სოციოლოგებმა და ფსიქოლოგებმა გამოიგონეს და მასობრივი სახით მისი გამოყენება გასული საუკუნის 50-60-ან წლებში დაიწყეს. იგი ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ სოციოლოგიასა და ფსიქოლოგიაშიც - ტესტირების, ექსპერიმენტირების და სხვ. მიერ.

გამოკითხვა არის ვერბალური (წერითი ან ზეპირი) ინფორმაციის მიღება მკვლევარის მიერ გამოკითხულებზე პირდაპირი ზემოქმედების გზით. ის ამას ახორციელებს კითხვებზე პასუხის გაცემის გზით სპეციალური დოკუმენტების დახმარებით.

მიუხედავად აშკარა სიმარტივისა, ამ მეთოდის ეფექტური გამოყენება მხოლოდ იმ ადამიანს შეუძლია, რომელსაც აქვს სპეციალური უნარ-ჩვევეა და პროფესიული სოციოლოგიური განათლება.

ამ მეთოდის გამოყენების ხელოვნება მდგომარეობს იმის ცოდნაში, თუ რა იკითხოთ, როგორ იკითხოთ, როგორი კითხვები დასვათ და ბოლოს, როგორ დავრწმუნდეთ იმაში, რომ მიღებული პასუხების ნდობა შეიძლება. აქვე უნდა დავუმატოთ რამდენიმე სხვა პირობა: როგორ ვკითხოთ, სად წარვმართოთ საუბარი, როგორ გადამუშავდეს მონაცემები, შესაძლოა თუ არა იგივეს გაგება გამოკითხვის ჩატარების გარეშე.

არსებობს გამოკითხვის რამდენიმე ძირითადი სახე, მაგრამ ეკონომიკური კვლევებისთვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ორ მათგანს - ეკონომიკურ ინტერვირებას და ეკონომიკურ ანკეტირებას.

ინტერვიუ საერთოდ არის ზეპირი გამოკითხვის მეთოდი, სადაც კვლევა მიმდინარეობს განსაკუთრებული საუბრის ფორმით (ფორმალიზებული ან არაფორმალიზებული) მკვლევარსა და რესპოდენტს შორის. ეკონომიკური ინტერვირება არის ფორმალიზებული ან არაფორმალიზებული საუბრის წარმართვა რესპოდენტთან რაიმე სახის ეკონომიკური ცნობების ან მონაცემების მიღების მიზნით.

ფორმალიზებული ინტერვიუ საშუალებას იძლევა, გადამუშავებულ იქნას პირველადი ეკონომიკური ინფორმაციის მასივები სტატისტიკური მეთოდებით და მიღებულ იქნას ცნობები რაოდენობრივი ფორმით, რაც მათემატიკურ მოდელებში გამოსაყენებლად არის ვარგისი. არაფორმალიზებული ინტერვიუ საშუალებას იძევა მიღებულ იქნას უფრო „ცოცხალი“ და „ემოციური ეკონომიკური მონაცემები“, რაც გამოდგება შემდგომი თვისებრივი გადამუშავებისათვის.

ანკეტირება არის ე.წ. სოციოლოგიური გამოკითხვის მეთოდი, სადაც რესპოდენტი ავსებს სპეციალურ ანკეტას და პასუხობს მკვლევარის ამა თუ იმ კითხვებს. ეს კითხვები ერთმანეთთან განსაკუთრებულ შიდა ერთობლიობაში არიან ჩართული და შედეგად, მკვლევარი იღებს სამუშაო ჰიპოთეზისათვის სოციალური ინფორმაციის მასივს. შესაბამისად, ეკონომიკური ანკეტირება არის რესპოდენტთან ფორმალიზებული საუბარი, როდესაც ეს უკანასკნელი ატყობინებს ინტერვიუერს რაიმე სახის ეკონომიკურ ცნობას, პასუხობს რა ანკეტის ურთიერთდაკავშირებულ კითხვებს.

ინტერვირებისაგან განსხვავებით, ეკონომიკური ანკეტირება ყოველთვის ფორმალიზებულია, ხოლო კითხვების უმრავლესობას „დახურული“ სახე აქვს. ანუ კითხვები, რომლებზეც წინასწარ მომზადებული პასუხია გასაცემი.

ეკონომიკური ანკეტირება, ინტერვირებისაგან განსხვავებით, უფრო ხშირად ანონიმურად და მკვლევარ-ინტერვიუერის უშუალო მონაწილეობის გარეშე ხორციელდება.

ანკეტირების ძირითადი პრინციპები შემდეგია: გამოკითხვის ფურცლი ფორმირდება გამოსაკითხი პერსონის ფსიქოლოგიის გათვალისწინებით; მხედველობაში მიიღება გამოსაკითხის ეკონომიკური კულტურა და პრაქტიკული სამეურნეო გამოცდილება; კითხვარის ყველა აზრობრივი ბლოკი დაახლოებით ერთნაირი მოცულობის უნდა იყოს; თავდაპირველად უნდა იყოს დასმული უფრო მარტივი კითხვები, რომლებიც რესპოდენტის სამეურნეო ცხოვრებას ეხება, ანუ „მოვლენითი“ ხასიათის კითხვები, შემდგომ უფრო რთული - „მოტივაციური“, მერე კვლავ მარტივი, შემდეგ ყველაზე რთული კითხვები და ბოლოს „პასპორტიკული“ ანუ საერთო ცნობები რესპოდენტის შესახებ.

ეკონომიკური ინტერვირება და ანკეტირება სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა სახის ეკონომიკური ინფორმაციის მისაღებად.

6. ეკონომიკური მონიტორინგი, როგორც ეკონომიკური კვლევების წესი

მონიტორინგი (ლათ. „მონიტორ“ - გამაფრთხილებელი, თავიდან ამცილებელი) არის დაკვირვების განსაკუთრებული სახე, რომლის დროსაც კონტროლი ხორციელდება იმაზე, რომ სოციალური პროცესები მოვლენები იმყოფებოდნენ განსაზღვრულ პარამეტრებში, რომლებიც არ აღემატება თავდაპირველად განსაზღვრულ ფარგლებს. მონიტორინგი მოიცავს სისტემატურ დაკვირვებას, ცვლილებების შეფასებას, პროგნოზირებას და ტენდენციების გამოვლენას.

ეკონომიკური მონიტორინგი ეკონომიკური დაკვირვების განსაკუთრებული სახეა, რაც გულისხმობს რაიმე სამეურნეო პროცესზე ან მოვლენაზე

სისტემატურ დაკვირვებას, მოსალოდნელი ცვლილებების შეფასებას, ასევე პროგნოზს და ამა თუ იმ ეკონომიკური ტენდენციების გამოვლენას.

ეკონომიკური მონიტორინგი არის ეკონომიკური კვლევის უმნიშვნელოვანესი ტიპი. აქ დამკვირვებელი იკვლევს სამეურნეო ტრენდებს ანუ ეკონომიკური განვითარების გრძელვადიან თვისებრივ და რაოდენობრივ პარამეტრებს. ეკონომიკური მონიტორინგი საშუალებას იძლევა წინასწარ იქნას განსაზღვრული მომავალი ტრენდები და ეკონომიკური განვითარების ტენდენციები და ამ გზით შესაძლებელი გახდეს ადრევე მომზადდეს საპასუხო ზომები სამეურნეო სიტუაციის გამოსასწორებლად ან გასაუმჯობესებლად.

მოცვის თვალსაზრისით, ეკონომიკური მონიტორინგი შეიძლება იყოს გლობალური, ეროვნული, რეგიონული, ლოკალური და წერტილოვანი. დასაკვირვებელი მოვლენის ტიპის მიხედვით ეკონომიკური მონიტორინგი არის დემოგრაფიული, აგრარული, სამრეწველო, სატრანსპორტო, ფინანსური, ეკოლოგიურ-ეკონომიკური და სხვ. შესაძლოა დავასახელოთ, ასევე, საერთოეკონომიკური მონიტორინგი, როდესაც დაკვირვებას ექვემდებარება მთელი სამეურნეო სფერო და დარგი.

ეკონომიკურ მეცნიერებაში ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ ეკონომიკურ მონიტორინგს, როგორც დაკვირვების სახეს, ან დაჰყავთ იგი მხოლოდ სტატისტიკური მონაცემების მიღებამდე. სინამდვილეში კი, მონიტორინგი არის სამეურნეო კონტროლის კომპლექსური მეთოდი, რაც ემყარება სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღებას, მათ შორის თვისებრივი ინფორმაციისა. თვისებრივი ინფორმაციის უგულებელყოფა იწვევს მონიტორინგის პარამეტრების გაუარესებას და საგანგებო ან კატასტროფული სამეურნეო მოვლენების (კრიზისები, დეფოლტი, საბირჟო კრახი, გაკოტრება და სხვ.) დადგომის წინასწარ განსაზღვრის შეუძლებლობას.

7. ეკონომიკური ექსპერიმენტის ცნება

ცნება „ექსპერიმენტი“ ორი ძირითადი მნიშვნელობით შეიძლება იქნას გამოყენებული: ერთ მათგანს შესაძლოა ეწოდოს მკაცრი (ანუ მეცნიერული), მეორეს კი - გაფართოებული (ანუ ყოველდღიური, ჩვეულებრივი). პირველ შემთხვევაში ადგილი აქვს ექსპერიმენტს, როგორც ზუსტად განსაზღვრულ პირობებში მეცნიერულად ჩატარებულ ცდას, რაც საშუალებას იძლევა, რომ თვალყური იქნას მიდევნებული მის მიმდინარეობაზე და საჭიროების შემთხვევაში არაერთხელ განმეორდეს კიდევაც; მეორე შემთხვევაში კი “ექსპერიმენტი“-ს ქვეშ მოიაზრება ნებისმიერი მცდელობა, შეტანილ იქნას საკვლევ პროცესში ან მოვლენაში რაიმე სახის სიახლე.

საჭიროა განისაზღვროს ტერმინი „ექსპერიმენტი“-ს მნიშვნელობა, როდესაც საქმე ეხება ეკონომიკურ ექსპერიმენტს.

პირველი აზრით, ეკონომიკური ექსპერიმენტი არის რაიმე სამეურნეო მოვლენის სამეცნიერო ან საწარმოო კვლევა აქტიური ზემოქმედების გზით. ამასთან, იქმნება რაიმე ახალი ეკონომიკური პირობები წინასწარ დადგენილი მიზნების შესაბამისად და სამეურნეო პროცესის მიმდინარეობისას ეს პირობები იცვლება საჭირო მიმართულებით ან თვით სამეურნეო პროცესი იკვლავწარმოება ხელოვნურად მისი მოდელირების მეშვეობით.

ამ თვალსაზრისით, ეკონომიკური ექსპერიმენტის მთავარი მიზანია შემოწმდეს ხელოვნურ სამეურნეო პირობებში ესა თუ ის სამეცნიერო ჰიპოთეზა (დამოწმდეს ან უარყოფილ იქნას ის). ექსპერიმენტი აღნიშნულ შემთხვევაში არის მხოლოდ ჰიპოთეზის შემოწმების მეცნიერული მეთოდი.

მეორე მნიშვნელობით ეკონომიკური ექსპერიმენტი არის სამეურნეო პროცესში ნებისმიერი ინოვაციის შეტანა, რომელიც გამოდის მეცნიერების ან სამეცნიერო-საწარმოო პრაქტიკის ჩარჩოებიდან.

ეს არის ეკონომიკური ექსპერიმენტის უკიდურესად ფართო და უკიდურესად გამარტივებული გაგება. ეკონომიკურ ექსპერიმენტად ამ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ინოვაცია, მათ შორის ყველაზე რადიკალურიც კი. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური ტრანსფორმაციების მნიშვნელოვანი ნაწილი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ისტორიიდან შესაძლოა ეკონომიკურ ექსპერიმენტად ჩათვლილიყო. მაშინ ყველაზე „ეკონომიკურ ექსპერიმენტებად“ შეგვეძლო ჩაგვეთვალა „სამხედრო კომუნიზმი“, ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპი), კოლექტივიზაცია, პრივატიზაცია და სხვ.

ჩვენ შემდგომში ცნების „ექსპერიმენტი“ მხოლოდ პირველ მნიშვნელობას გამოვიყენებთ ანუ ეკონომიკური (სამეურნეო) ექსპერიმენტის ქვეშ ვიგულისხმებთ მხოლოდ მის მეცნიერულ მნიშვნელობას. უმეტესწილად, ეკონომიკური ექსპერიმენტის მეორე მნიშვნელობას ლიტერატურული, ყოველდღიური, ცხოვრებისეული ვარიანტის სახე აქვს, რაც მხოლოდ ყოველდღიური, ჩვეულებრივი ეკონომიკური ცოდნის დონეზე გამოიყენება.

8. ექსპერიმენტი სოციალურ კვლევებში

ვიდრე ეკონომიკური ექსპერიმენტირების სირთულეებზე დავიწყებდით საუბარს, აუცილებელია, საერთოდ სოციალური ექსპერიმენტირების პრობლემებზე შევჩერდეთ, ასევე იმაზე, თუ როგორ ტარდება ექსპერიმენტები სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებებში და რა სირთულეებს აქვს იქ ადგილი.

სოციალური ექსპერიმენტი არის რაიმე სოციალური მოვლენის კვლევა მასზე აქტიური ზემოქმედების გზით. ამასთან, ან იქმნება რაიმე ახალი სოციალური პირობები მოცემული ექსპერიმენტის მიზნების შესაბამისად და იცვლება სოციალური პროგრესის მიმდინარეობა საჭირო მიმართულებით, ან თავად

სოციალური პროცესი იკვლავწარმოება ხელოვნურად მისი მოდელირების მეშვეობით.

შესაძლოა სხვა განმარტების მოტანაც:

„მეცნიერებაში სოციალური ექსპერიმენტი არის კვლევის ისეთი მეთოდი, რომლის ძირითადი ამოცანაც არის სოციალური ფაქტების შესახებ ჰიპოთეზის შემოწმება იმ პირობებში, რომლის დროსაც შესაძლებელია ყველაზე მოკლე დროში და მცირე ხარჯებით იქნას „სუფთა სახით“ აღმოჩენილი, გაზომილი და დადასტურებული ან უარყოფილი მოვლენებს შორის შესაბამისი კავშირების არსებობა“. [40]

ყველა სოციალური ექსპერიმენტი შესაძლოა დაიყოს საგნობრივ (ნივთობრივი) და აზრობრივ (იდეალური) ექსპერიმენტებად. შემდგომში ჩვენ ვისაუბრებთ მხოლოდ საგნობრივ (ნივთობრივ) ექსპერიმენტებზე.

ამ ექსპერიმენტების ჩატარებისათვის შემდეგი სახის პრობლემები აღმოცენდება:

ექსპერიმენტი დაკავშირებულია სხვა ინდივიდებთანაც და ამიტომ მას ყოველთვის აქვს მორალური და სამართლებრივი შეზღუდულობანი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური ექსპერიმენტების ჩატარება შესაძლოა დაკავშირებულ იყოს ადამიანის უფლებების დარღვევასთან. ეს, შეიძლება იყოს, მაგალითად, პირადი უფლებები - ცხოვრების უფლება, უსაფრთხოების უფლება, სამედიცინო დახმარების მიღების უფლება, ან მაგალითად, შესაძლოა ეს იყოს ეკონომიკური უფლებები - მუშაობის უფლება, საწარმოო ტრამვის მიღების შემთხვევაში სადაზღვევო უზრუნველყოფის უფლება, სამუშაოს დაკარგვის შემთხვევაში უმუშევრობის შემწეობის მიღების უფლება და სხვ. ამა თუ იმ ინდივიდის სოციალურ ექსპერიმენტში ჩართვას არ

[40] Куприянин А. М. Методологические вопросы социального эксперимента. М., 1971. С. 99

შეიძლება ჰქონდეს იძულებითი ხასიათი: მოცემული ინდივიდის მონაწილეობა მხოლოდ ნებაყოფლობითი უნდა იყოს, სოციალური ექსპერიმენტის მონაწილენი, პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში, მოხალისეები (ვოლონტერები) უნდა იყვნენ.

გარდა ამისა, სოციალური ექსპერიმენტები უნდა ტარდებოდეს კანონისა და მორალის ნორმების უხეში დარღვევების გარეშე.

ზემოთ ნათქვამი ეხება ეკონომიკურ ექსპერიმენტებსაც. მისი მონაწილეები უნდა იყვნენ ვოლონტერები და ექსპერიმენტის ჩატარებამ არ უნდა გამოიწვიოს იურიდიული ან მორალური შედეგები როგორც ორგანიზატორისათვის, ისე თვით მონაწილეებისათვის.

2. ამ სახის ექსპერიმენტებს აქვთ მრავალი სირთულე კვლავწარმოების თვალსაზრისით; სოციალური ექსპერიმენტების დიდი ნაწილი შეიძლება მხოლოდ ერთხელ ან რამდენჯერმე ჩატარდეს; ყველა სოციალური ექსპერიმენტი ტარდება კონკრეტულ სოციალურ-ისტორიულ პირობებში, სოციალური ექსპერიმენტების მრავალგზისი კვლავწარმოება ერთსა და იმავე პირობებში, პრაქტიკულად, შეუძლებელია.

სოციალური მოვლენები, საზოგადოდ, მიეკუთვნება რთულად კვლავწარმოებად ფენომენს. საზოგადოებრივი გარემო, რომელშიც ტარდება ექსპერიმენტი, უკიდურესად არამდგრადია, და თუ შესაძლებელი ხდება ერთი და იმავე ექსპერიმენტის რამდენჯერმე კვლავწარმოება, ეს, ასე თუ ისე მაინც დაკავშირებულია ექსპერიმენტის ჩატარების პირობების ცვლილებებთან. სოციალური გარემოს ლაბორატორიის შექმნა კი, სადაც ყოველთვის ერთი და იგივე უცვლელი პირობები იქნებოდა, მეტად შრომატევადი საქმეა და მოითხოვს უზარმაზარ ინვესტიციებს.

3. ზოგიერთმა სოციალურმა ექსპერიმენტმა შესაძლოა არასასურველი შედეგები გამოიწვიოს საზოგადოებასა და გარემო პირობებზე.

სოციალურმა ექსპერიმენტმა შეიძლება დააზარალოს აღნიშნულ ექსპერიმენტში მონაწილე ინდივიდი. გარდა ამისა, მან შეიძლება არაკეთილსასურველად იმოქმედოს იმ ადამიანებზე, რომლებიც საერთოდ არ მონაწილეობენ მასში, ან დააზიანოს ბუნებრივი და სოციალური გარემო, რომლის ფარგლებშიც ტარდება ექსპერიმენტი. შედეგები აქ შესაძლოა საერთოდ წინასწარგანუსაზღვრელი იყოს - ისეთი, რომლის წინასწარ გათვალისწინება საერთოდ შეუძლებელია. დეპრესია, ფსიქიური გადახრა, სოციალური კონფლიქტები, გარემოს დაბინძურება და სხვა არის სოციალური ექსპერიმენტის შესაძლო შედეგები. ამიტომაა, რომ ნებისმიერი სოციალური ექსპერიმენტი მკაცრად კონტროლირებადი უნდა იყოს, რათა გამორიცხულ იქნას მსგავსი მოვლენები.

სოციალური ექსპერიმენტის კიდევ ერთი პრობლემაა იმ ობიექტების „ნეიტრალურობის“ მიღწევა, რომლებზედაც ტარდება ექსპერიმენტი. ჯ. კეინზი წერდა, რომ „ცდებს, რომლებიც მოითხოვენ ადამიანების შეგნებულ მოქმედებას, უარყოფითი მხარე აქვთ, რაც იმაში მდგომარეობს, რომ პირები, რომლებიც ცდის ობიექტები არიან, თავად შეიძლება იყვნენ დაინტერესებულნი მის შედეგებში“.[41]

ასეთი დაინტერესებულობა შესაძლოა გამოწვეული იყოს სხვადასხვა ფაქტორით: იდეოლოგიური, ემოციური, ფსიქოლოგიური და სხვ. ასეთი ფაქტორების მოძიება და მათი შემდგომი გამორიცხვა ექსპერიმენტიდან არის ნებისმიერი სოციალური ექსპერიმენტის ჩატრების წინა, მოსამზადებელი ეტაპი.

საინტერესოა საკითხი, თუ როგორ გამოიყენება სოციალური ექსპერიმენტი სხვადასხვა სოციალურ მეცნიერებაში და რომელ მათგანშია ის ყველაზე ეფექტიანი.

[41] Кейнс Дж. Н. Предмет и метод политической экономии. С. 141

რა საოცარიც არ უნდა იყოს, სოციალური მეცნიერებების მნიშვნელოვანი ნაწილი თავს არიდებს ექსპერიმენტების ჩატარებას, რამდენადაც, ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, მათი გამოყენება ან მეტად რთულია, ან საერთოდ შეუძლებელია. ასეთ მეცნიერებებს მაგალითად, მიეკუთვნება: ფილოსოფია, კულტუროლოგია, ისტორია, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია, პოლიტოლოგია.

ეს გარემოება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული მეცნიერებები საერთოდ არ სარგებლობენ სოციალური ექსპერიმენტების მონაცემებით. ამა თუ იმ ზომით, ისინი ანალიზისათვის იყენებენ სხვა სოციალურ მეცნიერებებში ჩატერებული ექსპერიმენტების მონაცემებს, მაგალითად, სოციოლოგიის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის და სხვ.

სოციოლოგია, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა არის მეცნიერებანი, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმატებით იყენებენ ექსპერიმენტირების მეთოდს თავის სფეროში და ამ მიმართულებით აქვთ უფრო მეტი წარმატებაც.

სოციოლოგიური ექსპერიმენტი არის ადამიანების სოციალური ურთიერთქმედების გამოკვლევა ასეთ ურთიერთქმედებაზე აქტიური ზემოქმედებით ან მისთვის ხელოვნური პირობების შექმნით.

სოციოლოგიური (ასევე ფსიქოლოგიური) ექსპერიმენტების უმრავლესობა იგება ექსპერიმენტული ცვლადის ძიების პრინციპზე, როდესაც ერთმენეთს უდარდება ორი (ან მეტი) სოციოლოგიური ობიექტი. როგორც წესი, ამ ობიექტთაგან რომელიმე ასრულებს ექსპერიმენტალურ ფუნქციას, მეორე კი - კონტროლის ფუნქციას. ორივე ფუნქციის შედარებიდან გამოდის მოცემული ექსპერიმენტის შედეგი. სოციოლოგიისათვის მთავარია, რომ მან მიიღოს მთელი კვლევისთვის მნიშვნელოვანი შედეგი.

„კვლევის წარუმატებლობა მის უარყოფით შედეგში კი არ გამოისახება - ზოგჯერ მას უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე დადებით შედეგს, არამედ წარუმატებლობა გამოიხატება არაფრისმთქმელი მონაცემების მიღებაში“. [42]

სოციოლოგისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ირიბ დაკვირვებას, როდესაც მიმდინარეობს ე.წ. კვაზიექსპერიმენტული თვისებების ძიება: ასეთმა თვისებებმა ზოგჯერ შეიძლება უფრო მეტი მისცეს მკვლევარს, ვიდრე თავად ექსპერიმენტული მონაცემების შესწავლამ.

„ალბათ არ იქნება მართებული, რომ მუზეუმის დამთვალიერებლებს ჰკითხონ, მოსწონთ თუ არა მათ იმპრესიონისტები. ამის ნაცვლად სოციოლოგები ცდილობენ მხატვრული ტილოების წინ იატაკის ლაქის გაცვეთილობის ხარისხი გაზომონ.“[43]

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი არის ადამიანის ფსიქოლოგიური თვისებების გამოკვლევა მათ ქცევაზე აქტიური ზემოქმედების გზით ან მათი გამოვლენისათვის განსაზღვრული ხელოვნური პირობების შექმნით.

ხშირ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის ჩატარებისას ფსიქიური დინამიკის შემდეგი სახეების კვლევა მიმდინარეობს, კერძოდ:

1. ინდივიდების ქცევა;
2. ინდივიდების ენობრივი შეგნება, შემეცნება;
3. ემოციური მდგომარეობის ექსპრესიული ფორმები;
4. პიროვნების ბიოგრაფიული გზა.

ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი ფსიქოლოგებისათვის მნიშვნელოვანია სამი თვისების გამო: ეთიკურობის, ეკონომიურობისა და მკვლევარის შესაძლებლობისათვის, გამოავლინოს საკუთარი აქტიურობა.

---

[42] Батыгин Г. С. Лекции по методологии социологических исследований. М., 1995. С. 191
[43] იქვე, გვ. 194

თუმცა, ზოგიერთი მკვლევარი უარყოფდა და დღესაც უარყოფს ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის, როგორც ფსიქოლოგიის განსაკუთრებულ მიმართულების არსებობას მაინც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიმართულება არსებობს, ხოლო მისი ბაზისია ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის მეთოდი.

პედაგოგიური ექსპერიმენტი არის სწავლებისა და აღზრდის მეთოდების კვლევა განათლებისა და აღზრდის პროცესში აქტიური ჩარევის საშუალებით, ან აღმზრდელებისა და მოწაფეებისათვის ხელოვნური პირობების შექმნის გზით ახალი კვლევითი მონაცემების მიღების მიზნით.

პედაგოგიური ექსპერიმენტი ფართოდ გამოიყენება სწავლების თანამედროვე წესებში და დღევანდელ საგანმანათლებლო სისტემაში მიღებული მრავალი სოციალური პრაქტიკა (მაგ., რეიტინგული სისტემა, ტესტირება, დისტანციური სწავლება და სხვ.) სწორედ პედაგოგიური ექსპერიმენტიდან განვითარდა.

და ბოლოს, სოციალურ ექსპერიმენტებს შორის განსაკუთრებული ადგილი უკავია ეკონომიკურ ექსპერიმენტს.

9. ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზანი და ამოცანები და ეკონომიკური ექსპერიმენტების ძირითადი ტიპები

ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზნები შეიძლება სრულიად განსხვავებული იყოს. უმეტეს შემთხვევებში ისინი მიზნების მიხედვით იყოფა, კერძოდ: მეცნიერული (კვლევითი); საწარმოო; პედაგოგიური.

შესაბამისად, ეკონომიკური ექსპერიმენტები შესაძლოა დაიყოს საკვლევ (სამეცნიერო), სამეცნიერო-საწარმოო და პედაგოგიურ ექსპერიმენტებად. ბუნებრივია, რომ კვლევითი ეკონომიკური ექსპერიმენტის მიზნები წმინდა მეცნიერული და კვლევითია, სამეცნიერო-საწარმოო ექსპერიმენტში შერწყმულია სამეცნიერო და საწარმოო (სამეურნეო) მიზნები, პედაგოგიური ექსპერიმენტი კი

(მაგალითად, საქმანი თამაშის ფორმით) აერთიანებს მეცნიერულ და პედაგოგიურ მიზნებს.

ეკონომიკური ექსპერიმენტების შემდეგი ტიპოლოგია არის ჩართულობით (თანამონაწილეობითი) ეკონომიკურ ექსპერიმენტად და არაჩართულობით (მარტივ, უბრალო) ეკონომიკურ ექსპერიმენტად დაყოფა.

ჩართულობითი (თანამონაწილეობითი) ეკონომიკური ექსპერიმენტები ისე ფართოდ არ არის გავრცელებული, როგორც ანალოგიური სოციოლოგიური ან ფსიქოლოგიური ექსპერიმენტები. შესაძლოა, ეს იმ გარემოებასთან არის დაკავშირებული, რომ ეფექტურობის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ეკონომისტისთვის უფრო ხელსაყრელია შეასრულოს მიუკერძოებელი და ობიექტური დამკვირვების როლი, ვიდრე პირადად აქტიურად ჩაერიოს სამეურნეო პროცესებში. ამით ხაზი ესმება ეკონომისტ-მკვლევარის ეკონომიკურად დაინტერესებულობის არ არსებობასაც მოცემული ექსპერიმენტის შედეგებისადმი.

ეკონომიკური ექსპერიმენტების შემდგომი მსხვილი ტიპოლოგია დაკავშირებულია მათ დაყოფასთან იდეალურ ექსპერიმენტებად და საგნობრივ (ნივთობრივ) ექსპერიმენტებად.

იდეალური ეკონომიკური ექსპერიმენტები არის ისეთი სახის ექსპერიმენტები, რომლებიც აბსტრაქტული წესით ტარდება - ექსპერიმენტალური მასალის (არ ითვლება ქაღალდზე ან ელექტრონული სახით მისი განივთება და მისთვის საგნობრივი სახის მიცემა) განივთებისა და საგნობრივი სახის მიცემის გარეშე. მისი მთავარი სახეებია: მათემატიკური ეკონომიკური ექსპერიმენტი; აზრობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტი; ვირტუალური (კომპიუტერული და სხვ.) საქმიანი თამაში.

საგნობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტი არის ისეთი სახის ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელიც რეალურ სამყაროში ტარდება და გამოიყენება მატერიალური არტეფაქტები. საგნობრივი ეკონომიკური ექსპერიმენტები, ისევე,

როგორც ეკონომიკური დაკვირვება, შესაძლოა დაიყოს ლაბორატორიულ ექსპერიმენტებად და საველე ექსპერიმენტებად. მათ შორის განსხვავება მეტად მარტივია: ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტი ტარდება სპეციალურ ნაგებობაში (ლაბორატორია), საველე კი - ლაბორატორიის გარეთ - საწარმოში, ფირმაში, დარგში და სხვ. ექსპერიმენტების ამ სახეებს აქვთ თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები.

„ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტი საშუალებას იძლევა, რომ ყოველთვის ჩატარდეს ექსპერიმენტული პირობების შედეგების შესწავლა, ხოლო საველე ექსპერიმენტის დროს ობიექტი, რომელიც ექსპერიმენტულ რეჟიმშია ჩაყენებული, იძულებულია ურთიერთქმედება ჰქონდეს ეკონომიკურ პარტნიორებთან, რომლებიც ძველებურად, როგორც ადრე, ისე მოქმედებენ. ამ გარემოებამ შესაძლოა დაამახინჯოს ექსპერიმენტის შედეგები. ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტები არის უკვე არსებული და ახლად ჩამოყალიბებული ცოდნის გადაცემისა და ათვისების, თვისებების, უნარისა და ჩვევების შეძენის ინსტრუმენტები. ისინი გამოიყენება სწავლებისა და ვარჯიშისათვის, კვლევითი მიზნებისათვის და პრაქტიკული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის.“[44]

ზემოაღნიშნული ტიპოლოგიის მიხედვით ეკონომიკური ექსპერიმენტის საერთო სქემა შესაძლოა შემდეგი სქემის სახით გამოისახოს:

[44] Геронимус Ю. В. Лабораторный экономический эксперимент. Экономико-математический энциклопедический словарь. М., 2003. С. 232



ლაბორატორიული ეკონომიკური ექსპერიმენტის საპირისპიროდ, საველე ექსპერიმენტები საშუალებას იძლევა ექსპერიმენტი ჩატარდეს განსაზღვრული ეკონომიკური ინსტიტუტის ფარგლებში, მაგალითად, საწარმოში. ბუნებრივია, რომ ასეთი ექსპერიმენტის შედეგებს საკმაოდ დიდი ევრისტიკული მნიშვნელობა ექნება.

10. ეკონომიკური ექსპერიმენტების ისტორია

ეკონომიკური ექსპერიმენტის მეთოდმა ფართო გავრცელება ჰპოვა ყოფილ სსრკ-ში გასული საუკუნის 60-80-ან წწ-ში. სწორედ იმ დროს დაგროვდა მრავალრიცხოვანი თეორიული მასალა ამ მეთოდის გამოყენების შესახებ.

ყოფილ სსრკ-ში ეკონომიკური ექსპერიმენტების ჩატარების სტიმული იყო მყარი რწმენა იმის შესახებ, რომ ასეთ ექსპერიმენტებს ძალუძთ რადიკალურად გააუმჯობესონ სოციალისტურ სახელმწიფოში სამეურნეო პროცესების მართვა.

„საზოგადოებას არ შეუძლია შეცვალოს რომელიმე კანონის მოქმედება, მაგრამ მას შეუძლია გავლენა იქონიოს იმაზე, თუ გამოვლენის რა ფორმებს მიიღებს ესა თუ ის კანონი. იმაზე, თუ რამდენად სწორად არის შემეცნებული კანონები, რამდენად სწორად არის ორგანიზებული მათი გამოყენება, დამოკიდებულია ის, თუ რამდენად კეთილსასურველი იქნება მათი გამოვლენის ფორმები“.[45]

იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში „სოციალისტური ექსპერიმენტის“ ჩატარებაზე „ვარჯიშობდნენ“, დასავლეთში გასული საუკუნის 60-70-ნი წლებიდან წარმატებით ვითარდებოდა მიმართულება, რომელმაც შემდგომში ექსპერიმენტალური ეკონომიკის სახელი მიიღო.

ექსპერიმენტალური ეკონომიკა არის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, რომლის დროსაც ლაბორატორიულ პირობებში ხელოვნურად შექმნილ ამა თუ იმ სამეურნეო პირობებში იკვლევენ ინდივიდების ქცევის ეკონომიკურ და ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს.

ასე, რომ ექსპერიმენტული ეკონომიკა ეკონომიკური ექსპერიმენტის ყველა სახეს კი, მხოლოდ ლაბორატორიულ საგნობრივ ეკონომიკურ ექსპერიმენტებს იყენებს, რომელთა ჩატარებაში, ორგანიზაციასა და ვერიფიკაციაშიც ამ მიმართულებამ მეტად მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია.

დასავლეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში ექსპერიმენტულ მეთოდს საფუძვლები ჩაუყარეს სამმა დიდმა ეკონომისტმა ვერნონ სმითმა, დანიელ კანემანმა და ამოს ტვერსკიმ. „ყველაზე ცნობილი ღვაწლი კანემანისა და

[45] Рогожин А. С. Указ. Соч.С. 14-15

ტვერსკის მდგომარეობს პერსპექტივების თეორიის შემუშავება. ამ ორი მეცნიერის ერთობლივი კვლევების აზრობრივი ცენტრი იყო ფუნდამენტური და მრავალწლიანი პროექტი ინდივიდუალური განსჯებისა და ქცევის ნორმატიული სტანდარტებიდან გადახრების შესახებ".[46]

ვერნონ სმითმა განავრცო ექსპერიმენტული ეკონომიკის მრავალი სხვა თემა. არ მოიძებნება ექსპერიმენტული ეკონომიკის საკვლევი თემა, მას რომ არ შეეტანა საკუთარი წვლილი, ესაა: საზოგადოებრივი არჩევანის თეორია, რისკის პირობებში ინდივიდუალური ქცევის თეორია, ფინანსურ ბაზრებზე „საპნის ბუშტების" კვლევა, რეგულირების თეორია, თამაშთა თეორიის სფეროში ჩატარებბული ექსპერიმენტები და სხვ.

ექსპერიმენტული ეკონომიკის სფეროში ჩატარებული კვლევები საინტერესოა არა მარტო ეკონომიკისთვის, არამედ ფსიქოლოგიისთვისაც, ეს კი ნიშნავს, რომ ჩვენ საქმე გვაქვს დისციპლინათაშორის ეკონომიკურ ექსპერიმენტთან.

11. დისციპლინათაშორისი ექსპერიენტები და მათი გამოყენება ეკონომიკურ კვლევებში

დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და კიდევ რომელიმე სხვა სოციალური დისციპლინის „შეერთების" ადგილზე. მისი ამოცანაა ისეთი ექსპერიმენტული შედეგების მიღება, რომლებსაც ეკონომიკისთვისაც და სხვა სოციალური მეცნიერებისთვისაც ექნება მნიშვნელობა.

ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ არსებობს სამი სოციალური მეცნიერება, სადაც ფართოდ გამოიყენება სოციალური ექსპერიმენტი და საკმაოდ ღრმად არის დამუშავებული სოციალური ექსპერიმენტების ჩატარების მეთოდოლოგია, ესენია

[46] Белянин А. Даниель Канеман и Вернон Смит: экономический анализ человеческого поведения. Вопросы экономики. 2003. №1. С. 11-12

სოციოლოგია, ფსიქოლოგია და პედაგოგიკა. რამდენადაც საქმე ეხება დისციპლინათაშორის ექსპერიმენტის პერსპექტივებს, ცხადია, რომ ეკონომიკური მეცნიერებისათვის ყველაზე უფრო პერსპექტიული იქნება სწორედ ამ სამ დისციპლინასთან კავშირი.

დისციპლინათაშორის ექსპერიმენტებს სოციოლოგიისა და ეკონომიკის საზღვრებზე ატარებს ეკონომიკური ფსიქოლოგია, ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის საზღვრებზე - ეკონომიკური ფსიქოლოგია, ხოლო ეკონომიკისა და პედაგოგიკის საზღვრებზე - ეკონომიკური პედაგოგიკა.

ეკონომიკურ-სოციოლოგიური ექსპერიმენტი ისეთი ექსპერიმენტია, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და სოციოლოგიის საზღვრებზე; მისი მიზანია სოციოლოგიური და ეკონომიკური ხასიათის ახალი ექსპერიმენტული მონაცემების მიღება.

ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის საზღვრებზე; ის გულისხმობს ორივე მეცნიერების - ფსიქოლოგიისა და ეკონომიკის ექსპერიმენტული მეთოდების გამოყენებას; როგორც წესი, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ როგორც ეკონომიკის, ისე ფსიქოლოგიის სფეროში მიღებულ იქნეს სრულიად ახალი ცოდნა.

ასევე შესაძლოა არსებობდეს ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური ექსპერიმენტი. ამის კლასიკური მაგალითია გამოჩენილი ამერიკელი სოციოლოგისა და ფსიქოლოგის ელტომ მეიოს მიერ ჩატარებული ექსპერიმენტები 1924-1925 წლებში ჩიკაგოში მდებარე ქარხანაში „ვესტერნ ელექტრიკი“. მან შეისწავლა სოციოლოგიური და ფსიქოლოგიური ხასიათის მქონე მრავალი ფაქტორის გავლენა მუშაკების შრომის მწარმოებლურობაზე. ასე, რომ შესაძლოა ითქვას, რომ მოცემული ექსპერიმენტები ტარდებოდა, ერთის მხრივ, როგორც ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური, მეორე მხრივ კი- როგორც ეკონომიკურ-სოციოლოგიური.

როგორც წინა განყოფილებაში იყო აღნიშნული, ექსპერიმენტული ეკონომიკის რანგში ჩატარებული ექსპერიმენტების უდიდესი უმრავლესობა, უფრო ეკონომიკურ-ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტებს მიეკუთვნება. შესაძლოა, სწორედ ამითაც არის გამოწვეული ის ფაქტი, რომ ექსპერიმენტულმა ეკონომიკამ ასე გვიან მიიქცია პროფესიონალი ეკონომისტების ყურადღება.

ეკონომიკურ-პედაგოგიური ექსპერიმენტი არის ისეთი ექსპერიმენტი, რომელიც ტარდება ეკონომიკისა და პედაგოგიკის საზღვარზე: ის ორივე მეცნიერების - ეკონომიკისა და პედაგოგიკის ექსპერიმენტულ მეთოდებს გამოიყენებს. როგორც წესი, ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ხელოვნური ლაბორატორიული მოდელირების გზით მსმენელთა ცნობიერებაში ჩაინერგოს გარკვეული ეკონომიკური სიტუაცია: მსმენელებმა თავი უნდა იგრძნონ მოცემული ეკონომიკური ექსპერიმენტის მონაწილეებად.

საქმიანი თამაში, რომელიც ტარდება მომავალი ეკონომისტების სწავლებისათვის არის კლასიკური მაგალითი ეკონომიკურ-პედაგოგიური ექსპერიმენტისა. ექსპერიმენტის ეს სახე უფრო დაწვრილებით მე-12 თავში იქნება განხილული.

ბუნებრივია, რომ დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტის ზემოაღნიშნული სამი ტიპით არ შემოიფარგლება დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტების მთელი მრავალფეროვნება. მაგალითად, შესაძლოა გამოვყოთ შემდეგი ტიპები: ეკონომიკურ-ეკოლოგიური, ეკონომიკურ-დემოგრაფიული, ეკონომიკურ-სამართლებრივი და სხვ ტიპები დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტებისა, რომლებშიც ერთ-ერთია ეკონომიკური მეცნიერება.

ასე, რომ დისციპლინათაშორისი ექსპერიმენტირება მთელი ექსპერიმენტული ეკონომიკისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა.

12. ეკონომიკური ექსპერიმენტირების განვითარების პერსპექტივები

ეკონომიკაში ექსპერიმენტული კვლევების წარმატებები, გასული საუკუნის 70-80-ანი წლებიდან დაწყებული, გამონაკლისი კი არა, უფრო კანონზომიერებაა. ეკონომიკური ექსპერიმენტი, რომელსაც აქამდე ძალიან იშვიათად გამოიყენებდნენ, ამ დროიდან უკვე ეკონომიკური კვლევების სრულფასოვანი მეთოდი გახდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ეს მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში ჯერაც არ გამოიყენება სათანადო დოზით.

მიუხედავად ამისა, ექსპერიმენტული ეკონომიკა კვლავ აქტიურად ვითარდება. ეკონომიკურ მეცნიერებაში ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენების პერსპექტიულ გზებს მიეკუთვნება:

მიკროეკონომიკურ სიტუაციებში ინდივიდის ეკონომიკური ქცევის ირაციონალური სტანდარტების შემუშავება; სათამაშო ექსპერიმენტირება მისი ყველა ფორმითა და სახით; დისციპლინათაშორისი ეკონომიკური ექსპერიმენტების (ეკონომიკურ-სოციოლოგიური, ეკონომიკურ-ფსიქოლოგიური, ეკონომიკურ-პედაგოგიური და სხვ.) განვითარება; ექსპერიმენტული კვლევების პრინციპების გადატანა ლაბორატორიიდან საველე პირობებში; სამეურნეო სიტუაციების რაოდენობის ზრდა, რომლებიც ექვემდებარება ეკონომიკური ექსპერიმენტის გზით მოდელირებას; ასე, რომ ეკონომიკური ექსპერიმენტების მეთოდს დიდი მომავალი აქვს. მისადმი დამოკიდებულება აუცილებლად უნდა შეიცვალოს და სწორედ ამაშია მთლიანად ეკონომიკური მეცნიერების პროგრესის გარანტია.

ამრიგად, ეკონომიკური დაკვირვება არის სოციალური დაკვირვება, როდესაც დამკვირვებელი (ეკონომისტ-მკვლევარი ან ეკონომისტ-პრაქტიკოსი) მიზანმიმართულად, ორგანიზებულად და გაცნობიერებულად აღიქვამს პირველად ეკონომიკურ ინფორმაციას ეკონომიკური ფაქტების სახით. გარკვეული თანამიმდევრობით ჩამოყალიბებული ეს ფაქტები ქმნიან განსაზღვრულ

დასრულებულ, მთლიან სისტემას, რომელშიც შემდგომში შესაძლოა გამოყენებულ იქნას თეორიული ანალიზი.

ეკონომიკური დაკვირვება მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკურ გაზომვებთან და ეკონომიკურ მონიტორინგთან. ეკონომიკური გაზომვა ემპირიული პროცედურაა (ოპერაცია), რომლის დროსაც ხდება რაიმე სამეურნეო ობიექტის ან მისი პარამეტრების შედარება განსაზღვრულ ეტალონთან და საბოლოო შედეგს აქვს გამოსახულება განსაზღვრული შკალის მიხედვით. ეკონომიკური მონიტორინგი ეკონომიკური დაკვირვების განსაკუთრებული ტიპია, რომელიც მოიცავს რაიმე სამეურნეო პროცესის, მოვლენის ან სხვა ეკონომიკური ტენდენციის თვალყურის დევნებას.

ეკონომიკური ექსპერიმენტი არის რაიმე სამეურნეო პროცესის სამეცნიერო ან საწარმოო კვლევა მასზე აქტიური ზემოქმედების გზით, ამასთან იქმნება რაიმე ახალი პირობები ექსპერიმენტის წინასწარ განსაზღვრული მიზნის შესაბამისად და იცვლება სამეურნეო პროცესის მიმდინარეობა საჭირო მიმართულებით ან თვით სამეურნეო პროცესი იქმნება ხელოვნურად მისი მოდელირების გზით; ეკონომიკური ექსპერიმენტის მთავარი მიზანია ხელოვნურ სამეურნეო პირობებში ამა თუ იმ ჰიპოთეზის შემოწმება - უარყოფა ან დადასტურება; აღნიშნულ შემთხვევაში ექსპერიმენტი გამოდის როგორც ჰიპოთეზის შემოწმების მხოლოდ სამეცნიერო მეთოდი.

ექსპერიმენტალური ეკონომიკა არის თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მიმართულება, როდესაც ლაბორატორიულ პირობებში ტარდება კვლევები ამა თუ იმ სამეურნეო სიტუაციებში ინდივიდების ქცევის ეკონომიკური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ. ეს მიმართულება დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში გასული საუკუნის 60-70-ან წლებში განვითარდა. მისი ძირითადი წარმომადგენლები არიან: ვ. სმითი, დ. კანემანი, მ. ალე, ა. ტვერსკი.

თავი 9. მათემატიკური მეთოდები ეკონომიკურ გამოკვლევებში

1. ფორმალიზაცია და მათემატიზაცია, როგორც მეცნიერული ცოდნის განვითარების მეთოდები

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო ეკონომიკური მეცნიერების ღრმა მათემატიზაცია. შეიძლება ითქვას, რომ მათემატიკური მეთოდების გამოყენებამ შეცვალა ეკონომიკური მეცნიერების არა მხოლოდ შინაარსი, არამედ მისი სტატუსიც სხვა დისციპლინებთან მიმართებაში. იგი თანდათან ჩამოსცილდა "ჰუმანიტარულ" დისციპლინებს, თუმცა შეინარჩუნა "სოციალური" მეცნიერების სტატუსი. ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკურ მეცნიერებას შეიძლება მიენიჭოს როგორც სოციალური, ისე კვაზისაბუნებისმეტყველო სტატუსიც.

ადამიანი გარემომცველი სამყაროს შემეცნების პროცესში მრავალ არაორდინარულ სირთულესა და პრობლემას აწყდება, რომელთა წარმატებით გადაჭრის საშუალებას ზოგჯერ მისი გონებრივი შესაძლებლობები არ იძლევა. თუმცა, შემეცნებით პრაქტიკაზე დაყრდნობით ადამიანებმა მოახერხეს შეემუშავებინათ რიგი გნოსეოლოგიური ხერხებისა (მეთოდებისა), რომლებმაც საგრძნობლად გაამარტივეს კვლევის პროცესი და ფანტასტიკური გარღვევა მოახდინეს უცნობ რეალობებში. ორ ასეთ უმნიშვნელოვანეს გნოსეოლოგიურ მეთოდს წარმოადგენს ფორმალიზაცია და მათემატიზაცია.

ფორმალიზაცია- ეს არის გნოსეოლოგიური მეთოდი, რომელიც ეფუძნება გამოსაკვლევი პროცესის ან მოვლენის ფორმალური სტრუქტურის გამოვლენასა და ფიქსაციას, აგრეთვე პროცესის (ან მოვლენის) შინაარსობრივ ელემენტებზე გარკვეული აბსტრაქტული სიმბოლოებისა და მნიშვნელობების მიწერას;ფორმალიზაციის პროცესის შედეგს წარმოადგენს პროცესის ან მოვლენის ფორმალიზებული მოდელის შექმნა, რომელიც ამ პროცესის ან მოლენის შესახებ ახალი ცოდნისა და ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა.

ფართო გაგებით, ფორმალიზაციის ცნების ქვეშ გულისხმობენ საგნის ან პროცესის ფორმის მისი შინაარსისაგან გამოყოფას.

არსებობს ფორმალიზაციის რამდენიმე ძირითადი ეტაპი. მათგან პირველი შეიძლება დავახასიათოთ როგორც ფორმალიზაცია ბუნებრივ, ე.ი. ყოველდღიურ საურთიერთობო ენაზე.

სამწუხაროდ, ბუნებრივი (ენობრივი) ფორმალიზაცია ვერ უზრუნველყოფს ცნებათა ცალსახა გამოყენებას, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია მეცნიერული შემოქმედებისა და კომუნიკაციის პროცესისათვის. უფრო მეტიც, მას არ შეუძლია კონსტრუირებადი თეორიის სისრულის უზრუნველყოფა, რაც მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებლის როლს თამაშობს მისი ჭეშმარიტების შეფასებაში (თეორიის სისრულე ნიშნავს საწყისი აქსიომებისა და პოსტულატების საფუძველზე ამ თეორიის ყველა წინადადების დამტკიცების შესაძლებლობას).

მეცნიერული ცოდნის ფორმალიზაციის შემდგომ ეტაპს მისი ლოგიკური ფორმალიზაცია (ანუ ფორმალიზაცია ფორმალური და მათემატიკური ლოგიკის წესების საფუძველზე) წარმოადგენს, რაც მთელი რიგი პირობების უზრუნველყოფას მოითხოვს: 1) ფორმალიზებადი სისტემის ”ალფავიტის” შექმნას; 2) ”გრამატიკის” წესების დამუშავება, რომელთა შესაბამისად ხორციელდება ფორმალიზაცია, ლოგიკური დასკვნის გაკეთების წესის ჩათვლით; 3) ძირითადი და არაძირითადი წინადადებების განცალკავება, ე.ი. აქსიომათა გამოყოფა, რომელთაგანაც შემდგომში გამოყვანილი იქნება ამ თეორიის თეორემები. ბოლო პუნქტი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ლოგიკური ფორმალიზაციის ერთერთ საფეხურს ფორმალიზებადი თეორიის აქსიომატიზაცია უნდა წარმოადგენდეს.

ლოგიკური ფორმალიზაცია რთული, მრავალსაფეხურიანი პროცესია. როგორც წესი, ასეთი ფორმალიზაცია არასოდეს არ არის აბსოლუტური, ანუ სრული. მეცნიერული ცოდნის აბსოლუტური ლოგიკური ფორმალიზაციის მთავარ დაბრკოლებას სისრულისა და არაწინააღმდეგობრივობის მოთხოვნათა არათავსებადობა წარმოადგენს, რის დამტკიცებასაც მიეძღვნა ე.წ. ”გიოდელის

თეორემა”. ეს თეორემა ამტკიცებს, რომ ფორმალიზებული თეორიის აბსოლუტური სისრულე შესაძლებელია მხოლოდ მასში ისეთი წინადადებების არსებობის შემთხვევაში, რომლებიც დამტკიცებადი არ არიან თვით თეორიის ჩარჩოებში. თუ ყველა წინადადება დამტკიცებადია თეორიის ჩარჩოებში, მაშინ თვით ეს თეორია არასრული იქნება.

ფორმალიზაციის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს მისი სიმბოლიზაცია წარმოადგენს, რომელიც შეიძლება განისაზღვროს, როგორც გარკვეულ პირობით აღნიშვნათა სისტემის შემუშავება მეცნიერების ხელოვნური ენის შექმნის ჩარჩოებში. ტრადიციულად, სიმბოლიზაცია იწყება სპეციალური მეცნიერული ტერმინების გამოყენებით, რომლებიც თანდათანობით იცვლება გარკვეული სიმბოლოებით ; შემოღებული სიმბოლოები დაჯგუფებითა და ერთმანეთთან კომბინირებით თანდათან გარდაიქმნება ხელოვნურ, მეცნიერების სპეციალურ ენად, რომელიც მხოლოდ მკვლევართა მოცემული ჯგუფისათვის არის გასაგები. ეს ხელოვნური ენა მათთვის ერთგვარი შიფრის ან კოდის როლს თამაშობს, რომლის მეშვეობით მეცნიერთა ეს ჯგუფი ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ.

ფორმალიზაციის ლოგიკური და ენობრივი ტიპების გარდა არსებობს კიდევ ერთი, მეტად ეფექტური და გაცილებით გავრცელებული მეთოდი ფორმალიზებული ცოდნის ხარისხის გასაუმჯობესებლად - ეს არის მათემატიზაცია.

მათემატიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც მეცნიერული (და ყველა სხვა) ცოდნის ფორმალიზების სპეციფიკური მეთოდი, რომელიც ემყარება გაზომვის, შედარებისა და გაანგარიშების პროცედურების გამოყენებას.

მათემატიზაციის ლოგიკურ-გნოსეოლოგიური აზრი დაახლოებით იგივეა, რაც ფორმალიზაციის მეთოდისა: ობიექტის ფორმალური სტრუქტურის გამოყოფა და მასთან ოპერირება. მათემატიზაციის შემთხვევაში ასეთი ფორმალური ოპერირება, პირველ რიგში, დაიყვანება რაოდენობრივ, რიცხვით პროცედურებზე: გაზომვაზე, შედარებასა და გამოანგარიშებაზე.

მათემატიზაციის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: მეტრიკული მათემატიზაცია (მათემატიზაციისადმი კლასიკური მიდგომა, რომელიც გაზომვას, შედარებასა და გამოანგარიშებას ემყარება) და არამეტრიკული მათემატიზაცია (დამყარებული მათემატიკური ცოდნის სტრუქტურის სხვა მეცნიერებაზე გადატანაზე).

მეტრიკული მათემატიზაცია - ეს არის მათემატიზაცია მეცნიერების ამა თუ იმ სფეროში გაზომვის, შედარებისა და გამოანგარიშების რაოდენობრივი პროცედურების დანერგვის საშუალებით.

ეს მათემატიზაციის ყველაზე გავრცელებული და ფართოდ გამოყენებადი სახეობაა; ასეთ მეთოდს იყენებს ფიზიკა, ასტრონომია, ქიმია და პრაქტიკულად ყველა საბუნებისმეტყველო მეცნიერება. სოციალური მეცნიერებებიდან ეს მეთოდი გამოიყენება ისტორიაში, ფსიქოლოგიასა და ზოგიერთ სხვა დისციპლინაში.

არამეტრიკული მათემატიზაცია შედარებით იშვიათად გამოიყენება ვიდრე მეტრიკული. აქ მთავარი პრინციპი მდგომარეობს მათემატიკური ცოდნის სტრუქტურის მეცნიერული ცოდნის რაიმე შინაარსობრივ სფეროში გადატანაში მათემატიკური მოდელირების საშუალებით.

2. ფორმალიზაცია და მათემატიზაცია ეკონომიკურ მეცნიერებაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეკონომიკრი ცოდნის ფორმალიზაცია და მათემატიზაცია სათავეს XIX საუკუნიდან იღებს, თუმცა პირველი მცდელობები ჯერ კიდევ XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. ესენია უ. პეტტის ”პოლიტიკური არითმეტიკა” და ფ. კენეს ”ეკონომიკური ცხრილი”. შემდგომში ეკონომიკური მეცნიერების ფორმალიზაციამ ძალიან მალე ეკონომიკური ცოდნის მათემატიზაციის სახე მიიღო.

ფორმალიზაცია ეკონომიკურ გამოკვლევებში უნდა განისაზღვროს როგორც მეთოდი, რომელიც ემყარება სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების

ფორმალური სტრუქტურის გამოვლენასა და ფიქსაციას, აგრეთვე, მეთოდი, რომელიც ასეთი პროცესების (მოვლენების) შინაარსობრივ ელემენტებს მიაწერს რაიმე აბსტრაქტულ სიმბოლოებსა და მნიშვნელობებს.

ეკონომიკური მეცნიერების ფორმალიზაცია რამდენიმე ეტაპად ხორციელდებოდა, მაგრამ არცერთი მათგანი არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად - ეკონომიკა ხომ მრავალ ასპექტში თვისობრივ მეცნიერებად რჩება. პირველ ეტაპზე განხორციელდა ეკონომიკური ცოდნის ფორმალური მხარის შინაარსობრივისაგან გამოყოფა. შემდგომში გამოჩნდა პირველი საყოველთაოდ მიღებული ცნებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ კომუნიკაციას (”შრომა”, ”კაპიტალი”, ”პროცენტი”, ”რენტა” და ა.შ.). მატემატიკური მეთოდების დანერგვის შედეგად ცნებები თანდათანობით შეიცვალა სიმბოლოებით, ხოლო მათ შორის ლოგიკური კავშირების ინტერპრეტაცია გადავიდა მათემატიკური დამოკიდებულებების - შედარების, გაზომვისა და გამოანგარიშებების ენაზე: დადგა ეკონომიკური ცოდნის მათემატიზაციის ეტაპი.

ეკონომიკური ცოდნის მათემატიზაცია შემდეგი მიმართულებებით განვითარდა:

1) პირველი - ეს არის ეკონომეტრიკული მიმართულება. მისი ამოცანა მდგომარეობდა ეკონომიკაში მონაცემთა შეგროვებისა და გაზომვის სტატისტიკური პრინციპების დანერგვაში, გამოსაკვლევი რეალობის რაოდენობრივ გამოსახვასა და მისი საზღვრების ზომის დადგენაში;

2) მეორე მიმართულება არის ეკონომიკური რეალობის სხვადასხვა სახის მათემატიკური მოდელის აგება. შეიძლება ითქვას, რომ მათემატიკური მეთოდისათვის ეს გარღვევის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენს;

3) მესამე მიმართულება დაკავშირებულია ეკონომიკურ პრაქტიკაში მათემატიკური ექსპერიმენტის მოდელის დანერგვასთან. ეს მიმართულება ემყარება ეკონომიკურ მეცნიერებაში მრავალჯერად მათემატიკურ მოდელირებას სწრაფქმედი კომპიუტერის გამოყენებით, ანუ მოდელებზე ჩატარებულ

ექსპერიმენტს. ეს მეთოდი თეორიულის (მათემატიკურის) ემპირიულთან (ექსპერიმენტთან) შეერთების საშუალებას იძლევა ეკონომიკური შემეცნების პროცესში, რითაც გარკვეულწილად კომპენსირდება ჩვეულებრივი ემპირიული მეთოდების (კერძოდ, ეკონომიკური ექსპერიმენტის) დეფიციტი სამეურნეო ფენომენების გამოკვლევის დროს;

4) დაბოლოს, მეოთხე მიმართულება - ეს არის ეკონომიკური ცოდნის არამეტრიკული მათემატიზაცია, რომელიც ემყარება თვისობრივი მათემატიკის პრინციპების ეკონომიკურ თეორიასა და პრაქტიკაზე გადატანას.

თვისობრივი მათემატიკა - ეს არის მათემატიკის ტიპი, რომელიც იკვლევს რაოდენობრივ და რიცხვით კალკულაციებს შესასწავლი ობიექტების თვისობრივ ცვლილებებთან მჭიდრო კავშირში.

თვისობრივ მათემატიკას ზოგჯერ "ჰუმანიტარულ მათემატიკასაც" უწოდებენ. იგი შეიძლება გამოყენებული იქნას იმ შემთხვევებში, როდესაც უფრო მარტივია ეკონომიკური დამოკიდებულებები წარმოვადგინოთ გეომეტრიულად, რომელიც ასახავს სამეურნეო ობიექტის გარკვეულ თვისობრივ ცვლილებებს. განსაკუთრებული წარმატებით იყენებენ ეკონომიკაში სხვადასხვა გრაფებს, ქსელებს, ბლოკ-სქემებს და ა.შ. თვისობრივი მათემატიკური მეთოდი შეიძლება დავაკავშიროთ აგრეთვე რთული სამეურნეო ობიექტების სკალირების პრობლემასთან.

ეკონომიკაში თვისობრივი მათემატიკის წარმატებული გამოყენების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ დარგის განვითარების ე.წ. "ობობას ქსელისებრი მოდელი", რომელიც შეიმუშავა 1969 წლის ნობელის პრემიის ლაურეატმა, ჰოლადიელმა ეკონომისტმა ი. ტინბერგმა.

3. მათემატიკური მეთოდი ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში

ეკონომიკურ მეცნიერებაში მათემატიკური მეთოდის ჩასახვა საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია, რომელიც გადაჯაჭვულია ეკონომიკური ცოდნის თანდათანობითი ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის პროცესთან. შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური მეცნიერების ფორმალიზაციისა და მათემატიზაციის

”ხარისხის” ზრდასთან ერთად მათემატიკური მეთოდი უფრო და უფრო ღირსეულ ადგილს იკავებდა ეკონომიკურ კვლევებში.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ მიმართულებით პირველები იყვნენ უ. პეტტი და ფ. კენე. პეტის დამსახურება, ცხადია, იმაში მდგომარეობდა, რომ მან ყველაზე ადრე დააყენა ეკონომიკურ მეცნიერებაში მათემატიკის ენის გამოყენების საკითხი.

რაც შეეხება კენეს, მან ერთერთმა პირველმა დანერგა თავის ”ეკონომიკურ ცხრილში” მათემატიკური მიდგომა მაკროეკონომიკაში, გააკეთა რა ”წლიური შემოსავლების და ავანსების” გაანგარიშებები, რაც მსგავსია -სა და -ს გაანგარიშებებისა თანამედროვე მაკროეკონომიკურ ანალიზში.

განსაკუთრებული წვლილი მათემატიკური მეთოდის დამკვიდრებაში შეიტანა ფრანგმა ეკონომისტმა ანტუან კურნომ. თავის ნაშრომში (რაც პრაქტიკულად შეუმჩნეველი დარჩა მისი თანამედროვეებისათვის) ”სიმდიდრის თეორიის მათემატიკური პრინციპების გამოკვლევა” (1838 წ.) მან პირველმა გამოიყენა მათემატიკური ხერხები ეკონომიკური ჭეშმარიტებების გამოსაყვანად, კერძოდ, ჩამოაყალიბა ერთობლივი მოთხოვნის კანონი, მონოპოლისტური ფასწარმოქმნისა და დანახარჯების კონკურენტული მექანიზმის თეორიები მკაცრ მათემატიკურ ენაზე.

XIX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება აგრეთვე მარგინალური მათემატიკური სკოლის ჩამოყალიბება ეკონომიკურ აზროვნებაში.

მათემატიკური სკოლა შეიძლება განვმარტოთ როგორც ეკონომისტთა ჯგუფი, რომლებიც ცხოვრობენ ერთ რეგიონში დაახლოებით ერთიდაიმავე პერიოდში და რომელთა მეთოდოლოგია ცხადი თუ არაცხადი ფორმით ამტკიცებს მათემატიკური მეთოდების პრიორიტეტს ყველა სხვა მეთოდებთან შედარებით როგორც მაკროეკონომიკრ, ისე მიკრო ეკონომიკურ გამოკვლევებში.

ეკონომიკური აზროვნების ისტორიაში ცნობილია რამდენიმე მსხვილი ეკონომიკური სკოლა, რომელთაგანაც პირველი იყო სკოლა, რომელიც ჩამოყალიბდა მარგინალური მიდგომის საფუძველზე XIX საუკუნის ბოლოს. ამ სკოლის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ ლ. ვალრასი

(შვეიცარია), ვ. პარეტო (იტალია), უ. ჯევონსი, ფ. ეჯვორტი (დიდი ბრიტანეთი), კ. ვიკსელი (შვეცია).

ეს სკოლა ეფუძნებოდა მკვეთრად გამოხატულ მარგინალურ მეთოდოლოგიას და ანალიზის პროცესში აქტიურად იყენებდა სხვადასხვა კატეგორიას: ზღვრული სარგებლიანობა, ზღვრული მწარმოებლურობა, გოსსენის ორივე კანონი, ინდიფერენტულობის მრუდები და ა.შ. თანდათანობით, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოლოგიის გავრცელებასთან ერთად მარგინალურმა სკოლამ შეწყვიტა არსებობა, როგორც ცალკე აღებულმა მიმართულებამ და შეერწყა ეკონომიკურ-მათემატიკური სკოლებისა და დოქტრინების საერთო ნაკადს.

რუსული მათემატიკური სკოლის (XIX საუკუნის ბოლო, XX საუკუნის დასაწყისი) თვალსაჩინო წარმომადგენელია ე.სლუცკი, რომლის სახელთან დაკავშირებულია სამომხმარებლო ბიუჯეტის მდგრადობის განტოლება.

რაც შეეხება საბჭოთა მათემატიკურ სკოლას (XX საუკუნის 50-60-იანი წლები), მის ყველაზე დიდი წარმომადგენელი, უდავოდ, ლ. კანტოროვიჩია, რომლის სახელთან დაკავშირებულია მათემატიკური პროგრამირების ამოცანის დასმა.

სხვათა შორის ლ. კანტოროვიჩი ერთადერთი საბჭოთა ეკონომისტ-მათემატიკოსია, რომელსაც 1975 წელს ნობელის პრემია მიენიჭა (ამერიკელ ეკონომისტ ტ. კუპმანსთან ერთად). უნდა აღინიშნოს ნობელის კომიტეტის შესაბამისი ოფიციალური ფორმულირება: ”რესურსების ოპტიმალური განაწილების თეორიაში შეტანილი წვლილისათვის”.

4. მათემატიკური მეთოდების განვითარების გზები თანამედროვე ეკონომიკურ კვლევებში

ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების ენერგიულმა განვითარებამ ფუნდამენტური გარღვევა მოახდინა ახალი ეკონომიკური ცოდნის ფორმირების მიმართულებით. შეიძლება გამოიყოს თანამედროვე ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების განვითარების რამდენიმე ძირითადი გზა.

ეკონომიკური პროცესების მათემატიკური მოდელირება თავისი არსით მათემატიკის გამოყენების მთავარ ინსტრუმენტს წარმოადგენს სამეურნეო პროცესების გამოკვლევისა. ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა მეტნაკლები წარმატებით გადავწყვიტოთ კონკრეტული ეკონომიკური პრობლემები, რაც მათემატიკური მოდელირების მეთოდის ეფექტურობის საუკეთესო დადასტურებაა.

თანამედროვე მათემატიკური ეკონომიკა საკითხთა ფართო წრეს: რესურსების ოპტიმალური განაწილება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, ეკონომიკური წონასწორობის თეორია და სხვა პრობლემები. ამ დროს მათემატიკურ ეკონომიკას მკვლევარი მიჰყავს მხოლოდ ფორმალურ და ლოგიკურ ჭეშმარიტ დასკვნებამდე მათემატიკური ინსტრუმენტების გამოყენებით, ხოლო მათემატიკური ეკონომიკის მოდელების შინაარსობრივი ინტერპრეტაცია მის ფარგლებს გარეთ გადის - თეორიული და ემპირიული ეკონომიკის სფეროში.

ოპტიმალური მართვის მეთოდები და მეთოდოლოგია იკვლევს ოპტიმალობის პრინციპების ეკონომიკურ პრაქტიკაში დანერგვის პრობლემებს. აქ მთავარია ეკონომიკური ოპტიმუმის ცნება. ეკონომიკური ოპტიმუმი - ეს არის ეკონომიკური სისტემის საუკეთესო მდგომარეობა ყველა შესაძლო მდგომარეობათა შორის.

როგორ შეიძლევა ამ მდგომარეობის მიღწევა ?

ეკონომიკური ოპტიმალობისაკენ სწრაფვა განაპირობებს ოპტიმალური მართვის პარამეტრის შემოღებას. ასეთი მდგომარეობის მიღწევა დამოკიდებულია როგორც მართვის სუბიექტზე, ისე მართვის ობიექტზეც, რომელსაც იგი მართავს. ოპტიმალობის ფორმალური და მათემატიკური გამოსახულება უნდა შეესაბამებოდეს მართვის შინაარსობრივ მხარეს: სხვანაირად, მართვა ყოველთვის არაოპტიმალური იქნება და ოპტიმიზაციის მათემატიკური ინსტრუმენტი სრულიად უსარგებლო აღმოჩნდება.

ეკონომეტრიკა - ეს არის მიმართულება, რომელიც ახორციელებს მინიმუმ სამი დისციპლინის - ეკონომიკური თეორიის, სოციალ-ეკონომიკური სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის კომბინირებას. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების გაზომვა და

რაოდენობრივი ანალიზი, კონკრეტული ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა და მიღებული ამონახსნების სამეურნეო პრაქტიკაში დანერგვა.

ეკონომიკური კიბერნეტიკა თავის თავში მოიცავს ეკონომიკის სისტემურ ანალიზს, ეკონომიკური ინფორმაციის თეორიას, ეკონომიკურ სემიოტიკას, მართვადი სისტემების თეორიას და ა.შ. ეკონომიკური კიბერნეტიკის მთავარ მეთოდს ე.წ. "შავი ყუთის" მეთოდი წარმოადგენს, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური ობიექტის მოდელირებას ეკონომიკური ინფორმაციის ცნობილი მონაცემებით მხოლოდ მის შესასვლელზე და გამოსასვლელზე, ხოლო ობიექტის (შიდა) სტრუქტურის შესახებ მკვლევარი არავითარ ინფორმაციას არ ფლობს.

სამწუხაროდ, XX საუკუნის ბოლოსათვის ეკონომიკურმა კიბერნეტიკამ ვერ გაამართლა ის დიდი მოლოდინი, რომელიც საწყის ეტაპზე მასთან იყო დაკავშირებული. ეს, პირველ ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ეკონომიკო-კიბერნეტიკული მიდგომა უპირატესად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რომელიც ვერ ახდენს გავლენას როგორც თვით ეკონომიკური სისტემის არსზე, ისე მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაზე. მას უფრო შეუძლია დაგვეხმაროს ლოკალური და არა გლობალური ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტაში, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პრინციპთა უმრავლესობა, რომელიც ჩადებული იყო ეკონომიკურ კიბერნეტიკაში ადრეულ ეტაპზე, დღესაც საკმაო წარმატებით გამოიყენება ეკონომიკურ მეცნიერებაში.

თამაშთა თეორიამ თავისი გამოყენება ეკონომიკურ პროცესებში ჰპოვა გასული საუკუნის შუა პერიოდიდან, რაშიც ფუნდამენტური როლი ითამაშა ამერიკელი მეცნიერების ჯ. ნეიმანისა და ო. მორგენშტერნის მონოგრაფიამ "თამაშთა თეორია და ეკონომიკური ქცევა" (1944 წ.). იქედან მოყოლებული, თამაშთა თეორიის სხვადასხვა მეთოდი ეკონომიკაში გამოიყენება სტრატეგიულ დაგეგმვასთან და მართვასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზის პროცესში, მენეჯმენტის პრაქტიკაში, ეკონომიკურ კონფლიქტოლოგიაში და ა.შ. თამაშთა თეორიის ელემენტები აგრეთვე გამოიყენება საქმიანი თამაშების ჩატარებისა და ეკონომიკური ექსპერიმენტირების პრაქტიკაში.

ვაჯამებთ რა თანამედროვე მათემატიკური მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას ეკონომიკური ცოდნის განვითარებაში, საინტერესოა ყურადღების

გამახვილება შემდეგ გარემოებაზე - ეკონომისტებს შორის, რომელთაც 1969-2002 წლებში ნობელის პრემია მიიღეს, 45-დან 60%-მდე ეკონომისტ-მათემატიკოსია იმაზე დამოკიდებულებით, თუ რას ვიგულისხმებთ "ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების" განვითარებაში, რადგანაც, იშვიათია ნობელის პრემიის ლაურეატი საკუთარი მათემატიკური გაანგარიშებების გარეშე. მოყვანილი პროცენტული მაჩვენებლები, უდავოდ, ხაზს უსვამს მათემატიკური მეთოდების მნიშვნელობას თანამედროვე ეკონომიკური შემეცნების პროცესში.

5. ეკონომეტრიკა, მისი მიზნები და ამოცანები

ეკონომეტრიკა ეკონომისტის მათემატიკურ განათლებაში ერთერთი საკვანძო დისციპლინის როლს თამაშობს. თვით ტერმინი ორი სიტყვის "ეკონომიკისა" და "მეტრეოს" (გაზომვა, ძვ. ბერძ.) სინთეზს წარმოადგენს. ტერმინის რამდენიმე შინაარსიდან გამომდინარე ძირითადია აზრი, რომლის თანახმადაც ეკონომეტრიკა წარმოადგენს ეკონომიკური თეორიის, ეკონომიკური და მათემატიკური სტატისტიკის ბაზაზე აგებულ ინსტრუმენტალურ მეცნიერებას.

ისტორიულად ეკონომეტრიკა სათავეს იღებს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან, ეკონომიკური მეცნიერების პირველი მარგინალური მათემატიკური სკოლიდან. სწორედ მაშინ ჩაეყარა საფუძველი ეკონომეტრიკული მიდგომის ძირითად პრინციპებს, რომლებმაც შემდგომი განვითარება ჰპოვეს რ. ფრიშის, ი. ტინბერგენის, ვ. ლეონტიევის, პ. სამუელსონის და სხვა მეცნიერების შრომებში.

ეკონომეტრიკული გამოკვლევების ძირითად ხერხს ეკონომეტრიკული მოდელირება წარმოადგენს. ეს უკანასკნელი მათემატიკური და სტატისტიკური მოდელირების სახესხვაობაა, რომელიც უნდა ექვემდებარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

1) ამ მოდელირებამ უნდა შეძლოს სამეურნეო პროცესების პროგნოზირება ან იმიტაცია;

2) გადასაწყვეტი ამოცანების მასშტაბსა და პროფილზე დამოკიდებულებით ეკონომეტრიკულმა მოდელმა უნდა შეძლოს ინვესტიციების, ფასწარმოქმნის, ფინანსური ან სოციალური პოლიტიკის და სხვა პრობლემების გამოკვლევა;

3) ეკონომეტრიკულმა მოდელმა უნდა ახსნას ენდოგენური ცვლადების ქცევა ეკზოგენურ და ლაგურ ცვლადებზე დამოკიდებულებით;

4) ეკონომეტრიკული მოდელი თანმიმდევრობით უნდა დაექვემდებაროს სპეციფიკაციას, იდენტიფიკაციასა და ვერიფიკაციას.

თუმცა ეკონომეტრიკული მოდელის აგება მთავრდება მისი იდენტიფიკაციით, საბოლოო ანგარიშით, მხოლოდ მისი ვერიფიკაცია ადასტურებს, ან უარყოფს ამ მოდელს. როგორც წესი, ბოლო შემთხვევა ეკონომისტ-მათემატიკოსისაგან ახალი ეკონომეტრიკული მოდელის აგებას მოითხოვს.

6. მათემატიკური ექსპერიმენტი

იდეალური ეკონომიკური ექსპერიმენტის ერთერთ სახეობას მათემატიკური ექსპერიმენტი წარმოადგენს. მოკლედ მიმოვიხილოთ ამ ექსპერიმენტის როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური ასპექტები.

ერთის მხრივ, მათემატიკური ექსპერიმენტი შეიძლება განვიხილოთ, როგორც მათემატიკური მოდელირების ერთერთი სახეობა, ხოლო მეორეს მხრივ, როგორც იდეალური ექსპერიმენტის განსაკუთრებული ტიპი. თუმცა, იმისათვის, რომ დავაზუსტოთ მოყვანილი ცნების შინაარსი, უნდა განვიხილოთ მისი მესამე მხარეც: ეს არის კომპიუტერული მოდელირების ერთერთი სახეობა.

მათემატიკური ექსპერიმენტი - ეს არის იდეალური ექსპერიმენტის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ხორციელდება მრავალჯერადი მათემატიკური მოდელირების ფორმით სწრაფქმედი კომპიუტერებისა და კომპიუტერული ქსელების გამოყენებით.

მათემატიკური ექსპერიმენტის ჩატარების წინაპირობას ეკონომიკაში პირველ რიგში ეკონომიკური ცოდნის ფორმალიზაცია და მეორეც, თვით ეკონომიკური ექსპერიმენტის ფორმალიზაცია წარმოადგენს. ხოლო ამ უკანასკნელის

წინაპირობა კი საგნობრივი (ნატურალური) ეკონომიკური ექსპერიმენტის მათემატიკურ მოდელში გადაყვანის შესაძლებლობა წარმოადგენს. ამ დროს ხდება თვით იმ სამეურნეო ობიექტის ფორმალიზაცია და მათემატიზაცია, რომელზედაც მათემატიკური ექსპერიმენტი ტარდება.

ეკონომიკაში მათემატიკური ექსპერიმენტის ჩატარების დროს მოქმედებს სამეურნეო პროცესებისმათემატიკური მოდელირების ყველა ძირითადი პრინციპი: ანალიზი, შედეგების ინტერპრეტაცია და მათი ეკონომიკურ ფაქტებთან შეჯერება. მაგრამ მათემატიკური მოდელირებისაგან განსხვავებით მათემატიკური ექსპერიმენტი ამით არ მთავრდება - აუცილებელია შემოწმდეს მოდელების სხვადასხვა ვარიანტი, ე.ი. განხორციელდეს ექსპერიმენტი მოდელებზე.

კომპიუტერული მოდელირებასთან შერწყმული მათემატიკური ექსპერიმენტი ეკონომიკურ ექსპერიმენტირებას უფრო ხელმისაწვდომს ხდის, კონკრეტული ეკონომიკური მოდელებისაგან განსხვავებით, რომლებიც ამა თუ იმ სამეურნეო პროცესებს აღწერენ, იგი უფრო უნივერსალურია და მართვადია. გარდა ამისა, მათემატიკური ექსპერმეტირების შედეგების ანალიზი, ახსნა და ინტერპრეტაცია უფრო მარტივია, ბევრ დროს არ მოითხოვს.

7. მათემატიკური მეთოდის ადგილი ეკონომიკური მეცნიერების სხვა მეთოდებს შორის

ეკონომიკურ მეცნიერებაში მათემატიკური მეთოდის გამოყენების ძირითადი მიმართულებების განხილვის შემდეგ, ბუნებრივია დაისვას კითხვა: როგორი ადგილი უჭირავს მას ეკონომიკური მეცნიერების ყველა მეთოდის სისტემაში და როგორია მისი როლი ეკონომიკური მეცნიერების პროგრესში?

დასმულ კითხვას შემდეგნაირად შეიძლება ვუპასუხოთ:

მათემატიკურმა მეთოდმა შესაძლებელი გახადა ეკონომიკური მეცნიერების ფორმალიზაცია, მისი მრავალი პრობლემის გაზომვის, შედარებისა და გაანგარიშების მათემატიკურ ენაზე გადაყვანა, უფრო მარტივი გზით

მნიშვნელოვანი შედეგების მიღება ისეთ სფეროებში, რომლებშიც არამათემატიკური, თვისობრივი მეთოდების გამოყენება არაეფექტური აღმოჩნდა.

თუმცა, გადაჭარბებულად არ უნდა იქნას შეფასებული მათემატიკური მეთოდი ეკონომიკური კვლევის სხვა მეთოდებთან შედარებით. მათემატიკურმა მეთოდმა და ფორმალიზაციამ არ უნდა ჩაანაცვლოს ეკონომიკური თეორია, განსაკუთრებით მის თვისობრივ ასპექტში და რაც მთავარია, უნდა გვახსოვდეს, რომ მათემატიკურ მეთოდს არ შეუძლია კონკრეტული ეკონომიკური თეორიის ემპირიული ვერიფიკაცია, მას შეუძლია მხოლოდ გაამარტივოს იგი.

მათემატიკური მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში მხოლოდ სწორი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა დადგენილი აქსიომებიდან და წინაპირობებიდან და არა ეკონომიკური თეორიის ან ჰიპოთეზების ვერიფიკაციისა. სამწუხაროდ, ეკონომისტებს განსაკუთრებით, ეკონომისტ-მათემატიკოსებს შორის გავრცელებულია გადაჭარბებული წარმოდგენა მათემატიკურ მეთოდებზე ეკონომიკურ კვლევებში. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია ვიმსჯელოთ ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების ნაკლოვან მხარეებზეც.

8. მათემატიკური მეთოდების ნაკლოვანებანი და თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების მათემატიზაციის კრიტიკა ეკონომისტთა და სხვა დისციპლინების წარმომადგენელთა მხრიდან

მათემატიკური მეთოდს უამრავი ღირსების მიუხედავად, რიგი ნაკლოვანებებიც გააჩნია, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც იგი გადაჭარბებულად გამოიყენება. მათემატიკური მეთოდების აღნიშნულ სუსტ ადგილებს ეკონომიკაში შემდეგი ოთხი ძირითადი პუნქტის სახით ჩამოვაყალიბებთ:

1) მათემატიკური მეთოდის პირველი ნაკლოვანება ეკონომიკაში დაკავშირებულია იმასთან, რომ მას არ შეუძლია მოიცვას და აღწეროს თვისობრივი პროცესები ეკონომიკაში, აგრეთვე მისცეს მათ ადეკვატური ახსნა;

2) მეორე ნაკლოვანება იმაში მდგომარეობს, რომ მათემატიკური აპარატის გართულებასთან ერთად მნიშვნელოვნად რთულდება ეკონომიკური ჭეშმარიტებებისა და სხვა, განსაკუთრებით ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებში მიღებული შედეგების აღქმა;

3) მესამე ნაკლოვანებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი ეკონომიკურ მეცნიერებას წყვეტს ემპირიული ნიადაგიდან, ახდენს მის ვირტუალიზაციას;

4) მეოთხე ნაკლოვანება იმაში გამოვლინდება, რომ იგი ნაკლებად გვეხმარება კონკრეტული ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში და არაეფექტურად "მუშაობს" საღი აზრის დონეზე.

ჩამოთვლილი ნაკლოვანებები ყოველთვის უნდა ახსოვდეს იმ ეკონომისტებს, რომლებიც მათემატიკურ ინსტრუმენტებს იყენებენ.

თავი 10. სტატისტიკური მეთოდი ეკონომიკურ ანალიზში

1. სტატისტიკური მეთოდი, ძირითადი მიზნები და ამოცანები

სტატისტიკა, როგორც მეცნიერება, რამდენიმე მსხვილი ნაწილისაგან შედგება. ყოველ მათგანს თავისი ფუნქციები გააჩნია და შესაბამისი გამოყენება აქვს ეკონომიკურ პრაქტიკაში. იმისათვის, რომ კარგად გავერკვეთ ეკონომიკური სტატისტიკის თეორიასა და მეთოდებში, აუცილებელია ზოგად სტატისტიკურ მეცნიერებაში ჩაღრმავება.

სტატისტიკური მეცნიერების ყველაზე ზოგად პრინციპებს, კატეგორიებსა და მეთოდებს იკვლევს სტატისტიკის თეორია. სტატისტიკის თეორიის მათემატიკურ ქმნის მათემატიკური სტატისტიკა - მათემატიკის დარგი, რომელიც ეფუძნება

სტატისტიკური მონაცემების დამუშავების წმინდა რაოდენობრივ, რიცხვით მეთოდებს.

მათემატიკური სტატისტიკით ჩატარებული ანალიზი გულისხმობს სტატისტიკური დაკვირვების მრავალჯერ განხორციელების შესაძლებლობას ერთიდაიგივე პარამეტრების პირობებში.

მათემატიკური სტატისტიკა თავის ამოცანებს წყვეტს მისი შემადგენელი შემდეგი ორი ნაწილის ჩარჩოებში: სტატისტიკური შეფასების თეორია და ჰიპოთეზათა სტატისტიკური შემოწმების თეორია. პირველი ამუშავებს რიცხვითი პარამეტრების ან ფუნქციების მაქსიმალურად მიახლოებულ მნიშვნელობებს (ე.ი. სტატისტიკურ შეფასებებს) მათემატიკური ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით, რომლებიც ახასიათებს გამოსაკვლევი სამეურნეო სისტემის ფუნქციონირებას, ხოლო მეორე - სტატისტიკური ჰიპოთეზების საწყის სტატისტიკურ მონაცემებთან შედარების (შეპირისპირების) მეთოდებს.

გამოყენებითი სტატისტიკა - ეს არის სტატისტიკური დისციპლინა, რომელიც შედარებით გვიან, XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩამოყალიბდა. იგი იკვლევს პრობლემებს, რომლებიც უშუალოდ პრაქტიკაზეა ორიენტირებული და შემთხვევათა უმრავლესობაში პროცედურული, მეთოდური ხასიათისაა.

სტატისტიკური გამოკვლევა (მათ შორის სამეურნეო მიზნების მქონე) მოიცავს რამდენიმე ძირითად ელემენტს: 1) სტატისტიკური ფაქტების გამოკვლევა; 2) სტატისტიკური შეფასება; 3) სტატისტიკური ჰიპოთეზებისა და თეორიების დამუშავება; 4) სტატისტიკური ანალიზი, როგორც სტატისტიკური კატეგორიარული აპარატის კონკრეტული გამოყენება ამა თუ იმ კონკრეტულ პროცესებში; 5) სტატისტიკური შემოწმება; 6) სტატისტიკური მეთოდების საიმედოობის შეფასება.

თავის მეთოდოლოგიაში სტატისტიკა იყენებს სამ ძირითად მეთოდს:

1) სტატისტიკური დაკვირვების მეთოდი - გარკვეული სტატისტიკური ერთეულების რეგისტრაცია;

2) დაჯგუფების მეთოდი - სხვადასხვა სტატისტიკური ერთეულების შედგენილობის, სტრუქტურისა და ურთიერთკავშირის გამოვლენა;

3) მაჩვენებელთა მეთოდი - რაოდენობრივ მაჩვენებელთა განსაკუთრებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებზე (ინდექსებზე და სხვ.) დაყვანა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კერძომეცნიერულ სტატისტიკურ მეთოდოლოგიასა და კერძო სტატისტიკურ მეთოდებს.

რადგანაც სტატისტიკურ მეთოდებს მრავალი მეცნიერება იყენებს, სავსებით შესაძლებელია ვისაუბროთ ისეთი დისციპლინების არსებობაზე, როგორიცაა სოციალური სტატისტიკა, დემოგრაფიული სტატისტიკა, ისტორიული სტატისტიკა და ა.შ.

არსებობს სტატისტიკის სახეობა რომელიც მიმართულია სამეურნეო პროცესების გამოკვლევაზე, - ეკონომიკური სტატისტიკა.

ეკონომიკური სტატისტიკა - ეს არის სტატისტიკის ნაწილი, რომელიც სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას უზრუნველყოფს ციფრობრივი ინფორმაციით ეკონომიკისა და მასთან დაკავშირებული სოციალური პროცესების შესახებ.

ეკონომიკური სტატისტიკა ამუშავებს სტატისტიკური მეთოდების გამოყენების საკითხებს სამეურნეო მოვლენებსა და პროცესებში; იყენებს რა სტატისტიკური კვლევის ენას ეკონომიკურ ფაქტებთან მიმართებაში, იგი დახმარებას უწევს ხელმძღვანელ ორგანოებს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გამომუშავების პროცესში სამეურნეო სიტუაციების გათვალისწინებით.

”ეკონომიკური ანალიზის” ტერმინთან ანალოგიით კონკრეტულ სამეურნეო პროცესებთან მიმართებაში შესაძლებელია აგრეთვე ”სტატისტიკური ანალიზის” ტერმინის გამოყენებაც.

სტატისტიკური ანალიზის ცნების ქვეშ უნდა გვესმოდეს სამეურნეო საქმიანობის წარმართვის სხადასხვა ხერხების რაოდენობრივი გამოკვლევა სტატისტიკური თეორიისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად; იგი მიმართულია

სტატისტიკური მეცნიერების კატეგორიარული აპარატის გამოყენებაზე რეალურ, პრაქტიკულ სამეურნეო პროცესებში.

2. სტატისტიკური მეთოდების გამოყენების ისტორია ეკონომიკრ გამოკვლევებში

ეკონომიკური სტატისტიკის ფუძემდებლებად მიჩნეული არიან ფ. კენე, უ. პეტტი, აგრეთვე, ინგლისელი სტატისტიკოსი დ. გრაუნტი, ფრანგი მეცნიერი ა. დეპარსიე, XIX საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას კი ბელგიელი ეკონომისტი ლ. კიოტლე წარმოადგენდა. თავის ნაშრომში "სოციალური ფიზიკა და სოციალური სისტემა", მან სტატისტიკა განმარტა როგორც მეცნიერება საშუალო სიდიდეებისა და იმ კანონების შესახებ, რომლებიც განაპირობებენ ინდივიდუალური მნიშვნელობების საშუალოებიდან გადახრას. ლ. კიოტლემ ჩამოაყალიბა პირველი ფუნდამენტური სტატისტიკური კანონები - შესაძლებლობის კანონი და შემთხვევითი მიზეზების კანონი. ამ უკანასკნელში ბელგიელი მეცნიერი განიხილავდა "შემთხვევითობის შთანთქმის" პრობლემას.

XX საუკუნეში ეკონომიკური სტატისტიკა ინტენსიურად ვითარდებოდა. მნიშვნელოვანი წვლილი ამ დისციპლინის განვითარებაში შეიტანეს გერმანელმა ეკონომისტებმა ა. ვაგნერმა, გ. კნაპმა და გ. შმოლერმა, ინგლისელებმა კ. პირსონმა, უ. გოსეტმა, ა. ბოულიმ, მ. კენდელმა, რ. ფიშერმა, რ. სტოუნმა და დ. მიდმა, ამერიკელებმა ა. ვალდმა, ე. ნეიმანმა, გ. სტერჟესმა, ი. ფიშერმა და ვ. ლეონტიევმა, იტალიელმა სტატისტიკოსებმა რ. ბენინიმ და კ. ჯინიმ, პოლონელმა მეცნიერმა ვ. ბორტკევიჩმა და ინდოელმა პ. მალახანობისმა.

ამ საუკუნის განსაკუთრებულ მიღწევებს წარმოადგენს შერჩევითი მეთოდი, კორელაციის თეორია, მრავალგანზომილებიანი სტატისტიკური ანალიზი, დინამიკის მწკრივების ანალიზის მეთოდები, ინდექსური და ზოგიერთი სხვა

მეთოდი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ-სტატისტიკურ გამოკვლევებში.

თანამედროვე ეკონომიკური სტატისტიკა ფლობს სტატისტიკური ანალიზის მეთოდების დიდ არსენალს, რომლის გამოყენებით შესაძლებელია მრავალფეროვანი ციფრული ეკონომიკური ინფორმაციის გადამუშავება და მსოფლიო ეკონომიკური განვითარების საიმედო სტატისტიკური შეფასება.

3. თანამედროვე ეკონომიკური სტატისტიკა: კვლევების ძირითად მიმართულებები

თანამედროვე ეკონომიკური სტატისტიკა კვლევებს რამდენიმე მიმართულებით წარმართავს. მისი აპარატი აღჭურვილია ინდექსებისა და ფორმულების დიდი სიმრავლით, რომლებიც საშუალებას იძლევა ეკონომიკური და სოციალური განვითარების სხვადასხვა პარამეტრი გადავიყვანოთ ანგარიშებსა და ბალანსებში.

მრავალფეროვან სამეურნეო მაჩვენებელთა გასაანალიზებლად ეკონომიკურ სტატისტიკაში გამოიყენება ეროვნულ ანგარიშთა სისტემა.

როგორც ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ჩარჩოებში, ისე მის გარეთ ეკონომიკური სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას იერარქიული სტრუქტურა აქვს.

ეკონომიკის ცალკეულ დარგებსა და სფეროებს ეკონომიკური სტატისტიკის შესაბამისი ნაწილები იკვლევს.

დემოგრაფიული სტატისტიკა სწავლობს მოსახლეობის მდგომარეობას, მის რიცხოვნობას, გეოგრაფიულ განაწილებას, სქესობრივ-ასაკობრივ და ეროვნულ შემადგენლობას, სტრატიფიკაციას სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შესაბამისად. სტატისტიკის ამ ნაწილში განიხილება მოსახლეობის ბუნებრივი

აღწარმოება (დაბადება, ქორწინება, სიკვდილიანობა) და მიგრაციული პროცესები (ემიგრაცია და იმიგრაცია).

შრომითი რესურსების სტატისტიკა განსაზღვრავს შრომითი რესურსების რიცხოვნობას, შემადგენლობასა და დინამიკას, იკვლევს მომუშავეთა განაწილებას დარგებისა და ტერიტორიების შესაბამისად, აგრეთვე განაწილების ზოგიერთ სხვა სახეობასაც (პროფესიის, კვალიფიკაციის და ა.შ. შესაბამისად). აქვე განიხილება შრომითი კონფლიქტებისა და გაფიცვების, აგრეთვე, უმუშევრობის რეგისტრაციის საკითხები.

ეკონომიკური სუბიექტების სტატისტიკა იკვლევს სამეურნეო საქმიანობის მონაწილეთა შემადგენლობასა და დინამიკას. აქ მოქმედებს სპეციალური კლასიფიკატორი. იგი საშუალებას იძლევა განვახორციელოთ დაკვირვება ეკონომიკურ სუბიექტებზე და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია ორგანიზაციული ან საკუთრების ფორმის, საბაზრო წილის და ა.შ. შესაბამისად.

ფასების სტატისტიკა იკვლევს ფასწარმოქმნის შემადგენლობასა და დინამიკას. მის მთავარ ამოცანებს წარმოადგენს: 1) ფასების მდგომარეობის ზოგადი დახასიათება ბაზარზე როგორც მომხმარებელთა, ისე მწარმოებელთა მხრიდან; 2) ფასების, როგორც ინფლაციური პროცესების ინდიკატორი შესწავლა; 3) საერთაშორისო და რეგიონთაშორისი შეპირისპირება ფასწარმოქმნის სფეროში. მოცემულ სფეროში ეკონომიკურ სტატისტიკაში დამუშავებულია ინდექსთა მთელი სისტემა, რომელთა შორის უმთავრესია სამომხმარებლო ფასების ინდექსი. ეს ინდექსი მოსახლეობის მიერ შეძენილი საქონლისა და მომსახურების ფასების ს დინამიკის გაანგარიშების საშუალებას იძლევა.

ფასების სტატისტიკის წინაშე მდგარ მთავარ მეთოდოლოგიურ პრობლემას წარმოადგენს სხვადასხვა ფასების თანაფარდობის, მათი ინდექსებისა და საშუალო სიდიდეების გაანგარიშება. უკვე არსებული ინდექსებისა და ფორმულების (ი. ფიშერისა და ეჯვორტ-მარშალის ინდექსები, ლასპეირესისა და პააშეს ფორმულები) მიუხედავად ეს პრობლემა ჯერ კიდევ არ არის

გადაწყვეტილი და მნიშვნელოვანია როგორც მეთოდოლოგიური, ისე თეორიული კუთხით.

პროდუქციის წარმოების სტატისტიკა იკვლევს და ზომავს საწარმოო საქმიანობის ზოგად სტატისტიკურ მაჩვენებლებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის სტატისტიკა იკვლევს სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად მაჩვენებლებს, რომლებიც განსაზღვრავენ ფისკალური პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და მეთოდებს. პირველ რიგში ეს არის ბიუჯეტის პროფიციტის (ან დეფიციტის), სახელმწიფო შიდა ვალებისა და, ბუნებრივია, სახელმწიფოს ეფექტური ფისკალური პოლიტიკის განსაზღვრა. ამით ხორციელდება გადანაწილების პროცესების ანალიზი, რომელშიც სუბიექტის როლში სახელმწიფო გამოდის, აგრეთვე, ამ პროცესების გავლენა სამეურნეო ცხოვრებაზე. სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, ან მაგალითად, სოლიდური სახელმწიფო შიდა ვალი საკუთარი მოქალაქეების წინაშე, ეს არის ინდიკატორები, რომლებიც, როგორც წესი, მთავრობისაგან ექსტერნული ზომების მიღებას მოითხოვს, სხვანაირად, შეიძლება ამ სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების პრობლემა შეექმნას.

გარემოს და ბუნებრივი რესურსების სტატისტიკა ორიენტირებულია სტატისტიკური ინდიკატორების ანალიზზე, რომლებიც საზოგადოებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთქმედებას ახასიათებს.

გარემოს ეკონომიკურ-სტატისტიკური კონტროლის ძირითად პრაქტიკულ მიზანს წარმოადგენს მასთან ურთიერთქმედებისა და ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციის ეფექტური მოდელების შერჩევა, გარემოს გარდაქმნაზე მიმართული და მასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოციალური მახასიათებლების მოკლე და გრძელვადიანი შედეგების გამოკვლევა.

ცალკე გამოიყოფა აგრეთვე შემდეგი მიმართულებები: ატმოსფეროს დაცვის სტატისტიკა, წყლის რესურსების სტატისტიკა, მიწის რესურსების სტატისტიკა, ტყის რესურსების სტატისტიკა და ა.შ.

ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სტატისტიკა იკვლევს რაოდენობრივ მახასიათებლებს ფულად-საკრედიტო სფეროს მასობრივ მოვლენებში. ამ დარგის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება: ფულადი მასის რაოდენობის და სტრუქტურის განსაზღვრა; ფულის მიმოქცევის ასახვა და ფულის გაუფასურებაზე მოქმედი ფაქტორების შეფასება; საკრედიტო პოლიტიკის დახასიათება; კრედიტის ფორმების სტატისტიკური შესწავლა; სასესხო პროცენტის შესწავლა.

ასეთი ინფორმაციის ძირითად მომხმარებლებს წარმოადგენენ ცენტრალური ბანკები, რომლებიც ფულის მიმოქცევისა და კრედიტის სტატისტიკური მაჩვენებლების ანალიზის საფუძველზე განსაზღვრავენ საკრედიტო განაკვეთის ნორმებსა და საკრედიტო რესურსების მოცულობას ქვეყნების ეკონომიკის სტაბილური განვითარების მიზნით.

საწარმოთა ფინანსების სტატისტიკა ეკონომიკური სტატისტიკის კიდევ ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. იგი იკვლევს ფინანსურ ურთიერთობებს ცალკეულ საწარმოო სუბიექტებს შორის.

საფონდო ბაზრის სტატისტიკა სწავლობს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სტატისტიკას. საფონდო ბაზრის ანალიზის დროს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ე.წ. საფონდო ინდექსებს - აგრეგირებულ მაჩვენებლებს, რომლებიც ახასიათებენ ფასიანი ქაღალდების კოტირების დონეს დროის რაიმე მომენტისათვის, რომელიც ბაზარზე იქმნება (მაგალითად, სავაჭრო დღის ბოლოს). საფონდო ინდექსების რეგულარული მონიტორინგი როგორც სახელმწიფოს, ისე კერძო საფინანსო პირებს საშუალებას აძლევს მუდმივად ”ეჭიროთ ხელი” ფასიანი ქაღალდების ბაზრის პულსზე და მზად იყვნენ მასში ნებისმიერი, თუნდაც ყველაზე მოულოდნელ ცვლილებებზე რეაგირებისათვის.

საგარეო ვაჭრობისა და საგადახდელო ბალანსის სტატისტიკა იკვლევს მოცემული სახელმწიფოს საგარეო ეკონომიკური კავშირების სტატისტიკურ მაჩვენებლებს. აქ გამოიყენება პააშესა (საშუალო ფასების ინდექსი) და ლასპეირესის (ფიზიკური მოცულობის ინდექსი) ფორმულები, აგრეთვე, ბალანსის ძირითადი მაჩვენებლების სპეციალური მეთოდიკები.

შრომის ანაზღაურების სტატისტიკა იკვლევს შრომის ანაზღაურების ფონდის მოცულობებს, მის შემადგენლობას, დინამიკას და ა.შ. შეისწავლება აგრეთვე საკუთრების სტრუქტურა (საკუთრების ფორმების შესაბამისად) ხელფასის ორგანიზაციის ფორმებთან კავშირში.

წარმოების დანახარჯების სტატისტიკა - ეს არის ეკონომიკური სტატისტიკის ნაწილი, რომელიც იკვლევს საწარმოთა დანახარჯებს დარგების მიხედვით და მთლიანობაში, აგრეთვე, მის დინამიკას. წარმოების დანახარჯების გამოთვლა მეტად მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკრი თვალსაზრისით, კერძოდ, -ისა და -ის გაანგარიშებისათვის, ასევე, ეკონომიკური ფაქტორის (რესურსის) როლის განსაზღვრისათვის ამა თუ იმ პროდუქციის წარმოების პროცესში.

არასაწარმოო მოხმარების სტატისტიკის გამოკვლევის სფეროს წარმოადგენს პირადი და საზოგადოებრივი მოხმარების სფეროები. აქ მთავარ ამოცანას საქონლისა და მომსახურების შემადგენლობის, მოხმარების დონის, მოხმარების წყაროებისა და მისი დინამიკის შესწავლა წარმოადგენს. გასაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივ მოხმარებას - მოხმარებას განათლების სფეროში, ჯანდაცვას, კულტურას, მეცნიერებას, მართვას და ა.შ.

დაბოლოს, მოსახლეობის ცხოვრების დონის სტატისტიკა - ეს არის სტატისტიკის ნაწილი, რომელიც იკვლევს რაოდენობრივ მაჩვენებლებს, რომლებიც ასახავენ ცალკეული ინდივიდების ან სოციალური ჯგუფების მფლობელობაში მყოფ საქონლისა და მომსახურების ერთობლიობას. აქ მუშავდება და გამოიყენება ისეთი სტატისტიკური მახასიათებლები, როგორიცაა "საარსებო მინიმუმი", "სიღარიბის ინდექსი", "ახალშობილის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა", " - ინდექსი", "სამომხმარებლო კალათა" და ა.შ., რომლებიც ეკონომისტებს საშუალებას აძლევს შექმნან ერთიანი წარმოდგენა ცხოვრების დონისა და ხარისხის შესახებ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფისათვის.

ეკონომიკური სტატისტიკის განვითარების პერსპექტივები უკავშირდება ახალი მათემატიკური მეთოდების დამუშავებასა და პრაქტიკაში დანერგვას, აგრეთვე, დაკვირვებათა ხარისხის გაუმჯობესებას, ახალი ეკონომიკური ინფორმაციის რეგისტრაციასა და ინდექსაციას.

4. ანალიზის ძირითადი სახეობები სტატისტიკაში

არსებობს მათემატიკური სტატისტიკის მიერ დამუშავებული და ეკონომიკურ-სტატისტიკურ გამოკვლევებში ფართოდ გამოყენებადი ანალიზის რამდენიმე ძირითადი სახეობა.

ინდექსური ანალიზი ემყარება ინდექსურ მეთოდს, რომლის არსი მდგომარეობს სტატისტიკური გაანგარიშებების ხერხების გამოყენებაში სხვადასხვა სახის ეკონომიკური ინდექსის დახმარებით. ეს სტატისტიკური გამოკვლევების ყველაზე პროდუქტიული სახეობაა. ანალიზის ამ სახეობის არსენალში შედის ათეულობით და ათასობით სახის ინდექსები, რომელთაც ოთხ ძირითად ჯგუფად ყოფენ:

1) ეკონომიკური პროცესების დინამიკის ინდექსები (ფასების ინდექსები, წარმოების მოცულობის ინდექსები და ა.შ.);

2) ტერიტორიალური (სივრცული) ინდექსები;

3) ცხოვრების დონის ინდექსები (სიღარიბის ინდექსი და ა.შ.);

4) ანალიტიკური ინდექსები.

ინდექსური ანალიზის განსხვავება ანალიზის სხვა ტიპებისაგან ოთხ პუნქტზე დაიყვანება: ა) ნებისმიერი ინდექსი ახასიათებს მხოლოდ ერთ საინდექსაციო სიდიდეს; ბ) ნებისმიერი ინდექსი გვიჩვენებს ნიშანთვისების მხოლოდ შეფარდებით ცვლილებას; გ) ნებისმიერი ინდექსი ახასიათებს ნიშანთვისების დინამიკას საშუალოდ მთელ ერთობლიობაში; დ) ინდექსური ანალიზი ძლიერ განსხვავდება როგორც სტატისტიკური მეთოდისაგან, რომელიც ემყარება საშუალო სიდიდეების ანალიზს, ისე მეთოდისაგან, რომელიც ანალიზის პროცესში იყენებს შეფარდებით სიდიდეებს, თუმცა ინდექსური ანალიზის დროს ყოველ ინდექსში ხორციელდება შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების სინთეზი.

კლასტერული ანალიზი - ეს არის ანალიზი, სადაც გამოიყენება ე.წ. კლასტერები - მოვლენათა ან ობიექტთა ჯგუფები მსგავსი ან ერთიდაიგივე ტიპის ნიშანთვისებებით. ოპერაციებს, რომელთა საშუალებით იანგარიშება

ასეთი ნიშანთვისებები, კლასტერიზაციას უწოდებენ. ასეთი ოპერაციის ჩასატარებლად შემუშავებულია სპეციალური მათემატიკური აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა ვიპოვოთ ე.წ. "წერტილთა თავმოყრა" უფრო ყოვლისმომცველი კლასტერების მისაღებად. კლასტერული ანალიზის მთავარ უპირატესობას ანალიზის სხვა ტიპებთან შედარებით წარმოადგენს ობიექტთა დაყოფის ჩამოყალიბებული სტერეოტიპების დაძლევა. რეგიონალისტიკაში და ეკონომიკურ გეოგრაფიაში ეს შეიძლება აისახოს არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის შეცვლაში დაყოფის ახალი ტიპით გამოსაკვლევი გეოგრაფიული ან რეგიონალური ფენომენების ერთტიპიურობის ან მსგავსების საფუძველზე.

კორელაციური ანალიზი - ეს არის სტატისტიკური ანალიზის სახეობა, რომელიც ემყარება კორელაციის ცნებას.

კორელაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც სიდიდე, რმელიც ახასიათებს ორი შემთხვევითი სდიდის ერთმანეთზე დამოკიდებულების ხარისხს იმის მიხედავად, არსებობს თუ არა მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი (ჭეშმარიტი კორელაცია), თუ ადგილი აქვს შემთხვევით დამთხვევას (ცრუ კორელაცია).

ეკონომიკურ კვლევებში კორელაციური ანალიზის საკვანძო ამოცანას წარმოადგენს სხვადასხვა ტიპის დამოკიდებულებების დადგენა ამა თუ იმ ეკონომიკურ მაჩვენებლებს შორის. ასეთი მიდგომა ტრადიციულად შემდეგ ეტაპებს მოიცავს: 1) იმ ნიშანთვისებების შერჩევა (მათი ბუნებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით), რომლებიც სტატისტიკური დამოკიდებულებებისა და კავშირების გასაზომად გამოდგება; 2) აღნიშნული გამზომვების რიცხვითი მნიშვნელობების შეფასება საწყისი სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე; 3) ჰიპოთეზათა ვერიფიკაცია გამოსაკვლევ ნიშანთვისებებს შორის სტატისტიკური დამოკიდებულების არსებობის შესახებ; 4) გამოსაკვლევ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირის სტრუქტურის ანალიზი და მათი წარმოდგენა შესაბამისი გრაფების სახით.

გამოსაკვლევი დამოკიდებულებების ფორმის შესწავლის პრობლემა უკვე რეგრესიული ანალიზის კომპეტენციას განეკუთვნება.

რეგრესიული ანალიზი კორელაციური დამოკიდებულებების ფორმებს შემდეგი სქემის შესაბამისად იკვლევს: პირველად ხდება ყველაზე ინფორმაციული ნიშანთვისებების შერჩევა, შემდეგ ხდება რეგრესიის მოცემული განტოლების უცნობი პარამეტრების შეფასება და ბოლოს ტარდება მიღებული შედეგების სიზუსტის ანალიზი.

ფაქტორული ანალიზი მათემატიკური სტატისტიკის მრავალგანზომილებიან მეთოდს წარმოადგენს, რომელიც გამოიყენება მაჩვენებელთა შორის ურთიერთდამოკიდებულების გასაზომად და კლასიფიკაციისათვის. მისი საშუალებით კორელაციური მატიცის ანალიზის საფუძველზე ვლინდება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცვლადები. ეს არის პროცესი, რომელიც, საბოლოო ანგარიშით, მკვლევარს გარკვეული რაოდენობის ცვლადების მცირე რაოდენობის ძირითად ფაქტორებზე დაყვანის საშუალებას აძლევს.

ანალიზის ჩამოთვლილ სახეობათა გარდა ეკონომიკურ კვლევებში ანალიზის სხვა ტიპებიც (კოვარიაციული, დისპერსიული და ა.შ.) გამოიყენება, რომელთაც თავიანთი ადგილი აქვთ სამეურნეო მოვლენების სტატისტიკური გამოკვლევის პროცესში.

5. სტატისტიკური მეთოდების საიმედოობის შეფასება

მთავარი მოთხოვნები, რომელსაც ეკონომიკური მეცნიერება უყენებს სტატისტიკური მეთოდების საიმედობას, მდგომარეობს საწყისი სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაში, საიმედოობასა და სისრულეში. გარდა ამისა, აუცილებელია მონაცემთა დაჯგუფების, საშუალო სიდიდეებისა და ინდექსების გაანგარიშების სწორი ხერხების შერჩევა.

იმისათვის, რომ სამეურნეო მოვლენების გამოკვლევის საიმედოდ მივიჩნიოთ, აუცილებელია აგრეთვე საიმედო იყოს თვით ის სტატისტიკური ფაქტები, რომელთაც გამოკვლევის პროცესი ეყრდნობა.

როდესაც საუბარია სტატისტიკური ფაქტების სისრულეზე, უნდა გვახსოვდეს, რომ ნებისმიერი მოვლენა თუ საგანი ხასიათდება თვისებათა, კავშირებისა და დამოკიდებულებების დიდი რიცხვით როგორც შიგნით, ისე გარემომცველ სამყაროსთან. ამასთან, მათი ერთი ნაწილი არსებითია, შინაგანად აუცილებელი და საგნის ხარისხის განმსაზღვრელი, ხოლო მეორე - არაარსებითი, გარეგანი. პრინციპში, სასურველია მოვიცვათ ყველა არსებითი ნიშანთვისება, მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ, შემთხვევათა უმრავლესობაში იძულებული ვართ შემოვიფარგლოთ ყველაზე არსებითი ნიშანთვისებების შესწავლით.

სტატისტიკური ფაქტების შედარების შესაძლებლობა ასევე უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას წარმოადგენს. იმისათვის, რომ განხორციელდეს შედარება, აუცილებელია და სასურველი, რომ სტატისტიკური მონაცემები დაყვანილი იქნას გაზომვის შედარებად ერთეულებზე.

თუმცა სტატისტიკური მონაცემების საიმედოობის შეფასება საკმაოდ პრობლემურია, ეკონომიკური მეცნიერება ყოველთვის უნდა ისწრაფვოდეს ამისაკენ. სხვანაირად, ეკონომისტ-მკვლევარს ყოველთვის ექნება უნდობლობის შეგრძნება იმ სტატისტიკური ბაზისის მიმართ, რომელსაც მისი თეორიები და ჰიპოთეზები ეფუძნება.

6. სტატისტიკური მეთოდის ადგილი ეკონომიკური მეცნიერების სხვა მეთოდთა შორის

როგორია სტატისტიკური მეთოდის მნიშვნელობა ეკონომიკური მეთოდოლოგიის "ზოგად სკალაზე"?

დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემა შესაძლებელია რამდენიმე მიმართულებით.

პირველ რიგში, ეს არის მეთოდი, რომელიც მათემატიკური მეცნიერების მსგავსად საშუალებას იძლევა მოვახდინოთ ეკონომიკური მეცნიერების

ფორმალიზაცია და მათემატიზაცია, გაფავიყვანოთ მისი თვისობრივი მეთოდოლოგია რაოდენობრივ დონეში, ციფრებისა და ფორმულების ენაზე.

მეორე - ცხადია, ეს მეთოდი აახლოვებს ეკონომიკურ თეორიასა და ემპირიას, მოითხოვს ნებისმიერი თეორიული კონსტრუქციის ეკონომიკური ინსტიტუტების რეალურ, პრაქტიკულ ფუნქციონირებასთან შეჯერებას.

მესამე, სტატისტიკური მეთოდი ეკონომიკური თეორიებისა და ჰიპოთეზების ეფექტური შემოწმებისა და ვერიფიკაციის საშუალებას იძლევა, რითაც ასრულებს ეკონომიკური დაკვირვებისა და ეკონომიკური ექსპერიმენტის მსგავს ფუნქციას.

დაბოლოს, მეოთხე - სტატისტიკური მეთოდი ეკონომიკური პროცესებისა და მოვლენების მოდელირებისა და პროგნოზირების საშუალებას იძლევა, რითაც ხელს უწყობს ეკონომიკური სისტემების ეფექტურ მართვას. სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფილი ფლობა ნებისმიერი დონის მენეჯერს ეხმარება სწორი გადაწყვეტილებების გამომუშავებაში.

ნებისმიერი ეკონომისტისათვის, რომელიც კვლევის სტატისტიკურ მეთოდებს იყენებს, დღემდე აქტუალური რჩება ი. ვ. გოეთეს სიტყვები: ”ამბობენ, რომ ციფრები მართავს სამყაროს. შესაძლებელია, საქმე ამგვარად არც იყოს. მაგრამ, ერთი რამ კი დანამდვილებით ვიცი: ციფრები ამტკიცებენ, კარგად თუ ცუდად იმართება სამყარო”.

თავი 11. ანალიზური, სინთეზური, ინდუქციურ-ალბათური და ჰიპოთეზურ-დედუქციური მეთოდები ეკონომიკური რეალობის კვლევაში

1. ანალიზი და ანალიზური მეთოდი ეკონომიკაში

„ანალიზის” ცნებას, როგორც მინიმუმ, განიხილავენ სამი ძირითადი ასპექტით: 1. სინთეზის საწინააღმდეგო მეთოდის სახით. შესაბამისად, ანალიზის მიზანია მთელის დაშლა და მისი დანაწევრება ნაწილ-ნაწილ; 2. როგორც, გაანგარიშების მათემატიკური მეთოდების დამუშავებას და მათ გამოყენებას

მათემატიკური სიდიდეების შესახებ სხვადასხვა საკითხების გადასაწყვეტად, ანუ ვიწრო გაგებით დიფერენციალური და ინტეგრალური გამოთვლების განსახორციელებლად; 3. როგორც, მეცნიერული კვლევას, ანუ რაიმეს შესწავლას.

„სინთეზის" ცნებაც ასევე მრავალმნიშვნელოვანია, მაგრამ ფილოსოფიურ-ეკონომიკურ ანალიზში შეიძლება მხოლოდ მისი ერთი მნიშვნელობით შემოვიფარგლოთ – სინთეზი, როგორც ანალიზის საწინააღმდეგო მეთოდი; იგი ნიშნავს წინათ გამოცალკავებული თვისებების, ნაწილების, ურთიერთობების და ა.შ. ერთ მთლიანობად გაერთიანების პროცესს.

რაც შეეხება „ანალიზის" ტერმინის სამ მნიშვნელობას, ჩვენ გვაინტერესებს მათ შორის მხოლოდ პირველი, რომლის დროსაც კვლევის ანალიზური მეთოდი შეიძლება დავუპირისპიროთ სინთეზურ მეთოდს. მეორე მნიშვნელობა მიეკუთვნება მათემატიკის სფეროს და იგი აქ განხილულ იქნება მხოლოდ ნაწილობრივ, მესამე მნიშვნელობა კი უფრო მეტად ყოველდღიური სამეტყველებო დანიშნულებისაა და გარკვეულწილად წარმოადგენს „კვლევისა" და „შესწავლის" ცნებების სინონიმს: გავაანალიზოთ – ე.ი. გამოვიკვლიოთ და (ან) შევისწავლოთ.

სინთეზის, როგორც კვლევის განსაკუთრებულ მეთოდთან დაკავშირებით კი, ჩვენ, ვაყენებთ საკითხს დისციპლინათაშორისი სინთეზის, როგორც ეკონომიკური შემეცნების ინსტრუმენტის შესახებ.

ანალიზური და სინთეზური მეთოდების არსის გამოკვლევის შემდეგ განვიხილავთ გამოყენების მიხედვით უფრო რთულ და ძნელ, მაგრამ შედეგების თვალსაზრისით გაცილებით უფრო ეფექტურ ინდუქციურ, ალბათურ და ჰიპოთეზურ-დედუქციურ მეთოდებს, რისთვისაც აუცილებელია ისეთი ცნებების ანალიზი, როგორიცაა: „ინდუქცია", „დედუქცია", „ჰიპოთეზა", „თეორია" და „ალბათობა". ამ თავის დასასრულს კი ვიმსჯელებთ ეკონომიკურ კვლევებში აქსიომატური მეთოდის, როგორც დედუქციური მეთოდის ერთ-ერთ სახის შესახებ.

ანალიზი თავისი პირველი მნიშვნელობით ნიშნავს მთლიანის აზრობრივად (ან რეალურად) დაშლას და დანაწევრებას. ადამიანი, მართალია, თავდაპირველად ცდილობს ზებუნებრივი გარემო და სოციალური რეალობა აღიქვას როგორც ერთობლივი მთლიანობა იმისათვის, რომ ეს რეალობა გამოიკვლიოს ფუნდამენტალურად, მაგრამ ასეთი აღქმა იქნება ძალიან ზედაპირული. მთელის შეცნობას უფრო ხშირად წინ უძღვის მისი ნაწილების შეცნობა, ანუ მთლიანის დაშლა-დანაწევრება ცალკეულ ნაწილებად და მათი შესწავლა.

ანალიზი, როგორც ნაწილებად დაშლა მჭიდრო კავშირშია სხვა მნიშვნელოვან მეთოდებთან, მაგალითად – აბსტრაგირებასთან. აბსტრაგირების ქვეშ იგულისხმება საგნის მეორეხარისხოვანი ნიშნებისა და თვისებებისაგან აზრობრივ განყენებას მისი არსებითი თვისებების გამოყოფისა და შესწავლის მიზნით. აბსტრაგირების პროცესის შედეგია – აბსტრაქცია.

ანალიზი და აბსტრაგირება მთლიანობაში ასრულებენ მსგავს შემეცნებით ფუნქციებს: ორივე მეთოდი მიმართულია კვლევის ობიექტში არსებითი და მნიშვნელოვანის გამოყოფისაკენ. ამასთან, ანალიზი, განსხვავებით აბსტრაგირებისაგან, იკვლევს არსებით და მნიშვნელოვან თვისებებს სხვა თვისებებთან ერთად და საბოლოო ანგარიშში აკეთებს სინთეზს. აბტსრაგირება მართალია, ასრულებს მნიშვნელოვან გნოსეოლოგიურ ფუნქციას არსებითის გამოყოფასა და მათ განხილვაში, მაგრამ ამის იქით არ მიდის.

ანალიზის ერთ-ერთ მიზნად გვევლინება კერძოსა და ზოგადს შორის კავშირების აღმოჩენა და ზოგადში კერძოს მიზეზების დადგენა.

„კვლევის საგნის ცალკეულ ნაწილებად დანაწევრებისა (მოქმედება, მიზეზები და ა.შ.) და მათი გამოკვლევის გზით ანალიზი აღმოაჩენს მათ შორის საერთოსა და განსხვავებებს, საკვლევ მიზეზებს, სინთეზი კი აკავშირებს მოცემულ მიზეზებს ამა თუ იმ მოქმედებასთან”.

ანალიზის მეთოდი მკაცრ მოთხოვნებს უყენებს მკვლევარის ენას: ის მოითხოვს ცნების დაზუსტებას და კონკრეტიზაციას, კვლევის კატეგორიალურ აპარატში განუსაზღვრელობის აღმოფხვრას.

„ყოველგვარი ანალიზი საჭიროებს უწინარეს ყოვლისა – ენის შესაბამის აღჭურვილობას, რომელსაც ზუსტად შეუძლია გამოხატოს ფაქტები მოქნილობის შენარჩუნებით, რათა მიესადაგოს ახალ აღმოჩენებს ენაში – ყოველგვარი მერყევი და ორაზროვანი ტერმინების გარეშე”.

XVIII ს. გერმანელი ფილისოფოსმმა იმანუელ კანტმა, იკვლევდა რა ანალიზისა და სინთეზის სხვადასხვა ასპექტებს, პირველად ფილოსფიის ისტორიაში და მეცნიერებაში შემოიტანა განსხვავებები ანალიზურ და

თავდაპირველად ტერმინი „ სინთეზურ მსჯელობებს შორის. კანტის მიხედვით, ანალიზური მსჯელობები არის მსჯელობები, რომლებიც რაღაცას არკვევენ, მაგრამ ამ დროს არ აზვიადებენ ჩვენი ცოდნის შინაარსს. უფრო ზუსტად ისინი წარმოადგენენ ტავტოლოგიის ტიპს – მსჯელობებს, რომელშიც თეზისი სხვანაირი სიტყვებით იმეორებს იმას, რაც მოიაზრება (იგულისხმება) გზავნილებში. სინთეზური მსჯლებობები პირიქით აფართოებენ ჩვენი ცოდნის შინაარსს და ზრდიან მას. ამიტომ, ბუნებრივია მათ აქვთ მნიშვნელოვნად მეტი შემეცნებითი ფასეულობა. ამ დროს სინთეზურ მსჯელობებს შეუძლიათ ან დაეყრდნონ ან გვერდი აუარონ გამოცდილებებს.

კანტის მიერ ჩატარებული კვლევებიდან გამომდინარე დროთა ვითარებაში წარმოიშვა წარმოდგენები კვლევის ორი: ანალიზური და სინთეზური მეთოდის შესახებ.

ანალიზური მეთოდი ეს არის კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც კვლევაში არ ემატება ახალი (უწინარეს ყოვლისა, ემპირიული) ინფორმაცია. ანალიზური ეფუძნება ან ცოდნის ერთი ფორმის ტრანსფორმაციას სხვა ფორმაში, ან აღსაწერი ფაქტების და მოვლენების რაიმე სიზუსტის მითვისებას.

სინთეზური მეთოდი, პირიქით, ეფუძნება ახალი ცოდნის ნამატს: ის გამოჩნდება როგორც ანალიზური მსჯელობის სინთეზურ მსჯელობად გარდაქმნის შედეგის სახით, ხოლო მისი ლოგიკური შედეგი იქნება მკვლევარის მიერ ახალი ჰიპოთეზისა და მეთოდოლოგიის შექმნა.

ანალიზური და სინთეზურ მეთოდებად დაყოფამ ყველაზე ფართო გამოყენება ჰპოვა ლოგიკურ პოზიტივიზში (ეს მოძღვრება წარმოადგენს ბაზისს თანამედროვე დასავლეთის ფილოსოფიურ მეცნიერებაში) და ლინგვისტიკურ (ან, სხვანაირად ანალიტიკურ) ფილოსოფიაში, რომლის ძირითადი დამფუძნებელი იყო ავსტრიელი ფილოსოფოსი ლუდვიგ ვიტგენშტეინი (1889-1951).

2. ანალიზი და ანალიზური მეთოდი ეკონომიკის კვლევებში

ანალიზი" წარმოიშვა მათემატიკაში (უფრო ზუსტად, გეომეტრიაში) და მხოლოდ შემდეგ გადაინაცვლა ფილოსოფიში.

გეომეტრიული თვალსაზრისიდ, ანალიზი დაიყვანება გეომეტრიული ფიგურის აგების განსაზღვრულ წესზე, რომელსაც საფუძვლები ჩაუყარეს ჯერ კიდევ ძველი საბერნეთის მათემატიკოსმა ევკლიდემ და ფრანგმა მათემატიკოსმა და ფილოსოფოსმა (XVIIს.) რენე დეკარტმა. ამ წესებს იყენებდნენ დიდი მათემატიკოსები, დაწყებული ანტიკური ეპოქიდან თითქმის ახალ დრომდე.

XVIII-XIX სს. გეომეტრიული ანალიზი ტრანსფორმირდება მათემატიკურ ანალიზში. მისი სპექტრი მნიშვნელოვნად ფართოვდება: ეს უკვე არა მხოლოდ გეომეტრიული აგებულებაა, არამედ ყოვლისმომცველი გაგებით გაანგარიშების წესების დამუშავება და მათი გამოყენება სიდიდეების შესახებ სხვადახვა საკითხების გადასაწყვეტად.

ამ გაგებით, ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართო გამოყენება ჰპოვა ტერმინმა „ეკონომიკური ანალიზი". ეკონომიკური ანალიზი შეიძლება განისაზღვროს როგორც სამეურნეო საქმიანობის გაძღოლის სხვადასხვა წესების

რაოდენობრივი კვლევა, რომელიც ჩატარებულია ეკონომიკური თეორიისა და მეთოდოლოგიის შესაბამისად. ის მიმართულია ეკონომიკური მეცნიერების კატეგორიალური აპარატის რეალურ, პრაქტიკულ სამეურნეო პროცესებში გამოყენებისაკენ.

არსებობს ეკონომიკური ანალიზის სხვადასხვა სახე. ის შეიძლება ვაწარმოოთ წარმოების დარგების (ვაჭრობის ეკონომიკური ანალიზი, მრეწველობის ეკონომიკური ანალიზი და ა.შ.), ეკონომიკური საქმიანობის სახეების (ფინანსების ანალიზი, აუდიტორული ანალიზი, ბუღალტრული ანალიზი და ა.შ.) და ა. შ. მიხედვით. თავისი ამოცანების მიხედვით, ეკონომიკური ანალიზი შეიძლება იყოს არჩევითი, მიმდინარე (ოპერატიული) და ა.შ.. საბოლოო ჯამში, ეკონომიკური ანალიზი კვლევის სხვადასხვა ანალიზური მოდელების საფუძველზე ეკონომისტს საშუალებას აძლევს მიიღოს ადექვატური მონაცემები რეალური სამეურნეო პროცესების შესახებ და ისინი გამოიყენონ მოცემული საწარმოების, დარგების, საქმიანობის სფეროს, ან რეგიონის საქმიანობის შემდგომი კორექტირებისათვის.

ტერმინი „ანალიზი” ეკონომიკურ კვლევებში ფართოდ გამოიყენება, როგორც ნაწილ-ნაწილ დაყოფის ლოგიკური საშუალება, ასევე გამოიყენება „ანალიზური მეთოდი” და „ანალიზური მსჯელობები”, რომელთა მნიშვნელობაც ჩამოყალიბებული გვაქვს წინა განყოფილებაში.

მაგალითად, სტატისტიკურ კვლევებში ანალიზის, როგორც ნაწილ-ნაწილ დაშლის მეთოდის გამოყენების შედეგად ხდება დაჯგუფება, ანუ სტატისტიკური შემაჯამებული მაჩვენებლების დანაწევრება ჯგუფებად რაიმე ნიშნის მიხედვით. კერძოდ, წარმოების ანალიტიკური პროცესი დანაწევრდება საკუთრივ, როგორც წარმოება, გაცვლა, მოხმარება და განაწილება. უმუშევრობა კი – იძულებითი, ნებაყოფლობითი, სტრუქტურული და ა.შ.. კაპიტალი – ადამიანური, ფინანსური, სოციალური, კულტურული და ა.შ.. რესურსების (ფაქტორების) ბაზარი – შრომა, კაპიტალი, მეწარმეობრივი უნარი და ბუნებრივი რესურსები და ა.შ..

დასავლეთის ეკონომიკურ მეცნიერებაში პოზიტივისტური მიდგომები გაჩნდა ანალიზური და სინთეზური გამონათქვამების, ასევე ანალიზური და სინთეზური მეთოდების დანაწევრებით.

„ანალიზური გამონათქვამები (მაგალითად, ლოგიკის ან მათემატიკის დებულებები) თავისთავად ემპირიულ ინფორმაციას არ ატარებს. მიუხედავად ამისა, ისინი აუცილებელია ნებისმიერი მეცნიერებისათვის, რამდენადაც გვევლინებიან მის ენად და საშუალებას იძლევიან ემპირიული შინაარსობრივი დებულებები გარდაქმნან ერთი ფორმიდან სხვა ფორმაში. კერძოდ, ეკონომიკურ თეორიაში მათ გარეშე შეუძლებელი იყო საბაზო პოსტულატებიდან საბოლო დასკვნების დედუქცია. ანალიზური მოსაზრებების, გამონათქვამების შეფასება ხორციელდება ლოგიკური წესების დახმარებით. ანალიზური გამონათქვამებისაგან განსხვავებით სინთეზური გამონათქვამები შეიცას კონკრეტულ ფაქტიურ ინფორმაციას.”

მთლიანად, ანალიზური და სინთეზური მეთოდების გამოყენება არ შეიძლება იყოს თვითნებური არჩევის შედეგი: სინამდვილეში ასეთი „არჩევა” განპირობებულია თვით კვლევის ობიექტის სტრუქტურით, რომელსაც ემყარება ეს განმარტება. გ.ვ.ფ. ჰეგელი ამის თაობაზე აღნიშნავდა: „ანალიზური და სინთეზური მეთოდების შესახებ ჩვეულებრივ ამბობენ, რომ თითქოსდა ისინი დამოკიდებულია ჩვენს თვითნებობაზე მივსდიოთ ერთს ან მეორეს. მაგრამ ეს სულაც არ არის ასე; თვით საგნის ფორმაზე, რომლის შეცნობას ჩვენ ვცდილობთ, დამოკიდებულია ის, თუ საბოლოო შეცნობის მეთოდების ცნებიდან გამომდინარე ორ მეთოდს შორის რომლის გამოყენება მოგვიწევს.”

ეკონომიკური პროცესების კვლევისას, ჰეგელის გამონათქვამი შეიძლება შევავსოთ იმ დებულებით, რომ მსჯელობისა და მეთოდის სახის არჩევას განსაზღვრავს ის ფილოსოფიური და ლოგიკურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები, რომელსაც მხარს უჭერს მოცემული ეკონომისტი. ამაზე ასევე დამოკიდებულია ტერმინების „ანალიზი”, „ანალიზური მსჯელობა”, „ანალიზური მეთოდი” ინტერპრეტაცია: სხვადასხვა მიმართულების ეკონომისტებს შეუძლიათ ჩადონ

თავინათი გაგება ამ ტერმინებში – სასურველია მისი დაზუსტება, ინტერპრეტაცია, განსაკუთრებით მაშინ, როცა მას დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემული ეკონომიკური საკითხის განხილვისას.

ამ თავის შემდეგ საკითზე გადასვლამდე ი. პ. სუსლოვის ნაშრომიდან: „ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია" მოვიყვანოთ შემდეგი ციტატა:

„ანალიზი, იძლევა რა საგნის ცალკეული მხარეების შესწავლის შესაძლებლობას, არღვევს მის მთლიანობას და მივყავართ ცალკეულ აბსტრაქციამდე. ამიტომ, მხოლოდ მას არ შეუძლია მოგვცეს სინამდვილის თანამედროვე სურათი. აზრობრივად ვანაწევრებთ რა საგანს შემადგენელ ნაწილებად, მიღებული ცალკეული აბსტრაქციები, ცნებები ჩვენ უნდა გავაერთიანოთ, აღვადგინოთ მოვლენის ერთიანობა, შევქმნათ მთლიანი სურათი. ამიტომ, მთლიანის დაშლა ნაწილებად და ამ ნაწილების შესწავლა (ანალიზი) უნდა შეივსოს მისი საპირისპირო-სინთეზით. სინთეზი – ეს აზრობრივი (რეალური) შეერთებაა მოვლენის ნაწილებისა, მისი შეცნობაა როგორც მთელისა."

3. სინთეზი და სინთეზური მეთოდი ეკონომიკურ კვლევებში

თუ ანალიზი შლის ნაწილებად, სინთეზი, პირიქით ნაწილებს აერთიანებს ერთ მთლიანობად, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ასინთეზირებს მათ. წინათ დანაწევრებული ნაწილები წარმოგვიდგებიან ახალი თვალსაზრისით, ახალი ასპექტით, ან ახალ ჭრილში. სინთეზს, განსხვავებით ანალიზისაგან, აქვს უნარი მოიცვას კვლევის საგანი მთლიანობაში და გამოავლინოს მისი წინააღმდეგობანი (თუ ასეთს აქვს ადგილი). მართალია, მეცნიერების ისტორიაში ანალიზი, როგორც წესი, წინ უსწრებს სინთეზს, თუმცა არის შემთხვევები, როცა გლობალური სინთეზური თეორიები იქმნება მანამ, სანამ მიღწეული იქნება მთელის ნაწილების ღრმა ანალიზური შეცნობა.

ყველაფერი ზემოაღნიშნული შეიძლება გავრცელებულ იქნას ეკონომიკურ მეცნიერებაზე. სინთეზი, როგორც ეკონომიკური კვლევის მეთოდი (ეკონომიკური

სინთეზი), ეკონომიკური მონაცემების სახით კვლევის მასალების წინათ დანაწევრებულ ფრაგმენტებს აერთიანებს მთელში; ის ასინთეზირებს ახალ ცნებებს, პრინციპებს, კონცეფციებს და სინთეზური მსჯელობების დახმარებით გადადის ახალ ეკონომიკურ ცოდნაში. სინთეზური მეთოდი, იყენებს რა სინთეზურ მსჯელობებს, საშუალებას იძლევა საბაზრო პრინციპებიდან გამოვიყვანოთ ახალი ეკონომიკური ცოდნა.

გლობალური სინთეზური თეორიები, რომლებიც წინ უსწრებდნენ ანალიზურ თეორიებს, დამახასიათებელი იყო ეკონომიკური მეცნიერების განვითარების ჯერ კიდევ ადრინდელ ეტაპისათვის. ამის მაგალითია ა. სმიტის, დ. რიკარდოს, ს. მილის, კ. მარქსის კონცეფციები. მაგალითად, ა.მარშალის კონცეფცია, რომელიც მოცემულია მის წიგნში „ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები", აღმოჩნდა მთლიანად შესაბამისობაში ანალიზური მეთოდისა XIX ს. დასასრულს. ამჟამად ეკონომიკურ კვლევებში ხშირად შეინიშნება საპირისპირო და, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკის შესახებ მსოფლიო მეცნიერება ეფექტური გლობალური ეკონომიკური ცოდნის ზოგიერთ „დეფიციტს" განიცდის. ნეოკლასიკოსებსა და ინსტიტუციონალიზმს შორის ახლანდელი დავა სწორედ იქითკენ მიდის, რომ დომინირება მოხდეს ეკონომიკის გლობალური სინთეზური თეორიის შექმნის დროს.

ეკონომიკური სინთეზი შეიძლება იყოს ან შიდა დისციპლინური ან დისციპლინათშორისი. პირველ შემთხვევაში ხორციელდება ეკონომიკური ცოდნის ტრადიციული შეერთება და კომბინირება ეკონომიკური მეცნიერების დისციპლინარული მატრიცის ჩარჩოებში, ხოლო მეორე შემთხვევაში საქმე ეხება ეკონომიკური ცოდნის შეერთებასა და კომბინირებას სხვა სახის (სოციოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, ფილოსოფიურ, ისტორიულ, პოლიტოლოგიურ, ეკოლოგიურ და ა.შ) სოციალურ ცოდნასთან.

4. დისციპლინათაშორისი სინთეზი: ეკონომიკა და სხვა სოციალური მეცნიერებები

დისციპლინათაშორისი სინთეზი – ესაა სხვადასხვა დისციპლინების, თეორიების, მეთოდების და მეთოდოლოგიების შეერთება ერთ მთლიანობაში – ახალი ცოდნის მისაღებად ერთი დისციპლინის ფარგლებში, ან სხვადასხვა დისციპლინებს შორის მიჯნაზე. დისციპლინათაშორისი სინთეზი XX და XXI ს. მიჯნაზე გვევლინება ახალი ცოდნის, მათ შორის ეკონომიკური ცოდნის მიღების ყველაზე ეფექტურ საშუალებად.

დისციპლინათაშორისი სინთეზი წარმოიშობა დისციპლინებს შორის ურთიერთზემოქმედების საფუძველზე. გ. ბეგრგესი ასეთ ურთიერთზემოქმედებას შემდეგ განსაზღრებას იძლევა:

„ეს (დისციპლინათშორისი) ურთიერთზემოქმედება შეიძლება ვარირებულ იქნას იდეების გაცვლიდან მთელი კონცეფციების, მეთოდოლოგიების, პროცედურების, ტერმინოლოგიების ურთიერთ ინტეგრაციამდე – ზოგიერთი, ძალიან ფართო მოცულობის კვლევითი და საგანმანათლებლო ორგანიზაციების მონაცემებისათვის.”

ეკონომიკური მეცნიერება ჩართულია ასეთ ურთიერთზემოქმედებაში და მონაწილეობს დისციპლინათაშორისი სინთეზის პროცესში. მისი განხორციელება შეიძლება სამი ძირითადი წესით:

1. პირველი წესი ეფუძნება ჩვენს მიერ უკვე მოხსენებულ „ეკონომიკური იმპერიალიზმის” მეთოდს (იხ. პირველი თავი ამ წიგნისა). „ეკონომიკური იმპერიალიზმი” არის სოციალურ მეცნიერებებში დისციპლიათაშორისი ურთერთზემოქმედების სახე და კვლევის მეთოდი, რომლის დროსაც იკვლავწარმოება ეკონომიკური მეცნიერების მთავარი პრინციპი: მიზნების ეფექტიანად მიღწევა რესურსების დეფიციტის დროს; ამ დროს თვით მიზანი შეიძლება იყოს სხვადასხვა და ფორმირდება სხვა სოციალური მეცნიერებების – სოცოლოგიის, ფსიქოლოგიის, პოლიტიკური მეცნიერების და ა.შ. მიერ.

დისციპლინათაშორისი უერთიერთზემოქმედება ეკონომიკურ და სხვა სოციალურ მეცნერებებს შორის „ეკონომიკური იმპერიალიზმის" მიხედვით გააქტიურდა XX ს. 70-80-ან წწ.. ეს, ალბათ, გამოწვეულია ორი ძირითადი მიზეზით: ჯერ-ერთი, ეკონომიკური მეცნიერების ჩამოშორებით ნეოკლასიკოსის მკაცრი კანონებისაგან და ინსტიტუციონალიზმის როგორც მიმართულების „მეორედ მოსვლით", რომელიც სხვა სოციალურ მეცნიერებებთან კავშირის უფრო „ღია" მიმართულებაა; მეორე ზოგიერთი სოციალური დისციპლინების მისწრაფებით, იყვნენ უფრო „პოზიტიურები", ჩამოაყალიბონ თავიანთი ცნებითი აპარატი და მეთოდოლოგიური ინსტრუმენტები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების – მათემატიკის, ფიზიკის და ა.შ., ასევე ნაწილობრივ ეკონომიკსის გავლენით.

განსაკუთრებით ძლიერი ზემოქმედება „ეკონომიკური იმპერიალიზმისაგან" განიცადა გენდერულმა კვლევებმა, დემოგრაფიამ, სოციოლოგიამ, ისტორიამ, პოლიტიკურმა მეცნიერებამ. უფრო მეტად ეს ზემოქმედება უნდა განვიხილოთ დადებით მოვლენად – როგორც თვით ეკონომიკური ცოდნის ევოლუციაზე მოქმედების კუთხით, ის, იმ დისციპლინის განვითარების რაკურსით, რომელმაც განიცადა ზემოქმედება ეკონომიკის მხრიდან. მაგალითად, ასეთი ზემოქმედება ისტორიაში დაკავშირებულია ახალი ეკონომიკური ისტორიისა და კლიომეტრიის სკოლის მეთოდოლოგიის პოპულარობასთან, პოლიტიკურ მეცნიერებაში – საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის აღმოცენებასთან და ა.შ.

2. მეორე წესი პირობითად შეიძლება აღინიშნის როგორც „ეკონომიკური ვასალობა". „ეკონომიკური ვასალობა" ეს არის დისციპლინათაშორისი ურთიერთზემოქმედების მეთოდი ეკონომიკასა და სხვა მეცნიერებას (სხვა მეცნიერებებს) შორის, როცა ეკონომიკური კვლევა-ძიება მიმდინარეობს სხვა მეცნიერების (სხვა მეცნიერებების) მეთოდოლოგიური და თეორიული საფუძვლების შესაბამისად.

„ეკონომიკური ვასალობა" წარმოადგენს „ეკონომიკური იმპერიალიზმის" საპირისპირო მხარეს. თუ უკანასკნელ შემთხვევაში სხვა მეცნიერების

ტერიტორიაზე „აგრესორად” გამოდის ეკონომიკა, რომელიც კარნახობს მას თავის მეთოდებს „ეკონომიკური ვასალობის” შემთხვევაში სხვა მეცნიერება ეკონომიკურ მეცნიერებას თავს ახვევს თავის თეორიულ სქემებს და თავის მეთოდოლოგიას.

ეკონომიკურმა მეცნიერებამ მთელი განვლილი ისტორიის მანძილზე არაერთხელ განიცადა „თავდასხმა” სხვა სოციალური მეცნიერებების მხრიდან და უნდა აღინიშნოს, რომ მათ ძალიან წარმატებული და ღრმა ზემოქმედება მოახდინეს ეკონომიკური თეორიისა და მეთოდოლოგიის განვითარებაზე. მაგალითად, გერმანულ ეკონომიკური აზროვნება XIX ს. მეორე ნახევრისა და XX ს.-ის პირველი მესამედის მანძილზე იმყოფებოდა ისტორიული მეცნიერების „ვასალის” როლში, საბჭოთა საზოგადოებრივ მეცნიერებებში (1917 -1991) ეკონომიკურ მეცნიერებას მოუწია შეესრულებინა მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და მისი პოლიტიკური თანამოძმის - მეცნიერული კომუნიზმის და ა.შ. „ვასალის” როლი.

უარეს შემთხვევაში შეიძლებოდა გველაპარაკა ეგრეთწოდებულ რედუქციონიზმზე – როცა ეკონომიკური მეცნიერების საგანი და (ან) მეთოდოლოგია მთლიანად დაიყვანება (დაყვანილ იქნა) სხვა სოციალური დისციპლინის საგანსა და (ან) მეთოდოლოგიაზე. განსაკუთრებით ძლიერი იყო XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში ფსიქოლოგიური რედუქციონიზმი, როცა ზოგიერთმა მკვლევარმა მარჟინალიზმის ზეგავლენით სცადა მთლიანად აეთქვიფათ ეკონომიკა ფსიქოლოგიასთან. თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკური მეთოდოლოგიის კვლევის ველზე ძალიან აქტიურად მოქმედებს სოცოლოგიური რედუქციონიზმი, რომლის მიზნად, ცხადია, გვევლინება მცდელობა სამეურნეო პროცესების და მოვლნების კვლევის ეკონომიკური მეთოდები შეცვალინ იმ სოციოლოგიური მეთოდებით, რომლებიც ნაწილობრივ ეკონომიკურ მეთოდებს ემთხვევა.

3. დისციპლინათაშორისი სინთეზის მესამე წესს შეიძლება პირობითად „თანაბარუფლებიანი თანამშრომლობა” ვუწოდოთ.

„თანაბარუფლებიანი თანამშრომლობა” ესაა დისციპლინათაშორისი ურთიერთზემოქმედების სახე, როცა ეკონომიკა და სხვა სოციალური მეცნიერება თანაბრად ახდენენ გავლენას ამა თუ იმ საკვლევ პრობლემის დამუშავებაზე, მათ შორის „მიჯნაზე” (ამით ამდიდრებენ და აღრმავებენ როგორც საკუთარ, ისე სხვა თეორიასა და მეთოდოლოგიას.)

ყველაზე კლასიკურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ეკონომიკისა და სოციოლოგიის, ასევე ეკონომიკისა და ფსიქოლოგიის თანამედროვე ურთიერთზემოქმედება. მიუხედავად „ეკონომიკური იმპერიალიზმისა” და „ეკონომიკური ვასალობის” ცალკეული განზრახვისა, ამ ორი წყვილი მეცნიერების წინა პლანზე მაინც „თანაბარუფლებიანი თანამშრომლობის” სახის დისციპლინათაშორისი ურთიერთზემოქმედება დგას. ეკონომიკურმა სოციოლოგიამ და ეკონომიკურმა ფსიქოლოგიამ ბოლო პერიოდში არც ისე ცოტა წარმატებებს მიაღწიეს, რადგან გამოიყენეს ეფექტიანი შერწყმა პირველ შემთხვევაში – ეკონომიკური და სოციოლოგიური თეორიისა და მეთოდოლოგიისა, მეორე შემთხვევაში – ეკონომიკური და ფსიქოლოგიური თეორიისა და მეთოდოლოგიისა.”

საკმარისია წარმატებულად ჩავთვალოთ ასევე, „თანაბარუფლებიანი თანამშრომლობა” ეკონომიკური და ისტორიული მეცნიერებისა, ეკონომიკური მეცნიერებისა და გენდერული კვლევებისა, ეკონომიკური მეცნიერებისა და სამართლის მეცნიერებისა.

ნობელის პრემიები: გერი ბეკერი (1992) თეორიისთვის „ადამიანური კაპიტალი” (ეკონომიკა, სოციოლოგია, გენდერული კვლევები, იურისპრუდენცია), დუგლასი ნორტი (1993) “კლიომეტრისა და ახალი ეკონომიკური ისტორიისთვის” (ეკონომიკა, ისტორია, სოციოლოგია), ანიელ კარემანი და ვერნონა სმიტი (2002) “ექსპერიმენტალური ეკონომიკის განვითარებისთვის” (ეკონომიკა, ფსიქოლოგია) – ესენი მხოლოდ არც ისე ბევრი მაგალითებია, როცა ეკონომისტები ღებულობდნენ ჯილდოებს არა მხოლოდ საკუთარი ეკონომიკური ცოდნის

განვითარებისათვის, არამედ De facto – წარმატებული დისციპლინათშორისი სინთეზისთვის.

5. ინდუქცია როგორც შემეცნების მეთოდი: ანალიზის საერთო ასპექტები

ინდუქცია როგორც შემეცნების მეთოდი მეცნიერების არსენალში დამკვიდრდა XVI-XVII ს.ს. ფრენსის ბეკონის და გალილეო გალილეის დროიდან. ამიერიდან პრაქტიკულად ყველა საბუნებისმეტყველო ცოდნა შეიძლება აღინიშნოს როგორც „ინდუქციური", რადგან ინდუქციის მეთოდის გარეშე ვერ მივიღებდით საბუნებისმეტყველო მეცნიერების ვერც ერთ მცირე თუ მნიშვნელოვან დასკვნას.

ინდუქცია – ესაა აზროვნება, რომელშიც ხორციელდება კერძო ფაქტებიდან და დებულებებიდან ზოგად დასკვნებსა და განზოგადებებზე გადასვლა; ესაა მსჯელობა კერძოდან ზოგადისაკენ, საერთო პრინციპების გამოყვანა კერძო წესებიდან.

მეცნიერულ შემეცნებაში ინდუქცია ასრულებს ოთხ ძირითად შემეცნებით ფუნქციას: 1. ემსახურება როგორც ემპირიული, ისე თეორიული ცნებების ჩამოყალიბებას; 2. გვევლინება სხვადასხვა კლასიფიკაციის აგების წესად; 3. ემსახურება ჰიპოთეზის ჩამოყალიბებისა და მეცნიერული თეორიების შექმნის მეთოდს; 4. გამოდის როგორც ემპირიული კანონების განმტკიცების (ვერიფიკაციის) მეთოდი.

ინდუქცია შემეცნების ყველაზე პროდუქტიული მეთოდია, განსაკუთრებით კვლევის პირველ სტადიაზე, როცა ხდება ემპირიული მონაცემების განზოგადება, მათი კლასიფიკაცია და ტიპოლოგია. შემდგომში ინდუქციური აზროვნების პროდუქტიულობა განისაზღვრება მისი დედუქციური ნააზროვნებით გამაგრების შესაძლებლობაში, ასევე მკვლევარის უნარით ნაყოფიერად შეუხამოს ერთმანეთს

შემეცნების ინდუქციური და დედუქციური გზა. აქაც ასევე ინდუქცია რჩება მეთოდად, რომელსაც აქვს უნარი გაასწოროს შეცდომები და გააკორექტიროს აზრის კვლევის მოძრაობა ჭეშმარიტებისაკენ.

„ჭეშმარიტი გარანტია ინდუქციის კანონიერებისა მდგომარეობს იმაში, რომ ის გვევლინება დასკვნის მიღების მეთოდად, რომლებიც, თუ ხანგრძლივად დავეყრდნობით, გრანატირებულად გაასწორებენ მომავალი გამოცდილების ნებისმიერ შეცდომას, რომელზეც მას შეუძლია დროებით მიგვიყვანოს" – ამტკიცებდა ამერიკელი ფილოსოფორი ჩ. პირსი.

„ინდუქცია, ანალიზისა და დედუქციის დამატებით, აერთიანებს ფაქტების შესაბამის კლასს ერთად, აწესრიგებს მათ, აანალიზებს და გამოყავს მათგან საერთო ფორმულირებები, ან კანონები. შემდეგ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მთავარ როლს იძენს დედუქცია: ის ზოგიერთი განზოგადების ერთმანეთთან ასოცირებას ახდენს, გამოჰყავს მათგან ჰიპოთეზურად ახალი და უფრო ფართო განზოგადებანი ან კანონები".

არსებობს ინდუქციური აზროვნების რამდენიმე ძირითადი სახე. მაგალითად, ობიექტების მომცველობის კლასის მიხედვით: სრული და არასრული ინდუქცია. სრული ინდუქცია ჩამოთვლის ყველა ობიექტს, და თუ რომელიმე დასკვნა სწორია მოცემული კლასის რომელიმე ცალკეული საგნისა, მაშინ ის სწორი იქნება მოცემული კლასის ყველა საგინსათვის. მაგრამ უფრო ხშირად, სრული ინდუქციისაგან განსხვავებით, გვხდება არასრული ინდუქცია – როცა ჩვენ ვერ შევძლებთ მოვიცვათ მოცემული კლასის ყველა საგანი და იძულებული ვართ გავაკეთოთ დასკვნა მისი არასრული ჩამონათვალის საფუძველზე. მიდგომა, რომელშიც ერთდროულად მონაწილეობს მცდელობა დადგინდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი გამოსათვლელ ნიშნებსა და თვით საგნების ხარისხს შორის, წარმოგვიდგება როგორც მეცნიერული ინდუქცია.

ინდუქცია შეიძლება იყოს პრობლემური (ფუნქციონალური) და კაზუალური (მიზნობრივი), ენუმერატიული (დასახელებითი) და ელიმინატირებული (სტატისტიკური), ექსპერიმენტალური და მათემატიკური და ა.შ. ინდუქციის

ყველა ამ სახემ ფართო გამოყენება ჰპოვეს ეკონომიკურ ანალიზში: მაგალითად მათემატიკურ ინდუქციას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ეკონომეტრიკისა და მათემატიკურ ეკონომიკაში ფორმალიზებული ეკონომიკური თეორიების აგებაში.

ინდუქციას, რომელსაც ეკონომიკური კვლევებში ჩვენ გამოვიყენებთ, შემდეგ ავღნიშნავთ როგორც ეკონომიკურ ინდუქციას.

1. ინდუქციურ-ალბათური მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში და ინდუქცივიზმი ეკონომიკური აზრის ისტორიაში

ინდუქცია თავისი განსაზღვრების მიხედვით მჭიდრო კავშირშია ალბათობასთან.

ალბათობა – შესაძლებლობათა რაოდენობრივი საზომია, რაიმეს განხორციელების, შესრულების საზომია; ალბათობის თეორია – მეცნიერება მასობრივი შემთხვევითი მოვლენების შესახებ, რომელსაც აქვს უნარი მრავალჯერ განმეორდეს შესაბამისი პირობების კვლავწარმოების დროს.

ალბათობის პრობლემებს მათემატიკურ ასპექტში სწავლობს ალბათობის თეორია:

„ალბათობის თეორია – მათემატიკური თეორიაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთი შემთხვევითი მოვლენის ალბათობა გამოინახოს სხვა შემთხვევითი მოვლენის ალბათობაში, რომელიც რაღაცნაირად დაკავშირებულია პირველთან. ალბათობის თეორია თეორიულ მოდელირების დონეზე არკვევს კანონზომიერებებს, რომლებიც წარმოიშობიან დიდი რიცხვების ზემოქმედებით შემთხვევით ფაქტორებზე.”

ალბათობის პრობლემისადმი ფილოსოფიური მიდგომა ფართოა და ყოვლისმომცველი. ანსხვავებენ ალბათობის სამ სახეს – ონტოლოგიური, ლოგიკური და გნოსეოლოგიური. ონტოლოგიური ალბათობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მასობრივი (სტოხასტიკური) პროცესების და მოვლენების საზომი, ასევე ერთეული ობიექტების და მსგავსი პირობების

განუსაზღვრელი ქცევა. ლოგიკური ალბათობა ესაა ლოგიკური ურთიერთობების სახე გამონათქვამებს შორის, რომელიც ტრადიციულად გამოიხატება როგორც „დამკვიდრების ხარისხის" სემანტიკური ცნება. გნოსეოლოგიური ალბათობა აფიქსირებს ურთიერთობებს თვით გამონათქვამის შინაარსსა და საგნის ობიექტურ მდგომარეობას შორის. სწორედ ასეთი სახის ალბათობის შესახებ არის საჭირო მსჯელობა ინდუქციურ-ალბათური დასკვნების პრობლემებთან დაკავშირებით ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ყველა მსგავსი დასკვნები შეიძლება დავყოთ ორ ძირითად ჯგუფად: მათემატიკური და არამათემატიკური. პირველ შემთხვევაში ეკონომიკური მეცნიერების დასკვნები ეყრდნობა ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდების გამოყენებას და ისინი შეიძლება მკაცრად და ერთმნიშვნელოვნად ვაღიაროთ დამიტკიცებულად – ამ დროს ანალიზისას გამოიყენება ალბათობის ზუსტი რიცხობრივი მნიშვნელობა; სამეურნეო მოვლენების ინდუქციურ-ალბათური ანალიზის მეორე შემთხვევა იგება პრინციპით „ჭეშმარიტება-სიყალბე", ალბათური დასკვნების მნიშვნელობა შეიძლება იყოს არარიცხობრივი და არაზუსტი (მიახლოებითი), მაგრამ თვით დასკვნა ემყარება თეორიულ ალბათურ მიდგომას. სინამდვილეში ეკონომიკური მეცნიერება შედარებით ხშირად იყენებს ინდუქციური დასკვნის არამათემატიკურ გზას, ვიდრე მათემატიკურს, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ინდუქციურ-ალბათური მიდგომის მთელი პრობლემატიკა სტატისტიკური კვლევის მეთოდების სანდოობის საკითხში მდგომარეობს, რომელიც დაწვრილებით ჩვენ მიერ განხილულ იქნა წინა თავში.

ინდუქციის როგორც მეცნიერული შემეცნების ძირითად მეთოდად მტკიცება ლოგიკურად ინდუქტივიზმის მეთოდოლოგიამდე მიგვიყვანს.

ინდუქტივიზმი – ესაა მეთოდოლოგია, რომელიც ამტკიცებს ინდუქციის პრიორიტეტს მეცნიერული შემეცნების ყველა დანარჩენი მეთოდებთან.

„მეცნიერების ერთ-ერთ ყველაზე გავლენიანი მეთოდოლოგია ინდუქტივიზმი. ინდუქტივიზმის მიხედვით, მხოლოდ ის მსჯელობა შეიძლება მეცნიერულად

მივიჩნიოთ, რომლებიც ან მტკიცედ აღწერს დადგენილ ფაქტებს, ან გვევლინება მათ გაუბათილებელ ინდუქციურ განზოგადებად. როცა ინდუქტივისტი იღებს ზოგიერთ მეცნიერულ მსჯელობას, ის ამას ღებულობს როგორც უტყუარ ჭეშმარიტებას, და თუ ეს ასეთად არ გვევლინება, ინდუქტივისტი უგულვებელყოფს მას. მისი მეცნიერული კოდექსი მკაცრია: მსჯელობა ან უნდა იყოს ფაქტებით დასაბუთებული, ან უნდა იქნას გამოყვანილი დედუქტიურად ან ინდუქციურად წინათ დასაბუთებული მსჯელობებიდან."

ეკონომიკურ მეცნიერებაში ინდუქტივიზმს დიდი ხნის ტრადიცია აქვს და თანაც შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დიდი ეკონომისტების უმრავლესობა, თუკი პირდაპირ არ აცხადებდნენ თავს ინდუქტივისტებად, ისინი არაპირდაპირი გზით ამა თუ იმ ხარისხით მისკენ მიილტვოდნენ. ინდუქტივიზმი საბოლოო ანგარიშში ასე თუ ისე აპელირებს ემპირიზმისკენ, ის მიისწრაფვის გააკეთოს დასკვნები ემპირიული, გამოცდილი მსჯელობებიდან. ეს კი სრულიად შეესაბამება მეცნიერული დასკვნების პრინციპებს, რომელიც მიღებულია როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ისე საერთოდ მეცნიერებაში.

მაგრამ მტკიცება იმისა, რომ თითქოს ეკონომიკური მეცნიერება ემყარება მხოლოდ ინდუქციურ მსჯელობებს, წარმოადგენს გარკვეული გაგებით დაბნეულობას და მის იგნორირებას ჯერ კიდევ ჯ. კეინსი შეეცადა.

„პოლიტიკური ეკონომიკა, ზოგიერთების შეხედულებით, არ შეიძლება ჩავთვალოთ სუფთა ემპირიულ ან ინდუქციურ მეცნიერებად."

მაგრამ თუ კი ეკონომიკური მეცნიერება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც ინდუქტივიზმის ვარიანტად, მაშასადამე, ის წარმოადგენს სხვა მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ მიმართულების, შინაარსით ინდუქტივიზმის საპირისპირო ვერსიას, ანუ დედუქტივიზმს. ეს გარეგნულად სწორი პასუხების ვარიანტებიდან მხოლოდ ერთია. უფრო მეტიც (იხ. ასევე ქვემოთ), ეკონომიკური მეცნიერების დასკვნები თანმიმდევრულად ერწყმიან ერთმანეთს ინდუქტივიზმში და დედუქტივიზმში. ეკონომიკური კვლევის მეთოდოლოგია გულისხმობს ორივე ამ მეთოდებზე – ინდუქციურზე და დედუქციურზე დაყრდნობას და საგსებით

მართალი იყო გ. შმოლერი, როცა ამბობდა, რომ ორივე მეთოდი ისევე თანაბარუფლებიანია, როგორც ადამიანის ორივე ფეხი და მათ შორის ერთ-ერთი მეთოდის არ არსებობისას ეკონომიკური მეცნიერება „მოიკოჭლებს" ერთი ფეხით.

6. დედუქცია როგორც შემეცნების მეთოდი: ანალიზის საერთო ასპექტი

დედუქციის მეთოდის მნიშვნელობა ისევე დიდია, როგორც ინდუქციის მეთოდისა. შეიძლება ითქვას, რომ ნიბისმიერი ინდუქციური ნააზრევი ასე თუ ისე აპელირებას უკეთებს დედუქციას და პირიქით, ყოველგვარი დედუქციური დასკვნა ამა თუ იმ ხარისხით ინდუქციურ დასკვნას ეფუძნება.

„მსგავსად მარჯვენა და მარცხენა ფეხისა, რომელიც სიარულს ემსახურება, ასევე ზუსტად ინდუქცია და დედუქცია ეთნაირ თანაბარუფლებიან მეთოდებად გვევლინებიან."

დედუქცია ესაა ლოგიკური დასკვნა, რომელშიც ხორციელდება საერთო ფაქტებიდან და დებულებებიდან ცალკეულ დასკვნებამდე და განზოგადებამდე გადასვლა; ესაა მსჯელობა ზოგადიდან კერძოსაკენ, კერძო პრინციპების გამოყვანა საერთო წესებიდან.

დედუქცია თავისი არსით ესაა ინდუქციის შებრუნებული მეთოდი. თუ ინდუქციური მეთოდი მიემართება კერძოდან ზოგადისაკენ, დედუქციური მეთოდი კი საპირისპიროდ: ზოგადიდან კერძოსკენ. კვლევის დედუქციური მეთოდის საფუძვლები ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში ჩაიყარა: მთავარ როლს ამ შემთხვევაში თამაშობდა არისტოტელე თავისი ფორმალური სილოგიზმით, ასევე სკეპტიკოსები (პირონ ელიდსკი).

ინდუქციის მსგავსად დედუქცია შეიძლება განხილულ იქნას სხვადასხვა კლასიფიკაციის პრიზმაში. მაგალითად, არისტოტელესეული დედუქცია შეიძლება დავახასიათოთ როგორც ლოგიკური, რამდენადაც ის საფუძვლად ედო

ფორმალური ლოგიკის გამოყვანას. XVII ს. ფრანგი მოაზროვნე უ. პ. დეკარტისთვის დედუქციური წესები მეთოდოლოგიურ ხასიათს ატარებდნენ, რამდენადაც ისინი აყალიბებდნენ მეცნიერული დასკვნების ნორმებს. ასევე შეიძლება გამოიყოს ფუნქციონალური და კაუზალური დედუქცია და ა.შ. ასევე შესაძლებელია დედუქციის კლასიფიკაცია ცოდნის სახეების მათემატიკური, ფიზიკური, სოციოლოგიური და ა.შ. მიხედვით. ეკონომიკურ ანალიზში გამოყენებულ დედუქციას შემდეგში ჩვენ ავღნიშნავთ როგორც ეკონომიკურ დედუქციას. ინდუქციისა და დედუქციის მნიშვნელობის კვლევის, მათ შორის ეკონომიკური მეცნიერებისათვის მათი მნიშვნელობის შეჯამება შეიძლება ისევ ი. პ. სუსლოვის სიტყვებით მოხდეს: „როგორც ანალიზი და სინთეზი, ასევე ინდუქცია და დედუქცია იმყოფებიან ერთიანობაში, ურთიერთკავშირში და ურთიერთდამოკიდებულებაში, ამასთან ისინი აზროვნების პროცესის განუწყვეტელი შინაგანი დაპირისპირებულობაა. ამიტომ ნამდვილად მეცნიერული შემეცნება შესაძლებელია მხოლოდ მათი ერთობლივი გამოყენებით. ეკონომიკური კვლევის ყოველ კონკრეტულ აქტზე ინდუქცია და დედუქცია ორგანულად შერწყმულია ერთმანეთთან. კვლევის პროცესი იმდენად მიემართება კერძოდან ზოგადისაკენ, რამდენადაც ზოგადიდან კერძოსკენ. ინდუქცია ამზადებს დედუქციას, დედუქცია აფართოებს საქმიანობის არეს მოვლენის შემდგომი ინდუქციური შესწავლისათვის. ინდუქციიდან დედუქციაზე გადასვლა და მისგან ფაქტების (ინდუქციის) შესწავლა მიმდინარეობს განუწყვეტლივ. ინდუქციისა და დედუქციის ეტაპები, მისდევენ რა ერთმანეთს, ქმნიან ერთიან ქსელს, რომელსაც ეკონომიკური სინამდვილის უფრო ღრმა შეცნობისაკენ მივყევართ.

7. დედუქციური მეთოდი და დედუქტივიზმი ეკონომიკური აზრის ისტორიაში

დედუქციურ მსჯელობებს (ეს აზრი იქიდან გამომდინარე, რაც ზემოთ ითქვა, უნდა გამოიყურებოდეს ცხადად) უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კვლევებისათვის.

მთლიანად დედუქციური მეთოდი შეიძლება დავახასიათოთ როგორც მეცნიერული თეორიის შექმნის მეთოდი, რომლის მთავარი თავისებურება და განმასხვავებელი ნიშანია ლოგიკური დასკვნების დედუქციური პროცედურების გამოყენება. თუ ამ მეთოდს გამოცდილებისა და ექსპერიმენტზე დაფუძნებული ჰიპოთეზის წამოწევის მეთოდით ავსებენ, მაშინ ის იღებს სახელწოდებას ჰიპოთეტიკურ-დედუქციური მეთოდი. შევნიშნავთ ასევე, რომ დედუქციური მეთოდი უდევს საფუძვლად ფორმალურ სილოგიზმს.

დედუქციური მეთოდის გამოყენებით ახალი ცოდნა მიიღება როგორც აქსიომის ტერმინების და მტკიცებულებების ზოგიერთი ამოსავალი ბაზისის ლოგიკური შედეგი, ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ იმაზე, რომ ყველა დედუქციური თეორიები წარმოადგენენ აქსიომატიური თეორიის ნაირსახეობას. თავად ლოგიკური მეთოდი შეიძლება გამომდინარეობდეს ან მათემატიკის, ან ფორმალური ლოგიკის წესებიდან: პირველი შემთხვევაში ის შეიძლება აღინიშნოს როგორც მათემატიკური, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, როგორც ფორმალურ-ლოგიკური. ასეთი დასკვნების გამოტანის შედეგები შეიძლება წარმოდგენილ იქნას ან როგორც დედუქციის თეორიის შედეგთა ერთობლიობა, ან როგორც ამ შედეგების შესაძლო ინტერპრეტაციების ჯამი.

დედუქტივიზმი – ესაა მეცნიერული კვლევის მეთოდოლოგიაში ინდუქტივიზმის საპირისპირო მიმართულება. თუ ინდუქტივიზმი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამტკიცებს დედუქტიურ მსჯელობებთან პირველობას, დედუქტივიზმი, ბუნებრივია იქცევა პირიქით.

დედუქტივიზმი – მეთოდოლოგიაა, რომელიც ამტკიცებს დედუქციის პრიორიტეტს ყველა დანარჩენ მეცნიერულ მეთოდებთან.

მეცნიერული შემეცნების თანამედროვე მეთოდოლოგიაში დედუქტივიზმის აპოლოგიას ჩვეულებრივ უკავშირებენ კარლ პოპერის ფილოსოფიურ შეხედულებებს. პოპერის მიხედვით, ინდუქტივიზმი წარმოადგენს ყალბ მეთოდოლოგიურ კონცეფციას, სადაც მეცნიერული ჭეშმარიტების პრობლემა

იცვლება არასრული ინდუქციის პრინციპების მიხედვით „სამართალმსგავსი” „გამართლების” პრობლემით.

პოპერის ერთ-ერთი მოწაფე, მარკ ნოტტურნო, ამ დროს მიუთითებს კავშირზე, რომელიც არსებობს ინდუქტივიზმსა და „კომუნალისტურ” (ე.ი. ტოტალიტალურ) აზროვნებას შორის:

„კომუნალისტური აზროვნება და ინდუქტივიზმი ერთმანეთთან უფრო დაკავშირებულია, ვიდრე ამაზე ვფიქრობთ. კომუნალისტური აზროვნების მეშვეობით მხარდაჭერილია ილუზია, თითქოს ინდუქციური მსჯელობის დასკვნები ემყარება მის წანამძღვრებს. ეს რომ სწორედ ილუზიაა, ჩანს იმ მარტივი ფაქტიდან, რომ არ არსებობს წინააღმდეგობა ინდუქციური მსჯელობების წანამძღვრების მტკიცებასა და მისი დასკვნების უარყოფას შორის. ინდუქციურ მსჯელობებში უცვლელად მიმდინარეობს ის, რასაც კირკეგორი „შეხტომას” უწოდებს. ერთი მტკიცებულება ითვლება ჭეშმარიტებად და მეორეც ასევე. შემდეგ, ითვლება, რომ ეს და ისიც გვევლინება მესამე მტკიცებულების გამართლებად, რომელიც მარტივად რომ ვთქვათ, პირველიდან არ გამომდინარეობს. სწორედ აქიდან იწყება ყველა ტირანია. თავიდან, ინდუქტივისტი აკეთებს არც ისე დიდ ნახტომს და უწოდეს მას „გამართლებულს”. შემდეგ, თუ არავინ არ ეწინააღმდეგებება, ის აკეთებს უფრო მეტ ნახტომს და ასევე უწოდებს მას „გამართლებულს”. ბოლოს და ბოლოს ის ასე შედის როლში და მისთვის ყველაფერი არაფერი ხდება.

ეკონომიკაში დედუქტივიზმს, ასევე როგორც ინდუქტივიზმს დიდი ხნის ტრადიცია გააჩნია: საწყისები აქ ჯერ კიდევ მაქს ვებერის ავსტრიული სკოლის დროს ჩაიდო, რომლის შემდეგ ეს კონცეფცია აქტიურად განავითარა ლუდვიგ ფონ მიზემ. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა შემდეგს:

„თუკი აღმოჩნდება წინააღმდეგობა თეორიასა და გამოცდილებას შორის, ჩვენ ყოველთვის უნდა ვივარაუდოთ, რომ ვერ შესრულდა თეორიის მიერ მიღებული პირობები, ან ჩვენს დაკვირვებაში რაღაც შეცდომაა... ვერც ერთი

გამოცდილება ვერ დაგვავალდებულებს ჩვენ უარვყოთ ან მოდიფიცირება გავუკეთოთ აპრიორულ თეორემებს”[1].

ლ. მიზემის მსგავსად, ინგლისელი ეკონომისტი ლაიონ რობინსი დედუქტივიზმის არგუმენტებს შემდეგნაირად აყალიბებს:

„ეკონომიკური, ისევე როგორც ნებისმიერი მეცნიერული თეორიების მტკიცებულებები, ბუნებრივი გზით დედუქციურად გამომდინარეობენ პოსტულატთა ჯგუფიდან, ხოლო მთავარ პოსტულატებად გამოდიან ყველა წანამძღვრები, რომლებიც ამა თუ იმ სახით მოიცავენ მარტივ და უდაო გამოცდილ ფაქტებს. მაგალითად, დოვლათის იშვიათობა, რომელიც ჩვენი მეცნიერების კვლევის საგანია სინამდვილეში რეალურად ვლინდება სამყაროში.

ღირებულების თეორიის ძირითადი პოსტულატია ფაქტი, რომლის მიხედვით ინდივიდებს შეუძლიათ თავიანთი უპირატესობის რანჟირება მოახდინონ გარკვეული წესით და სინამდვილეშიც ასე იქცევიან. წარმოების ფაქტორები უფრო არსებობენ, ვიდრე ერთი დინამიკის თეორიის. მთავარი პოსტულატია ის ფაქტი, რომ ჩვენ ზუსტად არ ვიცით, რომელი დოვლათი იქნება იშვიათი მომავალში. ჩვენ არ გვინდა მაკონტროლებელი ექსპერიმენტი მათი დასაბუთების მიზნით: ისინი იმდენად განმტკიცდნენ ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ საკმარისია მარტივად ფორმულირება და მისი ცხადად მიჩნევა.

ამრიგად, ეკონომიკური ანალიზის ისტორიაში დედუქტივიზმი პრინციპში უარყოფს იმის აუცილებლობას, რომ თეორია გამოვიყვანოთ ინდუქციურად ემპირიული მსჯელობებიდან: საკმარისია დავსვათ რაიმე პოსტულატი ან აქსიომა და თუ ისინი საკმაო ეფექტიანად მუშაობენ (მოაქვთ ფასიანი შედეგები თეორიისა და პრაქტიკის თვალსაზრისით), მაშინ ამოსავალი (საწყისი) ემპირიული მსჯელობები საერთოდ შემოწმებას არ საჭიროებენ. ასეთია არგუმენტები დედუქტივიზმისა. მათი შემოწმება ცხადია, საჭიროა განხორციელდეს. ასევე პოპერის ფალსიფიკაციის მეთოდის მიხედვით, სანამ მოცემული მსჯელობები არ არის უარყოფილი, ისინი ჭეშმარიტად უნდა ჩაითვალოს.

მაგრამ ეკონომიკურ მეცნიერებაში „ინდუქტივიზმი-დედუქტივიზმის დილემის“ მთლიანად გადაჭრა არც ისე მარტივია. ის რომ გვჭირდება ორივე –ინდუქციური და დედუქციური მეთოდი, თანხმდებიან ინდუქტივისტები და დედუქტივისტები, მაგრამ ეკონომიკურ კვლევებში რომელი მათგანია უკეთესი და უფრო პროდუქტიული... აქ უკვე გახსნილია სრული სივრცე მეთოდოლოგიური დისკუსიებისათვის.

8. ფორმალური სილოგიზმი და ეკონომიკური სოფისტიკის პრობლემა

ფორმალურ სილოგიზმად მიღებულია იწოდებოდეს მოძღვრება სილოგისტიკურ მსჯელობების (სილოგიზმებზე) სისტემაზე, რომელიც ფორმალური ლოგიკის წესებს ემყარება. სილოგისტური მსჯელობები შედგება სამი ტერმინისაგან მსჯელობების სახით: ორი წანამძღვარი და ერთი დასკვნა. ეს მსჯელობები შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, როგორც მტკიცებულებითი, ასევე უარყოფითიც, ხოლო მეორე მხრივ,-ან საერთო, ან კერძო.

საბაზო მტკიცებულებათა უმრავლესობა ეკონომიკურ მეცნიერებაში სწორ სილოგისტიკურ დასკვნებს ეფუძნება (მაგალითად ასეთი დასკვნების სტრუქტურა შეიძლება იყოს შემდეგი. პირველი წანამძღვარი: თუკი ქვეყანაში შეინიშნება ფასების ზრდის ზემაღალი – წელიწადში 200%-ზე მაღლი ტემპები, მაშინ ადგილი აქვს ჰიპერინფლაციას”.

მეორე წანამძღვარი: „რუსეთში 1992-1994 წწ. შეინიშნებოდა წელიწადში ფასების 200%-ზე მაღალი ზრდის ტემპი.” დასკვნა: მაშასადამე, რუსეთში 1992-1994 წწ. ადგილი ჰქონდა ჰიპერინფლაციას.”

ასეთი მსჯელობანი უნდა ჩაითვალოს ელემენტარულად ეკონომიკური ცოდნისათვის და მათი ათვისება ჩვეულებრივ არავითარ პრობლემას არ შეადგენს. ხოლო ადამიანს, რომლისთვისაც ორივე წანამძღვარი ცნობილია, შეუძლია დამოუკიდებლად გააკეთოს აქედან დასკვნა. მითუმეტეს, ფორმალური სილოგიზმის ამოცანაა - როგორც ეკონომიკური, ისე ნებისმიერი მეცნიერების, გაარკვიოს ზუსტი პირობები, როცა ამა თუ იმ წანამძღვრიდან როდის უნდა

გააკეთოს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა და როდის არაა საჭირო მისი გაკეთება. ძირითადი გზა ამ ამოცანის გადასაწყვეტად ჩვენს მიერ უკვე განხილულია მეცხრე თავში – ესააა ეკონომიკური ცოდნის ფორმალიზაცია და მათემატიზაცია, ასევე მისი აქსიომიზაცია (იხ. მე-9 თავის ბოლო განყოფილება).

ფორმალური ლოგიკის და, პირველ რიგში, სილოგისტიკური მსჯელობების მეთოდის წესების შეგნებული დარღვევა ეგრეთწოდებული სოფისტიკის იარაღია. სოფისტიკა შეიძლება განიმარტოს როგორც სოფიზმის გამოყენება დავაში ან მტკიცებულებებში, ხოლო სოფიზმი ჩვენ ადრე ვუწოდეთ მსჯელობას, რომელიც ეფუძნებოდა წანამძღვრებსა და თეზისს შორის კავშირის არასწორ გამოყენებას თანამოსაუბრის შეგნებულად დაბნევის მიზნით.

მე-5 თავში ჩვენ უკვე მივეცით ეკონომიკური სოფისტიკის განსაღვრება.

ეკონომიკური სოფისტიკა – ესაა სამეურნეო მოვლენებსა და ფაქტებზე მსჯელობებში ფორმალური ლიგიკის წესების გამიზნულად დარღვევა რაიმე დაბნეულობის მიზნით.

ეკონომიკური სოფისტიკა თანამოსაუბრის ან აუდიტორიის მოსატყუებლად სხვადასხვა წესებს იყენებს: ესაა თეზისის შეცვლა ერთი და იგივე ტერმინით, მტკიცებულებების სხვადასხვა აზრით გამოხატვა და გაუმართლებელი გადასვლა კერძო მსჯელობიდან ზოგადზე და ა.შ. მაგრამ ყველა ამ წესმა შეიძლება შთაბეჭდილება შეუქმნას ეკონომიკურად (ან, უკეთესია ითქვას, პროფესიონალურად) მოუმზადებელ აუდიტორიას. პროფესიონალი ეკონომისტი კი, როგორც წესი ადვილად „ისრუტავს" ასეთ წესებს და ყოველთვის მოწოდებულია საკადრისი პასუხი გასცეს მას.

9. ეკონომიკური პარადოქსები

ტერმინს „პარადოქსი" ორი ძირითადი მნიშვნელობა აქვს: ჯერ ერთი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პარადოქსი ესაა რაღაცა ჯანსაღი აზრის

საწინააღმდეგო; მეორე, ფილოსოფიურ-ლოგიკური გაგებით პარადოქსი ესაა ფორმალურ-ლოგიკური წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიშობა ფორმალურ ლოგიკასა და სიმრავლის თეორიაში მსჯელობის სწორი მსვლელობის მთლიანად შენარჩუნების დროს. პარადოქსის ერთ-ერთი სახეა ე.წ. ანტინომია – მსჯელობის მსვლელობისას ორ ერთნაირად დასაბუთებული, მაგრამ იმავ დროს ურთიერთსაწინააღმდეგო გამონათქვამების გამოჩენა.

პარადოქსების წარმოშობის მიზეზები შეიძლება დაიყოს ორ ჯგუფად: 1) საერთო გნოსეოლოგიური და ლოგიკური სიძნელეები, რომელიც დაკავშირებულია ფორმალური ლოგიკის საგნობრივი მხარის ცნებასთან. აბსტრაქტული ცნებები და ობიექტების გაიდეალება, სიმრავლის მათემატიკური თეორიების წინააღმდეგობანი; 2) შიდა შემეცნებითი პროცესებისა და მოვლენების რეალური „წინააღმდეგობები", რომლებიც დაკავშირებულია შემეცნების პროცესის ცალმხრივობასთან და სქემატურობასთან, ასევე სხვადასხვა შემეცნებითი დონეების აღრევა.

ეკონომიკურ პარადოქსს ჩვენ ვუწოდებთ პარადოქსს, რომელიც თავისი ამა თუ იმ საგნობრივი მხრიდან აყალიბებს ეკონომიკურ მეცნიერებას. მათი მიზეზები, პრინციპში, იგივეა, რაც ზემოთ იქნა ნათქვამი: ეკონომიკური შემეცნების ან ფორმალურ-ლოგიკური წინააღმდეგობა, ან თვით სამეურნეო პროცესებისა და მოვლენების შიგნით ობიექტური წინააღმდეგობა.

მოვიყვანოთ რამდენიმე ცნობილი ეკონომიკური პარადოქსების მაგალითი. ცხადია ისინი მსოფლიო ნობელის ლაურეატების - მორისის, ალეს, ვასილ ლეონტიევის და კენეტი ეროუს რეფლესიის ნაყოფია.

ალეს პარადოქსი მიეკუთვნება ეკონომიკურ აგენტების სამეურნეო გადაწყვეტილებების არჩევის სფეროს. მ. ალემდე ითვლებოდა, რომ ნებისმიერი ეკონომიკური აგენტი (მეწარმე, დაქირავებული მუშა და ა.შ.) თავის სამეურნეო საქმიანობაში ამოდის მაქსიმალურად მოსალოდნელი სარგებლიანობის პრინციპიდან. მაგრამ ფრანგმა მეცნიერმა დაამტკიცა, რომ სინამდვილეში ასეთი

აგენტი უფრო მეტ შემთხვევაში მაქსიმალურ სარგებლიანობაზე მეტად მაქსიმალურ სანდოობას ამჯობინებს.

ლეონტიევის პარადოქსი - ესაა პარადოქსი, რომელიც დაკავშირებულია ხეკშერ-ულინის თეორემის უარყოფასთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ თავის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში თითოეულმა ქვეყანამ საჭიროა გაიტანოს საქონელი, რომელთა წარმოება მოცემულ ქვეყანაში არსებული რესურსების შედარებით უფრო დაბალ ხარჯს მოითხოვს. მაგალითად, აშშ-ი თანამედროვე ეპოქაში საჭიროა კაპიტალტევად პროდუქციის ექსპორტი და შრომატევადი პროდუქციის იმპორტი. მაგრამ ლეონტიევმა მოცემულ თეორემაზე დაყრდნობით და ეკონომისტთა „ჯანსაღი აზრის" გათვალისწინებით აჩვენა, რომ შემდგომში (მრავალ მიზეზთა გამო) სიტუაცია პირდაპირ საპირისპიროა: მაღალგანვითარებული ქვეყანას (აშშ-ს ტიპის) გააქვს შრომა და შემოაქვს კაპიტალი.

ერროუს პარადოქსი მიეკუთვნება ეგრეთწოდებულ საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის სფეროს და ამტკიცებს, რომ არჩევანის საზოგადოებრივმა ფუნქციამ, რომელიც ინდივიდუალურ უპირატესობებსა და თვით საზოგადოებრივ არჩევანს შორის კავშირს გამოხატავს, გარდამავლობის ოთხ პირობას უნდა უპასუხოს: უნივერსალურობა, ერთხმიანობა, დამოუკიდებლობა, დიქტატორის არარსებობა, მაგრამ ყველა ეს პირობები, თუკი მათ განვიხილავთ როგორც სოციალური მაქსიმუმის მიღწევის პირობას, აღმოჩნდება შეუთავსებელი ერთმანეთთან.

ბუნებრივია, რომ ამ სამი პარადოქსით ეკონომიკური მეცნიერებების „პარადოქსთა სიმდიდრე" არ ამოიწურება. მათი შესწავლა ძალიან სასარგებლოა, რადგან პარადოქსები ანვითარებენ აზროვნების არასტანდარტულობას და კრიტიკულობას, უკვე დადგენილ ეკონომიკური მეცნიერების აქსიომებსა და კანონებს.

10. ჰიპოთეზა და ჰიპოთეზური დედუქციური მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში

ჰიპოთეზა შეიძლება განისაზღვროს როგორც ვარაუდი, რომელიც არ შეიძლება ბოლომდე მართებულად მივიჩნიოთ; მეცნიერული ჰიპოთეზა გულისხმობს რაიმე ფაქტებისა და მოვლენის არსებობას, დროთა ვითარებაში ის გარდაიქმნება თეორიად. ამ გაგებით, ნებისმიერი ჰიპოთეზა გვევლინება თეორიის „ნაირსახეობად", რომლადაც დროთა ვითარებაში შეიძლება გარდაიქმნას თეორიად – ან დამოუკიდებლად, ან სხვა ჰიპოთეზებთან ურთიერთქმედებაში.

ჰიპოთეზის შემოწმების რამდენიმე ძირითადი წესი არსებობს და ყველა ისინი შეიძლება შეფასებულ იქნას ეკონომისტების მიერ ადრე წამოყენებული ჰიპოთეზების გათვალისწინებით. ახალი ჰიპოთეზა უკვე ცნობილ ფაქტს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს; ახალი ჰიპოთეზა უნდა მიისწრაფვოდეს ახსნას ახალი ფაქტების მაქსიმალურად შესაძლო რიცხვი; ახალი ჰიპოთეზა უნდა იყოს შემოწმებული; ახალი ჰიპოთეზა შეძლებისდაგვარად მარტივი უნდა იყოს.

ჰიპოთეზის რამდენიმე ძირითადი სახე არსებობს: სამუშაო (სავარაუდო) ჰიპოთეზა, ჰიპოთეზა ad hoc (მოცემული შემთხვევისთვის), სამოდელო ჰიპოთეზა; ჰიპოთეზა ასევე შეიძლება იყოს ცოდნის მხარეების მიხედვით: პოლიტიკური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური და ა.შ.

ეკონომიკურ ჰიპოთეზას შემდგომში ჩვენ ვუწოდებთ ჰიპოთეზას, რომელსაც იყენებს ეკონომიკური მეცნიერება, ან სხვანაირად, ჰიპოთეზას, რომელსაც იყენებენ ეკონომისტები ამა თუ იმ სამეურნეო ფაქტთან თუ მოვლენასთან დაკავშირებით.

ეკონომიკურ კვლევებში განსაკუთრებული გავრცელება ჰპოვა სამოდელო ჰიპოთეზებმა.

ეკონომიკურ მეცნიერებაში სამოდელო ჰიპოთეზები ესაა ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები. მსგავსი სახის ჰიპოთეზების დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ მათმა დასკვნებმა ორმაგი შემოწმება უნდა გაიარონ –

მოდელის შესაბამისობის და სამოდელო ობიექტის შესაბამისობის თვალსაზრისით.

ეკონომიკური ჰიპოთეზა ეკონომიკური ცოდნის მნიშვნელოვანი ელემენტია და ამავე დროს ეკონომიკურ მეცნიერებაში ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდის შემადგენელი ნაწილია.

ჰიპოთეტურ-დედუქციური მეთოდი ეკონომიკურ მეცნიერებაში ესაა მეთოდოლოგიური წესების სისტემა, რომელიც გულისხმობს ეკონომიკური ჰიპოთეზებიდან ემპირიულად შემოწმებული შედეგების დედუქცირებას.

თავი 12.

1. ანალოგიის და მოდელირების მეთოდი ეკონომიკურ ანალიზში

შესავალი

ეკონომიკური ანალოგიის და მასზე დაფუძნებული ეკონომიკური მოდელირების მეთოდი წარმოადგენს ეკონომიკური მეცნიერების ორ მნიშვნელოვან მეთოდს. ეკონომიკური ექსპერიმენტი და სამეურნეო ექსპერიმენტირება, მიუხედავად მეცნიერული მნიშვნელობისა, იძულებულია შეასრულოს დაქვემდებარებულის როლი, ამიტომ იზრდება ამა თუ იმ ეკონომიკურ კვლევაში გამოყენებული მოდელირების, როგორც მონაცემთა შემოწმების ერთ-ერთი საშუალების, როლი.

განსხვავებული ტიპის მოდელების აგებამ ეკონომიკაში ისეთი ფართო სახე მიიღო, რომ ეკონომიკურ მეცნიერებას მოდელების „გადაჭარბებული წარმოების“ სერიოზული საფრთხე დაემუქრა, მათზე სერიოზული „მოთხოვნის“ არარსებობის გამო.

თუმცა, ეს სულაც არ ამცირებს ეკონომიკური მოდელირების მნიშვნელობას.

ეკონომიკური ანალოგიის და ეკონომიკური მოდელირების გარდა, ამ თავში ჩვენ განვიხილავთ ეკონომიკური კვლევის ისეთ სპეციფიკურ მეთოდს, როგორიცაა საქმიანი თამაშები – მეთოდს, რომელიც თავის თავში აერთიანებს ექსპერიმენტს და მოდელირებას.

საქმიანი თამაშები ეკონომიკური მეცნიერების განვითარებისას უფრო ფართო გავრცელებას ჰპოვებს, როგორც სამეურნეო პრაქტიკის მოდელირების და ეკონომიკური პროცესების კვლევის მეცნიერული მეთოდი.

2. ანალოგიის მეთოდი მეცნიერულ კვლევაში

ანალოგია შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგი სახით:

ანალოგია არის მეთოდი, რომელიც იყენებს ანალოგს (ანუ იდეალურ ან მატერიალურ საგანს, რომელიც ადექვატურად ასახავს საკვლევ პროცესს ან საგანს);

ანალოგია არის მეთოდი, რომელსაც არ გააჩნია დიდი მტკიცებითი ძალა. მსგავსება, რომლის საფუძველზეც ხდება დამტკიცება, შეიძლება აღმოჩნდეს შემთხვევითი, ხოლო ნიშნების შერჩევითი ანალიზისას არსებითი ნიშნები (მახასიათებლები) შეიძლება შეიცვალოს არარსებითით. აი, რატომ უნდა ვილაპარაკოთ ანალოგიაზე, როგორც ალბათურ მეთოდზე.

დასკვნები ანალოგიის შესახებ არასანდოა, მხოლოდ ამა თუ იმ ხარისხით არის ალბათური. ისინი ეყრდნობიან რეალურ სინამდვილეში მახასიათებლებს შორის არსებულ აუცილებელ კავშირებსა და ურთიერთობებს. ამასთან, ანალოგიის მიხედვით, დასკვნის ალბათობის ხარისხი მით მაღალია, რაც უფრო მეტი მსგავსი ნიშნებია აღმოჩენილი და რაც უფრო არსებითია ეს ნიშნები შედარებადი საგნებისათვის.

თუ მსგავსი ნიშნები შედარებად მოვლენებში შემთხვევითია, ანალოგია შეიძლება აღმოჩნდეს მცდარი. მათი ალბათური ხასიათიდან გამოდინარე,

ანალოგიის მეთოდით მიღებული დასკვნები უნდა დასაბუთდეს სხვა მეთოდებიდან მიღებული შედეგებით და გულმოდგინედ შემოწმდეს პრაქტიკაში.

ანალოგია შეიძლება განისაზღროს მოდელირების გზითაც (თუმცა, უფრო ხშირად გამოიყენება საწინააღმდეგო მიდგომა); ამ შემთხვევაში ანალოგიად უნდა ჩავთვალოთ „ინფორმაციის გადატანა“ პროტოტიპიდან მოდელისაკენ და პირიქით.

ანალოგიური დასკვნის ჩვეულებრივი სქემა შემდეგში მდგომარეობს: თუ პირველ საგანს ახასიათებს ნიშნები A, B, C, D, ხოლო მეორეს A, B, C, მაშინ სავარაუდოა, რომ მეორე საგანს ახასიათებს D ნიშანიც.

ანალოგიის დასკვნებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ მეცნიერების განვითარების ადრეულ პერიოდში, როცა ექსპერიმენტულ მეთოდს არ ჰქონდა ფართო გავრცელება. მაგალითად, ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე, გამოიყენა რა მბრუნავი ნაწილაკების ანალოგია სინათლის სხივში, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობენ უწვრილესი მატერიალური ნაწილაკები – ატომები, ხოლო ამ პერიოდის სხვა ფილოსოფოსმა პლატონმა გამოიყენა სპარტის და სპარტული სახელმწიფოს მოდელი საკუთარი იდეალური სახელმწიფოს მოდელის ასაგებად.

დაწყებული XVI-XVII საუკუნეებიდან ანალოგიის მეთოდი მეცნიერულ ცნობიერებაში სულ უფრო იშვიათად გამოიყენება. ძირითადად საკვლევი რეალიების საწყისი ინტუიციური მოდელების ასაგებად გამოიყენება ინდუქციური და დედუქციური ხერხები.

მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებობის საშუალებებისათვის ბრძოლის მალთუზური ევოლუციური კონცეფციის ანალოგიის მიხედვით ჩარლზ დარვინმა ააგო თავისი ცნობილი ბიოლოგიური ევოლუციის თეორია, ხოლო მარქსმა – კლასობრივი ბრძოლის თეორია; ადრე აღმოჩენილი მექანიკური რხევების ტალღური თეორიის ანალოგიაზე დაყრდნობით კი ხ. ჰიოგენსმა და ჯ. მაქსველმა შეიმუშავეს ელექტრომაგნიტური რხევების ტალღური თეორია. ჰ.

ბორმა მზის სისტემის ანალოგიის მიხედვით წამოაყენა ატომის გულის აგებულების კონცეფცია და ა.შ.

არსებობს ანალოგიური დასკვნების რამდენიმე ძირითადი კლასიფიკაცია: მაგალითად, განასხვავებენ ინდუქციურ და დედუქციურ ანალოგიებს. პირველი მათგანი აპელირებას ახდენს საბოლოოდ ინდუქციისაკენ, მეორე – დედუქციისკენ. განასხვავებენ მკაცრ ანალოგიასა და არამკაცრ ანალოგიას: პირველ შემთხვევაში დასკვნა კეთდება ყველა ნიშნების მსგავსების საფუძველზე, გარდა ერთი უცნობისა; მეორე ვარიანტში ანალოგიური დასკვნა ეფუძნება ნიშანთა უმეტესობის მსგავსებას. კვლევისათვის უცნობი რჩება ორი ან მეტი ნიშანი. განასხვავებენ აგრეთვე კაუზალურ ანალოგიას და გაფართოების (განვრცობის) ანალოგიას; ანალოგიის პირველი სახე ეფუძნება არა რაიმე ნიშნების გარეგნულ მსგავსებას ანალოგიურ და კვლევით ობიექტს შორის, არამედ თვით ობიექტებში და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის გამოვლენას, ანალოგიის მეორე ტიპი – უბრალოდ განავრცობს შესასწავლ საგანზე იმ თვისებებს, რომლებიც აღმოჩენილია ანალოგში.

იმისათვის, რომ ანალოგია იყოს მტკიცებითი და თავისი ფორმით გვახსენებდეს ინდუქციურ ან დედუქციურ დასკვნას, აუცილებელია შემდეგი პირობების დაცვა: 1) ანალოგია უნდა ეფუძნებოდეს არსებული ნიშნების მაქსიმალური რაოდენობის მსგავსებას; 2) უცნობებს შორის კავშირი საძიებელ და სხვა ნიშნებს შორის უნდა იყოს საკმაოდ მჭიდრო და დამტკიცებადი; 3) ანალოგიამ არ უნდა მიგვიყვანოს ანალოგიასა და საკვლევ საგანს შორის აბსოლუტურ მსგავსებასთან; 4) მსგავსი ნიშნების კვლევა უნდა შეივსოს ანალოგიასა და საკვლევ ობიექტს შორის ცნობილი განსხვავებების კვლევით.

ჯ. მილლის მიხედვით, ანალოგიური მტკიცებულების მნიშვნელობა შემდეგში მდგომარეობს: „ანალოგიური მტკიცებულების მნიშვნელობა, ანუ მსგავსებაზე დასკვნა, მათ შორის კავშირის არარსებობის შემთხვევაში, დამოკიდებულია მსგავსი ნიშნების რაოდენობაზე.

აქედან გამომდინარეობს, რომ როცა მსგავსება ძალიან დიდია, ხოლო განსხვავება ძალიან მცირეა, მაშინ ანალოგიური დასკვნა შეიძლება ძალიან ახლოს მივიდეს მუდმივ ინდუქციასთან“.

ანალოგიის მეთოდი ფართოდ გამოიყენება ეკონომიკურ კვლევებში; ამ სახის ანალოგიას შემდგომში ჩვენ ვუწოდებთ ეკონომიკურ ანალოგიას.

3. ეკონომიკური ანალოგია, როგორც ეკონომიკური კვლევის მეთოდი

ეკონომიკური ანალოგია – ეს არის დასკვნა იმის შესახებ, რომ საკვლევ სამეურნეო ობიექტს აქვს სხვა არსებული ნიშნების მსგავსი რაიმე ნიშანი, რომელიც იდეალური ან საგნობრივი ანალოგია ამ ობიექტისა.

ეკონომიკური ანალოგია როგორც სამეურნეო ობიექტის კვლევის საშუალება ფართოდ გამოიყენება ეკონომიკური აზროვნების მთელი ისტორიის მანძილზე. მაგალითად, „ეკონომიკური წონასწორობის“ იდეა არის მექანიკაში არსებული სტატისტიკური წონასწორობის პროდუქციად მოქმედი ანალოგი, ხოლო „ეკონომიკური ევოლუციის“ იდეა – ჩ. დარვინის ბიოლოგიური ევოლუციის თეორიის ეფექტური ანალოგია, რომელიც თავის დროზე იქმნებოდა როგორც ხალხის განვითარების მათლუსის თეორიის ანალოგი.

ფ. კენე ქმნიდა რა თავის ცნობილ „ეკონომიკურ ცხრილს“ აღიარებდა, რომ ის ითვალისწინებდა ანატომიურ შეხედულებებს სისხლის მიმოქცევის შესახებ; გვთავაზობს რა საზოგადოების განსხვავებული ინტერესების ბუნებრივი ურთიერთშეთანხმების პრინციპს, ადამ სმითი იყენებს „უხილავი ხელის“ ანალოგიას და ა.შ.

ასეთი მაგალითები, როცა ერთი ეკონომიკური იდეა წარმოადგენს უკვე არსებულის ანალოგს, მეცნიერებაში უამრავია. შესაბამისად, ეკონომიკური ანალოგია შეიძლება განვიხილოთ როგორც ეკონომიკური აზროვნების უდიდესი წყარო.

„ანალოგია – გამოიყენება მიმდინარე ეკონომიკურ კვლევებში. ანალოგიის საფუძველზე ეკონომისტი აკეთებს დასკვნებს, თეორიულად აანალიზებს ეკონომიკურ პროცესებს სხვადასხვა დარგებში: სამრეველო, ტრანსპორტის, ვაჭრობის. თუმცა, ყველა შემთხვევაში ანალოგიის მიხედვით გაკეთებული დასკვნები არ შეიძლება გამოვიყენოთ როგორც მტკიცებულება. მათ აქვთ მხოლოდ სავარაუდო მნიშვნელობა, კერძოდ ხელს უწყობს ჰიპოთეზის ფორმულირებას.

ზემოთ განხილული მსჯელობებიდან გამომდინარე, ეკონომიკური ანალოგიის მეთოდი უნდა განვიხილოთ როგორც ეკონომიკური ფენომენების კვლევის დამატებითი და მეორეხარისხოვანი მეთოდი. მაგრამ ერთი არსებითი შესწორება ცვლის სიტუაციას მთელი 180 გრადუსით: საქმე იმაშია, რომ ეკონომიკური ანალოგია საფუძვლად უდევს სამეურნეო პროცესების ეკონომიკურ მოდელირებას – კვლევის ერთ-ერთ მთავარ თანამედროვე მეთოდს. თანამედროვე ეკონომიკური მეცნიერების წარმოდგენა შეუძლებელია ეფექტურად მოქმედი ეკონომიკური მოდელების უმრავლესობის გარეშე, რომელთა შესწავლა ეკონომიკური განვითარების უმნიშვნელოვანესი ელემენტია და რომელთა აგებას ეკონომისტ-თეორეტიკოსი სამეცნიერო კვლევისათვის განკუთვნილი დროის მნიშვნელოვან ნაწილს უთმობს.

აი, რატომ არის ეკონომიკური ანალოგია სინამდვილეში ეკონომიკური რეალობის კვლევის პირველხარისხოვანი მეთოდი.

4. ექსტრაპოლაციის მეთოდი და პროგნოზირების პრობლემა ეკონომიკურ მეცნიერებაში

ექსტრაპოლაციის მეთოდი – ეს არის მეთოდი, რომელიც თავისი ბაზისის საფუძვლად იყენებს ჩვენს მიერ ზემოთ განხილულ ანალოგიურ მეთოდს. ამ კონტექსტში ექსტრაპოლაციის ინტერპრეტირება შეიძლება როგორც ნაწილობრივი ან არასრული ანალოგიის მეთოდისა – ანალოგია ერთი

რომელიმე განსაზღვრული წიგნის ან ნიშანთა ჯგუფის მიხედვით. ცხადია, რომ ყველა ასეთი დახასიათება უნდა გავრცელდეს ეკონომიკური მენციერების ექსტრაპოლაციაზე, რომლის საფუძვლად გვევლინება ლოგიკური ექსტრაპოლაცია. გარდა ამისა, ჩვენ ვაყენებთ პროგნოზული (პროგრამული) ექსტრაპოლაციის საკითხს – მომავალი ცოდნის ექსტრაპოლაცია აწმყოზე.

ექსტრაპოლაცია (ლოგიკური ექსტრაპოლაცია) – ლოგიკური საშუალება ან მეთოდია, რომელიც საშუალებას გვაძლევს რეალობის გამოკვლეული სფეროს შესახებ ცოდნა გადავიტანოთ სხვა სფეროზე, რომელიც ჯერ კიდევ გამოუკვლეველია ან რაიმე მიზეზების გამო კვლევისათვის მიუწვდომელია.

ეკონომიკური ექსტრაპოლაცია – არის ცოდნის გადატანა სამეურნეო მოვლენის უკვე შესწავლილი სფეროდან ჯერ კიდევ შეუსწავლელ სფეროზე – სივრცულ, დროით და საგნობრივ ასპექტში.

პროგნოზული (პროგნოსტიკული) ექსტრაპოლაცია არის ექსტრაპოლაცია, რომლის საშუალებითაც უკვე გამოკვლეული ცოდნის გადატანა ხდება აწმყოზე, ჯერ კიდევ შეუცნებელ მომავალზე.

ექსპტრაპოლაციის მეთოდი ანალოგიის მეთოდის მსგავსად არის მეთოდი, რომელიც ახდენს სამყაროს ერთფეროვნების აპელირებას.

მკვლევარი თითქოს დასაწყისშივე გულისხმობს, რომ მისთვის მიუწვდომელ ან შეუსწავლელ რეალობის სფეროში სამყარო მოწყობილი იქნება ისევე, იმავე პრინციპებით, როგორც მისთვის ნაცნობი სფერო.

შემცნობ სუბიექტში რაღაც ასპექტში მუშაობს მოდელი „წინასწარი ასახვისა“. ის ცდილობს წინასწარ განჭვრიტოს ის, რაც ჯერ არ იცის: მას თითქოს „სჯერა“, რომ უცნობი რეალობა მოწყობილია მისთვის ნაცნობი კანონების მიხედვით.

ცხადია, რომ ეს შეხედულება შეიძლება გავრცელდეს ეკონომიკურ ექსტრაპოლაციაზეც.

უკანასკნელი – პირდაპირი ან შემოვლითი გზით – ამტკიცებს სამეურნეო მოვლენებისა და ფაქტების ერთგვაროვნების პრინციპს ან სხვაგვარად რომ ვთქვათ – ჰომოგენობას. ეკონომიკური ექსტრაპოლაციის პრინციპის თანახმად, სამეურნეო პროცესების სამყაროში არ არსებობს პროცესები, რომლებიც განსხვავებულია ხარისხობრივად შესწავლილი პროცესებისგან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მტკიცებულება უფრო ეფექტურად მუშაობს სივრცობრივ ან დროით ეკონომიკურ ექსტრაპოლაციაში (როცა ხდება ცოდნის ექსტრაპოლიზება სივრცის ერთი სფეროდან მეორეში ან ერთი დროიდან მეორე დროში) და ნაკლებ ეფექტურია – საგნობრივ ეკონომიკურ ექსტრაპოლაციაში, ანუ ეკონომიკურ მეცნიერების ერთი სფეროდან მეორეში მისი განხორციელების შემთხვევაში.

ფაქტიურად ასეთი აზროვნებით ჩვენ დავიწყეთ საუბარი ეკონომიკური ექსტრაპოლაციის ძირითად ტიპებზე. დასაწყისისათვის ასეთ ექსტრაპოლაციაში უნდა გამოვყოთ შინაარსობრივი ექსტრაპოლაცია და ფორმალური ექსტრაპოლაცია.

„ექსტრაპოლაცია: შინაარსობრივად – გავრცელება რაოდენობრივი მახასიათებლების რაიმე ობიექტის ან პროცესებისა, რომლებიც შეინიშნება ამა თუ იმ მიზნის მისაღწევად, ამ საზღვრის ან მიზნის მისაღწევად;

ფორმალურად – მისი განსაზღვრის სფეროს ფუნქციის გაგრძელება.

მაშასადამე, შინაარსობრივი ეკონომიკური ექსტრაპოლაცია – არის სამეურნეო ობიექტების რაოდენობრივი პარამეტრების გადატანა ან დროში, ან სივრცეში. დროში პირველ ექსპერიმენტს შეიძლება ჰქონდეს ორი ვარიანტი: ექსტრაპოლაცია წარსულზე ან – მომავალზე. პირველი ვარიანტი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც შინაარსობრივი რეტროსპექტული ექსტრაპოლაცია, ან მარტივად რომ ვთქვათ, პროგნოზირება ექსტრაპოლაციაზე. სწორედ ეს მეორე ვარიანტი გვაინტერესებს ყველაზე მეტად და სწორედ ამით დავკავდებით ცოტა მოგვიანებით.

შინაარსობრივი რეტროსპექტული ექსტრაპოლაციის მაგალითად გამოდგება შემთხვევა, როცა ჩვენთვის უცნობია რაიმე ობიექტის ეკონომიკური ნიშნები (მაგალითად, ანტიკური ხანის ან შუასაუკუნეების ქალაქი ან რეგიონი) და ჩვენ პარამეტრული მოდელირების ექსტრაპოლირებას ვახდენთ მათზე გვიანი ან ჩვენს მიერ უფრო შესწავლილი ეპოქებისას.

მეორე შემთხვევა შინაარსობრივი ეკონომიკური ექსტრაპოლაციისა იქნება სივრცობრივი ექსტრაპოლაცია.

„სივრცობრივი ექსტრაპოლაცია მდგომარეობს იმ მაჩვენებლების მნიშვნელობის გავრცელებაში, რომლებიც მიღებულია ერთი რეგიონისათვის, და შეიძლება გავრცელდეს სხვა მეზობელ რეგიონებზე თუ არ არის ცნობილი მათი მონაცემები“.

სივრცობრივი ეკონომიკური ექსტრაპოლაცია ფართოდ გამოიყენება, მაგალითად, გლობალური მოდელირების პრაქტიკაში, ანუ იქ, სადაც საჭიროა განვითარების გრძელვადიანი პროცესების ანალიზი, მაგრამ არ არსებობს აუცილებელი სტატისტიკური მონაცემები კონკრეტულ რეგიონებზე. აქ მოდელირებას ხელს უწყობს ექსტრაპოლაცია: უცნობი, მაგრამ მსგავსი რეგიონების პარამეტრები უტოლდება უკვე შესწავლილ პარამეტრებს და ამის შესაბამისად გაიანგარიშება გლობალური სამეურნეო მოდელები.

მესამე შემთხვევა შინაარსობრივი ეკონომიკური ექსტრაპოლაციისა იქნება საგნობრივი ექსტრაპოლაცია. ეს ის შემთხვევაა, როცა ექსტრაპოლაცია ხორციელდება ეკონომიკური მეცნიერების ერთი სფეროდან მეორე სფეროში.

თვით სფერო, საიდანაც რეალიზდება ექსტრაპოლაცია, შეიძლება იყოს განსხვავებული და მიეკუთვნებოდეს ეკონომიკური ცოდნის ნებისმიერ კარგად გამოკვლეულ სფეროს.

ექსტრაპოლიზება შეუძლიათ ემპირიულ მონაცემებს, სხვადასხვა ეკონომიკურ მეცნიერებებს და ა.შ. მკვლევარისათვის მნიშვნელოვანია მხოლოდ რამდენად პროდუქტიულია ასეთი ექსტრაპოლაცია და რამდენად შესაძლებელია

მისი გამოყენებისას მივიდეთ პოზიტიურ შედეგებამდე. და ცხადია, იმ შემთხვევაში, თუ მაგალითად, ემპირიული მონაცემები, რომლებიც ექსტრაპოლირდება სხვა სფეროზე, აღმოჩნდება არაზუსტი, მაშინ ავტომატურად უნდა იქნას შეწყვეტილი თვით ექსტრაპოლაცია.

ფორმალური ექსტრაპოლაცია ეს არის ექსტრაპოლაციის ტიპი, რომელიც გამოიყენება მათემატიკაში. ის განისაზღვრება როგორც ფუნქციის მნიშვნელობის გავრცელება მისი განსაზღვრის სფეროს საზღვრებს გარეთ, ან ფუნქციის სხვა მნიშვნელობების პოვნა, რომლებიც არ მიეკუთვნება მოცემულ რიგს.

ექსტრაპოლაციის საწინააღმდეგოს მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ინტერპოლაცია, ანუ ცხრილურად მოცემული ფუნქციის მნიშვნელობების პოვნა, რომლებიც მოცემულ ცხრილში არ არის განსაზღვრული. ცხადია, რომ ექსტრაპოლაციის ასეთი სახე შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო ეკონომიკურ ანალიზში, არამედ ყველა სხვა ანალიზში (ფიზიკური, ასტრონომიული, სოციოლოგიური და ა.შ.), სადაც გამოიყენება მათემატიკა.

ფორმალური და შინაარსობრივი დაყოფის გარდა ეკონომიკური ექტსტრაპოლაცია შეიძლება იყოს თეორიული და ემპირიული; მეცნიერული და არამეცნიერული და ნომოლოგიური (ექსტრაპოლირდება კანონი) და მოდელური (ექსტრაპოლირდება მოდელი) და ა.შ.

ახლა შევეხოთ მეცნიერული პროგნოზის არსს. მთლიანობაში პროგნოზირება წარმოადგენს სოციალური წინასწარჭვრეტის ერთ-ერთ სახეს. პროგნოზირების გარდა არსებობს სოციალური პროექტირება და სოციალური დაგეგმვა – წინასწარხედვის მეთოდები, სადაც შემუშავდება უფრო კონკრეტული პროექტები და მომავლის ხედვები (როგორც წესი უახლესი მომავლის) და დგინდება მათი მიღწევის საშუალებები.

პროგნოზირება შეიძლება იყოს მეცნიერული და არამეცნიერული. ჩვენ შემდგომში განვიხილავთ მხოლოდ მეცნიერულ პროგნოზირებას, სადაც

გამოიყენება ექსტრაპოლაცია. უფრო კონკრეტულ შემთხვევაში ჩვენ გვაინტერესებს ეკონომიკური პროგნოზირების მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია ექსტრაპოლაციაზე.

მთლიანობაში არსებობს ორი ძირითადი ტიპოლოგია მეცნიერული პროგნოზირებისა. პირველი დაფუძნებულია საქმიანობის სფეროს პროგნოზის კლასიფიკაციაზე (ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალურ-სამედიცინო, სოციალურ-გეოგრაფიული, სოციოლოგიური, საგარეო-პოლიტიკური და ა.შ.), ხოლო მეორე პროგნოზს ყოფს დროის მიხედვით: ოპერატიული, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი.

ნებისმიერი პროგნოზი, მათ შორის ეკონომიკურიც, ყოველთვის ცდილობს გამოავლინოს ალტერნატივების მთელი ნაკრები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია მომავლის განსხვავებული ვარიანტების რეალიზება. მნიშვნელოვან როლს თამაშობს აგრეთვე ჰორიზონტის პროგნოზირება, როგორც კონკრეტული პროგნოზის ზღვრული საზღვარი.

პროგნოზირების ჰორიზონტი – ეს არის პროგნოზის მაქსიმალურად შესაძლებელი დროითი საზღვარი, რომლის შემდეგაც პროგნოზი ხდება განსაზღვრული და კარგავს ყოველგვარ აზრს.

თანამედროვე პროგნოზის ნაკლს წარმოადგენს მისი ემპირიულ მეთოდებზე ორიენტირებულობა და საკუთარი მეთოდოლოგიის განვითარებისადმი უგულისყურობა.

„თანამედროვე პროგნოზირება აქამდე ვითარდებოდა როგორც ემპირიული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც პროგნოზირების საშუალებას იძლეოდნენ მეტი ან ნაკლები ალბათობით, ამიტომ პროგნოზირების ძირითადი მეთოდების მახასიათებელ თავისებურებებს წარმოადგენს ის, რომ მათში უშუალოდ არ განიხილება კანონზომიერება, რომელთა საფუძველზეც მეტად ან ნაკლებადაა შესაძლებელი ალბათური პროგნოზი“. ეკონომიკური პროგნოზირება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც შეხედულებების შემუშავება მომავალზე იმ მიზნებთან

შესაბამისობაში, რომლებიც დგას სამეურნეო ორგანიზმის წინაშე. არსებობს ტერმინის „ეკონომიკური პროგნოზირება“ ვიწრო და ფართო გაგება.

„ეკონომიკურ პროგნოზირება“ განიხილება ვიწრო და ფართო აზრით, პირველ შემთხვევაში ეკონომიკურ პროგნოზირებას უკავშირებენ ეკონომიკური პარამეტრების და მაჩვენებლების მომავალი მნიშვნელობის წინასწარმეტყველებას, მეორე შემთხვევაში – ეკონომიკური პროგნოზირება განიხილავს მთლიან ეკონომიკურ სიტუაციას, მოვლენებისა და პროცესების შინაარსზე აქცენტით, ანუ პირველ რიგში წამოსწევენ სტრატეგიული და სხვა ალტერნატივების გამოვლენასა და სისტემატიზაციას, შედეგების ანალიზს, რომლებიც დაკავშირებულია თითოეული მათგანის რეალიზაციასთან.

ეკონომიკურ პროგნოზირებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ცნება „პროგნოზის სცენარი“.

„ეკონომიკურ პროგნოზის სცენარები“ – ეს არის მომავალი ეკონომიკური განვითარების კონკრეტული ვარიანტი, შემუშავებული განსაზღვრული ეკონომიკური თეორიის ან კონცეფციის ჩარჩოებში.

„სოციალურ-ეკონომიკურ პროგნოზირებაში ცენტრალური ადგილი ეთმობა თვით ვარიანტების შემუშავებას. ალბათობის შეფასება მათთვის, როგორც წესი, განუხორციელებელია, ხოლო თვითონ ვარიანტები არაერთგვაროვანია და მათ შედარებას არ მივყავართ შინაარსობრივად ინტერპრეტირებად შედეგებამდე. ამიტომ ასეთი პროგნოზების შედეგები კი არ ფორმდება ურთიერთდაკავშირებული მაჩვენებლების ფიქსირებულ მნიშვნელობამდე და მათი ცვლილების ინტერვალამდე, არამედ წარმოადგენს იმ ვარიანტების ჩამონათვალს, რომლებიც აღჭურვილია „შინაარსობრივი აღწერით და რაოდენობრივი მაჩვენებლების ნაკრებით“.

დავუბრუნდეთ ახლა ეკონომიკურ პროგნოზირებას, რომელიც დაფუძნებულია ექსტრაპოლაციის მეთოდზე.

ეკონომიკური ექსტრაპოლაცია – ეს მომავლის სამეურნეო სურათის კვლევის ძირითადი საშუალებაა, თუმცა ცხადია, რომ როგორც ყველა გზა, მომავლის კვლევაც არ შეიძლება იყოს სრულყოფილი.

„მომავლის აზრობრივი კონსტრუირებისათვის, როგორც ცხადია, მეცნიერებაში არ არის სხვა საშუალებები, გარდა უცნობებზე უკვე ცნობილი კანონების ექსტრაპოლაციისა. ექსტრაპოლაციის შეცნობადი განუსაზღვრელობა მომავლის წინასწარმეტყველებაში უფრო დიდია, ვიდრე აწმყო და ისტორიული რეტროსპექციის ობიექტებზე ცოდნის ექსტენსიური გავრცელების შემთხვევაში მატერიალური ობიექტის ან თუნდაც მისი კვალის არარსებობისას.

ეკონომიკურ ანალიზში მექანიზმი, რომელსაც მოქმედებაში მოჰყავს პროგნოზული ექსტრაპოლაციის მეთოდი, მუშაობს სამ დონეზე: მსოფლმხედველობის (იდეოლოგიური), ემპირიულ და თეორეტიკულზე, ამასთან საქმე გვაქვს რა კონკრეტულ ეკონომიკურ პროგნოზთან, მნიშვნელოვანია გამოვიკვიოთ თითოეული ამ დონიდან.

მსოფლმხედველობის (იდეოლოგიური) დონე – ეს ის დონეა ეკონომიკური პროგნოზისა, სადაც მოქმედებს სოციალური ინსტიტუტის ის იდეოლოგია და ფასეულობა, რომელიც ახორციელებს პროგნოზირებას. ყველაზე ხშირად ამ დონის „გამოცხობა“ ხდება იმ პირობებში, როცა ემპირიული და თეორეტიკული მონაცემები ეწინააღმდეგება მოცემულ ეკონომიკურ პროგნოზს.

ემპირიული დონე – არის დონე, რომელსაც ამოქმედებენ ეკონომიკური პროგნოზის ემპირიული მონაცემები – როგორც წესი, პროგნოზის თანამედროვე პერიოდის მონაცემები. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეცნიერული პროგნოზების უმრავლესობას ახასიათებს პირველ რიგში ემპირიული ხასიათი, და, ერთი მხრივ, ეს არც თუ ისე ცუდია. მაგრამ მეორე მხრივ, ნამდვილი ეკონომიკური დაკვირვებების და ექსპერიმენტების ექსტრაპოლაცია მომავალში უმრავლეს შემთხვევაში აღმოჩნდება არაპროდუქტიული, რადგან მომავალში ეკონომიკური ინსტიტუტების სუბიექტების ქცევა შეიძლება ხარისხობრივად განსხვავდებოდეს იმ ქცევისაგან, რაც გვაქვს დღეს.

აი, რატომ არის მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროგნოზირებისათვის მისი შემუშავების თეორეტიკული დონე: სწორედ იქ, ემპირიის და იდეოლოგიის გარეშე, იყრება ამა თუ იმ კონკრეტული ეკონომიკური პროგნოზის რეალობის საფუძველი. არა კეთილდღეობის იდეოლოგია და ემპირია, არამედ კეთილდღეობის თეორია ეხმარება ეკონომისტ-მკვლევარს სწორად გამოიყენოს პროგნოზული ექსტრაპოლაცია და შეიმუშავოს სამეურნეო სუბიექტების და ობიექტების პროფუქციული მოდელები მათ ახლო და არა ახლო მომავალში, და ცხადია, ნებისმიერი ეკონომიკური პროგნოზი ყოველთვის უნდა იყოს ალტერნატიული და მრავალვარიანტული, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი იმ სახელისუფლებო ნდობის მოპოვება, რომელთაც უნდა განაგრძონ მომავალში მოცემული რეგიონის ან სამეურნეო ინსტიტუტის პროქტირება, პროგრამირება და დაგეგმვა.

5. მოდელი, როგორც ეკონომიკური რეალობის კვლავწარმოების საშუალება

მოდელირება არის სოციალური და ბუნებრივი რეალობის შესწავლის განსაკუთრებული მეთოდი, რომელიც დაფუძნებულია განსაკუთრებული სახის ანალოგ-მოდელების აგებაზე.

მოდელი არის მატერიალური ან იდეალური ანალოგი, რომელიც ასახავს ან წარმოშობს საკვლევ ობიექტს და გვაძლევს ამ ობიექტზე პრინციპულად ახალ ინფორმაციას.

მოდელირება არის განსხვავებული ტიპის ანალოგის შექმნა, რომელიც ასახავს ბუნებრივი და სოციალური მოვლენების სხვადასხვა მხარეს.

მოდელების მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს მისი ადექვატურობა, ანუ ე.წ. უნარი შეცვალოს საკვლევი ობიექტი.

„თუ მიღებული მოდელი ფლობს სიზუსტეს და დასახული მიზნის მისაღწევად შესაძლებელია ოპერაციული გამოყენება, ამბობენ, რომ ის ადექვატურია ობიექტის, წინააღმდეგ შემთხვევაში – არაადექვატურია...

არსებობს მოდელების კლასიფიკაციის მრავალი ვარიანტი. მათ ყოფენ დესკრიპტიულ (აღწერით) და პერსპექტიულ (ნორმატიულ), იდეალურ და საგნობრივ (ნატურალურ), ცნობილი და ფიზიკური, დინამიკური და სტატისტიკური, ერთგვაროვანი და სტოქასტიკური, ნაწილობრივი და მთლიანი და ა.შ.

უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ მათემატიკურ მოდელებზე (ამ განყოფილებაში) და ეკონომიკურ მოდელებზე (შემდეგ განყოფილებაში).

მათემატიკური მოდელირება იდეალური (ინტელექტუალური) მოდელირების ერთ-ერთი სახეა, რომლის მთავარი მიზანია – სიმბოლური (ნიშნობრივი) ანალოგების შექმნა რაოდენობრივი (რიცხვობრივი) მეთოდების გამოყენების საფუძველზე.

„მათემატიკური მოდელი შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც ნებისმიერი მათემატიკური სტრუქტურა, რომელშიც მისი ობიექტები, ასევე ურთიერთობები ობიექტებს შორის შეიძლება ინტერპრეტირებული იქნას განსხვავებული სახით“.

შესაბამისად, მათემატიკური მოდელი – არა რაღაც მათემატიკური სტრუქტურაა, არამედ არის მათემატიკური სტრუქტურიზება, რომელიც გვაძლევს საკუთარ ემპირიულ ინტერპრეტაციას, სხვადასხვა ჰიპოთეზების, თეორიების დასაყრდენს და ამ მათემატიკური სტრუქტურის შემუშავების წინაპირობის შინაარსობრივ ანალიზს.

მათემატიკური მოდელები არის ევრისტიკული და პროგნოზული, ფუნქციური და სტრუქტურული, ერთგვაროვანი და სტოქასტიკური და ა.შ. ყველა სახის მათემატიკური მოდელის შემუშავება გულისხმობს რამდენიმე ეტაპს: 1) შესწავლილი მოდელის არსებითი (ძირითადი) თვისებების გამოყოფა; 2) რაოდენობრივი დამოკიდებულების გადაყვანა მათემატიკის ენაზე; 3) შედეგების

გამოყვანა და მათი ემპირიული ინტერპრეტაცია; 4) ამ ინტერპრეტაციის შედარება ემპირიული დაკვირვების და ექსპერიმენტის მონაცემებთან.

6. ეკონომიკური მოდელირების ძირითადი ტიპები და მათი გამოყენება ეკონომიკურ გამოკვლევებში

ეკონომიკური მოდელირება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც მოდელების შემუშავება, რომლებიც ასახავენ სამეურნეო საქმიანობის განსხვავებულ მხარეებს ანუ სხვადასხვა ტიპის ანალოგების შექმნა, რომლებიც წარმოქმნიან ადამიანის სამეურნეო აქტიურობის ამა თუ იმ ასპექტს.

ეკონომიკური მოდელი არის მატერიალური ან იდეალური ანალოგი, რომელიც ასახავს საკვლევ სამეურნეო ობიექტს და ამ ობიექტის შესახებ გვაძლევს პრინციპულად ახალ ინფორმაციას.

ეკონომიკური მოდელირება შეიძლება განვსაზღვროთ სხვადასხვაგვარად: „ეკონომიკური მოდელი არის ეკონომიკური პროცესის და გავლენის ფორმალიზებული აღწერა, რომლის სტრუქტურა განისაზღვრება როგორც მისი ობიექტური თვისებებით, ასევე კვლევის სუბიექტური მიზნობრივი ხასიათით“.

რ. ნურეევი ასევე მიუთითებს ეკონომიკური მოდელირების მეთოდის ძირითად უპირატესობებზე:

„ჯერ ერთი, მოდელი როგორც რეალობის გამარტივებული სახე, გვეხმარება განვაცალკევოთ საკვლევი მოვლენის ძირითადი მახასიათებლები მეორეხარისხოვანისაგან, შინაგანი გარეგანისაგან, მუდმივად განმეორებადი შემთხვევითისაგან, მეორე, მოდელი საშუალებას გვაძლევს მოვახდინოთ საზოგადოებაში მიმდინარე მოვლენების ფორმალიზება. ფორმალიზება საშუალებას გვაძლევს დავაზუსტოთ საწყისი ექსპლიციტური შეხედულებები, რომლებიც დამახასიათებელია განზოგადებული შეცნობისათვის და არაფორმალური მოდელებისათვის.

მესამე, მოდელები საშუალებას გვაძლევს უფრო ზუსტად აღვწეროთ არსებითი კანონზომიერებები, რომლებზეც შეიძლება მხოლოდ გვევარაუდა მოდელის აგებამდე, უფრო ზუსტად, განვსაზღვროთ ამა თუ იმ მოვლენის სტრუქტურა, დროებითი ლაგები და ა.შ.

მეოთხე, მოდელირება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ უფრო მაღალი დონის არსებითი ურთიერთკავშირი, დავინახოთ განსხვავებული მოვლენების გამაერთიანებელი ნიშნები.

მიუხედავად ამისა, ნებისმიერი ეკონომიკური მოდელის არსებით მახასიათებელს წარმოადგენს მისი არასრულობა.

ეკონომიკური მოდელი არასრულია, იმიტომ რომ ის აბსტრაქტულია, ვაკეთებთ აქცენტს სამეურნეო პროცესის ერთ მახასიათებელზე.

„ასე მაგალითად, მოთხოვნის უმარტივეს მოდელში, ითვლება რომ მოთხოვნის სიდიდე ამა თუ იმ საქონელზე განისაზღვრება მისი ფასით და მომხმარებლის შემოსავლით. სინამდვილეში კი მოთხოვნის სიდიდეზე გავლენას ახდენს ასევე სხვა ფაქტორები: გემოვნება, მომხმარებლის მოლოდინი, სხვა საქონლის ფასები, რეკლამი ზეგავლენა, მოდა და ა.შ.

ჩვეულებრივ თვლიან, რომ ყველა ფაქტორი, რომელიც არ არის გათვალისწინებული მოდელში ობიექტზე ახდენს მცირე ზეგავლენას ჩვენთვის საინტერესო ასპექტში.

მოდელში გათვალისწინებული ფაქტორები შეიძლება დაზუსტდეს მოდელის სრულყოფის გზაზე“.

ეკონომიკური მოდელების კლასიფიკაცია მოხერხებულია იმავე საშუალებებით, როგორც წინა თავებში იქნა კლასიფიცირებული ეკონომიკური ექსპერიმენტები.

ჯერ ერთი, ყველა ეკონომიკური მოდელი საჭიროა დავყოთ იდეალურ ეკონომიკურ მოდელებად და საგნობრივ (ნატურალურ) ეკონომიკურ მოდელებად.

იდეალური ეკონომიკური მოდელები თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს აზრობრივ ეკონომიკურ მოდელებად, კომპიუტერული (ვირტუალური) ეკონომიკური მოდელები და მათემატიკური ეკონომიკური მოდელები (ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები).

შემდგომში ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელირებას და თამაშთა თეორიას, რომლებიც ლაბორატორიული ეკონომიკური მოდელების ტიპს მიეკუთვნება – ხანდახან ვირტუალური (კომპიუტერული) მოდელირების ელემენტებით.

მოვიყვანოთ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის რამდენიმე განსაზღვრება:

„ეკონომიკური ობიექტის მათემატიკური მოდელი არის მისი ჰომომორფული ასახვა ტოლობების, უტოლობების, ლოგიკური კავშირების, გრაფიკების ერთობლიობის სახით“.

„ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი არის ეკონომიკური პროცესის ან ობიექტის მათემატიკური აღწერა, წარმოებული მისი კვლევის და მართვის მიზნით: მათემატიკური ჩაწერა გადასაწყვეტი ეკონომიკური ამოცანისა (ამიტომ ხშირად ტერმინი „მოდელი“ და „ამოცანა“ გამოიყენება როგორც სინონიმები)“.

„ეს მოდელები შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ეკონომიკური აზრის მათემატიკური სიმბოლოების, ფორმულების სისტემა, რომლებიც მოწოდებულია ასახოს შესასწავლი ობიექტის ყველაზე არესებითი მხარეები და განსაზღვროს მისი ეფექტური განვითარების გზები. ეკონომიკურ-მათემატიკურ მოდელებს მიეკუთვნება გრაფიკული მოდელები, თუ ამ უკანასკნელში გრაფიკული გამოსახულებანი ერწყმება ციფრებს და მათემატიკურ სიმბოლოებს“.

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებებიდან ჩანს, რომ ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების მთავარი ამოცანაა – საკვლევი სამეურნეო ობიექტის ძირითადი მახასიათებლების ასახვა მათემატიკურ ენაზე; ამ ობიექტის განვითარების ანალიზისა და პროგნოზირებისათვის. ი. პ. სუსლოვის თვალთახედვის მიხედვით, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი ასრულებს სამ

ძირითად ფუქნციას: გამოთვლითი (ხელს უწყობს გაანგარიშებს), მართვითი (მართვის და პროგნოზირების ინსტრუმენტად გამოდის) და შემეცნებითი.

მკვლევარი შემდგომში აღნიშნავს: „მოდელები ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს დიდი მასშტაბის და სირთულის ობიექტების აღქმისა და გაგებისათვის. ისინი საშუალებას გვაძლევენ რთული ობიექტები განვიხილოთ, როგორც ურთიერთდაკავშირებული სისტემების ერთობლიობა, ხსნიან პროცესის მექანიზმს.

ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები ეკონომიკური და ტევადია. ისინი სიტყვების გრძელ ჯაჭვს ცვლიან მათემატიკური სიმბოლოების მოკლე ენაზე, რითაც ხელს უწყობენ და ამარტივებენ აზრის გაგებასა და ამოკითხვას, ხდიან რა უფრო ეფექტურს შეცნობის პროცესს მთლიანობაში“.

არსებობს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების კლასიფიკაციის უსაზღვრო რაოდენობა. ისინი შეიძლება დაიყოს: ა) შედეგების მიხედვით – ოპტიმალური და არაოპტიმალური; ბ) კავშირის ხასიათის მიხედვით – ერთგვაროვანი და სტოქასტიკური; გ) დინამიკის მიხედვით – სტატისტიკური და დინამიკური; დ) მასშტაბის მიხედვით – მაკროეკონომიკური, მიკროეკონომიკური, დარგთაშორისი, დარგობრივი და ა.შ. ე) კონსტრუქციის მიხედვით – ანალიტიკური, გრაფიკული, ციფრული; ვ) წონასწორობის მიხედვით – წონასწორული და არაწონასწორული; ზ) ამოცანების მიხედვით – დისკრიპტული და პრესკრიპტული; თ) გახსნის მიხედვით – ღია, დახურული და იზოლირებული და ა.შ.

თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში ფართოდ განიხილება მათემატიკური კომპიუტერული მოდელირების პრობლემა. ასეთი მოდელირება „de facto“ არის არა მარტო ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელირების განსაზღვრული ფორმა, არამედ ერთდროულად ის შეიძლება განვიხილოთ როგორც მათემატიკური ექსპერიმენტის ვარიანტი (რადგან ასეთი მოდელირება როგორც წესი, შეიძლება იყოს მრავალჯერადი) და, ცხადია, მსგავსი ტიპის

მოდელები წარმოადგენს ვირტუალური (კომპიუტერული) მოდელების სახესხვაობას.

აი, როგორ არის განმარტებული მათემატიკური კომპიუტერული მოდელირების ძირითადი მიზეზი რ. ნელსონის და ს. უინტერის მიერ: „ეკონომიკურ ანალიზში კომპიუტერული მოდელირების ტექნიკა გამოიყენება მრავალი მიზეზის გამო. ზოგიერთ შემთხვევაში (უფრო ხშირად გავრცელებული) არის იმის მტკიცება, რომ მოდელი დაფუძნებულია მთლიანი პრობლემის განსხვავებული კომპონენტების დიდი რიცხვის გაგებაზე. მსხვილმასშტაბიან მაკროეკონომიკურ მოდელებში ამ კომპონენტებმა შეიძლება მიიღოს ქცევითი ურთიერთობების შეფასებითი ფორმა. ამასთან, სასურველია განსხვავებული ჰიპოთეზური ცვლილებების ზემოქმედების გაანალიზება (დროის მიმდინარეობა, საგადასახადო განაკვეთის ზრდა) იმ ცვლილების ერთობლიობაზე, რომლებსაც ინტერაქტიული შედეგი მოაქვს ამ პროცესების უმეტესობისათვის (ერთობლივი ეროვნული პროდუქტი ეეპ, დასაქმება) თუმცა ეს ამოცანა საკმაოდ რთულია და აქვს საკმაოდ ბევრი შეზღუდვა იმისათვის, რომ გადაიჭრას ანალიტიკურად. ამიტომ ანალიტიკოსი მთელ მოდელს განათავსებს კომპიუტერში და აკეთებს „ექსპერიმენტს“ იმ ცვლადების მიხედვით, რომელთა ზემოქმედებაც უნდა შეაფასოს. ასეთი სახის სიტუაციებში ანალოტიკოსს თავში აქვს იმ მოდელის ცხადი „სტრუქტურა“, რომლის ანალიზსაც აკეთებს. თუმცა მას შეუძლია გააკეთოს ამ მოდელის საკმაოდ გამარტივებული ფორმა უფრო ტრადიციული ტექნიკით, მაგრამ კომპიუტერული მოდელირება ნაკარნახებია იმ სურვილით, რომ არასასურველია ასეთი „ზეგამარტივებისათვის ხარჯების გაწევა“.

მათემატიკურ კომპიუტერულ მოდელირებას აქვს თავისი ნაკლოვანებები, რომლებიც სრულიად შეესაბამება მათემატიკური მეთოდის ნაკლოვანებებს.

თავი 13. ცოდნის ეკონომიკისა და მართვის მეთოდოლოგია

1. ცოდნის ეკონომიკის გაზომვის (შეფასების) მეთოდოლოგია

რაოდენობრივი გაზომვის (შეფასების) პრობლემა ყოველი მეცნიერებისათვის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემაა და, ამ მხრივ, საზოგადოებრივი და სოციალური მეცნიერებები არაა გამონაკლისი. ბოლო წლებში ეკონომიკურ თეორიაში ცოდნის ეკონომიკის სფერო ინტენსიური მეცნიერული კვლევის საგანი გახდა. შესაბამისად ამისა, ცოდნის ეკონომიკის გაზომვაც (შეფასება) მეტად აქტუალური შეიქმნა. აღნიშნულს ისიც ადასტურებს, რომ ყოველ კონკრეტულ ქვეყანაში ცოდნის ეკონომიკის ფორმირება და განვითარება ეკონომიკური ზრდის ერთადერთ ალტერნატივად განიხილება.

ცოდნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანია ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ქვეყნებისათვის. ასე მაგალითად, ცოდნის ეკონომიკა:

- მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში ქმნის კონკურენტულ უპირატესობას მაღალტექნოლოგიური წარმოებისა და ეფექტური მომსახურების სფეროში;
- რესურსული ეკონომიკის ქვეყნებში ხელს უწყობს მდგრად განვითარებას და ზედმეტი ღირებულების ზრდის კვალობაზე წარმოების ტექნოლოგიისა და პროდუქციის ხარისხის სრულყოფას;
- განვითარებად ქვეყნებში საშუალებას იძლევა შემცირდეს ეკონომიკური განვითარების ეტაპები, მოხდეს „ტექნოლოგიური ნახტომი“ და ქვეყანა სწრაფად ინტეგრირდეს მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში უცხოელი ინვესტორებისათვის მიმზიდველობის ამაღლების პირობებში.

ცოდნის ეკონომიკის შესახებ მსოფლიო საზოგადოებას პირველად აცნობა ავსტრო-ამერიკელმა ეკონომისტმა ფრიც მახლუპმა (1902-2011 1983). მან, 1958 წელს გამოცემულ თავის ნაშრომში „ცოდნის წარმოება და გავრცელება აშშ-ში“, აღნიშნა, რომ ცოდნის ეკონომიკის სექტორმა აშშ-ის მთლიან შიდა პროდუქტში 29%-ანი წვლილი შეიტანა. ცოდნის ეკონომიკის სექტორში ფრიც მახლუპმა ადამიანის საქმიანობის მრავალი სახეობა გამოყო და ისინი ხუთ ჯგუფში გააერთიანა.

ეს ჯგუფებია:

1. განათლება (44,1%);
2. მეცნიერული კვლევები და დამუშავებები (8,1%);
3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (რადიო, ტელევიზია, ტელეფონი და ა.შ.) (28,1%);
4. საინფორმაციო ტექნიკა (6,5%);
5. საინფორმაციო მომსახურება (13,2%)[47].

მახლუპის შეხედულებით ცოდნის ეკონომიკა არის ისეთი ეკონომიკა, რომელშიც ცოდნა ასრულებს გადამწყვეტ როლს, ხოლო ცოდნის წარმოება განიხილება როგორც ეკონომიკური ზრდისა და კონკურენტუნარიანობის მთავარი წყარო.

ცოდნის ეკონომიკის თეორიული დებულებების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამერიკელმა სოციოლოგმა, პოსტინდუსტრიული (ინფორმაციული) საზოგადოების თეორიის ფუძემდებელმა დანიელ ბელმა (1919-2011). მისი აზრით, პოსტინდუსტრიული საზოგადოება ხასიათდება არა შრომითი ღირებულების თეორიით, არამედ ცოდნაზე დაფუძნებული ღირებულების თეორიით. ამ უკანასკნელის თავისებურება ისაა, რომ ვინმესთვის ცოდნის გადაცემის დროს იგი არ იკარგება, არ ქრება, არ

[47] Махлуп Ф. Производство и распространение знаний в США. М., Прогресс, 1966. С. 35.

იხარჯება, პირიქით, არსებული ცოდნა კიდევ უფრო იხვეწება, სრულყოფილი ხდება, ვითარდება და მის მესაკუთრესთან გამდიდრებული რჩება.[48]

ცოდნის ეკონომიკას ახასიათებს „ქოლგური“ ეფექტი. იგი თავისი „მფარველობის“ ქვეშ აქცევს მეცნიერებისა და ინოვაციების სფეროში არსებითი ხასიათის იდეებს, კონცეფციებსა და ინდიკატორებს და მათ ერთიან, კომპლექსურ კონცეპტუალურ სისტემად აყალიბებს.

ცოდნა აუცილებელია ყოველი საზოგადოების ფუნქციონირების, მით უფრო მისი განვითარებისათვის. მაგრამ, ცოდნის ეკონომიკას თუ სისტემურად განვიხილავთ, შევამჩნევთ, რომ საზოგადოების ცოდნამ შეცვალა თვით ცოდნის ხასიათი. ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში (ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, სამართლებრივი და ა.შ.) და კომპანიის მართვაში გადაწყვეტილების მიღებად უმთავრესი გახდა თეორიული ცოდნა. გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია არა უბრალოდ ინფორმაცია, არა უბრალოდ სასარგებლო ცნობათა ერთობლიობა, არამედ სისტემური, მოწესრიგებული ცოდნა.

ქვეყნის ინოვაციური განვითარების დონის განსაზღვრისათვის სხვადასხვა მეთოდოლოგია არსებობს. მაგალითად, ჯერ კიდევ 2000 წელს, ევროკომისიამ ევროკავშირის წევრი და არაწევრი-ქვეყნებისათვის დაამუშავა ჯამური ინოვაციური ინდექსის გაანგარიშების მეთოდიკა. თავდაპირველად, ინოვაციური განვითარების გაზომვის ევროპული შკალა 17 ინდიკატორს შეიცავდა და ორ ჯგუფად იყოფოდა: ინოვაციების წყაროები და წარმოებული ინოვაციები. ამ მეთოდიკაში ცვლილებები ყოველწლიურად შედიოდა. 2005 წელს ჯამური ინოვაციური ინდექსი 26-მდე გაიზარდა და სამ ჯგუფად დაიყო: ინოვაციური გამტარებლები, ცოდნის შექმნა, ინოვაციები და მეწარმეობა. თავის მხრივ, პირველი ჯგუფი ორ ასპექტში იყო წარმოდგენილი: ინოვაციების გამოყენება და ინტელექტუალური საკუთრება. კვლევაში იყენებდნენ კორელაციის, რეგრესიული ანალიზისა და მთავარი კომპონენტის გამოყოფის მეთოდებს. გარდა ამისა,

[48] Белл Д. Грядущее постиндустриальное общество. Опыт социального прогнозирования. М., Academia, 2004, С. CLII.

გამოიყენებოდა სხვადასხვა სქემები და საწყისი მონაცემების ნორმირების მეთოდები.

ევროკომისიის 2008-2010 წლების მეთოდოლოგიაში შეფასების ინდიკატორები სამ ჯგუფად წარმოგვიდგება:

პირველი - ინოვაციური საქმიანობის მხარდამჭერები (ადამიანის რესურსები და სახელმწიფოს ფინანსური დახმარება);

მეორე - კომპანიების საქმიანობა (ინოვაციების დამუშავება და დანერგვა, ინოვაციური კომპანიის თანამშრომლობა სახელმწიფოსთან და სამეწარმეო სექტორთან, ინტელექტუალური საკუთრება);

მესამე - ინოვაციური კომპანიის საქმიანობა შიდა და გარე ბაზრებზე.

ცოდნის ეკონომიკის გაზომვის (შეფასების) ზემოაღნიშნული მეთოდიკა დღესაც სადისკუსიოა, რადგან არ არსებობს ანალიტიკურად შემოწმებული და ოფიციალურად გაფორმებული ისეთი მეთოდიკა, რომელიც სხვადასხვა სახის რესურსებს კომპლექსურად შეაფასებს და დაადგენს ცოდნის შექმნასა და ცოდნის, როგორც ეკონომიკური პროდუქტის ურთიერთკავშირს.

არსებობს მეორე, მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ 2004 წელს სპეციალური პროგრამის „ცოდნა განვითარებისათვის“ (ნოწლედგე ფორ ეველოპმენტ - 4) [49] ფარგლებში შემუშავებული „ცოდნის შეფასების მეთოდოლოგია“ (თჰე ნოწლედგე სსესსმენტ ეტჰოდოლოგყ –). იგი მოიცავს 4 ფუნქციურ ბლოკში გაერთიანებულ 109 სტრუქტურულ და ხარისხობრივ მაჩვენებელს. ეს ბლოკებია:

1. ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსი (თჰე ცონომიც Ієცენტივე ანდ Ієსტიტუტიონალ ღეგიმე) - პირობები, რომელშიც ვითარდება ეკონომიკა და საზოგადოება მთლიანად, ეკონომიკური და სამართლებრივი გარემო, რეგულირების ხარისხი, ბიზნესი და კერძო ინიციატივა, საზოგადოებისა და მისი ინსტიტუტების უნარიანობა არსებული ცოდნის გამოყენებისა და ახალი ცოდნის შესაქმნელად. ამ ინდექსში სამი მაჩვენებელი გამოიყენება: სატარიფო

[49] http://www.worldbank.org/kam

და არასატარიფო ბარიერების დონე, ეკონომიკის რეგულირების ხარისხი (ფასების კონტროლი, საბანკო საქმიანობის, საგარეო ვაჭრობისა და ბიზნესის განვითარების რეგულირება), კანონების შესრულების დონე (კრიმინალური ვითარების შეფასება, სახელშეკრულებო სამართლებრივი ნორმების გამოყენება).

2. განათლების ინდექსი (დუცატიონ ანდ უმან ღესოურცეს) - მოსახლეობის განათლების დონე და ცოდნის შექმნის, განაწილებისა და გამოყენების უნარი. განათლება ცოდნის ეკონომიკის ფუნდამენტური ფაქტორია. ცოდნას განათლებული და შემოქმედებითი ადამიანები ქმნიან, ავრცელებენ და ეფექტიანად იყენებენ. ცოდნის ეკონომიკა მოითხოვს მოქნილ საგანმანათლებლო სისტემას და მომუშავეთა მთელი შრომითი მოღვაწეობის პერიოდში უწყვეტ განათლებას. განათლების დონის შესაფასებლად გამოიყენება ზრდასრული მოსახლეობის წიგნიერების მაჩვენებელი, ასევე რეგისტრირებული მოსწავლეებისა და სტუდენტების ხვედრითი წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

3. ინოვაციების ინდექსი (თჰე Iნნოვატიონ შყსტემ) - ეროვნული ინოვაციური სისტემის განვითარების დონე, რომელიც მოიცავს იმ კომპანიებს, კვლევით ცენტრებს, უნივერსიტეტებს, პროფესიულ გაერთიანებებსა და სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გლობალურ ცოდნას იღებენ ადგილობრივი საჭიროებისათვის, ასევე ქმნიან ახალ ცოდნას და მასში განივთებულ ახალ ტექნოლოგიებს. სამეცნიერო-კვლევით და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების სფეროში მეცნიერ-მუშაკების რაოდენობა, დარეგისტრირებული პატენტების რაოდენობა, სამეცნიერო ჟურნალების რაოდენობა და ტირაჟი;

4. საინფორმაციო და საკომუნიკაციური ტექნოლოგიების ინდექსი (Iნფორმატიონ ანდ ჩომმუნიცატიონ თეცჰნოლოგყ – Iჩთ) - საინფორმაციო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე (1 000 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ტელეფონებისა და პერსონალური კომპიუტერების რაოდენობა, ასევე 10 000 სულ მოსახლეზე გაანგარიშებით ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა).

ყოველი ჯგუფის მაჩვენებლები ფასდება ბალებით 1-დან 10-მდე. რაც მეტია ბალის დონე, მით მაღალია ქვეყნის განვითარების ხარისხი მოცემული

კრიტერიუმის მიხედვით. ამასთან, გაანგარიშების დროს გაითვალისწინება საერთო ეკონომიკური და სოციალური ინდიკატორები, კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპი და ადამიანის პოტენციალის განვითარების ინდექსი.

ცოდნის შეფასების მეთოდოლოგია გვთავაზობს ორ კრებსით ინდექსს. ესენია:

1. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი (The Knowiedge Economy Index – I) - კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ცოდნის ეფექტურ გამოყენებას კონკრეტული ქვეყნის (რეგიონის) მიერ სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) განვითარების დონეს ცოდნის ეკონომიკასთან მიმართებაში.

2. ცოდნის ინდექსი (თჰე ნოწიედგე Iნდეხ – I) - კომპლექსური მაჩვენებელი, რომელიც ახასიათებს ქვეყნის (რეგიონის) უნარს ცოდნის შექმნაში, გაავრცელებასა და გამოყენებაში. იგი გვიჩვენებს ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) პოტენციალს ცოდნის ეკონომიკასთან მიმართებაში.

ცოდნის ეკონომიკის ინდექსი 4 ინდექსის (ეკონომიკური და ინსტიტუციონა-ლური რეჟიმის ინდექსი, განათლების ინდექსი, ინოვაციების ინდექსი, საინფორ-მაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდექსი) საშუალო არითმეტიკული სიდიდეა, ცოდნის ინდექსი კი, მათ შორის, 3 ინდექსის (განათლების ინდექსი, ინოვაციების ინდექსი, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინდექსი) საშუალო არითმეტიკული სიდიდე. ეს ინდექსები გაიანგარიშება ყოველი ქვეყნისა და რეგიონისათვის ცალ-ცალკე, ასევე მთლიანად მსოფლიოსათვის (იხ. ნახ.1).

ნახ. 1. ცოდნის ეკონომიკისა და ცოდნის ინდექსების სტრუქტურა



მოცემული მეთოდოლოგია საშუალებას იძლევა სხვადასხვა ქვეყნის მაჩვენებლები ერთმანეთს შედარდეს. შედარება შესაძლებელია როგორც კრებსითი ინდიკატორების, ისე ცალკეული მაჩვენებლების მიხედვით.

მონაცემების ნორმალიზაცია შემდეგნაირად ხდება: ერთ-ერთი მაჩვენებლის მიხედვით ყველა ქვეყანა ჯგუფდება. ამის შემდეგ იმ ქვეყნების რაოდენობა (N_1) გამოითვლება, რომლებსაც ეს მაჩვენებელი მოცემული ქვეყნის მაჩვენებელზე უარესი (დაბალი) აქვს და ქვეყნების საერთო რაოდენობას (N) შედარდება.

მაშასადამე, ნორმალიზებული მაჩვენებელი = 10 x (N_1 : N)

მსოფლიო ბანკის ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ცოდნის ეკონომიკის ინდექსით პირველ ათეულს ლიდერობენ შვედეთი, ფინეთი და დანია. ამასთან, შვედეთი პირველ პოზიციას იკავებს ცოდნის ინდექსით, ინოვაციებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ინდექსების მიხედვით, თუმცა, ჩამორჩება ფინეთს ეკონომიკური და ინსტიტუციონალური რეჟიმის ინდექსით (იხ. ცხრილი 1).

ცოდნის ეკონომიკის ინდექსით მსოფლიოს 10 მოწინავე ქვეყნიდან 7 (ანუ 70%) ევროპული ქვეყანაა, ხოლო 7 (ანუ 70%) მცირე ბუნებრივი რესურსების

მქონე პატარა სახელმწიფოა. სამწუხაროდ, საქართველოს პოზიცია საკმაოდ მოკრძალებულია (68-ე ადგილი). საქართველოს ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიო ქვეყნების საშუალო მაჩვენებლის დონეზე დაბალია, ხოლო პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ჩამოვრჩებით ესტონეთს, ლიტვას, ლატვიას, რუსეთსა და უკრაინას. ამ ინდიკატორის მიხედვით საქართველო ახლოსაა სამხრეთ აფრიკასთან, ტაილანდთან, პანამასთან, თურქეთთან, სომხეთთან.

ცხრ. 1. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი მაჩვენებლები მსოფლიო ქვეყნებში (2012)

რეიტინგი	ქვეყანა	KEI	KI	ინსტიტუ-ტები	ინოვაციები	განათლება	ICT
1	შვედეთი	9,43	9,38	9,58	9,74	8,92	9,49
2	ფინეთი	9,33	9,22	9,65	9,66	8,77	9,22
3	დანია	9,16	9,00	9,63	9,49	8,63	8,88
4	ნიდერლანდი	9,11	9,22	8,79	9,46	8,75	9,45
5	ნორვეგია	9,11	8,99	9,47	9,01	9,43	8,53
6	ახ. ზელანდია	8,97	8,93	9,09	8,66	9,81	8,30
7	კანადა	8,92	8,72	9,52	9,32	8,61	8,23
8	გერმანია	8,90	8,83	9,10	9,11	8,20	9,17
9	ავსტრალია	8,88	8,98	8,56	8,92	9,71	8,32
10	შვეიცარია	8,87	8,65	9,54	9,86	6,90	9,20
...							
68	საქართველო	5,19	4,49	7,28	5,15	4,61	3,72

საინტერესო სურათს იძლევა ცოდნის ეკონომიკის ინდექსი მსოფლიო რეგიონების მიხედვით (იხ. ცხრილი 2). ამ მხრივ ლიდერობს ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა და ცენტრალური აზია, მე-3 და მე-4 პოზიციებს იკავებენ აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი, ლათინური ამერიკა, ასევე, საშუალო მსოფლიო მაჩვენებელთან შედარებით უარესი დონე აქვთ ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონს, სამხრეთ აზიასა და აფრიკას.

ცხრ. 2. ცოდნის ეკონომიკის ინდექსი და მისი მაჩვენებლები მსოფლიო რეგიონების მიხედვით (2012)

რეიტინგი	ქვეყანა	KEI	KI	ინსტიტუტები	ინოვაციები	განათლება	ICT
1	ჩრდილოეთ ამერიკა	8,80	8,70	9,11	9,45	8,13	8,51
2	ევროპა და ცენტ. აზია	7,47	7,64	6,95	8,28	7,13	7,50
3	აღმოსავლეთ აზია და წყნარი ოკეანეთი	5,32	5,17	5,75	7,43	3,94	4,14
4	ლათინური ამერიკა	5,15	5,13	4,66	5,80	5,11	5,02
5	მსოფლიო	5,12	5,01	5,45	7,72	3,72	3,58
6	ახლო აღმოსავ. და ჩრდ. აფრიკა	4,74	4,51	5,41	6,14	3,48	3,92
7	სამხრეთ აზია	2,84	2,77	3,05	4,23	2,17	1,90
8	აფრიკა	2,55	2,43	2,91	3,95	1,44	1,90

2. ფორსაით პროექტები - გრძელვადიანი პროგნოზირების თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგია

უკანასკნელი ორი ათეული წელია მსოფლიოში ფორსაით[50] - პროექტების გააქტიურება შეიმჩნევა. მათი მიზანი ერთია - გლობალური სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური განვითა-რების მოსალოდნელი მომავლის განსაზღვრა, სასურველი მიმართულებით მისი კორექტირება და გრძელვადიან პერსპექტივაში შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

დღეს ფორსაით-კვლევები არა მარტო სახელმწიფო, არამედ კორპორატიული ინოვაციური პოლიტიკის განსაზღვრის განუყოფელი ნაწილი გახდა. მათი შედეგების გამოყენება საშუალებას იძლევა არსებული ინტელექტუალურ-ტექნიკური, ფინანსური და სხვა რესურსები სამომავლოდ იმ მიმართულებით წარიმართოს, რომლებიც პერსექტივაში სახელმწიფოს,

[50] ინგლ. Foresight - მომავლის ხედვა, წინასწარხედვა. არსებობს საპირისპირო, უკუ ფორსაითი ანუ ჰინდსაითი (ინგლ. Hindsight) - წარსულის ხედვა, რეტროსპექტრული ხედვა.

საზოგადოების ან კომპანიის მაღალკონკურენტულ სტრატეგიულ განვითარებას უზრუნველყოფს.

ფორსაით-პროექტები, როგორც გრძელვადიანი პროგნოზირების თანამედროვე საერთაშორისო ტექნოლოგია, მრავალ ქვეყანაში განსხვავებული მეთოდოლოგიით ტარდება. თუმცა, არსებობს ზოგადი მიდგომებიც - საზოგადოებრივი ძალების ჩართულობა გრძელვადიანი პროგნოზების შედარებასა და განხილვაში, განვითარების სტრატეგიაში, მომავლის კომპლექსურ ხედვაში და მისი მიღწევის გზების შეთანხმებაში.

ფორსაით-პროექტებს წარმატებით ამუშავებენ არა მარტო განვითარებული, არამედ განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებშიც. მაგ., ამ სფეროში მდიდარი გამოცდილება დააგროვეს იაპონელებმა, ბრიტანელებმა, გერმანელებმა. კერძოდ, იაპონიაში (სადაც ფორსაით-პროექტები ყოველ ხუთ წელიწადში ტარდება) ამჟამად მეათე კვლევისთვის ემზადებიან. დიდ ბრიტანეთში (რომელიც ფორსაითის სფეროში ერთ-ერთი მსოფლიო ლიდერია) უკვე სამი ციკლი ჩატარდა, აქედან, პირველმა ყურადღება გაამახვილა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს პერსპექტიული განვითარების შეფასებაზე, მეორემ - დანაშაულის პროფილაქტიკაზე, მოსახლეობის დაბერებაზე, ხოლო მესამემ - კიბერდანაშაულზე და ინფექციურ დაავადებებზე. ამ ქვეყანაში საკმაოდ მაღალგანვითარებულია საგანმანათლებლო ფორსაითიც.

ფორსაით-კვლევები რეგულარულად ტარდება ჩინეთში, კორეაში, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. მსოფლიოში ფორსაით-პროექტების რაოდენობა ათასობით აღირიცხება. ფორსაით-პროექტების მონიტორინგის ევროპული პროგრამა (European Foresight Monitoring Network) 2000-მდე კვლევას მოიცავს, რომელიც როგორც საერთაშორისო, ისე ქვეყნის, რეგიონის, დარგის ან კორპორაციის დონეზე ტარდება.

ცნობილია წარმატებული საერთაშორისო ფორსაით-პროექტებიც. მაგ., მდინარე დუნაის ფორსაით-პროექტი. იმ ქვეყნების მკვლევრებმა, რომელთა ტერიტორიებზეც იგი მიედინება, ეკოლოგიური პრობლემების სამომავლოდ გადაწყვეტის გზები ერთობლივად შეიმუშავეს.

ლათინურ ამერიკაში ჩატარდა მეთევზეობისა და თევზის მრეწველობის პროექტი იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც წყნარი ოკეანის სანაპიროზე გადიან. ექსპერტების მიერ დამუშავებული წინადადებები განიხილეს სახელმწიფო დონეზე, რომელთა შორის მრავალი დაინერგა.

წარმატებული აღმოჩნდა კვიპროსის, მალტასა და ესტონეთის, როგორც ევროკავშირში შესული მცირე ქვეყნების ერთობლივი ფორსაით-პროექტი. ამ

ქვეყნებს შორის არსებული მნიშვნელოვანი განსხვავებების მიუხედავად, მათ გააჩნიათ მსგავსი პრობლემებიც, რომელთა გადასაწყვეტად ერთობლივი მიდგომები შეიმუშავეს და სხვა მრავალი.

ფორსაით-პროექტები აქტიურად გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს დონეზე, არამედ ბიზნესის სფეროშიც. მაგ., საავტომობილო კომპანია აიმლერ-ში ექსპერტები მომავლის პროგნოზზე მუშაობენ. ახალი ავტომობილის პროექტის შესადგენად ითვალისწინებენ არა მარტო საქონლის ტექნიკური გადაწყვეტის ან დიზაინის საკითხებს, არამედ მომავალში ადამიანის ცხოვრების სტილსა და თავისებურებებს. ექსპერტები ცდილობენ განსაზღვრონ თუ როგორი იქნება ადამიანის ცხოვრების სტილი 10-15 წლის შემდეგ და რომელი მიმართულებით განვითარდება მათი მოთხოვნები. ამით ისინი მომავალი მომხმარებლის ერთგვარ პორტრეტს ქმნიან. ასეთი კვლევა საშუალებას იძლევა უფრო ზუსტად განისაზღვროს თუ როგორი სტილის, დიზაინისა და ტექნიკური პარამეტრების ავტომობილს მიენიჭება უპირატესობა მომავალში და რა ძირითადი ფუნქციების მატარებელი იქნება იგი.

ფართო აღიარება მოიპოვა კომპანია Shell-ის ფორსაით-პროექტებმა. ამ კომპანიის ექსპერტებმა ენერგეტიკის ბაზრის პერსპექტიული განვითარების 15-20 წლიანი პროგნოზი გააკეთეს. ამავე სფეროს მიეკუთვნება საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს პროგნოზებიც.

ფორსაით-პროექტებს ნაყოფიერად იყენებენ სოციალურ სფეროშიც. მაგ., გერმანული ფორსაით-პროექტი „Futur“, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, სოციალურ ხასიათის საკითხებსაც (დასაქმება, კეთილდღეობა და სხვ.) ითვალისწინებს.

უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ცალკეული ქვეყნებისა და მსხვილი კომპანიების მიერ ათასამდე ფორსაით-პროექტი დამუშავდა.

მიუხედავად იმისა, რომ ფორსაითსა და პროგნოზირების სხვა მეთოდებს შორის გარკვეული მსგავსება შეიმჩნევა, მათ შორის კონცეპტუალური განსხვავება არსებობს. პროგნოზი რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარი განჭვრეტის ვარიანტია, რომელიც მეცნიერული კვლევის შედეგად არსებული ტენდენციების გათვალისწინებით მიიღება. ფორსაითი, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით, არაა გამიზნული სავარაუდო მომავლის შეცნობისაკენ, იგი სასურველი მომავალის ფორმირების მიზნით კეთდება. თუ პროგნოზი პასუხობს კითხვაზე „როგორი იქნება მომავალი?“, მეორესთვის არსებითია, თუ „როგორი გვინდა იყოს მომავალი“ (იხ. ცხრილი 1).

თუ პროგნოზი მოლოდინის პასიურ რეჟიმში გვამყოფებს, ფორსაით-პროექტი მის შესრულებაზე აქტიური მონიტორინგის დაწესებას გვაიძულებს, რომ ხელმისაწვდომი ინოვაციური რესურსები ჩვენთვის სასურველი და დასახული სამეცნიერო-ტექნიკური (ტექნოლოგიური) ამოცანების შესასრულებლად წარვმართოდ.

ცხრილი 1. ფორსაითისა და პროგნოზირების შედარებითი ანალიზი

ორიენტირი, პრინციპი	ფორსაითი	პროგნოზირება
მიზანი	სასურველი მომავლის მიღწევა	მომავლის განჭვრეტა
ჩართულობა	ფართო საზოგადოება	მეცნიერ-ექსპერტები
კომუნიკაცია	აუცილებელია კონსენსუსის მისაღწევად	არაა პრინციპული ფაქტორი
კვლევის ჰორიზონტი	ჩვეულებრივ, 15-20 წელი, ზოგჯერ გაცილებით მეტი	დამოკიდებულია მონაცემების დინამიურ მწკრივზე. საშუალოდ უფრო მცირე, ვიდრე ფორსაითის შემთხვევაში
კოორდინაცია	განვითარება ფასდება სოციალურ-ეკონომიკურ ცვლილებებთან უწყვეტ კავშირში	ძირითადად, ფოკუსი კეთდება საგნობრივ სფეროზე
კონსენსუსი	აუცილებელია	არაა აუცილებელი
ექსპერტიზა	სჭარბობს ექსპერტული მეთოდები	სჭარბობს რაოდენობრივი მეთოდები
ალტერნატიულობა	განიხილება ალტერნატიული ვარიანტები	განიხილება საბაზო ვარიანტი
სისტემურობა	პროგნოზი მოიცავს არა მარტო საგნობრივ სფეროს, არამედ გარე ფაქტორებსაც	პროგნოზი კეთდება კონკრეტულ სფეროში

გარდა ამისა, ფორსაით-პროექტები სხვადასხვა დონეზე (რეგიონი, სახელმწიფო. ეკონომიკის კონკრეტული დარგი/ სეტორი, საწარმო) ხორციელდება, რითაც ხელს უწყობს ინოვაციური სტრატეგიების შემუშავებას და ეროვნული კონკურეტუნარიანობის გაძლიერება-განმტკიცებას.

3. ცოდნის მართვის დელფოს მეთოდის არსი და თავისებურებები

ფორსაით-პროექტებში გამოიყენება ცოდნის მართვის „დელფოს“[51] მეთოდი. იგი „ექსპერტული შეფასების“ მეთოდების ერთ-ერთი გავრცელებული და შედარებით პოპულარული ვარიანტია[52].

დელფოს მეთოდი რაიმე პრობლემური საკითხის შესახებ სპეციალისტების ფართო წრის მიერ ექსპერტული შეფასებების საფუძველზე ტარდება და მმართველობითი გადაწყვეტილების საუკეთესო ვარიანტის ასარჩევად გამოიყენება. დელფოს მეთოდი ითვალისწინებს ექსპერტული შეფასებების ორგანიზაციასა და შედეგების მათემატიკურ დამუშავებას.

დელფოს მეთოდი 1950-ან წლებში აშშ-ის კორპორაცია RAND-ში სამხედრო სტრატეგიული და ტექნიკური პრობლემების კვლევისთვის დაამუშავეს (ავტორები: ო. ჰოლმერი, თ. გორდონი და სხვები). თავდაპირველად, ამ მეთოდის მიზანი იყო ომის წარმართვის მეთოდზე სამომავლო სამეცნიერო დამუშავებათა გავლენის პროგნოზირება. დღეს იგი მრავალ სფეროში, მათ შორის, ბიზნესის მართვაში გამოიყენება.

ცოდნის მართვის დელფოს მეთოდის მიზანია, საკვლევ პროფილში აღიარებული მეცნიერ-სპეციალისტებისა და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლების (ზოგადად, ექსპერტების) მიუკერძოებელი შეხედულებების მრავალჯერადი ურთიერთგაცვლისა და შეფასებების მაქსიმალური კონსენსუსის

---

[51] იგივე „დელფოს ორაკულის მეთოდი“. „დელფო“ - ძველი ბერძნული დასახლება პარნასის მთის ძირას (ძვ.წ. VIII ს.), მსხვილი რელიგიური ცენტრი, სინათლის, მეცნიერების, ხელოვნებისა და წინასწარმეტყველების ღმერთის, აპოლონის სახელგანთქმული ტაძრითა და სამისნოთი. დელფოს ორაკულის (წინასწარმეტყველების) ქურუმი (კულტის მსახური, ღმერთებსა და ადამიანებს შორის შუამავალი), მისანი ქალი პითია (სივილა), რიგით მაცხოვრებლებსა და მმართველი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებს, მათ თხოვნაზე ღვთაება აპოლონის ნება-სურვილს ამცნობდა ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის შესახებ; გადატანითი მნიშვნელობით ორაკულს უწოდებენ ისეთ ადამიანს, რომლის მსჯელობაც გარდუვალ, უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებლად მიიღება.

[52] ხშირად, დელფოს მეთოდს „გონებრივი შეტევის“ ერთ-ერთ მეთოდად თვლიან. თუმცა, „გონებრივი შეტევის“ მეთოდებისთვის დამახასიათებელია იდეების კოლექტიური გენერაცია, ანუ გარკვეული წესების დაცვითა და თანამიმდევრობით, სპეციალისტების მიერ რაიმე გადაწყვეტილების (ან პრობლემის შეფასების) კოლექტიურად მიღება. დელფოს მეთოდის შემთხვევაში კი, ექსპერტები თავიანთ შეფასებებს დამოუკიდებლად იღებენ, რომელთა განზოგადება ანალიტიკური ჯგუფის მიერ ხდება.

მიღწევით, პერსპექტიული განვითარების უზრუნველსაყოფად, მმართველობითი გადაწყვეტილების საუკეთესო ვარიანტის მიგნება.

ცოდნის მართვის დელფოს მეთოდის საბაზო მიდგომად მიიჩნევენ იმ გარემოებას, რომ დამოუკიდებელი სპეციალისტები და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლები (ხშირად, ერთმანეთისთვის სრულიად უცნობები) უფრო უკეთესად აფასებენ არსებული სიტუაციის სირთულეს და ობიექტურად ვარაუდობენ მოსალოდნელ შედეგებს (აკეთებენ გრძელვადიან პროგნოზებს), ვიდრე პიროვნებების სტრუქტურიზებული ჯგუფები (კოლექტივი). ამით თავიდან იცილებენ განსხვავებული პოზიციების მქონეთა დაპირისპირებას, გამოკითხულთა ერთმანეთთან უშუალო კონტაქტს, მათ ჯგუფურ გავლენას, ავტორიტეტის ან უმრავლესობის დიქტატს.

4. დელფოს მეთოდის სუბიექტები, ჩატარების ეტაპები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები

დელფოს მეთოდის თავისებურებებია: ამ პროცესის მრავალსაფეხურიანობა, ექსპერტების ანონიმურობა და საკვლევი საკითხის დაუსწრებლად შეფასება.

დელფოს მეთოდის მონაწილე სუბიექტებია:

ა) ექსპერტები და საზოგადოების ფართო წრის წარმომადგენლები, რომლებიც დასმულ კითხვებს წერილობითი ფორმით ინდივიდუალურად პასუხობენ;

ბ) სპეციალური საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფი, რომელიც ადგენს გამოკითხვის ანკეტას, უზრუნველყოფს გამომკითხველებს აუცილებელი ინფორმაციით, ამუშავებს და აჯამებს მათგან მიღებულ მასალებს და აყალიბებს მმართველობითი გადაწყვეტილების პროექტებს.

დელფოს მეთოდი 5 ეტაპად ტარდება: 1-ლი ეტაპი - სპეციალური საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის ფორმირება (კომპანიისთვის ოპტიმალურია 5-7 კაცი). ჯგუფის ამოცანაა ექსპერტული გამოკითხვის ორგანიზაცია; მე-2 ეტაპი - ექსპერტებისა და საზოგადოების ფართო წრის

წარმომადგენლების შერჩევა; მე-3 ეტაპი - შეკითხვების კვალიფიციურად ფორმულირება: არსებული პრობლემის განსაზღვრა-დასაბუთება და მასზე მოქმედი ფაქტორების დადგენა; გამოკითხვის ანკეტის პირველი ვარიანტის მომზადება. მე-4 ეტაპი - ექსპერტიზის მომზადება: ექსპერტიზის მიზნებისა და ამოცანების განსაზღვრა; ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების შერჩევა; ექსპერტებისთვის კითხვარის გაგზავნა და მისი სრულყოფის (დამატება, გამოკლება, დახვეწა) შეთავაზება. მათგან მიღებული პასუხების საფუძველზე საერთო კითხვარის შედგენა და ექსპერტებისთვის გამეორებით გაგზავნა; ექსპერტების მიერ საერთო კითხვარის შეფასება და თავიანთი მოსაზრებების კვლავ საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფისთვის დაბრუნება; საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის მიერ ექსპერტებიდან მიღებული ვარიანტების ერთმანეთთან შეჯერება, კითხვარის საბოლოო ვარიანტის შემუშავება (შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ეს პროცედურა კონსენსუსის მიღწევამდე მეორდება) და ექსპერტებისთვის კვლავ გაგზავნა; ექსპერტების მიერ კითხვარის საბოლოო ვარიანტის დადასტურება.

მე-5 ეტაპი - გამოკითხვის ტურების ჩატარება და შედეგების შეჯამება:

გამოკითხვის 1-ლი ტურის ჩატარება. ექსპერტების მიერ მიცემულ კითხვებზე დასაბუთებული პასუხების გაცემა, მოცემული პრობლემის გადაწყვეტის ეფექტურობისა და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფის ასპექტების გათვალისწინებით. ანალიტიკური ჯგუფის მიერ მიღებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და ექსპერტებისთვის გამოკითხვის საერთო შედეგების გაცნობა;

ექსპერტების მიერ თავიანთი თავდაპირველი მოსაზრებების კრიტიკულად გააზრება, არგუმენტირებულად კორექტირება ან ადრინდელ შეხედულებაზე დარჩენა (ამ შეთხვევაში საჭიროა კონტრარგუმენტების მოხმობა). ამასთან, აუცილებელია ექსპერტების ანონიმურობის მკაცრად დაცვა და გამოკითხვის მე-2 ტურის ჩატარება (თუ საჭიროა მე-3 ტურისაც);

ანალიტიკური ჯგუფის მიერ ექსპერტებიდან მიღებული შეფასებების მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდებით დამუშავება, დასკვნების განზოგადება და რეკომენდაციების შედგენა.

დელფოს მეთოდის გამოყენების დროს გათვალიწინებული უნდა იქნას:

ექსპერტების ჯგუფი - სტაბილური და მათი შემადგენლობა გონივრული (თუმცა, რაც მეტი, მით უკეთესი. შესასწავლი საკითხის სირთულისა და რეზონანსულობის გათვალისწინებით, მათი რაოდენობა შეიძლება ასობით იყოს. კერძო ბიზნეს კომპანიისთვის ოპტიმალურია 15-18 ექსპერტი.);

გამოკითხვის ტურებს შორის ინტერვალი - არა უმცირეს ერთ თვე;

ანკეტის კითხვები - საკვანძო საკითხების შესახებ კარგად მოფიქრებული, ლაკონურად და მკაფიოდ ფორმულირებული;

გამოკითხვის ტურები - საკმარისი (მინიმუმ 2 მაინც), რომ ექსპერტებმა პრობლემის მიზეზების გაცნობა და მათი კრიტიკული შეფასება უზრუნველყონ.

დელფოს მეთოდს აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

ცნობილია, რომ კოლექტიური ცოდნა საუკეთესო გადაწყვეტილების მისაგნებად უფრო ეფექტურია, მაგრამ, ხშირად, შემფასებელთა აზრების გაცვლის დროს, კოლეგის ავტორიტეტის გავლენა საკმაოდ ძლიერია და პასუხებიც უფრო მეტად ტრივიალური (სიახლეს, ორიგინალურობას მოკლებული).

ცოდნის მართვის დელფოს მეთოდი ამ დიალექტიკურ წინააღმდეგობას აგვარებს, რადგან ექსპერტების ერთობლივი ზეპირი დისკუსიები იცვლება ინდივიდუალური, ანონიმური და წერილობითი გამოკითხვებით, ხოლო მიღებული შედეგები მათემატიკურ-სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით მუშავდება. განზოგადებული პასუხები ყოველ ექსპერტს ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით გადაეცემა. აუცილებლობის შემთხვევაში, ექსპერტს თავისი წინანდელი აზრის დაზუსტებაც შეუძლია.

უარყოფითი მხარეებიდან მნიშვნელოვანია: გამოკითხვის ჩასატარებლად დიდი დრო და შრომატევადი ორგანიზაციული მომზადება; საორგანიზაციო-ანალიტიკური ჯგუფის დიდი უფლებები და მის წინაშე ექსპერტების დაუცველობა; პრობლემის ოპერატიულად გადაწყვეტის შეუძლებლობა. (მოცემული მეთოდი ეფექტურია მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში, სტრატეგიული დაგეგმვის დროს); პრობლემური საკითხის პროფილით დამოუკიდებელი ექსპერტების შერჩევის სირთულე და ამგვარი კვლევების ჩატარების იშვიათობა; ექსპერტების სწრაფვა კომფორმიზმისაკენ (სხვისი შეხედულებების გათვალისწინებით გადაწყვეტილების შეცვლა), მათი მცდელობა მოხვდნენ უმრავლესობაში; ექსპერტების მიერ თავიანთი მოსაზრებების (არგუმენტების) წერილობითი ფორმით ნათლად, ლაკონურად და სრულყოფილად გადმოცემის სირთულე; ექსპერტების სუბიექტური შეფასებების მაღალი, ხოლო მოტივაციის დაბალი ხარისხი; ექსპერტების შეფასებების სპორადული (არამუდმივი, არასაყოველთაო) ხასიათი და სხვ.

ექსპერტების შეხედულებებიდან ნაერთი დასკვნების მისაღებად, აუცილებელია მათი შეფასებები რიცხვების სახით (ქულები, ბალები, პროცენტები), ანუ რაოდენობრივ პარამეტრებში იყოს წარმოდგენილი.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ცოდნის მართვის დელფოს მეთოდს აქვს მრავალი უპირატესობა ექსპერტული შეფასების იმ მეთოდებთან შედარებით, რომლებიც ინდივიდუალური გამოკითხვების შედეგების ჩვეულებრივი სტატისტიკური მეთოდებით მუშავდება. გარდა ამისა, დელფოს მეთოდი საშუალებას იძლევა მშვიდ გარემოში ანონიმურად მივიღოთ კვალიფიციური სპეციალისტების დამოუკიდებელი შეფასებები, რითაც თავიდან ავიცილებთ პიროვნულ დაპირისპირებებსა და მასთან დაკავშირებულ მრავალ უსიამოვნებას.

რა უშლის ხელს ფორსაით-პროექტების განხორციელებას ჩვენ ქვეყანაში? უპირველესად, ხანგრძლივ, სტრატეგიულ პერსპექტივაში განვითარების შესაძლო მიმართულებების განსაზღვრის არასაკმარისი კულტურა. ჩვენი შეხედულებით,

ქართულ საწარმოთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია განვითარების არა გრძელვადიანი, არამედ მოკლევადიანი (1-2 წელი) ხედვა. მნიშვნელოვანია კვალიფიციური სპეციალისტებისა და მიუკერძოებელი პირების უკმარისობა. გარდა ამისა, ფორსაით-პროექტები საკმაოდ ძვირადღირებულია. ღარიბია ექსპერტული საზოგადოების ფორმირების ტრადიციებიც.

თავი 14

1. ინფორმაცია და მისი ეკონომიკური დახასიათება, ძირითადი ცნებები

დღესდღეობით არ არსებობს ადამიანის საქამინობის არც ერთი სფერო, სადაც წარმატებით არ გამოიყენებოდეს თანამდეროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ან არ საჭიროებდეს მათ გამოყენებას. ინფორმაცია, ინფორმატიკა, ინფორმატიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიები - ეს სიტყვები იმდენად მყარად დამკვიდრდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, რომ ხშირად მათ ისე ვიყენებთ, ზოგჯერ არც ვუფიქრდებით მათ ზუსტ მნიშვნელობას.

ინფორმაცია – ეს არის ცნობები პირების, საგნების, ფაქტების, მოვლენების, და პროცესების შესახებ განურჩევლად მათი წარმოდგენის ფორმისა. ინფორმაცია ამცირებს გაურკვევლობის ხარისხს, ცოდნის არასრულყოფას პირების, საგნების და მოვლენების შესახებ და ა.შ.

ტერმინი წარმოიქმნება ლათინური Informatio-სგან, რაც ნიშნავს განმარტებას, შეცნობას, თხრობას. ფართო მნიშვნელობით ინფორმაცია არის ცნება, რომელიც შეიცავს ადამაიანთა შორის ინფორმაციის გაცვლას, სიგნალების გაცვლას ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას, ადამაინთა და მოწყობილობებს შორის.

ჩვენ განვიხილავთ ინფორმაციას, როგორც ურთიეთდამოკიდებულებებს ცნობებსა და მათ მიმღებებს შორის, რომელიც სასარგებლო და ღირებული

მონაცემია კონკრეტული მიმღებისათვისათვის. მონაცემებს კი განვიხილავთ, როგორც ცნობებს, რომელიც წარმოდგენილია ფორმალიზებული ფორმით და განკუთვნილია ტექნიკური საშუალებებით შემდგომი გადამუშავებისათვის.

ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში მოხდა რამდენიმე ინფორმაციული რევოლუცია, როდესაც ინფორმაციის დამუშავების სფეროში კარდინალურმა ცვლილებებმა გამოიწვია საზოგადოებრივი ურთიერთობების გადაქმნები, ადამიანთა საზოგადოების მიერ ახალი ფასეულობების შეძენა.

კაცობრიობის წარმოშობა აღინიშნება პირველი საინფორმაციო რევოლუციით. შეიძლება ბევრი ვიკამათოთ იმაზე, თუ როგორ გამოეყო სადი ადამიანი მსოფლიო ბუნებას-პირველი შრომის იარაღის გამოგონების წყალობით, თუ დანაწევრებული მეტყველებით. და მაინც, ენა პირველ უდიდეს საინფორმაციო გამოგონებას წარმოადგენს. იგი, ამასთანავე, არის ეროვნული ცნობიერების პირველი მოდელი, ვინაიდან ენის ძირითად ცნებებში და მის ლინგვისტურ თავისებურებებში ყოველთვის აისახება ერის ლოგიკის და აზროვნების ხაზი.

მეორე ინფორმაციული რევოლუცია, რომელიც მოიცავს დამწერლობის გამოგონებას, პირველისაგან გამოყოფილია რამდენიმე ათასი წლის პერიოდით. მეორე საინფორმაციო რევოლუციის წყალობით შესაძლებელი გახდა დიდი რაოდენობის ადამიანების შეერთება ცოდნასთან, განსაკუთრებით პროფესიულთან, და ისიც საკმაოდ შეკუმშულ ვადებში.

მესამე საინფორმაციო რევოლუციის არსი შეიძლება გამოვხატოთ ერთი სიტყვით - წიგნების ბეჭდვა. მან უპრეცედენტო გავლენა იქონია ურბანიზაციის პროცესზე, არნახულად მძლავრ ტექნოლოგიურ რევოლუციაზე, რომელიც დროში იყო შეკუმშული, მოამზადა დიდი გეოგრაფიული აღმოჩენები და სხვადასხვა კულტურა და ცივილიზაცია დააყენა გლობალიზაციის გზაზე. სწორად შენიშნა დ. რობერტსონმა, წიგნების ბეჭდვის გარეშე კოლუმბი ვერ აღმოაჩენდა ამერიკას.

ახალი საინფორმაციო ტექნოლოგია საშუალებას იძლეოდა ინფორმაციას და ცოდნას იოლად გადაელახა ნებისმიერი სივრცობრივი, დროითი და კულტურულ-ცივილიზაციური ბარიერი. მან, ფაქტობრივად, სამრეწველო რევოლუცია და კაპიტალიზმის განვითარება მოამზადა. წიგნების ბეჭდვამ ერთიანი ევროპული მეცნიერების წარმოშობა ტექნოლოგიურად უზრუნველყო. გასაკვირი არაა, რომ სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება პირველი სამეცნიერო მიმართულებების ჩასახვა ეკონომიკურ მეცნიერებაში.

მეოთხე საინფორმაციო რევოლუცია დაკავშირებულია ტელეგრაფის, რადიოს, ტელეფონის და ტელევიზორის შექმნასთან. მეოთხე რევოლუციის მთავარი, საზოგადოებრივად შესაგრძნობი შედეგი გახდა სივრცის გადალახვა. მსოფლიო პატარა გახდა. მის ერთ ბოლოში მიმდინარე მოვლენებმა უშუალო საინფორმაციო გავლენის მოხდენა დაიწყო პლანეტის სხვა, საკმაოდ მოშორებული კუთხეების ეკონომიკის და საზოგადოების მდგომარეობაზე. იდეების გაცვლამ გლობალური ხასიათი შეიძინა და საოცრად დაჩქარდა.

მეხუთე საინფორმაციო რევოლუციას შეიძლება ვუწოდოთ კომპიუტერული და ტელეკომუნიკაციური. იგი თავისთავში მოიცავს: სხვადასხვა კლასის კომპიუტერების გაჩენას, რომელთაც შეუძლიათ წამში ასობით მილიონი და მილიარდი ოპერაციის გაკეთება; მძლავრი დამამახსოვრებელი მოწყობილობების შექმნას; მონაცემთა და ცოდნის გიგანტური, ავტომატიზებული ბაზების ჩამოყალიბებას, მუდმივ შევსებას და გაფართოებას, რომლებიც ასობით ათას ინფორმაციის გიგაბაიტს ითვლიან, რომელთაც პრაქტიკულად არა აქვთ შემდგომი განვითარებისათვის საზღვარი და რომელიც მისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მომხმარებლისათვის, რომელიც ფლობს გლობალურ ქსელებთან შეერთებულ პერსონალურ კომპიუტერებს.

მეხუთე ტელესაკომუნიკაციო და კომპიუტერული რევოლუციის დაწყებისთანავე, სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის საინფორმაციო ტექნოლოგიები და

ნაკადები გლობალური, სოციალურ-კულტურული და ცივილიზაციური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

თუკი მეოთხე საინფორმაციო რევოლუციის მთავარ შედეგს წარმოადგენდა სივრცის, ხოლო მეხუთისა - დროის დაძლევა, გადაცემული და გადამუშავებული ინფორმაციის გიგანტური სიჩქარისა და მოცულობის წყალობით, მაშინ შესაბამისი ტექნოლოგიური რევოლუციებისათვის ყველაზე ფუნდამენტურ შედეგებს ახალი რესურსები წარმოადგენენ, ე.ი. ელექტრობის, ნავთობპროდუქტების (მეოთხესათვის) და ატომური ენერგიის (მეხუთე ტექნოლოგიებისათვის) გამოყენება მთავარი წყაროს სახით.

იმავდროულად, მასთან ერთად იზრდება წარმოების სიჩქარე და ტრანსპორტის მოძრაობა მომსახურების და მართვის სფეროში. ყოველივე ამას თან ახლავს ხარისხობრივად ახალი ხელოვნური მასალების შექმნა, ეკოლოგიურად სუფთა წარმოების დანერგვა, ჩაკეტილი ტექნოლოგიების, წარმოების და მართვის ავტომატიზირებული სისტემების ჩამოყალიბება. საინფორმაციო და ტექნოლოგიური რევოლუციები ერთიანდება საერთო ნაკადად, რომელსაც სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას უწოდებენ. იგი გიგანტური გავლენის მოხდენას იწყებს ყველა ცივილიზაციურ და კულტურულ პროცესზე, გლობალური მასშტაბით.

ბოლო 100-150 წლის განმავლობაში საინფორმაციო და ტექნოლოგიური რევოლუციების გადაკვეთა და მზარდი შერწყმა, ახალი ათასწლეულის დასაწყისში მათი სავარაუდო სრული ინტეგრაცია ნიშნავს, რომ თვით გლობალური ტრანსფორმაციის სისტემაში ხარისხობრივად ახალი ეტაპი დგება და იგი, უეჭველია, ფუნდამენტური და პრინციპული სახით დაკავშირებულია ყველაზე განსაკუთრებულ როლთან, რომლის თამაშსაც მეცნიერება და მეცნიერებატევადი ტექნოლოგიები გლობალური ტრანსფორმაციის სისტემაში იწყებენ.

უკვე აშკარად გამოიკვეთა მეექვსე საინფორმაციო რევოლუციის ნიშნები, რომელიც დაფუძნებულია ადამიანური ცოდნის საექსპერტო სისტემებსა და

ხელოვნური ინტელექტის სხვა საშუალებების გლობალიზაციაზე. ამ პროცესების განვითარებისას გაიმარჯვებს ის ქვეყანა, რომელიც შეძლებს საუკეთესო ფორმით გამოიყენოს თავისი სამეცნიერო პოტენციალი.

ტრადიციულად ეკონომიკურ მეცნიერებაში ითვლებოდა, რომ ეკონომიკის ზრდა დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე: მიწასა და სხვა ბუნებრივ რესურსებზე, კაპიტალზე, რომელიც მოიცავს ძირითადი შემადგენლის სახით საწარმოო საშუალებებს და შრომაზე. თანამედროვე პირობებში მათ დაემატა ახალი, მეოთხე ფაქტორი-საინფორმაციო. ეკონომიკის ზრდა გადამწყვეტი ხარისხით ცოდნისა და ინფორმაციის გამოყენებაზეა დამოკიდებული, განსაზღვრავს რა ინოვაციურ განვითარებას და მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს. რაც უფრო განვითარებულია ქვეყანა, უფრო ძლიერ გამოიყენება მის განვითარებაში საინფორმაციო ფაქტორი და, პირიქით. ამგვარად, საინფორმაციო ფაქტორი განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის წარმატებას ეკონომიკაში.

ჩვეულებრივ ეკონომიკის საინფორმაციო სექტორს მიაკუთვნებენ საინფორმაციო საქმიანობის არა ყველა სახეს, არამედ მხოლოდ საინფორმაციო საქონლის და მომსახურების უშუალო წარმოებას. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საბოლოო განმტკიცებული აზრი იმის თაობაზე, თუ რას მოიცავს ეს სექტორი, ჯერჯერობით არ ჩამოყალიბებულა. უდავოა, რომ სექტორის ბირთვს საინფორმაციო ინდუსტრია შეადგენს, ე.ი. კომპიუტერული ტექნიკის წარმოება, ინფორმატიზაციის, კომუნიკაციის და საპროგრამო პროდუქტების საშუალებები. გარდა ამისა, ინფორმაციულ სექტორში მუდმივად რთავენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, სხვადასხვა საინფორმაციო-საკონსულტაციო ორგანიზაციებს, სამეცნიერო და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციებს, სარეკლამო და მარკეტინგულ სააგენტოებს.

ეკონომიკის ყველაზე გავრცელებული სექტორი ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებების შექმნის, ინფორმაციის და ინფორმაციული მომსახურების დამუშავების სექტორი. ამას ადასტურებს საერთო ბრუნვის

მოცულობები ეკონომიკის სხადასხვა სექტორებში. ასე, ინფორმაციული მომსახურების და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ექსპორტი უდრის კვების პროდუქტების და ნავთობპროდუქტების გაერთიანებულ ექსპორტს. მაგრამ უფრო სერიოზულ არგუმენტს წარმოადგენს იმ ოცდაათი აქციის შემადგენლობაში შესვლა, რომლის საფუძველზე ხორციელდება დოუ ჯონსის, იცროსოფტ-ის, Iნტელ-ის, თთ-ის და შ ჩ ჩომმუნიცატიონს-ის საბირჟო ინდექსების გაანგარიშება.

ამიტომ მრავალ ქვეყნებში მიმდინარეობს ინფორმაციული საზოგადოების ძირითადი ტექნოლოგიების განვითარების აქტიური და მიზანმიმართული ტექნიკური პოლიტიკა, მათ საფუძველზე ადამიანთა ცხოვრების, მრეწველობის და საზოგადოების სხვადასხვა სფეროებში მომსახურეობის სისტემების ფართო სპექტრის შექმნა. პოლიტიკამ, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის ან რეგიონის ეკონომიურ და სოციალურ მდგომარეობას, პერსპექტივებს, მათ პოზიციებს მსოფლიო და ეროვნულ ეკონომიკაში, მიიღო ინფორმატიზაციის სახელწოდება.

ინფორმატიკა თავისთავად წარმოადგენს ინფორმაციის მიღების, გადაცემის და მეცნიერული დამუშავების ჯგუფს. ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენებიან ადამიანური ცოდნის ამ დარგში, დღეს მიღებულია ვუწოდოთ ინფორმაციული ტექნოლოგიები.

ინფორმაციული რესურსები არის ცალკეული დოკუმენტები და დოკუმენტთა ცალკეული მასივები, დოკუმენტები და დოკუმენტთა მასივები ინფორმაციულ სისტემებში (ბიბლიოთეკებში, არქივებში, ფონდებში, საბანკო მონაცემებში, სხვა ინფორმაციული სისიტემებში).

ინფორმაციული ტექნოლოგია (იტ) - არის პროცესი, რომელიც იყენებს მეთოდებისა და პროგრამულ-ტექნიკური საშუალებების ერთობლიობას ინფორმაციის შეკრების, გადამუშავების, შენახვისა, გადაცემისთვის, ასევე ინფორმაციის წარმოსადგენად ახალი ხარისხის ინფორმაციის მისაღებად, შრომის მოცულობის შემცირებისა და ინფორმაციული რესურსების გამოყენების

პროცესების ეფექტურობის ამაღლების მიზნით. ეკონომიკის სფეროში ინფორმაციული ტექნოლოგიებით ხდება გადაწყვეტილებების მიღება, აპარატურული და პროგრამული საშუალებებით დანაწევრებული საწყისი მონაცემების ზუსტ ოპერატიულ ინფორმაციად გადაქცევა, მართვის ობიექტის ოპტიმალური საბაზრო პარამეტრების მიღწევა. მაშასადამე, ინფორმატიზაცია წარმოადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების პროცესს, რომელიც მიმდინარეობს საერთო ცივილიზაციის განვითარების პარალელურად.

ინფორმაციული რესურსები არის ცალკეული დოკუმენტები და დოკუმენტთა ცალკეული მასივები, დოკუმენტები და დოკუმენტთა მასივები ინფორმაციულ სისტემებში (ბიბლიოთეკებში, არქივებში, ფონდებში, საბანკო მონაცემებში, სხვა ინფორმაციული სისიტემებში).

ინფორმაციული პროცესები არის ინფორმაციის შეკრების, დამუშავების, შეგროვების, მოძებნის და გავრცელების პროცესები.

თავის მხრივ, ინფორმაციულ ინდუსტრიაში საინფორმაციო და ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიების სეგმენტებს გამოყოფენ. ვინაიდან თანამედროვეობის წამყვან ტენდენციას ინფორმატიზაციის სხვადასხვა საშუალებათა კონვერგენცია წარმოადგენს, ეს ორი სეგმენტი აშკარად გამიჯნული არ არის.

ამ სეგმენტთა ერთობლიობას, რომლებიც შეადგენენ საინფორმაციო ინდუსტრიას, საინფორმაციო-ტელესაკომუნიკაციო ტექნოლოგიებსაც უწოდებენ. სტატისტიკის მიზნებისათვის გამომუშავებულ იქნა სპეციალური შეთანხმება ევროკავშირის სტანდარტების მოთხოვნათა ფარგლებში, ვაჭრობის სტატისტიკის სფეროში, საინფორმაციო ინდუსტრიის ძირითად განსაზღვრებებზე. მიღებული კლასიფიკაციის შესაბამისად, საინფორმაციო ტექნოლოგიებს მიაკუთვნებენ:

1. ტექნიკური უზრუნველყოფის კომპონენტების (გამომთვლელ სისტემებს და ქსელებს, საოფისე სისტემებს, დამუშავების საშუალებებს, მონაცემთა გადაცემას და

ა.შ.) ან სააპარატო საშუალებების (კომპიუტერული მოწყობილობა) წარმოებას; 2. პროგრამული უზრუნველყოფის (სისტემური, გამოყენებითი, დამხმარე) ან პროგრამული პროდუქტების წარმოებას;

3. სხვადასხვა სახის მომსახურების წარდგენას (გამოთვლითი, ქსელური, საინფორმაციო, ტექნიკური).

დავუბრუნდეთ საინფორმაციო ინდუსტრიის კლასიფიკაციას. გარდა საინფორმაციო ტექნოლოგიებისა, მასში საკომუნიკაციო ტექნოლოგიებიც შედიან. მათ ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობასა და საკომუნიკაციო მომსახურებას მიაკუთვნებენ. ტელესაკომუნიკაციო მოწყობილობის კლასიფიკაცია ჩვეულებრივ მოხმარების კატეგორიების მიხედვით ხორციელდება. პირველ ჯგუფში, გამოიყოფა მომხმარებლის შენობაში დამონტაჟებული აპარატურა. მას მიეკუთვნება: კერძო ტელეფონები, ორგანიზაციების ავტომატური სატელეფონო სადგურები, ტელეფაქსები, ტელეტაიპები და ა.შ. მასში შედის მობილური ფიჭური ტელეფონები, რადიოტელეფონები, პეიჯერები და სხვა მოწყობილობა.

მეორე ჯგუფი აერთიანებს მოწყობილობას, რომელიც საკომუნიკაციო მომსახურებას უზრუნველყოფს: ლოკალური, საკვანძო, მაგისტრალური და ფიჭური კომუტატორები.

სტატისტიკა საკომუნიკაციო მომსახურებას მიაკუთვნებს მომსახურებას კერძო სატელეფონო ხაზებით, მონაცემთა კომუტაციით, აგრეთვე, მოწყობილობის დადგმას და ა.შ.

რაიმე კონკრეტული დარგის ეკონომიკით დაინტერესებისას, აუცილებელია გვქონდეთ განსაზღვრული წარმოდგენა მასში გამოყენებული ტექნოლოგიების შესახებ.

ეს თითქოსდა ტრივიალური მტკიცება უფრო სამართლიანია საინფორმაციო დარგისათვის, რომლის ტექნოლოგიები თანამედროვე წარმოების საშუალებების სათავეში დგანან. საინფორმაციო ტექნოლოგიები დღეს წარმოების და

საზოგადოების ყველა სფეროში შედიან, ამიტომ ეკონომიკის ინფორმატიზაციის შესწავლისას აუცილებელია შევჩერდეთ ინფორმატიზაციის ძირითად ტექნოლოგიებზე.

ცივილიზებული კაცობრიობა ყოველთვის ძალიან გულდასმით ეკიდებოდა ინფორმაციის შენახვას, რითაც იგი არსებითად განსხვავდება არაცივილიზებულისაგან. კომპიუტერების გაჩენასთან ერთად მალვე დაიწყო ცივილიზებულმა საზოგადოებამ მისი ათვისება და პრაქტიკაში დანერგვა. დიდი პროგრესი განიცადა მონაცემთა ბაზების შექმნამ. ისინი განსხვავდებიან საინფორმაციო ბაზებისაგან, რომ ინფორმაცია მათში გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე. პროგრამულად რეალიზებულ კატალოგებს და ინფორმაციის ძიების მექანიზმებს მონაცემთა მართვის სისტემებს უწოდებენ.

საინფორმაციო ტექნოლოგიის განვითარების მნიშვნელოვან ტენდენციას წარმოადგენს ინფორმატიკის საშუალებათა კონვერგენცია. ეს ტერმინი ნიშნავს კავშირის - სხვადასხვა ტექნოლოგიასა და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს შორის - საზღვრების წაშლას. უკვე დღეს წარმატებით მოქმედებენ საოჯახო კომპიუტერული სისტემები, რომლებიც მოიცავენ მართვად კომპიუტერს, ფაქსს, ტელევიზორს, მუსიკალურ ცენტრს, ტელეფონსა და სხვა ელექტრო ხელსაწყოებს. მობილური ტელეფონი იოლად ირთვება ინტერნეტში, ელექტრონულ ფოსტაში და ა.შ. მობილური ტელეფონების და კომპიუტერების ნარევის ბაზაზე ვითარდება ვიდეოტელეფონები.

თანდათან ნათელი ხდება, რომ პერსონალური კომპიუტერი იმ სახით, რომელსაც მივეჩვიეთ, კვდება. ყველა პროგრამული და ტექნიკური უზრუნველყოფის შეკრების იდეა ერთ მაგიდაზე, რომელიც გაბატონებულია პერსონალური კომპიუტერის ეპოქაში, ადგილს უთმობს ქსელური კომპიუტერის პარადიგმას. იგი იღებს ყველა აუცილებელ პროგრამულ უზრუნველყოფას ლოკალური ქსელებიდან და ინტერნეტიდან, კომპიუტერ-სერვერთა მეხსიერებიდან, ქსელურ კომპიუტერზე ინახება მხოლოდ მინიმალური პროგრამული უზრუნველყოფა ქსელში გასაშვებად.

ასეთი ვარიანტის დროს არ არის სახლის კომპიუტერში დიდი მეხსიერების და უკვე ჩვეული „ვინჩესტერის“ ქონის აუცილებლობა. ქსელური კომპიუტერის ფასი არ გადააჭარბებს 300 დოლარს, რაც მის გამოყენებას იაფსა და კონკურენტუნარიანს გახდის, აგრეთვე არაა საჭირო ბევრის დახარჯვა პროგრამულ უზრუნველყოფაზე.

ინფორმატიკის საშუალებათა ტექნოლოგიური კონვერგენცია განაპირობებს უმსხვილეს კორპორაციათა შერწყმას ამ სფეროში. 2000 წლის დამდეგს მსოფლიოში უმსხვილესმა საინფორმაციო კომპანიამ „ამერიკა ონ-ლაინმა“ გამოაცხადა შერწყმა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების სფეროში გიგანტთან-კორპორაცია „თაიმ უორნერთან“. ახალი მეგაკორპორაცია, რომელმაც მიიღო სახელწოდება „აოლ თაიმ უორნერ ინკორპორეიტედ“, გახდა უმსხვილესი მსოფლიოში, საერთო ღირებულებით 350 მლრდ. დოლარი. მისი ყოველწლიური მოგება, სპეციალისტების პროგნოზის მიხედვით შეადგენს სულ მცირე 30 მლრდ. დოლარს.

80- იან წლებში ა.შ.შ-ში დაიწყეს სხვადასხვა კომპიუტერების ქსელის შექმნა, უპირატესად კი სამხედრო დანიშნულებისა: „არპანეტ“, „მილენტ“, „ბიტენტ“ და სხვა. 1986 წელს ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა შეიმუშავა „ენ-ეს-ეფნეტ“ ქსელი, რომელმაც დააკავშირა რამდენიმე სუპერკომპიუტერი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. ამ ქსელის უნიკალურობა მდგომარეობს არა მარტო მის მასშტაბებში და უნივერსალურობაში, არამედ ეკონომიკურ შინაარსში. ინტერნეტი არავის ეკუთვნის, მთლიანობაში მისი პროექტი არავის შეუდგენია, ის არის ორგანიზაცია, რომელიც მის განვითარებაზე პასუხს აგებს. ინტერნეტი - ქსელთა ევოლუციის შვილობილია. ქსელები იქმნება სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა მიზნით. მათი სრულყოფა და გაერთიანება ერთმანეთთან ხდება ყველასათვის განსაზღვრული ჩართვის და მონაცემთა გადაცემის საერთო წესების საფუძველზე, რომელთაც რატომღაც ოქმებს უწოდებენ. აი ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ იზრდება და ვითარდება ინტერნეტი. იგი ჯერჯერობით არავის მიერ რეგულირდება და სწორედ ეს წარმოადგენს მის განუმეორებელ თავისებურებას.

ინტერნეტი- ესაა ეკონომიკური ლიბერალიზმი, ხორცშესხმული ქსელურ სანფორმაციო ტექნოლოგიაში. შესაძლებელია, სწორედ ამიტომ ის ასე ბუნებრივად და თავისუფლად შევიდა ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში.

თანამედროვე ინტერნეტი წარმოადგენს დაახლოებით 5 მლნ. საბაზო ელექტროგამომთვლელი მანქანების ქსელს, რომლებიც შეერთებულია „სწრაფი“ ოპტიკურბოჭკოვანი კავშირის ხაზებით. იგი აერთიანებს 90 ათას ქსელურ სტრუქტურას მსოფლიოს 100 სახელმწიფოში. ინტერნეტით მოსარგებლეთა რიცხვი ფანტასტიკური სისწრაფით იზრდება და უკვე შეიძლება ჩაითვალოს ჩამოყალიბებულად ადამიანთა ახალი გაერთიანება, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ინტერნეტით და რომელსაც დაუკავშირეს თავისი პროფესიონალური და ყოველდღიური საქმიანობა. ამ ადამიანთა წრე სწრაფად იზრდება, მოიცავს რა მთელ ინტელექტუალურ და მსოფლიოს საქმიან ელიტას.

თანამედროვე ინფორმატიკის ეკონომიკა დაფუძნებულია ორ ურთიერთშემავსებელ პროცესზე: ინფორმატიკის საშუალებათა გაიაფება და, უპირველეს ყოვლისა, კომპიუტერებისა და ინფორმაციის გადაცემის მომსახურების ღირებულების შემცირება. ორივე ეს ფაქტორი იწვევს კომპიუტერთა რიცხვის ლავისებურ ზრდას და კომპიუტერული ქსელების არნახულად სწრაფ გაფართოებას, რასაც თავის მხრივ მივყავართ მათი მოხმარების გაიაფებისკენ.

ინტერნეტი მიეკუთვნება კაცობრიობის ტექნოლოგიური აღმოჩენების მცირე რიგს (ბორბალი, ორთქლი, ელექტროობა), რომლებმაც რევოლუციურად შეცვალეს არა მარტო ეკონომიკური წყობა, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრებაც. მან ლოგიკურად დაასრულა ინფორმაციული ტექნოლოგიების (რადიო, ტელეფონი, ტელევიზია, კომპიუტერი) მთელი ოჯახის განვითარება, რამაც განაპირობა ინფორმაციული საზოგადოების შექმნა.

ინტერნეტის გარეშე არ იქნებოდა მეგაეკონომიკა, მაგრამ სწორედ ობიექტურად განპირობებულმა მსოფლიო ეკონომიკის გადასვლის პროცესმა მეგაეკონომიკაში გამოიწვია ინტერნეტის სიცოცხლისუნარიანობა.

მოცემულ ისტორიულ ეტაპზე გაბატონებული ინფორმაციული ტექნოლოგიები მრავალმხრივ განსაზღვრავენ ხელისუფლების სტრუქტურას, მართვის ტიპსა და საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმებს.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარება, რადიო და ტელეარხების გაფართოების შესაძლებლობა, ვიდეომაგნიტაფონების გამოჩენა, ასევე მძლავრი და სწრაფი ასლის გადაღების ტექნიკა, ტოტალურ რეჟიმებს არყევდა, რომელმაც არ იცოდა უცხო იდეოლოგიასთან ბრძოლის სხვა საშუალება, გარდა აკრძალვისა. საბოლოო ჯამში, საინფორმაციო ომი მოიგო დასავლეთმა და აღმოსავლეთ ევროპის ტოტალური რეჟიმები დაემხო.

დასავლეთის დემოკრატიამ ტოტალიტარულ რეჟიმებზე უკეთ ისწავლა რადიო და ტელეარხების, როგორც საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების საშუალების გამოყენება. მათ თავიდანვე არ ეშინოდათ ამის, ნათლად ხედავდნენ რა იმას, რომ მრავალნაირი და დაუმუშავებელი ინფორმაციის სიჭარბე პრაქტიკულად მოსახლეობისათვის მისი არქონის ტოლფასია. არ არის საჭირო რაღაცით ხელისუფლებისათვის მავნე აზრის ჩახშობა, უბრალოდ მათთან ერთად კარგია მიიტანო მოსახლეობამდე კიდევ ორი ათეული სხვადასხვა და ძირითადი საწინააღმდეგო აზრი. მაშინ იგი ჩაიძირება საინფორმაციო ხმაურში და აღარ ხდება საშიში. კაპიტალი არ კრძალავს, უბრალოდ ყიდულობს მასობრივ საინფორმაციო საშუალებებს.

XX საუკუნის ბოლო მეოთხედში წარმოიშვა საინფორმაციო-ფინანსური ოლიგარქია, რომელიც პრაქტიკულად აკონტროლებს პლანეტის საინფორმაციო და ფინანსური ნაკადების 90%-ზე მეტს. ბუნებრივია, ტყუილია, ვიფიქროთ, რომ არის პირთა რომელიღაც ჯგუფი, რომელიც ზის და წყვეტს, რა ინფორმაცია და როდის

მიაწოდოს მსოფლიოს. არანაირი იატაკქვეშა, ჩრდილოვანი მსოფლიო ხელისუფლება, რომელიც საზოგადოებრივ ცნობიერებას აკონტროლებს, არ არსებობს. უბრალოდ ხელისუფლებაში მყოფ ადამიანებს, სასტიკად რომ უწევენ ერთმანეთს კონკურენციას და თან ებრძვიან, ბევრ საკითხში ობიექტურად ერთნაირი ინტერესები და საერთო იდეოლოგიური პოზიციები აქვთ.

კომპიუტერული ქსელების პრინციპული უპირატესობა, როგორც ახალი ნაირსახეობა მასობრივი ინფორმაციული საშუალებებისა, არის ინფორმაციული ზემოქმედების ინდივიდუალიზირებისა და პერსონიფიცირების შესაძლებლობა. უკვე ახლა კომპიუტერული ფირმები თანდათან ქმნიან ყოველი ინდივიდუალური მომხმარებლის სახეს, სწავლობენ მის გემოვნებას, ურჩევენ რა იყიდონ, რა ნახონ და ა.შ.

ამგვარად, თანამედროვე მიღწევები ინფორმატიკაში ძალიან შთამბეჭდავია, მას ფაქტიურად განვითარების საზღვრები არა აქვს, ის უკიდეგანოდ ვითარდება და შედეგებიც ალბათ შესაბამისი იქნება.

2. ინფორმაციის ეკონომიკური დახასიათება

ეკონომიკური მეცნიერების თვალსაზრისით ინფორმაციის განხილვის სირთულე დაკავშირებულია იმასთან, რომ ინფორმაცია არის მისთვის უცხო ცნება. მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციული ნაკადები აღწევს საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში, უკანასკნელ დრომდე მას ენიჭებოდა არასაკმარისი ყურადღება. ინფორმაციისადმი გამწვავებული ინტერესი დღესდღეობით მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბებაზე. ინფორმაციამ აშკარად დაიწყო ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში შეღწევა, ამიტომ მისი იგნორირება უკვე შეუძლებელია. ამის ახსნა ნაწილობრივ შეიძლება იმით, რომ მანამ სანამ ინფორმაციამ თვითონ არ დაიწყო საქონლის ბრუნვაში შესვლა, ხშირ შემთხვევაში მას არ აქცევდნენ ყურადღებას, რაც ჩანს სხვადასხვა ეკონომიკური სწავლებების მაგალითზე.

ინფორმაცია (ფ. ნაიტის მიხედვით) წარმოდგენილია როგორც ცნება, რომელიც გაურკვევლობის საწინააღმდეგოა და უკუპროპორციონალურია რისკის.

პ. ჰეინე ამტკიცებდა, რომ "ინფორმაცია არის იშვიათი სიკეთე", რომლის შეძენა ხარჯებთანაა დაკავშირებული.

საზოგადოების ინფორმატიზაციის პროცესების გამოკვლევა აქტუალურია ეკონომიკისთვის, რომლის წარმატებით განვითარებისათვის აუცილებელია თანამედროვე საზოგადოებრივი წარმოების ინფორმაციული ასპექტების აღრიცხვა, ეკონომიკური მოვლენების ანალიზისადმი ინფორმაციული მიდგომის შემუშავება. ინფორმაცია აღწევს მთელ ეკონომიკაში, რაც ქმნის ეკონომიკური ცხოვრების ინფორმაციული მხარის გამოკვლევის სირთულეს.

ყველაფერი, რაც წარმოებულია კაცობრიობის მიერ, ატარებს ინფორმაციას. ბაზარზე რეალიზებული ყველა საქონელი შეიცავს ინფორმაციას, რომელსაც გაჩნია მეტი ან ნაკლები მატერიალური შემადგენელი.

ბაზრების განვითარების გზით იზრდება ინფორმაციული კავშირების რაოდენობა. ამიტომ ინფორმაციული კავშირების მთელი მოცულობის აღწერისთვის, რომელიც არსებობს ბაზარზე მყიდველებსა და გამყიდველებს შორის, შემოტანილია ტერმინი "საბაზრო ინფორმაციული ველი". ამ უკანასკნელის დამახინჯება გავლენას ახდენს საბაზრო ეკონომიკის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, უკუმოქმედებას ახდენს კონკურენციაზე და იწვევს საზოგადოებაში რესურსების არაოპტიმალურ განაწილებას.

ინფორმაცია, როგორც საქონელი, შეიძლება არსებობდეს ორი ძირითადი ფორმით: საკუთრების უფლების გაყიდვა (ინფომაცია – ს), გამოყენების უფლების გაყიდვა (ინფომაცია – გ). ინფორმაციული ბაზარი არის სამ ნაწილიანი საბაზრო სტრუქტურა, რომელიც შეიცავს არა მარტო ინფორმაციის ბაზაარს, არამედ თანმხლები საქონლის და მომსახურების ბაზრებს.

შესაძლებელია პირველადი, მეორადი და მესამედი ინფორმაციული ბაზრების გამოყოფა. პირველადი ინფორ-მაციული ბაზარი არის უშუალოდ ინფორმაციის ბაზარი. მეორადი ინფორმაციული ბაზარი არის მომსახურება ინფორმაციის მწარ მო ებ-ლიდან მის მომხმარებლებამდე ინფორმაციის შეკრებაზე, შეგროვებაზე და გადაცემაზე. მესამედი ინფორმაციული ბაზარი არის მატერიალური წარმოების სფეროთა ჯგუფი, რომელიც განკუთვნილია უზრუნველყოს პირველადი და მეორადი ინფორმაციული ბაზრების ტექნიკური რეალიზაცია [1].

3. ეკონომიკური ინფორმაციის ცნება

ინფორმაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაირსახეობას წარმოადგენს ეკონომიკური ინფორმაცია. ეკონომიკური ინფორმაცია ეწოდება ინფორმაციას, რომელიც ახასიათებს საზოგადოებაში ეკონომიკურ ურთიერთობებს. მას მიეკუთვნება ეკონომიკურ სისტემაში ცირკულირებადი ცნობები საწარმოო პროცესებზე, მატერიალურ რესურსებზე, წარმოების მართვის პროცესებზე, ფინანსურ პროცესებზე, აგრეთვე ეკონომიკური ხასიათის მონაცემები, რომელთა გაცვლაც ხდება სხვადასხვა მართვის სისტემებს შორის. დავაკონკრეტოთ ეკონომიკური ინფორმაციის ცნება სამრეწველო საწარმოს მართვის სისტემის მაგალითზე.

მართვის ზოგადი თეორიის შესაბამისად, მართვის პროცესი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ორი სისტემის – მმართველი და მართული სისტემების ურთიერთქმედება (ნახ. 1).



ნახ. 1. მართვის სისტემის სტრუქტურა

საწარმოს მართვის სისტემა ფუნქციონირებს ობიექტის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, მის შესასვლელებზე X (მატერიალური, შრომითი, ფინანსური რესურსები) და გამოსასვლელზე Y (მზა პროდუქცია, ეკონომიკური და ფინანსური შედეგები) დასახული მიზნის (საჭირო პროდუქციის გამოშვების უზრუნველყოფა) შესაბამისად. მართვა ხორციელდება მმართველი ზემოქმედების 1 (პროდუქციის გამოშვების გეგმა) მიწოდებით და უკუკავშირის (სამართავი სისტემის მიმდინარე მდგომარეობის) გარე გარემოს 2, 3 (ბაზარი, ზემდგომი ორგანოები) გათვალისწინებით.

მმართველი სისტემის დანიშნულებაა მართულ სისტემაზე ისეთი ზემოქმედების ჩამოყალიბება, რომელიც აიძულებს აუ უკანასკნელს მიიღოს მართვის მიზნით განსაზღვრული მდგომარეობა. სამრეწველო საწარმოს მიმართებაში მცირედი პირობითობით შეიძლება ჩაითვალოს, რომ მართვის მიზანია საწარმოო პროგრამის შესრულება ტექნიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობის ფარგლებში. მმართველი ზემოქმედება – ეს ქვედანაყოფის

მუშაობის გეგმებია, უკუკავშირი კი – წარმოების მიმდინარეობაზე მონაცემები: ნაკეთობათა გამოშვებასა და გადაადგილებაზე, მოწყობილობათა მდგომარეობაზე, საწყობებში მარაგზე და ა. შ.

ნათელია, რომ გეგმები და უკუკავშირის შინაარსი – ეს სხვა არაფერია, თუ არა ინფორმაცია. ამიტომ, მმართველი ზემოქმედების ჩამოყალიბების პროცესი ზუსტად წარმოადგენს ეკონომიკური ინფორმაციის გარდაქმნის პროცესს. ასეთი პროცესების რეალიზაციაა სამმართველო და ეკონომიკური სამსახურების მუშაობის ძირითადი შინაარსი. ეკონომიკურ ინფორმაციას წაეყენება შემდეგი ძირითადი მოთხოვნები: სიზუსტე, უტყუარობა, ოპერატიულობა.

უტყუარობა განსაზღვრავს შემომავალი და შედეგობითი ინფორმაციის დამახინჯების დასაშვებ დონეს, ამასთან ეფექტური ფუნქციონორება შენარჩუნებულია.

ოპერატიულობა ასახავს შეცვლილ პირობებში გამოთვლებისა და გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი ინფორმაციის აქტუალურობას.

სიზუსტე უზრუნველყოფს მომხმარებლების მიერ ინფორმაციის ერთგვაროვან აღქმას.

4. ინფორმაციის კლასიფიკაცია სხვადასხვა ნიშნებით



ნახ.2. ორგანიზაციაში ცირკულირებადი ინფორმაციის კლასიფიკაცია

შიგა ინფორმაცია წარმოიშობა ობიექტის შიგნით, გარე ინფორმაცია - ობიექტის საზღვრებს გარეთ.

სტაბილურობის მიხედვით ინფორმაცია შეიძლება იყოს ცვალებადი(მიმდინარე) და მუდმივი(პირობითად-მუდმივი).

ცვალებადი ინფორმაცია ასახავს ფირმის საწარმოო-სამეურნეო საქმიანობის ფაქტიურ რაოდენობრივ და ხარისხობრივ მაჩვენებლებს. ის თითოეული ცალკეული შემთხვევისათვის შეიძლება იცვლებოდეს როგორც მნიშვნელობით, ასევე რაოდენობით. მაგალითად, სამუშაო ცვლის განმავლობაში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა, ყოველდღიური დანახარჯები მასალების ტრანსპორტირებაზე და ა.შ.

მუდმივი (პირობითად-მუდმივი) ინფორმაცია - ეს უცვლელი და მრავალჯერადად გამოყენებადი ინფორმაციაა დროის ხანგრძლივ პერიოდში. მუდმივი ინფორმაცია შეიძლება იყოს საცნობარო, ნორმატიული, გეგმიური:

მუდმივი საცნობარო ინფორმაცია შეიცავს ობიექტის მუდმივ თვისებათა აღწერას, ხანგრძლივი დროის განმავლობაში უცვლელი ნიშნების სახით. მაგალითად, მოსამსახურის სატაბელო ნომერი, მოსამსახურის პროფესია, საამქროს ნომერი და ა.შ.;

მუდმივი ნორმატიული ინფორმაცია შეიცავს ადგილობრივ, დარგობრივ და ზოგადსახელმწიფოებრივ ნორმატივებს. მაგალითად, მოგებაზე გადასახადის მნიშვნელობა, სახელმწიფო მოსამსახურეთა ანაზღაურების სატარიფო ბადე; მუდმივი გეგმიური ინფორმაცია შეიცავს ფირმაში მრავალჯერადად გამოყენებულ გეგმიურ მაჩვენებლებს. მაგალითად, კონდიციონერების გამოშვების გეგმა, გარკვეული კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადების გეგმა.

დამუშავების სტადიის მიხედვით ინფორმაცია შეიძლება იყოს პირველადი, მეორადი, შუალედური, შედეგობრივი.

პირველადი ინფორმაცია- ეს ინფორმაციაა, რომელიც წარმოიშობა უშუალოდ ობიექტის საქმიანობის პროცესში და რეგისტრირდება საწყის სტადიაზე;

მეორადი ინფორმაცია - ეს ინფორმაციაა, რომელიც მიიღება პირველადი ინფორმაციის დამუშავების შედეგად და შეიძლება იყოს შუალედური და შედეგობრივი;

შუალედური ინფორმაცია გამოიყენება საწყის მონაცემებად შემდგომი გამოთვლებისათვის;

შედეგობრივი ინფორმაცია მიიღება პირველადი და შუალედური ინფორმაციის დამუშავების პროცესში და გამოიყენება მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებისათვის.

ასახვის მეთოდის მიხედვით ინფორმაცია შეიძლება იყოს ტექსტური და გრაფიკული.

ტექსტური ინფორმაცია არის ალფავიტის, ციფრის და სპეციალური სიმბოლოების ერთობლიობა, რომელთა საშუალებითაც ინფორმაცია წარმოდგება ფიზიკურ მატარებელზე(ქაღალდი, დისფლეის ეკრანზე გამოსახულება).

გრაფიკული ინფორმაცია - ეს გრაფიკების, სქემების, ნახატების ერთობლიობაა.

მართვის ფუნქციების მიხედვით ეკონომიკური ინფორმაცია იყოფა: საგეგმო-სააღრიცხვო, ნორმატიულ-საცნობარო, საანგარიშო-სტატისტიკურ ინფორმაციად.

გეგმური (დირექტიული) ინფორმაცია შეიცავს ბიზნეს-დაგეგმვის გეგმიური და საკონტროლო მაჩვენებლების დირექტიულ მნიშვნელობებს რაღაც მომავალი პერიოდით (ხუთწლედი, წელი, კვარტალი, თვე, დღე-ღამე).

მაგალითად, პროდუქციის გამოშვება ნატურალური და ღირებულებითი გამოსახულებით, პროდუქციაზე დაგეგმილი მოთხოვნილება და მისი რეალიზაციით მიღებული მოგება და ა. შ.

სააღრიცხვო ინფორმაცია ასახავს დაგეგმილი მაჩვენებლების ფაქტიურ მნიშვნელობებს დროის გარკვეულ პერიოდში. ამ ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია გეგმიური ინფორმაციის კორექტირება, ორგანიზაციის მუშაობის ანალიზის ჩატარება, ფირმის უფრო ეფექტურად მართვის მიზნით გადაწყვეტილებების მიღება. სააღრიცხვო ინფორმაციის როლში გამოდის ნატურალური(ოპერატიული) აღრიცხვის, საბუღალტრო აღრიცხვის, საფინანსო აღრიცხვის ინფორმაცია.

მაგალითად, სააღრიცხვო ინფორმაციას წარმოადგენს: მუშის მიერ ცვლის (ოპერატიული აღრიცხვა) განმავლობაში დამზადებული მოცემული დასახელების დეტალების რაოდენობა, დატალის დამზადებისათვის მუშის ხელფასი (საბუღალტრო აღიცხვა), ნაკეთობის დამზადების ფაქტიური თვითღირებულება (საბუღალტრო და საფინანსო აღრიცხვა).

ნორმატიულ–საცნობარო ინფორმაცია შეიცავს სხვადასხვა საცნობარო და ნორმატიულ მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესებთან და ურთიერთობებთან. ეს არის ყველაზე მოცულობითი და სხვადასხვაგვარი ინფორმაციის სახე. საკმარისია აღინიშნოს, რომ ფირმაში ცირკულირებადი ინფორმაციის საერთო მოცულობიდან ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაცია შეადგენს 50-60%.

ნორმატიულ-საცნობარო ინფორმაციის მაგალითები: დეტალების, კვანძების, ნაკეთობების მთლიანად დამზადების ტექნოლოგიური ნორმატივები; ღირებულებითი ნორმატივები (განფასება, ტარიფი, ფასი). საცნობარო მონაცემები პროდუქციის მომწოდებლებზე და მომხმარებლებზე. საანგარიშო-სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს ფირმის ფაქტიური მუშაობის შედეგებს მართვის ზემდგომი ორგანოებისათვის, სახელმწიფო სტატისტიკის

ორგანოებისათვის, საგადასახადო ინსპექციისათვის და ა.შ. მაგალითად, ფირმის მუშაობის ერთწლიანი საბუღალტრო ანგარიში.

5. საინფორმაციო სისტემის ცნება

საინფორმაციო სისტემა ორგანიზაციული, ტექნიკური, პროგრამული და ინფორმაციული საშუალებების ერთობლიობაა, რომლებიც ერთიან სისტემაშია გაერთიანებული აუცილებელი ინფორმაციის შეგროვების, შენახვის, გადამუშავებისა და გაცემის მიზნით, მართვის ფუნქციის განსახორციელებლად. კიბერნეტიკის პოზიციიდან, ეკონომიკური სისტემის მართვის პროცესი, როგორც სისტემის ელემენტებზე მიზნის მისაღწევად მიზანმიმართული ზემოქმედება, შეიძლება ინფორმაციული პროცესის სახით წარმოვადგინოთ, რომელიც გარემოს, მართვის ობიექტსა და მართვის სისტემას ერთმანეთთან აკავშირებს. ამასთან, გარემო და მართვის ობიექტი ინფორმაციას უგზავნის მართვის სისტემას, მისი მდგომარეობის შესახებ. მართვის სისტემა მიღებულ ინფორმაციას აანალიზებს, მართვის ობიექტზე მმართველ ზემოქმედებას გამოიმუშავებს, პასუხობს გარემოს ზემოქმედებაზე და საჭიროების შემთხვევაში, მთელი სისტემის მიზნისა და სტრუქტურის მოდიფიკაციას ახდენს.

კიბერნეტიკის პოზიციიდან ეკონომიკური სისტემის სტრუქტურა ნაჩვენებია მე-3 ნახაზზე, სადაც ძირითადი ინფორმაციული ნაკადები გარემოს, მართვის ობიექტსა და მართვის სისტემას შორის სპეციალური ისრებითა აღნიშნული.



ნახ. 3. ეკონომიკური სისტემის სტრუქტურა

საინფორმაციო სისტემის ინფორმაციული ნაკადები, რომლებიც ერთმანეთთან გარემოს, მართვის ობიექტსა და მართვის სისტემას აკავშირებს შემდეგია:

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული გარედან მართვის სისტემაში, რომელიც ერთი მხრივ არის კანონის სახით სახელმწიფო დაწესებულებების მიერ შექმნილი ნორმატიული ინფორმაციის ნაკადი, ხოლო მეორე მხრივ – კონკურენტების მიერ შექმნილი ბაზრის კონიუნქტურის, მომხმარებლების, მიმწოდებლების ინფორმაციული ნაკადი.

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული მართვის სისტემიდან გარეთ, სახელდობრ საანგარიშო ინფორმაცია: არის უპირველეს ყოვლისა საფინანსო ინფორმაცია სახელმწიფო ორგანოებში, ინვესტორების, კრედიტორებისა და მომხმარებლებისათვის; მარკეტინგული ინფორმაცია პოტენციური მომხმარებლებისათვის;

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული მართვის სისტემიდან მართვის ობიექტზე (პირდაპირი კიბერნეტიკული კავშირი), რომელიც გეგმური, ნორმატიული და განმკარგულებელი ინფორმაციის ერთობლიობაა და რომელიც სამეურნეო პროცესების განსახორციელებლადაა განკუთვნილი;

– ინფორმაციული ნაკადი მიმართული მართვის ობიექტიდან მართვის სისტემაში (უკუკიბერნეტიკული კავშირი), რომელშიც ეკონომიკური სისტემის მართვის ობიექტის მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ნედლეული, მასალები, ფულადი, ენერგეტიკული და შრომითი რესურსები, მზა პროდუქცია და შესრულებული მომსახურება) სამეურნეო პროცესების შესრულების შემდეგ აისახება. ეკონომიკურ სისტემაში მართვის ობიექტი არის ეკონომიკური საქმიანობის მატერიალური ელემენტებისა (სამრეწველო საწარმოში: ნედლეული და საქონელი, მოწყობილობები, მზა პროდუქცია, მუშახელი და სხვ.) და სამეურნეო პროცესების (სამრეწველო საწარმოში: ძირითადი და დამხმარე წარმოება, მომარაგება, გასაღება და სხვ.) ქვესისტემა. მართვის სისტემა არის ეკონომიკური სისტემის სტრუქტურული განყოფილებების (მაგალითად, სამრეწველო საწარმოში: დირექცია, საფინანსო, საწარმოო, მომარაგება-გასღების და სხვა განყოფილებები) ურთიერთშეთანხ-მებული მუშაობა და რომლებიც მართვის შემდეგ ფუნქციას ახორციელებენ:

- დაგეგმვა არის ფუნქცია, რომელიც ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების მიზანს დროის სხვადასხვა პერიოდში განსაზღვრავს;

- აღრიცხვა არის ფუნქცია, რომელიც მართვის ობიექტის მდგომარეობას სამეურნეო პროცესების შესრულების შემდეგ ასახავს;

- კონტროლი არის ფუნქცია, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება აღრიცხვის მონაცემების გადახრა გეგმური და ნორმატიული მონაცემებისაგან;

- ოპერატიული მართვა არის ფუნქცია, რომელიც ყველა სამეურნეო პროცესის რეგულირებას ახორციელებს, რათა განსხვავება გეგმურ და ნორმატიულ მონაცემებს შორის აღმოიფხვრას;

- ანალიზი არის ფუნქცია, რომლის საშუალებით შეიძლება ეკონო-მიკური სისტემის მუშაობასა და რეზერვს შორის ის ტენდენცია განვსაზღვროთ, რომელიც შემდგომში ახალი გეგმის შედგენის დროს გამოიყენება.

საინფორმაციო სისტემა აგროვებს, გადაამუშავებს შემოსულ საანგარიშო და არსებულ ნორმატიულ და გეგმურ ინფორმაციებს ანალიტიკურ ინფორმაციად, რომელიც შემდგომ ეკონომიკური სისტემის განვითარების პროგნოზირებისათვის, მისი მიზნების კორექტირებისა და კვლავწარმოების ახალი ციკლისათვის გეგმების შესადგენად გამოიყენება. საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციის დამუშავებას შემდეგი მოთხოვნები წარედგინება: მართვის ფუნქციების რეალიზაციისათვის ინფორმაციის სისრულე და საკმარისობა; ინფორმაციის დროული წარმოდგენა; მმართველობის დონიდან გამომდინარე, ინფორმაციის საიმედოობის აუცილებელი ხარისხით უზრუნველყოფა; ინფორმაციის დამუშავების ეკონომიურობა: მონაცემების დამუშავე-ბაზე გაწეული ხარჯები მიღებულ ეფექტს არ უნდა აღემატებოდეს; მომხმარებლის ინფორმაციული ცვალებადი მოთხოვნილებების მიმართ ადაპტურობა (შეგუებადობა).

საინფორმაციო სისტემებში ინფორმაციის დამუშავების ხასიათის შესაბამისად, ეკონომიკური სისტემის მართვის სხვადასხვა დონეზე (ოპერატიული, ტაქტიკური და სტრატეგიული), საინფორმაციო სისტემების შემდეგი ტიპები გამოიყოფა: მონაცემთა დამუშავების სისტემები (Electronic Data Processing); მართვის საინფორმაციო სისტემები (MIS – Management Information System); გადაწყვეტილების მიღების სისტემა (DSS – Decision Support System).

მონაცემების დამუშავების სისტემა სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვასა და ოპერატიულ რეგულირებას ასრულებს, გარემოსათვის სტანდარტულ დოკუმენტებს (ანგარიშები, ზედდებულები, საგადასახადო ვალდებულებები) ამზადებს. სამეურნეო

პროცესების ოპერატიული მართვის ჰორიზონტი ერთიდან რამდენიმე დღემდე შეადგენს, ახდენს რეგისტრაციისა და ხდომილობის დამუშავების აღრიცხვას, მაგალითად, შეკვეთათა შესრულების გაფორმებას და მონიტორინგს, საწყობში მატერიალური ფასეულობის შემოსავალს და გასავალს, სამუშაო დროის აღრიცხვის ტაბელის წარმოებას და სხვ. ამ ამოცანებს იტერაციული, რეგულარული ხასიათი აქვს, უშუალოდ სამეურნეო საქმიანობის შემსრულებლების მიერ (მუშა, მეკუჭნავე, ადმინისტრატორი და სხვ.) სრულდება და მკაცრად განსაზღვრული ალგორითმების შესაბამისად დოკუმენტების გაფორმებასა და გადაგზავნასთან არის დაკავშირებული. სამეურნეო ოპერაციების შესრულების შედეგების შეტანა მონაცემთა ბაზებში ეკრანული ფორმების საშუალებით ხდება. მართვის საინფორმაციო სისტემები მართვის ტაქტიკურ დონეზეა ორიენტირებული: სამუშაოს საშუალო ხანგრძლივობის დროით დაგეგმვა, ანალიზი და ორგანიზაცია რამდენიმე კვირის (თვის) განმავლობაში. მაგალითად, ნედლეულის მოწოდება, პროდუქციის გასაღების ანალიზი და დაგეგმვა, საწარმოო პროგრამების შედგენა. მოცემულ ამოცანათა კლასისათვის დამახასიათებელია საშედეგო დოკუმენტების ფორმირებისა და ამოცანის ამოხსნის მკაცრად განსაზღვრული ალგორითმის რეგლამენტირება (პერიოდული გამეორება). მსგავსი ამოცანების ამოხსნის შედეგები წარმოების სხვადასხვა სამსახურების ხელმძღვანელებისათვისაა (მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და გასაღების, საამქროებისა და სხვა უფროსები) განკუთვნილი. ამოცანები ოპერატიული მონაცემების დაგროვებული ბაზის საფუძველზე ამოიხსნება. გადაწყვეტილების მიღების სისტემა ძირითადად გამოიყენება მართვის ზედა დონეებზე (ფირმის, წარმოების, ორგანიზაციის ხელმძღვანელობა), რომელთაც სტრატეგიული ხანგრძლივი მნიშვნელობა მთელი წლის ან რამდენიმე წლის განმავლობაში აქვთ. ასეთ ამოცანებს სტრატეგიული მიზნის ფორმირების, რესურსების მოზიდვის დაგეგმვის, დაფინანსების წყაროების და სხვა ამოცანები მიეკუთვნება. აღნიშნულ ამოცანებს, როგორც წესი, არარეგულარული ხასიათი აქვს. იდეალურად ითვლება საინფორმაციო სისტემა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ტიპს მოიცავს.

6. საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია

საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია შესაძლებელია რამდენიმე ნიშნის მიხედვით. განვიხილოთ უფრო ხშირად გამოყენებული კლასიფიკაცია.

საინფორმაციო სისტემები მასშტაბის მიხედვით შემდეგ ჯგუფებად იყოფა: ერთეული; ჯგუფური და კორპორატიული.

ერთეული საინფორმაციო სისტემები. ერთეული საინფორმაციო სისტემების რეალიზაცია, როგორც წესი, ავტონომიური პერსონალური კომპიუტერის საშუალებით ხორციელდება (ქსელი არ გამოიყენება). ასეთი სისტემა შეიძლება რამდენიმე უბრალო დანართს შეიცავდეს, რომლებიც საერთო ინფორმაციული ფონდითაა ურთიერთდაკავშირებული, და ერთი ან ერთ სამუშაო ადგილზე მომუშავე მომხმარებელთა ჯგუფის მუშაობისათვისა არის გათვალისწინებული. მსგავსი დანართები ეგრეთ წოდებული სამაგიდო ანუ ლოკალურ მონაცემთა ბაზების მართვის სისტემების (მბმს) მეშვეობით იქმნება. ლოკალურ მბმს-ს შორის ყველაზე ცნობილია Clarion, Clipper, FoxPro, Paradox, dBase და Microsoft Access.

ჯგუფური საინფორმაციო სისტემები. ჯგუფური საინფორმაციო სისტემები სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ ინფორმაციის კოლექტიურ გამოყენებაზეა ორიენტირებული და ყველაზე ხშირად ლოკალური გამოთვლითი ქსელის ბაზაზე იქმნება. ასეთი დანართების დამუშავების დროს სამუშაო ჯგუფებისათვის მონაცემთა ბაზების სერვერი (ხშირად, SQ -სერვერები ეწოდება) გამოიყენება. არსებობს, საკმაოდ დიდი რაოდენობის სხვადასხვა როგორც კომერციული, ისე თავისუფალი ტიპის SQL-სერვერები. მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილი მონაცემთა ბაზების სერვერებია Oracle, DB2, Microsoft SQL Server, InterBase, Sybase, Inforqix.

კორპორატიული საინფორმაციო სისტემები. კორპორატიული საინფორმაციო სისტემები სამუშაო ჯგუფებისათვის სისტემის განვითარებას წარმოადგენს, მსხვილ კომპანიებზეა ორიენტირებული, ტერიტორიულად გაბნეული კვანძებისა

და ქსელების მხარდაჭერა შეუძლია; ძირითადად რამდენიმე დონისაგან შემდგარი იერარქიული სტრუქტურა აქვს. ასეთი სისტემებისათვის დამახასიათებელია სპეციალიზებული სერვერით კლიენტ-სერვერული ან მრავალდონიანი არქიტექტურა. ასეთი სისტემების დამუშავების დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემთა ბაზების იგივე სერვერები, რომლებიც ჯგუფური საინფორმაციო სისტემების დამუშავების დროს გამოიყენებოდა. მაგრამ, მსხვილი საინფორმაციო სისტემების დამუშავების დროს ყველაზე უფრო გავრცელება pova Oracle, DB2 da Microsoft SQL Server serverebma. ჯგუფური და კორპორატიული საინფორმაციო სისტემებისათვის განსაკუთრებით დიდია ფუნქციონირებისა და მონაცემთა შენახვის საიმედოობის მიმართ მოთხოვნები. ეს თვისებები უზრუნველყოფილია მონაცემთა ბაზების სერვერებში მონაცემთა მთლიანობით, მიმართვითა და ტრანზაქციით მხარდაჭერილი.

7. კლასიფიკაცია გამოყენების სფეროს მიხედვით

საინფორმაციო სისტემები გამოყენების სფეროს მიხედვით, ჩვეულებრივ, ოთხ ჯგუფად იყოფა: ტრანზაქციის დამუშავების სისტემები; გადაწყვეტილების მიღების სისტემები; საინფორმაციო-საცნობარო სისტემები; საოფისე საინფორმაციო სისტემები.

ტრანზაქციის დამუშავების სისტემები, თავის მხრივ, მონაცემთა დამუშავების ოპერატიულობის მიხედვით იყოფა პაკეტურ და ოპერატიულ ინფორმაციულ სისტემებად. ორგანიზაციული მართვის საინფორმაციო სისტემებში სჭარბობს ტრანზაქციის ოპერატიული დამუშავების რეჟიმი - LTP (OnLine Transaction Processing), დროის ნებისმიერ მომენტში საგნობრივი არის მდგომარეობის აქტუალური ასახვისათვის, ხოლო ტრანზაქციის პაკეტურ დამუშავებას საკმაოდ შეზღუდული ნაწილი უჭირავს. თ სისტემისათვის საკმაოდ მარტივი ტრანზაქციების რეგულარული (შესაძლებელია, ინტენსიური) ნაკადია დამახასიათებელი, რომელიც შეკვეთების, ფულის გადახდის, შეკითხვების და ა.

შ. როლს ასრულებს. მათთვის მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს: ტრანზაქციის დამუშავების მაღალი მწარმოებლობა; დიდ მანძილზე დაცილებული მონაცემთა ბაზებისათვის ინფორმაციის ტელეკომუნიკაციის არხებით გარანტირებული მიწოდება.

გადაწყვეტილების მიღების სისტემები - DSS (Decision Support System) წარმოადგენს სხვა ტიპის საინფორმაციო სისტემებს, რომლებშიც, საკმაოდ რთული შეკითხვების ბაზაზე, მონაცემთა ამორჩევა და ანალიზი სხვადასხვა ჭრილში ხდება: დროითი, გეოგრაფიული და სხვა მაჩვენებლებით. საინფორმაციო-საცნობარო სისტემების ფართო კლასის საფუძველს ჰიპერტექსტური დოკუმენტები და მულტიმედია წარმოადგენს. ასეთი ტიპის საინფორმაციო სისტემებმა ყველაზე დიდი გავრცელება პოვა ინტერნეტის ქსელში. საოფისე საინფორმაციო სისტემების კლასის მიზანია ქაღალდზე არსებული დოკუმენტების ელექტრონული სახით წარმოდგენა, საქმის წარმოების ავტომატიზაცია და დოკუმენტთა ბრუნვის მართვა. შენიშვნა. უნდა აღინიშნოს, რომ საინფორმაციო სისტემების კლასიფიკაცია, გამოყენების სფეროს მიხედვით, საკმაოდ პირობითია. მსხვილ საინფორმაციო სისტემებს ხშირად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი თვისება აქვს. ამის გარდა, ხშირად, კორპორატიული საინფორმაციო სისტემების შემადგენელი სხვადასხვა ქვესისტემა გამოყენების სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნება.

საინფორმაციო-საცნობარო სისტემების ფართო კლასის საფუძველს ჰიპერტექსტური დოკუმენტები და მულტიმედია წარმოადგენს. ასეთი ტიპის საინფორმაციო სისტემებმა ყველაზე დიდი გავრცელება პოვა ინტერნეტის ქსელში.

საოფისე საინფორმაციო სისტემების კლასის მიზანია ქაღალდზე არსებული დოკუმენტების ელექტრონული სახით წარმოდგენა, საქმის წარმოების ავტომატიზაცია და დოკუმენტთა ბრუნვის მართვა.

8. კლასიფიკაცია ორგანიზაციის წესის მიხედვით

ორგანიზაციის წესის მიხედვით ჯგუფური და კორპორატიული საინფორმაციო სისტემები შემდეგი ტიპის კლასებად იყოფა: სისტემები ფაილ-სერვერის არქიტექტურის საფუძველზე; სისტემები კლიენტ-სერვერის არქიტექტურის საფუძველზე; სისტემები მრავალდონიანი არქიტექტურის საფუძველზე; სისტემები Internet/Intranet-ტექნოლოგიების საფუძველზე.

არქიტექტურა ფაილ-სერვერი. არქიტექტურა ფაილ-სერვერს არა აქვს დიალოგ PS და PL კომპონენტების ქსელური გამყოფები და კომპიუტერს გამოსახვის ფუნქციით იყენებს, რაც გრაფიკული ინტერფეისის აგებას ამარტივებს. ფაილ-სერვერი მონაცემებს ფაილიდან მხოლოდ იღებს; ასე რომ, დამატებითი მომხმარებლები და დანართები ცენტრალურ პროცესორზე მხოლოდ უმნიშვნელო დატვირთვას უმატებენ. ყოველი ახალი კლიენტი ქსელში გამოთვლით სიმძლავრეს უმატებს.

ფაილ-სერვერული სისტემის შექმნის ტრადიციული საშუალება არის ლოკალური მბმს, მაგრამ ასეთი სისტემები, როგორც წესი, მონაცემთა მთლიანობას (კერძოდ, მხარს არ უჭერს ტრანზაქციას) არ უზრუნველყოფს. ამიტომ, მათი გამოყენების დროს მონაცემთა მთლიანობის უზრუნველყოფა კლიენტის პროგრამებს ეკისრება, რასაც კლიენტთა დანართების გართულებამდე მივყავართ. მაგრამ ეს ინსტრუმენტები თავისი გამოყენების სიმარტივით, მოხერხებულობით და ხელმისაწვდომობით გამოირჩევა. ამიტომ, ფაილ-სერვერული საინფორმაციო სისტემები, ამჟამადაც, მცირე სამუშაო ჯგუფებისათვის საკმაოდ საინტერესოა, და უფრო მეტიც, ხშირად საწარმოს საინფორმაციო სისტემების მასშტაბითაც გამოიყენება.

არქიტექტურა კლიენტ-სერვერი, ფაილ-სერვერული დანართების პრობლემების გადასაჭრელად არის განკუთვნილი დანართის კომპონენტების დაყოფისა და მათი იქ განთავსების გზით, სადაც უფრო ეფექტურად იფუნქციონირებს. არქიტექტურა კლიენტ-სერვერის თავისებურებებია მონაცემთა ბაზის გამოყოფილი სერვერის

გამოყენება, რომელსაც SQL (Structured Query Language) სტრუქტურირებული შეკითხვების ენაზე დაწერილი შეკითხვა ”ესმის” და ინფორმაციის ძებნას, დალაგებასა და აგრერირებას ახორციელებს. მონაცემთა ბაზის სერვერის განმასხვავებელი ნიშანია იმ საცნობარო მონაცემების არსებობა, რომელშიც მონაცემთა ბაზის სტრუქტურა, მონაცემთა მთლიანობის შეზღუდვები, ფორმატები და პროგრამაში გამოძახებით ან ხდომილობებით მონაცემთა დამუშავების სერვერული პროცედურებიც კია ჩაწერილი. ასეთ დანართებში დამუშავების ობიექტებს, მონაცემთა დამუშავების დიალოგისა და ლოგიკის გარდა, უპირველეს ყოვლისა, მონაცემთა რელაციური მოდელი და მონაცემთა ბაზის მიმართ ტიპური შეკითხვებისათვის მასთან დამაკავშირებელი SQL-ოპერატორების ნაკრები წარმოადგენს.

ამჟამად, კლიენტ-სერვერულმა არქიტექტურამ, როგორც სამუშაო ჯგუფებისა და კორპორატიული დონის საინფორმაციო სისტემებისათვის დანართების ორგანიზაციის საშუალებამ, აღიარება და ფართო გავრცელება პოვა. სამუშაოს ასეთი ორგანიზება, მონაცემთა ბაზის სერვერის შესაძლებლობების გამოყენების, ქსელის განტვირთვისა და მონაცემთა მთლიანობის კონტროლის უზრუნველყოფის საფუძველზე, დანართების შესრულების ეფექტურობას ამაღლებს. კლიენტ-სერვერული არქიტექტურის ორდონიან სქემებს, მრავალი მომხმარებლითა და ჩახლართული ლოგიკით, რთულ საინფორმაციო დანართებში ზოგიერთი პრობლემის გამოწვევა შეუძლია. ამ პრობლემების გადაწყვეტა მრავალდონიანი არქიტექტურის გამოყენებითაა შესაძლებელი.

მრავალდონიანი არქიტექტურა. კლიენტ-სერვერული არქიტექტურის განვითარების შედეგია და თავისი კლასიკური ფორმით, სამი დონისაგან შედგება:

- ქვედა დონე წარმოადგენს კლიენტის დანართებს, რომელიც შ და კომპონენტების ფუნქციისა და ლოგიკის შესასრულებლად, ხოლო პროგრამული ინტერფეისი საშუალო დონის დანართების გამოსაძახებლადაა გამოყოფილი;

- საშუალო დონე დანართის სერვერია, რომელზეც სრულდება გამოყენებითი ლოგიკა და რომლიდანაც მონაცემთა დამუშავების ლოგიკა შ მონაცემთა ბაზასთან ოპერაციას იძახებს;

- ზედა დონე მონაცემთა ბაზის დაცილებული სპეციალიზებული სერვერია, რომელიც შ მონაცემთა დამუშავებისა და შ ფაილებზე ოპერაციის (შენახული პროცედურების გამოყენების რისკის გარეშე) მომსახურებისათვისაა გამოყოფილი.

მონაცემთა დამუშავების მსგავსი კონცეფციის პროპაგანდას ეწევიან Oracle, Sun, Borland და სხვა ფირმები.

ჯერჯერობით Internet/Intranet ტექნოლოგიების განვითარებაში ძირითადი აქცენტი ინსტრუმენტული პროგრამული საშუალებების დამუშავებაზე კეთდება. ამავე დროს, მონაცემთა ბაზებთან მომუშავე დანართების დასამუშავებელი განვითარებული საშუალებანი არ არსებობს. მონაცემთა ბაზებთან ეფექტურად მომუშავე, მოსახერხებელი და გამოყენებაში მარტივი საინფორმაციო სისტემების დამუშავების კომპრომისული გადაწყვეტა Internet/Intranet ტექნოლოგიებისა და მრავალდონიანი არქიტექტურის გაერთიანება გახდა. ამასთან, საინფორმაციო დანართის სტრუქტურა შემდეგ სახეს ღებულობს: ბრაუზერი - დანართების სერვერი - მონაცემთა ბაზის სერვერი - დინამიკური გვერდის სერვერი - Web-სერვერი. Internet/Intranet ტექნოლოგიებისა და კლიენტ-სერვერული არქიტექტურის ინტეგრაციის წყალობით კორპორატიული საინფორმაციო სისტემების დანერგვა და თანმხლები პროცესები, საკმაოდ მაღალი ეფექტურობისა და მარტივი ერთობლივად გამოსაყენებელი ინფორმაციის შენახვის დროს, მნიშვნელოვნად მარტივდება.

9. საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფის ქვესისტემები

საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფის ქვესისტემები ყველა ტიპის საინფორმაციო სისტემისათვის საერთოა, იმისგან დამოუკიდებლად, თუ როგორ მართვის ფუნქციასა და დონეს მოიცავს ეს საინფორმაციო სისტემა.

უზრუნველყოფის ქვესისტემების შემადგენლობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა დარგის საინფორმაციო სისტემა უნდა დამუშავდეს. მის შემადგენლობაში შედის: ორგანიზაციული, სამართლებრივი, ტექნიკური, მათემატიკური, პროგრამული, ინფორმაციული, ლინგვისტიკური და ტექნოლოგიური უზრუნველყოფა.

ორგანიზაციული უზრუნველყოფის ქვესისტემა საინფორმაციო სისტემის ერთ-ერთი ძირითადი ქვესისტემაა, რომელზეც დიდად არის დამოკიდებული სისტემის მიზნებისა და ფუნქციების წარმატებული განხორციელება. ორგანიზაციული უზრუნველყოფის ქვესისტემის შემადგენლობას მიეკუთვნება: მეთოდური მასალები, რომლებიც ახდენს საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების პროცესის რეგლამენტირებას; ტიპური პროექტები; ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც სისტემის გამოკვლევის, დაპროექტებისა და დანერგვის პროცესში მიიღება; ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება; ტექნიკური დავალება; ტექნიკური და სამუშაო პროექტები; ტიპური გამოყენებითი პროგრამების პაკეტი; სისტემის ექსპლუატაციაში ეტაპობრივი ჩაბარების გაფორმებისათვის აუცილებელი დოკუმენტები; კონსტრუქტორებისა და პერსონალის საშტატო სტრუქტურა და სხვ.

სამართლებრივი უზრუნველყოფის ქვესისტემა საინფორმაციო სისტემების შექმნისა და ექსპლუატაციის პროცესების რეგლამენტირებისათვის არის განკუთვნილი. ის თავისთავში მოიცავს იურდიული დოკუმენტების ერთობლიობას, რომელიც სისტემის საშუალედო და საბოლოო ინფორმაციის ფორმირების, შენახვისა და გადამუშავების რეგლამენტს განსაზღვრავს. სამართლებრივ დოკუმენტებს მიეკუთვნება: ხელშეკრულება დამკვეთსა და

შემსრულებელს შორის; დასამუშავებელი სისტემის სტატუსის დახასიათება; საინფორმაციო სისტემის ქვესისტემების იურდიული უფლება-მოვალეობანი;

ინფორმაციის დამუშავების პროცესის ცალკეული სახეობების სამართლებრივი უფლებანი; მომხმარებლის ტექნიკური საშუალებების გამოყენებისადმი იურდიული უფლებები და სხვ.

ტექნიკური უზრუნველყოფის ქვესისტემა, ინფორმაციულ სისტემაში ინფორმაციის დამუშავებისათვის განკუთვნილი ტექნიკური საშუალებების ერთობლიობაა. მის შემადგენლობაში შედის: კომპიუტერები, რომელთა მეშვეობით ინფორმაციის დამუშავება ხორციელდება; ინფორმაციის შეგროვებისა და რეგისტრაციის საშუალებები; კავშირგაბმულობის არხებით მონაცემების გადაცემის საშუალებები; მონაცემების დაგროვებისა და შენახვის, საშედეგო ინფორმაციის გაცემის საშუალებები; დამხმარე მოწყობილობები და ორგანიზაციული დანიშნულების სხვა ტექნიკა.

მათემატიკური უზრუნველყოფის ქვესისტემა არის ამოცანების ამოხსნისა და კომპიუტერის საშუალებით ინფორმაციის დამუშავებისათვის განკუთვნილი მათემატიკური მოდელებისა და ალგორითმების ერთობლიობა, აგრეთვე, მართვის ამოცანის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების ასაგები საშუალებებისა და მეთოდების კომპლექსი. მათემატიკური უზრუნველყოფის შემადგენლობაში შედის: მათემატიკური უზრუნველყოფის საშუალებები (მართვის ტიპური ამოცანების მოდელირების საშუალებები, მრავალკრიტერიუმიანი ოპტიმიზაციის მეთოდები, მათემატიკური სტატისტიკა, მასობრივი მომსახურების თეორია და სხვ.); ტექნიკური დოკუმენტაცია (ამოცანის აღწერა, ამოცანების ამოხსნის ალგორითმები, ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები); მათემატიკური უზრუნველყოფის შერჩევის მეთოდები (ამოცანათა ტიპების შერჩევის, ალგორითმების შესრულების სირთულის შეფასების და შედეგების სანდოობის შეფასების მეთოდები).

პროგრამული უზრუნველყოფის ქვესისტემა კომპიუტერული პროგრამე-ბის ერთობლიობას, აღწერებსა და მათი გამოყენების ინსტრუქციებს მოიცავს.

პროგრამული უზრუნველყოფა იყოფა ორ ჯგუფად: საერთო (ოპერაციული სისტემები, ოპერაციული გარსები, კომპილატორები, ინტერპრეტატორები, მონაცემთა ბაზები, ქსელური პროგრამები და სხვ.) და სპეციალური (გამოყენებითი პროგრამების ერთობლიობა, რომლებიც დამუშავდა კონკრეტული ამოცანებისათვის და საკონტროლო მაგალითები) დანიშნულების.

ინფორმაციული უზრუნველყოფის ქვესისტემა არის ტექნიკურ-ეკონომი-კური ინფორმაციის კლასიფიკაციისა და კოდირების ერთიანი სისტემის ერთობლიობა, დოკუმენტაციისა და ინფორმაციული ბაზის უნიფიცირებული სისტემები. ინფორმაციული უზრუნველყოფის შემადგენლობა იყოფა ორ ჯგუფად: ინფორმაციული უზრუნველყოფის არაკომპიუტერული კომპონენტები (ტექნიკურ-ეკონომიკური ინფორმაცია და დოკუმენტები) და ინფორმაციული უზრუნველყოფის შიგა კომპიუტერული კომპონენტები (კომპიუტერში შესაყვანი პირველადი მონაცემებისა და საშედეგო ინფორმაციის მისაღები ეკრანული ფორმები და მაკეტები, ინფორმაციული ბაზის სტრუქტურა: ინფორმაციის შესატანი და გამოსატანი ფაილები, მონაცემთა ბაზები). ინფორმაციული უზრუნველყოფის მთავარი კომპონენტია მონაცემთა ბაზები, რომელთა მეშვეობით სხვადასხვა ამოცანებს შორის მონაცემთა მიმოცვლა ხორციელდება.

ლინგვისტიკური უზრუნველყოფის ქვესისტემა მოიცავს საინფორმაციო სისტემაში გამოყენებული სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინებისა და ენის სხვა საშუალებების ერთობლიობას, აგრეთვე ჩვეულებრივი ენის ფორმალიზაციის წესებს, რათა მოხდეს ინფორმაციის ეფექტური დამუშავება და მომხმარებელსა და ინფორმაციულ სისტემას შორის გავამარტივოთ ურთიერთობა გამარტივდეს. ენის საშუალებები, რომლებიც ლინგვისტიკურ უზრუნველყო-ფაში გამოიყენება, იყოფა ორ ჯგუფად: ტრადიციული ენები (ჩვეულებრივი სალაპარაკო ენა, მათემატიკური, ალგორითმული ენები, მოდელირების ენა) და ენები, რომლებიც კომპიუტერთან დიალოგისათვისაა (ინფორმაციულ-საძიებო ენები, მონაცემთა ბაზების ენა, ოპერაციული გარემოს ენა და სხვ.) განკუთვნილი.

ტექნოლოგიური უზრუნველყოფის ქვესისტემა საინფორმაციო სისტემის სხვადასხვა სახის ინფორმაციის დამუშავების ტექნოლოგიური ეტაპების ქვესისტემებად დაყოფას შეესაბამება:

- პირველადი და საბოლოო ინფორმაცია – პირველადი ინფორმაციის შეგროვების, გადაცემის, დაგროვების, შენახვის, დამუშავების, საბოლოო ინფორმაციის მიღებისა და გაცემის ტექნოლოგიურ პროცესს;

- საორგანიზაციო-განმკარგულებელი დოკუმენტაციები – შესატანი დოკუმენტაციის მიღების, შესასრულებლად გადაცემის, საქმეების ფორმირებისა და შენახვის, შიგა დოკუმენტებს, ანგარიშების შედგენისა და გამრავლების ეტაპებს;

- ტექნოლოგიური დოკუმენტაცია და ნახაზები – საწყისი მონაცემების შეტანისა და ახალი პროდუქციის გამოშვებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის, ტექნიკური პირობებისა და ნორმატიული მონაცემების ეტაპებს;

მონაცემთა და ცოდნის ბაზები – მონაცემთა და ცოდნის ბაზების ფორმირების, ამონახსნის საპოვნელად შეკითხვის შეტანისა და დამუშავების, ამოხსნის ვარიანტის გაცემის ეტაპებს;

- სამეცნიერო-კვლევითი ინფორმაცია, სტანდარტები და ტექნიკური პირობები, სამართლებრივი დოკუმენტები და საქმეები – ინფორმაციული ფონდის ფორმირების, შეკითხვის კოდირების, ძებნის შესრულებისა და დოკუმენტის გაცემის ეტაპებს.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი საინფორმაციო სისტემის ქვესისტემები დაკავშირებულია ერთმანეთთან.

10. საინფორმაციო სისტემების გამოყენების სფერო და მისი რეალიზაციის მაგალითები

ბოლო პერიოდში კომპიუტერი საწარმოოს მართვის სისტემის განუყოფელი ნაწილი გახდა. მაგრამ მართვის მიმართ თანამედროვე მიდგომა საინფორმაციო ტექნოლოგიებში თანხის დაბანდებასაც გულისხმობს. ამასთანავე, რაც უფრო მსხვილია წარმოება, მით უფრო დიდია მსგავსი დაბანდებანი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სწრაფმა განვითარებამ, მათი გამოყენების სფეროს გაფართოება გამოიწვია. თითქმის ერთადერთი სფერო, რომელშიც საინფორმაციო სისტემა გამოიყენებოდა, საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზაცია იყო, ხოლო ამჟამად საინფორმაციო სისტემები თითქმის ყველა სფეროში გამოიყენება. კორპორატიული საინფორმაციო სისტემების ეფექტური გამოყენება უფრო ზუსტი პროგნოზის გაკეთების, მართვაში შესაძლო შეცდომების და რისკების თავიდან აცილებისა და მაქსიმალური სარგებლის მიღების საშუალებას იძლევა. წარმოების მართვისათვის სპეციალური პროგრამული საშუალებებით გადასაწყვეტი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ამოცანა განვიხილოთ.

საბუღალტრო აღრიცხვა. საბუღალტრო აღრიცხვის ამოცანა საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების კლასიკური სფეროა და დღესდღეობით ყველაზე ხშირად რეალიზებულ ამოცანას წარმოადგენს. ასეთი მდგომარეობა სავსებით გასაგებია. პირველ რიგში იმიტომ, რომ ბუღალტრის შეცდომა ძალზე ძვირი ჯდება და ამიტომ, ბუღალტერიაში ავტომატიზაციის გამოყენების სარგებელი ცხადია. მეორე მხრივ, საბუღალტრო აღრიცხვის ამოცანის ფორმალიზება საკმაოდ მარტივია, რის გამოც საბუღალტრო აღრიცხვის ავტომატიზებული სისტემის დამუშავება ტექნიკურად რთულ პრობლემას არ წარმოადგენს.

ფინანსური ნაკადების მართვა. ფინანსური ნაკადების მართვაში საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა ასევე, წარმოების მართვაში დაშვებულ შეცდომებზე ამ სფეროს დიდი გავლენით არის გამოწვეული.

მომწოდებლებსა და მომხმარებლებს შორის ანგარიშსწორების სისტემის არასწორი აგების შემთხვევაში, შესყიდვებისა და გასაღების გამართული ქსელისა და კარგი მარკეტინგის პირობებშიც კი, შეიძლება კრიზისი იქნეს პროვოცირებული. და პირიქით, ზუსტად გათვლილი და მკაცრად კონტროლირებადი ფინანსური გათვლების პირობებში, ფირმის ბრუნვის საშუალებანი შეიძლება მკვეთრად გაიზარდოს.

საწყობის, ასორტიმენტის, შესყიდვების მართვა. შემდეგ შეიძლება საქონლის მოძრაობის ანალიზის პროცესის ავტომატიზება ამით თვალი მივადევნოთ და დავაფიქსიროთ ასორტიმენტის ის ოცი პროცენტი, რომელსაც მთელი მოგების ოთხმოცი პროცენტი მოაქვს. ეს საშუალებას მოგვცემს პასუხი გავცეთ მთავარ კითხვას - საშუალებების მუდმივი ნაკლებობის პირობებში როგორ მივიღოთ მაქსიმალური მოგება?

საწარმოო პროცესების მართვა. საწარმოო პროცესების მართვა ძალზე შრომატევადი ამოცანაა. აქ ძირითად მექანიზმს წარმოადგენს საწარმოო პროცესების დაგეგმარება და ოპტიმალური მართვა. მსგავსი ამოცანის ავტომატიზებული გადაწყვეტა საშუალებას იძლევა საქმიანად დაიგეგმოს, გათვალისწინებულ იქნეს ხარჯები, განხორციელდეს საწარმოს ტექნიკური მომზადება, პროდუქციის გამოშვების პროცესის ოპერატიული მართვა წარმოების პროგრამისა და ტექნოლოგიის შესაბამისად განხორციელდეს.

მარკეტინგის მართვა. მარკეტინგის მართვა გულისხმობს ფირმა-კონკურენტებზე მონაცემების შეგროვებას, მათი პროდუქციისა და ფასების პოლიტიკის ანალიზს, აგრეთვე ფასების ოპტიმალური დონის განსაზღვრის, მოგების პროგნოზირებისა და სარეკლამო კამპანიის დაგეგმარების მიზნით, გარე პარამეტრების მოდელირებას. შესაძლებელია ამ ამოცანების უმეტესობის ფორმალიზება და მათი საინფორმაციო სისტემის სახით წარმოდგენა, რაც მარკეტინგის მართვის ეფექტურობას მნიშვნელოვნად გაზრდის.

დოკუმენტთა ბრუნვა. დოკუმენტთა ბრუნვა ნებისმიერი საწარმოს საქმიანობის ძალზე მნიშვნელოვანი პროცესია. დოკუმენტთა ბრუნვის კარგად გამართული სისტემა ასახავს წარმოებაში მიმდინარე რეალურ მდგომარეობას და მმართველ რგოლს მასზე ზემოქმედების საშუალებას აძლევს. ამიტომ, დოკუმენტთა ბრუნვის ავტომატიზება ეფექტური მართვის ამაღლების საშუალებას იძლევა.

წარმოების ოპერატიული მართვა. საინფორმაციო სისტემა, რომლის საშუალებითაც წყდება წარმოების ოპერატიული მართვის ამოცანა, აიგება მონაცემთა ბაზაზე, რომელშიც წარმოების შესახებ ყველა შესაძლო ინფორმაცია ფიქსირდება. ასეთი საინფორმაციო სისტემა არის ბიზნესის მართვის ინსტრუმენტი და ჩვეულებრივ მას, კორპორატიულ საინფორმაციო სისტემას უწოდებენ.

ოპერატიული მართვის საინფორმაციო სისტემა თავის თავში მოიცავს კონკრეტულ წარმოებაში ბიზნეს-პროცესების ავტომატიზების მრავალ პროგრამულ ამოცანას. ასეთი საინფორმაციო სისტემების მიმართ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი მოთხოვნაა მოქნილობა, ადაპტაციისა და შემდგომი განვითარების უნარი.

ფირმის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ინტერნეტის ქსელის აქტიურმა განვითარებამ საწარმოს შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიწოდებისათვის, კორპორატიული სერვერების შექმნამდე მიგვიყვანა. პრაქტიკულად, თითქმის ყველა საწარმოს ამჟამად თავისი წებ-სერვერი აქვს. საწარმოს წებ-სერვერი მრავალ ამოცანას წყვეტს, მათ შორის შეიძლება ორი ძირითადი გამოვყოთ: საწარმოს იმიჯის შექმნა და კომპანიის საცნობარო სამსახურის, არსებული და პოტენციური მომხმარებლებისათვის ფირმის, სავარაუდო საქონლის, მომსახურებისა და ფასების შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების გზით, მაქსიმალური განტვირთვა.

ამის გარდა, ვებ-ტექნოლოგიების გამოყენება ელექტრონული კომერციისა და ინტერნეტის საშუალებით, მყიდველთა მომსახურებისათვის ძალზე პერსპექტიულია.

თემა 15. ინტერნეტის გამოყენება ეკონომიკურ კვლევაში

1. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები (IT) ეკონომიკურ კვლევაში

ადამიანთა საზოგადოება ვითარდება კომუნიკაციის სისტემის სრულყოფასთან ერთად. თავის დროზე დამწერლობამ უდიდესი როლი შეასრულა საზოგადოების განვითარებაში. დღეისათვის კი მიიჩნევენ, რომ მომავალი კომუნიკაციური სისტემის, კერძოდ, ინტერნეტ-ქსელის განვითარებით განისაზღვრება.[53]

თანამედროვე ეტაპზე ინფორმაცია მიიჩნევა როგორც განძი, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიის განვითარება ქვეყნის განვითარების ინდიკატორი. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი პლანეტა. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა დროის უმცირეს მონაკვეთში მსოფლიო მასშტაბით ფინანსური კაპიტალის, საწარმოო და შრომითი რესურსების, აგრეთვე ინფორმაციის მიმოქცევა. სწორედ ელექტრონული ტექნოლოგიები, კერძოდ, ინტერნეტი, როგორც გლობალური ქსელი და ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერების ერთიანობა, გახდა კაცობრიობის განვითარების საფუძველი, რამაც შეცვალა ხალხთა ცხოვრება, ურთიერთობა და, შესაბამისად, ბიზნესიც. საზოგადოების კომპიუტერიზაცია და ინტერნეტიზაცია იქცა სტრატეგიულ რესურსად, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნების განვითარებას.[54]

---

[53] Ключи от XXI века: Сб. статей.– М., 2004, 317 с. (пер. с фр. яз.) http://www.unesco.ru/

[54] თოდუა ნ., აბულაძე კ. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის მარკეტინგული კვლევა. მონოგრაფია. “უნივერსალი”, თბ., 2008.

კომპიუტერისა და ტელეკომუნიკაციების გამოგონებამ შესაძლებელი გახადა წამში ასობით მილიონი და მილიარდი ოპერაციის შესრულება, ტრანსკონტინენტური საკომუნიკაციო ქსელების საშუალებით პლანეტის ნებისმიერ წერტილში ინფორმაციის ოპერატიულად გადაცემა და მიღება.

განვითარების თანამედროვე პირობებში კომპიუტერის გარეშე შეუძლებელია ეფექტური მუშაობა, ამიტომ ყველა დარგის სპეციალისტი ფართოდ იყენებს პორტატული ტიპის კომპიუტერებს, საოფისე და არასაოფისე პირობებში. ვიდეომონიტორად გამოიყენება ბრტყელი თხევად კრისტალური დისპლეი. კომპიუტერი – ბლოკნოტი, ანუ ნოუთბუქი ასრულებს პერსონალური კომპიუტერის ყველა ფუნქციას, მასში შეიძლება გამოყენებული იქნას იგივე ოპერაციული სისტემები და პროგრამები. მოდემების უმრავლესობას აქვს მოწყობილობა უსადენო ქსელური ინტერფეისისა - „ვაი-ფაი“ და ინფრაწითელი მოქმედების პორტები. უკანასკნელი უზრუნველყოფს კომპიუტერებს შორის კავშირს რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით. ჯიბის კომპიუტერები ყველაზე სწრაფად განვითარებადი პორტატიული კომპიუტერების კლასია.

ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში კომპიუტერი გამოიყენება არა მარტო როგორც სამუშაოს შესრულების ინსტრუმენტი, არამედ როგორც ინფორმაციის მიღებისა და გადაცემის ყველაზე სწრაფი საშუალება.

მსოფლიო კომპიუტერული ქსელის ზრდამ შესაძლებელი გახადა ინფორმაციის სწრაფი გაგზავნა დედამიწის ერთი წერტილიდან მეორეში.

გლობალური ქსელი ისეთი მანძილით დაშორებული კომპიუტერების რესურსებს აერთიანებს, რომელთა საკაბელო შეერთება შეუძლებელია. ამისათვის საჭიროა სპეციალური მოწყობილობების დამატება, რომლებიც ინფორმაციას დანიშნულების ადგილზე ოპერატიულად მიიტანს.[55]

ინტერნეტი, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალური ელექტრონული ბაზარი, ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კომერციული ფენომენია. იგი ამავე დროს არის უნიკალური სისტემა, რომელიც მარკეტინგის

[55] ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. ინტერნეტ-მარკეტინგი. ”ტექნ. უნივერსიტეტი”, თბ., 2010. გვ. 64.

ეფექტურ გარემოს და საშუალებას წარმოადგენს. ინტერნეტი ურთიერთდაკავშირებული კომერციული და არაკომერციული კომპიუტერული ქსელების ქაოტური ნაკრებია. [56]

უნდა აღინიშნოს ის მათოდები, რომლებსაც კომპანია მიმართავს თავისი საქმიანობის გაფართოების მიზნით თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებაში:

- ბაზრის გაფართოების მეთოდი: კომპანია მიზნად ისახავს ბაზრის მიზნობრივი ან ტერიტორიული სეგმენტების ათვისებას;
- ყურადღების კონცენტრირების მეთოდი: კომპანია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას განათავსებს ინტერნეტში და ამით ცდილობს უფრო ხელმისაწვდომი გახდეს თავისი მომხმარებლებისათვის;
- რეაგირების დონის ამაღლების მეთოდი: კომპანიას სურს მომხმარებელთა და პარტნიორთა რეაქციის გაგება და თავისი საქმიანობის შედეგების გაუმჯობესება;
- ახალი მომსახურების მეთოდი: კომპანიას სურს ახალი მომსახურების შეთავაზება მომხმარებლებისა და პარტნიორებისათვის;
- საქმიანი კომუნიკაციის გაუმჯობესების მეთოდი: სრულყოფილი ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა რეალურ დროში ზრდის თითოეული მონაწილის ჩართულობის ხარისხსა და პარტნიორთა რაოდენობას;
- ხარჯების შემცირების მეთოდი: კომპანია ვარაუდობს საქონლის წარმოებასა და მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების შემცირებას;
- კონფლიქტების თავიდან აცილების მეთოდი: კომპანია ინტერნეტის დახმარებით სადისტრიბუციო არხებთან არეგულირებს წარმოშობილ კონფლიქტებს.

[56] Гречков В.Ю. Современное состояние и перспективы электронной коммерции (маркетинговый подход). Журнал: „Маркетинг в России и за рубежом“. №6 / 2008. № 4.

2. ინტერნეტი და ბაზრის მარკეტინგული კვლევა

მსოფლიო ინფორმაციის ხანაში შევიდა. ესაა ინტერნეტის ერა, როცა ინფორმაცია განსაკუთრული საქონელია, რომელიც მთლიანად ცვლის ქვეყნის (საწარმოს) სტრატეგიულ ღირებულებას.

XX საუკუნის ბოლოს დაიწყო გლობალური ინფორმაციული სისტემების შექმნა, რომელმაც მიზნად დაისახა რეალური დროის რეჟიმში მსოფლიოს ნებისმიერი მომხმარებლისათვის ინფორმაციის უსაფრთხოდ მიწოდება.

ახალმა ტექნოლოგიებმა ახალი ციფრული ეპოქა შექმნა. ინფორმაციული ტექნოლოგიების სწრაფმა ზრდამ კომპანიებისა და მომხმარებლების ურთიერთობის სრულიად ახალი კავშირები ჩამოაყალიბა. დღეს, უფრო მეტად, ვიდრე წინათ, ყველა და ყველაფერი მჭიდროდ დაკავშირებულია.

თანამედროვე ცხოვრება ინტერნეტის გარეშე წარმოუდგენელია. იგი ჩვენი საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. კომპიუტერებითა და უახლესი ტექნოლოგიებით შესაძლებელია უზარმაზარი ინფორმაციის დამუშავება, და მაინც, ოპერატიული და საიმედო ინფორმაციის ნაკლებობა აშკარად იგრძნობა.

ინტერნეტი თანამედროვე ეკონომიკური პროცესების კვლევაში დამოუკიდებელი მოვლენაა მის მონაწილეთა ქცევის საკუთარი წესებით, მიწოდებისა და ანგარიშსწორების მექანიზმებით, რომლებიც გლობალური საინფორმაციო ქსელის ფუნქციონირების პრინციპებიდან გამომდინარეობს.

თანამედროვე კომპიუტერულმა საშუალებებმა შეცვალა მსოფლიოს სურათი საზოგადოების საქმიანობის ყველა სფეროში. წარმოიშვა ისეთი ეკონომიკური საქმიანობა, როგორიცაა ელექტრონული კომერცია და ელექტრონული ვაჭრობა. ახალ ათასწლეულში ელექტრონულმა ბაზარმა შეძლო მსოფლიო ეკონომიკის რეორგანიზაცია, ჩამოაყალიბა ახლებური ცივილიზაცია, რამაც კაცობრიობის პროგრესი და მსოფლიო ქვეყნების განვითარება განაპირობა.[57]

---

[57] ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. ინტერნეტ-მარკეტინგი. ელექტრონული სახელმძღვანელო. "ტექნიკური უნივერსიტეტი", თბ., 2010. გვ. 18.

ინტერნეტის მოხმარება განსაკუთრებით გააქტიურდა XXI საუკუნის დასაწყისიდან. დღეს ინტერნეტი ნამდვილ გლობალურ ფენომენად იქცა. მან შეცვალა მსოფლიო პროცესები, ინფრასტრუქტურა, საქმიანი გარემო, ადამიანთა შორის ურთიერდამოკიდებულება, დააჩქარა გლობალიზაციის პროცესი და გახდა საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელი ძალა. შეიჭრა ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროში (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, ეკონომიკა, კულტურა, განათლება და ა.შ.). საზოგადოების კომპიუტერიზაცია იქცა ქვეყნის მთავარ რესურსად.[58] მნიშვნელოვნად გაიზარდა მსოფლიოს მასშტაბით ინფორმაციულ სფეროში დასაქმებულთა წილი.

ინტერნეტი, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების ღია პოლიგონი და გლობალური ელექტრონული ქსელი, ტექნიკური, სოციალური, ეკონომიკური და კომერციული ფენომენია. იგი არის უნიკალური სისტემა, რომელიც, ამავე დროს, მარკეტინგის ეფექტურ გარემოს და საშუალებას წარმოადგენს. ინტერნეტ-ბაზრის აღმოცენების შედეგად შეიქმნა ელექტრონული ბიზნესი.

ინფორმაცია გვევლინება როგორც განძი, ხოლო ინფორმაციული ტექნოლოგიები - ქვეყნის განვითარების მთავარი ინდიკატორი. ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა გააერთიანა და დააკავშირა მთელი პლანეტა.

თანამედროვე ინტერნეტი შესამჩნევ როლს ასრულებს მრავალფეროვანი ფინანსური ნაკადების ტრანსსასაზღვრო აქტივიზაციაში და საერთაშორისო მასშტაბით ფინანსური აქტივების ბრუნვის დაჩქარებაში.

სხვა ეკონომიკური მეცნიერებების მსგავსად, ინტერნეტის დახმარებით ბაზრის მარკეტინგული კვლევისას გამოიყენება სისტემური და შედარებითი ანალიზის მეთოდები და თეორიული მიდგომები, ანალიზი და სინთეზი, ინდუქცია და დედუქცია.

ბოლო ათწლეულებში გლობალურმა ტენდენციებმა, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინტერნეტ-ქსელის განვითარებასთან ერთად, გლობალური

[58] თოდუა ნ., აბულაძე რ. საქართველოს ინტერნეტ-ბაზრის მარკეტინგული კვლევა. "უნივერსალი", თბ., 2008. გვ. 47.

მარკეტინგული მიდგომების განვითარება გამოიწვია. იგი ზოგადი, საკმაოდ ხანგრძლივი, ადაპტირებული ან ინტელექტუალური პლატფორმაა, რომელიც შედგენილია კომპანიის ამოცანების ამოსახსნელად და შემდეგ თვით ამ ამოცანების დასაკმაყოფილებლად.

ინტერნეტის გლობალური ქსელის განვითარებასთან ერთად, მარკეტინგის გლობალური მიდგომების გამოყენების უპირატესობა უფრო თვალსაჩინოა, რადგან რეალური საბაზრო გარემოსგან განსხვავებით, ინტერნეტის ქსელში არ არსებობს საზღვრები ქვეყნებს შორის, და მაშასადამე, არც გაყოფა რეალურ ბაზრებად. ინტერნეტის ქსელის მეშვეობით გლობალური კომპანია იღებს მცირე ნიშებზე გასვლის საშუალებას, რადგან ამ ნიშების მომხმარებლებს შეუძლიათ თვითონ იპოვონ მისი ვებ-საიტი და გააფორმონ გარიგება.

გლობალურმა კომპანიებმა, რომლებიც სპეციალიზირებულები არიან ინფორმაციაზე, პროგრამულ აღჭურვილობაზე ან სხვა რაიმე საქონელზე ციფრული სახით, ინტერნეტის დახმარებით შეუძლიათ ერთდროულად აწარმოონ გაყიდვები მთელს მსოფლიოში.

გლობალურ მასშტაბში ზოგიერთი საქონლის გაყიდვა რეალური გარემოს ტრადიციული შეზღუდვების გამო, ძალიან ძნელია. ვირტუალური გარემო კი მოცემული პრობლემის მოგვარების საუკეთესო საშუალებად მიგვაჩნია.

ამასთან ერთად, ხდება ბაზრების ინტენსიური გაყოფა, რაც აძნელებს მარკეტინგის გამოყენების ეფექტიანობას და ეს პროცესი უკუხასიათს იღებს. კომპანიების უმეტესობას არა აქვთ უნარი მოემსახურონ ყველა პოტენციურ კლიენტს, რადგანაც ისინი ბევრნი არიან, ხოლო მომხმარებლების სურვილები და მოთხოვნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მარკეტინგის ტრადიციული მეთოდები წინააღმდეგობაშია, ტექნოლოგიურად რთული პროდუქციის რეალიზაციასთან. გლობალური კომპანიები იძულებულნი ხდებიან გადავიდნენ გლობალურ მარკეტინგულ სტრატეგიებზე, რაც ნიშნავს ძირითადი სტანდარტიზაციის და ზოგიერთი მეორეხარისხოვანი მარკეტინგ-მიქსების ადაპტაციას სხვადასხვა ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით.

გლობალურ-ლოკალური მოდგომა, ერთი მხრივ, გლობალური სტანდარტიზაციის ხარჯზე სახსრების ეკონომიისა და ხარჯების შემცირების

საშუალებას იძლევა, ხოლო მეორე მხრივ, ახდენს საქმიანობის ადაპტირებას ლოკალური ბაზრების მიმართ. მაგ. კომპანია ჩოცა-ცოლა ყიდის არა მარტო ამავე სახელწოდების ბრენდს, არამედ ნაკლებად ცნობილ ბრენდებსაც (მხოლოდ იაპონიაში ყოველ წელს უშვებს ახალი ბრენდის 25 სახეობას).

ინტერნეტის ქსელის გამოყენება საგრძნობლად აადვილებს ინდივიდუალური მარკეტინგის კვლევას გლობალურ მასშტაბებში, რადგანაც ქსელში შეიძლება შექმნა პერსონალური მონაცემები თითოეული კლიენტისათვის, დაფუძნებული მის პირად მოთხოვნებზე და სურვილებზე, რომლებიც გამოიხატება ინდივიდუალური ონლაინური სარეგისტრაციო.

ინდივიდუალური მარკეტინგული კვლევა სულ უფრო ფართოდ გამოიყენება სამრეწველო ტექნოლოგიებში. ამ დროს პრაქტიკაშია მასობრივი წარმოება ინდივიდუალური მოდიფიკაციების საქონლებზე იმ ფასად, რომელიც ოდნავ აღემატება მასობრივი წარმოების არადიფერენციული საქონლის ფასს. ამ მოვლენას უწოდებენ "კასტომიზაციას" ან "ინდივიდუალურ მომხმარებლებზე მასობრივ ორიენტაციას." მაგ., მცირე ამერიკული კომპანია ჭასჰინგტონ სჰოე (წლიური ბრუნვა 10 მლნ ამერიკულ დოლარი) ყიდის ქალის ფეხსაცმელს თითოეული მყიდველის ფეხის ზომაზე, რომლის გაზომვა კომპიუტერით ხდება.

აღნიშნული მიდგომები საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ საერთაშორისო მარკეტინგის მთავარი მიმართულება – ყურადღების გადატანა სტანდარტული საქონლის მასობრივი წარმოებიდან მომხმარებელზე, მის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებზე. ამასთან, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იღებს კომპანიების ხანგრძლივი ურთიერთობის აგება მარკეტინგულ სისტემაში მომხმარებლებთან და სხვა საბაზრო სუბიექტებთან.

დღეისათვის უმნიშვნელოვანეს რესურსად ითვლება ის ურთიერთობები, რომლებიც მასმედიასა და წარმოების საშუალებათა ინდივიდუალიზაციას დეცენტრალიზაციისაკენ მიყავს საზოგადოება, სადაც მომხმარებლები სულ უფრო მეტად იქნებიან ჩართული საწარმოო პროცესში, ხოლო ზღვარი მათსა და მწარმოებელთა შორის წაშლილი.

საყურადღებოა ის, რომ საერთაშორისო მარკეტინგული გარემო, მის ცვლილებასთან ერთად გამყიდველის მარკეტინგული მიქსი მის მოთხოვნებთან

ერთად წარმოუდგენელია საინფორმაციო კომუნიკაციების და მის მონაცემთა დამუშავების გარეშე, რაც აძლევს საშუალებას ბაზრის მონაწილეებს გაცვალონ ინფორმაცია და შეასრულონ მისი ანალიზი.

ამასთან დაკავშირებით სულ უფრო დიდი როლი ენიჭება ინტერნეტის ქსელს თანამედროვე მარკეტინგში, როგორც თანამედროვე კომუნიკაციების საშუალებას და ძლიერ საინფორმაციო რესურსს გარე მარკეტინგულ გარემოში.

3. ინტერნეტ-მომხმარებლების ქცევის კვლევა

ინტერნეტი სხვადასხვა ტიპის ინდივიდსა და ბიზნესს ერთმანეთთან და მსოფლიოს ინფორმაციულ წყაროებთან აკავშირებს. ინტერნეტი ახალი ეკონომიკის ტექნოლოგიად აღიარეს. ის საშუალებას გვაძლევს ნებისმიერ დროს, ნებისმიერ ადგილას დავუკავშირდეთ საინფორმაციო, გასართობ და საკომუნიკაციო საშუალებებს. რამაც განაპირობა ინტერნეტ მომხმარებელთა მკვეთრი ზრდა.

ინტერნეტი გლობალური ფენომენია. გასულ წელს მომხმარებელთა რიცხვმა მსოფლიოში 2 405 მლნ გადააჭარბა. მისი გამოყენების ასეთი ზრდა მიუთითებს იმაზე, რომ ყველანაირი ტიპის ადამიანი შედის ელექტრონულ სივრცეში ინფორმაციის მოსაპოვებლად. ელექტრონული ტექნოლოგიების უდიდესი მნიშვნელობა და პოტენციალი პირდაპირ კავშირშია მსოფლიო მოსახლეობის დაინტერესებასთან ამ ქსელის მიმართ. ბოლო მონაცემებით მსოფლიოს მოსახლეობა 7,017 მლნ ადამიანია და აქედან 34,3% ჩართულია ინტერნეტში, ხოლო 2000-2012 წლებში მომხმარებლების რაოდენობა 566,4%-ით გაიზარდა.

ძნელია იპოვო კომპანია, რომელიც არ იყენებს ინტერნეტს, ყველაზე ტრადიციული კომპანიები ახლა ვირტუალურ-ტრადიციულ კომპანიებად იქცნენ. მათ ელექტრონულ კავშირს მიმართეს, რათა ახალი მყიდველები მიეზიდათ და არსებულ მყიდველებთან უფრო ძლიერი ურთიერთობები შეექმნათ. ინტერნეტმა სრულიად ახალი რამ შექმნა – "ვირტუალური კომპანიები," ე.წ. dot.com-ები. რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზარდება. ისეთმა გიგანტებმა

როგორიცაა IBM, DELL, Cisco Sistems, Microsoft და სხვა მრავალი, სწრაფად დაიპყრეს ინტერნეტი.[59]

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები უფრო აქტიურად იყენებენ ინტერნეტს, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლები. მსოფლიოში 30 წლამდე ასაკის მომხმარებლების 89% იყენებს საძიებო სისტემებს, 30-49 წწ - 85%, 50-64წწ - 79%, ხოლო 65 წლის ზემოთ 67%.

საძიებო სისტემებს დღეში რამდენჯერმე იყენებს 30 წლამდე მოსახლეობის 27%, 30-49 წწ - 25%, 50-64წწ - 15% და 65 წელზე მეტის 8%.

საკუთარ შესაძლებლობებში თავდაჯერებულები არიან 30 წლამდე მოსახლეობის 97%, 30-49წწ – 93%, 50-64წწ – 83%, 65წ და მეტი 79%. ახალგაზრდების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ყოველთვის პოულობს საჭირო ინფორმაციას. 30-49 წლის ასაკის 16%, 50-64წ - 13%, 65-ის ზემოთ - 9%.

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების, კომპიუტერთან და ინტერნეტთან ურთიერთობის, ინფორმაციის მოძიების, ადამიანური რესურსების ბაზარზე კონკურენტუნარიანობის, განათლების დონის ზრდისათვის მომხმარებლები პრიორიტეტულად მიიჩნევენ ინგლისურს, მეორე პოზიციას იკავებს ჩინური, რაც ჩინეთის მოსახლეობის დიდი რაოდენობითაა განპირობებული.

ინტერნეტში დაშვებისა და გამოყენების ენების ათეულში პირველ პოზიციას იკავებს ინგლისური ენა. ამ ენაზე ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობა 565 004 126 ადამიანს შეადგენს, რაც მსოფლიო მოსახლეობის ინტერნეტ-მომხმარებელთა რაოდენობის 26.8%-ია. ინგლისურად მოსაუბრე 1 302 275 670 ადამიანიდან 43.4% მოიხმარს ინტერნეტს, ხოლო მსოფლიოს ინგლისურენოვანი მოსახლეობის მიერ ინტერნეტის გამოყენების ზრდის ტემპი 2000-2011 წლებში 301.4%-ია.

ბიზნესის მართვისა და წარმატებული ფუნქციონირების ერთ-ერთი მთავარი საფუძველია ინფორმაციული უზრუნველყოფა. თანამედროვე ბიზნესი, პრაქტიკულად მთლიანად დამოკიდებულია ინფორმაციულ სივრცეზე.

[59] არმსტრონგი გ., კოტლერი ფ. მარკეტინგის საფუძვლები. ქართული თარგმანი. თბ., 2005. გვ. 52.

ბიზნესპრაქტიკიდან გამომდინარე, კომუნიკაციის ელექტრონული ფორმების გამოყენება საგრძნობლად ამცირებს ორგანიზაციულ, დროით და ბიზნესის მთლიანი ინფრასტრუქტურის (რეკლამა, შეკვეთების გაფორმება და ა.შ.) ხარჯებს. შედეგად მიიღება ახალი ეკონომიკური მოდელი, რომელიც ბაზირებულია ინფორმაციის გლობალურ ელექტრონულ გაცვლაზე. ეს იძლევა საფუძველს ითქვას, რომ უახლოეს მომავალში ჩამოყალიბდება ინტერნეტზე დაფუძნებული ახალი საბაზრო გაერთიანება. იგი უზრუნველყოფს კომპანიის იაფ და მუდმივ რეკლამას, სერვისის ამაღლებას.

ინტერნეტ-ქსელის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას, როგორც რეალურ დროში (ინფორმაციის გადაცემა და კომუნიკაცია), ასევე შეცვლილ მასშტაბში (შენახვა, განაწილება და ინფორმაციის წარმოდგენა) წარმოადგენს ეფექტური მარკეტინგული გაცვლის უზრუნველყოფა. იგი ადამიანებს აძლევს შეუფერხებელი ურთიერთკავშირის საშუალებას, რასაც მივყავართ საერთაშორისო გარიგების ურთიერთშეუთანხმებლობასთან ინტერნეტ-ქსელში (მარკეტინგული ქმედებები, შეკვეთების განლაგება, გადახდები, კონტრაქტების თანქონა, პრეტენზიები და რეკლამაციები) და რეალურ ფიზიკურ გარემოში (ფიზიოლოგიური ლოგისტიკური ქმედებები და ფიზიკური დისტრიბუცია).

ინტერნეტი ახალი ათასწლეულის რევოლუციური ტექნოლოგიაა, რომელიც აძლიერებს მომხმარებლებისა და ბიზნესების ურთიერთკავშირს. ახალი ეკონომიკის თითქმის ყველა ინოვაციას შორის, რომელთაც ბოლო ათწლეულში იჩინეს თავი, ინტერნეტმა ყველაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. კვლევები ცხადყოფს, რომ მომხმარებლები მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებამდე, ინფორმაციას ინტერნეტის მეშვეობით იღებენ. ყოველი სამი მომხმარებლიდან ერთი მაქსიმალურად ეყრდნობა ინტერნეტის ინფორმაციას ისეთ ქმედებათა განხორციელებისას, როგორიცაა მანქანის ყიდვა, სამსახურის მოძებნა, ავადმყოფობის დადგენა, თუ ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.[60]

---

[60] არმსტრონგი გ., კოტლერი ფ. მარკეტინგის საფუძვლები. ქართული თარგმანი. თბ., 2005. 352.

ინტერნეტი, როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიების გლობალური ელექტრონული ბაზარი, ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კომერციული ფენომენია. იგი ამავე დროს უნიკალური სისტემაა, რომელიც მარკეტინგის ეფექტურ გარემოს და საშუალებას წარმოადგენს. ინტერნეტმა საფუძველი ჩაუყარა ელექტრონულ ცივილიზაციას. ინფორმაციის დონე და ინფორმაციული ტექნოლოგიები განსაზღვრავს ნებისმიერი ქვეყნის განვითარებას.

ელექტრონულ ბაზარზე ხდება წარმოების პროცესების რეალიზება, მარკეტინგული კვლევა, ვაჭრობა, ანგარიშსწორება, მონაცემთა გაცვლა. ინტერნეტი საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის ძირითადი წყარო და გასაღების არხია, ბიზნესის მართვის ინსტრუმენტია.

ელექტრონულ ბაზარზე მონაწილე სუბიექტების მიერ ნებისმიერი საქმიანობა და ურთიერთქმედება ხდება ინფორმაციული ტექნოლოგიებით, როგორიცაა ყიდვა-გაყიდვა (ელექტრონული ვაჭრობა); ელექტრონული ტექნოლოგიებით ბიზნეს-პროცესების განხორციელება (ელექტრონული კომერცია); მარკეტინგული ოპერაციები ინტერნეტ-გარემოში (ელექტრონული მარკეტინგი).

ელექტრონული ბიზნესით ხორციელდება ბიზნეს-პროცესების რეალიზაცია საინფორმაციო და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიებისა და სისტემების გამოყენებით.[61] იგი ისეთი საქმიანი აქტივობაა, რომელიც იყენებს გლობალური ინფორმაციული ქსელის შესაძლებლობებს მოგების მისაღებად. ელექტრონული ბიზნესის ძირითადი შემადგენელია ელექტრონული მარკეტინგი.[62]

კვლევამ გვიჩვენა, რომ ინტერნეტმა მოახდინა მარკეტინგის ტრანსფორმირება. შედეგად გამოვლინდა ახალი თავისებურებანი, მახასიათებლები და უპირატესობანი. აღნიშნულმა განსაზღვრა მარკეტინგის განვითარების ახალი ეტაპი – ელექტრონული მარკეტინგის ფორმირება, რომელიც წარმოიშვა ინტერნეტის ქსელის განვითარებასთან ერთად. ინტერნეტ-ქსელისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების გავრცელებამ ხელი შეუწყო ამ

[61] Данько Т.П., Завьялова Н.Б. Электронный маркетинг. ИНФРА-М. Москва. 2003. გვ. 37.
[62] Алексунин В.А., Родигина В.В. Электронная коммерциия и маркетинг в интернете. „Дащков и К", Москва. 2005. გვ. 21.

ახალი მიმართულების წარმოქმნას. ინტერნეტი გახდა ძირითადი სფერო მარკეტინგული ცოდნის გამოყენებისათვის, რომლის განვითარებასთან ერთად ვითარდება ელექტრონული მარკეტინგის მეცნიერებაც. ფაქტობრივად ელექტრონული მარკეტინგი წყვეტს იმ ამოცანებს, რასაც ჩეულებრივი მარკეტინგი. სხვაობა იმაშია, რომ ელექტრონული მარკეტინგის შემთხვევაში მარკეტოლოგი იყენებს იმ ინსტრუმენტებსა და უპირატესობებს, რომლებსაც იძლევა ინტერნეტი.

ელექტრონულ მარკეტინგში სტრატეგიული გადაწყვეტილებების საფუძველია მარკეტინგული ინფორმაცია და ინფორმაციული ბაზა. [63] ელექტრონულ მარკეტინგში კომპანიების ძირითად სტრატეგიაა ლოიალურობის შენარჩუნება. ლოიალურობა გულისხმობს მომხმარებლის გრძელვადიან ურთიერთობას კომპანიასთან. [64] მომხმარებლის შენარჩუნება შესაძლებელია მხოლოდ ლოიალურობის მოპოვებით და ამაღლებით. ელექტრონულ ბაზარზე ლოიალურობა წარმატების ცენტრალური პირობაა.[65]

ელექტრონული მარკეტინგის კვლავაში გამოიყენება მარკეტინგ-მიქსი, ე.წ. 4P-ის კომპლექსი: პროდუქტი (Product), ფასი (Price), გავრცელება (Place), სტიმულირება (Promotion) და 7C-ს ინტეგრირებული მოდელი: ხელსაყრელობა (Convenience); შემცველობა (Content); პერსონალურობა (Customisation); საზოგადოება (Community); ურთიერთქმედება (Connectivity); მყიდველებზე ზრუნვა (Customer Care); კომუნიკაცია (Communication) ელემენტები. [66] ელექტრონული მარკეტინგის კომპლექსს შეიძლება დაემატოს კიდევ ერთი კომპონენტი - მონაცემთა დამუშავება (Processing), რაც განპირობებულია მარკეტინგულ საქმიანობაში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. [67] მეტად

---

[63] Дятловская И. Маркетинговая навигация для стратегии. журнал: „&Стратегии“. № 8, август 2005.

[64] Warhaftig W. From policyholders to valued customers: customer management strategies in life insurance. – London, 1998, – 144 p.

[65] Dawes J., Swailes S. Retention sans frontieres: issues for financial service retailers // International Journal of Bank Marketing.-1999,-Vol. 17, 1. p.36-43.

[66] http://www.iteam.ru/publications/marketing/section_25/article_78

[67] Krantz J.H. Validity of Web-based Psychological Research http://psychlab1.hanover.edu/index.htm

მნიშვნელოვანია მარკეტინგული კომპლექსის ელემენტების ინტეგრაცია და კონვერგენცია. საიტის დიზაინი და ნავიგაცია განეკუთვნება მარკეტინგის კომპლექსის კვლევის ოთხივე ელემენტს.[68]

ელექტრონული ბიზნესის კვლევა სამ ეტაპად იყოფა: პირველ ეტაპზე - ელექტრონული ბიზნესი შეისწავლება ერთი ორგანიზაციის ფარგლებში ლოკალური ქსელის დახმარებით (ასეთი ქსელები ინტერნეტის სტანდარტებს იყენებენ ინფორმაციის ელექტრონული გაცვლისათვის). ორგანიზაციის მუშაკები სარგებლობენ თავიანთი ორგანიზაციის საიტით. ასეთი საიტები დანარჩენი კიბერსივრცისაგან დაცულია. მოსარგებლეებს სხვა ორგანიზაციებიდან არ შეუძლიათ სარგებლობა მოცემული კომპანიის შიდა ინფორმაციით. თუკი კომპანია თავის თანამშრომლებს საქონელს უფრო დაბალი ფასებით მიყიდის და ამის შესახებ ცნობილი გახდება კომპანიის ფარგლებს გარეთ, მყიდველებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ კომპანიამ მათთვისაც შეამციროს ფასები.

ელექტრონული ბიზნესის კვლევის მეორე ეტაპზე მეთოდურად ხორციელდება გარიგებების შეფასება კომპანიებს შორის შიდა ქსელების ურთიერთქმედების ფარგლებში. ამასთან, ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომი ხდება პარტნიორის ინფორმაცია, რომელიც დახურულია სხვა მოსარგებლეებისათვის. ჩვეულებრივ პარტნიორისთვის ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ინფორმაციის ძალიან მცირე ნაწილი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ეფექტიანი თანამშრომლობა. კომპანიების შემაერთებელი ქსელები არსებობდა ინტერნეტის გაჩენამდეც, თუმცა, მათი დაყენება ძალიან ძვირი ჯდებოდა. ინტერნეტის წყალობით კი საკუთარი ქსელების შექმნისა და გამოყენების ხარჯები მკვეთრად შემცირდა.

კვლევის მესამე ეტაპზე შეისწავლება ბიზნესი მომხმარებლებისათვის. ეს მოდელი სხვებზე უკეთაა განვითარებული და მოსარგებლეთა უმეტესობისთვის თვალსაჩინოა.

---

[68] Данько Т.П., Завьялова Н.Б. Электронный маркетинг. учебное пособие Изд-во ИНФРА-М. Москва. 2003. 377с.

ელექტრონული ბიზნესის ის უპირატესობები, რომლებიც კომპანიებს აღნიშნული მიზნების მიღწევის საშუალებას აძლევენ, ინტერნეტის უპირატესობების ანალოგიურია.

- ინტერნეტის ქსელი ხელმისაწვდომია მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, დღეღამის ნებისმიერ მონაკვეთში და გამოსასვლელი დღეების გარეშე.
- ინტერნეტი მარტივი მოსახმარია, მისი საბოლოო ღირებულება კი შედარებით დაბალია.
- ინფორმაციის გავრცელების სიჩქარე ქსელში ძალიან მაღალია, ბევრი პროცესი კი რეალური დროის რეჟიმში მიმდინარეობს.
- მოვაჭრეთა ხარჯები ქსელში ძალიან დაბალია გავრცელების ტრადიციულ არხებთან შედარებით.
- ინტერნეტი ინტერაქტიური ურთიერთობის შესაძლებლობას ქმნის და ღია, საყოველთაოდ ხელმისაწვდომ სტანდარტებზეა დაფუძნებული. მომხმარებელს ადვილად შეუძლია კომპანიების წინადადებების შედარება.

ელექტრონული კომერცია ელექტრონული ბიზნესის მთავარი შემადგენელი ნაწილია. იგი გვთავაზობს ინტერნეტში ისეთი ფორმებს, როგორიცაა კომპანიის საქმიანობისა და ინფორმაციის შემცველი ვებ-გვერდი, რომელიც ფაქტობრივად ელექტრონულ სავიზიტო ბარათია, რადგან რადგან სარეკლამო ხასიათის სამსახურს ატარებს. ასევე საყურადღებოა ელექტრონული კატალოგი, ელექტრონული ვაჭრობა, ელექტრონული მაღაზიები, ელექტრონული ბუღალტრული აღრიცხვა და ა.შ.

ელექტრონული კომერციის ზოგად მოდელში კლასიფიცირებულია ძირითადი ბიზნესურთიერთობების შემდეგი მეთოდები:

ა) ბიზნეს-ბიზნესი (business-to-business, B2B) მეთოდი;

ბ) ბიზნეს-მომხმარებელი (business-to-consumer, B2C) მეთოდი;

გ) ბიზნეს-მთავრობა (business-to-government, B2G) მეთოდი;

განვიხილოთ შედარებით გავრცელებული მეთოდი, ე.წ. ბიზნეს-ბიზნესის (business-to-business, B2B). ეს მეთოდი ფირმათაშორისი (საწარმოთაშორისი) ელექტრონული კომერციაა, რომელიც მოიცავს ყველა დონის ინფორმაციულ

კავშირს კომპანიებს შორის. B2B სისტემების დანერგვის შედეგად, ამა თუ იმ კომპანიით დაინტერესებულ ნებისმიერი პირს, გეოგრაფიული ადგილ-მდებარეობის მიუხედავად, შესაძლებლობა ექნება გაეცნოს კომპანიის პირობებს, მიმდინარე მომსახურებას, განახორციელოს შეკვეთა, ყიდვა, დაგეგმოს მიწოდება, განსაზღვროს ტრანსპორტირების ვადები, ხერხები, ხარჯები და ა.შ.

მეორე მეთოდი, ე.წ. ბიზნეს-მომხმარებელი (business-to-consumer, B2C) ელექტრონული კომერციის ის შემთხვევაა, სადაც მყიდველი კერძო პირია. მაგალითად, ინტერნეტმაღაზია, ფასიანი საინფორმაციო სამსახური და ა.შ.

მესამე მეთოდით, ე.წ. ბიზნესი-მთავრობა (business-to-government, B2G) კომპანიები საგადასახადო და სარეგისტრაციო პროცედურებს გადიან ელექტრონული ქსელის საშუალებით. ეს მეთოდი განვითარებულ სამყაროში უფრო პრიორიტეტულია, თუმცა მისი ინტენსიური განვითარების ტენდენცია სხვა რეგიონებშიც თანდათანობით ძლიერდება.

ინტერნეტში არსებული ინფორმაციული რესურსების კვლევა გვარწმუნებს, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდება მისაწვდომობითა და ღირებულებით. არსებობს ფასიანი და უფასო ინფორმაცია. ინტერნეტ-რესურსების უმრავლესობა მეორადი მონაცემია, ე.ი. შეკრებილი და გაანალიზებულია, ხოლო მონაცემთა აქტუალურობისა და სანდოობის ხარისხის შემოწმება რთულია. ინტერნეტში მოცემული მეორადი ინფორმაცია შექმნილია სხვა პრობლემის გადასაწყვეტად. შესაბამისად, ის შეიძლება იყოს ხანდაზმული, არასრული, არ ჰქონდეს პირდაპირი ურთიერთობა გადასაწყვეტ პრობლემასთან, არ იყოს სარწმუნო. ხშირ შემთხვევაში, ინტერნეტში არსებული მონაცემები შეიცავენ უზუსტობებს. კომერციული სამსახურები ხშირად გაურბიან პასუხისმგებლობას ცნობარებში არსებული ინფორმაციის სისწორეზე. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ კომერციული სამსახურები ქმნიან მონაცემთა ბაზებს სხვისგან გადმოღებული წყაროებიდან, ხოლო მონაცემების დაზუსტება და შემოწმება შეცდომების

გარანტიას არ იძლევა.[69] მარკეტინგული გადაწყვეტილებებისათვის კი საჭიროა ზუსტი და „საიმედო“ პირველადი ინფორმაცია, რომელიც მარკეტინგული კვლევებით მიიღება.[70]

4. კიბერდანაშაულის კვლევისა და პრევენციის მეთოდები

თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებმა მძლავრი ბიძგი მისცა არა მხოლოდ საზოგადოების პროგრესს, არამედ გახდა მანამდე უცნობი ნეგატიური პროცესების წარმოშობისა და განვითარების სტიმულატორი.

კვლევისას გამოვლინდა, რომ კომპიუტერულ ტექნოლოგიებს აქვთ დიდი პოტენციალი როგორც პროგრესის, ისე ბოროტად გამოყენებისათვის. ამიტომ ინფორმაციის ან კომპიუტერული სისტემის ხელყოფა და მისი ბოროტად გამოყენება თანამედროვეობის ერთ-ერთი პრობლემაა. კიბერდანაშაული ყველაზე მეტად გავრცელებულია საბანკო და საფინანსო სექტორში.

ევროპოლის მიერ გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად ევროკავშირის მოქალაქეები საბანკო ანგარიშებიდან 1,5 მილიარდ ევროს კარგავენ. საკრედიტო ანგარიშებიდან ფულის მოპარვა ძირითადად ამერიკის შეერთებული შტატებიდან ხდება. ევროკავშირში მიღებული უსაფრთხოების ზომების, სპეციალური კოდისა და ჩიპის გატეხვა საკმაოდ ადვილია ამერიკაში, ვინაიდან ამერიკის შეერთებული შტატების ბანკომატები უსაფრთხოების მაღალ ზომებს არ აკმაყოფილებს. პრობლემის გადაჭრის მიზნით აუცილებელია უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტის ამოქმედება ამერიკაში, რაც დიდ თანხებთანაა დაკავშირებული.[71]

---

[69] Жичкина А.Е. Методология, теория и практика психологических исследований в сети Интернет. http://surveys.org.ua/content/view/46/36

[70] Гущин А.А. Маркетинговая навигация в сети Интернет: технология из первых рук, http://marcs.ru/publication/publication

[71] http://euobserver.com/tickers/118429

მოცემული საკითხის კვლევისას გამოვლინდა შედარებით გავრცელებული კომპიუტერული და ინტერნეტ-დანაშაულის შემდეგი სახეები:[72]

- Cyber Terrorism – კიბერტერორიზმი – ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ინფორმაციულ სივრცეში შეჭრა და დამნაშავისათვის სასარგებლო ინფორმაციის განთავსება ან ისეთი ქმედებების ჩატარება, რომელიც გამოიწვევს ქვეყანაში ეკოლოგიურ, ფინანსურ და სხვა სახის კატასტროფებს.
- Cyber Warfare – კიბერომი – ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის ინფორმაციულ სივრცეში შეჭრა და დამნაშავისათვის არასასურველი ინფორმაციის წაშლა, ან საინფორმაციო საშუალებების მწყობრიდან გამოყვანა და ტერორიზირებული ქვეყნისათვის არასასარგებლო ან არასასურველი ინფორმაციის განთავსება, რაც ამ ქვეყნის კეთილდღეობაზე უარყოფითად აისახება.
- Cyber Harrasment – კიბერდევნა და შეურაცხყოფა – პიროვნების პირად კომპიუტერში ან სამსახურის ქსელში მისთვის შეურაცხმყოფელი ინფორმაციის განთავსება გართობის, რეპუტაციის შელახვის, შავი PR-ის ან რაიმე ფორმით მოგების მიზნით.
- Cyber Drug Trafficking –კიბერ ნარკოტრეფიკინგი – ნარკოტიკების ბაზრების ათვისება ინტერნეტ ქსელების მეშვეობით.
- Spam – ნაგავი, სიბინძურე – ადრესატის ნებართვის ან მოთხოვნის გარეშე, კომერციული მოგების მიზნით საინფორმაციო-მარკეტინგული დანერგვის მცდელობა, და ბალკ (მრავლობითი, არაპერსონალური) იმეილების გაგზავნა, რაც საერთაშორისო ქსელში არაკანონიერად მიიჩნევა; სპამი ინტერნეტ დანაშაულის მეტად გავრცელებული და, როგორც წესი, დაუსჯელი სახეობაა.

მიუხედავად მსოფლიო ფინანსური ორგანიზაციების მცდელობისა, უსაფრთხო გახადონ პლასტიკური ბარათები, დღევანდელ ელექტრონულ საგადასახადო სისტემაში არსებული ხარვეზების გამო, ფართოდ გავრცელდა პლასტიკური ბარათებით ან ბარათებიდან ფულის ქურდობა.

---

[72] Cyber Rules: Strategies for Excelling at E-Bisiness by Thomas M. Siebel, Publisher: Currency 304 pages forth edition 2008.

კვლევამ გვიჩვენა, რომ კომპიუტრული დანაშაული, მსოფლიოში ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის შემდეგ ყველაზე "შემოსავლიანად" ითვლება. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტისა და დაზვერვის ცენტრალური სააგენტოს (CIA) მონაცემებით, აშშ-ში კომპიუტერულ დანაშაულთა შედეგად მიყენებული ზარალი წელიწადში საშუალოდ 5 მლრდ დოლარია, საფრანგეთში - 1 მილიარდი ევრო, გერმანიაში კი – 4 მლრდ ევრო.

ყურადღებას იპყრობს კომპიუტერულ დანაშაულთა ზრდის მაჩვენებელიც: კიბერდანაშაულთა რიცხვი მსოფლიოში ყოველწლიურად 30-40%-ით მატულობს. აღსანიშნავია, რომ კიბერდანაშაულებათა კუთხით პირველ პოზიციას 35%-იანი დონით აშშ იკავებს, მეორე ადგილზეა ჩინეთი 30%-ით, მესამეზე ბრაზილია (14,3%), სადაც განსაკუთრებული კომპიუტერული ვირუსებია გავრცელებული, მეოთხეზე - რუსეთი (4,1%), ხოლო მეხუთეზე შვედეთი (3,8%).[73]

აღნიშნული ქმედებებისაგან თავის დაზღვევის მიზნით აუცილებელია კომპიუტერის, ინტერნეტისა და ელექტრონული კომერციის მომხმარებლებმა გაითვალისწინონ კიბერდანაშაულისაგან თავის დაცვის მსოფლიოში აპრობირებული შემდეგი მეთოდები:

- ✓ გამოიყენონ მხოლოდ ელექტრონული სერტიფიკატებისა და მონაცემების გადაცემის უფასო პროტოკოლები;
- ✓ არასოდეს არ გადასცენ გამყიდველებს პლასტიკური ბარათების რეკვიზიტები საპასპორტო მონაცემები (ამ ტიპის პროცედურების ჩასატარებლად არსებობს ბილინგი და ავტორიზებული სერვერები);
- ✓ ყოველთვის მიიღონ ზუსტი ინფორმაცია იმ კერძო პირზე ან ორგანიზაციაზე, რომელთაგანაც აპირებენ საქმიანი ურთიერთობის დამყარებას.
- ✓ მაქსიმალურად ეცადონ გამოიყენონ საკრედიტო ბარათები ფულის სწრაფად და ადვილად დაბრუნების მიზნით. მიზანშეწონილია ისეთი პლასტიკური ბარათების გამოყენება, რომელთაც აქვთ დაზღვევის პოლისი, რათა კრიმინალურმა ქმედებამ არ გამოიწვიოს თქვენი ფინანსური კრახი.

---

[73] www.symantec.com

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კომპიუტერული დანაშაულის რაოდენობა და მასშტაბები მნიშვნელოვნედ ჩამორჩება რუსეთის მასშტაბების მაჩვენებელს, ჩვენთანაც იქნა აღრიცხული რამდენიმე შემთხვევა.

კიბერდანაშაულთან წარმატებითი პრევენციისათვის ქართველმა იურისტებმა შექმნეს საკანონმდებლო პაკეტი. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე თავში "კომპიუტერული დანაშაული" არის სამი მუხლი - 284, 285 და 286, რომლებიც ითვალისწინებენ ისეთ კომპიუტერულ დანაშაულს, როგორიცაა კომპიუტერულ ინფორმაციასთან არამართლზომიერი შეღწევა, ეგმ-ის (ელექტრო-გამომთვლელი მანქანის) დამაზიანებელი პროგრამის შექმნა, გამოყენება ან გავრცელება და ასევე ეგმ-ის სისტემის ან მათი ქსელის ექსპლუატაციის დარღვევა.

კიბერდანაშაული მნიშვნელოვან როლს ასრულებს პოლიტიკურ სფეროშიც (გავიხსენოთ, თუნდაც 2008 წლის კიბერომი რუსეთსა და საქართველოს შორის).

შესაბამისი კვლევით დადასტურდა ისიც, რომ კიბერდანაშაულთან ბრძოლა დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. მისი გადაწყვეტა მხოლოდ მსოფლიო თანამეგობრობის ერთიანი ძალისხმევით უნდა მოხდეს. ყველა ქვეყანას და, მათ შორის საქართველოს, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად უცილობლად სჭირდება შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება.

საერთაშორისო მასშტაბით კიბერდანაშაულთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნაბიჯი იყო 2001 წლის 23 ნოემბერს ევროსაბჭოს კონვენციის მიღება „კიბერდამნაშავეობასთან ბრძოლის შესახებ", რომელიც განსაზღვრავს კიბერნეტიკულ დანაშაულთა იმ სახეობებს, რომლისთვისაც წევრმა ქვეყნებმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დაადგინონ. ამ დოკუმენტით მსოფლიო თანამეგობრობის მიერ შემუშავდა ერთიანი პოზიცია იმის შესახებ, თუ რომელი ქმედებები უნდა იქნეს კრიმინალიზებული და რა ფორმით განხორციელდეს თანამშრომლობა კიბერდანაშაულთან საბრძოლველად.

ევროსაბჭოს კონვენციის მოთხოვნებით, შესაბამისი ცვლილებები განხორციელ-და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსსა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. კერძოდ, ამგვარი დანაშაული დასჯადი

გახდა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის; შეუსაბამო მუხლები შეიცვალა ახალი, თანამედროვე ურთიერთობებზე მორგებული მუხლებით (მაგ., საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებული კომპიუტერული დანაშაულის მარეგულირებელი ნორმებით დასჯადი გახდა კომპიუტერულ სისტემაში უნებართვოდ შეღწევა, ინფორმაციის გამოყენება და სისტემის ხელყოფა; დაზუსტდა ძველი და დაემატა ახალი ტერმინები; 158-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით).

კიბერდანაშაულის ეფექტური გამოძიებისათვის გაიზარდა საგამოძიებო ორგანოების უფლებები. ცვლილებები შევიდა საქართველოს კანონებში „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ" და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ". დადგინდა ინტერნეტურთიერთობების მონიტორინგი, რომელიც გულისხმობს: ოპერატიულ საქმიანობას ვირტუალურ სივრცეში; ღია და დახურული ხასიათის ინტერნეტ-ურთიერთობებზე დაკვირვებას და მათში მონაწილეობის მიღებას; ნამდვილი ან ფიქციური სახელით მონაწილეობას და სხვა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა საქართველოს მიერ ამ პრობლემის აღიარება და განხორციელებული ქმედებები, კერძოდ, სტრატეგიის ჩამოყალიბება და ევროპის ქვეყნებთან თანამშრომლობა. თუმცა ფაქტია ისიც, რომ კანონმდებლობაში შესული ცვლილებები არასაკმარისია. მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებით სასურველ შედეგს ნაკლებად მივიღებთ. ამისათვის საჭიროა ფინანსები, უფრო დიდი მონდომება და ინფორმატიკის სპეციალისტთა და სამართალმცოდნეთა ერთობლივი თანამშრომლობა.